

K 16575

2

කොළඹ මධ්‍යම සංග්‍රහ ප්‍රතිපාදන



සාලු උග්‍රීකාරු රූරු නිමුෂේදීස දාම්ඩ්‍රීඩ් ත

සාම්‍රාජ්‍ය මධ්‍ය වානිජ රිංග නි

සාතායාර-අත්ත්‍යාංශ සුවෙළු බිංදා, සාමුළු ගැරු දා සාම්‍රාජ්‍ය සාම්‍රාජ්‍ය ලු-
බිංදා, සේමිනාරි බිංදා දා සායෝජිත සායෝජිත සුවෙළු බිංදා, සුවෙළු බිංදා,

ශේෂ පිළිවාසි පිළිවාසි


ඉත්ති මාන්දිර පිළිවාසි පිළිවාසි පිළිවාසි පිළිවාසි පිළිවාසි

මුද්‍රණ පිළිවාසි

ස්‍රාමික ම. මාරාධිසා දා ආම්ඩාන්ජල් බිංදා, නිශ්ච. ජ. № 21

1898

საბურგო მეცნიერებელი



საღიტერატურო ნიმუშების დამსტებითურთ

სახელმძღვანელო წიგნი

სათავად-აზნაურო სკოლებისა, სასულიერო და საოსტატო სასწავლებლებისა და სემინარიებისა და საეპარქიო საქალებო სკოლებისათვის

K16575
2

შედგენილი

ანებიშნდრიტის კირითნისა და გრ. ეიფშიძის-მიერ.



ტფილისი

სრამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, ნიკ. ქ. № 21
Тип. М. Шарадзе и К°, Николаевская у. № 21.

1898

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Іюля 1898 г.

წინა-სიტყვაობა.

დღეს ჩვენში ასებობს თრი სათავად-აზნაურო სკოლა, ტფილისისა და ქუთაისისა. ერთში, სახელდობრ, ტფილისისაში, გვეხმატებისი გიმნაზიური კლასია, და მის გამგე კომიტეტს გადაწყვეტილია : ქვე წელსვე შეშვიდე კლასიც დაასრულოს. ასებობს აგრძელებულისა და ქუთაისში თრი საქართველო სკოლა შეათანა სასწავლებლის კურსითა, სასტატო და სასულიერო სემინარიები და სასწავლებლები. თითქმის უოველ ამ სასწავლებელში მცირე ადგილი არა აქვს დათმობილი ჩვენს დედა ქანას და ქართულის ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლას. მაშასდამი, ამ ქამად უკვე საჭიროა ასებობდეს ისეთი სახელმძღვანელოცა, რომელის შემწეობით შეიძლებოდეს შესწავლა ქართულის ლიტერატურისა და სიტყვიერების თეორიისა.

ამ აზრით ჩვენ შევადგინეთ ჯერ-ჯერობით ეს მოგლე სახელმძღვანელო სიტყვიერების თეორიისა და ზედ დაგურთეთ ცალკე დამატებად საქრისტომატი ჩატანილია, ანუ კრებული იმისთვის საჭიროატურო ნიმუშებისა, რომელთა განხილვა და შესწავლა საჭიროა თეორიას შესათვისებლად. ამ გვარად მომზადებულს შეგირდს, იმას გარდა, რომ გაიცნობს, ცოტად თუ ბევრად, თავის სამშობლო ლიტერატურას, უფრო გაუადვილდება, რასაკვირველია, შესწავლა რუსულის ლიტერატურის თეორიისაც და რუსულ სამშობლო ტურატურო ნიმუშებისაცა.

ჩვენი სახელმძღვანელო შედგენილია რუსულ სახელმძღვანელოთა მიხედვითა და იმათვათ ესეც, ცოტად თუ ბევრად, კომიტიაცია და ადგილ-ადგილ პირდაპირი თარგმანი. პირდაპირი თარგმანია რუსულ სახელმძღვანელოებიდან, მაგალითად, განუენებული და ზოგადი განმარტებანი ამა თუ იმ სათეორიო წესის და სიტყვიერების კანონისა. შეთქმულდ ამ განმარტების დასასაბუთებლადა და შე-

გირდების მიერ ადვილად შესათვისებლად მაგალითებად მოგვყავს, რასაკვირველია, თხზულებანი ჩვენის მწერლებისა, ნაწერები ჩვენის პოეტებისა. სისტემა და რიგი მასალის დაწყობისა ჩვენს სახელმძღვანელოში ისეთივეა, როგორსაც ადგია ბ-ნი ბეჭლრუსოვი თავის სახელმძღვანელოში: учебникъ теоріи словесности. ხოლო, როცა მისი განმარტება სიტუვიერების თეორიის ამა თუ იმ კანონისა ან სრული არ გმიჩვენა, ან საკმაოდ მკაფიო და გასაგებ არ იყო, მაშინ მიგმართავდით ხოლმე სხვა სახელმძღვანელოებისა და ქრისტიანულების ავტორების: Служебные книги, Министерские, Полицейские, Православные და სხვ.

უოველივე ესე შესამჩნევად გვიადვილებდა საქმეს, მაგრამ მაინც დაბრკოლებაც არა ერთი და ორი გადაგვედობა წინ და იმათმა დაძლევამ არა მცირედი შრომა მოინდომა. ეს ასეც უნდა უოველივე: ამისთანა სახელმძღვანელოს შედგენა პირველი ცდაა ჩვენში, ხოლო დასაწყისი უოველის საქმისა მუდა ძნელია. ძნელი იყო პირველად შემუშავება და დამუარება ტერმინებისა. ჩვენს ტერმინებში, თუ შოშეტებული ნაწილი არა, ზოგი მაინც, შესაძლოა არ გამოდგეს, უხერხული აღმოჩნდეს და საჭირო შეიქმნას მათი შეცვლა და ახალის მოგანება, ახალის შექმნა. ჩვენ ვარჩიეთ, მაგალითად, ხმარება რესულის ტერმინის თემა-ს მაგიერ არა სიტუვისა: თემა, არამედ სიტუვისა: Ритмъ. და აი რათა: სიტუვა თემა ნათესავობითს ბრუნვაში იქნება — თემისა, თემისას, რაიცა ჭინიშნავს მხარეს, მაზრას და შესაძლოა თან სხვა-და-სხვა ცნება არეულივთ ერთმანერთში; რესული ტერმინი რიტმა ვარჩიეთ გმიჩვენა ასე: Циклъ და არა რითმი, რადგან რითმია, რითმი ბრუნვებში აირეოდა და ადარ გშექმნებოდა შესაფერი სიტუვა გამოსახატავდ ცნებისა: ритмъ — რიтми, რაცა სულ სხვა მნიშვნელობის სიტუვაა.

მეორედ, ძნელი იყო თეორიის პირველ ნაწილში — სტილისტიკაში — შესაფერის მაგალითების მოქანა სხვა-და-სხვა გვარ სასტილისტიკო მოვლენისათვის. ამიტომ შესაძლოა ზოგიერთი მაგალითი ამ ნაწილში სუსტი აღმოჩნდეს და ბევრად უფრო უკეთესის მოქებნა და მოგანება შეიძლებოდეს. დიდად მაღლობელი

გიქმებით უგელა იმათი, ვინც ამ წიგნის გადათვალიერების დროს ანუ სახელმძღვანელოდ ხმარების ჟამს, შეაჩნევს სუსტს მაგალითებს, უკეთესებს მოიგონებს და შეგზატებინებს, რათა თავის დროზედ, თუ ვინიცობა მეორედ დაბეჭდვა ეღიანსა ამ წიგნს, ჩაფურთხოთ იგი მოხერხებული მაგალითი თავის ალაგას.

მესამედ, მნელი იუო ჩვენებურის ლექსთ-წერბის გარკვევა და მის კანონების დამყარება. ჩვენებური ლექსთ-წერბის სრულებით არა ჰგავს რუსულს ლექსთ-წერბას. არც თვით ჩვენს მწერლიპაში არა სებობს ერთი გადაჭრილი აზრი რომ საგნის შესახებ. გამოთქმულია თრიანი აზრი და არც ერთი მათგანი-კი რიგიანად დასაბუთებული და განმარტებული არ არის. ერთის აზრის მომხრე, ბ-ნი კ. დო-დაშვილი, რომელიც ამბობს, რომ ჩვენი ლექსთ-წერბა ტრიურია, ისეთი, როგორც რუსებისა, გერმანელებისა და სხვ. მეორე აზრს ადგანის დ. ჩვენის შედეგი და ლ. ისარლიშვილი, რომელიც ამბო-ბენ, რომ ჩვენი ლექსთ-წერბა სილაბიურიათ. ჩვენ უფრო ამ უკა-ნასკნელთა აზრს დავადექით, მით უფრო რომ საჭუთარმა ჩვენმა ხანგრძლივმა ფიქრმა და ჩვენის ლექსთ-წერბის დაკვირვებამ და-გვარწმენა, რომ ჩვენის ენაში მახვილს საზოგადოდ მცირე მნიშვნელობა აქვს, ხოლო ლექსის და ლექსის ჭარმონიას ჭართულში ჭქმნის უფრო თანაბარი რაოდენობა მარცვალია (სილაბი) და ხასიათი ცეზურისა.

მეოთხედ, ჭალიან მნელი იუო აგრეთვე მოძებნა მაგალითები-სა თეორიის მეორე ნაწილში ზეპირ-სიტუაციიდან. ზეპირ-სიტუა-ციის ნაწარმოები ძლიერ მცირედ არის ჯერ დაბეჭდილი და ამი-ტომ იძულებული ვიუვით იმ ზღუდეთა შორის გვეტრიალნა და იმას დავჯერებულიერით, რაც დაბეჭდილია უკვე, ხოლო ეს დაბეჭ-დილიც ცალკე არ არის გამოცემული, არამედ გაფანტულია სხვა-და-სხვა გაზეთებსა და უურნალებში და მოძებნა მათი იქ ბევრს დროსა და მოცალებას ითხოვდა. ამ მხრივ ბევრი გვიშველა აგანის ჭრებულმა და ბ-ნ ად. ხახანაშვილის წიგნმა: Очерки по истории грузинской словесности, выпущен первый. მაგრამ ამ წიგნის ხმარებას ის უხერხეულობა ჭქონდა ჩვენთვის, რომ იქ თრიანალის ტექსტი არ არის, ხოლო ჩვენთვის საჭირო იუო ჭართული ტექსტი და არა რუ-

სულად გაღმოცემული შინაარსი ამა თუ იმ ზეპირის ნაწარმოებისა.

ეთველი ეს დაბრკოლება იუთ მიზეზი დმისიცა, რომ საქრისტო-
მატიო ნაწილი ჩვენის სახელმძღვანელოსი, რომელიც ცალკე და-
მატებად აქვს დართული, ვერც საკმაოდ სრულია, და ვერც საკმაოდ
შემუშავებული. ამ ქრისტომატიაში ზოგიერთის გვარისა და დარ-
გის ნაწარმოებთა მაგალითები საკმაოდ არის შეგ მოთავსებული,
ზოგისა - კი მცირედ, დროს განმავლობაში და მცოდნე კაცთა დახ-
მარებით იმედია ეს ნაკლულებანებაც ქრისტომატიისა შეივსოს.

დასასრულ, ჩვენს მოვალეობად ვსთვლით, დიდი მაღლობა გა-
მოვუცხადთ ტფილისის ზოგიერთ სასწავლებლის ქართულის ენის
მასწავლებელთ და აგრეთვე იმათ, ვინც არ დაგვზარდა და რამდე-
ნიმე საღამო შესწირა ამ სახელმძღვანელოს გაცნობას, მოისმინა
თავიდან ბოლომდე ეს წიგნი, თვისი აზრი და შენიშვნები გავი-
ზიარა და მით შეძლება მოგვცა ხელნაწერშივე შეგვესწორებინა, თუ
ამ ან შესამჩნევი შეცდომა იუთ სახელმძღვანელოში, ან მეტად
უხერხელი და გამოუსადეგარი ტერმინი, ან სუსტი მაგალითი და
შეუსაბამო ნიმუში ამა თუ იმ დარგის საჭიროა ნაწარ-
მოებისა.

ტფილისი

7 ივლისი 1898 წ.

არხიმანდრიტი კირიონი

გრიგოლ ყიფშიძე

უ ე ს ა ვ ა ლ ი

სიტყვიერება არის ყოველივე ის ზეპირი თქმულება და ნაწერ-ნაბეჭდი ნაყოფი ადამიანის კუუა-გონებისა, რომელიც კი ჰქატავს ერისა და ქვეყნის ამა თუ იმ გარემოება-ვითარებას.

თეორია სიტყვიერებისა მეცნიერებაა და სწავლობს ზეპირსა და ნაწერ თხზულებათა ხასიათსა და აგებულებას.

სწავლა და რკვევა ზეპირისა და ნაწერის თხზულების შეიძლება ისტორიულად და თეორიულად.

ისტორიულად სწავლა და რკვევა ის არის, როცა ზეპირ თუ ნაწერ თხზულებათა განხილვა და მათის შინაარსის შესწავლა ქრონოლოგიურის წესითა სწარმოებს, ესე იგი, როცა ყურადღება-აქვს მიქცეული იმ დროს, როდესაც ესა თუ ის ნაწერი ან ზეპირი თხზულება გაჩენილა და, დროს მიხედვით, ჯერ იმის შინაარსს ვსწავლობთ, რომელიც უფრო აღრე შეთხზულა და მერე სხვას, მის მომდევნოსა.. ასეთი სწავლა ნაწერებისა იგივე ისტორიაა ლიტერატურისა და აზრად აქვს გვაცოდინოს, რა გზით, რა თან-და-თანობით და ზედ-მიყოლებით მიღიოდა წინ დროთა განმავლობაში ზრდა ერის კუუა-გონების ნაყოფიერებისა და სხვ..

თეორიულად სწავლა და რკვევა ის არის, როცა სიტყვიერების სანიმუშო, ან სამაგალითო ნაწარმოებს ავილებთ და გავარკვევთ, რა აგებულება აქვს თხზულებას, როგორია თვა-

ლად და ტანად, რა შნოებით არის გამოთქმული მისი აზრი და სხვ. ამ გარკვევით მივხვდებით, რა კანონითა და წესით არის შეთხხული ესა თუ ის ნაწარმოები.

ყოველივე, რაც ღმერთს გაუჩენია, ბუნებაა. რაც კაცის ხელითა და ჭკუით არის გაკეთებული — ხელოვნებაა.

ხელოვნებაც არის და ხელოვნებაცა. ისიც ხელოვნებაა რაც პირდაპირ ადამიანის ცხოვრებაშია გამოსაყენებელი, და სახმარი: სახლები, რკინის-გზები, ავეჯი, ტანსაცმელი და სხვ. ისიც ხელოვნებაა აგრეთვე, რაც ასიამოვნებს ადამიანის სულსა და გულს, რაც ატკბობს იმის არსებას სულიერად, მაგალითად, ცხოველი და ზედ-მიწევნით დახატული სურა-თი, საგანგებო მელოდია, კარგი ლექსი და სხვ.

პირველი ხელოვნება არ დასდევს ნაკეთების შნოსა, უფრო სიმტკიცესა და ცხოვრებისთვის გამოყენებას უგ-დებს ყურს; მეორე-კი ნაკეთების ხილამაზესა და შვე-ნებას მისდევს. ამიტომ ამ მეორე ხელოვნებას ეწოდება კაზ-მული, სამხატვრო ხელოვნება.

კაზმული ხელოვნება ხუთ გვარია:

ა. ხელოვნებისთვის მოძღვრება, ანუ ცოდნა ხელოვნებით სახლე-ბისა და სხვა გვარ შენობათა აგებისა;

ბ. ქანდაკება, ანუ ცოდნა ხელოვნებით რისამე გამოკვე-თისა მარმარილოსა თუ სხვა ქვისაგან, ჩამოსხმა ლითონისა-გან, გამოჭრა ძვლისა და ხისაგან, გამოყვანა თიხის შეძერწ-ვით ამა თუ იმ საგნისა.

გ. მსატვრობა, ანუ ცოდნა ფერადებისა და ხაზების შე-მწეობით ყოველის ხილულის საგნისა, ბუნების მოვლენისა და თვით ადამიანის ცხოვლად დახატვისა, ისე დახატვისა, რომ ნახატს ეტყობოდეს, რა მდგომარეობაშია ადამიანი და რასა ჰერძნობს მისი გული ამა თუ იმ დროს.

დ. მუსიკა — ცხოვლად გამოხატვა ხმა-კილოს შეწყობით ადამიანის სულის ყოველ-გვარ მდგომარეობისა: სიხარული-სა, მწუხარებისა, მღელვარებისა, შიშისა და სხ. დასასრულ,

ე. სიტყვიერება ანუ ცოდნა სიტყვის შემწეობით ყოველ-გვარ საგნისა და სულის-კვეთების გამოხატვისა. ამ ხელოვნების ნაწარმოებნია ესრედ წოდებულნი თხზულებანი, მაგალითად: შოთხრობანი, რომანები, ღრამა-კომელიები და სხვა.

სიტყვიერება უმაღლესი ხელოვნებაა, იმიტომ რომ შეუძლიან ცოტად თუ ბევრად ყოველ სხვა გვარის ხელოვნების მაგიერობა გასწიოს: თქმულითა და ნაწერით, ანუ საზოგადო სიტყვის შემწეობით აღვილად შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, რა გვარი შენობაც გვინდა, რა გვარი ქანდაკებაცა გვსურს, შეგვიძლიან გავითვალისწინოთ ის ყოველ-გვარი საგანი და მოვლენაც, რომელსაც მხატვრობზე გვიფერადებს და, დასასრულ, ის ყოველ გვარი მდგომარეობაც სულისა, რომელსაც მუსიკა გვაგებინებს.

შენიშვნა: პირველ სამ გვარ ხელოვნებას: ხუროთ-მოძღვრებას, ქანდაკებას და მხატვრობას — ეწოდება ხელოვნება პლასტიკისა, ანუ საკოსტიკო, უკანასკნელს ორს-კი — ბგერისა, ანუ სატონო, რადგან მუსიკა და სიტყვიერება წმითა და ტონების შეწყობით პმოქმედობს მხოლოდ ადამიანის სმენაზედ.

იმ ცოდნას, თუ როგორ, რა კანონისა და წესის დაცვით უწერიათ, ან უნდა დაიწეროს თხზულება, რომ იმოქმედოს ადამიანზედ, გვაძლევს თეორია სიტყვიერებისა.

ცაჟილი სიტყვიერების თეორიისა.

თეორია სიტყვიერებისა სამ ნაწილად განიყოფება: 1. სტილისტიკა ანუ თეორია სტილისა, ენისა, 2. თეორია პროზისა და 3. თეორია პოეზისა.

I. სტილისტიკა.

ყოველს თხზულებაში განმარტებულია და აღსნილი ესათუ ის აზრი. აზრის განმარტება და აღსნა სიტყვებით შეიძ-

ლება მხოლოდ. რაც სიტყვები აქვს ერს, ის არის იმ ერის ენა. ენის შემწეობით შეიძლება ყოველ გვარი აზრი გამოითქვას. საქმე მხოლოდ ის არის, ვინ როგორ ჰქმარობს სიტყვებს, ვინ როგორის ენითა სწერს და პლსნის თავის აზრებს. როგორც მუსიკის მცოდნე ხმის ხხვა-და-ხხვა გვარის შეწყობით ჰქმნის ათას ხხვა-და-ხხვა გვარს მელოდიას, ისე ენის მცოდნე სიტყვების ასე თუ ისე შეთანხმებით ჰქატავს თავის აზრებს.

ის ნაწილი სიტყვიერების თეორიისა, რომელიც გვასწავლის, რას უნდა მივაჭუროთ ყურადღება, რომ ჩვენი ენა და წერა-ლაპარაკი, ჩვენი სიტყვა-პასუხი, სტილი¹⁾. იყოს კანონიერი და ლაზათიანი, არის სტილისტიკა.

საუბარი ანუ ნაწერის ენა მაშინ არის შნოიანი, როცა წყალივით მიმდინარეობს, ნარნარებს, ადვილად გასაგები და კეთილ-ხმოვანია. ენის სიკეთეს მაშინ მივხვდებით, როცა ყურადღებით გადავიკითხავთ ჩვენის საუკეთესო შეწერების ნაწერებსა. ამასთანავე არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თითოეული ადამიანი თავის საკუთარს ფერსა სდებს თავის ნაწერსა და სიტყვა-პასუხს. სტილით, — ამბობენ ფრანგები, რომლებიც დიდი ოსტატები არიან ლამაზად წერისა და ლაპარაკისა, — თვით ადამიანიათ. ადამიანი წერა-ლაპარაკშიაც იგივეა, რაც ცხოვრებაშია. იმისი ბუნება და ხასიათი მის წერა-ლაპარაკსაც ზედ დაეტყობა. თუ გარკვეულის აზრების პატრონია კაცი, მისი საუბარი და სიტყვა-პასუხიც ცხადია და გარკვეული; თუ ღრმა და ძლიერის გრძნობით არის სავსე, მის წერა-ლაპარაკსაც სილრმე და ძალ-ლონე ეტყობა; თუ დიდი ცოდნა აქვს შეძენილი, არ შეიძლება ეს

1) სტილი ლათინური სიტყვაა და პნიშნავს ლითონის წვერიან პატარა ჯოხს, რომლითაც სწერლნენ ძველად რომაელები გასანთლულს ფიცარზედ. თუ დაწერილი არ მოეწონებოდათ, ჯოხის მეორე გადამორილ წვერით წაჭმლიდნენ და შეაკეთებდნენ ნაწერის ენას.

ცოდნა იმის ნაწერსაც არ ეტყობოდეს. დარბაისელის აღა-
მიანის წერა-საუბრის კილო სულ სხვად და აჩქარებულისა
— სულ სხვა.

ენის ცოდნას გარდა, კაცმა ენის მოხმარების ოსტატო-
ბაც უნდა იცოდეს, ესე იგი უნდა ეხერხებოდეს საჭირო
სიტყვების ამორჩევა. და თავ-თავის აღგილას მათი ხმარება.
ასეთი ოსტატობა შეჩვევით, თან-და-თან უნდა შეიძინოს
აღამიანმა. „კარგად წერისა და ლაპარაკისათვის-ჭი უპირვე-
ლეს ყოვლისა კაცი ნამდვილი აღამიანი უნდა იყოს, გარ-
კვეული აზრები უნდა ჰქონდეს, მაღალი გრძნობა, სითბო და
სიწრმოება გულისა, სიყვარული სიმართლისა; მაშინ იქნე-
ბა მისი სტილი ლამაზი, სავსე შვენებითა“¹⁾.

სტილისტიკით კანონიერისა და შნოიანის წერისა და
საუბრისათვის საჭიროა:

1. სისწორე ენისა, ანუ მკაფრად დაცვა ეტიმოლოგიი-
სა და სინტაქსის წეს-კანონებისა. ხოლო ამისათვის აი რა
უნდა:

ა. წესიერად ცოდნა ბრუნვა-ულვლილებისა და იმისი,
თუ რომელი ზმნა რა ბრუნვასა თხოულობს (ეტიმოლოგია);

ბ. წესიერი შექსოვა სიტყვებისა წინადადებაში და მა-
თი თავ-თავის აღგილას ხმარება;

და გ. კანონიერი შექსოვა წინადადებათა (სინტაქსი).

2. სიზმინდე ენისა. საჭიროა რომ წერასა და საუბარში
ხშირად არ იხმარებოდეს ისეთი სიტყვები და გამოთქმანი,
რომელიც წმინდა ქართული არ არის; უცხო სიტყვებ-შო-
რის მხოლოდ ისეთი სიტყვები უნდა იხმარებოდეს, რომე-
ლიც ესმის უმრავლესობას.

ენის სიწმინდისათვის უნდა ვერიდებოდეთ:

ა. ესრედ-წოდებულ არხაიზმებს, ანუ ისეთს ძველის-
ძველს სიტყვებსა და გამოთქმასა, რომელსაც ახლა აღარ

¹⁾ უუკოვსკის თქმული.

პხმარობენ. მაგალითად: სიდუნი (ზევრის ენის მცოდნე), გლორ-
ჯი (თუთუნი, თამბაქო), ენგი-დუნია (ამერიკა) და სხვ.

ბ. ნეფლივიზმებს, ანუ ახალ სიტყვებს, რომელიც მაგ-
რე რიგად საჭირო არ არის ენისათვის, უხერხულადაა მო-
გონილი და გასაგებია მხოლოდ თითო-ოროლასთვის. მაგ.
ცხენუქა — კონკა, წეალ-ვარდნილი — ჩანჩქერი და სხვ.

შენიშვნა. შეიძლება ახალი სიტყვა მოგონილი იყოს ან დამოუ-
კიდებლად, ან უცხო სიტყვის მიბაძვით, მაგრამ მოგონილი იყოს ხერხი-
ანად და თან, ისეთი შნოიანი, რომ ქართველის ყურს არ ეჩოთირებოდეს.
ამისთანა ქართულის ბუნების შესაფერი სიტყვები ბლომად მოიგონეს ამ
საუკუნეში ჩვენმა მწერლებმა. ეს სიტყვები დღეს საყოველთაო ხმარება-
შია. აი, მაგალითად, რამდენიმე მათ შორის: შინაარსი, განვითარება, ა-
რება, თვალ-საჩინო, სახელმძღვანელო, გათვალისწინება, ანუ გათვალისწინება, გამოფენა, ხმოსანი და სხვ.

გ. ბარბარიზმებს ანუ ისეთს სიტყვებს და გამოთქმას, რო-
მელიც უცხო ენიდან არის ნასესხები და რომლის ხმარება
საჭირო არ არის, რადგან შესაბამი სიტყვა ქართულშიაც მო-
იპოვება. როცა-კი რომელიმე სიტყვა ქართულში არ მო-
იპოვება, მაშინ, რასაკვირველია, მეტი ლონე არ არის და
უცხო სიტყვა უნდა იხმაროს კაცმა. ამ უცხო სიტყვებში
ბევრი უკვე შეთვისებული აქვს ქართულსა.

შენიშვნა. ამ შემთხვევაში უფრო ძნელია, როცა მთლად გა-
მოთქმა და წინადაღება თვისის ხასიათითა და აგებულობით არ შეეფერე-
ბა ქართულის ბუნებასა. თუ ასეთს გამოთქმას ლათინურის ხასიათი აქვს,
ეწოდება ლათინური ბარბარიზმი, თუ რუსულისა — რუსული, თუ
ფრანგულისა — ფრანგული ბარბარიზმი (გალიციზმი) და ასე ამ რიგად
მაგალითად, წმინდა რუსული ბარბარიზმი იქმნება ამის თქმა: გულ ხელ
ხელი და იღებე და ისე სთქვი, იმის მაგიერ რომ ვსტქვათ: სვინიდის
ქვეშა სთქვი, ღმერთ ქვეშა სთქვი; ქუდებში ვისხედით — სიდწლი ვა შაп-
какს; შეკერილ-დაფარულია — ვითომ შითო — კრითო-ვო და სხვ. ჩვენს
მწერლობაში უფრო ხშირია რუსული ბარბარიზმები, რომელიც მეტად
ამახინჯებს ქართულს.

დ. ბროვინციალიზმებს ანუ ისეთს სიტყვებს, რომელიც
იხმარება ერთს რომელსამე მხარეში. მაგალითად: კილავ

(ძმაო), რეიზა (რისთავის), კიცა (გოგო), ნენა (დედა), სხაპი (მახე), წრიხი (წიხლი) გურიაში; მენა (მე) გარე-გახეთში; მწვი-რე (ჭუჭყი), ნაკელი (პატივი), ჭინჭები (ნაჭრები) იმერეთში; ტალავარი (ტანისამოსი), მიწრიელი (ეშმაკი), გაისაურნა (გაიფიქრა) მთიულეთში და სხვ.

შენიშვნა. უნდა-კი ვსოქვათ, რომ თუ თხზულება ჰქატას ამა თუ იმ პროვინციისა და მივარღნილ კუთხის ცალკერებას, მაშინ შეიძლება პროვინციალიზმების ხმარება, მაგრამ ასეთი სიტყვები უთუოდ აღსნა-ლი უნდა იყოს, როგორც იქცევა, მაგალითად, ილია ჭავჭავაძე თავის „მგზავრის წერილებში“, ყაზბეგი—თავის ნაწერებში მოხევეთა შესახებ; ვაჟა-ფშაველა და ბაჩანა—თავიანთ ლექსებში.

3. გარევული, გრაფილი და ნიშანდობლივი გამო-
თქმა აზრისა. ისე უნდა იყოს აზრი გამოთქმული, რომ აღ-
ვილად, გონების ძალ-დაუტანებლად გაიგოს ადამიანმა და
გაიგოს სწორედ ის, რის თქმაც უნდოდა იმ აზრის გამო-
მთქმელსა, ანუ დამწერსა.

გარევებით წერას უშლის უმთავრესად ისეთ გამოთქმა-
თა ხმარება, რომლის გაგებაც ორ-ნაირად შეიძლება. სახელ-
დობრ, როცა

ა. სიტყვები თავ-თავის ალაგას არ არის ნახმარი. წინა-
დადებაში;

მაგალ. ჭოველ საზოგაოოების საქმეს იმას ვაკეთებინებდი—ასე-
კი უნდა: საზოგაოების ყოველს საქმეს იმას ვაკეთებინებდი.

ბ. როცა სიტყვა თავის საკუთარის მნიშვნელობით არ
არის ხმარებული;

მაგალ. ოქროვერცხლი სცვიოდა პირიდან, იმის მაგიერ რომ
ვსოქვათ: მარგალიტები სცვიოდა და სხვ.

დაგ. როცა წინადადება მეტად რთულია, ან ვრცელი და
ერთს მთავარს წინადადებას მრავალი სხვა დამოკიდებული
წინადადება აქვს დართული.

მაგალ. და უთხრა პატრონს, ის მიღის იქ, სადაც და სხვ. ვინ მიღის, ვინც უთხრა თუ პატრონი? ორ-აზროვანობა გამოდის.

ნიშანდობლივ ანუ ზედ-მიწევნილს წერას უშლის:

ა. ბლექნაზმი — ისეთი სიტყვები, რომელიც საჭირო არ არის და სრულიად მეტია. მაგალ. ერთი უღელი ხარი, ირგზ-ჯივ გარშემოვერტყით ქალაქსა და სხვ.

ბ. ტავტოლოგია — ისეთი სიტყვები და გამოთქმანი, რო-მელნიც სრულიად ერთისა და იმავე მნიშვნელობისანი არი-ან. მაგალითად, დაიმსახურა საყოველთაო სიყვარული უგე-ფასი და სხვ.

გ. სინონიმები — ისეთი სიტყვები, რომელიც ერთმანერთ-სა ჰგავს მნიშვნელობით, მაგრამ თითოეული აზრის სხვა-და-სხვა მიმოხვრასა ჰხატავს. მაგალ., სიტყვანი: შროშა (დაშვრა, დალალვა, შერა, შრომა), მუშაობა, ღვაწლი.

შენიშვნა. ისეთი სინონიმები, რომელიც სრულიად და სავსე-ბით ერთმანერთის მნიშვნელობისაა, ძალიან ცოტა მოიძებნება ყოველს ენაში. აი ასეთი სინონიმები: ვირი და სახედარი, ნამუსი და სვინილისი, ბულბული და იადღი და სხ. მომეტებული ნაწილი-კი სინონიმებისა, თუმ-ცა ერთმანერთსა ჰგავს, აზრით გარჩევაც არის მათ შორის. ავღოთ. მა-გალითად, სიტყვები: ჭკუა და გონება, ფიქრი და აზრი. ეს სიტყვები, თუმცა ერთმანერთსა ჰგავს მნიშვნელობით, მაგრამ შესამჩნევი გარჩევაცაა მათ შორის. როცა ვამბობთ: ჭკუა და ვკარე ე. ს. — სულ სხვა გვინდა გსთქვათ, ვიდრე მაშინ, როცა ვამბობთ ან ვსწერთ: გონება და ვ-კარე გეო. ჭკუა დავკარგე — სხვასა ჰნიშნავს, იმას, რომ ვითომ ვერ მივხვდი, ვერ მოვისაზრე, რომ ესა და ეს საქმე ჩემი სასარგებლო იყოვლ. ხო-ლო გონება დავკარგე — იმასა ჰნიშნავს, რომ კაცი დაიფანტოს, დაიბნეს. ამიტომ მწერალი ფრთხილად უნდა იყოს, როცა სინონიმებსა ჰხმარობს, რომ ორ-აზროვანება არ გამოვიდეს, ან სწანაირად არ იქმნას გაგებუ-ლი მისი აზრი.

ერთ-მნიშვნელოვანის სიტყვების მრავლად ხმარება, ზედი-ზედ მიყრა

საზოგადოდ არ არის კარგი, რადგან აზრი, რომ მაგიერ რომ უფრო ცხა-
დი და ძლიერი შეიქმნას, ბნელდება და სუსტდება.

დ. ომონინები—ისეთი სიტყვები, რომელიც გამოთქმით
ერთმანერთსა ჰგავს, მაგრამ მნიშვნელობა სხვა-და-სხვა აქვს.
მაგალ კომლი—ბოლი, კომლი—სახლობა, ხელი—გიუი, ხე-
ლი—ნაწილი ადამიანის სხეულისა; მიხდება, მომიხდება,
წაშიხდება, გამიფუჭდება—პნიშნავს იმასაც, რომ მშვენის, და-
მამშვენებს, კარგად მაღგია და იმასაც—შემემთხვევა, საჭირო
შეიქნება: ტანისამოსი მომიხდება, სეირნობა მომიხდება და
სხვ.

ე. შარალელიზმი—ისეთ გამოთქმათა გამეორება, რო-
მელნიც ერთმანერთსა ჰგავს მნიშვნელობით. მაგალ არ მა-
პატივა, არ შემიწყელა, არ შემიწყნარა. ეს მრავალ-სიტყვა-
ობაა და აზრს აბნელებს, ენას აჭრელებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. საზოგადოდ ქართულის სიწმინდეს ხელს უშლის ხში-
რი ხმარება ნაცალ-სახელებისა. მაგ. გ ვ-თხოვა ჩ ვ ე ნ მ ა ნ, რ თ მ
ჩ ვ ე ნ... ახალს ქართულს ენას არ უყვარს ზ შ ი რ ა დ ხ მ ა რ ე ბ ა
მ რ ა ვ ლ თ ბ ი თ ი ს რ ი ც ხ ვ ი ს ა, აგრეთვე ორ-გვარი დაბოლოვე-
ბა: ძმანები, კარებები.

4. სურათიანობა ენისა. სურათიანობა ენისა ის არის,
როცა ნაწერი ანუ საუბარი სურათივით ცხოვლად წარმოგ-
გვიდგენს თვალ-წინ ამა თუ იმ საგანსა.

პირველად, როცა ენა გაჩნდა, თითქმის ყოველს სი-
ტყვას სუურათიანობა ეტყობოდა. სიტყვა მაშინ ცხადად ჰქა-
ტავდა იმ საგანს, რომელსაც აღნიშნავდა. მაგალ შეილი, ვი-
თომ შობილი, რაც იშვა, დაიბადა; გავაწითლე, ვითომ სიწით-
ლე მოვგვარე სახეზედ, შევარცხვინეო; წერაჭვი—წვერიანი
ქვა; ბაჟაჟი ანუ მევარი—რაცა ყიყინებს, ჰყვირის; უჟრუ, გა-
ემჰქლავე და სხვ.

მერე და მერე თან და თან დააკლდა ენას სურათიანო-
ბა და უმეტესი ნაწილი სიტყვებისა აღნიშნავს ახლა არა ამა
თუ იმ საგნის სახეს, არამედ ამა თუ იმ ზოგადს ცნებას,

ესე იგი ახლა ერთი სიტყვა ჰეატავს ყოველს ერთნაირს საგანს ანუ ერთნაირს მოქმედებას, თუნდა თვითოვეულს მათ შორის თავისი განსაკუთრებული თვისება ჰქონდეს. მაგალითად, სიტყვა კაცი ყოველს კაცა ჰნიშნავს — ბრძანა, კოჭლა, მაღალა, დაბალა, წითურა, შავგრემანა; სიტყვა წერა — ყოველგვარს წერასა ჰნიშნავს, მაშინ როცა ზოგი გარკვევითა სწერს, ზოგი გაურკვევლად, ზოგი მსხვილად, ზოგი წვრილად.

ასეთს ზოგადს სიტყვებს განუენებული სიტყვები ეწოდება. თუ რომელსამე ნაწერში ასეთი სიტყვები ჭარბად არის ნახმარი, იტყვიან ხოლმე, ამ ნაწერის ენას განუენებული ხასიათი აქვსო.

შენიშვნა. სურათიანს ენაში სურათიანს სიტყვებს გარდა ხშირია ისეთი სიტყვები და გამოთქმანი, რომელნიც მარტო ქართულში მოიპოვება და სხვა ენაზედ არ გადითარგმნება პირ-და-პირ. მაგალ.

დედის ტკბილის რის ჭირიმე,

ძუძუებს ვენაცვალები... (აკაკი)

გადავიკიდე ჩხუბი, ჩაჰკეცეს მთისა კალთები, შემძლენეს ვალი, გული გაუტყდა, ენა მოიკვნიტე, შენ გენაცვალე და მრავალი სხვა.

ენას სურათიანობა ემატება მაშინ, როცა ხშირად ვხმარობთ ეპიტეტებს, ტროშებს და ფიტურებს.

ეპიტეტი. ეპიტეტი ისეთი სიტყვაა, რომელიც დასასურათებლად დაერთვის ამა თუ იმ სიტყვას. ისეთი ეპიტეტი, რომელიც ხშირად ერთვის ერთსა და იმავე სიტყვას, მუდმივი ეპიტეტია. მაგალითად, ტრიალი მინდორი, ნაცარი ცხელი, ისარი კილო-წითელი, ბაყაყი უიყინა, ჩიტი ჩიორა და სხვა. ეპიტეტი იმითი განირჩევა ჩვეულებრივის ზედ-შესრულის სახელისაგან, რომ ენას ჰკაზმავს, ამკობს. რაც უფრო მეტად ასურათებს სიტყვას, რაც უფრო მოსწრებულია და ზედ-გამოჭრილი ეპიტეტი, მით უფრო მეტია მისი ღირსება.

ტროპი. ტროპი ეწოდება ისეთს გამოთქმასა და ან სიტყ-

ვასა, რომელიც იხმარება არა თავის საკუთარის მნიშვნელობით, არამედ ნართაულის მნიშვნელობითაც. მაგალ მიძინებული ბუნება, მახვილი ენა, მტკიცე ხასიათი. ბუნებას ძილი არ შეუძლიან, ენა მჭრელი და მახვილი არ იქნება; ხასიათის სიმტკიცე ნამდვილად არ შეიძლება. იმ საგნის თვისებას, რასაც მართლა ძილი შეუძლიან, რაც მართლა მახვილია, რაც ნამდვილად მტკიცეა, სხვა საგნებს ვაწერთ ნართაულობით. ნამდვილად ძილი ადამიანს, სულიერს არსებას შეუძლიან, ნამდვილად მჭრელი ანუ მახვილი დანაა, ცული, ხმალი, ნამვილად მტკიცეა ხე, ქვა, რკინა და სხვ. ამ საგნების თვისებას როცა მივაწერთ სულ სხვა საგნებს სიტყვა-გადაკვრით, ნართაულობით, ეს იქნება ტროპი:

ტროპი ბევრნაირია, ხოლო უმთავრესია:

ა. შედარება. შედარებას მიკმართავს მწერალი მაშინ, როცა უნდა ცხოვლად გამოჰქმოს საგანი. ამიტომ გაიხსენებს რომელსამე მის მზგავსს საგანს და იმას აღარებს. მაგ.

ჩავარდი საგონებელია,

კითა კამეჩი მორევე!... (ხალხური)

ისრ ჰშვენის ცხენზედ, ვით ველზედ

გაზაფულისა ფვავილი...

(პოემა „ბახტრიონი“, ვაჟა-ფშაველასი

ყმაწვილი ქალი... ცეცხლსა ჰირს იჯდა,

ვით მინდვრის მშველი ყელ-მოღერებით...)

(პოემა „განდეგილი“, ილ. ჭავჭავაძისა)

ბ. მეტაფორა. მეტაფორა ის არის, როცა მზგავსების გამო ერთის საგნის სახელს მეორე საგანს ვუწოდებთ (მამაცს კაცს — არწივს, ხარს, ცბიგრს კაცს — მელას); ანუ როცა სულიერ საგნების თვისებასა და მოქმედებას ვაწერთ უსულო საგნებს. მაგალითად:

არწივთა მაღლის მთისათა (ვითომ ჯარს მთიელებისას)

ნეტავ რად უნდა მქებარი! (პოემა „მოხუცის ნათქვამი“, ვაჟა-ფშავ.)

წმინდა მეტაფორაა. პოეტს მეტაფორულად შეუდარებია გუნდი ვაჟკაცთა მაღალის მთის არწივებისათვის.

უხდება ბებერს არწივსა (მოზუცებულს მეფე ერეკლეს).

შეჭმუხვნით შუბლი მკვახეა. (იქვე).

„ აქ გუთანს არ გაუჭდია“. გუთანს სიარული არ შეუძლიან. ესეც მეტაფორაა. „ტკბილი ძილი“. ძილი თავისთავად არც ტკბილია, არც მწარე. აქაც მეტაფორაა. „მწარე ხვედრი“. ესეც მეტაფორული თქმაა.

აი კიდევ მაგალითები მეტოფორისა:

მორბის არაგვი, არაგვიანი,

თან მოსძახიან მთანი ტყიანი,

და შეუპოვრად მოუთამაშებს

გარემოსს თვისსა ატეხალს ჭალებს.

(პოემა „ბეჭი ჭართლისა“, ნ. ბარათაშვილისა)

თერგი ჰრბის, თერგი ჰრიიალებს,

კლდენი ბანს ეუბნებიან.

(პოემა „საღლეგრძელო“, გრ. ორბელიანისა)

გ. მეტონიმია. მეტონიმია ის არის, როცა ერთის საგნის სახელ-წოდების მაგიერ მეორე მახლობელის საგნის სახელ-წოდებაა ნახმარი. მაგალ. გადავიკითხე ყველა მწერლები (ნაწერების მაგიერ), მომეცით ჩემი ხირიმი (თოფის მაგიერ), ჩემი გთდა (ხმალის მაგიერ), სამი ჯაში შევჭამე.

დ. სინეკდოსი. სინეკდოსი მეტონიმიას ჰგავს. მხოლოდ სინეკდოსში ერთის საგნის მაგიერ მეორე-კი არ არის ნახმარი, როგორც მეტონიმიაში, არამედ იხმარება 1) მრავლობითის რიცხვის მაგიერ მხოლობითი რიცხვი, ანუ, პირიქით, მხოლობითის რიცხვის მაგიერ მრავლობითი, მაგალ. ვძლიერ სპარსეს; რუსთაველები იშვიათად იბადებიან. 2) საკუთარი სახელები საზოგადოს მაგიერ, ანუ, პირ-იქით, საზოგადო სახელები საკუთარის მაგიერ. მაგალ. შექსპირისა ძნელი საქმეა, იმის მაგიერ რომ ვსთქვათ, დრამატურგობა ძნელი საქმეა; საეპიკო პოეტები (რუსთველების მიგიერ, პომოროსე-

ბის მაგიერ). 3) განყენებულნი ცნებანი წივთიერ ცნებათა
მაგიერ. მაგალ.

ოდეს ბ.ო რ.ო ტ.ი გამრავლდეს,
კეთილი გაცულდებისა. (მუფქ ვახტანგ VI)
ზოგჯერ სიწყნარე გძრბილი
სჯობს სიჩქარესა ქებულსა. (რუსთაველი)

4) მთელი ნაწილის მაგიერ და ან, პირიქით, ნაწილი
მთელის მაგიერ, მაგალ. ჩემ ჭერ-ჭვეშა ვარ, იმის მაგიერ,
რომ ითქვას, ჩემ სახლში ვარ. აქ ჭერს ვამბობთ, ხოლო
სახლს-კი ვგულისხმობთ. ასეთი გულისხმობაა სწორედ სი-
ნეკდოხი.

ე. განპიროვნება. განპიროვნება - ის არის, როცა განყე-
ნებული და უსულდგმულო საგნები სულდგმულ საგნებად
არის ლასახული, ან პირუტყვს ისეთი თვისება აქვს მიწერი-
ლი, რომელიც მხოლოდ კაცის კუთვნილებაა. მაგალ.

მთანი თავ-ჩაჩნიანები
ფაქრს მის ცემიან მწარესა.

(პოემა „ბახტრიონი“, ვაჟა-ფშაველასი)

სიკვდილი ყველას ყურს უკან გვიდგია (ანდაზა).

ნიკორა ხარი ასე შესჩივის თავის გაჭირვებას მინდორსა:

მინდორო, მინდვრის დედაო,
ნიკორა შეიბრალეთა;
რომ მოჰკვდეს, თქვენსა კალთაში
მიიღეთ, მიიბარეთა;
ნუ გაჰდით საყვავ-ყორნედა,
შეილურად შეინახეთა! (თ. რაზიკაშვილი)

ვაჟა-ფშაველას ზოგიერთს ნაწერებში განპიროვნებულია
და გასულდგმულებული: წიფლის ხე, წყარო, ია, ქუჩი (ბა-
ლახი), ქვები რიყისა, ფესვები ნერგისა და მთლად უსულდგ-
მულო ბუნება.

გ. აღეგორია. აღეგორია ძალიან ჰგავს განპიროვნებასა.
აღეგორია შიაც განყენებული და უსულდგმულო საგნები მო-

მეტებულ ნაწილად სულდგმულ და ცოცხალ არსებად არის დასახული. განსხვავება ის არის, რომ განპიროვნებით უნდათ საგანი უფრო ცხოვლად დაასურათონ, ხოლო ალეგორიით—რომელისამე დასურათებულის საგნის მაგიერ სხვა რამ აგულისხმებინონ წამკითხველს. ალეგორია თითქმის იგივე მეტაფორაა, მხოლოდ უფრო გავრცელებული; ალეგორია გადასხვაფერებით, იგავით გამოთქმაა აზრისა. მაგალითი ალეგორიისა თითქმის ყოველი არაკია (ნახა), საცა-კი ცხოველთა მაგიერ აღამიანი უნდა იგულისხმებოდეს. ჩვენს მწერლობაში ბევრია ისეთი ლექსი, რომელშიაც ალეგორიით არის გამოხატული აზრი მწერლისა. მაგალითად დავასახელებთ აკაკის ლექსებს: „ღამურა“, ხარა-ბუზა და ფუტკარი“, და სხვ.

¶. ჭიშერბოლა ანუ გაზვიადება, როცა მწერალი მეტის-მეტად აზვიადებს: ან მეტის მეტად აღიდებს, ან ამცირებს ამა თუ იმ საგნის სახე-ტანსა და თვისებას. მაგალ.

ცა ქუდად არ მიაჩნია, დედა-მიწა—ქალამნადა,

ამბობს ანდაზა იმათ შესახებ, ვინც მეტის-მეტად ამპარტავანია.

ნეტავი ნატვრა მანატრა,

ეს ნატვრა ამიხდინაო:

ეს ლაპვი ღოთ მიქცია,

იალბუზი მჭადათაო;

მცხეთის ხიდი კოვზად მომცა,

ტირიფუნა—ჯამათაო!

(ხალხური)

ანუ: აქეთ გორასა წილსა ვკრავ და იქით გორას ძერას ვუზამ,

აღიდებულსა დიდს მრკვარსა დავაყენებ და ყლაპს ვუზამ,

ასს ლიტრა რკინას დავლეჭავ კევივითა და კნაპს ვუზამ!

(ხალხური).

ანუ კიდევ: დავით სთქვი: იყავნ ქალაქნი—

და აღმოსცენდნენ ქალაქნი;

დაჭრა წერაქვი—და აღჩნდნენ

ტაძარნი, ტურფად ნაშენნი!

(პოემა „სადლეგრძელო“, გრ. ორბელიანისა).

ჭიბურა. ფიგურა ეწოდება ენის ისეთს მიმოხვრასა, რომელიც მეტს ძალასა და სურათიანობას აძლევს აზრსა და რომელიც შედევებია აღფრთვანებულის გრძნობისა. უფრო ხშირად იხმარება შემდევი ფიგურები:

a. მიმართვა ანუ ალალადება, როცა პოეტი მიჰმართავს რომელსამე საგანს და ან გაკვირვებით შეპლალადებს და ეკითხება რასმე, ან შესჩივის და ან ენანება რამე. მაგალითად:

ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,

კურთხევა თქვენდა, ტყბილ-სახსოვარნო!

რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ

სულიცა თქვენი გამოპყოლოდათ!...

(პოემა „ბედი ქართლისა“, ნ. ბარათაშვილისა)

ანუ:

შენი ჭირიმე, მოხუცო,

ია გესროლე, მამაო,

ძილშიით გამომაღვიძა

შენმა ფანტურის ხმამაო;

შეერთო გულის მორევსა,

ჩემ გულმაც აიჩქამაო,

აქეთ იორმა შეიტყო,

იქით ალაზნის წყალმაო. (ბაჩანა)

ანუ:

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,

ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?...

(ლექსი ნ. ბარათაშვილისა)

ანუ კიდევ:

ჰე, მამულო, სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული,

არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი?

(„სადლეგრძელო“, გრ. ორბელიანისა)

b. განმეორება, როცა პოეტს უნდა მეტი მნიშვნელობა მისცეს რომელსამე საგანს და ამიტომ იმეორებს ამა თუ იმ სიტყვას რამდენჯერმე; მაგალ.

ვინ არ შევსტროით მას ადგილს, სად აღვეხილნეს პირველ თვალნი,

სად ჰრბილდა მხიარული სიყმაწვილე ნათლად ჩვენი!

სად გვფარვიდა ნებიურად ხვევნა ალერსით მშობლისა
და სად აღგვენთო პირველად გულს ცეცხლი სიყვარულისა.

(„სადღეგრძელო“, გრ ორბელიანისა)

ანუ: ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა,

ხალხი ჰმოქმედობს:

ერთის ზღვიდანა მეორემდინ

ერთს ფიქრსა ჰფიქრობს...

(„დედა და შვილი“, ილ. ჭავჭავაძისა)

გ. ზე-აღსფლა ანუ გრადაცია, როცა პოეტი თან-და-თა-
ნობით ჰქატავს ამა თუ იმ გრძნობასა და ჯერ ნაკლებად
ძლიერს სიტყვებსა ჰხმარობს და მერე თან-და-თან აძლიერებს
სიტყვებსა და აცხოველებს ფერადებს. ამის მაგალითია ზე-
მორევე ლექსი გრ. ორბელიანისა მამულის სიყვარულის შე-
სახებ.

დ. ელიშესისი, როცა აღამიანი თითქო ჩქარობს, მოკლედ
უნდა გამოსთქვას თავისი აზრი და ამიტომ ადვილად საგუ-
ლისხმო სიტყვებს სტოვებს. ელიშესისის ფიგურა უფრო ხში-
რია ანდაზებში. მაგალი.

თეთრი კბილი—შავი გული,

ვითომ მტერს გაუცინე, თეთრი კბილი უჩვენე და გუ-
ლი-კი ძვირი იქონიეო.

ხან სულ არაო—ხან სულ ვარხალალაო,

ვითომ როცა ბევრი აქვს აღამიანს, არ იზოდავს, როცა
გამოელევა—ცალიერი რჩება, უარარაოდა.

ანთა და იოლითაო, განა ხახვითა და ნიორითაო!

ვითომ კაცმა კაცი იოლად უნდა წაიღოს და არა ხახ-
ვივით მწარედ დასწვას თვალები, ან ნიორივით ზედ გადა-
ესხასო.

არა, მეფევ!... ძველებს უთქვამთ —
სახელიო, ან წიკვდილი!

(„დიმიტრი თავდადებული“, ილია ჭავჭავაძისა)

გამოტოვებულია სიტყვა: შევიძინოთ, ან სახელი შევი-
ძინოთ, ან გავწყდეთო.

თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?

მისი სიცოცხლე: ზრუნვა, შრომა და ცდა. ქებული...

ნ. ბარათაშვილი

გამოტოვებულია სიტყვა: არის.

პ. შეწევაზე ანუ შეკვეცა, როცა ვნებათა ღელვისაგან კაცი სათქმელს აღარ ათავებს და თითო-ოროლა სიტყვების წარმოთქმით ჰხატავს თავის აზრს. ასეთი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლაპარაკი და ფრთა-შეკვეცილი საუბარი ხშირია დრამებში.

გ. იროჩია ანუ დაცინვა ისეთი მიმოხვრაა, როცა თქმული სულ სხვასა ჰნიშნავს, ვიღრე რასაც მთქმელი ჰფიქრობს გულში, როცა თქმულს სხვა, ნართაული აზრი აქვს და არა პირდაპირი. მაგალ. აღა ბალში მიბრძანდება — მიხედ-მოხედვის ჭირიმე! ანუ: ბატონს ჩემს გაუმარჯოს! ანუ კიდევ: საიდან მობრძანდი აგრე ჭკვიანი!

როცა დაცინვა ძლიერია, ძლიერ მწვავე და შხამიანი, ასეთს ირონიას და დაცინვას სარკაზმი ეწოდება. მაგალითად: ფბრაელნი, როცა ეკლის გვირგვინი ლაადგეს თავზედ მაცხოვარს, ასე დასცინოდნენ იქსოს: „გიხაროდენ, მეჭფე ჰური-ათაო!“

5. კეთილ-ხმოვანება ენისა. ენა მწერლისა მაშინ არის მხოლოდ წმინდა და სასიამოვნო გასაგონი, როცა სწორედ ჰხატავს აზრს და ამასთანავე კეთილ-ხმოვანების წესისაც ემორჩილება. კეთილ-ხმოვანების წესი მოითხოვს, რომ დაწერილი ადვილი გამოსათქმელი იყოს და საამო მოსასმენი.

როცა ერთგვარი ხვა და მარცვალი ბლობად მოიყრის ერთად თავს წინადადებაში, ამისთანა წინადადება სასიამოვნო მოსასმენი არ არის და ყურს ეჩოთირება. მაგალ.

1) ბერი-კაცა ბლიხინასა ბლის ბოყვითა ბლის ხილზედა ბალი გააქვს და გამოაქვს.

2) თეთრი მტრედი, ფრთა-ფარფარი და სხვ.

როცა მოკლე-მოკლე სიტყვები ერთად არის ზედი-ზედ მიყრილი. მაგალ.

თავს ძვირს რასმე შეამთხვევ.



როცა ზედ-შესრულნი სახელნი მრავლად არიან ერთად მიყრილნი ზედი-ზედ ან სრულის და ან შეკვეცილის დაბოლოვებით. მაგალ.

კეთილის, ბრძნულის, მაღალ-მნიშვნელოვანის აზრით.

ანუ: კეთილ, ბრძნულ, მაღალ-მნიშვნელოვან აზრით.

როცა მრავალი ნაცვალ-სახელებია წინადადებაში (მაგ. იხ. ზემოდ).

როცა გრძელი, მრავალ-მარცვლოვანი სიტყვები ბლობად მისდევს ერთმანერთს ზედი-ზედ და არღვევს ენის ჰარმონიას, ენა-მეტყველების მუსიკას.

ვარსკვლავთ-მრიცხველთ იწინასწარ-მეტყველეს დამხობა ნაბუქოდონის ზე-ამაღლებულის ხელმწიფობისა.

როცა საგრამატიკო ანუ სალოლიკო ხმის ამაღლება, ან მოკლე და გრძელ მარცვალთა ზედ-მიყოლება წესიერად არა სწარმოებს.

კეთილ-ხმოვანება წარმოსდგება წესიერად შედგენილ წინადადებათა შექსოვითაცა და გალექსვითაცა ანუ ლექს-წყობითაც, ესე იგი, როგორც ჟერიტის, ისე ლექსის შემწეობით.

პერიოდი. თუ მოკლე-მოკლე და მარტივნი წინადადებანი სკარბობს თხზულებაში, ნაკლებად იხმარება კავშირი, რომელიც ერთს წინადადებას აერთებს მეორესთან, ამისთანა ნაწერს ეწოდება ნაკვეთი ნაწერი. ნაკვეთის ნაწერის მაგალითს ხშირად შეჰვდებით საბა სულხან ორბელიანის „სიბრძნესიცულვეს“ წიგნში, ვახუშტის გეოგრაფიაში, „ვისრა-მიანშიცა“. თუ პირ-იქით, ნაწერში ხშირია რთული წინადადებანი, ერთმანერთზედ გადაბმულნი და დაკავშირებულნი, ერთმანერთს შეფარდებულნი, დაპირისპირებულნი, ან დამხარდამხარებულნი, ასეთს ნაწერს ეწოდება ჟერიტი.

პერიოდი, როგორც წინადადებაცა, ორ-ნაირია: მარტივი და რთული. მარტივ პერიოდში მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი წინადადებაა, თუნდა ორი და სამი დამოკიდებული-

წინადადება სხვა ერთოს შეიგა . რთულს პერიოდში-კი, პირ-იქით, მუდამ შეწონილია, შეფარდებულია და და პირის-პირებული, ან დამხარდამხარებული ორი ან სამი და ოთხი წინადადება, მარტივი ანუ რთული; მათ შორის ერთ-სა და ორში გამოთქმულია დასამტკიცებელი და განსამარტებელი აზრი, ხოლო დანარჩენთ ორსა და სამში იმ აზრის დამტკიცება და განშარტებაა. იმ ნაწილს პერიოდისას, რომელშიაც დამამტკიცებელი აზრია, აწევა ეწოდება, ხოლო იმ ნაწილს, რომელიც დასამტკიცებელია, დაწევა *).

კარგი და შნოიანი პერიოდი უთუოდ ერთიანის აზრით უნდა იყოს გამსჭვალული. რამდენი ნაწილი და წევრიც უნდა იყოს (წევრი ანუ წინადადება) პერიოდში, ყველა უნდა აცხადებდეს ერთს ძირითადს აზრს, ანუ ტემას და წევრთა შორისაც შინაგანი კავშირი უნდა არსებობდეს. შენება ანუ მწყობრ-მოსილობა პერიოდისა დამოკიდებულია იმ შინაგანს ლოლიკურს კავშირზედ, რომელიც უნდა სუფევდეს აწევასა და დაწევას შორის. ამას გარდა იგივე შენ და მწყობრ-მოსილობა პერიოდისა თხოულობს, რომ პერიოდი გარეგნობითაც გალამაზებული იყოს. ამ თვისებას-კი მაშინ მიიღებს პერიოდი, როცა მისნი ნაწილნი (წევრნი აწევისა და დაწევისა) ისე მწყობრად და სიმეტრიით იქმნებიან დალაგებულნი, რომ წაკითხვის დროს, პაუზას დაცვით მათ შორის, რასაც ხმის ამაღლება-დაღაბლება მოსდევს, გამოვა რითმი (ზომა, ტაქტი); რითმი აუცილებელი საჭიროებაა ყოველის მწყობრ-მოსილის და ლამაზის პერიოდისათვის.

*) პერიოდის სახით აზრის გამოთქმაო, ამბობს არისტოტელი, სასიამოვნოა და სახერხო: სასიამოვნოა იმიტომ რომ, რამდენს პერიოდსაც დაათავებს მყითხველი, იმდენს დამთავრებულს აზრს ითვისებს მისი გონება; სახერხოა იმიტომ, რომ ადვილად დასახსომებელია; ადვილად დასახსომებელია კიდევ იმიტომ, რომ პერიოდს რითმი აქვს ცოტაოდენი (განსაზღვრულ ადგილას ხმის ამაღლება — დაღაბლება), ხოლო ეს უკეთესი ყავარჯენია მეხსიერებისათვის”.

იმის და მიხედვით, თუ რა სალოლიკო ურთიერთობა სუ-
ფევს აწევისა და დაწევის წინადადებათა შორის, რომელიც პე-
რიოდიც სხვა-და-სხვა გვარისაა:

ა. შიჭეზთი, როცა აწევაში ისეთი აზრია, რომელიც
მიზეზად უნდა ჩაითვალოს დაწევაში გამოთქმულ დასა-
მტკიცებელ აზრისათვის: პერიოდის ორ ნაწილს, აწევა-
სა და დაწევას, გრამატიკის წესით აკავშირებს სამიზეზო
კავშირი: იმიტომ რომ, რადგანაც, რამეთუ, ვინაიდგან და სხვ.
ხშირად კავშირი შეიძლება გამოტოვებულ იქმნას. არ მაგა-
ლითი მიზეზითის პერიოდისა:

დიდის ღმერთის საკურთხევლის
შისოვის ჰლვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ჭიყო
ჭმუნვასა და სიხარულში,
ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედავოს მტკიცე გული... (ილ. ჭავჭავაძე)

ა ნუ კი დევ:

„მამულის-შვილი უნდა კითხულობდეს ისტორიას: ისტორია მია-
ხვედრებს, რომ ყოველს საუკუნეში ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა უწე-
სოება და ურიგობა და ისე აღარ მოუკვდება გული დღევანდელის სა-
ჭირ-ბოროტო ვითარებითა; ისტორია ნუგეშსა სცემს, როცა მამულის-
შვილი თავის ქვეყანას გაჭირვებაში დაინახავს, რადგან უმოწმებს, რომ წი-
ნადაც არა ერთხელ ჩავარდნილა მისი მამული დიდს გაჭირვებაში; მაგ-
რამ ერი-კი არ აღვილა დედა-მიწის ზურგიდან; ისტორიავე მიაჩვენს სა-
მართლიანობას, რომელიც განამტკიცებს ჩვენს სიკეთეს და თანხმობა“*).

ბ. განმარტებითი, როცა განმარტებულია ძალი, ხარის-
ხი და თვისება იმ აზრისა, რომელიც ტემაშია მოხსენებული.

*) ეს პერიოდი ნაწილების მხრით მიზეზითია, ტემის ადგილით —
ქვე-დამავალი, წევრთა რიცხვით — ოთხ-წევრიანი.

საგრამატიკო კავშირად აწევასა და დაწევას შორის იხმარება: ისე-რომ, იმდენად-რომ, იმად-რომ. მაგალ.

რომელმან შეკუმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,

ზეგარდო არსნი სულითა ჰყვნა ზეცით მონაბერითა;

ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,

მისგან არს ყოვლი ხელმწიფე, სახითა მის მიერითა.

გ. შედარებითი, როცა ერთმანერთს ედარება ორი აზრი, ორი სურათი, რითიმე მზგავსი ერთმანერთისა. მთავარი აზრი ამ შემთხვევაში უფრო ხშირად დაწევის ნაწილშია მოქმედული. საგრამატიკო კავშირად იხმარება: როგორც, გთი—ისე, ასე, მზგავსად ამისა, როგორც—ისე, რომდენადაც—იმდენად. მაგალ.

ვითა პეპელა

არხევს ნელ-ნელა

სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს,

ასე საეურე,

უცხო საყურე,

ეთამაშება თავისსა აჩრდილს.

ეს პერიოდი აწევის პერიოდია. პირველ ნაწილში (დაწევა) მოქმედული სურათი ნათლად ჰხატავს მეორეში (აწევა) განმარტებულს სურათს. აი ახლა მაგალითი დაწევის პერიოდისა:

„ჯან-მრთელობა, რომელსაც ასე მცირედ ვაფასებთ ყმაწვილობაში, დიდ სიკეთედ გადიქცევა ხოლმე, როცა ხანში შევდივართ; თვით გრძნობა სიცოცხლისა ბევრად უფრო ძლიერია მაშინ, როცა უკვე გავლილია ნახევარი გზა დაუდუღებელის ცხოვრებისა (ორ-წევრიანი აწევა ანუ აპოდოზისი); ასევე უფრო ცხოვლად გვაგრძნობინებს ხოლმე ტკბილი დღეები შემოდგომის მიწურულისა ბუნების შვენიერებას; აქალა და მალე ყოველივე დასჭკნებაო, ვშიშობთ, რომ დავკარგოთ წუთნი სიტკბოებისა“ (ორ-წევრიანი დაწევა ანუ პროტაზისი).

მოვიყვანთ კიდევ ერთს მაგალითს შედარებითის პერიოდისას:

ვით მამალი სხვის მამალსა დამტერდეს და წაეკიდოს,

მას სცემოს და თვით იცემოს, დაქოჩოს და დაეკიდოს,
რა ორნივე დაღალულნი ძაღლმა ჰნახოს, პირი ჰყიდოს; —
უგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს.

დ. დაპირისპირებითი, როცა პერიოდის ერთს ნაწილში
გამოთქმულია აზრი, წინააღმდეგი მეორე ნაწილის აზრისა,
ანუ როცა ერთი აზრი მეორეს აქვს დაპირისპირებული.
ამისთანა პერიოდებში დაწევის ნაწილი იწყება კავშირით:
სფლო, და (როცა წინააღმდეგობის მნიშვნელობით იხმარება)
გარნა, მაგრამ, შირ-იქით და სხვ. მაგალ.

პოი, ჩონგურო, ნეტავი ოდეს
ხმა მხიარული შენგან მსმენოდეს,
რომ უკუმყროდეს მე სევდიანსა გულისა სენი;
მაგრამ სად ვნახო შენი ღიმილი
სიხარულითა გამოჩენილი?
მე შენგან მესმის მოკლულის გულის ოდენ ჩივილი!

(ნ. ბარათაშვილი)

ე. თუდონი — როცა აზრი მხოლოდ იმ პირობით შე-
იძლება მივიღოთ, თუ მეორე აზრია მასთანავე მოხსენებუ-
ლი. პროტაზისში (დაწევაში) ნათქვამი შესაწყნარებელია მა-
შინ, როცა აპოდოზისშია (აწევა) გამოთქმული მის სამართ-
ლიანობის მაჩვენებელი აზრი. საგრამატიკო კავშირად იხმა-
რება: თუ — მაშინ, რაკი, რადა — მაშ, მაშინ და სხვ. მაგალ.

არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემზგავსოს,
იყოს სოფელში, და სოფელსა-კი არა-რა არგოს!

(ნ. ბარათაშვილი)

„მწერალს უნდა ჰქონდეს კეთილი, ნაზი გული, თუ სურს ჩვენი
ტკბილი და საყვარელი მეგობარი იყოს, თუ სურს, რომ ნიჭი მისი
ჰბრწყინავდეს განუქრობელის ნათელითა; თუ სურს წერა საუკუნოთათვეს
და დამსახურება ერის მაღლობისა და კურთხევისა“.

ანუ:

სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს უამს გრძელსა,

თუ ფუჭი მისი სიცოცხლე-ვერა რას არგებს მამულსა!

ანუ კიდევ:

(გრ. ორბელიანი)

რა არის ჩეენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი?

თუ არ აღვადგენთ დაცემულს. არ ვექმნეთ ნუგეშ-მცემელი?

თუ არა ვსდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი?

სხვის კვნესა თუ არ გვაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი?

გ. ჭედ-მიუღლებითი — როცა აწევასა და დაწევაში უმხარდამხარდება ერთმანერთს რამდენიმე ამბავი, რომელიც ან ერთს დროს მომხდარა და ან ერთს მეორე მოჰყოლია ზედა. საგრამატიკო კავშირად იხმარება: როცა — მაშინ, როგორც-კი — იმ დროსგე, მაშინვე როცა, შემდეგ როცა, იმ დროს როცა, შემდეგ, დასასრულ.

მერე, როს მეფე გიორგი

დაჯდა შერყეულსა ტახტზედ,

შინ თვის-ტმნი აუჯანყდნენ,

წამოასხდნენ მტრადა თავზედ,—

რა ვაკეთეთ? რას ვშრებოდით?

— ჩვენც ერთმანერთს გულ-მოდგინედ

ვწერდით და ვიწერებოდით და სხვ.

(ილ. ჭავჭავაძე)

გ. დათმობითი, როცა დაწევაში გამოთქმულია ისე-თი აზრი, რომელიც იმის წინააღმდეგია, რის მოლოდინიც უნდა გვქონოდა, რაკი აწევაში (აპოდოზისი) სხვა გვარი აზრი იყო წარმოთქმული. საგრამატიკო კავშირად ის-სენება სიტყვები აწევაში: თუმცა, მართალია, რასაკვირვე-ლია, დაე, ვსთქვათ, თუნდ აგრეც იურს, დავსთანხმდეთ; დაწევაში (პროტაზისი) ამათ უდრის სიტყვები: მაინც, გარნა, მიუხედავად ამისა, რაც გინდა იურს. მაგალ.

ბარად რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია,

სასახლე ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზედ ნავია,

არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია...

(რ. ერისთავი)

გამოტოვებულია ლექსისთვის კავშირი მაინც

თუმცა სიცოცხლე სნეულთათვის წვალება არის,

მაგრამ, ჰეი ღმერთო, გმადლობა ამ დროს რომ შემასწარი.

ანუ კიდევ:

(ილ. ჭავჭავაძე)

„თუმცა ტალანტი ბუნების მომადლებული ნიჭია, მაინც იმასაც მოვლა უნდა: ნიჭი სწავლამ უნდა გააღვიძოს და მუდმივმა ვარჯიშმა გადაჭვურჩქნოს“.

ტ. განყოფილებითა, როცა აწევაში ანუ დაწევაში გამოთქმულია რამდენიმე აზრი, რომელიც ასე თუ ისე დაკავშირებულია მთავარს აზრთან და განყოფილია ერთმანერთ შორის კავშირით: ანუ—ანუ, განა—განა, ჯერ—მერე, ხან—ხან. მაგალ

მისი ლექსი შვებით, ლხენით,

ხან მეჯლისში შექმნილება,

გულს ჩაეკვრის, ჰლალობს, ჰხარობს,

გამლერებს და ამლერდება;

ხან ლონდება, ნაზ ქალსავით,

უიმედო სიყვარულით;

ხან იფეთქებს ჭაბუქსავით

და განდევნის სევდას გულით;

ხან ბუჩქებში მიმალული

ჰზის მარტო, ვით იადონი,

შეპყეფს ვარდსა გულ-საკლავად,

ტრფობის ისრით განაწონი;

ხან ჰრბის ველად, მარტო ჰვალობს

უდაბნოში, ვითა მწირი,

შეპყვნესს შავ-ბედს ქვეყნისასა,

ქვეყნისათვის ანატირი;

ხან დაპყურებს ნაღვლიანად,

დაფიქრებით გოგჩის ტბასა

და უმდურის მწვავის მოთქმით

დაუნდობელ დროთ ბრუნვასა...

(ილია ჭავჭავაძე).

ანუ კილევ:

ვერცხლისამც თასად მაქცია,
 რომ ღვინით აგევსებოდი,
 დაფერილი მქნა წითლადაც,
 შამსვემდი — შაგერგებოდი;
 ანა მქნა ვერცხლის სათითე (ბეჭედი),
 რო ხელზედ ჩაგედებოდი;
 ან შენის ნამგლის ყანა მქნა,
 რო ფხაზედ (პირი) შაგეჭრებოდი;
 ანამც მქნა ვარდი, ყოილი (ყვავილი),
 ცხვირ-პირზედ დაგეყრებოდი;
 ანამც ძმა ვიყო მოწილე
 ცოცხალს არ გაგეყრებოდი.

(ხალხური)

თ. შეერთებითი — როცა შეერთდება და შეკავშირდება
 რაშიდენიმე აზრი ერთმანერთს შორის. განყოფითს პერიოდ-
 ში ერთი აზრი განიყოფება მეორესაგან, შეერთებითში-კი,
 პირ-იქით, ერთი აზრი მეორეს უკავშირდება. კავშირად იხ-
 მარება: და, არა მარტო, არამედ და სხვ. მაგალ.

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,
 ვით ფრინველმა გარეგანმა;
 არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
 გამომგზავნა ქვეყნად ცამა!
 ზეცა შნიშნავს და ხალხი მზრდის და სხვ.

(ილ. ჭავჭავაძე)

კავშირი არამედ გამოტოვებულია ლექსისთვის.

ა. მიმართებითი — როცა აწევა ლოლიკური ქვემდებარეა
 იმ შესმენილისათვის, რომელიც დაწევაშია მოთავსებული, ან
 როცა აწევაშია დამოკიდებულნი წინადადებანი აღგილ-გარე-
 მოებისანი. საგრამატიკო კავშირად იხმარება: ის — ვინც, რთ-
 გორიც — ისეთი, სადაც — იქ. მაგალ.

ვინა ალვიდეს მილალსა მას მთასა წმინდასა,

სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას?..

— სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ,

ვის არ შექო ზაკვის გესლი ძმისა განკითხვად,
და სიყვარულით შეიწყალა ცდომილი ვნებით...

(გრ. ორბელიანი)

ანუ:

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეჰებიან,
სად წვიმა-თოვლინი, ყინულად ქმნილნი,
მზისგან არ ადეს არა ჰდნებიან;
სად უდაბურსა მის მყუდროებას
კაცთ ურიამული ვერ შესწვდენია,
სად მეუფება ჭექა-ჭუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ შთენია, —
უწინდელს ღროში ღვთისა მოსავთა
გამოუქვაბამთ მუნ მონასტერი... და სხვ.

ია. დასკვნითი — როცა დაწევაშია დასკვნა ანუ შედეგი აწევისა. აწევაში ისეთი გარემოებაა მოხსენებული, რომელიც საფუძველია იმ აზრისათვის, რაც დაწევაში უნდა იქმნას, დასკვნილი. კავშირად იხმარება: მაშ, ამ სახით, მაშასადამე, ერთის სიტყვით. მაგალ.

„ყველას სული უდგია, გული აქვს; მაშასადამე, ყველას შეუძლიან დასტყბეს ხელოვნებისა და მეცნიერების ნაყოფითა“.

„პოეტს-შემოქმედს აღფრთოვანებს იდეალი, რომელიც გონებაში აქვს გამოსახული; პოეტს-მიმბაძველს ასევე აღფრთოვანებს ის, ვისაცა ჰბაძავს და ვინც იდეალის მაგიერობასა სწევს მიმბაძველისათვის (ორ-წევრიანი აპოდოზისი): მაშასადამე, მიმბაძველი პირველობას პოეტს-შემოქმედს უთმობს, მაგრამ გონების სიცხოვლე, ენის ცოდნა და ჭკუა-გრძნობრს სილრმე მაინც იმისთანავე უნდა ჰქონდეს, როგორც პოეტს-შემოქმედს“ (ერთ-წევრიანი პროტაზისი).

იბ. შეფევითი — როცა შეერთებულია ორი ან სამი სხვა-და-სხვა გვარი პერიოდი, ანუ როდესაც მთავარი აზრი შეწონილი აქვს სხვა და-სხვა აზრს, ცალკე პერიოდებად გამო-თქმულს, ისე რომ ამ ცალკე პერიოდებს დამოუკიდებელი ხსიათი აქვს.

შენიშვნა. სასურველია, რომ შეგირდებმა წაიკითხონ ხოლმე-კლასში თხზულებანი სხვა-და-სხვა მწერალთა და თვით პპოულობდნენ სხვა-და-სხვა გვარს პერიოდებს.

ლექსთ-წყობა. პერიოდებს გარდა ენის კეთილ-ხმოვანებას ჰშველის ლექსი მუსიკას ფილმით. სასიამოვნოდა ჰმოქმედობს დღამიანის სულზედ, რაღაც წყობილ-სიტყვაობაზედ არის დამყარებული. ლექსი წარმოსდგება მაშინ, როცა 1) შეწყობილია სიტყვები ისე, რომ ერთს წესზედ მისდევს გრძელი და მოკლე მარცვლები; 2) როცა შეწყობილია სიტყვები ისე, რომ ერთს რომელსამე წესზედ მისდევენ ერთმანერთს მარცვალნი მახვილიანი და უმახვილონი და 3) როცა რაოდენობა სიტყვების მარცვლებისა თანაბარია ყოველს სტრიქონში.

მეტრული ლექსთ-წყობა. ის ლექსთ-წყობა, რომელშიაც ისეა სიტყვები დაწყობილი, რომ ერთს რომელსამე რიგზედ მისდევს ერთმანერთს გრძელი და მოკლე მარცვლები, იწოდება მეტრულ ლექსთ-წყობად. ეს წესი ლექსთ-წყობისა ჰქონდა შეთვისებული ძველს ენებს, ბერძნულსა და ლათინურსა, რომელთაც აქვთ გრძელი და მოკლე მარცვლები. ხოლო რაღაც გარჩევა გრძელსა და მოკლე მარცვალთა შორის ქართულში არა სხანს, ან ძალიან ნაკლებადა სხანს, ამიტომ მეტრული ლექსთ-წყობა არ შეეფერება ჩვენს ენას.

ტონური ლექსთ-წყობა. ის ლექსთ-წყობა, რომელიც დაფუძნებულია ხმის აწევ-დაწევაზედ მახვილის მიზეზითა, იწოდება ტონურ ლექსთ-წყობად. ტონს მცირედი მნიშვნელობა არა აქვს ლაპარაკში და სიტყვას ხან ერთს აზრს აძლევს, ხან მეორესა. ეგ ტონი წარმოსდგება იმ მიზეზითა, რომ ხმა მარცვლისა ან მაღლდება, ან გრძელდება ცოტად თუ ბევრად რომელისამე სიტყვის წარმოთქმის დროსა. ასეთი ამაღლება ან გაგრძელება ხმისა რომელისამე სიტყვის წარმოთქმის დროს, რათა ამ სიტყვას ესა თუ ის მნიშვნელობა მიეცეს, სალოგიკო მახვილია. მაგალითებრ, სხვა-და-სხვა აზრის მიმოხვრა გამოვა, თუ ვიტყვით: თქვენ მიიღეთ წერილი? თქვენ მიიღეთ წერილი? თქვენ მიიღეთ წერილი? ამას გარდა,

ყოველს სიტყვას თავისი მახვილიცა აქვს ამა თუ რმ მარ-
ცვალზედ, ესრედ წოდებული ბუნებრივი მახვილი, ანუ
საგრამატიკა მახვილი. იმ ენას, რომელსაც მეტად მკაფიოდ
ეტყობა საგრამატიკო მახვილი და ეს მახვილი მუდამ ერთს
განსაზღვრულს ადგილს არ ისმის, არამედ მეტად ცვალება-
დობს, სხვა-და-სხვაობს, შეთვისებული აქვს ტონური ლექსო-
წყობა. ასეთია, მაგალითად, რუსული ენა, გერმანული და
სხვ. ¹⁾

¹⁾ რუსულში საერთ სიტყვიერების ნაწარმოებნი გამოთქმულია
ლექსად ისე, რომ უფრთ სალოგიკო მახვილს აქვს მიქცეული ცურად-
ლება. ამისთანა ლექსებში ნაკლები მნიშვნელობა აქვს რიფმას. მაგალ.

Въдъ твой-то мать

Мнѣ роднаѧ dochь,

Семи лѣтъ она

Въ полонъ взята!

სალიტერატურო ნაწარმოებნი-კი ისეა ლექსად გამოთქმული, რომ
თანაბრად მისდევს ერთმანერთს აწეული და დაწეული მარცვლები, ანუ
მარცვლები მახვილიანი და უმახვილო. მაგალ.

Буря мглой небо крбеть,

Вихри снежныѣ круты:

То какъ звѣрь она завбеть,

То заплачеть, какъ дитя. და სხვ.

ანუ:

Мчатся тучи, вьются тучи,

Невидимкою луна

Освещаетъ снегъ летучий:

Мутно небо, нбочь мутна.

ამ სახით, რუსული ლექსო-წყობა სრულიად და სავსებით დაფუ-
ძნებულია მახვილზედა.

ამას გარდა ტონურს ლექსო-წყობაში აუცილებელს საჭიროებას
არ ჟეადგენს, რომ თანაბარი რიცხვი იყოს მარცვალთა ყოველს სტრი-
ქონში; რომ ლექსი იყოს დაწერილი ან შვიდ-მარცვლოვანი, ან რვა

Силенадинука. ლექსთ-წყობა. ის ლექსთ-წყობა, რომელიც
რაფუძნებულია მარცვალთა რაოდენობის თანაბრობაზედ,
სილაბიურ ლექსთ-წყობად იწოდება. სილაბიური ლექსთ-წყობ
ბა იმათ აქვთ შეთვისებული, რომელთ ენაშიაც მახვილი
ერთს რომელსამე, მუდამ განხაზღვრულს მარცვალზედ მო-
დის, როგორც, მაგალითად, ფრანგებსა, პოლონელებსა და
ჩვენ, ქართველებსა. ფრანგულში მახვილი ბოლო მარცვალ-
ზედ მოდის თითქმის მუდამა, პოლონურში—ბოლოდამ
მეორეზედ, ქართულში—ბოლოდამ მესამეზედ; თუ ხიტყვა
სამ და მეტ-მარცვლოვანია, ხოლო ბოლოდამ მეორეზედ,
თუ სიტყვა ორ-მარცვლოვანია. მაგალითთდრ: კარსკვლავი,
აღმატებულება, უსამღვდელრესი, კაცი, ხელი, ვეფხვი და
სხვ.

ამიტომ ჩვენს ენას შეეფერება სილაბიური ლექსთ-წყო-
ბა და არა მეტრული, ან ტონური.

შესამჩნევია, რომ როგორც თითოეულს სიტყვაში
მახვილი უთუოდ ორს რომელსამე ალაგას უნდა იყოს, ან
ბოლოდან მეორესა და ან მესამე მარცვალზედ, ისე ლექსშიაც
არა საგრამატიკო, არა სალოგიკო; არამედ განსაკუთრებით
სალექსო ანუ საწყობილ-სიტყვაო მახვილი მოდის ან ბოლო-
დან მესამე მარცვალზედ, ან მეორეზედ, იმის და მიუხედავად

მარცვლოვანი და ან თექვსმეტ-მარცვლოვანი, როგორიც არის ჩვენებუ-
რი შაირი, ლექსი რუსთაველისა. იქ ხშირად ერთს სტრიქონში რომ რვა
მარცვალი იყოს, მეორეში შვიდია, ან ხუთი და ექვსი. მესამეში-კი ისევ
რვაა და მეოთხეში ან შვიდი, ან ხუთი და ან ექვსი. მაგალ.

На съверѣ дикомъ стоитъ одиноко (12).

На голой вершинѣ сосна, (8)

И дремлетъ качаюсь и снѣгомъ сыпучимъ (12)

Одѣта, какъ ризой, она (8).

დასთვალეთ რიცხვი მარცვალთა იმ ქართულსა და რუსულს ლექ-
სებში, რომელიც ზეპირად იცით და სთკვით, რა განსხვავება აღმოჩნდე-
ბა ამ მხრივ?

თუ ლექსის პირველი სტრიქონი რა სიტყვითა ბოლოვდება, სამ-მარცვლოვანის ან მეტ-მარცვლოვანის სიტყვითა, თუ ორ-მარცვლოვანითა. მაგალ. ლექსის მარცვლოვანითა არ არის ბოლოვდება, მაგრამ არ არის მეტ-მარცვლოვანის სიტყვითა, თუ ორ-მარცვლოვანითა. მაგალ.

ტყეს შესხება ფრთოლი, აგრეთვე მეტ-მარცვლოვანის სიტყვითა, თუ ბალში ვაზი რბოლითი მეტ-მარცვლოვანის სიტყვითა, მეტის ლხენითა ტირის.

(ილ. ჭავჭავაძე)

ორ აღაგას მახვილი ამ ლექსში არც საგრამატიკოა, არც სალოგიკო, რადგან არ ითქმის: მერცხალი, ლხენითა, არამედ უნდა ითქვას: მერცხალი, ლხენითა; არც სალოგიკოა, რადგან ლექსის აზრის მიმღინარეობა სრულებითაც არ მოითხოვს, რომ მეტი ყურადღება მიექცეს წამკითხველისა ან სიტყვას: მერცხალი, ან სიტყვას: ლხენითა.

აი კიდევ მაგალითი:

თუ სახელის 'შოგნ' გრძა, და დღეს ისეთი ნერგი' დარგე, რომ ხვალემა მადლობით სთქვას: ნანერგით ნანერგითა შენრთ მარგე.

(ილ. ჭავჭავაძე)

თუმცა ამ ლექსში თითქმის ყოველ სტრიქონის ბოლო სიტყვა ორ-მარცვლოვანია, მაინც სალექსო მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზედ მოდის.

აი იმისი მაგალითიცა, როცა სალექსო მახვილი, მიუხედავად იმისა, თუ ბოლო სიტყვა სტრიქონისა რამდენ-მარცვლოვანია, მოდის ბოლოდან მეორე მარცვალზედ:

უფალო უფლებათაო, მეუგოთ მეუფეო!

უბერებელო, უკვდავო, მყოფო, შეურყეო!

(დავ. გურამიშვილი)

უმთავრესი თვისება-კი ჩვენის ლექსთ-წყობისა, როგორც ზემოდაც ვსთქვით, არის თანაბარი რაოდენობა მარცვალთა ყოველს სტრიქონში. ქართული ლექსი არ გამოვა, თუ ერთს

სტრიქონში რვა მარცვალია და მეორეში შვიდი; ანუ ერთს
სტრიქონში 12 და მეორეში — 8; როგორც ეს ტონურ ლექ-
სით-წყობაშია. აი მაგალითები, როგორც ამისი, ისე იმისიცა,
თუ რამდენ-მარცვლოვანი ლექსებია საზოგადოდ ქართულში:

ხუთ-მარცვლოვანი:

ა. წინანდლის ვარდო, მარტო
სულითა ტრედო, მარტო
გულითა წმინდავ, მარტო
კამკამო წყარო!

ანუ: (ა) გრ. ორბელიანი)
კაცო, გიყვარდეს!
ცათ შთამომძახეს,
როს მათ დამბადეს და სხვ.

(ილ. ჭავჭავაძე)

შვიდ-მარცვლოვანი:

3. სად მიგყევარ, მღინარევ
მოწყენილ სიცოცხლისავ!
ჩემს მცირე ნავს რას არხეჭ,
ზვირთო წუთის-სოფლისავ!

(ილ. ჭავჭავაძე)

რვა-მარცვლოვანი:

8. მის ღროს იყო ყეინობა,
მეფე ყეინს პმორჩილებდა,
მაგრამ თვის ქვეყნის საქმეს
თვის ნებაზედ განაგებდა.

(ილ. ჭავჭავაძე)

ათ-მარცვლოვანი:

დ. შევიშრობ ცრემლსა, | ჭირთ მანელებელს,

გულსა დავიწვავ, | დასანაცრებელს, | მოსისა ფერფლსა, | ვითა ხაკმეველს, | შევსწირავ: სატრფოს, | ჩემსა სალოცველს. (5. ბარათაშვილი)

თერთმეტ-მარცვლოვანი:

მიყვარს, მიყვარს | მე ტიკტიკი ჩვილის ყრმის,
მიყვარს სმენა | უცნაურის მისის ხმის,
ოდეს იგი | ენითა სასუფევლის
უალერსებს | წიალთა თავის მშობლის!

(მისივე)

თოთხმეტ-მარცვლოვანი:

სულო ბოროტო, | ვინ მოგიხმო | ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად? ჭ სხვ.
(მისივე)

თექვსმეტ-მარცვლოვანი:

იყო არაბეთს როსტევან, | მეფე ღვთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, | ლაშკართ-მრავალი, ყმიანი ჭ სხვ.

ოც-მარცვლოვანი:

ც. გულნი ივერთა, | გვაქვს მსხვერპლად მზადა, | შენდა შესაფერ | შე-
საწირავად;
ცაძარი შენი სდგას გულსა ჩვენსა, მოვედ მშვიდობის ჩვენდა საკმევად!
(გრ. ორბელიანი)

ოც-მარცვლოვანზე შეტი ქართულში ლექსი აღარ არის.
და თვით ეს ოც-მარცვლოვანიც შემდგარია ოთხის ხუთ-მარც-
ვლოვანის ლექსის ერთად განგრძობით, ერთ სტრიქონად
შეერთებით. ზემორე ლექსებში შეპნიშნავდით აღაგ-აღაგ
ჩამოსმულ ხაზებს. მაგ ადგილას ლექსში ხმა ჩერდება მცირე-

ოდნად. ასეთს შესვენებას ლექსში ცეზურა ეწოდება. როცა ლექსი რვა-მარცვლოვანზედ მეტის ზომისაა, საჭიროა ხმამ შეისვენოს, ქარი ამოიღოს. ამით ლექსი უფრო სასიამოვნო მოსასმენია, მეტს კეთილ-ხმოვანებას იძენს. საზოგადოდ ცეზურას ქართულს ლექსთ-წყობაში დიდი მნიშვნელობა აქვს და იმაზეა დამოკიდებული სხვა-და-სხვა ჰარმონია ლექსისა და მისი სხვა-და-სხვა გვარობა. ხუთსა, შვიდსა და რვა-მარცვლოვანს ლექსს ცეზურა არ ეჭირვება. ხოლო ათს-მარცვლოვანს უნდა ცეზურა, რომელიც ლექსს ჰყოფს ორ თანაბარ ნაწილად. თერთმეტ-მარცვლოვანს ცეზურა უნდა მეოთხე მარცვალს შემდეგ (იხ. ზემორე ლექსი ნ; ბარათა-შვილისა), თოთხმეტ-მარცვლოვანს ცეზურა ორი აქვს და ლექსს ჰყოფს სამს ნაწილად: ხუთ-ოთხ-ხუთ მარცვლად; თექვსმეტ-მარცვლოვანს ერთი ცეზურა უნდა, რომელიც შუაზედ ჰყოფს ლექსს ორ თანაბარ ნაწილად—რვა-რვა მარც-ლად თითოეულს სტრიქონს ლექსში; ოცს მარცვლოვანს სამგან უნდა ცეზურა, რომელიც ჰყოფს ლექსს ოთხ ნანაბარ ნაწილად.

თუ ოც-მარცვლოვან ლექსში სამი ცეზურაა და ლექ-სი ოთხ თანაბარ ნაწილად არის განყოფილი, თან თრი პირველი გარიფმულია, ამისთანა ლექსს ეწოდება ჩახრუ-ხაული. პირველად ჩახრუხაძეს დაუწერია თამარ-მეფის ქება ამ გვარის ლექსით და ამიტომ მას შემდეგ დაპრემევია ჩახრუხაული.

თუ ოც-მარცვლოვანი ლექსი ცეზურით ოთხ ნაწილად იყოფება და ორის ნაწილის დაბოლოვება შეეწყობა მეორე ორის ნაწილის დაბოლოვებას, ამისთანა ლექსს—ძაგნაკორუ-ლი ეწოდება. ძაგნა-კორა სოფელია, საიდანაც ყოფილა პირ-ველად დამწერი ამისთანა ლექსებისა, მეფე დავით აღმაშენე-ბელის დროს, მეთერთმეტე საუკუნეში. მაგალითი ჩახრუ-ხაულისა:

მოფილოსოფ ნ ა, | სიტყვითა არს ნ ა, | თამარს ვაქებდეთ | გულის ხმიერსა

მაგალითი ძაგნაკორულისა: მაგნაკორულისა: მაგნაკორულისა:

ოდეს რა დაპხსნა | ადამ მცნებანი, ჰელ-ჰურ მაღლისა შემართებანი.

აქედან სჩანს, რომ ჩახრუხაულიცა და ძაგნაკორულიც
იგივე ხუთ-მარცვლოვანი ლექსია, ოთხად შეკეცილი, ანუ
ათ-მარცვლოვანი, ორად შეკეცილი და მათ შორის განსხვა-
ვება მხოლოდ შემდეგია: ჩახრუხაულში მეათე მარცვლის
დაბოლოვება არა აქვს შეწყობილი რითმით მეოცესა, ხოლო
ძაგნაკორულში-კი უთუოდ შეწყობილი აქვს.

თექსმეტ-მარცვლოვანს ლექსს ცეზურიანს შაირი ჰქვიან
და რვა-რვა მარცვლოვანი ლექსია, ორად შეკეცილი, ანუ
ერთ სტრიქონად გაბმული. ამასთანავე მერვე მარცვალი არ
არის შეწყობილი რითმით მეთექსმეტესთან. ამ ლექსით არის
დაწერილი „ვეფხვის ტყაოსანი“.

თოთხმეტ-მარცვლოვანს ლექსს ეწოდება შრჩბლედი,
რადგან თითოეული სტრიქონი ორ-ცეზურიანია: ერთი ცე-
ზურა ხუთ მარცვალ შემდეგ და მეორე ოთხ-მარცვალ შემ-
დეგ მოსდის.

თუ თოთხმეტ-მარცვლოვან ლექსს ერთი ცეზურა აქვს
და ორ თანაბარ ნაწილად იყოფება, ასეთს ლექსს ეწოდება
დამბიკო. მაგალითი მრჩობლედისა:

სულო ბოროტო, | ვინ მოგიხმო | ჩემად წინამძღვრად?

(ნ. ბარათაშვილი)

მაგალითი იამბიკოსი:

უფალო უფლებათაო, | მეფეთ-მეუფეო!

უბერებელო, უკვდავო, | მყოფო, შეურყეო!

(დავით გურამიშვილი)

ანუ: უწყალო სიყვარულო, | რად მკოდე ესრედ ძნელად,

რისთვის მყავ მომღერალი | საუკუნოდ მკვნესელად და სხვ.

(ალ. ჭავჭავაძე)

თუ ათ-მარცვლოვანს ლექსს ერთი და იგივე დაბოლო-

ვება ანუ რიტმი აქვს და შით ჰგავს ჩახრუხაულისა და ძაგნა-კორულის პირველ ნახევარს, ამისთანა ლექსის, ცეზურით შუა გაყოფილს ხუთ-ხუთ მარცვლად, ეწოდება ფიციკური იხ. ზემოდ მაგ. დ. ანუ აი კიდევ:

სევდის ბალს შეველ | შენაღონები,
მოკრეფად მსურდა | ვარდის კონები,
ისარი მტყორცნა | დასამონები,
სრულად მომიღო | ყოვლი ღონები და სხვ.

(ბესიკი)

თერთმეტს-მარცვლოვანს ლექსის, ცეზურით ორ, არა-თანაბარ ნაწილად განყოფილს, ეწოდება წელიჭი. ამ ლექსის თითოეულს სტრიქონის პირველ ნაწილში ოთხი მარცვალია, ხოლო მეორეში—შვიდი. მაგ. იხ. ზემოდ კ.

თუ ლექსში ცეზურა ირევა და ხან ერთია, ხან ორი, ამისთანა ლექსის ეწოდება შერეული. შერეულის ლექსის მაგალითია „სადლეგრძელო“, რომელშიც ხშირად იცვლება ლექსი და ერთის გვარის ლექსი ზედ მისდევს მეორე გვარის ლექსი და აგრეთვე „ქაცვია-მწყემსი“, დ. გურამიშვილისა

ამ სახით ქართულში სულ ათ გვარი ლექსია: 1) შაირი ანუ თექვსმეტ-მარცვლოვანი ლექსი, 2) რვაული ანუ ოვა-მარცვლოვანი, 3) ძაგნაკრული ანუ ოც-მარცვლოვანი, 4) ჩახრუხაული (იგივე ოც-მარცვლოვანი, 5) წერბილი ანუ თერთმეტ-მარცვლოვანი, 6) ფისტიკაური ანუ ათ-მარცვლოვანი (იგივე ჩახრუხაული ანუ ძაგნაკრული, რომლის 20 მარცვალი ორად არის განყოფილი ცალ-ცალკე სტრიქონად) 7) ჭყაჭა ანუ მესტვირული, ლექსი ქებისა (იგივე თექვსმეტ-მარცვლოვანი), 8) მრჩობლედი ანუ თოთხმეტ-მარცვლოვანი ორ-ცეზურიანი, 9) იაშბიჯო იგივე თოთხმეტ-მარცვლოვანი, მხოლოდ ერთ ცეზურიანი და 10) შერეული.

აი მოკლედ გამოხატული სქემა ქართულის ლექსთ-წყობისა:

№№	სახელ-წოდება ლექსთა გვარ.	რაოდენ. მარც.	ცეზურ. ჭ. მისი კომბინაციები	რითმა და მისი კომ- ბინაციები:
1	შაირი	16	(8+8)	მეთექვსმეტე მეთექს- მეტეს.
2	რვეული	8	არა აქვს	მერვე მერვესა ანუ სტრ. გამოტოვებით.
3	ძაგნაკორული	20	5+5+5+5	მეათე მეათესა და მეოცე მეოცესა (შინაგან. რით.)
4	ჩახრუხაული	20	5+5+5+5	პირველი მეხუთე მეო- რე მეხუთესა და მეოცე მეოცესა (შინაგან. რით.)
5	წეობილი	11	(4+7)	მე-11-ტე მე-11-სა, ან სტრიქ. გამოტოვებით
6	ფისტიკაური	10	(5+5)	მეათე მეათესა.
7	ლექ. (მესტვ.)	16	(8+8)	მე-16-ტე მე-16-სა
8	მონაბლედი	14	(5+4+5)	მე-14-ნი ანუ სტ. გამ.
9	იამბიკა	14	(7+7)	მე-14-ტე მე-14-სა.
10	შერეული	—	—	—

ამ გვარად ქართულის ბუნება და თვისება ისეთია, რომ
მხოლოდ სილაბიურის წესით შეიძლება წერა ლექსისა ქარ-
თულს ენაზედ და რომ მთლად ჩვენის ლექსთ-წყობის საფუ-
ძველია: 1) მარცვალთა რაოდენობის თანაბრობა თითო-
ეულს სტრიქონში და 2) ცეზურის ცვალებადობა. ლექსი
კეთილ-ხმოვანებას აძლევს თანაბარობა მარცვალთა, მრავალ
გვარობა ცეზურისა და ცოტაოდნად შეწყობა ანუ რითმა
დაბოლოებათა, როგორც კიდურთა, ისე შინაგანთა.

ეს გარემოებაა მიზეზი, რომ ქართულს ლექსს სრუ-
ლიად არას დაუშლის ურითმობა, ოღონდ-კი ცეზურა იყოს
დაცული და თანაბრობა მარცვალთა რაოდენობისა. ასე და-
წერილი ლექსი რუსულად სრულიად არ იქნება ისე კეთილ-
ხმოვანი, როგორც ქართულად. ამისი მაგალითია ლექსები

გრ. ორბელიანისა: მუშა ბოჭულაძე, ფსალმუნი და ბევრი კიდევ სხვა ლექსები, როგორც იმისივე, ისე სხვა მელექსეთა. ეს ლექსები, თუმცა რიტმა არ ამშვენებს, მაინც კეთილწმოვანებით რიტმიან ლექსებს არ ჩამოუვარდება. მაშასადაბე, ცხადია, რომ რიტმის მხოლოდ ბეორე-ხარისხოვანი ადგილი უჭირავს ქართულ ლექსთ-წყობაში.

განსხვავება შოუზიასა და პროფესიას შორის სიტყვიერება ყოველის ერისა ორ დიდ ნაწილად განიყოფება: პროზადა და პოეზიად. პროზას თავისი თვისებანი აქვს, პოეზიას კიდევ თავისი. ამ განსხვავებულს თვისებას აღვილად მივხვდებით, თუ შევუდარებთ ერთმანერთს პროზადა და პოეტურად დაწერილს თხზულებასა. ავილოთ, მაგალითად, პროზად დაწერილი მოთხრობა ჩვენის მატიანესი დიმიტრი თავდადებულისათვის და პოეტურად დაწერილი პოემა ილია ჭავჭავაძისა იმავე დიმიტრის შესახებ.

მატიანე მოგვითხრობს:

იყო ესე დიმიტრი ტანითა ახოვანი, ფერითა ჰაეროვანი, შესახედავად ტურფა, თმითა და წვერითა მწყაზარ და შვენიერი, თვალითა გრემა, ბეჭ-პრტყელ და შეწყობილ სამხედროთა წესითა, სრული ცხენოსანი და მშვილდოსანი რჩეული, უხვი, მოწყალე და მდაბალი, გლახაკთა, ქვრივთა და დავრდომილთა მოწყალე, რომელ არა სმენილ არს. ნათესავი მეფეთა, გინა სხვა კაცთა: რამეთუ აქვნდა ჩვეულებაი, ალილის საფასე. და აღდგის ლამე, და მოვლის ქალაქი, და მოიხილნის გლახაკნი და დავრდომილნი. და ობოლნი და თვისითა ხელითა მისცემდის ყოველთა... აშასთანა მოეგო მმარხველობაი, ლამით ლოცვა და მუხლო-ყრა ფრიადი: ათას ხუთასი მუხლი მოაგდის მდაბლად მიწასა ზედა... და ჭითარ-ცა გარდახდეს უამნი მრავალნი, ყაინმა მრავალნი დიდნი ნოინნდ მოს სწყვიდნეს და ესრედ შეიქმნა კლვა და მოსრვა ნოჩნთა. და წარმოავლინა კლჩი მეფისად და აწვია ურდოსა მეფე. მეფემან მოუწოდა კათალიკოზეა აბრაჟამს და ეპისკოპოსთა და ყოველთა მთავართა სამეფოთა მისისათა. და ბრძანა: განრისხებულ არს ყაინი და ყოველი მთავარი მისი მოუწყვედიან და აწ მე მიწოდს წინაშე მისსა: ვპგონებ ბოროტის ყოფასა, თუ არ წარვიდე ურდოსა. და წარვიდე მთიულეთს, სიმაგრეთა შინა, და დავიცვა თავი ჩემი და აპა ყოველი სამეფო წინაშე მათსა ძეს: იხი-

ლეთ, რავდენი ქრისტეანე, სიკვდილსა მიეცემის და ტყვე იქმნების და ეკლესიანი შეიგინებიან და მოოხრდებიან, ხატნი და ჯვარნი დაიმუსრვიან და უკეთუ წარვიდე ყაინს წინაშე, დასტურობით უწყი, მომკლავს, და აწ სიბრძნითა თქვენითა განაგეთ. მე ესრედ ვჰგონებ: მრავალ-მღელვარე არს საწუთო ესე, დაუდგრომელ და წარმავალ; დღენი ჩვენნი სიზმარებრ და აჩრდილებრ წარვლენ და უნებელ და მსწრაფლ თანა-გვაძს წარსვლა სოფლისა ამისგან; რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი მოკვდეს და მე ტვირთ-მძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან. აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაინს წინაშე და იყოს ნება ღვთისა! უკეთუ მე მომკლან, ვჰგონებ ქვეყანაი უვნებლად დარჩეს.

მეფეს დაუშალეს თავ დადება, მაგრამ მან მაინც უპასუხა:

თქვენ ერთგულებისა ჩემისათვის იტყვით, გარნა მეწყალვის უბრალო ერი... მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათვის ჩემისა და არა დავიშლი ურდოს წასვლასა.

ურდოს წასული მეფე დაატყვევეს. ერთხელ ინახულეს მეფე მისმა მხლებლებმა და დიდებულებმა ურჩიეს გაპარვა, მაგრამ მეფემ არ ინება.

და მოიწინეს ათორმეტნი მხედარნი ყაინისნი, რათა წარიყვანონ და სიკვდილსა მისცენ. ხოლო ვითარ ცნა მეფემან სიკვდილი თვისისა, მხიარულითა პირითა მოიკითხვიდა მთავართა საქართველოსათა, რამეთუ ყოველი მუნ მოსრულ-იყვნეს ნუგეშინის ცემად მეფისა. და ევედრა მეფე მტარვალთა, რათა ილოცოს მცირედ. და ილოცდა ცრემლითა მოდინებითა ქვეყანასა ზედა. მერმე წარუპყრა ქედი და წარჰკვეთეს მეფეს დიმიტრის თავი.

მემატიანე გვიამბობს იმას, რაც ნამდვილად მოჰქმდა და ისე მოგვითხრობს დიმიტრი მეფის ამბავს როგორც უფლისა და მომხდარა, ან როგორც თვითონ გაუგონია. ილია ჭავჭავაძე ამას არა ჰკმარობს, სურათებად გვიშლის თვალ-წინ მთლად ამ ამბავს და ბევრს ისეთს გარემოებასაც უმატებს, რის ხსენებაც არ არის მატიანეში. პირველი სურათი ილია ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებულში“ არის ხალხის თავ-მოყრა საყდრის წინ უქმე დღეს და მისი მითქმა-მოთქმა და ყაყანი; შემდეგ დასურათებულია ორიოდე კალმის მოსმით. ბრმა,

მეფანტურე, რომელსაც სახე უნათლდება რაღაც მადლით, როცა ხელს მოჰკიდებს ფანტურს და ნელის ხმით დამლერებს ზედა. პირველი მისი სიტყვები შეეხება ჩვენის ქვეყნის დღევანდელსა და წარსულს მდგომარეობას და იმ განსხვავებას, რომელიც სუფევს ჩვენის ერის ეხლანდელსა და წარსულს ყოფაში. შემდეგ პოეტი ბრმა მეფანტურეს პირით გვისურათებს მეფე დიმიტრის, გვიამბობს, რად გაუწყო ყევენი მეფეს და რა მდგომარეობაში ჩააგდო დიმიტრი ამ გარემოებამ. აქ დასურათებულია ამბავი დიდებულთა ბჭობისა, თვით სპასალარი და მღვდელთ-მთავარი, რომელნიც მეფესთან ერთად ბჭობენ და არჩევენ ძნელად გამოსარჩევს საქმეს მეფის თავ-დადებისასა და მტრის მოგერებისას. მეფე უკვე გადასწყვეტს თავის განწირვას და ამაღა მისი მზად არის ყევენთან გასამგზავრებლად. პოეტი გვისურათებს აქ მოხუცებულს ბერი-კაცს და გადმოგვცემს იმ ცხოველის საუბრის შინაარსს, რომელიც მეფესა და ამ ერთგულ ყმას შორის მოჰკდება. მეფე მიღის შემდეგ ურდოში და იქ თავს მოჰკვეთენ.

ამ შინაარსიღან სჩანს, რომ პოეტი არა მარტო იმას გვისატვეს და იმას მოგვითხრობს თავის პლემიში, რაც იუთ ისტორით, არამედ იმასაც, რაც შესაძლოა ყოფილიყო, იმის ფიქრითა. მაშასაღამე, პოეტი თავის ფანტაზიასაც ფრთას მძღვინებს; პხატავს ამბის შესაფერს სურათებს და მატიანეს ნაამბობს უმატებს ზოგიერთს თავისით მოგონილს ამბავსა და გარემოებასაც: ხალხის თავ-მოყრა უქმე დღეში, ბრმა მეფანტურე, ამაღისა და მეფის თეთრის ცხენის აღწერა, საუბარი, მეფესა, სპასალარსა, მღვდელთ-მთავარსა და ბერიკაცს შორის და სხვ. თან სწორედ ეს პოეტის ფანტაზიით მოგონილა, შეთხზული არის ერთი უმოავრესი განსხვავება, რომელიც არსებობს პლეზიასა და პრიზას შორის.

შენიშვნა 1. პოეტს არ შეუძლიან ყოველი თვისი მოგონილი ჩაურთოს თავის თხზულებაში: მისი მოგონილ-შეთხზული მართალ

უნდა ჰეგავდეს, ესე იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არც რეტორიას, არც ბუნებასა და ადამიანის სულის თვისებასა; მაგალითებრ, როცა ისტორიკოსი გვიამბობს, ვსთქვათ, დავით ალმაშენებლის ცხოვრებას, იმას შეუძლიან მხოლოდ ის გვიამბოს, რაც საისტორიო მასალებსა და საბუთებში აღმოუკითხავს დავითის შესახებ; პოეტს-კი შეუძლიან არ დასჯერდეს ისტორიის მოთხრობას და თვალ-წინ დაგვიყენოს, როგორ სცხოვრობდა დავით მეფე, როგორ ატარებდა დროს და იმისთანა რამაც გვიამბოს, რაც ისტორიაში არ არის მოხსენებული. მაგრამ ყოველივე მის-მიერ დაწვრილებით ნაამბობი და მოგონილ-შეთხული უეჭველად მართლის მიმზგავსებული უნდა იყოს; მართალს უნდა ჰეგავდეს; არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. არც ისტორიას, არც იმ აზრს, რა აზრიცა გვაქვს შედგენილი დავით მეფის შესახებ. პოეტს არ შეუძლიან, მაგალითად, დავითი დაგვისურათოს ან სნეულ ადამიანად, ან მხნეობა-მოკლებულ მეფედ, ან უგუნურ ჭავად და სხვ.

შენიშვნა 2. შედარება შეტორის მოთხრობისა და ილია ჭავჭავაძის პოემისა გვაჩვენებს, რომ ფორმაც სხვა-და-სხვა აქვს ამ ორს თხზულებასა: მატიანეს მოთხრობა დაწერილია პროზადა, ხოლო პოემა ჭავჭავაძისა—ლექსადა. მაგრამ არა ყოველი პოეტური ნაწარმოები იწერება ლექსადა. არის ისეთი პოეტური თხზულებანიცა, რომელიც პროზათ არის დაწერილი. ასეთია, მაგალითად, „კუია აღაშიანი“, „გლახის ნაამბობი“ და სხვ.

საზოგადოდ, ასეთი განსხვავებაა პროზასა და პოეზიას შორის:

თუ ნაწერი უმთავრესად ჭკუა-გონებისა და დამშვიდებულის მსჯელობა-მოფიქრების ნაყოფია, ამისთანა ნაწერს პროზას უწოდებენ, ხოლო თუ ნაწერს შემოქმედობა ეტყობა და ნაწერი ნაყოფია უფრო გრძნობისა და ფანტაზიისა, ვიდრე ჭკუა-გონების მუშაობისა, მაშინ პოეზიას უწოდებენ.

ბევრია ისეთი ნაწერი და თხზულება, რომელიც ნამდვილი პროზაა და პოეზია შოგ სულ არ ურევია, მაგ. სამათემათიკო, სამკურნალო და სხვა. ამისთანა სამეცნიერო თხზულებანი. ბევრია იმისთანა ნაწერიც, რომელშიც პროზასთან პოეზიაც არის გარეული. თუ პროზა სჭარბობს ამისთანა ნაწერში, მთელს თხზულებას. პროზას უწოდებენ, თუ პოეზია-და—პოეტურ თხზულებას.

ამ სახით, შემოქმედობაზე პირველი საქმე პოეტურს თხზულებაში. საკა შემოქმედობა არ არის, იქ არც პოეზია. შემოქმედობა კიდევ მარტო ის-კი არ არის, რომ ცხოვლად, სურათ-ხატად წარმოგვიღინოს მწერალმა ის, რასაც ნამდვილად ჰქედავს და ამჩნევს ბუნებაში, რაც ნამდვილად არსებობს, არამედ ისიცა, რომ შეჰქმნას და გამოიგონოს ისეთი სურათი, რომელიც ნამდვილად არც არსებობს და არც ყოფილა, მაგრამ შეიძლება-კი ყოფილიყოს, ისე იყოს ნამდვილს მიმზგავსებული, ისე იყოს ჭუაზედ ახლო მისი ნამდვილად არსებობა. მაგალითად, ავიღოთ კაკო ყაჩალი". კაკო ყაჩალი და ზაქარა იქნება არც-კი ყოფილან საღმე ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ შესაძლოა ყოფილიყვნენ; იმათი არსებობა წინააღმდეგი არ იქნებოდა. არც ჩვენის ცხოვრების ვითარებისა და არც რამ მათ ხასიათშია ისეთი, რომ აღამიანის ბუნებას ეწინააღმდეგებოდეს.

მაშ, პოეზიასა და პროზას შორის შემდეგი უმთავრესი განსხვავებაა:

1) პროზად დაწერილ თხზულებაში გამოხატულია ის, რაც ყოფილა და არის, ანუ გამოხატულია სინამდვილე; პოეტურს თხზულებაში-კი - არა მარტო ის, რაც ყოფილა ან იყო, არამედ ისიც, რაც შესაძლოა ყოფილიყოს და რაც შეიძლება იყოს, ესე იგი მართლის შზგავსი მთვრილი ამბავი.

2) პროზად დაწერილს თხზულებაში აყტორი გაგვაცნობს საგნის უმთავრესს თვისებათა, გვაცოლინებს, რა საგანიცარის იგი საგნი; პოეტურ თხზულებაში-კი თვით სურათს გვიჩვარავს თვალ-წინ იმ საგნისას და მასთანავე გვიჩვარავს ცხადად, ცხოვლად.

3) ენა პროზად დაწერილის თხზულებისა განუენებულის თვისებისაა, ცნებათა გამომხატველი; ხოლო ენა პოეზიისა სურათიანია, ისეთი, როგორიც საჭიროა საგნის ცხადად წარმოსადგენად, პოეტის ენა ფერადებსა ჰგავს და, როგორც

მხატვარი პხატავს ფერადებით თავის დასახატავსა სურათს, ისე პოეტი გვისურათებს საგანს აფერადებულის ენითა.

II. პროზა ანუ თეორია პროზისა.

პროზად დაწერილნი თხზულებანი სამ გვარია: 1) მოთხოვნილი, 2) აღწერილი და 3) მსჯელობითნი.

1. მოთხოვნილი თხზულებანი

მოთხოვნილი თხზულებანი ისეთნი თხზულებანია, რომელშიაც მოთხოვნილია ესა თუ ის ამბავი იმ რიგად, როგორც მომხდარა. მოთხოვნილი თხზულებაში ნამშობიაზედ-მიყოლებით და თან და თანობით ან აღამიანთა ცხოვრება, ან ის ცვლილება, რომელიც მომხდარა ამა თუ იმ საგნის ყოფა-მდგრამარეობაში.

წაკითხულ იქმნას წერილი გ. წერეთლისა „საქართველოს ნათელება ქრისტეს სარწმუნოებით“ (ჩ. დამატება).

ეს წერილი გ. წერეთლისა მოთხოვნილი თხზულებაა. ავტორი გვიამბობს ჯერ, რა მდგომარეობაში იყო საქართველო ქრისტეანობის მიღებამდე მეფე მირიანის დროს და რა გვარს სარწმუნოებას ჰდგა. შემდეგ მოგვითხრობს წმ. ნინოს ამბავს და ქრისტეანობის მიღებას მეფისა და ერის მიერ. მაშასადამე ამ ნაწერში ორი უმთავრესი ნაწილია: 1) შესავალი, რომელშიაც ავტორი მკითხველს ამზადებს, რომ აი ესა და ეს ამბავი უნდა მოგითხროვო და 2) უმთავრესი ნაწილი, რომელშიაც თვით ნათელ-დების ანუ ქრისტეანობის მიღების ამბავია მოთხოვნილი. ხშირად ამისთანა თხზულებაში მესამე ნაწილიც არის ხოლმე—დასკენა ანუ შედეგი, რომელიც მოჰყვა ამა თუ იმ უმთავრესს ამბავსა. ხან-კი ავტორი თავს ან ებებს შესავალსაცა და დასკვნასაც და მხოლოდ უმთავრესს ნაწილს სჯერდება, ესე იგი თვით ამბავს მოგვითხრობს.

მოთხრობითი თხზულებანი სხვა და სხვა გვარისა და სახისაა. უმთავრესი მათ შორის არის; მატიანე, საისტორია წერილები ანუ მემუარები, ბიოგრაფია და ისტორია.

მატიანე. მატიანეში საისტორიო ამბები მოთხრობილია წლიდან წლამდე, მიზეზების განუმარტებლადა და ამბავთა შორის კავშირის აულსნელად. მაშასადამე, მატიანე აღნიშვნაა მხოლოდ ამა თუ იმ ერის ცხოვრების ამბავთა ქრისტოლოგიურად.

მატიანესა სწერდნენ ჩვენში ძველად უფრო მონასტრებში სასულიერო კაცნი. რა ამბავსაც გაიგონებდა მემატიანე, მისის აზრით, საყურადღებოსა, ან რასაც თვითონ ჰნახავდა თავის თვალით, იმას აღნიშნავდა ქალალდზედ შესაბამის თარილითა. მემატიანე კრიტიკის თვალით არ უყურებდა ამა თუ იმ ამბავს, არასა ძიობდა, არას იკვლევდა, იშვიათად ამოწმებდა ამბის სიმართლეს: რაც გაეგონა, ან როგორც გაეგონა, ისე ჰნიშნავდა ქალალდზედ; ამბავთა შორის შინაგანს კავშირს არ დასდევდა, არა წვრილობდა, მიზეზებისა და შედეგის გარკვევას ნაკლებად დაეძებდა.

ასეთი მატიანე „ქართლის ცხოვრება“, რომელიც იწერებოდა „უამითო-უამად ვახტანგ-გორგასლანამდე, ხოლო ვახტანგ მეფიდან აღწერა ჯვანშერ-ჯვანშერიანმან“. „ესე არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება და ნინოსგან ქართლის მოქცევა (ქრისტეანობის გავრცელება საქართველოში) ლეონტი მროველმან აღწერა და ახლა იოანე დეკანოზი სწერს“...

აი რამდენიმე ნიმუში მატიანესი:

1) მაშინ (550—557 წელთა შორის ქრ. შემდეგ) მოვიდა ნეტარი იოვანე ზედა-ზადენელი შუა-მდინარით ასურეთისათ. იგი და ათორმეტნი მოწაფენი მისთანა მოვიდეს. და მისა შემდგომად მეფობდა ბაკურ (557—570) და კათალიკოზი იყო მაკარი. და მისა ზევე (მის დროს) ვარსკენ პირიახში *) და შუშანიკ იწამა ცურტავს. და მისა შემდგომად კა-

*) გუგარის ანუ ჩვენის სომხეთის მთავარი (ვახუშტ. ისტორ., შენიშვნა დ. ბაქრაძისა, გვ. 117.)

თალიკოზი იყო სამოველ და მერმე სიმონ-პეტრო და მის ბაკურის ზევე დაესრულა მეფობად ქართლისაც. მაშინ მცრეთად ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა; არმაზნი შემცირდებოდეს და კალად განდიდნებოდა (აფხაზთა მეფეთა ქრონიკა).

2) და შემდგომად ერისთავობდა ადარნასე და მისა ზოგ სამნი კათალიკოზნი იცვალნეს: იოვანე, ბაბილა, თაბრა: და მისა შემდგომად ერისთავობდა სტეფანოზ, ძე მისი და ამან განიშორა (აღაშენა) ჯვარისა ეკკლესია... და ტფილის დაჯდა სტეფანოზ და კათალიკოზი იყო სამოველ (სუმბატის ქრონიკა).

3) ქ. ქსა სნბ (1564 წ.), იანვრის ვ, დღესა სამშაბათსა, ვზ მთვარისასა, შეწევნითა ღვთისათა და წმიდის ნიკოლოზისათა, პატრონმან ყვარყვარე ქორწილი ქნა ოდიშის დადიანის ქალს მარებთანა (ქრონიკა მესხურის დავითნისა).

საისტორიო წერილები ანუ მემუარები. ამისთანა ნაწერებში თვით შწერლის ნახული და გაგონილია ნაამბობი. ავტორი თვის საკუთარს აზრსა სწერს ნახულისა და გაგონილის ამბების შესახებ და უფრო მეტს ყურადღებას აქცევს ამა თუ იმ შომქმედის ხასიათსა, ამა თუ იმ ამბავის მიზეზსა და შედეგსა, ვიდრე თვით ამბავსა და გარემოებასა, როგორც მატიანეშია ხოლმე.

ნიმუშად საისტორიო წერილებისა ანუ მემუარებისა უნდა დასახელებულ იქმნას ნაამბობი მღვდლის გაბრიელ ქართველიშვილისა, აღწერა კრწანისის ბრძოლისა, ბატონიშვილის თევზურაზისადა სხვ.

წაკითხულ იქმნას აღწერა კრწანისის ბრძოლისა და ტფილისის აოხრებისა 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის მიერ, ბატონიშვილის თეიმურაზისა და მემუარი მღვდლის ქართველიშვილისა (იხ. დამატება).

ბიოგრაფია. ბიოგრაფია არის აღწერა რომელისამე შესანიშნავის აღამიანის სრულის ცხოვრებისა. ბიოგრაფიას შეადგენენ ხოლმე ან ისე, როგორც გამოკვლევა შეადგინოს აღამიანმა, წყაროების შესწავლითა (ასეთი ბიოგრაფია გიორგი ერისთავისა და ნიკოლოზ ბარათაშვილისა, შედგენილი ი. მეუნარგიას მიერ), ან წყაროების მიხედვითაცა და

პირადის ნაცნობობის საფუძვლითაცა (ასეთია ბიოგრაფია გრ. ორბელიანისა, შედგენილი მის-მიერვე და ლექციებად წაკითხული ტფილისში):

წაკითხულ იქმნას ნაწყვეტი გ. ერისთავის ბიოგრაფიისა.

თუ ავტორი მოგვითხრობს თავის თავის საკუთარს ცხოვ-
რებას, ასეთს ბიოგრაფიას ეწოდება დატობითგრაფია. ავტო-
ბიოგრაფიის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ „სახალწოვანი“,
ნ. ნიკოლაძისა, წერილი პირველი.

მოკლე საბიოგრაფიო წერილს, რომელშიაც მოხსენე-
ბულია ამბავი ამა თუ იმ ადამიანის გარდაცვალებისა, ეწო-
დება ნეკროლოგი.

ბიოგრაფიას დახასიათება ეწოდება მაშინ, როცა ცხოვ-
რება კერძო ადამიანისა ისეა აღწერილი, რომ უმეტესი ყუ-
რადლება მიქცეული აქვს ამ ადამიანის ხასიათის უმთავრეს
თვისებათა. დახასიათებაში ყოველი მოთხრობილი, ამბავი და
გარემოება უნდა მართლა ახასიათებდეს ადამიანს.

ისტორია. ყველაზედ უმთავრესი დარგი მოთხრობის მიერ
თხზულებათა არის ისტორია. მატიანე და მემუარები ისტო-
რიის წყაროების, ხოლო ბიოგრაფიები და დახასიათებანი სა-
ისტორიო კაცთა და ქალთა მისი ნაწილებია.

შედარებით უფრო ცხადად აღმოჩნდება, რა გარჩევაა
ისტორიასა და მატიანეს შორის: მემატიანე აღნიშნავს მხო-
ლოდ საისტორიო გარემოებას ანუ ამბავს, ხოლო მეისტო-
რიე სცდილობს გაარკვიოს ამ გარემოების მნიშვნელობა და
გვაჩვენოს, რა მიზეზებმა გამოიწვია ეგ ამბავი თუ გარემოე-
ბა. მემატიანეს სჯერა ყოველივე, რაც ზღაპრად გაუგონია,
მეისტორიე-კი ზღაპრას არ უჯერებს, სცდილობს გამოიკვ-
ლიოს, რა არის იმ ზღაპრად თქმულში მართალი და რა არის
მოგონილი, ტყუილი. ამისთანა კვლევას საისტორიო კრიტიკა
ეწოდება. მემატიანე აღწერს ამბებს ქრონოლოგიის წესით,
წლიდან წლამდე; მეისტორიე-კი სცდილობს კავშირი აღმო-
აჩინოს ამბავთა შორის და დაგვანახვოს მათი ურთიერთ შო-

რისი დამოკიდებულება. ასეთის კავშირის აღმოჩენას და ამბების ერთმანერთზედ გადაბმას გრეხილივითა ეწოდება ჰრაგმატიზმი.

ამ სახით, ისტორია ზედ-მიყოლებული მოთხრობაა მრავალ, კრიტიკის თვალით განხილულ და შემოწმებულ ამბავთა და გარემოებათა რომელისამე ერის ცხოვრების შესახებ. მეისტორიეს მოთხრობა კავშირ-მოსილი მოთხრობაა, ერთიანის აზრით გამსჭვალული.

წაიკითხეთ რომელიმე ადგილი ქართლის ცხოვრებისა ანუ საზოგადოდ მატიანესი და შეუდარეთ იმავე ადგილს, მეისტორიესაგან მოთხრობილს.

თუ ისტორიაში მოთხრობილია ცხოვრება მთლად კაცობრიობისა, ასეთს ისტორიას ეწოდება მსოფლიო ანუ საზოგადო ისტორია, ხოლო თუ მოთხრობილია ცხოვრება ერთის რომელისამე ერისა — კერძო ისტორია ეწოდება.

2. აღმარითნი თხზულებანი.

აღწერითი თხზულება ის ნაწერია, რომელშიაც მწერალი ანუსხავს და ჩამოსთვლის ასაწერის საგნის ყოველს ნიშანსა და თვისებასა. აღწერის დროს მწერალი ერთს რომელსამე წესსა და რიგს ადგია: ან იმას უგდებს ყურს, ჯერ რა მხრით აღვწერო საგანი და მერე რა მხრითაო, ან იმაზედა აქვს მიქცეული ყურადღება, ასაწერი საგანი, რა დროს რა თვისებას იჩენსო. მაგალითად, დილით რა სახით ეჩვენება ადამიანს, დღისით, საღამოთი, ღამით; ან ზამთარში რა თვისებანი ემჩნევა, გაზაფხულზედ, ზაფხულში, შემოდგომაზედ.

აღწერანი, ანუ აღწერითნი ნაწერნი სამეცნიერონიც არის და სამხატვრონიცა. სამეცნიერო აღწერაში საგანი ყოველმხრივ არის გარკვეული. ამისთანა აღწერანი ხშირია გეოგრაფიაში, ბოტანიკაში, ზოოლოგიაში და სხვა აღწერის მიერს მეცნიერებაში. სამხატვრო აღწერაშიც ცხოვლად

და თვალ-საჩინოდ არის დახატული საზოგადო სურათი საგნისა და თან აღნიშნულია, რა გვარად ჰმოქმედობს ეგ სურათი აღამიანის სულსა და გულზედ.

მარტივ და სამეცნიერო აღწერის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ: კახელის სახლი, ი. გოგებაშვილის „ბუნების კარში“, ქართლელების სოფელი და სადგომი სახლები, იქვე, ქართლის მინდვრები გაზაფხულსა და ზაფხულში (იქვე გვ. 241), სხეულის შენობა (იქვე), აქლემი, წავი და სხვა აღწერანი ცხოველთა და მცენარეთა იმავე წიგნში.

აი ნიმუშებიცა სამხატვრო აღწერისა: ლუარსაბ თათ-ქარიძის სახლი, ილ. ჭავჭავაძის „კაცია-აღამიანში“, ირემი „გლახის ნააშშობის“ წინასიტყვაობაში, ბურსაჭირის ფრიალო ა. ყაზბეგის მოთხრობაში „მოძღვარი“ და ბევრი სხვა აღწერილობანი ჩვენის ძველისა და ახალის მწერლებისა.

უმთავრესი დარგი აღწერითის პროზისა არის: მგზავრის წერილები.

მგზავრის წერილები ისეთი თხზულებაა, რომელშიაც მოთავსებულია აღწერა ყოველისავე იმისა; რაც ავტორს უნახავს მგზავრობის დროსა: სხვა და სხვა ქვეყნის ბუნებისა, მკვიდრთა ზნე-ჩვეულებისა და ცხოვრებისა, მცენარეთა და ცხოველთა სამეფოსი და სხვ.

როცა მგზავრის წიგნებსა ანუ წერილებსა ვკითხულობთ, საინტერესოდ მიგვაჩნია არა მარტო ის, რაც ავტორს უნახავს და რასაც აღწერს, არამედ ყოველივე ისიცა, რაც თვითონ მგზავრს — მწერალს შექება, რაც იმას ასე თუ ისე ალაპარაკებს. ვკითხულობთ იმის წერილებსა და თვალ-ყურს ვადევნებთ იმის გრძნობათა ცვალებადობასა და ღელვას, იმის ფიქრსა და აზრებს, ამა თუ იმ საგნისა და მოვლენის წილვით გამოწვეულს.

მგზავრის წერილები მრავალ სხვა და სხვა ცოდნას გვძენს ამა თუ იმ ქვეყნის ბუნებისა და მცხოვრებლების შესახებ, აფართოვებს მით მკითხველის ხვალთა-ხედვის წრეს.

და ამიტომ დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს. ეს მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რაც უფრო შესანიშნავია და გონება-განვითარებული ავტორი წერილებისა.

მგზავრის წერილები: ილია ჭავჭავაძისა, ნ. ნიკოლაძისა, გ. წერეთლისა, ს. სულხან ორბელიანისა, მიტროპოლიტის იონასი, გ. ავალიშვილისა, შარდენისა დიდის ხალისით იკითხება და არა მცირედ ავითარებს მკითხველის გონებასა და გრძნობას.

3. მაჯალობითი თხზულებანი.

მრავლისაგან მრავალია იმისთანა თხზულებანი, რომელ-შიაც მსჯელობაა უმთავრესი ძარღვი. ამისთანა მსჯელობითს თხზულებას საღილაშტო ანუ საფილოსოფიო პროცეს ეწოდება. საფილოსოფიო პროცესით არის დაწერილი:

ა) სასწავლო წიგნები ანუ სახელმძღვანელონი და სამეცნიერო თხზულებანი, რომელშიაც სავსებით არის განმარტებული და ანუსხული ამა თუ იმ მეცნიერების ჭეშმარიტებანი; მაგალითად, სახელმძღვანელო არითმეტიკასა, გრამატიკისა, სიტყვიერების თეორიისა, „ზოგადი არითმეტიკა“ ნიუტონისა და სხვ.

ბ) სამეცნიერო გამოკვლევანი, რომელთა შორის თოთოეულში განმარტებულია და აღსნილი ესა თუ ის სამეცნიერო საგანი. მაგალითად, „სინამდვილე „ქართლის ცხოვრებისა“, დიმ. ბაქრაძისა, „ხუცური და მხედრული ანბანი“, მისივე, „ლვინის დაყენება“, პროფ. პეტრიაშვილისა, „თეორია ცის მნათობთა მოძრაობისა“, ფრიდრიხ. გაუსისა. და სხვ.

გ) საპუბლიცისტო წერილები, ესე, იგი ისეთი წერილები, რომელშიაც ავტორი მსჯელობს საზოგადო ან სახელმწიფო ცხოვრების რომელისამე საგნის შესახებ. ასეთია, მაგალითად, წერილი „ზოგიერთი რამ“ და „ცხოვრება და კანონი“, ილ.

ჭავჭავაძისა, „რანი ვიყავით გუშინ“, ი. გოგებაშვილისა, „ჩვენის ჭკუის ძალა“, ან. ფურცელაძისა და სხვ.

დ) საკრიტიკო წერილები. საზოგადოდ საკრიტიკო წერილია ყველა ის ნაწერი, რომელსაც საგნად აქვს დაფასება ანუ დანახვება ხელოვნების რომელისამე ნაწარმოების ღირსებისა და ნაკლულევანებისა.

მსჯელობითს თხზულებაში რამდენიმე ნაწილია. უფრო კი ხშირია: შესაფალი, რომელშიაც ავტორი რამდენსამე აზრს გამოსთქვამს, რათა შეგვატყობინოს, რის შესახებ აპირობს მსჯელობასა; წინადადება, რომელშიაც მოთავსებულია განსამარტებელი და დასამტკიცებელი აზრი; უმთავრესი ნაწილი, რომელშიაც მოთავსებულია თვით განმარტება და დამტკიცება მთავარის აზრისა; დასკვნა, რომელშიაც ავტორი მოკლედ იმეორებს საბუთებს და ასკვნის აზრს მთელის წერილისას ანუ თხზულებისას.

სადიდაქტიკო პროზაში ანუ მსჯელობითს ნაწერებში ორ-ნაირად შეიძლება დაალაგოს ადამიანშა თავისი აზრები: ან ისე, რომ მთავარი აზრი პირველადვე გამოსთქვას და მერე მოიყვანოს მისი დამამტკიცებელი საბუთები, ესე იგი ჯერ ზოგადი აზრი გამოსთქვას და მერე—კერძო აზრები, დამამტკიცებელი იმ ზოგადის აზრისა; ან კიდევ, პირ-იქით, ჯერ გამოსთქვას კერძო აზრები და ამ კერძო აზრებზედ დამყარებულმა ბოლოს დაასკვნას აზრი ზოგადი, ძირითადი. პირველ-ნაირი წესი აზრების დალაგებისა და მსჯელობისა იწოდება სინტეზის-მიერ წესად ანუ სინტეზად, ხოლო მეორე-ნაირი — ანალიზის მიერად, ანუ ანალიზად. შესაძლოა ერთსა და იმავე თხზულებაში ერთი კერძო აზრი დამტკიცებული იყოს ანალიზის-მიერის წესითა, ხოლო მეორე უარყოფილი — სინტეზის-მიერის წესითა. ბევრია ისეთი მსჯელობითი ანუ მსჯელობის მიერი თხზულება, რომელშიაც ხან ერთი წესია უფრო მსჯელობისა, ხან მეორე და ეს არაფერს უშლის საგნის გამორკვევას, არამედ კიდევაც ჰშველის.

4. მშევრ-მეტყველება ანუ საორატორო პროცეს.

საორატორო ანუ სამჭევრმეტყველო ნაწარმოები ეწოდება ისეთს სიტყვას, რომელსაც წარმოსთქვამს მჭევრ-მეტყველი კაცი ანუ ორატორი მსმენელთა წინაშე, ან იმიტომ რომ აღუძრას რომელიმე გრძნობა, ან იმიტომ რომ მიჰმართოს მათი სურვილი ამა თუ იმ გარდაწყვეტილების მისაღებად, ან იმიტომ კიდევ, რომ სასურველი გრძნობაც აღუძრას და სასურველი გარდაწყვეტილებაც მიაღებინოს. თუ მსჯელობითის თხზულების დამწერი სცტილობს ჩაგონოს აღამიანსა, დააჯეროს მისი გონება, რომ ის ეს არის კეშმარიტება, ეს არის სიმართლეო, ორატორი ანუ მჭევრმეტყველი კაცი ყოველ ამას გარდა იმასაცა სცტილობს, თვისის თქმულით დაატყვევოს მსმენელთა გული და სული. ამიტომ საორატორო ნაწარმოებში დიდი მნიშვნელობა აქვს ესრედ-წოდებულს. საპათეთიკო ნაწილს, გრძნობათა აღმძვრელს ადგილს. ამ ნაწილის დანიშნულებაა, მოინადიროს გული მსმენლისა და დაიყოლიოს მისი ნება-სურვილი. ეს გარემოებაა მიზეზი, რომ ენა საორატორო ნაწარმოებისა ანუ მჭევრ-მეტყველის კაცის სიტყვისა სავსეა აღფრთოვანებითა და აფერადებულის სურათიანობითა.

საორატორო მჭევრ-მეტყველება ოთხ-გვარია უმთავრესად:

ა) საპათლიტიკო მჭევრ-მეტყველება, როცა ორატორი შეეხება რომელსამე სახელმწიფო საქმეს და უნდა დაარწმუნოს კრება, რომ ამა და ამ გარდაწყვეტილების მიღებაა სასურველი. ძველად საბერძნეთში, საკა საერო კრება ჰმართვიდა სახელმწიფო საქმეებს, ორატორებს დიდი მნიშვნელობა ჰქვს საპათლამენტო მჭევრ-მეტყველებას დასავლეთ ევროპაში, საკა პარლამენტი ანუ დეპუტატთა კრება განავებს სახელმ-

წიფო საქმეებს. გამოჩენილი ხაპოლიტიკო თრატორები ევ-
როპაში იყვნენ: გამბეტა, გლადიტონი და სხვ.

ბ) სამოსამართლო მჭევრ-მეტუგელება, როცა თრატორი
კანონის სახელით ბრალსა სდებს ვისმე და თხოულობს მის
დასჯას, ანუ სცდილობს აქხადოს ბრალი და გასამართლე-
ბელი მსჯავრი დაადებინოს მოსამართლეთა. ძველად შესა-
ნიშნავი სამოსამართლო თრატორი იყო ციცერონი რომში,
მის სიტყვებს შორის შესანიშნავია სიტყვა, თქმული სენატის
წინაშე კატილინას წინააღმდეგ.

გ) სახელმისამართლო მჭევრ-მეტუგელება ანუ სიტყვანი შესხმისა,
როცა თრატორი ხოტბას ეუბნევა რომელსამე დამსახურე-
ბულს საზოგადო მოღვაწეს და ქება დიდებით იხსენიებს მის
სახელსა და ამაგს.

დ) სასულიერო მჭევრ-მეტუგელება შემოღებულ იქმნა
ქრისტეანობის გავრცელების შემდეგ. სასულიერო მჭევრ-
მეტყველნი ანუ მქადაგებელნი განუმარტავენ მსმენელთ სარ-
წმუნოების დოლმატებს ანუ ურჩევენ, იცხოვრონ ქრისტეს
მოძღვრებისამებრ. ჩვენში შესანიშნავნი მქადაგებელნი იყვ-
ნენ ამ უკანასკნელ ასიოდე წლის განმავლობაში: ამბროსი
ნეკრესელი, ვარლამ მიტროპოლიტი, ანტონ ჭყონდიდელი
და გაბრიელ ეპისკოპოსი. ძველად იყვნენ: იოანე ხახულელი,
იოანე ბოლნელი, ბარსანოფ ალავერდელი და კათალიკოსი:
ნიკოლოზ I, იოანე, ნიკოლოზ III, ანტონ I, იოანე მან-
გლელი, პიმენ გარეჯელი, პატნუტი ნიქოზელი და სხვ.

შენიშვნა. ბოლოს დროს შემოღებულ იქმნა ერთ-გვარი სხვა
მჭევრ-მეტყველებაცა, ესრედ წოდებული სააკადემიო მჭევრ-მეტყ-
ველება. სააკადემიო სიტყვის შინაარსია ხოლმე თოველისე საძეცნი-
ერო საგანი.

III. თეორია პოეზია.

ჩვენ ვიცით, რა არის პოეზია და რითი განირჩევა პოე-
ზია პროზისაგან. ვიცით აგრედვე, რომ სხვათა შორის გა-

როგორება ანუ გამოხატვა იმისი, რაც შესაძლოა უფლისეთ
და შესაძლოა იყოს, უმთავრესი თვისებაა პოეტურის თხზულე-
ბისა. პოეტი არა სჯერდება იმას, რაც არის ნამდვილად
გარშემო და რასაც გვიხატავს პროზის მწერალი. ადამიანი
იმ სახით, რა სახითაც ნამდვილად არსებობს, და ყოველი-
ვე სხვა ჩვეულებრივი მოვლენა და გარემოება ადამიანთა
ცხოვრებისა პოეტს მეტად სადა და მარტივ საქმედ მიაჩნია.
ამიტომ პოეტი ეტანება სხვა ქვეყანას, სცდილობს გაგვითვა-
ლისწინოს სხვა, ახალი ცხოვრება, ან უფრო სრული არსე-
ბულზედ, ან უფრო ნაკლულევანი და დამცირებული. ამ სა-
ხით, პოეტი ჰქონის თავის გონებით ადამიანთაც და მათ საქ-
მეთაც, არა იმისთანათა, როგორნიც ყოფილან და არიან
ნამდვილად, არამედ იმისთანათა, როგორნიც უნდა იყვნენ,
ან როგორნიც შესაძლოა იყვნენ, იმის ფიქრითა.

მაგალითად, ილია ჭავჭავაძე „დიმიტრი თავ-დადებულში“
როდი სჯერდება იმას, რაც სწერია მატიანეში ამ მეფის
ღირსებათა შესახებ, ანუ უკეთ რომ ვსოდეთ, მატიანეს-მი-
ერ აღწერილი სურათი მეფის დიმიტრისა მკრთალი ჰგონია,
სიცხოველეს მოკლებული. და ეს მართალიც არის. ამიტომ
პოეტი სცდილობს უფრო ცხოვლად, უფრო ნათლად წარ-
მოგვიდგინოს თვალწინ ეს მეფე, ისე ცხოვლად, რომ ნამ-
დვილი, ცოცხალი, ხორც-შესხმული ადამიანი დაგვისახოს.
მართლაც, ილია ჭავჭავაძის დიმიტრი არა ჩვეულებრივი ადა-
მიანია, საკვირველი მეფეა, სავსე ყოველის სიკეთითა და
სათნეებითა. მისი დიმიტრი ბრძენიც არის, თავ-გამოდებუ-
ლიცა თავის ერისა და ქვეყნისათვის, უშიშარი ვაჟკაციცა,
ობოლთა და გლახაკთა მფარველი და შემწყნარებელიცა და
ბოლოს სიცოცხლის გამწირავიცა თავის სამშობლოს ბედნი-
ერებისათვის.

ასეთი დიმიტრი, როგორც არა-ჩვეულებრივი ადამიანი,
რომელსაც ბევრნაირი განსხვავებული თვისება აქვს სხვებთან
შედარებით, არის იდეალი მეფისა, ხოლო პოეტის მიერ მო-

გონილი აშბავი და გარემოება ამ მეფის ცხოვრებისა და მო-
ლვაწეობისა, თუმცა ნამდვილს ისტორიულს საფუძველზე
დამყარებული, მაინც იდეალობით არის მთსილი. თავის იდე-
ალებსა და იდეალ-მოსილს ცხოვრებას პოეტი გვითვალის-
წინებს საზოგადოდ სიტყვიერების შემწეობით. ცხოვრების
ამ გვარად გათვალისწინების სურვილისაგან წარმოსდგება
პოეტური ნაწარმოები. მაშასადამე, პოეტური ნაწარმოები არის
გათვალისწინება და დასურათება სიტყვიერების შემწეობით იდეალ-
მთსილის ცხოვრებისა (შესაძლოს), ისეთის ცხოვრებისა, რომე-
ლიც ნაუთურია პოეტის აღფრთვასებულის ფიქრ-თცხებისა. ხოლო
იმ ხელოვნებას, რომლის მეოხებითაც სურათდება იგი
იდეალ-მოსილი ცხოვრება სიტყვიერად, ეწოდება პოეზია.

პოეზია საერო და ხელოვნები.

პოეტურ ნაწარმოებთა ისტორიაში უნდა განვარჩევდეთ
ორს დრო-უამსა ანუ ეპოქასა: 1) ეპოქა საერო პოეზიისა ანუ
არა-ხელოვნებისა (ზეპირისა) და 2) ეპოქა ხელოვნურის პოე-
ზიისა (წერილობითისა). საერო პოეზია, ანუ ზეპირი ჩნდე-
ბა მაშინ, როცა ერს ჯერ არ შემოუღია მწერლობა, მაშასა-
დამე, არა აქვს არც მეცნიერება, არც ხელოვნებანი და არც
განათლება. ყოველ იმის მაგიერობას, რასაც განათლება და
გონებრივი წარმატება ეწოდება, ასრულებს ამისთანა ერში
მამა-პაპათა ნაანდერძევი და ანდერძით გარდმოცემული ნათ-
კვამ-ნასიბრძნი. ერთი თაობა მეორეს უტოვებს თავის გამო-
ნაცადს, თავის შეძენილს დაკვირვებას, ცოდნას, მეორე თა-
ობა — მესამეს, მესამე მეოთხეს და ასე ამ რიგად მომდინა-
რეობს დაცვა მამა-პაპათა ანდერძისა. ერიც სავსებით ძოვი-
სებს ყოველს ამ გარდმონაცემსა და დიდის პატივისცემითაც
ეკიდება ამ გონებრივს განძს. ყველა ერთისა და იმავე ნაან-
დერძევ-გარდმონაცემის გავლენის ქვეშ არის და ამიტომ ყვე-
ლას ერთნაირი აზრი და შეხედულება აქვს ქვეყანასა, ცხოვრე-

ბასა და წარსულზედა. ეს არის მიზეზი, რომ ზეპირის პოეზიის ნაწარმოებიც, რომელშიაც იხატება შეხედულება ანუ იტეალები ერისა თავის დღევანდელსა და წარსულს ცხოვრებაზედ, არის ნაწარმოები მთელის ერისა და არა თითოეულის კერძო ადამიანისა.

რა თქმა უნდა, რომ იქმნებოდნენ ერში ისეთნი თითოეულნი კაცნიცა, რომელთაც გამოუთქვამთ საერო ლექსინი, შეუმუშავებიათ ესა თუ ის თქმულებანი, ანტაზა-გამოცანები, მაგრამ ამ კაცთ თავიანთ თქმულში გამოუხატავთ არა მარტო თავიანთი აზრი და შეხედულება, არამედ აზრი და შეხედულება მთლად ერისა. ამიტომ ისინი ყოფილან მხოლოდ გამომთქმელნი და არა შემომქმედნი, არა შემთხვეველნი საერო ნაწარმოებისა.

ხოლო როცა ერში ვრცელდება მწერლობა, მწიგნობრობა და ფეხს იდგამს განათლება, მაშინ ზეპირი პოეზია, ანუ ზეპირ-სიტყვაობა სუსტდება და მის მაგიერ ჩნდება ნაწერი ნაწარმოებნი, ხელოვნებით დაწერილნი თხზულებანი; ამ ნაწერებს სთხზავს ახლა არა მთლად ერი, არამედ სთხზავენ კერძო კაცნი. ამის გამო მათ მიერ გამოთქმულნი აზრნი მთელს ერს-კი აღარ ეკუთვნის, ამა თუ იმ კერძო კაცის აზრებია, ამა თუ იმ ნიჭიერის მწერალის აზრი და შეხედულებაა. — ასეთია უმთავრესი გარჩევა საერო პოეზიისა (არა ხელოვნურისა) ხელოვნურის პოეზიისაგან.

შენიშვნა. ესეც-კი უნდა ვსთქვათ, რომ ჭეშმარიტი მწერალი, ნაშდვილი საერო მწერალი მუდამ იმასა სცდილობს, ღვიძლი შვილი იყოს თვისის ერისა და თავის ნაწერებში ისეთნი აზრნი და გრძნობანი გამოსთქვას, რომელიც შეეფერებოდეს და შეეწონებოდეს ერის აზრებსა და გრძნობათა. საერო პოეტი ერს უნდა უკადეს სულსა და გულში, იმისი სიხარული და მწუხარება უნდა ესმოდეს, იმისნი ფიქრნი და გრძნობანი უნდა ჰქონდეს თვის გულს განწინილი ისარივითა და ისეთი-სავე სიმარტივითა და სიცხადითა ჰგრძნობდეს და ჰთიქრობდეს, როგორც ერი ჰგრძნობს, როგორც ჩალჩი ჰგრძნობს და ჰთიქრობს.

დარბნი პოეტურ ნაწარმოებთა.

პოეტურნი ნაწარმოებნი სამს უმთავრესს ჯგუფად ანუ დარგად განიყოფება: 1) საეპიკო ანუ საეპიკო ნაწარმოებნი, 2) სალირიკო და 3) სადრამონი.

I. საეპიკო პოეზია.

ეპიკა, ეპოსი ბერძნული სიტყვაა და პნიშნავს „მბავს“. ასეთი სახელი იმიტომ ეწოდება საეპიკო ნაწარმოებსა, რომ დამწერი მოთხრობის სახეს აძლევს, რომელსამე ამბავს გვიამბობს ამ ნაწარმოებით. აი მაგალითად, ზემოხსენებული ლექსი ილია ჭავჭავაძისა „დიმიტრი თავ-დადებული“ გარეგანის სახით საეპიკო ნაწარმოებად უნდა იქმნას ცნობილი, იმიტომ რომ მეფანტურეს პირით პოეტი გვიამბობს იმ ნაწარმოებში დიმიტრი მეფის თავდადებას და ამ ამბის ყოველს გარემოებას.

ამ სახით, 1) თუ ფორმას მივაქცევთ ყურადღებას, ანუ გარეგანს სახეს, უნდა ვსთქვათ, რომ ყოველი საეპიკო ნაწარმოები მოთხრობაა, ამბავია და ეს გარემოება ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა საეპიკო პოეზიისა.

2) თუ შინაარსს მივაქცევთ ყურადღებას, უნდა ვსთქვათ, რომ ყოველს საეპიკო ნაწარმოებში მოთხრობილია რომელიმე ამბავი ანუ გარემოება გარემო ქვეუნიერებისა. მაგალითებრ, ჭავჭავაძის პოემის შინაარსი არის ამბავი გარემო ქვეუნიერებისა, სახელდობრ თავდადება დიმიტრისა.

შენიშვნა. გარემო ქვეყნიერებაა ყოველივე, რაც თითოეულის ჩვენგანის გარეშეა; მაგალ, გარემო ბუნება ყოველის თვისის მოვლენითურთ, სამეფო ცხოველთა და მცენარეთა და ცხოვრება ყოველის სხვა აღამიანისა, ჩვენს გარდა. გარემო ქვეყნიერებას ეპირის-პირება ქვეყნიერება შინაგანი, რომელიც-არის ქულიერი ცხოვრება თითოეულის ჩვენგანისა. ჩემი სულიერი ცხოვრება სხვისთვის გარემო

ქვეყნის მთებაა, ხოლო ჩემთვის — შინაგანია. აგრედვუ პოეტისათვის, მისი სულიერი ცხოვრება, მისი აზრი და ფიქრ-გრძნობანი შინაგანი ქვეყნის ერებაა მისთვის, ხოლო ყოველივე რაც მის გარეშეა, ფარემო ქვეყნის ერებაა.

3) როცა საეპიკო ნაწარმოების ავტორი მოგვითხრობს ამბავსა, თვითონ განხედა სდგას და, როგორც გარეშე მაუყრებელი, მხოლოდ თვალ-ყურს აღევნებს იმას, რასაც გვიამბობს. აი, მაგალითად, როცა „დიმიტრი თავ-დადებულსა“ ვკითხულობთ, თვალ-წინ გვიდგა მხოლოდ თვით მეფე დიმიტრი, მისი სპასალარი, მღვდელ-მთავარი, ჩახანაკი ბერი-კაცი, მეფის დარახტული ცხენი და სხვ., ესე იგი ყოველნივე ისინი, ვინც მოთხრობაში ასე თუ ისე მონაწილეობას იღებენ და ჰმოქმედობენ. რაიცა შეეხება თვით პოეტს, იმას მოთხრობაში ვერა ვხედავთ. ასე ამბის მოთხრობას, რომ მომთხრობი შიგ არაფრით არ ერეოდეს, ეწოდება ობიექტივობა, ობიექტივურად წერა და თვით საეპიკო პოეზიაც ამის გამო ამიერტივური პოეზიაა.

მაშასადამე, მესამე დამახასიათებელი თვისება საეპიკო პოეზიისა არის ობიექტივობა.

საეპიკო ნაწარმოების უკვე მოხსენებულ ნიშნობლივ თვისებათა მიხედვით ასე შეიძლება განვმარტოთ ეპოსი: საეპიკო ნაწარმოები ეწოდება ისეთ თხზულებას, რომელიც პოეტი ამიერტივურად მოგვითხოოს გარეშე ქვეყნის ერების რომელსამე ამბავს ანუ გარემოებას.

საერო ანუ არა-ხელოვნურის ეპოსის დარგი.

ქართული საერო ეპოსია უმთავრესად: ლექსნი და თქმულებანი საგმიროი, ლექსნი და თქმულებანი საისტონონი, ზღაპარნი, ანდაზები და გამოცანები.

თქმულებაში საგმირონი.

საგმირო თქმულებაში ნამბობია თავ-გადასხვალი გმირის კაცებისა, დევ-გმირებისა. საგმირო თქმულებაში ხალხი მო- გვითხრობს გადაჭარბებულისა და გაზვიადებულის სახით საისტო- რიო რამ ამბავს, მაგალითად, ამირანის თქმულებაში ნამ- ბობია დევ-გმირობა ამირანისა, დარეჯანის შვილისა; ნაამ- ბობია, რა გასაოცარის ძალით ებრძოდა ეს გმირი დევებს, სხვა და სხვა ძლიერს მტრებს და მათს ჯარ-ჯამაათსა. ამი- რანი ნამდვილი დევ-გმირია და საოცარის ძალ-ღონის პატ- რონი: საღილად ორი კამეჩი არა ჰყოფნის, ხოლო ვახშმად — სამიც ეცოტავება; ერთი კბილი აქროსი უზის და შეხე- დულებით შავს, ღრუბლებსა ჰგავს. საზოგადოდ, ამირანის თქმულებაში საკვირველი და დაუჯერებელი ამბებია მოთხ- რობილი, მაგრამ ამ დაუჯერებელ ამბავსა და მოთხრობაში გამონასკველია იმ დრო-უამის ვითარება, როცა ქართველი ერი ბინადრობას ეკიდებოდა, უტეხი და მძლავრი ბუნება ბეკა-გვარად აბრკოლებდა და იძულებული იყო თავ-გამო- დებით შეპბრძოლებოდა ყოველ-გვარს გაჭირვებას, ყოველ- გვარს მტერსა და დუშმანსა: მთა-კლდესა, ტყე-ლრესა, სიცივე- შიმშილსა, აუარებელს ონავარს ნაღირსა და ნაღირ-ხალხთა თავ-დასხმასა.

არსებობა საგმირო თქმულებაში საისტორიო რამ ვითა- რებისა უმთავრესი და ნიშნობლივი თვისებაა. მისი. ეს-კია რომ საისტორიო ნასკვი და ვითარება ისე არ არის გამორ- კვეული საგმირო თქმულებაში, როგორც ისტორიასა ანუ მატიანეში. საგმირო თქმულებაში ამბავი მოთხრობილია საო- ცარის სახით და თან ყოველ-გვარის საკვირველებითა და სა- შინელებით არის შეზავებული. ამასთანავე საგმირო თქმულე- ბაში არც ქრონოლოგიასა აქვს მიქცეული ყურადღება და არც გეოგრაფიას.

წაიკითხეთ თქმულება ამირანისა (იხ. დამატება), აგრედვე ტა-

რიელ-ავთანდილის თქმულება (ჩ. კრებული აკავისა, ან „ივერია“ 1888 წ.)

ჩვენებური საგმირო თქმულებანი ორ უმთავრეს ჯგუფად განიყოფება. ერთს ჯგუფში ნაამბობია ამბავი დევ-გმირებისა, რომელნიც ადამიანთა წინად იყვნენ ქვეყნად, ხალხის აზრით, ხოლო მეორეში მოთხრობილია ამბავი სხვა ქვეყნების გმირებისა, უფრო სპარსელთ გმირებისა. პირველ ჯგუფის თქმულებანი უფრო ამირანის გარშემო ტრიალებს, ხოლო მეორესი — როსტომის გარშემო.

წაიკითხეთ რთსტომის თქმულება (იხ. დამატება).

ამისთანა თქმულებანი იმითია საყურადღებო, რომ შიგ სჩანს კოტად თუ ბევრად ხალხის პირვანდელი ყოფა-ცხოვრება, მაშინდელი მისი ზნე-ჩვეულებანი, ფიქრი და აზრი, სული და გული.

ეს თქმულებანი თითქმის სულ პროზად არის და ლექსი მხოლოდ შიგა და შიგა აქვს გამორეული.

თქმულებანი საისტორიონი.

საისტორიო თქმულებანი ისეთი საერო ნაწარმოებია, რომელშიაც მოთხრობილია რომელიმე საისტორიო ამბავი, რაოდენადმე გადასხვაფერებული ერის ფანტაზიით. ამისთანა თქმულებაში გამოხატულია ისეთნი საქმენი და მოქმედებანი, რომელიც ასურათებს ისტორიაში რითიმე შესანიშნავს კაცებს, ანუ საისტორიო გმირებს. საისტორიო თქმულებანი თვისის ხასიათით საგმირო თქმულებათა მგზავრია, ხოლო ნამდვილად-კი მათში განსხვავებაცაა და აი სახელდობრ რაგანსხვავებაა:

ა) საგმირო თქმულებაში ისტორიულს ამბავს ფანტაზიის ფარდა აქვს გადაფარებული და ამიტომ საისტორიო სინამდვილე ცხადად არა სჩანს — საკვლევია და საძებარი. საისტორიო თქმულებაში-კი ფანტაზია ერისა ნაკლებად მუ-

შაობს და ამიტომ ცხალად სჩანს, რა ამბავია და ან ვისი ამ-
ბავია შიგ მოთხრობილი.

ბ) საგმირო თქმულებაში ჰმოქმედობენ დევ-გმირნი საო-
ცარ და საკვირველ გარემოებათა შორის მრავალ-გვარის
გრძნეულებითა და ჯადოქრობით. საისტორიო თქმულებაში-
კი მეტის-მეტს გაზვიადებას და საზღაპრო ელემენტს ადგი-
ლი არა აქვს და მაშინვე მიპავდება კაცი, რომელი ამბავია
ისტორიისა ნაამბობი; ან ვის შეეხება თქმულება თუ ლექსი
საგმირო.

საისტორიო ლექს-თქმულებაში იხსენებიან უფროს: ვახ-
ტანგ მეფე, თამარ-მეფე, ერეკლე-მეფე, ზურაბ ერისთავი და
სხვ. (იხ. დამატება).

ამ რამდენიმე მაგალითი:

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა —

ციდან მოესმოდა რეკა;

იალბუზზედ ფეხი შედგა —

დიდმა მთებმა შეჰქნეს დრეკა;

ოსებსა შემოუტია

ჩერქეზეთში გადატრეკა.

ამ ლექს-თქმულებაში ჩვენი ერი იხსენებს იმ დროს,
როცა ვახტანგ გორგასლანი, როგორც მოგვითხრობს მატი-
ანე, ეომებოდა ოსებს.

ბატონი ჩვენი ერეკლე ერთი პატარა კახია,

ჯაჭვის პერანგი ჩააცვეს, გაჰკრა ხელი და გაჰხია.

სოლოდას ლექს-თქმულებას საფუძვლად ის საისტორიო
ამბავი აქვს, რომ ოსმალომ დაიპყრა ძველი სამცხე-საათაბაგო
და ოსმალთა და ქართველთ შორის ხშირი იყო ომი და
ბრძოლა.

ზ ღ ა პ ა რ ნ ი.

ზღაპარი ისეთი ამბავია, რომელშიაც სულ საოცარი და
დაუჯერებელი რამ არის გულ-უბრყვილოდ და მარტივად

ნიამბობი, თითქო მის მთქმელსა და შემთხვევლს ყოველივე სწამს, რაც ზღაპრად ითქმისო. ძველად ხალხს იქნება კიდეც სჯეროდა ყოველივე, რაც ზღაპრად იყო მოთხრობილი, მაგრამ მერე და მერე იმანაც დაუჯერებელ ამბად მიიჩნია, როგორც ამტკიცებს „ამას დასაწყისი ყოველის ზღაპრისა; „იყო და არა იყო-რა“. ამასვე ამტკიცებს თვით სახელ-წოდებაცა ზღაპრისა: არაკი, ვითომ ისეთი რამაო, რაც არაც არის და ჰოცუო: არა-კი, არა და კი, ჰოცუო. აქ უარ-ყოფაც არის და დადასტურებაცა. იგრეც არის, იმიტომ რომ ზღაპარში; რაც უნდა დაუჯერებელი და სულ საოცარი ამბები იყოს ნაამბობი, მაინც ბევრი რამ არის მართალიცა, დასაჯერებელი, სამოძლვრებო. თუნდ მაგალითად ისა, რომ ზღაპრებში სიანს, რა სწამს ხალხს და რა არა, რა უყვარს და რა სძულს, რა ზე-ხასიათისაა, რა ყოფა-ცხოვრება აქვს და ბევრი რამ ამას-თანები.

ზღაპარშიაც, როგორც საგმირო თქმულებაშიც, არ არის, რასაკვირველია, მოხსენებული არც ადგილი, სად მომხდარა ამბავი საზღაპრო, არც დრო, როდის მომხდარა.

შინაარსის მიხედვით ზღაპრები შესაძლოა ოთხ ნაწილად იქმნას განყოფილი: ა) ზღაპარნი ჰირუტევთა შესახებნი, ესრედ წოდებული პირიტყვთა-მიერი ეპოსი, ბ) ზღაპარნი სამითონი, ანუ მითის-მიერნი, გ) ზღაპარნი ზნე-ჩვეულებისანი, ყოფა-ცხოვრებისანი ანუ სამოძლვრებონი და დ) ზღაპარნი საგამოცანონი.

ა) ჰირუტევთა-მიერნი ზღაპარნი ის ზღაპრებია, რომელ-შიაც პირუტყვნი ჰიმოქმედობენ მეტყველებივით თავ-თავიანთ ხასიათის შესაფერად. ეს ზღაპრები და საზოგადოდ პირუტყვთა-მიერი ეპოსი იმ ძველის-ძველს დროს ეკუთვნის, მაშინ გაჩენილა, როდესაც ადამიანი თითქმის პირუტყვზედ მაღლა აღარ იდგა, ნადირობითა და მწყემსობით სცხოვრებდა, სულ მუდამ ნადირ-პირუტყვთა შორის ტრიალებდა და ასე ეგონა, პირუტყვნიც ადამიანის მზგავსნი არიან, გონება აქვთ ჩვენ-

სავით და ლაპარაკიც-კი შეუძლიანთო. ხოლო თუ არა ლა-
პარაკობენ, ეგ ეშმაკობით მოსდით, რომ ჩვენ არა გავუგოთ-
რაოდ ამისთანა ზღაპრებში ერთის მხრით ბუნება იხატება ნა-
დირ-პირუტყვთა და მეორეს მხრით ისიც, თუ რა თვალით
უყურებდა პირვანდელი კაცი ამ ნადირ-პირუტყვებსა. თუ
ამისთანა ზღაპარი ძველის-ძველია, მასში მოქმედი პი-
რუტყვი და მისი მოქმედება აღამიანსა და მის ცხოვრებას არ
მოასწავებს იგავ-სიტყვაობით, როგორც იგავ-არაკებშია ხოლ-
მე, არამედ ყოველივე პირდაპირ ნადირსა და პირუტყვს შეეხე-
ბა. უფრო ხშირად პმოქმედობენ ამისთანა ზღაპრებში: მელა,
დათვი და მგელი. მომეტებულ ნაწილად მელას ეშმაკობაა
ხოლმე დასურათებული. თვისის ცბიერებით მელა მუდამ
სჯობნის მგელსაცა და დათვსაცა.

პირუტყვთა-მიერს ეპოსში ლომი ძალ-ღონისა და გულაღობის გან-
ხორციელებაა, დათვი—მოუხეშავობისა, ვირი—სიბრიყვისა, სისულე-
ლისა, მგელი—გაუმაძლრობისა, ტაციობისა, ხარბობისა, მელა—გაიძ-
ვერაობისა, სიფრთხილისა, კუდიანობისა, ლორი—ბინძურობისა, უსუფ-
თაობისა, ღორ-მულობისა, მგიმუნი—ბაძიობისა, მანჭიობისა, კრა-
ვი—უმანკოებისა, კურდლელი—მშიშარობისა, წინ-დაუხედაობისა, აქ-
ლემი—უშნობისა, ახმახობისა, კარა—მსუნაგობისა, ძაღლი—ერთ-
გულობისა, მეფობრობისა, მერანი (რაში)—სიმარდისა, ცხვარი—
მოთმინებისა, მოუფიქრებლობისა, ჯორი—უბერებლობისა, ჯიუტო-
ბისა, კამეჩი—სიზანტისა, ყვავი—ყბა-ღიაობისა, მამალი—ყოყლო-
ნინობისა, ცუდ-მედიდობისა, ამპარტავნობისა, ბულბული—საუცხო-
ვოდ სტვენა-გალობისა, არტისტობისა, ჩხიკვი—დაუდგრომლობისა,
აყალ-მაყალისა, აურ-ზაურისა, მტრედი—სიმშვიდისა, გნოლი—მორ-
ცხვობისა, ხოხობი—მშვენიერებისა, სიტურისა, ღამურა—უხასია-
თობისა, გადაბირებისა, ინდოური—ყეყეჩობისა, აბუეტობისა, შა-
ვარდენი—სისწრაფისა, გვრიტი—უმანკოებისა, სათნოებისა, ქედა-
ნი—სიღინჯისა, კაჭკაჭი—ყბედობისა, ენა-ტარტარობისა, ბუ—აბუ-
ნიობისა, აღამიანის არაფრად ჩაგდებისა, ქორი—მტაცებლობისა, ონავ-
რობისა, ჭრიჭინა—უზრუნველობისა, უდარდელობისა, ფუტკარი—
მხნეობისა, კალმახი—სიმკვირცხლისა, სიმარდისა, ღრაგული—სი-
ფიცხისა.

ხასიათი სხვა-და-სხვა პირუტყვისა და ფრინველისა ცხა-

დაღა სჩანს სახალხო ლექსში: „საწყალის დედაბრისასა“.

ზღაპარი სამითოზი ანუ მითის მიერნი. სამითო ზღაპრებში უმთავრესი ადგილი უჭირავს ბრძოლის კეთილსა და ბოროტს შორის, სინათლესა და სიბნელეს შორის. მითის-მიერი ზღაპრები იმ დროს ეკუთვნის, როცა ჩვენი ერი აღმერთებდა ბუნებასა და მის სხვა და სხვა მოვლენასა. სამითო ზღაპრებში გამოდიან სამოქმედოდ: მზე, მთვარე, გველეშაპები; სამთავიანი და ცხრა თავიანი დევები და კუდიანი ბებრები. მდევები და კუდიანი ბებრები სულ იმის ფიქრში არიან, რომ ქვეყანას ავნონ რამე: ან სითბო არ მიაკარონ მზისა, ან წყალი შეუკრან და სხვ. ამ შემთხვევაში სითბო და სინათლე მზეთ-უნახავ ქალის სახედ არის ხოლმე დასურა-თებული, მეფის ასულად არის ხოლმე განხორციელებული და იმის დაღსნას დევთა ხელიდან სცდილთბენ საუკეთესო ჭაბუკნი. ავი და ბოროტი, ყინვა და სიცივე, გვალვა და სხვა ამისთანა მავნებელი რამ მოვლენა დევებად, გველეშაპებად არის დასახული. ერთ-ერთი თავ-გამოდებული ჭაბუკთა შორის სძლევს ქვეყნის მფერს, რომლის მსხვერპლადაც არის ხშირად გადადებული მშვენიერი ქალი, ან დედის ერთა ასული, იღსნის ქვეყანას გაჭირვებისაგან და თვითონ ირთავს ცოლად მზეთ-უნახავს ქალს ანუ მეფის ტურფა ასულს.

ამისთანა ზღაპრების ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ სხვათა-შორის ზღაპარი „ასფურცელა“ (იხ. ლამატება).

ზღაპარი ყოფა-ცხოვრებისანი ანუ სამოძღვრებონი. ყოფა-ცხოვრების ზღაპარი ეწოდება ისეთს ზღაპარს, რომელშიც იხატება ყოფა-ცხოვრება და ზნე-ხასიათი ხალხისა და საზოგადოდ მისი ავ-კარგი. ამისთანა ზღაპრებში ცხადად ვხედავთ, რაზედა აქვს შევარდნილი გული ხალხს, რას ეტანება, რა უყვარს და რა სძლელს. გმირებად გამოდიან ხალხის საყვარელი წარმომადგენელნი, ესე იგი ისეთნი, რომელნიც ხალხის საზნეო მოძღვრებას აღვანან. ზღაპარში ბედი სწყალობს ამის-თანებს, ხოლო ვინც მათნი წინააღმდეგნი არიან, ისინი შერ-

ცხვენილნი რჩებიან და უტედურად ათავებენ თავიანთ სიცოცხლეს. ბედნიერია და ხალხის სიყვარულით მოსილი უფრო უნცროსი შვილი და ასული, თუ მამას რამდენიმე შვილი ჰყავს ზღაპარში, აგრედევე გერი, დაჩაგრული ბოროტის დედინაცვლის ხელში. უფრო-კი ნაბოლარა შვილი უყვარს ხალხს, უნცროსი ძმებში. როცა ძმები გაჭირვებაში სცვივიან, უფროსნი ვერას ახერხებენ და მხოლოდ უნცროსი ახერხებს მათს გამოღსნას გაჭირებიდან. ესა ჰშურთ ძმებსა და ხშირად ჰლალატობენ, ართმევენ ან ძალით ან ეშმაკობით ყოველსაც, რაც შეუძენია თვისის თავ-განწირულებითა და ბოლოს ჰნდომობენ მის სამუდამოდ დაღუპვასაც-კი. მაგრამ სიმართლე არ იმაღება და ბოლოს სძლევს სიმრუდესა, კეთილი იმარჯვებს და ბოროტი მარცხდება.

ასეთია, მაგალითად, ზღაპარი „ხელმწიფის ცოლი, ქალბაყაყი“ (იხ. დამატება).

ზღაპარნი საგამოცანონი. საგამოცანო ზღაპრებში უმთავრესი ადგილი უჭირავს გამოცანებსა. მზეთ-უნახავი ქალი ან ხელმწიფე აცხადებს, ვინც ამა და ამ გამოცანას გამოიცნობს, ან ამა და ამ სიზმარს ამიღსნის, იმას მივათხოვებ ჩემს მზეთ-უნახავს ქალს და ნახევარს ჩემს სახელმწიფოს მივცემო. ასეთია, მაგალითად, ზღაპარი „გველი და გლეხი“ (ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ოლნიაშვილის მიერ). ამ გვარსავე ზღაპრებს ეკუთვნის ის ზღაპრებიცა, რომელშიაც ერთი-ერთმანერთზედ მისდევს ჯაჭვივით გადაქცევა კაცისა ცხენად, ფრინფლად, მწევარად, ცეცხლად; ან რომელშიაც ერთს ძნელს საქმეს მოსდევს მეორე უფრო ძნელი პირველზედა, მეორეს მესამე და ასე ამ გვარად. ამისთანა ზღაპრებში იხატება. საზოგადოდ ხალხის მახვილ-გონიერება და მოსწრებული ჭკუა. ასეთის ზღაპრების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ: „ნაცარ ქე-ქია“, „ქურდი“ (სახალხო ზღაპრები, შეკრებილი ოლნიაშვილის მიერ), „მეფე და კათალიკოზი“ („ჯეჯილი“ 1897 წლ.

IV), „მეფე და მეთევზე“ („ჯეჯილი 1890 წლ. I), „სიბრძნე სოლომონისა“ (აკაკის კრებული 1898 წლ. № VI.)

ადაგები და გამოცავები.

ანდაზა ისეთი მოქლედ შოჭილი და მოსწრებული თქმაა, რომელშიაც იხატება ერთს აზრი, მსჯელობა და წეს-რიგი ბრძნეულის ცხოვრებისა. ანდაზები ერთს სიბრძნე და გონიერებაა საზოგადოდ. ხალხი აკვირდება ბუნებას, ცხოვრებას და ამ დაკვირვების წყალობით სთხზეს. ანდაზებს თავის სახელ-მძღვანელოდ ცხოვრებაში. ანდაზებში ბევრი ძრიელ ძველია და იმ ღრმას უკუთვნის, როცა ბუნების ამა თუ იმ მოვლენას დიდი ზედ-მოქმედება ჰქონდა ხალხის გონება-გრძნობაზედ. მაგალითად: „ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვა“. ხალხს თითქო სწამს, რომ მდინარე წყალს და აგრედვე ყოველსავე, რაც გაჩერილა, ისევე შეუძლიან ძილი, როგორც სულიერ არსებათაო. „თუ მთვარე ჩემკენ არის, ვარსკვლავები ვერას დამაკლებენ“. ბედი მომეც და თუნდა სანაგვეზედ გადამაგდეონ“ ეს ანდაზა ამტკოცებს, რომ ხალხს სწამს ბედის-წერა, ბედის საწერელი, რომ ვითოშ ყოველივე ბედია, რომ აღამიანის სიცოცხლე და ცხოვრება წინაღვე განსაზღვრულია და რაც შუბლზედ უწერია, იმას ვერ ასცდება. აი ამ გვარი ანდაზები კიდევ: „ცოლ-ქმრობის საქმე ცაში რიგდება“. უბედურს ქვა აღმართში მოეწევა“. ქრისტეანობის ღროთა ანდაზები: „ეშმაკის მუშა ღმერთმა შემუსრა“, „უპატრონო ეკკლესიას ეშმაკები ეპატრონებოდნენ“, „ღმერთი დიდია (უხვია), ღარიბო, გული ნუ შეგიშინდება“, „საიდან სადაო, წმინდაო საბაოთ“, „როგორიც მღვდელიო, ისეთი ერიო“. აი ისტორიული ანდაზებიცა: „არზრუმელი თათარი გოჭის თავს მედავებოდა“, თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბალდადიდან მოვა“. ანდაზები ბატონ-ყმობის ღროსი: „ბატონის რისხეა-წყალობაა“, „არც არავის ყმა ვყოფილვარ, არც არავინ ყმა მყოლია, ძველი

პური, ჭველი ღვინო წლითი-წლამდე გამყოლია”.. ბევრია ისე-
თი ანდაზებიცა, რომელიც სხვა და სხვა საგანს შეეხება ცხო-
ვრებისას: „ძალაშა სცემდნენ – რძალს ასმენდნენ”, „დედა-
კაცს თმა გრძელი აქვს, ჭკუა-მოკლე”, „როცა დედაკაცს
ქმრით ჰყაფს, ამირანია, როცა მოუკვდება – ამირანთ აღირა-
ნია”, „კარგი რძალი ვის უნახავს”, „კაცი უნდა ხერხი იყოს,
გაპქონდეს და გამოპქონდეს, არამცა თუ ეჩო იყოს, სულ
თავისკენ მიითლიდეს”, „კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს:
ერთი აქ დასატოვარი, მეორე იქ წასაღები”, „მთა და ბარი
ვის გაუსწორებია”.

გამოფახა ისეთი ნართაული, სიტყვა-გადაჭრული თქმაა,
რომელშიაც ერთი საგანი სურათდება მეორეს შემწეობით,
ოლონდ კი ამ მეორეს რაიმე მგზავსება ჰქონდეს, თუნდა
სრულიად შორეული, იმ პირველის საგნისა. გამოცანებშიაც
ბევრი მრიელ ძველია, წარმართობის დროისა, მაგალითად:
„მოვიდა თეთრი მოზვერი, გააგდო შავი მოზვერი” (დღე და
ღამე), „ჰელი ზაბლი, ვერცხლის ტახტი, მზით ავილე, მთვა-
რით დავდგი” (ყინული). „მაღლიდანა წამოვიდნენ ხაპა-ხუპით
ცხენოსანნი, სულ აქეთ-იქით გაჰთანტეს ქვეითნი და ცხენო-
სანნი”.

ანდაზები და გამოცანები პოეზიად უნდა ჩაითვალოს,
იმიტომ რომ თითოეული მათ შორის სურათიანობით სავსე,
გამოთქმაა. ყოველი გამოცანა ალეგორიაა ანუ ნართაული-
სიტყვა-პასუხი. ანდაზაშიც ხშირია, რომ აზრი პირდაპირ არ
არის გამოთქმული, არამედ შედარებისა და შეფარდებისა. ან
დამხარდამხარებისა და გადაკრულის სიტყვის შემწეობითა.
ამას გარდა, ისიც სათქმელია, რომ ანდაზებსა და გამოცა-
ნებს გარეგნობაც პოეტური აქვს: წყობილის სიტყვით არის
გამოთქმული და ხშირად დაბოლოვება რიცმით აქვს შემ-
კული.

უგოთავრენი დარგი ხელოვნურის ეპოსისა.

ხელოვნური ეპოსი შესაძლოა განყოფილ იქმნას შემ-
დეგს ნაწილებად: ჰერმა ანუ ჟოკეია, რომანი და მოთხრობა, იდი-
ლია, არავი ანუ იგავ-არავი და ბაჭადა.

პ რ ე ბ ა.

ჰერმები სხვა და სხვა ნაირია: ა) ძველებური (კლასი-
კური) ანუ საგმირო პოემები, რომელშიაც ხელოვნურად არის
შემუშავებული საერო საგმირო ეპოსი, მაგალითად, პოემები
ჰომიროსისა ანუ ჰერმა რუსთაველისა „ვეფხვის ტყაოსანი“;
ბ) პოემები, რომელიც მიბაძვაა ჰომიროსისა და მისის მიმდე-
ვარის ვირგილინუსის პოემებისა. ამისთანა მიბაძვით დაწერილს
პოემებს ცრუ-კლასიკური პოემებიც ეწოდება; გ) პოემები ახა-
ლის ღროისა, ახლანდელი.

მვეღებური ჰერმა. ძველებური პოემა ანუ ეპოპეია არის
მოთხრობა ისეთის საისტორიო ამბავისა, რომელიც შეეხება
ამა თუ იმ დიდად საყურადღებო გარემოებას და რომელ-
შიაც თითქმის მთელს ერს მიუღია მონაწილეობა.

ჰომიროსის პოემა „ილიაზაში“, მაგალითად, მოთხრო-
ბილია დიდად საყურადღებო საისტორიო ამბავი — ბრძოლა
აქეელებისა და ტროადელებისა. აქეელები დორიელებმა
განდევნეს თავიანთ სამშობლოდან და ამიტომ იძულებულნი
შეიქმნენ სხვაგან მოებენათ ახალი ბინა-ადგილი დასასახლებ-
ლად. გადასახლებულნი დაესხნენ თავს ტროადელებსა ჩირე
აზიაში და დაუწყეს ბრძოლა, რომელიც, ცხადია დიდად
გამწვავებული უნდა ყოფილიყო, რადგან მიმხდომნი იბრძო-
ლენენ ბინის მოსაპოვებლად, ხოლო დამხდურნი-თავიანთ ბი-
ნისა და სახლ-კარის დასაცველად.

ამისთანავე საყურადღებო საისტორიო ამბებია მოთხრობილი სხვა
ძველ პოემებშიაც, რომლებიც დაფუძნებულია აგრედვე საგმირო ეპოს-

ზედ. მაგალითად, სპარსულს პოემა „შაჰნაზე ში“ *), რომელიც დაწერილია პოეტის ფირდუსის მიერ მე-X საუკუნეში ქრ. შემდეგ, მოთხოვილია ამბავი ირანისა და თურანის ბრძოლისა. გერმანულს პოემაში „ქება ნიბელუნგებისა“ (დაწერილია მე-XII საუკუნეში) ცხადად სჩანს დრო ერთა გადასახლებისა. ჩვენი პოემა „ვეფხვის ტყაოსანიც“, მე-XII საუკუნეშივე დაწერილი შოთა რუსთაველის მიერ, დაფუძნებულია საერო ეპოსზე და შექება ისეთს ისტორიულს ამბავს, როგორიც იყო შესანიშნავი მეფობა გიორგი III-ისა და მისის ასულის თამარ-მეფისა, თუმცა იმათი სახელები პოემაში პირდაპირ არ არის მოხსენებული.

რაიცა შეეხება „ოდისეიას“, პომიროსის მეორე პოემას, თუმცა იმაში საისტორიო ამბავი არა-არის-რა მოთხოვილი, მაინც „ილიადას“ ეკუთვნის, მისი განგრძობაა. ამ პოემაში მოთხოვილია მგზავრობა ოდისეისა ათის წლის განმავლობაში და დაბრუნება მისი თავის სახლში ტროადის ქალაქიდან.

ძველებურ პოემის უმთავრესი თვისება ის არის კიდევ, რომ ყოვლადის დაწვრილებით გვიხატავს იმ დროს, რომელიც არის შიგ აღწერილი. მაგალითად, „ილიადასა“ და „ოდისეიაში“, როგორც „ვეფხვის-ტყაოსანშიაც“, ჩვენს თვალ-წინ იშლება სრული და დაწვრილებით გამოხატული ცხოველი სურათები ერის სამხედრო, საზოგადო და საშინაო ყოფა-ცხოვრებისა; ვხედავთ, რა სწამს ერსა და როგორა სწამს, რა უყვარს და რა სძულს, რას პფიქრობს, რა აწუხებს, რა იცის და რა ენატრება. ერთის სიტყვით კლასიკური პოემა თვალ-წინ გვიშლის მთელის ურის ცხოვრებას. ძველებურ საგმირო პოემებში ბევრი რამ არის ფანტასტიური, საოცარ-საკვირველი, მაგრამ ეგ იმიტომ, რომ თვით ხალხსა სწამდა მაშინ ბევრი-რამ საკვირველი და საოცარი.

ერთი თვისება კიდევ ისა აქვს ძველს პოემას, რომ დიდის სიღინჯითა და გულ-დამშვიდებით, აუღელვებლად არის შიგ ყოველივე ამბავი მოთხოვილი. თვით პოეტი სრულიად

*) შაჰნაზე პიშავავს მეფეთა წიგნს. ქართულადცაა ეს პოემა ნათარგმნი და სახელად ეწოდება როსტომიანი

არა სჩანს თითქმის. მეტადრე პომიროსის პოემებს ეტყობათ ეს თვისება. საერო ეპოსი ისე აქვს პომიროსს შემუშავებული, რომ კილო მოთხრობისა ისევ ერისაა, კილო მუდამ თანაბარი, ერთ-ნაირი: თავ-ზარ-დამცემს ამბავსაც ისეთისავე დიდებულის გულ-დამშვიდებითა და სიღინჯით მოგვითხრობს, როგორც სულ უბრალო და ჩვეულებრივს ამბებსა.

შერრი ამბობს პომიროსის პოემებისასა: „ყოველივე, რაც კი კაცთა-ნათესავის ცხოვრებაში კეთილ-შობილური, დიდებული, შვენიერი, გულს მოსახვედრი და ადამიანურია, გამოთქმულია პომიროსის ლექსებში საკვირველის გულ-უბრყვილოებით, დიდებულის სიმარტივითა და ისეთის სახითა, რომლის მზგავსი ოკეანე თუ იქნება მაშინ, როცა ცხრა თვალი მზე ზედ-დაჰყურებს და თვალ-გაღუწვდენელი ზღვა დიდებულად მდუმარებს“.

შენიშვნა. როგორც ვსთქვით, ილიადა და ოდისეია მისაბაძავ ნიმუშად იქმნა დასახული ესრედ-წოდებულ მიმბაძველობით პოემებისათვის. პირველი ამისთანა პოემა დასწერა რომაელთა პოეტმა ვირგილიუსმა (I საუკ. ქრისტ. დაბადებამდე) და სახელად უწოდა „ენ ეოდა“. შემდეგ, როცა კვლავ ალორძინდა კლასიკური მეცნიერება და ხელოვნება ევროპაში, ბევრგან გაჩნდა ამისთანა პოემები: იტალიაში „ლვთაებრივი კომედია“ დაწყები, დაწერილი მე-XIV სუკუნის დამდეგს და „განთავისუფლებული იერუსალიმი“ ტორკვატო ტასოსი (მე-XVI საუკ.); ინგლისში — „დაკარგული სამოთხე“, მილტონისა (მე-XVII საუკ.); პორტუგალიაში — „ლუზიადა“, კამპუნისისა (მე-XVI საუკ.); საფრანგეთში — „ჰენრიადა“, ვოლტერისა (მე-XVIII საუკ.), გერმანიაში — „მესსიადა“, კლოპშტოკისა, რუსეთში — „როსიადა“, ხერაბკოვისა.

ამ პოემების მიმბაძველობას ამტკიცებს: 1) თვით დაბოლოვება მათის სახელწოდებისა იდა და ადა; 2) „ილიადაში“ პოქმედობენ და კაცთა საქმეებში მონაწილეობას იღებენ ღმერთი; ზემოხსენებულს პოემებშიაც გმირებთან ერთად გამოდიან სამოქმედოდ ღმერთი და სხვა ზესთაბუნებითნი არსებანი — კულიანები, ჯადოქარნი და სხვ. სიყალბე ამ პოემებისა ის არის, რომ პომიროსის ბერძნებს სწამდათ თავიანთნი ღმერთნი; სწამდათ რომ ყოველს ჩვენს საქმეში ისინიც ურევიანო და ამიტომ მათი მონაწილეობა ილიადაში ბუნებრივი ავბავი იყო. საქრისტეანო პოემებშიკი ზესთა-ბუნებითნი არსებანი არა სწამდათ არა თუ თვით პოეტებს, არა-

მეღ პრც მკითხველებსა; დმიტომ ყოველივე საფანტასტიკო ელემენტი, რაც ამ პოემებში უხვად მოიძებნება, ურუ სამკაულსა ჰგავს; 3) დასაწყისს ლექსებშიაც-კი საქრისტეანო პოემების მწერალინი ჰომიროსა ჰბაბავლენ. ჰომიროსი ანუ უმიროსი ილიადასა და ოდისეიას რომ იწყებს, მუზას მიკმართავს და ამბობს, მინდა ქების ლექსი დავმოერო ამა და ამ გმირის შესამკაბადო. სწორედ ასევე იწყება ზოგიერთი ტემობსერებული პოემაცა, თუმცა იმ დროს ლექსების თქმა დამღერით სრულიად წესად თლარვასა ჰქონდა.

ახალი პოემა. ახალი პოემა გაჩნდა ბაირონს აქეთ. ბაირონი იყო ინგლისის შესანიშნავი პოეტი. დაიბადა 1788 და მიიცვალა 1824 წელსა. იმისი პოემები დიდად განსხვავდება, როგორც ცრუ-კლასიკურ პოემებისაგან, ისე უმიროსის ილიადასა და ოდისეიასაგან. უმთავრესი განსხვავება ის არის, რომ ილიადა—ოდისეიაში პოეტი არა სჩანს, ახალ პოემაში-კი, მაგალითად, ბაირონის „შილიონის პატიმარში“, ამბის მომთხრობელია, ესე იგი თვით პოეტის პირველი. ის მოგვითხრობს აშშავს თვითონ, გვაგებინებს თავის გულის-პასუხს, გვიხსნის ამა თუ იმ გარემოებას თავისით. ასე იქცევა ბაირონი თავის სხვა პოემებშიაც: „ჩაილდ-ჰაროლდი“, „ბეპო“ და სხვ. ახალი პოემა ისტორიულიც რომ იყოს, ესე იგი პოეტი რომ ისტორიულს რამ ამბავს მოგვითხრობდეს, მაინც მოსჩანს აქა-იქ პოეტის სული და გული, მისი გრძნობა და და აზრი. ახალი პოემა ისეთი საეპიკო ნაწარმოებია, რომელშიაც მოთხრობილია შესანიშნავი რამ ამბავი ერთის ენ რამდენისამე ადამიანის ცხოვრებისა და არა მთლად ერისა, როგორც ქველს, კლასიკურს პოემებშია. ამასთანავე ახალს პოემაში პოეტი ანუ ამბის მომთხრობელი ხშირად სწყვეტავს ძაფს მოთხრობისას და ურთავს შიგ თავის შთაბეჭდილებასა, ფიქრისა და გრძნობასა.

ჩვენს მწერლობაში ახალის პოემების ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ: „ბედი ქართლისა“, ნ. ბარათაშვილისა, „სარ-ლეგრძელო“, გრ. ორბელიანისა, „კაკო ყაჩალი“, „აჩრდი-ლი“, „დიმიტრი თავდადებული“, ილ. ჭავჭავაძისა, „ბათტრი-

ონი“, „გოგოთურ და აფშინა“, ვაჟა-ფშაველასი, „თორნიკე ერისთავი“, აკაკისა და სხვ.

რომანი და მოთხოვბა.

რომანი ანუ მოთხოვბა ისეთი დასურათებაა ერთისა ანუ რამდენისამე კერძო კაცის ცხოვრებისა, როცა იმ კაცის ცხოვრებასთან ერთად დახასიათებულია ის საზოგადოებაცა, რომელშიაც რომანისა და მოთხოვბის მომქმედნი ტრიალობენ. ავტორს შეუძლიან თავის რომანისათვის ან ის დრო აიღოს, რომელშიაც თვითონაცა სცხოვრობს, ან წარსული დრო აიღოს, რომელიმე ხანა ისტორიისა. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის ლუარსაბ თათქარიძე იმ დროს კაცია, რა დროსაც ავტორი სწერდა თავის „კაცია-აღამიანს“. ლუარსაბ თათქარიძის სახით პოეტი გვიხატავს ყველა მის მინაგვარს თავადი-შვილებს და მებატონეებს, რომელნიც ბატონ-ყმობის დროს სცხოვრობდნენ. ალ. ყაზბეგის „ელგუჯა“-კი თვისის შინაარსით შეეხება რუსების პირველად მოსვლის დროს საქართველოში, მაშასადამე, ამ საუკუნის დამდეგს, როცა ყაზბეგი ჯერ არც-კი იყო დაბადებული. ცხადია, მაშ, რომ ელგუჯა ავტორის ფანტაზიით არის მოგონილი და ეს გმირი მისის მოთხოვბისა. პმოქმედობს ისტორიულს დროსა და გარემოებაში და ჰგავს იმ მოხევეებს, რომლებიც მაშინ სცხოვრობდნენ და იღვწოდნენ. ლუარსაბ თათქარიძეც ფანტაზიის ნაყოფია, რასაკვირველია, მხოლოდ ამ შემთხვევაში ფანტაზია მუშაობდა გარშემო ცხოვრებაში, ხოლო ფანტაზია ალ. ყაზბეგისა — წარსულს ცხოვრებაში.

ამ სახით, რომანშიაც, როგორც პოემაშიც, მოთხოვბილია რომელიმე ამბავი და გარემოება, იმ განსხვავებით, რომ პოემაში უფრო საზოგადო ინტერესებსა აქვს მიქცეული ყურადღება, ვიდრე კერძოსა. შესანიშნავი რამ ამბავი ერის ცხოვრებისა, ძლიერი რამ მისწრაფება ქვეყნისა, გამო-

ჩენილი გმირი და მისი ცხოვრება, ბრძოლა ერისა მტერთა
განსაღევნად — აი ის საგანი, რომელიც მიიქცევს ხოლმე უმე-
ტეს ნაწილად პოემის დამწერის ყურადღებას. ყოველივე ესე
შეიძლება რომანის საგნადაც იყოს, მაგრამ უმეტეს ნაწილად-
კი რომანის მწერალს იზიდავს საზოგადოება და მისი ცხოვრე-
ბა ყოველის თვისის წვლილითა. პოემაში ხრირად მთელი ერი
ჰმოქმედობს, ფეხზედ სდგას, მთელს თვის ძალ-ლონეს ჩეხს;
რომანში-კი რამდენიმე კერძო კაცი ჰმოქმედობს, ანუ ის სა-
ზოგადოება და თემი, რომელსაც ეკუთვნის მთავარი მომქმედი
მოთხრობისა. რამდენადაც ძლიერია საზოგადოებრივი ელემენ-
ტი რომანში, რამდენადაც უფრო დიდი ინტერესებია საზო-
გადოებისა და ქვეყნისა რომანის ნასკვად და მთავარ ძარღვად,
მით უკეთესია რომანი. მოთხრობაც იგივე რომანია, მხოლოდ
შინაარსი მისი უფრო მოკლე და მარტივია. რომანში იხატე-
ბა განვითარება თითოეულის მომქმედის ხასიათისა მთელის
თვისის სისრულითა იმ რთულს ცხოვრებაში, რომელშიაც
იგი ტრიალებს, ხოლო მოთხრობაში დასურათებულია ერთი
რომელიმე სადა ხასიათი ადამიანისა და მისი მდგომარეობა
მაშინ, როცა ამა თუ იმ გულის-თქმას შეუპყრია. მოთხრო-
ბასვე ეკუთვნის ამბავი, რომელიც გვიხატავს ერთს რომელ-
სამე და რითიმე შესანიშნავს გარემოებას და თან გვისურა-
თებს ამა თუ იმ ადამიანს ერთის რომელისამე მხრითა. ამის-
თანა პატარ-პატარა ამბავნი, რომელთაც ხან ეტიუდები ეწო-
დება და ხან ნოველისაც ეძახიან საზოგადო სიხელად ევრო-
პაში, ბევრია დაწერილი და დღესაც იწერება ჩვენის ახალის
მწერლების მიერ. ასეთია, მაგალითად, ნაწერები ნ. ლომოუ-
რისა, ეკ. გაბაშვილისა, სოფ. მგალობლიუმილისა, ეგნ.
ნინოშვილისა, შ. არაგვისპირელისა, ვაჟა-ფშაველასი, დ.
კლიმაშვილისა: „ქაჯანა“, „ალი“, „ჩემო შვინდავ“, „ყაყი-
ტას ქურდი“, „პალეოსტომის ტბა“, „შვლის ნუკრის ნაამ-
ბობი“, „მრევლში“, „ღვინია გადაიჩეხა“. და სხვ.
კი რომანებსა და მოთხრობებში დახატულია ისეთი

ადამიანები, რომელთა ხასიათები და ყოფა-ქცევა ბევრს სხვა იმათ მსგავსსავე ადამიანებს მოგვაგონებს. ამისთანა ადამიანებს ტიპებს ეძახიან. ტიპები, რასაკვირველია, ბევრს სხვა-გვარ ნაწარმოებშიაც შეიძლება იყოს დასურათებული, რო-გორც, მაგალითად, პოემაში, დრამა-კომედიაში და სხვ.

რომანისა და მოთხრობის მწერალს, როგორც ბევრს სხვა-გვარ ნაწარმოების ავტორსაც, უმთავრესად ის მოეთხოვება, რომ შინაარსი მისის ნაწერისა იყოს საზალისო, ვით-რება მომქმედთა სულისა ღრმად დასურათებული, ხასიათი გარკვეული და საზოგადოდ ყოველივე მისი ნაამბობი შესა-ფერი და შესაბამი ნამდვილის ცხოვრებისა. შინაარსი მაშინ იქ-მნება სახალისო, როცა ავტორი ხერხიანად მოიგონებს და გადააბამს იმ სხვა და სხვა გარემოებათა, რომელთა შორისაც უნდა იჩინოს თვისი ხასიათი მომქმედმა ანუ რომან-მოთხ-რობის გმირმა და რომელთა შორისაც უნდა დასრულდეს მისი ბედი. ასეთს შინაარსს რომან—მოთხრობისას სუჟეტისაც უწოდებენ, ფაბულასაც. რომანში გარეგნობას გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს მომქმედთა მამა-კაცთა და დედა-კაცთა სუ-ლიერის მდგომარეობის დასურათებას, მათს ფსიხოლოგიას. ხოლო ამისათვის რომანისტმა ღრმად უნდა იცოდეს საზო-გადოდ ჭული ადამიანისა. იმისათვის-კი, რომ რომანის მწე-რალი სინამდვილეს არ ჰალატობდეს, საჭიროა მოქმედება გმირისა შეუწონოს ბუნებისა და სულის კანონებს: მიმდინა-რეობა არაკისა და შოგონილ ამბავისა სრულიად ბუნებრივი და შესაძლებელი უნდა იყოს, თითქო სრულიად მართალი და ნამდვილი ამბავიაო; დახასიათება თითოეულის მომქმედი-სა ისეთი უნდა იყოს, რომ მკითხველს ცხადად წარმოუდგეს თვალ-წინ სურათი იმ საზოგადოების ზნე-ჩვეულებისა, სიტ-ყვა-პასუხისა და განათლებისა, რა საზოგადოებაშიაც ტრია-ლობენ ნაწერში დასურათებულნი, დასასრული ამბავისა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მთავარ-მომქმედის ხასიათისა და სურვილის მიდრეკილებასა, არამედ შედეგი უნდა იყოს

არაკის ნასკვისა და მომქმედთა ხასიათისა და ყოფა-ქცევისა. თუ ნაწერში ისტორიის მოღვაწენი არიან დასურათებულნი, იმათი ხასიათი ისე უნდა იყოს განმარტებული, როგორც ისტორია მოგვითხრობს და მათი ხასიათი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს იმას, რაც ვიცით ისტორიით. მაშასადამე, ცხალია, რომ ვინც ისტორიულს რომანსა სწერს, ისტორიის ცოდნა იმისთვის საჭიროა, ხოლო ვინც ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელ რომანს მოჰკიდებს ხელს, იმისთვის საჭიროა ნიჭი ცხოვრების დაკვირვებისა და შეგნება მისის აზრისა და რთულის მიმღინარეობისა.

შენიშვნა. რომანის საჩელ-წოდება წარმოსდგა ქსრედ-წოდებულ რომან ულ ენისაგან, რომელზედაც დაიწერა პირველად ამისთანა თხზულება. მე-V საუკუნეში, ქრისტეს შემდეგ რომის იმპერიის ნანჯრევებზედ დაშვიდრედა ორმი გერმანელებისა; ეს ხალხი ყველაფერში რომაელებს ჰბაძავდა, რადგან რომაელი განათლებული ერი იყო. მათგან შეითვისეს გერმანელებმა, სხვათა-შორის, ლათინური ენაცა, ანუ რომაული ენა. ეს ენა შეერია გერმანელების ენას და ამ შერევისაგან გაჩნდა რომან ული ენა. რომანულს ენაზედ მე-X, XI და XII საუკუნეში დაიბადა რომანული ლიტერატურა, ესე, იგი რომანები და ნოველები (მოთხოვბანი), რომლებშიაც დასურათებული იყო ზნე-ჩვეულებანი და ყოფა-ცხოვრება რომანულ ერებისა. ხოლო რადგან შუა-საუკუნოები იყო დრო რაინდობისა, ამიტომ რომანებიც, დამსურათებელი შუა-საუკუნოების ცხოვრებისა, რაინდულ რომანებად იწოდება. შემდეგ, როცა რაინდობა გადავარდა და განვითარდა მშვიდობიანი საჩელმწიფო ცხოვრება, რომანში იხატებოდა, რაინდების ქველობა-გმირობის მაგიერ, ხვეულებრივი ცხოვრება თვრისის წვრილმანის საქმეებითა და ვნება-გულის-თქმითა. მაინც რაინდულ რომანების გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ შემდეგაც რომანებში იხატებოდა და იხატება ახლაც მომეტებულ ნაწილად სიყვარული და ტრიფიალება ქალის მიმართ—ეს უმთავრესი საგანი რაინდულ რომანებისა.

მე-XVI საუკუნის შიწურულებში დაიბადა სერგანტესი, რომელმაც თვისის დონ-კიხოტით მასხარად აიგდო რაინდობა და რაინდულ რომანების წერა. სერვანტესის შემდეგ გაძლიერდა სატირული რომანი. ინგლისმა მე-XVIII საუკუნეში შემოიღო წერა სამოძღვებო რომანებისა (დეფოს „რობინზონ კრუზონ“, რიჩარდსონის „კლარისა“ და ჰოლდ-სმიტის „ვექტოლდის მოძღვრის“). იმავე ქვეყანაში ვალტერ-სკოტმა შექმნა ამავე

დროს ისტორიული რომანი („აივენგო“, „კვენტინ-დურგარდ“ და სხვ.) ბოლოს ინგლისშივე დიკენსისა და ტეკკერეს წყალობით გაჩნდა ზე-ჩვეულების დამსურათებელი რომანები.

ი ღ ი ლ ი პ.

იდილია ბერძნული სიტყვაა და პნიშნავს პატარა სუ-რათს. იდილია ისეთი ნაწარმოებია, რომელშიაც პოეტი პხა-ტავს სადაცა და მდაბიო ცხოვრებას, შესანიშნავს თვისის სი-მარტივითა და გულ-უბრყვილოებითა, ძველს ბერძნებს უყ-ვარდათ დასურათება სოფლის ცხოვრებისა, რომელიც უფ-რო ბუნებრივია, ვიდრე მდიდრული ცხოვრება ქალაქ ადგი-ლებში დიდრაჯობითა, ფუფუნებითა და ნებივრობით. როცა ცრუ-კლასიკიზმი შემოვიდა მოდად, ევროპაშიაც დაიწყეს მიბაძვა ძველებისა და სხვათა-შორის იდილიების წერაცა. მაგ-რამ ევროპიელთა ნაწერებში ბევრი სიყალბეც ერია: ისეთს სურათებსა. პხატავდნენ ცხოვრებისას, რომელიც არსად არ-არსებობდა დედა-მიწის ზურგზედა; ასურათებდნენ ისეთის მაღალისა და კეთილ-შობილის გრძნობით გატაცებულ მწყემს კაცებსა და ქალებს, ისეთის ბედნიერებით მოსილებს, რომ-ლებისთანებსაც ვერსად იპოვიდა კაცი. როცა გადავარდა ცრუ-კლასიკური მიმართულება ლიტერატურაში, ასეთი იდილიებიც დავიწყებას მიეცა. ამ უამად იდილია ისეთი უნდა იყოს, რომ შეულამაზებლად, გაუზვიადებლივ იხატებოდეს შიგ გულ-უბრყვილო ცხოვრება ბუნებასთან დაახლოვებით მცხოვრებელის ხალხისა, ისეთის ადამიანებისა, რომელნიც კმაყოფილნი არიან თავიანთ თავისა, თავიანთ ბედისა და სია-მოვნებით, ბედნიერად სცხოვრებენ. თვით ის ადამიანებიც, რომელნიც ასე ახლო არიან ბუნებაზედ, იდილიურ ადამია-ნებად იწოდებიან.

იდილია ცალკე ფორმაა, განკერძოებული სახეა საეპიკო პოეზიისა, მაგრამ საზოგადოდ იდილიური მიმართულება შეი-

ძლება შეჰვდეს კაცს პოეზიის სხვა გვარ ნაწარმოებშიაცა: მოთხრობაში, რომანში, პოემაში და სხვ.

წმინდა იდილიური ნაწარმოები ჩვენს მწერლობაში არის, სხვათა-შორის, ლექსები რ. ერისთავისა, წოფლის ცხოვრების დასასურათებლად დაწერილები, როგორც მაგალითად: „ვაზის ჭირიმე“, „თინიას მამითადი“, „აღდგომა“, „ბზობა“, „ზამთარი“, და სხვ. იდილიური ადგილები შეგხვდებათ აგრედვე ილრა ჭავჭავაძის პოემაში „კაცო ყაჩალი“, საცა აწერილია მწყემსთა ცხოვრება ძროხაში ყოფნის დროს, „კაცია-ადა-მიანში“ — განცხრომით ცხოვრება ლუარსაბ-დარეჯანისა, ცხოვრება უზრუნველი, უდარდელი, უფიქრელი, სავსე სია-მოვნებით თვით ლუარსაბ-დარეჯანისათვის.

ა რ ა კ ი.

არავი ისეთი სამოძღვრებო, იგავად მოთხრობილი ამბავია, რომელიც ჰქატავს კაცთა ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენას. არაკში იგავიც არის, ესე იგი სიტყვა-გადა-კვრით თქმული რამ ამბავი, ანუ ალეგორია და სამოძღვრებო, საზნეობო ჭეშმარიტებაცა ანუ მორალი, მოთხრობილან მომდინარი. ავიღოთ, მაგალითად, არაუ „კუ და მორი-ელი“, საბა სულხან ორბელიანისა. ამ არაკში მოთხრობილია, რა სიკეთე გაუწია კუმ მორიელსა და როგორ გა-დაუხადა სამაგიერო მორიელმა ამ სიკეთისათვის. ამ არაკით დამწერი ცხადად გვეუბნევა, რომ კაცთა-შორისაც ბევრია ისეთი, რომელიც სიკეთისათვის ბოროტს მიაგებს ხოლმე ამ-ხანაგს და დიდს უმაღურებას იჩენს. სამოძღვრებო და საზნე-ობო ჭეშმარიტება, რომელიც ამ არაკიდან გამომდინარეობს, ის არის, რომ ადამიანი არ უნდა იყოს უმაღური და ბოროტი. იმავე ორბელიანის არაკში „წერო და მელია“ ნაამბობია, როგორ მიიწვია მელიამ წერო და პატივი-კი არა სცა-რა,

მოატყუა ცბიერობით და მერე სამაგიეროდ როგორ გადუხადა ასეთის უგვანის მასპინძლობისათვის წერომ მეღლას. კაცთა ცხოვრებაშიაც ხშირია ასეთი ამბავი. მაგალითად, კაცი კაცს ელაქუცება, პირ-ფერობით ექცევა, ვითომ პატივი უნდა სცეს და გულში-კი სულ სხვასა ჰფიქრობს, უნდა გამორჩეს რასმე, დასცინცლოს რამე, უნდა თავისი საქმე გაირიგოს. ასეთი კაცი თავის თავს ატყუებს, რადგან მაღლე მიუხვდებიან ხოლმე ცბიერობას და სამაგიეროს უხდიან სწორედ ისევე, როგორც წერომ გადუხადა სამაგიერო მეღლის.

არაკი პირველად გაჩნდა ცხოველთა ეპოსიდან. ეს არის მიზეზი, რომ არაკში უფრო ცხოველ-პირუტყვთა შესახები ამბავია მოთხრობილი სიტყვა-გადაკვრით, ნართაულად, თორემ ნამდვილად-კი ადამიანთა ცხოვრება იგულისხმება. შემდეგ, ცხოველ-პირუტყვთა გარდა, იგავ-არაკში ჰმოქმედობენ არა მარტო ნადირ-პირუტყვნი, არამედ მცენარენიცა, ქვანიცა, ცეცხლიც-კი (იხ. ს. ს. ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუვე“). ბოლოს არაკში იგავის მასალად ადამიანთა ცხოვრებაც გამოიყენეს მწერლებმა.

უცებ არ გაჩნდა ის არაკნი, რომელთაც ახლა ვხედავთ. ჯერ პირუტყვთა-მიერი ეპოსი არსებობდა, რომელიც არაფრითა ჰგავს ნამდვილ არაკსა. იქ არავითარი იგავი ანუ ალე-გორია არ არის, არა იგულისხმება-რა სიტყვა-გადაკვრით. პირუტყვნი ნამდვილნი პირუტყვნი არიან და იმათი ზნეხასიათი იხატება და სხვა არაფერი. აფრედვე არც მორალია რამე შიგ ჩაქსოვილი, საზნეობო რამ ჭეშმარიტება და მოძლვრება. ცხოველთა-მიერი ეპოსი გულ-უბრყვილო, მარტივი ამბავი და მოთხრობაა იმისი, რაც სწამდა და სჯეროდა ხალხს ნადირ-პირუტყვთა შესახებ. ამ ამბავს სრულიად არა ჰქონდა ის განსაკუთრებული აზრი, რომ ადამიანს თავის თავზედ დაეხედნა, თავის ამბავს ჩაპკვირვებოდა; აზრად არა ჰქონდა ადამიანთა სასაცილოდ აგდება და ჭკუის სწავლება, ზნეობის გასწორება. ალეგორია და მორალი შემდეგ

იქმნა ჩართული ცხოველთა შესახებს მოთხრობაში იმ აზრით, რომ შედარებითა და მაგალითთა უფრო ცხადად დავანახვოთ ხალხს თვისი ნაკლულევანებანიო. ხელოვნებით დაწერილი არაკი სარკესა ჰგავს, რომელშიაც აღამიანი ჰხედავს თავის თვისის ლირსებითა და ნაკლულევანებით.

პირველნი არაკი უწერია ეზოპოს (ბერძენია მწერალს), რომელიც ქრისტეს დაბადების წინადა სცხოვრობდა. შემდეგ უწერია რომაელი ფედრას (დაიბადა 60 წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე), მაგრამ ამათი არაკი ისეთის ძლიერებით არა ჰმოქმედობენ მყითხველზედ, როგორც ახალ მწერლების არაკი. იმათ ნაწერებში თვით ამბავი და არაკი მეტად მოკლედ არის მოთხრობილი, ხოლო გაჭიანურებულია სამოძღვრებო ნაწილი, ის ადგილი, საცა მორალია გამოთქმული. ახალმა მწერლებმა-კი მეტი ყურადღება მიაქციეს თვით ამბავს, მის ცხოვლად, ცოცხლად და სურათულად მოთხრობას. როცა არაკი ასეა მოთხრობილი, ესე იგი ცხოვლად, მოკლედ მოჭრით, სხარტად, და ნიჭიერის კალმის მოსმით, მაშინ არაკს აღარაფრის მიმატება აღარ უნდა: არც თავია მისატმასნებელი იმის აზრის მისახვედრად, არც ბოლო, რაღვან ცხადად ვხედავთ, რა არის არაკში სასაცილოდ გამხდარი და რა არის ჭკუა-ზნეობის მასწავლებელი: ასეთის არაკის მწერლები არიან: ჩვენი საბა-სულ-ხან ორბელიანი, მეთვრამეტე საუკუნის მწერალი, საფრანგეთის მწერალი ლაფონტენი (მეთვრამეტე საუკუნეშივე) და რუსების კრილოვი.

გ ა ლ ა დ პ.

ბალადა ეწოდებოდა პირველში პატარა ლექსი, რომელსაც სიმღერით ამბობდნენ ცეკვა-თამაშობის დროს. ასეთი იყო ბალადა ძველად ზერძნებსა და რომაელებში. ამ სახით ვე გაჩნდა ბალადა შემდეგ შუა-საუკუნოებში. საფრანგეთსა.

საფრანგეთის პოეზიის მაშინდელნი წარმომადგენელნი ანუ ტრუბადურები (ჩვენებურ მესტვირეთა მზგავსნი) ხშირად ამ-ბობდნენ ამისთანა პატარ-პატარა ლექსებსა სიმღერით წვეულო-ბისა და ლხინის დროს, როცა ცეკვა-თამაში გაიმართებოდა. სა-ფრანგეთის ბალადაში ჩაერთო მხოლოდ ნიშნობლივი თვისება შუა-საუკუნოებისა — საკვირველი, საოცარი და ფანტასტური ელემენტი. ასეთივე ბალადა იქმნა აღდგენილი მე-XIX საუ-კუნეში გერმანიის მწერლების მიერ (შილერი, გიოტე, ულან-დი). საზოგადოდ, ბალადის შინაარსია რომელიმე თქმულება ხალხისა.

ამ სახით, ბალადა ეწოდება დღეს შატარა საეპიკო მოთხოვნას, რომლის შინაარსი დამყარებულია ხალხის რომელსამე რწმუნასა და თქმულებაზედ და თან შიგ ურევია საკვირველ-საოცარი და საფან-ტასტიკო ელემენტი. ასეთია, მაგალითად, ბალადა რ. ერისთა-ვისა „ქალი-აყვანა“, რომელშიაც ნაამბობია, ვითომ ერთს მწყემსს შეუყვარდა ერთი ლამაზი მწყემსივე ქალი და ამ ქალ-მაც სიტყვა მისცა, ცოლად გამოგყვებიო, თუ ამა და ამ გორაზედ ამიყვან ზურგზედ წამოკიდებით და თან სალამურის კვრითაო. მწყემსი დასთანმხდება, აიყვანს გორაზედ ქალს, მაგრამ, ავა თუ არა, იქვე სულს განუტევებს დაღლილობი-საგან. ბალადის მაგალითად შეგვიძლიან დავასახელოთ კიდევ „გორის ციხე“ აკაკისა. აქეც საარაკო ამბავია მოთხოვნა: ვითომ თამარ-მეფე სდგას იმ გორაზედ; რომელზედაც ეხლა გორის ციხეა აგებული და ამ დროს მისი ჯარი ნაღიმობაშია: გართული. თამარ შეამჩნევს გალმა გორაზედ შავარდენს და ბრძანებს, ის შავარდენი მომიყვანეთო. ყველას უნდა თა-ვი ისახელოს მეფის წინაშე და მოჰვევაროს შავარდენი, მაგ-რამ მტკვარი აღიდებულია და ვერავინ ჰბედავს გალმა გასვ-ლას. ბოლოს ერთი ყმაწვილი კაცი გადასდებს თავს და აღა-სრულებს მეფის ბრძანებას. ის არის გამოდის წყლიდან ჭა-ბუკი, შავარდენიც ხელში უჭირავს. თამარი შეამჩნევს, რომ მისი გული ვნებით არის შეპყრობილი და შეეხვეწება ღმერთს,

განსაცდელს გადამარჩინე, უბიწოების აღთქმა მაქვს დადებულიო. სწორედ ამ დროს წყალი ჩანთქავს გატედულს ჭაბუკს. მეფე ბრძანებს ამ აშშის სახსოვრად გორის-ციხის აგებას.

ბალადების ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს აგრედვე ჩვენს მწერლობაში ლექსები ცახელისა: „მარინე“, „ზალ“ და სხვ. („ნობათი“ 1884 წლ. სანიმუშო ნომერი, გვ. 44 და „ნობათივე“ № 1, გვ. 83).

ისეთს ბალადებს, რომელთაც გამოხატულია რომელიმე რწმუნება ანუ თქმულება და გარდშეცემა ამა თუ იმ ერისა, ეწოდება ერთგნული ბალადები. „ბაზალეთის ტბა“ ილია ჭავჭავაძისა და „ქალი აყვანა“ რ. ერისთავისა ქართველთ ეროვნული ბალადებია.

საუკეთესო ბალადები მსოფლიო ლიტერატურაში: „ლენორა“, ბიურგერისა, „ტყის-მეფე“ გიორგისი, „ჰაბსბურგელი გრაფი“ შილლერისა, „თასი“ მისივე.

2. სალირიპო პოეზია.

სალირიგო პედაგიას ანუ ლითეგის ეკუთვნის ყველა ის ნაწარმოები, რომელშიც იხატება გრძნობა თვით პოეტისა, მისი სული და გული. თვით პოეტის გრძნობათა ლელვაა საფუძველი და მიზეზი სალირიკო ნაწარმოებისა. ნამდვილი და ჭეშმარიტი სალირიკო ნაწარმოები ის არის, რომელიც თავიდან ბოლომდე გრძნობით არის გამსჭვალული, გრძნობით არის გამთბარი. ამისთანა ლექსისას იტყვიან ხოლმე, ლირიზმით არის სავსეო.

სალირიკო ლექსი ჰხატავს, რა გუნებაზედ ყოფილა პოეტი მის დაწერის დროს, რა გრძნობას ჰქონია შეპყრობილი მისი გული. ეს არის მიზეზი, რომ ამისთანა ლექსები შედარებით პატარა და მოკლეა ხოლმე. გრძნობა აღამიანისა ბუნებითვე ხანგრძლივი არ არის, ფრიად მოძრავი და ცვალებადია, სწრაფ-წარმავალი, მეტადრე ძლიერი გრძნობა და ამიტომ

მისი გამოთქმა მხოლოდ რამდენისამე სიტყვით შეიძლება, რამდენისამე ტაეპით. გაჭიანურება აწყალ-წყალებს გრძნობას და სიკვდილია სალირიკო ლექსისათვის.

სალირიკო პოეზიაში გამოთქმული კერძო გრძნობა პოეტისა უნდა იყოს საზოგადო-საკაცობრიოცა, საყოველთა-ოცა, არა პირადად მარტო პოეტისათვის, არამედ ყველას-თვის გასაგები, ყველას გულის აღმძვრელი. უამისოდ ლექსში პოეზია არ იქნება, რადგან პოეზიის დანიშნულება საზოგა-დოდ ის არის, რომ კერძო რამ გარემოებით, მოვლენით იხატებოდეს საზოგადო - კაცობრიული გარემოება და მოვ-ლენა. თვით გრძნობა უნდა იყოს წრფელი, პოეტის მიერ გამოცდილი, თორემ სიყალბე დაემჩნევა, ხოლო პოეზიას უყვარს გულ-წრფელობა, სინამდვილე.

სალირიკო ნაწარმოები ჩვენს მწერლობაში მრავალია. მომეტებული ნაწილი გრ. ორბელიანისა, ნ. ბარათაშვილისა, აკაკისა და ბაჩანას ლექსებისა დიდის ლირიზმით არის დაწე-რილი. სალირიკო ლექსები ბლომად უქვს აგრედვე ილია ჭავჭავაძეს, რ. ერისთავს, ვაჟა-ფშაველას და სხვათა.

წმინდა სალირიკო ლექსებია. არა მარტო ის ლექსები, რომელშიაც პოეტი თავის გრძნობას ჰხატავს პირდაპირ, რო-გორც, მაგალითად, „ფიქრი მტკვრის პირზედ“, „შემოლა-მება მთაწმინდაზედ“, „ჩემს მერანს“, „სული ობოლი“, ნ. ბარათაშვილისა, „აღმართ-აღმართ“, აკაკისა „გაზაფხუ-ლი“, ილია ჭავჭავაძისა და მრავალი სხვა, არამედ ისეთი ლექსებიცა, რომელშიაც პირდაპირ არა არის-რა თქმული თვით პოეტის გრძნობის შესახებ, მაგრამ მაინც შიგ იხატება მისი გრძნობა, სჩანს ლელვა მისის სულისა, სჩანს ის გუნება, რა გუნებაზედაც ყოფილა მაშინ, როცა დაუწერია ის ლექსი და შეუქმნია ის სურათი, რომელიც ცხადად გვიყენებს თვალ-წინ, რა გრძნობათა ქარ-ტეზილიც გამოუვლია პოეტს. ნიმუ-შად ამისთანა ლექსებისა შეიძლება დავასახელოთ შემდეგი ლექსები: „მუშა ბოჭულაძე“ გრ. ორბელიანისა, „ნანა“, „

„იანიჩარ“, „გუთნის დედა“ ილია ჭავჭავაძისა, „სამშობლო ხევსურისა“ რ. ერისთავისა, „იავ-ნანა“ აკაკისა, „ტყვის სიმღერა“ ბაჩანასი და სხვ. ამ ლექსებში პოეტები თავისას არას აბმობენ, მთლად ლექსები-კი გამობარია საკუთარის მათის გრძნობით, მთლად მათი შინაარსი აღბეჭდვაა მათის სულის მდგომარეობისა და გულის მოძრაობისა. ლირიზმი ამ ლექსებისა პირდაპირ არ არის გამოთქმული, ხოლო შექსოვილი, და ჩაწერული აქვს იმ სურათსა, რომელსაც პოეტი გვიხატავს. რომ ეს ლირიზმი არსებობს ამ ლექსებში, ამას ჰმოწმობს ის გარემოება, რომ მკითხველიც იმსჭვალება იმ გრძნობით, რომ მელიც ჰარმონიულის ჰანგებით პოეტის გულიდან ამოდის მის მიერვე შექმნილ პოეტურ სურათთან ერთად.

რაც ვსთქვით ლირიკის შესახებ, იმის მიხედვით ადვილი ასალსნელია, რა განსხვავებაც არსებობს ეპიკასა და ლირიკას შორის:

ა) ეპიკაში რომელიმე ამბავია მოთხრობილი, ან დასურათებული, ისეთი ამბავი, რომელიც პოეტის გარეშე (ვეფხვის ტყაოსანში ნამბობია, როგორ დაპყარება ტარიელმა ნესტან-დარეჯან, როგორ ეძებს და როგორ ჰპოვებს); ლირიკაში-კი, პირ-იქით, დასურათებულია არა გარეგანი რამ საგანი, არამედ შინაგანი ცხოვრება აღამიანისა, მისნი გრძნობანი, მისი სული და გული.

ბ) საეპიკო პოეზიაში მოთხრობილია წარსული ამბავი და, თუნდა ადამიანის გრძნობანიც იხატებოდეს ამ მოთხრობით, მაინც ყოველივე ეგე წარსულს ეკუთვნის. სალირიკო პოეზიაში-კი იხატება, პირ-იქით, ის, რასაც ჰგრძნობს პოეტი ახლა, ამხანად, იმ დღეს, რა დღესაც სწერს თავისს ლექსს.

გ) ეპისში პოეტი თითქმის სულ არა სჩანს, იმის კერძო გრძნობასა და აზრს ვერ უამჩნევთ, ან ვამჩნევთ ოდნავ. ლირიკაში-კი, პირ-იქით, უმთავრესად პოეტსა ვხედავთ, რადგან აქ ის თავის საკუთარს გრძნობასა ჰხატავს, თავის სულსა და გულს გვიშლის თვალ-წინ. ამიტომ სალირიკო პოეზიას უწო-

დებენ სუბიექტი ივურსა ანუ სუბიექტი ივსა, ხოლო საეპიკოს — ობი-
ექტი ივურსა ანუ ობიექტი ივსა.

საერო ლირიკა და საერო ლიმსის დარჩნი

ეპოსივით საერო ლირიკაც პირველად ხალხში ჩნდება
და ჰეთატავს მის სხვა-და-სხვა თერმინობას, რომელსაც იწვევს
ბუნებისა, სარწმუნონებისა და ცხოვრების ვითარების ზედ-მოქ-
მედება. ეს გრძნობანია დასურათებით გამოთქმული საერო
ლექსებში.

უკელაზედ ძველი საერო ლექსი ის არის, რომელშიაც
იხატება ადამიანის, სულის მდგომარეობა ბუნების ზედ-გავლე-
ნითა ამისთანა ლექსებს სამითა, ანუ მითის მიერთ ლექსები
ეწოდება, რაღან მათში უმთავრესად ბუნებაა განცხოველე-
ბული, გასულდგმულებული და შიგ დარჩენილია ნაშთი სა-
ერო რწმუნებათა და წარმართობის წეს-რიგისა; ამ ლექსებს
ეწოდება აგრძელებელი საფეხულეო, რაღან სიმღე-
რით ამბობს ხალხი და ზედ-ცეკვა-თამაშობასა ჰმართავს. ნი-
მუშად ამისთანა ლექსებისა შეიძლება დავასახელოთ შემ-
დეგნი:

იავ-ნანა, ვარდო ნანა, იავ-ნანინაო!

აქ ბატონები მობრძანდნენ, ვარდო ნანინაო!

მობრძანდნენ, მოეფინენო, იავ-ნანინაო!

ბატონებო, ღვთიანებო, ვარდო ნანინაო!

თქვენი გზა დაგვალოცვინეთ, იავ-ნანინაო!

აგრემც თქვენ გაგიხარიათ, ვარდო ნანინაო!

ჩვენს ავადმყოფს მოულხინეთ, იავ-ნანინაო!

იასა ვკრუბ, ვარდსა ვკონავ, იავ-ნანინაო!

თქვენს კვალს მოვფენ და შევამკობ, ვარდო ნანინაო!

სად მიხვალ, წყალო, მდინარო,

ნაწურო მალლის მთისაო,

ჩამთქმელო. ლურჯაისაო (ცხენისა)?

ნაპირზედ გამომტანელო.

ჭუდისა, მათრახისაო!

ამბობენ ბეწვის ხილისა,

რა ძნელი გასავლელია!

ტრედივით გადაჰტრინდება,

ვინც რომ მაღლისა მქნელია!

დანარჩენი მითის მიერნი ანუ. საწეს-რიგო ლექსები იხ. წიგნში „ფშაური ლექსები, შეკრებილი დავ. ხიზანაშვილის მიერ.

საწეს-რიგო ლექსებს გარდა, ხალხში გაჩნდა ისეთი ლექსებიც, რომელშიაც იხატება გრძნობა ერისა, ცხოვრების სხვადა-სხვა გარემოებით გამოწვეული. ისეთს ლექსებს ეწოდება უოფა-ცხოვრებისა და ზე-ჩვეულების ლექსები, იმიტომ რომ მათში გამოთქმული გრძნობანი დმქვემდებარებული აქვს ხალხის ზე-ჩვეულებას, ყოფა-ცხოვრებას. აა ნიმუშები ამისთანა ლექსებისა!

კარგს ყმას შეჰყვარდი, ქალაო,

ნუ—სახლსა, ცხვარ-ბევრისასა:

ბევრიც ცხვარი და ქონება

მუხლს მოაქვა კარგის ყმისასა!

ლვინოი მათრობელი სჯობს,

ძალლი—ბინაზედ მყეფარი;

ვაჟკაცი წყნარი სჯობია,

რა გაჭირდება—მჭეხარი;

არც ვარგა ქალთა მიმყოლი,

ჩალად არა ჰლირს მკვეხარი!

ვაჟკაცია გული რკინისა,

აბჯარი უნდა ხისაო,

თვალნი ქორებულ მხედავნი,

მუხლები შავარდნისაო..

როსტომ სთქვა: ჭკვა ღიაცისა
არც მომწონს, არც შეკეთება;
ვაუკაცს, დიაცის მჯერესა,
სამარემუ ღაეკვეთება! (არ ელირსება).

ნატავი ღამიწუნებდეს,
ღამანებე' დეს თავსაო:
ვივლიდი ლაშარ-ღელესა,
ვაჟებს ვავლებდი თვალსაო;
მაშინ ხომ შავეყრებოდი
ჩემის გუნების ქმარსაო!..

(იხ. აგრეთვე „ფშაური ლექსები“ გვ. 225 „ქართლიდან გამოვთხოვდი“ და სხვ. გვ. 141 — „მე რომ რძალი მოვი, ყვანე“ და სხვ.)

ამ ლექსებში იხატება ზნე-ხასიათი ჩვენის ერისა, მისი ყოფა-ცხოვრება, საოჯახო მდგომარეობა; დახასიათებულია მისი აზრი და ფიქრი ამა თუ იმ საგნის შესახებ, მისი სიხარული და მწუხარება სხვა-და-სხვა შემთხვევასა და გარემოებაში. ზოგში იხატება მდგომარეობა მანდილოსნისა და ქალისა საზოგადოდ, რომელსაც ხშირად ისრე ექცევიან, როგორც ნივთს და მის გრძნობა-სურვილს არაფრად აგდებენ. საერო ლირიკაში შეგხვდებათ აგრეთვე ლექსები: საქმარი, საზნეთ და სამოძღვრონი, საქორწინონი და სხვ.

საზოგადოდ, საერო ლექსების დამახასიათებელი და ნიშნობლივი თვისებაა: 1) შინაარსის მხრით ღრმა და ძლიერი გრძნობა, რომელიც ამასთანავე მშვიდია და წყნარი; 2) გარეგანის მხრით: ა) მარტივად და სადად გამოხატვა აზრისა და გრძნობისა პოეტურის სურათიანობით; ბ) სიმრავლე შედარებისა, მიშვევავებისა, მუდმივ ეჭიტეტებისა, ერთის სიტყვით, ხშირი ხმარება ტროპისა და ფიგურისა. აი, მაგალითად, ნიმუშები ამისთანა ლექსებისა:

აიქამდე გაგემარჯვება.

ხმალნი რომ ჩავლენ გელასა,

მოციქულობენ ტყვიანი,
შუბნი იქნევენ ენასა!

ხდალს ნუ ჩაჭხედავ, მოყმეო;
ხმალი მ.შ.ე.რ.ი მგელია!
გაგიჭრის, გაგაზალისებს,
ბოლოს საფლავის მთხრელია!..

ვაჟკაცია, ტყვითა დაჭრილსა
არ უნდა ზიარებაო!

შატილში ხოხობ გადიდნა,
გულ-დინჯალ დაჯდა ჯარზედა;
შვილნი მოზარდნა—წიწილნი—
არწივის ნაბუღარზედა!..

დაგიხვდნენ ფშავლის-შვილები—
არწივნი მაღლის მთისანი.

(იხ. აგრელვ „ფშაური ლექსები“ გვ. 98 „ფშავეთს ვაჟკაცი კვდებოდა, მზე წითლდებოდა, ცხრებოდა“ და სხვ. გვ. 167, 259.)

ამ გვარად, ამ ნიმუშად მოღებულ ლექსებიდან ცხადადა სჩანს, რაც არის საერო ლექსი, საერო ლირიკა. საერთო ლექსი ისეთი საფინიკო ნაწარმოებია, რომელშიაც ხალხი მარტივად და სადად ჭხატავს თავის გრძნობას და სულის მდგრმარეობას აფერა-დებულის პოეტურის ენითა და თან ჭხატავს დიდის სიდინჯითა და გულ-დამშვიდებით.

ხელოვნურის ლირიკის დარჩნი.

უმთავრესი დარგი ხელოვნურის ანუ სალიტერატურო ლირიკისა არის ლექსი, დაწერილნი საერო კილოზედ, და, კლებია და სატირა.

საერო კილოზედ დაჭმრილი ლექსი.

საერო კილოზედ დაწერილი ლექსი სახალხო ლექსების მიბაძვით გაჩნდა. განსხვავება ამისთანა ლექსისა სახალხოსაგან ის არის, რომ ერთის კაცის დაწერილია და არა ერთს შეთხული, ქაღალდზედ დაუწერლად. თუ დამწერს ცოტად თუ ბევრად საკმაო განათლება აქვს, შეუფისებია ერთს სული და გული, შეუგნია ხასიათი საერო პოეზიისა და ნიჭიც შესწევს, იმისი დაწერილი ლექსიც უფრო ემგვანება სახალხოსა. ხახალხო კილოზედ ლექსების წერა საზოგადოდ ადვილი არ არის: არა მარტო გარეგნობით უნდა ჰგვანდეს ასეთი ლექსი სახალხოსა, არამედ სულიც უნდა ტრიალობდეს შიგ სახალხო ლექსისა და სახალხო პოეზიისა. ამიტომ არის, რომ სახალხო ლექსებს ბევრი სწერს, მაგრამ ნამდვილი, ჭეშმარიტი სახალხო პოეტი ფრიად იშვიათია.

ჩვენში პირველად დ. გურამიშვილმა დაიწყო წერა ლექსებისა საერო კილოზედ, ჩვენს დროს—რ. ერისთავმა. შემდეგ სწერდნენ ასეთს ლექსებს ბაჩანა და ი. დავითაშვილი. რ. ერისთავის ზოგიერთი ლექსი ძრიელა ჰგავს სახალხოსა. აგრედვე ი. დავითაშვილისა, ბაჩანასი, ვაუა-ფშაველასი, ი. დავითაშვილის ზოგიერთს ლექსს სახალხოსაგან ვერც-კი გამოარჩევს კაცი. ჩვენ აქ დავასახელებთ მხოლოდ რამდენსამე ლექსს:

რ. ერისთავისა: „სამშობლო ხევსურისა“, „თინიას მამითადი“, „ვაზის ჭირიმე, ვაზისა“, და სხვ.; ბაჩანასი: „მუხა“, „ფშაურის ქალის ტირილი“, „ტყვის სიმღერა“, „შემღამება მგზავრისა“ („დროება“ 1884 წ.) და სხვ.; ი. დავითაშვილისა: „ჯეჯილი“, „ყანა“, „თამარ დედოფლის ლექსი“ და სხვ. „ჩემო ლამაზო ბეკეკა“, აკაკისა „ბერ-ფური“, მისივე. საერო კილოზედვე სწერს ლექსებს თ. რაზიკაშვილი. ასეთია, მაგალითად, მისი ლექსი „ატირდა ხარი ნიკორა“ („ჯეჯილი“ 1895 წლ.)

შენიშვნას საზოგადოდ, სალირიკო ლექსების განხილვის დროს, სა-
ერთ კილოზეა დაწერილი თუ სხვანაირად, უნდა გარკვეულ იქმნას: რა გრძნო-
ბაა გამოთქმული ამა. თუ იმ ლექსში? რას გამოუწვევია ეგ გრძნობა და
როგორ არის გამოხატული?

ო დ ა

ადა ეწოდება ისეთს სალირიკო ლექსს, რომელშიაც
გამოთქმულია ძლიერი და აღფრთოვანებული გრძნობა, გა-
მოწვეული ან რომელისამე დიდებულის საგნის ხილვით, ან
შესანიშნავის ამბის გახსენებითა და გაგონებით. რომელი
ოდაც უნდა აიღოთ, პნახავთ, რომ შიგ იხატება პოეტური
აღტაცება და აღფრთოვანება, დაბადებული პოეტის გულში
ან ლვთის დიდების გახსენებით, ან ბუნების რომელისამე დი-
დის მოვლენით, ან ხელოვნების საუცხოვო ნაწარმოებით, ან
სხვა რამ შესანიშნავის ქველის საქმითა და ლვაწლითა. მაგა-
ლითად, ლექსი გრ. ორბელიანისა „ფსალმუნი“ ვამოწვეულია
ლვთის სისრულითა და დიდებით. ამისთანა ლექსს ეწოდება
საგაფლებელი ანუ ჭიმნი; ლექსნი-პოემანი ჩახრუხაძისა და შავ-
თელისა, დაწერილნი თამარ-მეფის საქებრადა და შესამკობად,
გამოწვეულნი ამ დიდებულის გვირგვინოსანის ბრწყინვალე მე-
ფობით; ეწოდება შესხმა ანუ ხოტბა. პოეტი ამისთანა ლექსით შე-
ამკობს იმას, ვინც ანც ციფრებს ქვეყანას თვისის გმირობით, ქვე-
ლის საქმეებითა და სხვა სიკეთებს თესვითა. ლექსი აკაკისა
„რუსთაველის სურათზედ“ ანუ ილ. ჭავჭავაძისა „ნ. ბარათა-
შვილს“ ოდაა და შვიხატავს იმ გრძნობას, რომელსაც იწვევს
დიდი ნიჭი კაცისა. ასეა ყველა ოდებში და ამით აიხსნება ის
გარემოებაცა, რომ ოდების ენა განსაკუთრებულია, საღალ-
დისო, დიდებული ცოტად თუ ბევრად: აღფრთოვანებულს
გრძნობას ენაც შესაბამი უნდა გამოსათქმელად.

ამ მხრივ გადაჭარბებულიცაა ენა შავთელისა და ჩახრუ-
ხაძისა, რომლების ოდებშიაც მეტად გაჭიანურებით და უზომო

ლალადისით არის გამოთქმული ქება-დიდება თამარ-მეფისა და გრძნობა განცვიფრებისა მის წინაშე. აი ნიმუში ერთისაცა და მეორეს ოდის ენისაცა:

შავთელისა:

ძე აღაშისი, მსგავსად ამისი, ვისცა ეხილვინ, მამცნონ სად არი? ღმერთმან სამოთხით, მოგვცა სამ-ოთხით, ეთერ-ბრწყინვალე, მზებრ სადარი. აღმოსავლეთით და დასავლეთით, სამხრეთ ჩრდილომდის ჰპოვნა სად არი? ზესკნელს ქვესკნელით და გარესკნელით, უკანასკნელით უფსკრულს სად არი? და სხვ.

წაკითხულ იქმნას კიდევ სხვა აღგილები შავთელის შესხმისა, დაბეჭდილი „დამატებაში“.

ჩახრუხაძისა:

თამარ-წყნარი, შესაწყნარი, ხმა-ნარნარი, პირ-მცინარი, მზე-მცინარი, საჩინარი, წყნარი-ქმნარი, მომდინარი; მისთვის ქნარი, რა არს ქნარი, არსით მთქნარი, უჩინარი, ვარდ-შამბნარი, შამბ-მაღნარი, ღაწვ-მწყაზარი, შუქ-მფინარი! და სხვ.

წაკითხულ იქმნას კიდევ ის აღგილები ამ ხოტბისა, რკო-მელიც დაბეჭდილია „დამატებაში“.

ოდაა აგრეთვე ლექსი, ღაწვერილი, როგორც ამბობენ, გოლერძი ფირალაშვილის მიერ „გლოვა მეფის ირაკლისა თუშ-ფშავ-ხევსურთაგან“: „ალსდეგ, გმირთ-გმირო, ნუ გძინავს „...

შენიშვნა. ოდა პირველად გაჩნდა საბერძნეთში და ეს სახელ-წოდება მითვისებულ ექმნა შესამკობელს ლექსს, გამოთქმულს ღმერთთა, გმირთა და შესანიშნავ კაცთა საქებრად. ბერძნულს ოდას დაპმლერდნენ ჩანგზედ (ლირა) და აქედან გაჩნდა სიტყვა ლირიკა, რაიცა პნიშნავს მთელს კრებულს იმისთანა ლექსებისას, რომელნიც პხატვენ თვით პოეტის სულსა და გულს. გამოჩენილი მწერალი ოდებისა ძველ საბერძნეთში იყო პინდარი (522—490 წ. ქ. დაბადებამდე). პინდარი დაპმლერდა ჩანგს და უგალობდა ქებას იმათ, ვინც გაიმარჯვებდნენ ამა თუ იმ საერო დღეობაში ვაჟკაცობითა და ხელ-ფეხის სიმარდითა. პინდარს პბაძავდა რომში პორაციუსი (იმპერატორ აგვისტოსის დროს სკეოვრობდა). იმის ოდებში მსჯელობა ერთა ბევრი, დიდაკტიკა. ევროპაში ოდასაც ის დაემართა, რაც პოემას: ცრუ მიმართულება მიიღო, რადგან პირდაპირ პბაძავდნენ რომაელ-ბერძენთა ოდების მწერლებსა. საფრანგეთის სწავლულმა

და პოეტმა ბუალომ (ლუდოვიკო მეXIV დროს) ცალკე თხზულებაც-ჭადასწერა ხელოვნების შესახებ და განმარტა, რა წესითა და რიგით უნდა იწერებოდეს ოდები ბერძნულ-რომაულ ოდების მიხედვითათვ. ბოლოსა და ბოლოს ეს ცრუმიმართულება უარ-ყოფილ იქმნა, ძველების მიბაძვას ბრმად; მონურად თავი დაანებეს და გაჩნდა ოდა ბუნებრივი, როგორც, შინაარსით, ისე ფორმითაც. ასეთი ოდები უფრო სალირიკო ლექსია, უიღრე რდა. ამისთანა ლექსებია, მაგალითებრ, ჩვენს მწერლობაში: „რუსთაველის სურათზედ“, აკაკისა, „ნ. ბარათაშვილს“, „ილ. ჭავჭავაძისა“, „ნაპოლეონ“, ნ. ბარათაშვილისა, „საფლავი მეფის ირაკლისა“, „მისივე“, „სადლეგრძელო“, გრ. ორბელიანისა, რომელშიაც უაღრესობით არის გამოთქმული ფრთა-შესხმული სიყვარული მამულისა და ამიტომ ამ ლექსს შეიძლება ეწოდოს პატრიოტული რდა.

ე ლ ე გ ი ა

ელეგია ეწოდება ისეთს სალირიკო ლექსს, რომელიც ჰქატავს პოეტის მწუხარებას, ნაღვლიანობას. ასეთია, მაგალითად, ლექსი „გაზაფხული“ ილ. ჭავჭავაძისა, „რაკი შენდამი, ჰოი მამულო, ვსკან სიყვარული“, მისივე, „მკრთალი ნათელი“, მისივე; ამ ლექსში იხატება მწუხარება პოეტისა, გამოწვეული იმ გარემოებით, რომ ქვეყანა მისი დაცემულა, შილს მისცემია და ტანჯვისა და კვნესის ხმის მეტი გარშემო აღარა ისმის-რა. ლექსი თავდება ასეთის უიმედობით:

ოჳ, ღმერთო, ღმერთო! სულ ძილი, ძილი,

როსლა გველირსრას ჩვენ გაღვიძება!

ასეთივეა ლექსი აკაკისა: „ახალი წელი“. ამ ლექსში პოეტი ამბობს, რომ ახალის წლისგან საიმედოსა და სანუგეშოს არას ველიო, ძირ-მწარე მასვა წარსულმა, აწმყოც ნუგეშს არას მაძლევს და მომავალი რაღა სიკეთეს მომიტანსო? ასეთივეა ლექსი ნ. ბარათაშვილისა: „სულო ბოროტო“. თვისის სევდანაღველის მიზეზად ამ ლექსში პოეტი სახავს ბოროტს სულს, რომელიც მოპვლენია ავტორს, გახდომია წინამდღრად და უღუშფოთებია მისი სული და გონება. პოეტი განწირულებით ეკითხება ბოროტს სულს, რად მომიწამ-

ლე სიცოცხლეთ და სასტიკად ჰყვედრის იმისათვის, რომ
არ გაამართლე ის, რასაც მპირდებოდიო. ამიტომ ვარ აწ ამ
სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტოდ-მარტო, ჰქუით
ურწმუნო, გულით უნდო და სულით მოდუნებულიო.

ამ სახით, ისეთი ნაწარმოები, რომელშიაც იხატება
სევდა-ნალველი, სულის-გვემა და წუხილი, ან იმიტომ, რომ
პოეტს აგონდება თვისი დაკარგული ბედნიერება და აუსრუ-
ლებელი იმედები, ან იმიტომ რომ ჰედავს წუთი-სოფლის
დაუდგრომლობას, იწოდება ელეგიად (ბერძნული სიტყვა ელე-
გოს ჰნიშნავს მწუხარებას, სევდას). ზოგიერთს ელეგიაში
მწუხარების გრძნობა სუსტდება იმედითა და უკეთესის მერ-
მისის მოლოდინით („ჩემს მერანს“ ნ. ბარათაშვილისა, „ფიქ-
რი მტკვრის პირზე“ მისივე, „თ. ალ. ვ- ძეს ორბელიანს“
გრ. ორბელიანისა), ზოგში-კი მწუხარებას უიმედობის ბეჭე-
დი აზის: აკაკის „ახალი წელი“, „ელეგია“, რ. ჭავჭავაძისა..

ელეგია გაჩნდა პირველად ძველ ბერძენთა შორის მცი-
რე აზიაში და გლოვის საგალობელი იყო. შემდეგ სა-
ბერძნეთშიაც გადავიდა და იქ უფრო ფართო მნიშვნელობა
ჰიეცა (ანაკრეონი იყო იქ ელეგიების მწერალი); ბოლოს
რომშიაც გავრცელდა ამ გვარის ლექსების წერა (ოვიდიუსი).
ევროპიელთა შორის ელეგიების მწერალნი იყვნენ: გიოტე
და შილლერი, გერმანიაში; უკავესკი, პუშკინი, ლერმონ-
ტოვი—რუსეთში. ჩვენში: გრ. და ვახტანგ ორბელიანი, ნ.
ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი, ილ. ჭავჭავაძე, ბაჩანა და
სხვ. (იხ. „დამატება“).

ს ა ტ ი რ ა.

სატირა ეწოდება ისეთს სალირიკო ლექსისა, რომელშიაც
იხატება დაცინვა ანუ გულის-წერთმა პოეტისა. ისეთი სატირა,
რომელშიაც დაცინვაა გამოხატული, სუბუქი, სახუმარო სა-
ტირაა; ხოლო ისეთი სატირა, რომელშიაც გულისწყრომაა.

გამოხატული, გაბოროტებული და მეტის მეტად გესლიანი გრძნობაა გამოთქმული, მძიმე სატირაა, სატირა გულის-წყრო-მისა და რისხვისა. სუბუქის სატირის ნიმუშად შეიძლება და-ვასახელოთ ლექსი რ. ერისთავისა „ქრთამის წინააღმდეგი“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“, ილ. ჭავჭავაძისა, ხოლო გულის-წყრომის სატირის ნიმუშად ლექსი მისივე: „ბედნიერი ერი“, „ხმა სამარილან“ და სხვ. ოფორტუ გრძნობა დაცინ-ვისა და მასხარად აგდებისა, ისე გულის-წყრომისა და რისხვი-სა, იბადება პოეტის გულში ცხოვრების იმ გარემოებითა, რომელიც ეწინააღმდეგება მის ფიქრს, აზრს, მის რწმენას, ან რომელიც არ ეთანხმება მის ზნეობრივს გრძნობას. შაშა-საღამე, სატირა მაშინ-კი არა ჩნდება, როცა პოეტი სიხარუ-ლით ეგებება და თანაუგრძნობს რასმე, როგორც ოდა, არა-მედ მაშინ, როცა ეწინააღმდეგება ამა თუ იმ მოვლენას ცხოვრებისას, რაღაც იგი მოვლენა მიაჩნია ნაკლულევანე-ბად, ბოროტებად და თვისის ლექსით უნდა გაჰკიცხოს, და-ჰგმოს ასეთი ნაკლულევანება და ბოროტება ცხოვრებისა. ეს-კია მხოლოდ რომ სატირა მაშინ იქმნება პოეტური ნა-წარმოები, როცა პხატავს ნამდვილს ცხოვრებას განზოგადოე-ბით და კერძოობას ერთს ზოგადს სურათად გვიღგენს თვალ-წინ, როცა ტიპიურად გვიხატავს ცხოვრებას. უამისოდ სა-ტირა, თუ-კი კერძოობას გამოუდგება და თითოეულს აღა-მიანს დაუწყებს კიცხვას, სრულიად დაჰკარგავს პოეტურს ღირსებას და პასკვილად (ლანძლვად) გადიქცევა. სატირას, სატირით გმობას ყოველ იმისას, რაც ავია და მრუდედ შავა-ლი ცხოვრებაში, დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისა-თვის: ავის ძაგებითა და დაგმობით აღამიანი ფრთხილდება და ერიდება ზნეობრივს სიღუბჭირეს, სცდილობს კეთილად მოიქცეს და განსპეტაკდეს გულითა და სულითა.

სატირა ძველად საბერძნეთში გაჩნდა. პირველი სატირიკოსი იყო აღხილოხი. ვისაც არხილოხი მასხარად აიგდებდა, ის ყველას სასაცილოდ

გადიქცეოდა. სატირა უფრო განვითარდა ხელოვნების მხრით ოომაელების ხელში. თვით სიტყვა სატირა ლათინური სიტყვაა და ჰნიშნავს მაძლარს, ანუ ისეთს საჭმელს, რომელიც სხვა და სხვა მასალისაგან კეთდებოდა. შემდეგ ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობა მიეცა და სატირა დაარქვეს სხვა და სხვა გვარს სახუმარო ლექსებს. ლიცილიმ შეიმუშავა სატირული ლექსი, ხოლო ჰორაციომ უმაღლეს ხარისხამდე განავითარა. კარგნი სატირიკოსნი იყვნენ აგრედვე პერსი და იუვენალი (სცხოვრობდნენ პირველსა და მეორე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ). ჰორაციოს სატირა უფრო დაცინვით, მასხარად აგდებით სდევნიდა ბოროტებას: ისე ვიტყვი მართალს, რომ სულ ვიცინოდეო. იუვენალი-კი სწერდა გულის-წყრომით სავსე სატირებსა.

შემდეგ და შემდეგ მნიშვნელობა სიტყვისა „სატირა“ უფრო გაფართოვდა და ამ სახელს უწოდებდნენ არა მარტო სალირიკო ლექსებს, არა-მედ ყოველს სხვა სალიტერატორო ნაწარმოებს, რომელიც-კი ან დასცინის, ან ჰგმობს ამა თუ იმ ბოროტებას ცხოვრებაში. ამ აზრით შეიძლება სატირა ეწოდოს ზოგიერთს არაკსაც, ისეთს არაკს, როგორიც არის „ხარაბუზა და ფუტკარი“, „აკაკისა“, „დონ-კიხოტი“ სერვანტესისა, „კა-ცია-ადამიანი“ ილია ჭავჭავაძისა და ბევრი სხვა ამ გვარი სხვა ნაწერი.

წვრილი ლექსები. რადგან ზოგიერთი სალირიკო ლექსი ჰქატავს სხვა-და-სხვა გრძნობას: ალტაცებასაც და დაცინვასაც, მწუხარებასაც და გულის-წყრომასაც, ამიტომ ამ შინაარსის სხვა-და-სხვაობის გამო ძნელია ესა თუ ის სალირიკო ლექსი აკუთვნოს კაცმა ერთს რომელსამე განსაზღვრულს დარგს სალირიკო პოეზიისას. ამისთანა ლექსებია პატარ-პატარი ლექსები, რომლებშიაც რაიმე ჭოფვა ან ვედრებაა გამოთქმული. (ლოცვა ილიასი, აკაკისა), ეპიგრამები, ანუ მახვილგონიერი ხუმრობანი ოთხ-რვა სტრიქონიან ლექსად გამოთქმული, ქების წარწერანი, რომელშიაც მოკლედ არის გამოხატული ქება რომელისამე საზოგადო მოღვაწისა ამა თუ იმ დამსახურებისათვის ქვეყნის წინაშე, მაღრიგად, რომელიც არის მიმართვა ამა თუ იმ აღამიანისა ანუ განყენებულის საგნისაღმი და ჰქატავს რომელსამე ნაზს გრძნობას და სიყვარულსა, ეპიტაფია ანუ საფლავის ქვის წარწერა. ეპიტაფიებში ხშირათ ღრმა გრძნობაა გამოთქმული პატარა ლექსად.

ქების წარწერის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ლექსი ილია ჭავჭავაძისა: „თ. ალექსანდრე ჭავჭავაძეს“ (გვ. 85), ლექსი გრ. ორბელიანისა: ეკ. ჭა—სას. მაღრიგალის, ნიმუში:

როს გხედავ, მნათო, ღიმილით ჩემ კერძოდ წარმოვლენილსა, ვივიწყებ ყოველს სიმწარეს, ბედისგან მოვლინებულსა;

სულისა ღელვა მშვიდების, გული ჰერძნობს კვალად სურვილსა და ვნანობ, მიწყევის თუ სიცოცხლე გამწარებულსა!

ანუ კიდევ:

საამო არს სახილველად, ოდეს ვარდი ნინას ეპურას,

მაგრამ ვინ სცნას, ვინა სუნავს: ნინა ვარდს თუ ვარდი ნინას?

მაღრიგალია აგრედვე ლექსი ნ. ბარათაშვილისა: „საყურე“ (იხ. დამატ.)

ეპიტაფიის ნიმუშად მოვიყვანთ თამარ მეფის საფლავზედ წარწერილს ნიტყვებს:

„როს გავიზარდე, გავივსე, თავს ცათამდის გავიღე,“

მისრეთს ხმალი ვკარ, დარუბანდს, მუნ საბალახე ავიღე,

დასავლეთს პალო მივწვადე, რახსის წყალს გაღმა გავიღე,

ამა ყოვლისა მომქმედმან სული ვარძიას დავიღე“.

გაიხსენეთ აგრედვე ეპიტაფია, წარწერილი დავით აღმაშენებელის საფლავზედ (იხ. დამატება).

3. საღრამო კოეზია.

საღრამო პოეზიას ეკუთვნის იმისთანა თხზულება, რომელშიაც ამა თუ იმ ამბავსა და ვარემოებას ავტორი თავისით-კი არ მოგვითხრობს, არამედ ალაპარაკებს და ამოქმედებს იმათ; ვისაც თავს გადაპირებია ეს ამბავი და ვარემოება.. ამიტომ საღრამო თხზულება იწერება მუდამ ლაპარაკის მზგავსად იმათ შორის, ვინც მონაწილენი და მომქმედნი არიან იმ საქმეში, რომელსაც აღუძრავს სამოქმედოდ, სალაპარაკოდ და საბრძოლველად ესა თუ ის მამა-კაცნი და დედა-კაცნი.

მართალია, საეპიკო თხზულებაშიაც რაიმე ამბავი და საქმეა მოთხრობილი და იქაც ჰმოქმედობენ იმ საქმეში მონაწილენი, მაგრამ პოეტი თავისით მოგვითხრობს იმ ამბავს, როგორც წარსულს საქმეს, აღგვიწერს, რა მდგომარეობაში არიან მომქმედნი, რა ხასიათისანი არიან, რას ლაპარაკობენ და რას ჰფიქრობენ; დრამაში-კი პოეტი თავისით არას ამბობს, არას განგვიმარტავს და თვით შომქმედთ ლაპარაკმა და საქმემ უნდა დაგვანახვოს, ვინ არიან, რა ხასიათისანი არიან, რად იბრძვიან და რა სწადიანთ თხზულების გმირებს. დრამაში პოეტი ველარ მოგვეშველება და ვერ აგვიხსნის თავისით, აი ეს საქმე ასე იყო და ისეო. ეს არის მიზეზი, რომ სადრამო ნაწერი უნდა წარმოდგენილ იქმნას ცხოვლად სცენაზედ.

ამ სახით, როცა დრამა დაიწერა და პოეტმა—დრამატურგმა შეასრულა ყოველივე, რაც საჭიროა, მერე უნდა შესრულდეს ის, რაც ეჭირვება დრამის ცხოვლად წარმოდგენას სცენაზე. ხოლო ამისათვის საჭიროა დეკორაციები, კოსტიუმები, გრიმი (სახის გაკეთება), საბუტაფორო ნივთები და ყოველივე ისა, რასაც საეპიკო თხზულებაში აღწერით გაგვაცნობებს პოეტი. ამას გარდა საჭიროა ხელოვანი არტისტები, რომელთაც სახის მოძრაობით (მიმიკა), ტანის მიმოხვრით (ჟესტიკულიაცია), ხმის კილოთი (ინტონაცია) უნდა დაგვანახვონ სულის მდგომარეობა იმათი, ვინც სადრამო ნაწერშია დასურათებული.

დრამის საფუძველი და არსება ბრძოლაა. ადამიანი იბრძვის და მზაა თავი გასწიროს მაშინ, როცა დიდს გასაჭირება ჩაფარდნილი, როცა გზა აღარსაითა აქვს. მიზეზი ამისი მრავალ-გვარია: ან გული ადამიანისა ერთს ეტანება, გონება და სვინიდისი სხვას ეუბნევა; ან წესი და ადათი ერთსა თხოულობს ადამიანისაგან, ხოლო კანონი სხვასა. ამისთანა შემთხვევაში ადამიანის ბუნება ბრძოლას ეძლევა. დრამაში „სამშობლო“ გული ეუბნევა სვიმონ ლიონიდეს, მოჰკალ

ლევან ხიმშიაშვილიო; გონება-კი ამას ჩასძახის, არა, ნუ მოჲ
ჰკლავ, სძლიე შენს გულის-თქმას, მაგისი სიცოცხლე გამოა-
ადგება შენს სამშობლოსაო. სოფოკლის ტრაგედიაში გმირ-
ქალს ანტიგონას მამა-პაპათა ჩვეულება ეუბნევა, დაჭმარხე
შენის ძმა წესისამებრ, თორემ დიდი ცოდვა იქნება შენის მხრი-
თაო; კანონი-კი უკრძალავს ასეთს საქციელს და სიკვდილს
უქადის მის გარდამავალსა და დამარღვეველს. ანტიგონა ორ
ცეცხლ-შუა. ასეთს მდგომარეობას სადრამო მდგომარეობა ეწყ-
დება. რაც იწვევს ბრძოლას, ის ნასკვია დრამისა; რაც გა-
მოჰქმდეს ამ ნასკვს, იმას კატასტროფა ეწოდება. განასკვაცა
და გამოხსნაც სადრამო კვანძისა უნდა სწარმოებდეს დრამა-
ში უთუოდ მომქმედთა ხასიათების შესაფერად. რასაც მო-
იქმედებს გმირი დრამაში, ყოველივე იმის ხასიათს უნდა შე-
ესაბამებოდეს და, თუ რამ ცვლილება უნდა მოჰქმდეს იმის
მდგომარეობაში, ეგეც უნდა შეეფერებოდეს იმისავე ბუნება-
სა და ხასიათს. თითოეული გულში ატარებს თავის ბედის-
საწერელსა და არ გარდავა გარდუვალი, მომავალი საქმე,
ზენა". ამიტომ ფსიხოლოგიურს ელემენტს დიდი მნიშვნე-
ლობა აქვს დრამაში.

ადამიანის ხასიათი მაშინ გამოჩენდება სავსებითა, როცა
წინ გადაეღობება დიდი, რამ დაბრკოლება (კოლიზია) და
ადამიანს სადრამო მდგომარეობაში ჩაგდებს. ამიტომვე
აქვს დიდი მნიშვნელობა დრამაში თვითონ, იმ ამბავს (ფა-
ბულა), რომელიც საფუძვლად აქვს დადებული სადრამო
თხზულებას. გმირის ცხოვრებიდან უნდა აღებულ იქმ-
ნას ერთი რომელიმე ხანა, იმ წუთიდან მოკიდებული,
რომლიდანაც იწყება ის ამბავი, რამაც უნდა გადასწყვიტოს
მისი ბედის-წერა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ხელო-
ვანი მწერალი დრამისა დიდად ძუნწობს, როცა ირჩევს სხვა-
და-სხვა ამბავს თავის გმირის დასახასიათებლად. საეპიკო თხზუ-
ლების დასაწერად-კი ასეთი სიძუნწევ მასალის არჩევის დროს
ისე საჭირო არ არის.

დრამაში ყოველივე ერთს აზრს უნდა დასტრიიალებდეს გარშემო, ერთს ომელსამე მოქმედებას უნდა ეხვევოდეს გორგლის ძაფივითა, მოქმედებას ბრძოლისასა; თვალი და ყური მსმენლისა ერთს ფიქრს, ფიქრს ბრძოლისას, უნდა ჰქონდეს დატყვევებული. აქედან წარმოსდგება ის აუცილებელი პირობა საღრამო შემოქმედობისა, ომელსაც ეწოდება ერთიანობა მოქმედებისა. ყოველივე, რაც ამ ერთიანობას არ ემსახურება, მეტია დრამაში და ასუსტებს მის ზედ-მოქმედებას, მის ძალას. დრამის ზედ-მოქმედება მაშინ არის ცხოველი და ძლიერი, როცა გმირნი ისე ჰმოქმედობენ, როგორც ცოცხალი, ნამდვილი, ხორც-შესხმული აღამიანები, ამა თუ იმ ვნებით გამსჭვალულნი და იმდენად ძლიერნი სულითა, რომ იბრძოლონ მეღვრად თვისის აზრისა და სურვილის გამარჯვებისათვის. გრძელი და გაჭიანურებული ლაპარაკი შეუწყნარებელი საჭმა, დრამაში, რადგან აფერხებს მოქმედებას. ლაპარაკი მომქმედთა შორის, სიტყვა-პასუხი მათი, რაც შეიძლება, მოკლედ მოჭრილი უნდა იყოს. როცა ერთი ლაპარაკობს, ეს ლაპარაკი მის გულის პასუხს უნდა ამჟღავნებდეს; ამ ლაპარაკზედ უნდა ვატყობდეთ, რა მერყეობაშია ჩავარდნილი გმირი დრამისა, რა ცეცხლში იწვის, რას ეუბნება ერთის მხრით სკინიდესი და მოვალეობა, რა საჭმეზედ აქეზებს მეორეს მხრით გულის თქმა, თვე-მოყვარეობაა იგი, ეჭვიანობა, პატივ-მოყვარეობა, თუ სიყვარული. ისე რომ ამისთანა ლაპარაკი—მონოლოგი—ისევ ორთა შეალაპარაკს—დიალოგს უნდა ჰგავდეს.

სცენაზედ წარმოდგენის გასააღვილებლად საღრამო თხზულებანი განყოფილია. რამდენსამე მოქმედებად ანუ აქტად. მოქმედებათა რიცხვი შეიძლება იყოს ერთიდან ხუთამდე იმრე და მიხედვით, თუ რამდენად ვრცელია. შინაარსი დრამისა. მოქმედებანიც დაყოფილია სურათებად ანუ სცენებად. მოქმედებად, სურათებად და სცენებად დაყოფვის მიზეზი არის, როგორც განვითარება დრამისა, ისე საჭიროება სამოქმედო ადგილის შეცვლისა. თითოეულს სცენაში რამდენიმე გამოსვლაა. გამოსვლათა რიცხვი თითოეულს სცენაში იმდენია, რამდენჯერაც მომ-

ქმედნი შემოვლენ სცენაზედ ანუ გავლენ სცენიდან. მაგალითებრ, თუ სცენაზედ ორნი ლაპარაკობენ, ეს ერთი გამოსვლაა, ხოლო თუ მერე მესამეც შემოვიდა, ანუ ორნი კიდევ სხვანი შემოვიდნენ და მათ შორისა ლაპარაკი, ეს უკვე მეორე გამოსვლა იქნება; თუ ერთ-ერთი მათ შორის სცენიდან წავიდა, მესამე გამოსვლა დაიწყება და ასე ამ რიგად.

ზუთ-მოქმედებიან სადრამო თხზულებაში პირველი მოქმედება წარმოადგენს ეჭსპოზიციას, ესე იგი ამ მოქმედებაში ავტორი გვიხატავს, რა ურთიერთობაში არიან მოქმედნი, თვალ-წინ გვიყენებს ყოველსავე იმას, რაც საჭიროა ვიცოდეთ, რომ მივხვდეთ, რა ამბავი და საქმე დაიწყება შემდეგ. მეორე მოქმედებაში ცხადად სჩანს მიზეზი, რომელმაც უნდა გამოიწვიოს სადრამო ბრძოლა, ანუ სხვაფრივ რომ ვსთქვათ, იბადება კოლიზია (ნასკვი); მესამე მოქმედებაში ძლიერდება ბრძოლა და უმწვერგალესობამდე აღწევს (მწვერგალი): ნასკვი დრამისა იხვლანჯება, გართულებული ბრძოლა მწვავდება უაღრესად. მეოთხე მოქმედებაში გაჭიმული ლარი ბრძოლისა ირყევა და სჩანს, რომ საცაა უნდა გაწყდეს (პერიაეტია); მეხუთე მოქმედებაში წყდება მეტად გაჭიმული ლარი (კატასტროფა), იხსნება სადრამო ნასკვი.

როცა სადრამო თხზულება პატარაა, ეჭსპოზიცია, განასკვა გაუმწვერვალესობა ბრძოლისა, პერიპეტია და კატასტროფა სისწრაფით მისდევენ ერთმანერთსა. ზოგიერთს პიესებს, მოქმედებათა გარდა, აქვთ დართული პროლოგი თავში და ეპილოგი ბოლოში. პირველში განმარტებულია მოქმედთა ყოფა-მდგომარეობა ბრძოლის დაწყებამდე და ის გარემოებანი, რომელთაც გამოიწვიეს იგინი ბრძოლად, ხოლო მეორეში—მდგომარეობა დრამის მოქმედთა გამოვლილ ბრძოლის შემდეგ.

დარგნი სადრამო პოეზიისა.

სადრამო ნაწარმოებნი შეიძლება განყოფილ იქმნას სამსუმთავრეს დარგად: ტრაგედია, კომედია და საკუთრად დრამა.

ტრაგედია.

ტრაგედიაში უმთავრესი ის არის, რომ მისნი გმირნი მტკიცე ხასიათის კაცნი არიან, შეუდრეველის სურვილისა, ღრმა ჭკუისა, ძლიერის გულის-თქმისა. ტრაგედიის გმირნი დიდის ჩაცივებითა და აჩემებით ეტანებიან თავიანთ სატრ-

ფიალო საგანს და შეუპოვრად ებრძვიან ყოველ-გვარს და-ბრკოლებას, რაც უნდა უძლეველი იყოს იგი დაბრკოლება. ერთის სიტყვით, ტრაგედიის გმირნი უხვად დაჯილდოვებულნი არიან დიდის ნიჭით და სულიერის ძალ-ღონით. ასეთნი არიან: მაკბეტი, მისი ცოლი, ლირი („მეფე ფერხით თხემამ-დე“), ელიპი, ანტიგონა და სხვ. ისინი იმ ჩვეულებრივს ხალხს არა ჰგვანან, რომელნიც ყველგან და ყოველთვის მრავ-ლად შეჰვდება ადამიანს. ისინი დიდ-ბუნებოვანები არიან, იმის და მიუხედავად, თუ რამდენად თანაგრძნობის ღირსია და სათნოება-მოსილი მათი დიდ-ბუნებოვანება. ამისთანა ადა-მიანთ ტიპი ვერ დაერქმევა იმ აზრით, რა აზრითაც ვეძახით ტიპს რომან-მოთხრობის ჩვეულებრივ გმირებს. რასაკვირვე-ლია, იმათაც ემჩნევათ იერი თავიანთ დრო-შამისა და იმ სა-ზოგადოებისა, რომელსაც ეკუთვნიან, მაგრამ მაინც იმათში ტიპიური თვისებანი-კი არ არის უმთავრესი, არამედ საყო-ველთაო, საკაცობრიო თვისებანია. მაგალითად, მაკმეტი სა-ინტერესოა ჩვენთვის არა მით, რომ ის არის ტიპი შუა სა-უკუნეთა ერისთავისა და დიდის მოხელისი, არამედ როგორც კაცი საზოგადოება, კაცი ძლიერის გულის-თქმისა. მაკბეტი მაგალითია იმისი, თუ საღამდე შეუძლიან მიიყვანოს ადამია-ნი ალვირ-ალსნილმა გულის-თქმამა და რა სულიერს ტანჯვა-ში ჩაგდოს საზნეო კანონების დარღვევისათვის. აგრეთვე ედიპი საინტერესოა, არა როგორც ძველთა ბერძენთა მეფე, არა როგორც წარმომადგენელი ძველის საზოგადოების ამა-თუ იმ წოდებისა, არამედ, როგორც ადამიანი, რომლის სუ-ლიც აუტანელს წვასა და დაგვას ითმენს, რაკი მუდამ თვალ-წინ უდგას თვისი უნებური და მძიმე დანაშაული. ამითი, ამ საზოგადო—საკაცობრივო თვისებით არიან დიდებულნი ქმნი-ლებანი შექსპირისა და სოფოკლისა—ამ პირველ-ხარისხო-ვან დრამატურგებისა. ამიტომ შეიმოსეს ამათ მსოფლიო დი-დება და, ვიდრე ეს ქვეყანა არსებობს, მათნი ქმნილებანიც არ დაჰკარგვენ თავიანთ ბრწყინვალებას..

შინაარსი შექსპირის ტრაგედიის „მაკბეტი“:

შოტლანდიას მტერი დაესხმის თავს. მეფე შოტლანდიისა მთავარ-სარდლობას ჩატარებს თავის მოურავ-ერისთავს მაკბეტის. მაკბეტი დამარ-ცხებს მტერს. ძლევა-მოსილს მაკბეტს კუდიანები უწინასწარმეტყველე-ბენ, ჯერ კავდორის მოურავ-ერისთავი შეიქმნები და მერე შოტლანდიის მეფობაც შენ დაგრჩებაო. მაკბეტს აუსრულდება პირველი წინასწარმეტ-ყველება კუდიანებისა და მის გულში ჩაიჭრება ის ფიქრიცა, ეგებ მარ-თლა მეფობაც მე დამრჩესო. აი აქ ინასკვება დრამა და დანარჩენი მოქ-მედებაც დრამაში სულ ამ ნასკვის გამოხსნაზეა დამყარებული. მაკბეტს შეიპყრობას პატივ-მოყვარეობა და აღარ ასვენებს ფიქრი თავზედ სამეფო გვირგვინის დადგმისა. თითონაც პატივ-მოყვარეა მაკბეტი და მისი ცოლი ლედი მაკბეტიც ქმარზედ კიდევ უფრო პატივ-მოყვარეა. ცოლი შეუჩნდე-ბა და აგულიანებს, მოჰკალი დუნკანი, მეფე შოტლანდიისა და შენი სურვილი შესრულდებაო. მაკბეტი დიდს ბრძოლასა და მერყეობაშია: არც უნდა უმაღურება მოიქმედოს და თვისი კეთილის-მყაფელი მოჰ-კლას, არც ის უნდა, მეფობა არ ეღირსოს და თვისი უზომო გრძნობა პატივ-მოყვარეობისა არ დაიკმაყოფილოს. ხანგრძლივის მერყეობის შემ-დეგ გადასწყვეტის მეფის მოკვლას და ჰკლავს კიდეც თავის ციხე-დარბაზ-ში. რაკი ერთხელ შეისვრის სისხლით ხელებს, ვეღარ იკავებს თავს და ჰხოცავს ყველას, ვისიც ეშინიან, სამეფო ტახტი არ დამაკარგვინონ, ან ჩემი ბოროტ-მოქმედება არ გაამზილონ. ამისათვის არ ჰზოგავს თავის მეგობარსა და ნათესავს ბანკოსაც-კი. მაკბეტი ახლა მეფეა შოტლანდიისა და ნატვრა მისი ასრულებულია. მაგრამ სვინიდისი უწყალოდ ჰქენჯნის ყოველ იმ ბოროტებისათვის, რომელიც მოიქმედა და მის სულს მოსვენე-ბა არა აქვს. კუდიანები ეუბნებიან, ვიდრე ბირნამის ტყე, არ მოადგება შენს ციხე-დარბაზს, მეფობას შენ ვერავინ გამოგწირავსო. თუმცა ასეთი თქმა ძალიან შუცნაურა და ბირნამის ტყეც შორს იყო, მაინც მაკბეტმა გაამაგრა თვისი ციხე-დარბაზი. არც ამაოდ გაისარჯა: ერთი მისი მოწი-ნაალდეგე დიდებული, სახელდობრ, მაკდუფი, ინგლისის მეფის ბრძანე-ბით, შეჰკრებს ჯარს და გაიღა შექრებს მაკბეტის დასამხობად. აი ჯარი მიუახლოვდა ბირნამის ტყეს და დაბანაკლა. მეორე დღეს, როცა უნდა დასცემოდა მაკმეტის ციხე-დარბაზს, მაკდუფმა უბრძანა ჯარის კაცებს, ყველამ თითო ტოტი ჩამოსტეხეთ და ხელში დაიჭირეთ, რომ მაკბეტი ვერ მიჰვდეს ჩვენის ჯარის რაღდენობასაო. დარაჯებმა აუწყეს მაკბეტს, ბირნამის ტყეს ფეხი აუდგავს და მოდის ჩვენზედაო: ამ ამბავმა თავ-ზა-რი დასცა მაკბეტს, მაგრამ სასოება მაინც არ წარეკვეთა. ყველასაგან მიტოვებული მაკბეტი რამდენისამე თვისის ერთგულის ყმით შეებრძოლა

მაკლუფს. ბოლოს პირის-პირ შეეყარა და იმდენს ხანს ებრძოლა წმალ-
და წმალ, ვიდრე არ მოკვდა, როგორც გმირი.

მაკბეტში უმთავრესი გმირი ძლიერია სულითა, სურვი-
ლითა და გულის-თქმითა. ერთის სიტყვით, დიდებული კა-
ცია, ამისთანა ადამიანს რაკი ერთხელ ჩაეჭრება გულში რაი-
მე დიდი სურვილი, მეღვრად და შეუპოვრად სცდილობს მის
განხორციელებას. ყოველ-გვარ დაბრკოლებას ებრძვის თავ-
გამეტებით, ხოლო რადგან დაბრკოლება მეტად დიდია, ვე-
ღარ უძლებს თავზედ მეხივით დატეხილს უბედურებას და
კვდება. ამიტომ არის, რომ ტრაგედია მუდამ უბედურებითა
თავდება. პატივ-მოყვარეობით გამსჭვალულმა მაკბეტმა თა-
ვის სიცოცხლის საგნად ის დაისახა, რომ უთუოდ სამეფო
გვირგვინი უნდა მეღვას თავზედაო, მაგრამ ასეთი მისი სურ-
ვილი უკანონო საქმე იყო, შოტლანდიას თავისი კანონიერი
მეფე ჰყავდა. მის პატივ-მოყვარეობას წინ ეღობება სვინიდი-
სიცა და კანონიც. ასტყდება ბრძოლა ერთის მხრით მაკბე-
ტის გულის-თქმასა და მეორეს მხრით მისისავე სვინიდისისა
და კანონის მოთხოვნილებას შორის. გულის-თქმა ამარც-
ხებს სვინიდისს, მაკბეტი ჰყავს დუნკანს და თავის გულის
წადილს ისრულებს; მაგრამ ბოლოს უსამართლობის მდევნე-
ლი კანონი სძლევს პატივ-მოყვარეობის წადილსა და მაკბე-
ტი ჰყავდება სამართლიანობის დამცველთაგან.

მაშასადამე, ტრაგედია ეწოდება ისეთს საღრამო ქმნი-
ლებას, რომლის მომქმედნი ტიდს სატანჯველში არიან ჩავარდ-
ნილნი, რადგან რომელიმე ბუნებრივი სურვილი ანუ ესა თუ
ის გულის-თქმა შეჰქლია საზნეო მოვალეობას ანუ სხვა რო-
მელსამე უძლეველს დაბრკოლებას. თუ ტრაგედიაში დასუ-
რათებული გმირი უარ-ჰყოფს თავის კანონიერს სურვილს
საზნეო მოვალეობის ჩაგონებით, უბედური იქნება მთელი
თავისი დღენი და ორში ერთი უნდა ირჩიოს: ან გამუდმე-
ბული ტანჯვა-მწუხარება, ან სწრაფი სიკვდილი. არ უარ-
ჰყოფს კიდევა და კანონიერის სურვილის შესრულებით გვერდს

აუხვევს მოვალეობას, სვინიდისის ქენჯნა არ მოასვენებს. ერთის სიტყვით, ყოველ შემთხვევაში აუტანელი მდგომარეობა იბადება და ბოლო დაწყებულის ბრძოლისა გმირის დაღუპვაა. თუმცა ხშირად არ თანავუგრძნობთ ტრაგედიებს გმირს და მისი საქციელი არ მოგვწონს, მაინც გვეცოდება, როგორც ადამიანი და თან სულის აღფრთოვანებასა და გაკვირვებასა ვგრძნობთ საზოგადოდ. ადამიანის სულის ძლიერების წინაშე.

ტრაგედია გაჩნდა პირველად საბერძნეთში. დღეობა იცოდნენ იქ თავიანთ ღმერთის ბახუსისა, აბამდნენ ფერხულს ამ დღეობაში და ამბობდნენ სიმღერებსა. მოფერხულენი მღერითა და როკვით უვლიდნენ გარშემო ბახუსის სამსხვერპლოს. ერთ მხრისკენ გაწევას და იმ სიმღერას, როცა ამ ღროს ამბობდნენ, სტროფა ეწოდებოდა. მეორეს მხრისკენ გაწევასა შესაფერის სიმღერითურთ ან ტრისტროფა ეწოდებოდა. როცა ფერხულში ჩაბმულნი თავიანთ ალაგას დაბრუნდებოდნენ, ისვენებდნენ ახალს სტროფამდე. ამ დასვენებას თვისის შესაფერის სიმღერით ერქვა ეპოდი, მოფერხულებს წინამძღვარი ჰყენდათ, ანუ დამწყები—კორიფეი. დამწყები უამბობდა მსმენელთ ხან-ლაპარაკითა და ხან სიმღერით ბახუსის ამბავსა და გმირობა-ქველობას; წოლო გუნდი სიმღერითვე აძლევდა პასუხს ბახუსისავე ქება-დიდებისას. ბერძენთა პირველმა ტრაგიკოსმა თესპისმა, რომელიც სცხოვრობდა მე-VI საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე, ზემოსენებული გუნდი მოფერხულეთა ორ ფრთხედად გაპყო და თითოეულს თითო კორიფეი მიუჩინა. კორიფეები ერთმანერთს ელაპარაკებოდნენ და აქედან გაჩნდა დიალოგი. თესპისმავე მიუმატა გუნდს აქტიორი, რომელსაც უნდა წარმოედგინა რომელიმე ამბავი, დღეობის შესაფერი. ამ სახით გაჩნდა ნამდვილი წარმოდგენა, რომელიც უფრო განვითარდა მეორე ტრაგიკოსის ფრინიხის ღროს (VI საუკ. ქრისტეს დაბ.-მდე). ფრინიხმა დედაკაცის როლი შემოიღო, წოლო ესხილმა (დაიბადა 525 წ. ქ. შობამდე) ერთს აქტიორს მეორეც მიუმატა. ასეთის თან-და-თანის განვითარებით საბერძნეთის დრამამ დიდს წარმატებას მიაღწია სამ შესანიშნავ ტრაგიკოსის ღროს, რომელიც ერთი-ერთმანერთის შემდეგ დაიბადნენ—ეს ხილისა, სოფოკლისა და ევრიპიდის ღროს. ეს ღრო იყო ბრწყინვალე ღრო პერიკლისა. მაშინ სცხოვრობდა აგრედვე კომიკოსი არისტოფანი, ავტორი კომედიებისა: „ცხენოსანნი“ და „ლრუბელნი“.

მოკლე შინაარსი სოფოკლის ოთხის ტრაგედიისა: „მე-

ფე-ედიპი“, „ედიპი კოლონაში“, „შვიდი ფივის წინააღმდეგ“ და „ანტიგონა“:

ამ ტრაგედიებს საფუძვლად უდევს ზღაპრული ამბავი ლაბდაკიდების სამეფო სახლისა, მისის ოვა-გადასავალისა. და ბედის საწერელისა. ფივის მეფეს, სახელად ლაის, ქურუმ-ქადაგმა უწინასწარმეტყველა, შენის შვილის ხელით მოჰკვდებიო. მეფემ თვისი ახლად-დაბადებული შვილი მწყემსს მისცა მოსაკლავად. მწყემსს შეეცოდა უდანაშაულო ბავშვი და გააბარა ალსაზრდელად. ალმზრდელმა ყმაწვილი კორინთის მეფეს მიჰვარა. ყმაწვილს ედიპი დაარქვეს და, როცა გაიზარდა, ტოლებში გაერია, ერთხელ ამხანაგებმა დაცინვა დაუწყეს, უპატრონო და უდედ-მამო ხარო. ედიპი თავ-მოყვარე ჭაბუკი იყო და დიდად იწყინა ასეთი დაცინვა. ადგა და წავიდა დელფის ქურუმ-ქადაგთან, იქნება იმან შემატყობინოს ჩემის დედ-მამის ამბავიო, გზაში შეჰვდა მამას, მოუვიდა ჩხლბი და შემოაკვდა მამა. გავიდა ხანი. ფივის ქალაქი გაჭირვებაში ჩავარდა, ედიპმა ფივი გადაარჩინა. ამის გამო ფივმა ედიპი თავის მეფედ აირჩია. ქალაქის ჩვეულებისა-მებრ, ახალ მეფეს შერთეს ცოლად წინანდელ მეფის, ლაის, ქვრივი იოკასტა, დედა ედიპისა. ედიპს იოკასტასაგან ოთხი შვილი ეყოლა: ორი ვაჟი და ორი ქალი. როცა ბოლოს გამოაშკარავდა, რომ ედიპს თავისი ლვიძლი დედა ჰყოლოდა ცოლად, მეფე დიდს მწუხარებაში ჩავარდა, ეს რა საზარელი ცოდვა შემმთხვევიაო. გულ-გახეთჭილმა და გაბოროტებულმა ედიპმა თვალები დაითხარა, რომ დღის ნათელი აღარ ეხილნა და სამუდამოდ განშორდა თავის სამშობლო ქვეყანას. აქ თავდება პირველი ტრაგედია: „მეფე ედიპი“.

უსინათლო მამა დაპყავს დაბად და ქალაქად მის ქალს ანტიგონას. მაგრამ უერსად ბინას ვერა ჰპოვებს მისთვის. ბოლოს ღმერთნი შეირიგებენ ტანჯულსა და დიდებულს მოხუცს, რადგან ედიპმა თვისი უნებური ცოდვა მოინანია, თავისი თავი თვითონვე დაჰსაჯა, უსინათლობა იტვირთა.

მოხუცი კვდება და საუკუნო განსასვენებელს პპოვებს ერთის წმიდა ჭალაში. აქ თავდება მეორე ტრაგედია: „ედიპი კოლონაში“.

ედიპის ვაჟი-შვილებს ეთეოკლსა და პოლინიკს მოხდით ჩხუბი, არა მე უნდა ვიყო მეფედ ფივისა; არა მეოპოლინიკი, განდევნილი ეთეოკლისაგან, მოიყვანს შვილს არგიველს სარდალს და ჯარით გარშემოადგება. ქალაქსა ბრძოლის დროს პოლინიკი და ეთეოკლი პირის-პირ შეჰვდებიან ერთმანერთს, იბრძვიან და ორნივე იხოცებიან. ფივში გამეფდება მათი ბიძა კრეონი. მეფის განკარგულებით ეთეოკლს დასაფლავებენ წესისამებრ, ხოლო პოლინიკს მინდორზედ დასტოვებენ ძაღლების შესაჭმელად; ჩვენის ქალაქის მტერი იყოვო. აქ თავდება მესამე ტრაგედია: „შვილი ფივის წინააღმდეგ“.

პოლინიკის დას ანტიგონას გული უკვდება, რომ მის ძმას დასაფლავება არ აღირსეს, რაიცა დიდს ცოდვად ითვლებოდა და, თუმცა გამოცხადებული იყო, სიკვდილით დაისჯება, ვინც იმას დამარხავსო, მაინც ანტიგონა გასწირავს თავს ძმისათვის და ლვთის კანონს ასრულებს — ასაფლავებს თავის ძმას. ანტიგონას შეიპყრობენ. მის განთავისუფლებას სცდილობს კრეონის შვილი გემონი, რომელსაც გაგიჟებით უყვარს ანტიგონა. კრეონი შვილს ყურს არ უგდებს და იმის ჯიბრზედ ბრძანებს, რომ ანტიგონა ჩააგდონ ლაბდაკიდების სამარხ აკლდამა-გამოქვაბულში და იქ ცოცხლივ დამარხონ. ანტიგონა მიჰყავთ ცოცხლივ დასამარხად. იმის გულში ჯოჯოხეთია: დაგვირგვინების მაგიერ სიცოცხლით გაუხარელს საშინელი სიკვდილი მოეღლის. მაგრამ ანტიგონა ისეთის ხასიათის ქალი არ არის, რომ შედრკეს. თუმცა ცრემლებსა პლვრის, მაგრამ მაინც გულ-მაგრად არის, რაღაც დარწმუნებულია, ლვთის სასიამოვნო, საქმე მოვიქმედე და ჩემი ზნეობრივი ვალი შევასრულეო; კაცის გამოცემული კანონი გარდუვალი არ არისო; კუმის გულის-

თვის მე ვერ უარ-ვყოფდი ღმერთების საუკუნო. და უცვა-
ლებელს კანონსაო. კაცნი მდევნიან, იმიტომ რომ პატივსა-
ვსცემდი სათნოებასაო, ამბობს უკანასკნელად ანტიგონა, და
მიღის მამა-პაპათა სამარხში ჩასასვლელად. ამასობაში კრეონს
მოსვენებას არ აძლევენ: ხან გუნდი გადუკრავს სიტყვას, რომ
შენც ვერ მოგივა საქმე კარგად, რადგან შენი კანონი წინ
დააყენე ღვთიურს კანონზედაო, ხან ქურუმი ტირეზი ამხი-
ლებს და ცოდვად უთვლის პოლინიკის გვამის დაუმარხვე-
ლობას. კრეონი, თავ-მოყვარეობითა და ხელმწიფობით. და-
ბრმავებული, ვერა ჰერძნობს თავის შეცდომას, ჰერძნია, ბრძე-
ნი მმართველი ვარ ქვეყნისაო და არა ტყდება. ბოლოს-კი
შეშინდება, სვინიდისი აწუხებს და, გუნდს რჩევით, ჰეზავ-
ნის კაცს, გადაარჩინეთ საშინელს სიკვდილს ანტიგონაო.
მაგრამ გვიანდაა: ღმერთი უკვე გაუწყრნენ კრეონს. ანტი-
გონამ თავი ჩამოირჩო გამოქვაბულში, მისმა საქრმომ ზედ
დააკლა თავი თავის დანიშნულს, ხოლო კრეონის ცოლმა,
როცა გაიგო შვილის სიკვდილი, გული გაიგმირა მახვილი-
თა. ახლა-კი ვატყდა კრეონი. ამდენმა თავზედ დატეხილმა
უბედურებამ მიახვედრა, რომ ასეთი ყოფილა უთუოდ ჩემის
ბედის-საწერელიო; სასოწარკვეთილი კრეონი ყოველსავე
უბედურებას მარტო თავის თავს აბრალებს, ჭკუაზედ იშლე-
ბა და სიკვდილსა ჰნატრობს. ამითი თავდება მეოთხე ტრაგე-
დია სოფოკლისა: „ანტიგონა“.

„ანტიგონას“ შინაარსიდან სჩანს, რომ უმთავრესნი
მომქმედნი ამ ტრაგედიაში ორი აღამიანია — თვით ანტიგონა
და კრეონი. ორივენი დიდს სულიერს ბრძოლაში არიან. ეს
ბრძოლა ისეთის საშინელის უბედურებითა. თავდება, რომ
თავ-ზარსა სცემს აღამიანსა. საშინელია ანტიგონას მდგომა-
რეობა: ღვთაებრივის კანონით მოვალეა დაასაფლავოს თავი-
სი ძმა, ხოლო კანონი მეფისა სულ სხვასა თხოულობს.
გრძნობა სარწმუნოებრივი და სიუფარული ძმისა აიძულებს
ასრულოს ღვთის ბრძანება, მაგრამ თან შიში აქვს, რაღვან

ამით დაარღვევს კაცთა კანონს და შესაძლოა სიკვდილით იქმნას დასჯილი. ყოველს შემთხვევაში, ასე მოიქცევა, თუ ისე, დიდი ტანჯვა და ვაება მოელის: არ დაპმარხავს ქმას — სვინიდისი დასტანჯავს და ღმერთებს განარისხებს, დაპმარხავს კიდევა-და — საშინელი სასჯელი აუცილებელია. სვინიდისი და გრძნობა ქმის სიყვარულისა იმარჯვებს ბოლოს და ანტიგონა ებრძის მეფეს. ამ სახით, ანტიგონა სატრაგედიო ქარ-ცეცხლშია ჩავარდნილი: სულით მაღალი და ბუნებით გმირი ქალი გადასწყვეტს გასწიროს თავი ქმისათვის, ოღონდკი ღვთის-მოსაწონი საქმე გარიგდეს, ოღონდ-კი ჩემს ქმას მოსვენება ელირსოს საიქიოსაო. *) ასეთსავე სატრაგედიო ქარ-ცეცხლშია კრეონი. მეფობითა და ხელ-მწიფურის თავ-მოყვარეობით გატაცებული თავის სამეფოს სიკეთესა სცდილობს და ისეთს ბრძანებასა სდებს კანონად, რომელიც წინააღმდეგია ღმერთების კანონისა. ამით კრეონმა თვისი სურვილი მაღლა დააყენა ღმერთების სურვილზედა. ხოლო ღმერთი დაუსჯელად არა სტოვებენ თავიანთ სურვილის დამრღვეველთა და, ასე, თუ ისე, აღადგენენ დარღვეულსა. მართლაც ანტიგონა ასრულებს ღვთის კანონს, რომელიც კრეონმა და-არღვია და ასეთის ქცევით უმტკიცებს მეფეს, რომ შენი განკარგულება შეცდომააო. მაგრამ კრეონი ვერ მიმხადარა ამას: თავ-მოყვარეობით არის შეპყრობილი და სათაკილოდ მიაჩნია გააუქმოს უკვე გაცემული უკანანო ბრძანება: ისეა გატაცებული თავ-მოყვარეობით, რომ თითქმის ფიქრადაც არ მოსდის, რა უსამართლო საქმეც მოიქმედა და გულ-დაჯერებით ამტკიცებს, შეუძლებელია ღმერთებს ესიამოვნებოდეთ დასაფლავება საპოლიტიკო დამნაშავესიო. ეუბნევიან, არწმუნებენ, შემცდარი ხარო, მაგრამ მაინც ვერას ასმენენ: სხვისი რჩევა და დარიგება როგორ მივიღო მეფე-კაცმაო.

*) ძველ ბერძენთა აზრით, სული მიცვალებულისა, თუ დაუმარხავი დარჩებოდა მისი გვამი, დიდს მოუსვენრობაში იყო საიქიოს და ვერ შევიდოდა აიდის სასუფეველში: ას წელიწადს უნდა ეტანჯნა ასე მოუსვენრად შავ-ბნელ აიდის გალავან გარედა.

მხოლოდ ბოლოს, როცა საშინელი უბედურებანი დატყდება თვის, კრეონი მიჰხვდება, თურმე ღვთის ძალას ვებრძოდიო, ღვთის ნებასთან რას გავაწყობდი მე უბედურიო. მიჰხვდება ამას ლა მაშინ-კი გატყდება. კრეონს სასოება ეკვეთება და; გონება დაკარგული, სიკვდილს-ლა შესთხოვს ლმერთებს.

თვისება და ხასიათი ბერძენთა, ახლანდელ ეპროპიექტა და ცრუ-ჭლასივთა ტრაგედიისა. განსაკუთრებული თვისება ბერძენთა ტრაგედიისა ის არის, რომ 1) სატრაგედიო გმირნი ბედის-წერასა ჰყავს ატანილი და ამ ბედის-წერას ვერ ასცდებიან. ამიტომ ბოლო ბერძენთა ტრაგედიისა გმირის ხასიათზედ-კი არ არის დამოკიდებული, არამედ ბედის-წერაზედ, რომელიც ჰბატონობს ყველგან და ყოველსავე საქმეში. რაც ვის შუბლზედ უწერია, ის გარდახდება: ბედის-წერას ვერსალ წაუვლენ ვერც კაცნი და ვერც თვით ლმერთნი. რაც ედიპ მეფეს გარდახდა, მაგალითად, გარდაპხდა იმიტომ რომ ეგიყო მისი ბედი, ეგ ეწერა შუბლზედა. ქურუმ-ქადაგმა იწინასწარმეტყველა, რომ ედიპი მოპკლავს თვის მამას, ცოლად შეირთავს დედას და შვილები ეყოლებაო. ზნე-მაღალმა ედიპმა რომ ეს გაიგონა, კორინთიდან გაიქცა, მოვშორდები ჩემს დედ-მამასაო, მაგრამ გზაში შეპხვდა სრულიად შემთხვევით ნამდვილს თვის მამას, მეფე ლაის, აუხირდა რაღაზედაც და მოპკლა, მერე ფივის მეფედ იქმნა არჩეული და შეირთო ცოლად იოკასტა, ქვრივი ლაისა. ამ სახით, თუმცა ედიპი დიდად ეცადა, რომ საშინელს ბედის საწერელს ასცდენოდა, მაინც ვერ მოახერხა და, თვისდა უნებურად მოიქმედა ის, რაც დაენიშნა მისთვის აუცილებელს ბედის-წერას. ცხადია, რომ საზარელი ბოლო ტრაგედიისა გმირის სურვილსა და ან ხასიათზედ-კი არ არის დამოკიდებული, არამედ აუცილებელს ბედის-წერაზედ.

სრულიად სხვა ხასიათი აქვს ანლანდელს დრამას, ქრისტეანობაში განვითარებულს. მაკბეტი ილუპება, მაგალითად,

არა იმიტომ, რომ ბედის წერამ აიტანა, ბედმა ისე მოიტანა, არამედ იმიტომ რომ უზომოდ პატივ-მოყვარეა. მართალია, მაკბეტსაც უწინასწარმეტყველეს კუდიანებმა, მეფობას მიიღებო, მაგრამ იმათი წინასწარ-მეტყველება, შესაძლო იყო, არც აღსრულებულიყო; მაკბეტს შეეძლო ყურიც არ ეთხოვებინა კუდიანებისათვას. მაკბეტი ეტანება სამეფო გვირგვინს თვისის ნებითა და სურვილითა, იმიტომ რომ პატივ-მოყვარეობით არის გამსჭვალული ედიპი, პირ-იქით, გაურბის ბედის-წერას, მაგრამ მაინც, ამის მიუხედავად, ვერ ასცდენია იმას, რაც შუბლზედ უწერია. აი ეს არის არსებითი გარჩევა ძველის, საკლასიკო და ახალ, ქრისტეანულ ტრაგედიას შორის. ეს გარჩევა გამოწვეულია. მით, რომ სულ სხვა და სხვა შეხედულება ჰქონდა ძველს, წარმართობაში მყოფს და ახალს, ქრისტეს ნათლით მოსილს ქვეყანას ადამიანზედაც ძველი ქვეყანა უარ-ჰყოფდა ადამიანის ნებისა და სურვილის თავისუფლებას, ხოლო ქრისტეანობამ აღიარა, რომ ადამიანი თავისუფალია და მაშასადამე, თვითვე აგებს პასუხს თავის ქცევისა და მოქმედებისათვისაო.

2) მოქმედება „ედიპ-მეფეში“ მარტივია და რთულს ხასიათს მოკლებული. ყოველივე სწარმოებს იმ საფუძველზედ, რაც იწინასწარმეტყველა ქურუმ-ქადაგმა შესახებ ლაისა და ედიპისა. სოფოკლიც თითქმის ყოველ ამის განვითარებას ანდომებს თვისის შემოქმედობის ნიჭს. „მაკბეტში“-კი დრამას ყოვლად რთული ხასიათი აქვს. გმირის განზრახვა დიდია აქ და დიდს შრომას ითხოვს სხვა და სხვათაგან: ზოგნი მათ შორის ხელს უმართავენ მაკბეტს, ზოგნი ეწინააღმდეგებიან; ამიტომ მოქმედება ამ ტრაგედიაში რთულს ხასიათს იღებს.

3) მოქმედების სიმარტივესა და სირთულეზედ არის დამოკიდებული რიცხვი მომქმედთა. ბერძნულს ტრაგედიაში, რომელიც მარტივია და არა-რთული, მცირე რიცხვია საჭირო მოქმედთა. „მეფე-ედიპში“ ჰმოქმედობენ მხოლოდ შვიდნი:

თვით ედიპი, ქვრივი ლაისა, კრეონი, ქურუმი ტირეზი, მწყე-
მსი და მახარობელი; გუნდი მეშვიდეა „მაკბეტში-კი, რომელ-
შიაც მოქმედება რთულია და მრავალ-გვარი, 25-მდე კაცი
და ქალი ჰმოქმედობს.

4) ბერძნულს ტრაგედიაში გუნდიც ურევია, რომლის
ლაპარაკი გვიხსნის აზრს ტრაგედიის ამა თუ იმ ადგილისას;
ახალს ტრაგედიაში გუნდი არ აჩსებობს. დასასრულ,
5) ბერძნული ტრაგედია, რაკი სცენის შოწყობილობა
განუვითარებელი იყო მაშინ, იცავდა ადგილისა და დროს
ერთიანობას (მოქმედება სწარმოებდა ერთს ადგილას რა ერ-
თის დღისა და ღამის განმავლობაში). ახალს ტრაგედიაში-კი,
რაკი სცენის შოწყობილობა განვითარდა, დროსა და ადგი-
ლის ერთიანობას ყურადღებას აღარ აქცივენ: „მაკბეტში“
მოქმედება სწარმოებს შოტლანდიისა და ინგლისის სხვა და
სხვა ადგილის და თვით მოქმედება დიდს ხანსა გრძელდება.
როცა ალორძინდა და ფრთა შეისხა ძველთა მეცნიერება-
ხელოვნების შესწავლამ დასავლეთ-ევროპაში, ალდგენილ იქ-
მნა ძველი ბერძნული დრამაცა. ეს საქმე დიდს წარმატებაში
შევიდა. უფრო საფრანგეთს, ლუდოვიკო მე-XIV დროს. მა-
შინ გაჩნდნენ საფრანგეთში შესანიშნავნი დრამატურგნი:
კორნელი, რასინი და მოლიერი. მაგრამ, როგორც ძველე-
ბურს პოემასა და ლირიკას მისცეს ცრუ-მიმართულება საფ-
რანგეთში, ისევე შეცდომით გაიგეს ხასიათი ძველებურის
დრამისა და არც მას ასცდა იგივე ცრუ-მიმართულება. ამათს
ნაწერებში, უფრო-კი კორნელისა და რასინის ღრამა-ტრა-
გედიებში; მხოლოდ სახელები იყო მოქმედთა ბერძნული,
ხასიათი-კი მათი ფრანგებისა იყო. ამიტომაც ეწოდა საფრან-
გეთის იმ დროინდელ დრამებს ცრუ-კლასიკური. ხოლო გან-
საკუთრებული თვისება საფრანგეთის მაშინდელის დრამისა
იყო დაცვა ესრედ-წოდებულის სამის ერთიანობისა; ეს სამი
ერთიანობა იყო: ერთიანობა ადგილისა, დროსი და მოქმე-
დებისა. ამ წესით მოქმედება დრამისა უნდა სწარმოებდეს

უთუოდ ერთს ოდგილას და იშვებოდეს და თავდებოდეს უთუოდ ერთის დღე-ღამის განმავლობაში. ამ სამს ერთიანობაში მხოლოდ ერთი აქვს დაცული ახლანდელს დრამას, სახელ-დობრ ერთიანობა მოქმედებისა.

ხასიათი შექსპირის დრამებისა საზოგადოდ. ყველა მომქმედნი შექსპირის დრამებში ზნეობრივ-თავისუფალნი არსებანი არიან და, თავიანთ ნება-ჭურვილისამებრ ჰმოქმედობენ. საღრამო ბრძოლა დაფუძნებულია იმაზედ, რომ ზნეობრივი მოვალეობა და გულის-თქმა უპირისპირება და ეჯახება ერთმანერთს. ყველა მომქმედნი ისე არიან გაჩენილნი, რომ გულის თქმანი ძლიერი აქვთ და ჰმოქმედობენ შუა-საუკუნეთა ცროვრების ვითარებაში, რომელიც კარგად ჰქონდა შექსპირს გათვალისწინებული. ამ ცხოვრების უმთავრესი ხასიათი ის იყო, რომ ჯერ გარკვეული არა ჰქონდა არავითარი რიგი და წესი, შემუშავებული არა ჰქონდა არავითარი საზნეობო რწმენა, რამელსაც შესძლებოდა შეეკავებინა გულის-თქმის კვეთება ძლიერ ადამიანთა. გატაცებულნი რომელისამე საძაგელის გულის-თქმით, ასეთნი ძლიერნი კაცნი, არღვევდნენ და ფეხ-ქვეშ სთელავდნენ ყოვლად-სავალდებულო პრინციპებს ცხოვრებისას და ზნეობისას. ამის გამო იბარებოდა ყოვლად უგვანო და შეუწყნარებელი ურთიერთობა კაცთა-შორის. (მაგალითად, ედმუნდი „მეფე ლირში“, გატაცებული პატივ-მოყვარეობით, ჰლუპავს მშობელს მამას, ძმას და ატყუებს რეგანასა და გონერილიას, ეფიცება, ვითომ მიყვარხართო). რაკი ასეთი უადამიანო ერთმანერთობა იბარება, ცხადია, ამისთანა ხალხში, ათასი უბედურება ყველას ყურს უკან უნდა ედგას. შექსპირის დრამებში ადამიანი თვითვე ატარებს თავის არსებაში მიზეზს თვისის ბედნიერებისასა და უბედურებისას. ყოველი საქციელი მისი არის შედეგი თითოეულის საკუთარის ნება-ჭურვილისა და ამიტომ იგი საქციელი სარკეა ამ საქციელის მომქმედის სულისა.

ამ სახით, შექსპირის დრამებში ადამიანი იხატება სავ-

სებით, თვისის ავისა და კარგის თვისებით, თვისის ხასიათებით. აქ ბედის-წერას აღგილი არა აქვს. აქ მომქმედი ბრძანიალი-კი არ არის ბედის საწერელისა, არამედ თავისუფლად მომქმედია ისე, როგორც შეეფერება მის ხასიათს.

ერთი განსაკუთრებული თვისება შექსპირის დრამებისა არის კიდევ ის, რომ დიდი ზღვარი არა სძევს საშინელსა და საცინელს შორის, სატრაგედიოსა და საკომედიოს შორის. საშინელი და სასაცილო, სახუმარო და არა-სახუმარო — ზე-დი-ზედ მისდევს ერთმანერთს, რაიცა უფრო შეეფერება ცხოვრებას, რომელშიაც შეუძლებელია, სულ სამწუხაროსა და თავ-საცემს მდგომარეობას სასაცილო და სამხიარულო არა მოსდევდეს-რა. მკითხველიცა და მაყურებელიც თითქმი ისვენებს იქ, საცა სახუმარო და სასაცილო იწყება და მერე განახლებულის გულის-ყურით აღევნებს თვალს მომქმედთა გულის-თქმის კვეთებასა და ქარ-ტეხილს.

დასასრულ, უნდა ვსოდეთ, რომ შექსპირი თვისის გენიოსობით უუდიდესი პოეტია მთელს ქვეყნიერობაზედ და იმას, როგორც დრამატურგს, ტოლი და სწორი არა ჰყავს. „ბუნებამ უხვად დაჯილდოვა შექსპირი ყოველის თვისის უხვებითა და მიანიჭა ყოველი თვისება, რომელიც-კი დიდებულს პოეტს უნდა ჰქონდეს: მდიდარი და დაულევნელი შემომქმედი ფანტაზია, სილრმე და სიფიცხე გრძნობისა, გონების თვალთმხედველობა ისეთი, რომლის წყალობითაც ცხადად სჭრეტ-და თვით ყოვლად იღუმალს ყურე-კუნჭულს აღამიანის გულისას, დაუშრეტელი საგანძური მახვილ-გონიერებისა, აზრიანობით სავსე ირონია და ბოლოს — რათა სავსებით ეუფლა, განეგო და ეხელმწიფნა ყოველ ამ უხვებათა შორის — ჭკუა, მქნელი და შემომქმედი დიდის მოფიქრებითა და თავ-დაჭრითა და ის წმინდა, „ბრძოლასა და მწუხარებაში შემუშავებული სიბრძნე, რომლის წყალობითაც მისნი ქმნილებანი „სარკეა მთლად ქვეყნიერობისა და კაცობრიობისათვის“, „საერო დაბადებაა“, მუდამ საინტერესო და სა-

გულისხიერო ყოველის გრძნობა-მახვილის მკითხველისათვის“
(შერჩის ისტორია მსოფლიო ლიტერატურისა).

პ ლ მ ე დ ი პ.

ქომედია ეწოდება ისეთ საღრამო ნაწარმოებს, რომელ-
შიაც იხატება, მოქმედების სახით, უზნეო-უგუნური ბრძოლა
აღამიანისა. იხატება ბრძოლა ისეთის აღამიანისა, რომელსაც
შეულახავს ზნეობიანის და გონიერის არსების მოვალეობანი.
ასეთია კომედიები გ. ერისთავისა, ზ. ანტონოვისა, გაბ. სუნ-
დუკიანცისა, ავქ. ცაგარლისა.. არუთინ ზიმზიმოვი, მაგალი-
თად, „პეპოში“ ასცდენია ნამდვილ აღამიანის გზას და დას-
დგომია პატიოსანისა და საწყალის ხალხის გაყვლეფის ხე-
ლობას, ისე-კი რომ თან უნდა ვითომ პატიოსანის ჭაცის
სახელიც ატაროს. ბოლოს ასეთი ავაზაკი გაებმევა მახეში და
ჩაუვარდება ხელში პეპოს, რომელიც ემუქრება ყოველისავე
მისის ავის საქციელის გამოაშკარავებას. არუთინ ზიმზიმოვი
სცდილობს მიატანიეროს როგორმე ეს საქმე, ჩააფუქრებოს ყო-
ველივე. ამიტომ სხვა და სხვა თანხებს უწყობს პეპოს და
სცდილობს თავი შეუხვიოს როგორმე, მაგრამ ვერ ახერხებს
და ყოველი მისი ბოროტ-მოქმედება აშკარავდება, მისდა
სამარცხვინოდ და თავ-ლაფ-დასასხმელად.

აქედან სჩანს, რომ კომედია ჰერაკლების უმგვა-
ნობას და სიმრუდეს, ყოველ-გვარ მის ნაკლა და ბიწიერე-
ბას ჰერაკლეს და სასაცილოდ ჰერნის. მაგრამ ამ სიცილს
ჩშირად ნაღველიც ერთვის; ნაღველიც ერთვის იმიტომ რომ
ვხედავთ, რაოდენად დამახინჯებულია ბუნება ადამიანისა და
რაოდენად გაუმსჭვალავს უადამიანობას. კომედიაში გმირი
ებრძვის დაბრკოლებათა, სცდილობს ბეღნიერება დაიმკვიდ-
როს, მაგრამ მისი იდეალი წვრილმანია, ეგოისტური და ხში-
რად თვითონაც ცხადად ვერ გაუთვალისწინებია ის, რასაც
ეტრფის, ვითა იდეალს. სამაგიეროდ, იდეალი ავტორისა,

რომელიც უხილავად უნდა სუფერდეს კომედიაში და აშუ-
ქებდეს ცხადად ამა თუ იმ სასაცილო თვისების მომქმედთა,
უნდა იყოს მაღალი და ლირსი ადამიანისა, როგორც ზნეობა
და გონება-მოსილის არსებისა და იდეალის რაობას კარ-
გად უნდა ჰერძნობდეს, როგორც ავტორი, ისე წარმოდგე-
ნის მაყურებელი, იმიტომ რომ თუ კარგად არა გვაქვს შეგ-
ნებული იდეალი ანუ ის, რაც ჭიშმარიტად სასურველია
ცხოვრებაში, ვერც ამ ცხოვრების სიმრუდეს შევამჩნევთ. ამი-
ტომ აქვს ისეთი მცირე ფასი და ისე წვრილმანიშა ის კო-
ნიტმი, რომელიც დამყარებულია მხოლოდ გარეგან ნაკლის
დასურათებაზედ (დიდი ცხვირი აქვს კაცსათ და იმაზედ დას-
ტინოდე, მოპოტურვია სახეო, ფეხი მოუტეხია და სასაცილოდ
დაჩლახუნობსო) და არა შინაგანს სიღუხჭირესა, სულისა და
გულის ნამცეცობაზედ.

კომედიას აზრად აქვს გაარკვიოს ცხოვრების ესა თუ
ის საყურადღებო საგანი ესრედ-წოდებულის უარ-ყოფით ანუ
პირ-უკულმაობით, ესე იგი უარ-ჰყოს, სასაცილოდ დასახოს
ის, რაც მავნებელია, სასაცილოდ ასაგდებია, რაც ეწინააღმ-
დეგება გონიერჩს და ზნე-მაღალის აღამიანის იდეალს და მით
სურვილი ჩაუნერგოს ყოველს ჩვენგანს უზნეობის თავიდან
აცილებისა და გონიერის ცხოვრების წეს-რიგის შეთვისე-
ბისა.

კომედიები სხვა-და-სხვა გვარისაა და, იმის მიხედვით, თუ რა შინა-
არსისაა კომედია, სახელ-წოდებაც ისეთი აქვთ. არის, მაგალითად, კო-
მედია ზნე-ჩვეულებისა ანუ მაღალი კომედია, თუ ამისთანა-
ნაწარმოებში საღრამის ბრძოლა დაფუნქციებულია ადამიანთა ბიწიერებასა და
ნაკლულევანებაზედ; არის კომედიები სახუმრო და სასაცილო
ანუ ფარსი. თუ ნაწარმოებში მეტი ადგილი დათმობილი აქვს წვრილ-
მანს კომიზმს, რომელიც წარმომდგარია მომქმედთა გარეგან ნაკლთა და
სურათებით, მათის ურთიერთობის ამბის გართულება-დახვლანჯვით და
კარიკატურულად (გარდამეტება, გაზვიადება) დახატვით ადამია-
ნის ამა თუ იმ სისუსტე-ნაკლისა; არის ისეთი კომედიებიც, რომლებსაც
ეწოდება კომედია-ვალდევილი, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც

გაჩნდა. მისი განსაკუთრებული თვისება ის არის, რომ შიგ სასიმღერო ლექსებით და ამ ლექსებით მომქმედნი გამოსთქვამენ ან რომელსამე ზოგადს ჰეშმარიტებას, ან თავიანთ მდგომარეობის შესახებ ამბობენ რასმე.

შედარება ტრაგედიისა და კომედიისა. შედარება კომედიებისა ერთმანერთს შორის, აგრედვე შედარება კომედიებისა და ტრაგედიებისა დაგვანახვებს, რომ კომედიის განსაკუთრებული თვისებაა:

1) კომედიის გმირთ არ ემჩნევათ ის იერი დიდ-ბუნებოვანებისა, რომლის ბეჭედიც აზით ტრაგედიის გმირთ. დიდი განსხვავებაა, მაგალითად, შექსპირის მაკბეტსა და არუთინ ზიმზიმოვს შორის, ანუ შილლერის კარლოს მოორსა და ავქტორარლის ციმბირელს შორის. მაკბეტის ყოველი საქმე, ყოველი საქციელი ჰმოწმობს, რომ ეს კაცი დიდის ბუნების კაცია, ღრმა ფიქრისა და აზრისა. მისნი გულის-თქმანი ძლიერია და სახმილებრ მწვავი, მისნი განზრახვანი ყოვლად ფართო და დიდი, მისი წვა და დაგვა, ტანჯვა. მისის სულისა საშინელებაა. ზიმზიმოვ-მაზუთიანის საქმენი-კი წვრილმანობაა, ქვენაობაა, არარაობაა. მათნი გულის-თქმანი წვრილმანია, სურვილ-სწრაფვანი — სათაკილონი, ღელვა-წუხილი — სასაკილო არაფერი მათი. არ ჰმოქმედობს ისე, როგორც ჰმოქმედობს ის, რასაც ემჩნევა ნიშან-წყალი დიდებისა. გმირნი ტრაგედიისა, როგორც კაცი, უხვად დაჯილდოვებულნი სულიერის ძალ-ღონით, შესანიშნავნი, იშვიათნიარიან; კომედიის გმირთ-კი ჩვეულებრივი, უბრალო სიკვდილის შვილთა ფერი ადევთ, ტიპები არიან, ისეთი ტრიპები, რომლებსაც ხშირად შეხვდება ადამიანი ცხოვრებაში. ტფილისი სავსეა, მაგალითად, იმისთანა კაცებით, როგორიც არის ზიმზიმოვი ან ზამბახოვი, როგორც ჩვენი სოფლები სავსე. იყო ამ ოციონრმოცის წლის წინად იმისთანა მებატონეებით, რომელნიც დასურათებულია გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის კომედიებში.

2) ის ბრძოლა, რომელსაც ეწევიან გმირნი კომედიისა

ან საზეობო წეს-რიგის ცნობიერად, განზრახ დარღვევისათვის (გარასიმ იაკულიჩ ზამბახოვი ატყუებს გ. მასისიანცს და თავისი გონჯი ქალი უნდა მიათხოვოს იმ ლამაზ ნატალიის მაგრერ, ისაიას ცოლისა, რომელიც გააშინჯა), ან უმეცრებით და თავ-ქარიანობით (რუსეთუმე „გაყრაში“), აგდებს გმირებს არა სატრაგედიო მდგომარეობაში, რომელიც იწვევს შებრალების გრძნობას, არამედ სასაცილო ყოფაში, რასაც საკომიკო მდგომარეობა ეწოდება.

ამასთანავე, როგორც ტრაგედიებში დიდ-ბუნებოვან კაცთა ბრძოლასთან ერთად ვხედავთ სურათს იმათის ყოვლად მძიმე და შესაზარის სულიერის ტანჯვისას, — ისე კომედიებში წვრილმან და უარარაო კაცთა ბრძოლასთან ერთად ვხედავთ აფერადებულს სურათს იმათის ბიჭიერებისა, უმზგავსოებისა, უმეცრებისა და საზოგადოდ ყოველგვარ გათახსირებისას. როგორც ტრაგედიაში მოქმედების განვითარებასთან ერთად უფრო და უფრო იშლება ჩვენს თვალ-წინ ძალი გმირის სულისა, ძლიერდება მისი გმინვა და ვაება, — ისე კომედიაში უფრო და უფრო იშლება წვრილმანი გულის-თქმანი და უმზგავსოება გმირის ხასიათისა, ძლიერდება მისი სასაცილობა და მაყურებლისათვის თან და თან უფრო სამასხარო ყოფაში ვარდება.

ვ) რადგან კომედია ჰქანავს სულ სხვა გვარს გმირებსა და სურათებს, ვიდრე ტრაგედია, ამიტომ, ცხადია, რომ ის გრძნობანიც, რომელსაც იწვევს კომედია სულ სხვა გვარია. არა გაკვირვებასა, შეძრწუნებასა და შებრალებას იწვევენ ზიმზიმოვ — ზამბახოვები, მაზუთიანები და მათნი მზგავსნი გმირნი კომედიისა, არამედ სიცილს, რომელსაც ერთვის ხან გრძნობა გულის-წყრომისა, ხან ზიზლისა, ხან გრძნობა სიბრალულისა გულის-წყრომას ჰგრძნობს მკითხველი, როცა ჰქედავს, რომ გმირი კომედიისა არღვევს საზეო წეს-რიგსა, ზიზლსა ჰგრძნობს, როცა ჰქედავს აღამიანის სულის სიმღაბლეს; გრძნობა გმირის სიბრალულისა ებადება მკითხველს, როცა

ისეთს თავ-ცარიელსა და უხასიათო აღამიანს უცქერის, როგორიც არის რუსეთუმე. თან-კი ყოველ-შემთხვევაში იცინის, იმიტომ რომ გმირნი კომედიისა მუდაშ სასაცილონი და მასხარად ასაგდებნი არიან. კომედიის აზრი და საგანიც ეგარის სწორედ, რომ ასეთი გრძნობანი აუშალოს მაყურებელს, რადგან კომედია იმის კომედიაა, რომ, პირველად, დასთრგუნოს ბოროტება სასაცილოდ აგდებით, მასხარად აღებით და, მეორედ,— აღამაღლოს სული მაყურებელისა, რომელიც იძულებულია ჰერძნობდეს გულის წყრომას და ზიზლს იმისას, რაც ლირსია გულის-წყრომისა და ზიზლისა.

ამ სახით, კომედია ისეთი ნაწარმოებია, რომელიც ჭხატავს ბრძოლას წერილმან, უარარაო ადამიანებისას; მასთანავე ასერათებს იმათს უფელ გვარ ბიწიერებასა და ნაკლულებანებას, ხოლო მაყურებელთა გულში ჭბადავს სიცილს და ამ სიცილს ზედ ერთვის ხან გრძნობა გულის-წყრომისა და ხან ზიზლისა იმ კაცების მიმართ, ვინც ისე დაცემულა და დადაბლებულა სულით, როგორც კმირნი კომედიისა.

საკუთრად ღრამა.

ტრაგედიასა და კომედიას გარდა, არის კიდევ ერთ-გვარი სადრამო ნაწარმოები, რომელიც ერთსაცა ჰგავს, იმეორესაცა, მაგრამ თან არც წმინდა ტრაგედიაა, არც წმინდა კომედია, არამედ შერეულს ფორმას წარმოადგენს და ეწოდება საკუთრად დრამა. მაინც წმინდა ტრაგედია და წმინდა კომედია საზოგადოდ იშვიათია. წმინდა, შეურევნელი ტრაგედია და კომედია, რომელშიაც სხვა ელემენტები არა იყოს-რა ჩართული — ტრაგედიაში საკომიკო და კომედიაში — სატრაგედიო — მარტო ძველ საბერძნეთში იწერებოდა. უმეტეს ნაწილად-კი სადრამო ნაწარმოებნი ევროპიელ ახალ მწერალთა შეერთებაა ტრაგედია-კომედიისა, ხოლო ეს შეერთება,

რასაკვირველია, სხვა-და-სხვა გვარისაა. საზოგადოდ, სამ-გვა-
რი შეერთება. შეიძლება:

1) როცა ტრაგედიაში ჩაქსოვილია: საკომიკო ელემენ-
ტი, მაგრამ ნაწარმოები მაინც ტრაგედიად რჩება. მაგალი-
თად, „მაკბეტი“ და „მეფე ლირი“ შექსპირისა. თუმცა ორ-
სავე ნაწარმოებში ხუმარანი ჰმოქმედობენ და ბევრ მწარე
სიმართლეს ისე ამბობენ, რომ ხუმრობაში ატარებენ, თან
ბევრს სასაცილოს ჰმოქმედობენ, მაინც ეგ პიესები ტრაგე-
დიებად ითვლება, იმიტომ რომ უმთავრესი ამ პიესებში ხუ-
მარანი და მათი სასაცილო მოქმედება და ოხუნჯობა-კი არის;
არამედ ბრძოლაა დიდ-ბუნებოვან კაცთა; ერთიანი ზედ-მო-
ქმედება ამ პიესებისა. მაყურებელზედ სიცილს-კი არ იწვევს,
არამედ გაკვირვებას, შეძრწუნებას, დიდს გულის-ტკიცილს
ტანჯულ გმირთა მიმართ.

2) როცა კომედიაში ჩართულია სატრაგედიო ელემენ-
ტი ისეთის კაცის დასურათებით, რომელიც წვრილმანის ხა-
სიათისა არ არის და სიცილს-კი არ იწვევს მისი მოქმედება;
არამედ თანაგრძნობასა და შებრალებას, მაგრამ კომედია მაინც
კომედიის ხასიათს არა ჰყარგავს. ავილოთ, თუნდა, მაგალითად,
იგივე კომედია სუნდუკიანცისა „პეპო“. თვით „პეპო“, აგ-
რეთვე მისი მეგობარი კაკულა, ყოვლად კეთილიშვილისანი
ხალხია; ისინი სიცილს არ იწვევენ მაყურებლებისასა, მაგ-
რამ პიესა მაინც კომედიაა, იმიტომ რომ „პეპოში“ იმდე-
ნად თვით პეპო არ არის საყურადღებო, რამდენადაც საზიზ-
ლარი არუთინ ზიმზიმოვი; მისი თავ-ქარიანი ცოლი და სა-
საცილო, მოხუცებისაგან გამოჩერჩეტებული ფიქო.

3) დასასრულ, სატრაგედიო და საკომედიო ნართი ისეა
ჩართული პირების, რომ ნაწარმოები არც ტრაგედია, არც
კომედია, თუმცა ერთის ხასიათიცა აქვს და მეორისაცა და
შუა ადგილი უჭირავს ტრაგედიასა და კომედიას შორის. ამისა
თანა ნაწარმოებს წმინდა დრამა ეწოდება.

წმინდა ტრაგედიის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ.

ტრაგედიები შექსპირისა, წმინდა კომედიის ნიმუშად — კომედიები არის ტოფანისა. წმინდა კომედიაზე აგრეთვე „ტრევიზორი“ გოგოლისა; წმინდა კომედიასვე უახლოვდება „ხათაბალა“ სუნდუკიანცისა. წმინდა დრამას ანუ საკუთრად დრამას ძალიან ჰგავს ოსტროვსკის პიესა „შექა-ქუხილი“ („Гроза“).

ამ ნაწარმოებში ბევრია სასაცილო და საკომიკო.. და სურათებულია მრავალ-გვარი სიღუხჭირე და საშინელი სიბრნელე რუსეთის მივარდნილ ქალაქების ცხოვრებისა, გამოხატულია ტიპი უხასიათო, საკუთარ სურვილს. მოკლებულ ტიხონისა, თავის ნათქვამისა და აჯამის დიკოისა, გულ-ქვა ფარისეველის კაბანოვის ქვრივისა, რომელიც მტარვალივით ეკრდება თვისის ოჯახის თითოეულს წევრს. ყველა ესენი სიცილი არ იწვევენ თვისის უგვანობით, ზნეობრივის სიმახინჯით: ხან ზიზლით შევცეკერით, ხან გული მოგვდის და ჩვენს გულის-წყრომას საზღვარი არა აქვს, ხან გვეცოდებიან, რადგან მეტად გულ-ნამცეცნი და უბადრუკნი არიან. შაგრამ მიუხედავად ამისა, ამ პიესას კომედია ვერ დაერქმევა, იმიტომ რომ სატრაგედიო ნართიც ბლომადა აქვს ჩართული და მთავარი ინტერესი მთლად პიესასა კატერინას ფრიად გულ-საკლავს მდგომარეობაზედ ტრიალებს. ამასთანავე კატერინას გულის-სწრაფვას არა აქვს ხასიათი ქვენაობისა, არარაობისა, არამედ დიდის მნიშვნელობის საქმეა იგი სწრაფვა, მისის სულისა საკუთრად მისთვის.

მეორეს მხრით, ოსტროვსკის პიესას ვერც ტრაგედია დაერქმევა, რადგან ტრაგედიისაგან ბევრ რამით განირჩევა და სახელდობრ, შემდეგით:

1) საკომედიო ელემენტს უფრო ბევრი ალაგი უჭირავს, ვიდრე დათმობილი აქვს ხოლმე ჩვეულებრივ ტრაგედიებში.

2) შინაარსი მისი შეეხება არა საისტორიო რამ ამბავს, ანუ საერთო გარდმოცემას, არამედ პირდაპირ გარემო ცხოვრებას.

3) სატრაგედიო გმირი ამ პიესაში — კატერინა — დიდის

කාසිංහිකී අදාමියානියා, ව්‍යෝගාලු දාජිලුදෙවුදුභූලි නිශ්චිත, මාගරාඩ
මානින්පු ඉශ්චරු තිවේශ්චලුදුබරිගිව් අදාමියාන්සා තිශ්චාව්, විඋරුජ්, මාගාලි-
තාල, මේශ්චු ලිංක්, මායුදුඕ්ස්, ලේදි මායුදුඕ්ස්, අන්තිගමන්සා. යු-
ත්‍රේරින් ගාකුවිරුවුදාස අර තිශ්චුව් මායුදුරුදුබුලතා මැක්කිලිස් දා උං-
ඇවා මිශ්චි ගුළුවා ගුළුවුදුදා, ගුළුවා ගුළුවුදා, ගුළුවා පිශ්චි-
තාව-ත්‍රාක් අරා ගුළුවා, රුගුණරු සුළුවිගිරි එවා-දාගුව උරාගු-
දියිස ගමිරුදියිසා, තුන්දා, මාගාලියිතාල, මුද්‍රුවිරුවාලුවිස් එව්‍යිඩි-
මේශ්චු ලිංක් මායුදුඕ්ස්, මායුදුඕ්ස්, මායුදුඕ්ස්.

ඉ අ පිශ්චි නාංචාරමුදුදි, රුමුදුලුවියාපු කුමුදුදියිස ගුලුවුමේ-
ත්‍රේදියා අරිස, උරාගුදියිසාපා, මාගරාම ආමාවු දුරිවා ගාන්ස්වාවුදුදා-
ශ්චිලිසාගාන්පා දා මේශ්චිලිසාගාන්පා, අරිස ස්කුත්‍රාද දුකාමා අනු-
ම්‍රිතින්දා දුකාමා,

දාසාසකුඟි.

ଲୋକାତ୍ମକ

୧୬ ପ

ପରିବହଣ ପ୍ରସାଦରେ କାନ୍ତିକାଳୀଙ୍କ ବୈଜ୍ଞାନିକ

୩୬ ବାଣିଜ୍ୟ

I ବାଣିଜ୍ୟ.

625 ი მ წ უ ა რ ე ბ ა დ ი ძ ი უ ლ ე ბ ა ნ დ შ ე რ ე ბ ე ბ ი თ ნ ი ს ა რ ე ბ ე ბ ი თ ნ ი

აღმ ერანი მარციქი და შხაფერობითნი შე და მ წ უ ა რ ე ბ ა დ ი ძ ი უ ლ ე ბ ა ნ დ შ ე რ ე ბ ე ბ ი თ ნ ი გ ე ლ ა თ ი

შვიდ ვერსზედ ქუთაისიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთით ძევს გელათის დიდებული ტაძრი. — ეს სავანე აშენებულია მთის კალთაზე, რომელსაც აღმოსავლეთის გან ტყით შემოსილი მთა დაცერის. ამ მთაში არის სამი ეკლესია, სა- დაც ღდესმე მოლვაწეობდენ მწირები.

მისავალში, გალავანს გადმომა არის — ჩვენს დროს ვერანად ქცეული, — ფერი-ცვალების საყდარი და „წყარო— ცხოვრებისა“.

შიგ, გელათის ეზოში, მოთავსებულია საში ეკლესია: წმიდა გიორგის, წმიდა ნიკოლოზის და გელათის ღვთის- მშობლის ტაძრი. ამ ტაძრის დასავლეთით ქარაფოვან კლდე- ზე დაშენებულია სატრაპეზო, რომელიც ღლეს შებლალუ- ლია აღამიანის უგულობის გამო. სატრაპეზოსთან მთა წყდება და კედელი ისარივით ეშვება წყალწითელასკენ. შირს და- ფენილია ბალებით და ვენახებით ამწვანებული სოფლები; მიღმა, ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით ფირუზის- ფრად ღელავენ ტყეები. — შიგნით ეკლესია სულ მხატვრობაა: საკურთხეველის კამარაში გამოქანდაკებულია მოზაიკის ქვით ღვთის-მშობლის ხატი. ჩრდილოეთ კედელზე დახატულია: აღმაშენებელი, ბაგრატ მესამე, მეუღლე მისი დედოფალი ელენე, გიორგი ლაშა და რუსულან.

თუმცა ბევრჯელ გაცარცვეს და გაქურდეს გელათი, მაგრამ მაინც დღემდის არც ერთ ეკლესიას არ შერჩენია საქართველოში მისოდენი სიმდიდრე: აქ არის დაცული ჩვენი მეფეების გვირგვინი და შრავალი სხვა სიმდიდრე.

აქ განისვენებენ რუსულანი, გიორგი ლაშა და ლილი ბული თამარი.

თამარის საფლავია წმიდა ანდრიას ეკვდერში, შესავალ კარილან მარცხნით, გალავანშივე „კარის ეკკლესიაში“ განისვენებს დავით აღმაშენებელი, რომლის საფლავს აწერია: „ესე არს განსასვენებელი ჩემი, ამას დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე“. „კარის ეკკლესიაში“ დაცულია განჯის რკინის ჭარები, რომელიც წართვა მაჰმადიანებს დიმიტრი მეფემ.

მ ე რ ც ხ ა ლ ი:

ეს რა ჩიტი მოფრენილა, საიდგანა სადაური, თეთრ-გულა და ყელ-წითელა, შავ-ზურგა და უცნაური? — ვიცნობ, ვიცნობ მაგ შავ-თვალის, ზამთარშია ინდაური, ახლა სტუმრად ჩვენ გვეწვია, ზაფხულშია აქაური.

ეგ სირი ხომ მერცხალია, ჭია-ლუის დიდი მტერი, ბუზებს იჭირს კაბარაში, არ წაუვა არსად მწერი.

უმანკო და ტურფა, ნაზი, სულ არ არის დასაჭერი, მაგას უნდა უთავაზოთ ბუდისათვის სახლის ჭერი.

დახე ცაში, როგორ მარდად ნავარდობს და თითქოს სცურავს, ხან მიწის პირს, ისარივით, მიფრინავს და ფრთასა სწურავს; ჭიკჭიკობს და შეექცევა, საქმეს არ იქს დასამდურავს, თიხას ზიდავს ნისკარტითა და ბუმბულით ბუდეს ჰბურავს... აგერ ვხედავ, შემომჯდარა... რას ულურტულებ წეტა, ჩიტო?.. „ბერი ცხონდა, ბერი ცხონდა — ამბობს — ყმაწვილები ულიტო!“ — რისთვის? რადგან ბუდეს უშლით... აღარ დაუშალო, ტიტო!..

თავად ლუარსაბ თათშარიძის სახლ-ძარი.

კარგი რამ იყო თავად თათშარიძის სახლ-კარი. წარმოიდგინეთ შუა კახეთის პატარა სოფელში ერთი ტრიალი, და

ცემული ადგილი და იმ ადგილის შუა-გულსა ორ-სართულიანი სახლი ქვითკირისა, აი ის სართულები რა ფერისა, იყო: ქვეშ იყო მარანი, წალმით დახურული, და იმ მარნის უკანა კედელზედ ამოყვანილი გახლდათ ერთი პატარა ოთახი მოაჯირითურთ. მოაჯირს ეკრა ზედ მერცხლის ბუდესავით ერთი მცირედი ფიცრული, რომელიც საქვეშაგებოსა თამაშობდა, კარგა მანძილზედ კიდევ ფიცრულის სათორნეც იდგა, იმას აქედამ ხულა, რომელსაც ზედ პქონდა მოდგმული ცალ-თვალია სასიმინდე, ერთი უბადრუკი რამ და მგლოვიარე. ბალჩაც იყო, ლობით გავლილი. ლობესთან, ერთის ფურცლის ხის ხიახლოვეს, მოხანდა ძველი ჩალური, დროთა ბრუნვისაგან ისე გვერდზედ წამოლებული და წამოხრილი, თითქო გრილოა ში წამოწოლას აპირებსო, მაგრამ ბებერსავით ნეკრესის ქარის ტკივილებს უეცრად ისე წამოხრილი. და დაღრეჯილი შეუკავებიათო. ეზო ამ ციხე დარბაზისა სიგძეზედ თუ სიგანეზედ კარგად ფართოდ იყო განზიდული. იმას ერტყა გარშემო ძველი ტყრუშული ლობე, რომელიც ზოგიერთგან გადაქცეული იყო და ეხლანდელს. პატრონს არც კი მოსვლია ფიქრად, რომ გაეკეთებინა. ეტყობა, რომ ქართველია!..

ლობე ერთგან თავდებოდა უშველებელის ჭიის კარებითა, რომლის ერთი ნახევარი, — თუნდ ორი წელიწადია, — ისე საცოდავად დაღრეჯით გაღმოპკიდებოდა ერთს ყუნწსა, ასე გვონია, ბოძს დაუჭერია საცემლადაო და ის კი იწევსო, რომ როგორმე ხელიდამ დაუსხლტესო. ჭიის კარიდამ იწყება კალოა დიალ მოზღილი; მისი ბუჩო ერთ მხრივ მთელ კალოს სამხრეთის, ნაპირზედ გორასავით გაწოლილი იყო, ასე რომ იმისი ბოლო ზედ საბძელთან დააწყდებოდა. საბძელი იყო სასაცილო, ისე სულელურად ჩაფიქრებული და, გვერდ-აწეული მარტო ფრთა მოტეხილი ბატი თუ მინახამს. ჩატარებული ჩემს პატარა ბიჭობაში ბევრი კარგი ნახულაამ ბუჩოზედა; აქ ხშირად უქეითნიათ გრძნობის აღმტაც ლრუტუ-

ნით ნებიერს ლორებსა; თავის ფაფუკის დინგით ბევრჯერ უთხრიათ ეს სურნელი ბუჩო, ისე გულმოდგინებით; ისეთის სინაზით, ასე გონია, მართლადა ლორები იყვნენ.. მერე იმათი ოხუნჯობა! იმათი ალერსი! ოპ! ეს კი აუწერელია. რაღაც კმაყოფილებით გატაცებულთა; იმ ლორებს ბევრჯელ წაუთავაზებიათ ერთმანეთისათვის დინგი. რა ყვირილი და ჭყივილი ასტყდებოდა ხოლმე! ეგრე ჩვენი გლეხ-კაცი საალერსოდ წაუთავაზებს ხოლმე ქისტსა ახალ მოყვანილ პატარძალსა; ვიღაცამა სთქვა: „ქართული სიყვარული ლანძღვააო“; მეც ვიტყვი: ქისტი კიდევ საოხუნჯო ალერსია. ადმინისტრაციაში მაგას კიდევ სხვა მნიშვნელობა აქვს: იქ ქისტი შემმაცნებელი საბუთია. ეგ ჩვენი საქმე არ არის.

შიგ თვითონ ეზო ისე უწმინდური იყო, როგორც ძველის ჩინოვნიკის გული. დიდი საქმე იყო, პატრონამდინ ისე მიგეხწიათ, რომ ან არ გასვრილიყავით, ან კიდევ ერთი ამბორების სურნელება თან არ აგეყოლიათ. ეს გარეგანი; ახლა, ბატონებო, შიგ სახლში ვეწვიოთ თავადს თათქარიძესა.

ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ, თუ ჩემვევით, ფრთხილად უნდა ვიყვნეთ. იატაკი აგურისა არის. ეგ არაფერი, ეს არის ძნელი, რომ აგურები შიგა და შიგ ამოცვივნულან; იმათი ალაგი ამოთხრილ თრმოებად დარჩენილან. თვალების ძალიან გაფაციცება უნდა, თორემ, თუ ფეხი შიგ ჩავარდა, ვაი შენს მტერსა! ან კისერი მოსტყდება კაცსა, ან თითონვე ფეხი. თუმცა, მართალია, პატრონი ბევრს ბოლიშს მოიხდის, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ბოლიში ძნელად თუ მჟარჩენს მოგრეხილს და კისერსა, — და არც მოტეხილ ფუხისათვის არის უებარი წამალი. ამ ხითათს შეიძლება კაცი გადარჩეს, თუ რომ ოთახი ნათელი იყვეს; ვაი, რომ არც ეს არის. თუმცა ორი სათოფეზედ კარგა მოტიდო ფანჯარა აქვს, მაგრამ მარნც კიდევ ოთახი ბნელია, იმიტომ რომ ფიჭვის ჩარჩოებზედ მინის მაგიერად მეტად გამჭრიას. გონებას გაქონილი ქალალდბ გაუკრავს. აი ამაზედ არის ნათქვამი: „ხერხი სჯობია ლონესა,

თუ კაცი მოიგონებსა“. მოგონებაში ქართველ კაცს პირველი ევროპიელი მეჭორეც არა სჯობია.

ბევრჯერ მინახავს სხვაგანაც მაგისთანა ფანჯრის სასაცილო სამკაული. ბევრჯერ მინახავს ის გაქონილი ფანჯრის ქაღალდი ნემსით დაჩხვლეტილიცა: ხან გულია გამოყვანილი, ხან ჯვარია, ხან კიდევ დაწერილია რამე, თუნდ ამისთანა რამ: „დათვი ხეზედ როგორ გავა, იავ ნანინაო“!.. ეს კი ქალის საქმე უნდა იყოს. თუნდ მართლადაც ესე იყოს, რა დასაძრახისია. მოსწყენია დავითნის კითხვა, გულზედ რაღაცა სევდა მოსწოლია,— და გონების გასართვად და უგემურ დღის დასალევად მიმჯდარა ფანჯარასთან, ამოუძვრია გულის ქინძისთავი და მიუყვია ხელი ამ მართლა და გონება გასართველ საქმისათვის. უსაქმო ყოფილა და საქმე გაუჩენია ამ ანდაზის ძალით: „ცუდად ჯდომას! ცუდად შრომა სჯობიაო“.

იმ თათქარიძის ოთახში იდგა ორი გრძელი ტახტი, ერთ-მანეთის პირდაპირ. ასეთი ფაქტი ქეჩა და ხალიჩა ეშალაზედა, რომ, როცა კნეინა ადგებოდა, ყოველ მის ბრწყინვალების ბრწყინვალე ფეხის ბრწყინვალე გადადგმაზედ, ისე ლამაზად აბოლდებოდა ხლომე, რომ კაცი ყურებით ვერ გაძლებოდა. ამ ორ ტახტ-შუა აღმოსავლეთის კედელში მოჩანდა კბილებ ჩაცვივნულ ბეპერ დედა-კაცის დაღებულ პირსავით ამოჭვარტლული გარედამ და შიგნიდამ ერთი მწუხარე და დაღრეჯილი ბუხარი. აქა-იქ ოთახის სამკაულიდ ეყარა სხვა და სხვა ნაირი ნივთები, მაგალითებრ: ტალახიანი ყარაბაღული თეთრი წალები, პირ მოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი შანდალი, სპილენძის საჩაიეში მოხარშული მყრალა ბალახი, ზურგიელის ნაჭერი და სხვ, და სხვ.

ილ. ჭავჭავაძე.

მავკასიონის მომზადები:

მზე ჩაესვენა, მარამა მის შუქი ჯერეთ კავკასია თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცა.

ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი, სხედან, ვით დევნი სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნის მათ კლდოვან გვერდთა შავათა ღრუბელნი ზედ დასწოლიან და მრისხან ებით ქვეყანას წარლვნითა ემუქრებიან.

გაზაფხულისა ხელითა ტყე შემოსილი სიმწვანით მთებისა კალთებს შეამკობს სატკბო სუნნელთა მოფენით.

წყალნი, მთით დაქანებულნი, ალმასებრ უფსკრულს სცვივიან, თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან.

გრ. ორბელიანი.

ქართლის ცოცხლი

ბევრი ქართლური სოფელი სწორედ სასაცილო სანახავია. შიგ რომ შეხვალ, მხოლოდ იმითი შეამჩნევ სოფელსა, რომ მაღალ საბძლებსა და საყდარს დაინახავ. ჰფიქრობ, სად სცხოვრობენ გლეხებით. როცა დააკვირვები, აქეთ-იქით მი-იხედ-მოიხედავ, მხოლოდ მაშინ შეამჩნევ, რომ ქართლელებს თხუნელასავით სახლები მიწაში ვქონიათ ჭაკეთებული. თუმცა ქართლურ სოფლებში ქარი ისე ბევრი არ შესისინებს, როგორც კახურსა და იმერულს სახლებში და იმდენი ბოლი არა დგება, როგორც აქა, მაგრამ ამათზედ უფრო მეტი ნაკლულევანება აქვს: რადგანაც სახლი შიგ მიწაშია ჩამძრალი. და ქარი და მზე არა მხრით არ შედის, ამიტომ შენობაში მუდამ ნოტიო, გაფუჭებული და მძიმე ჰაერია. ეს არის იმის მიზეზი, რომ ქართლში ქარებით და მჭვლით ავაღმყოფობა ხშირია; აგრეთვე ხშირია საოფლე, რომელიც ნოტიო და დამპალ ჰაერში ხშირად დაიბუდებს ხოლმე. ბევრჯელ ერთს ამ გვარს სახლში შეკუნჭული არიან; ადამიანები, შინაური საქონელი, ქათმები და, რასაკვირველია, ამისთანა სახლში საშინელი უწმინდეურობაა, — გლეხ-კაცის ცოლ-შვილი სნეულდება და სიცოცხლეს მალე ათავებს. მაგრამ ისიც კი უნ-

და ვსთქვათ, რომ ქართლელებს ყველას არა აქვთ მიწური
შენობა. თავად- აზნაურობის გარჩა, შემძლებელს გლეხებსაც
ხის და ქვითკირის სახლებიც უტვრდათ. და ამისთანა რიგანი
შენობანი თან-და-თან მატულობენ ბატონ-ყმობის გადაფარ-
დნის შემდეგ.

ი. გოგებაშვილი.

ს. ა ქ ა რ თ ვ ე ლ ღ.

ორი ზღვის შუა მდებარებს ქართველთა მიწა-წყალია,
ჰყვავის და ჰყვავის მუდმისად, უინვისგან დაუმზრალია,
შიგ ბანოვანნი კეკლუცნი, მტრის თვალმა ჯერ ვერ დალია,
ვაუ-კაცთ ცალ ხელში ჯვარი აქვთ, მეორე ხელში—ხმალია!..

ვიშ, რა ხალხია, რა ტურთა, რა გულოვანი, მოყვასი,
უხვი, მხედვი, ქრისტეს მორწმუნე, მტკიცე რჯულისა, კისკასი;
შურით, იჭვით და ტრფიალით მას გადმოსცერის კავკასი,
ნოეს კიდობნის მტვირთველიც და ურწმუნონი ათასი!

რა ქვეყანაა, რა ჰშვენის, დამატკბობელი ხულისა,
ვაზი ვარდს გადაპხვევია, გამლალებელი გულისა,
არ ეკრძალების კავკასის, ღრუბლებით დაბურულისა,
ებგურად ჰეთადის ამ მთასა, ზოგჯერ მიზეზად წყლულისა!..

რაფ. ერისთავი.

ნ ა ღ ი რ ღ პ .

მე სწორედ ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან, ისა ვარ.
ჟაკვირვლად მიყვარს დაბურულს, ხმა-გაკმენდილ ტყეში ხეს
ქირას ჯდომა და მილეულის გულის ცემით ლოდინი ნათვა-
ტეჭვის ნადირისა. არის რაღაც მოუწყინარი სიამოვნება ამ
ხალისიან გართვაშია. თუ გნებავთ, ამასაც კი ვიტყვი; რომ

ნაღირობა ცოდვაა: ყოველი სულიერი ღვთის დანაბადია, ყველას აქვს თანასწორი ნება ამ თვალი-მიუწდომელ ქვეყანაში ცხოვრებისა, მაგრამ რა ფაერიუმბა?.. ტყუილად კი არ გვარ-წმუნებს ჩვენი საღმრთო წერილი, რომ პირველი სისხლი უბოროტო ქვეყანაზედ კაცმა კაცისა დაანთხია. კაცი მოა- სისხლეა; მეც კაცთაგანი ვარ. ბევრჯერ მინახავს ირემი დამ- ფრთხალი ძალისაგან, ბევრჯერ მინახავს და ბევრჯერ გაუ- ტაცნია ჩემი გონება მის თავისუფალს სილამაზესა. გადუწყვია რა ზურგზედ თავისი შტოიანი რქები, მორბის გამალებული, ლამაზი და ამაყი, უკან მოჰყეფს ნაგეში ძალი. ძალს მი- ურბის საწყალი და ზედ კი შეეხლება ხოლმე კაცსა, რომე- ლიც ამ შემთხვევაში ძალზედ უფრო შეუბრალებელია და დაუნდობელი. შორიდამვე ესმის ირმის ფეხის ცემა ყურ- მახვილ მონადირესა; ესმის და მისი მოსისხლე გული ღელ- დება და ღელდება მეტის მოუთმენელობისა გამო. აი მოვიდა თოფის შანძილზედა, ფოთლებ და ბუჩქებ შუა გამოჩნდა მისი დაღონებული, ნაღვლიანი თავი. ძალი დაუახლოვდა. იშვი- რა ფეხი ირემმა და ისარივით გადმოეშვა ბუჩქნარზედ. გვი- ნია, აგიქცევს გზას და მიეცემა საყვარელის ტყის განსაკლე- ლით სავსე თავისუფლებასა, მაგრამ არა, — დაუშტვენ. მაშინ უნდა ჰნახოთ, რა მწუხარებით შედგება, რა რიგ საოცარ შშვენიერებით მოიღერებს კისერსა, რა გაფეთებით და იმედ- გადაწყვეტილად დაიწყებს ნაღვლიანის თვალების ტრიალს, ყურების ცქვეტას, გაგანიერებულის ნესტოებით სუნის აღე- ბასა!.. ისეთი ლამაზია, ისეთი ნაზია და იმ სინაზესთან ისეთი მიმზიდველი ამაყიცა, რომა, გვინია, რაც ბუნებისაგან მი- ნიჭებული მაღლი აქვსო, სულ ეხლა შემოიკრიბაო, რომ სიკე- თით და თავის სილამაზით მაინც შეაბრალოს თავი დამალულს მტერსაო! მაგრამ კაცი მაგისთანა გულ-ჩვილი არ არის, რომ მაგით მოსტყუუდეს. რაკი იყნოსა, კაცის სუნი აიღო, ირემმა დააპირა გაქცევა, მაგრამ თოფმა იგრიალა, და ირემი, აქამდინ ცოცხალი, თავისუფალი და ლალი, გაირთხო იმ ბალა-

ხებზედ, რომლის კალთაშიც პირველად აახილა თვალი, რომ
მიესალმოს ქვეყანასა და ბოლოს უკანასკნელად დაეხუჭა, რომ
სამუდამოვა გამოესალმოს, ისინი იყვნენ ამის აკვნად და ბო-
ლოს საფლავადაც გადაექცნენ. უნდა ჰნახოთ ის ამაყი, თა-
ვისუფალი ნადირი, რა რიგად უდტრვინველად და მშვიდადა
კვდება, მაგრამ მე ყოველთვის მის ცრემლ-მორეულ თვალებ-
ში ეს აღმომიკითხავს: ჩემო მკვლელო! ქვეყანა ღვთისა დი-
დია და ფართო... რად შეგშურდა, რომ მეც, უბოროტოს
და მშვიდსა, ამ ღვთის მიუწდომელ ქვეყანაში ერთი მტკაველი
ალაგი მეჭირა?.. ეს სიტყვები აღონებდნენ გულს, მინამდინ
დედამიწა შეიშრობდა სისხლსა დაღვრილსა, და როცა შეიშ-
რობდა, მეც კი მომაგონდებოდა, რომ ჩვენ თვითონ სული-
ერთა მეუფენი, ჩვენ თვითონ ქმნილებათა გვირგვინნი, ჩვენ
თვითონ ღვთის სახისანი ერთი-ერთმანეთს. არ, ვუთმობთ იმ
ადგილსა,— რაკი მოვიგონებდი, რომ ყოველ კაცის ნაფეხურსა
ერთი მუჭა კიცისავე სისხლი. შეუშვრია, მაშინვე დამიდინ-
ჯდებოდა გული და გამართლებული ვიტყოდი: „ისიც კარ-
გია, ჩემო პირუტყვო, რომ იქა ჰკვდები, სადაც დაიბადე.
ჩვენ, კაცები, ხანდისხან მაგ ბეღნიერებასაც მოკლებულნი
ვართ“.

ი. ჭავჭავაძე.

შ მ ღ ღ ღ მ ა .

ცხრა თიბათვიდგან მზე სამხრეთისკენ ბრუნდება და ცოტ-
ცოტათი გვშორდება; თან-და-თან გვიან-გვიან ამოდის და უფ-
რო ადრე ჩადის: ამიტომ დღე მცირდება, ღამე კი მატუ-
ლობს. თერთმეტს სეკტემბერს დღე და ღამე სწორდება, ასე
რომ თორმეტი საათი ღამეა, თორმეტი დღე; ამ რიცხვიდგან
იწყება შემოდგომა. ღამე თან-და-თან სჭარბობს დღესა და
თორმეტ დეკემბერს ერთი ორად მეტი ხდება დღეზედ. მზე,
რამდენადაც უფრო სამხრეთისკენ მიდის, იმდენად თავის

სხივებს უფრო ალმაცრივ გვიგზავნის. სიცხოველე მას ცოტა-
ცოტათი აკლდება, ქვეყანას ხეირიანად ვეღარ ათბობს და
ამიტომ ჰაერი ცივდება. დილით და საღამოთი ხანისე ცივა,
რომ თბილი ტანისამოსი უნდა ჩაიცვას კაცმა. მოწმენდილს
ღამეში ნამის მაგივრად რთვილს გააგდებს ხოლმე. დილ-დი-
ლით წყლის პატარა გუბეებს ჰყინავს. ცა მალ-მალე იღრუ-
ბლება; ამასთან ზაფხულის ლამაზს თეთრს ღრუბლებს ვეღა-
რა ვხედავთ; ამათ მაგივრად გულს გვიღონებს ტყვიისფერი
ხშირი ღრუბლები, რომელიც ცას მთელი კვირაობით აღარ
ჰშორდება.. შემოდგომის წვრილი წვიმა ზაფხულის მსხვილსა
და შხაპუნა წვიმას არა ჰგავს. ამ გვარი წვიმა ხან რამდენსამე
დღეს განუწყვეტელად სცრის; მიწაც ძნელად ჰშრება. მთებს
ამ დროს სთოვლავს, თუმცა ბარში თოვლს ჯერ ფეხი ვერ
მოუკიდნია. რადგანაც მთებში ამ დროს ზამთარია, ამიტომ
იქიდგან ცივი ქარი მალ-მალ მოჰქრის.

ზამსვლელი ფრინველებთ ზაფხულის გასულშივე შორს
მოგზაურობისათვის ემზადებიან. ყველაზედ აღრე დაფაცურ-
დნენ მერცხლები და ენკენისთვის დამდეგსვე გასწიეს თბილს
ქვეყნებში. მერმე რამდენიმე რიგად დამწკრივებული წერო-
ები და გარეული ბატები ყვირილით გაემგზავრნენ. ამათ თან
გაჰყვებიან მწყრები და სხვა ფრინველები. ტყეები და ჭალები
ცალიერდება და გულ-გამაწვრილებელი სიჩუმე მყარდება. ზამ-
თრისთვის ჩვენთან ცოტა ფრინველები-ლა რჩება.

ზაფხულში ბევრი ხილი დამწიფდა და მოილია, მაგრამ
ზოგმა კი დამწიფება ვერ მოასწრო და შემოდგომას შემოუ-
სვლელი შეჰყვა. შემოდგომაზედ ბალებში ბევრნაირი მსხალი
და ვაშლი ჯერ კიდევ შეკუნწლული სდგას. მაგრამ ისინიც
მალე მოიკრიფება. ყურძენიც შემოდგომის დამდეგს სრული-
ად მწიფდება. ამ დროს მსხმოიარე ზვარი მეტად სასიამოვნო
სანახავია.

რამდენიც დრო გადის, იმდენი მთელი ბუნება უფრო
მეტად ლონდება. ხეებს ფოთოლი უყვითლდება და ძირსა

სცვივაც რომელი ხეც გაზაფხულზედ ადრე აყვავდება ხოლმე, იმას ფოთოლიც ადრე უყვითლდება. ლონიერი ქართ ძალად აყრევინებს ჯერ კიდევ ნახევრობით მწვანე ფოთოლსა, მაღლა ჰაერში ააქვს, ატრიალებს, დედამიწას ჰფენს და ზოგან ყუდრო ადგილებში ფოთლების გროვებს აყენებს. ცოტა ხნის განმავლობაში ტყე და ჭალა მთლათ შიშვლდება.

გადავიხედოთ მინდორში. არც ეს არის სახიამოვნო მდგომარეობაში. რომელ ბალახსაც გახმობა ზაფხულში ვერ მოპრევია, შემოდგომის სიცივე და ქარი ჩქარა ახმობს. ჭინახულის მიწები ზაფხულშივე დაცალიერდა; შემოდგომაზედ მხოლოდ სიმინდი მოსხანს აქა-იქ ყვითლად, მაგრამ ამასაც მალე მიჰვიდავს გლეხ-კაცი. მინდორი დარჩება სრულიად ცალიერი და შემოდგომის ცივი ქარი ზედ თავისუფლად დაიწყებს სეირნობას. მხოლოდ შემოდგომური ჯეჯილი მწვანე ხავერდივით ამშვენებს არე-მარეს. მაგრამ ამ ჯეჯილს დიდი დღე არა აქვს, ზამთრის სიცივე და თოვლი სრულიად მოალპობს. ფესვები კი ისევ მთელი დაურჩება და ამ ფესვებიდგან გაზაფხულზედ მწვანე ჯეჯილი ზევით საამურად წამოვა.

შემოდგომაზედ ყველა სულდგმული ნაღვლიანდება და ზაფხულის სიმხიარულეს ჰქარგავს. ამ ღრუს ბუნება ხანგრძლივის მუშაობისაგან დაღალულს კაცსა ჰგავს, რომელსაც ძილი მოპრევია. ცოტა ხანს შემდეგ ბუნება ბამბის მსგავსს თეთრს საბანს ზევიდგან წაიხურავს და მთელს ზამთარს დაიძინებს.

ი. გოგებშვილი.

დათვის მოძვლა.

დაიწყო ლამემ დღისაგან გაყრა და მათთვის ფეხზედ წამოდგა; მივიღა იქვე ახლოს წყაროსთან და რამდენისამე მუჭა წყლით გაიგრილა გახურებული შუბლი და თვალები, ახესენა ლმერთი და გასინჯა თოფი, რომელსაც ფალია დაპნო-

ტიებოდა, და გამოუცვალა. ერთბაშად ტყიდგან მოესმა რა-
ლაცა ფაჩი-ფუჩი, თითქო ხმელ კიწაწებს ვიღაცა ამტვრევდა. ცოტა
ხანმა გაიარა და რამდენსამე ნაბიჯზედ დათვის ლრია-
ლი შემოესმა, და ამ ლრიალთან გამოჩნდა უზარმაზარი მხე-
ცი, ისიც პატარა ბელით.

ძნელად იქმნება ისეთი საშიში მხეცი, როგორც დათვი,
როდესაც ის თავის შვილებით არის და იმათ რომელსამე გან-
საცდელში ჰქონდავს. საზოგადოდ მშიშარა და კაცის დანახვა-
ზედ უკუ-მიუხედავად გამჭცევი, თუ დაჭრილი არ არის, —
შვილებთან ის ჰქონდება მძვინვარი, შეუპოვარი და თავ-განწი-
რულობით იბრძვის.

აქეთგან შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რა განსაცდელ-
შიაც უნდა ყოფილიყო მათია.

მათიას არამც თუ შეეშინდა ამ მოულოდნელობისა, —
კიდეც გაუხარდა.

დათვს შეეძლო იმის სიკვდილი, მაგრამ ამ უამად ეს სა-
სიხარულოც-კი იყო იმისთვის.

დათვი გამოვიდა თუ არა, შესდგა და ბლუილით დაღუ-
ნა თავი, თითქოს მიწას ჰსუნავდა და ძლიერის ტოტებით
დაუწყო მიწას თხრა, თითქოს სამარეს უმზადებდა ვისმე.

მათიამ რამდენიმე ნაბიჯი უკან წარსდგა, მოეფარა მოჭ-
რილს ხეს, მოამზადა თოფი და ხანჯალი ნახევრამდის ამო-
სწია. ეს ყველა ისე დაწყნარებით მოამზადა იმან, თითქოს
იქ არაფერი ამბავი იყო და კიდეც მოელოდა ამ შემთხვევას.

— გინდა შენი ძალა გამოსცადო?.. მობრძანდით, ვნა-
ხოთ... ამ სიტყვებთან ერთად მათიამ ჩახმახი წამოაყენა; დათვმაც თითქოს იგრძნო ბრძოლის მოახლოვება და შედგა
უკანა ტოტებზედ. რამდენსამე წუთს ისინი თვალითა ჰეთ-
მავდნენ ერთმანეთს და განრისხებულნი ცეცხლსა ჰყრიდნენ
თვალებითგან: კაცი და მძვინვარე მხეცი აპირებდნენ შებ-
მას!

რამდენიმე წუთიც, — და დათვი საზარელის ლრიალით

გადმოხტა. იმის გადმოხტომასთან ერთად ჭავარდა თოფი და დათვი ყირამალა გადატრიალდა, მაგრამ მაშინვე წამოხტა და ეძგერა მათიას. მათიამ თვალის დახამხამების უმაღლესობითოფი გადააგდო იქით, გაიკრა ხანჯალს ხელი და მიაგება წინ. მხეცი და კაცი ორნივ გაგორდნენ დედა-მიწაზედ, რომელზე დაც რამდენიმე ხანი იბრძოდნენ და ფართხალებდნენ. მერმე ორნივ გაჩუმდნენ და რამდენსამე ხანს ისე გაუნძრევლად დარჩნენ. ბოლოს კაცი წამოდგა გამარჯვებული, თუმცა არც ის დარჩენილიყო უნიშნოდ და იმის მხარს ეგრძნო ტათვის კბილების ძალა, რომელიც სიკვდილს შეეყენებინა. სწორედ იმ დროს, როდესაც მხეცს კბილები მოევლო მათიასთვის, ამის ხანჯალსაც შიგ გულში გაევლო მხეცისთვის და ძალა დროზედ დაედუნებინა.

მათია წამოდგა, გაწმინდა თავის ხანჯალი, ჩააგო ქარქაშში და მერე მოიბანა და შეიხვია თავისი მსუბუქი ჭრილობა. მივიდა, გასინჯა დათვი, რომელსაც მკერდში მოჰვედროდა ტყვია, მაგრამ შიგნით ვეღარ შეეტანებინა, ვერ დაემორჩილებინა.

პველებური ომი.

რა აღმოსავლეთით გამოვიდა მზე, რომლისა ვაზირია მთვარე და საჯდომი დილისა, აღრე ორთავე ლაშქართა რაზმი აწყვეს და ორთა ხელმწიფეთა წინაშე ორთავე ლაშქართა, მოდენა დაიწყეს ომად და გასამჩენებლად. ორგნითვე დაიწყეს ცემა ქოსთა და ყვირილი ბუკთა და ყვირისტვირთა ხმა იყო, თუ სთქვა, ეშმათა ხმა არისო, რომელ ვისცა იგი ხმა ესმა, ყველა ერთმანეთსა და ემტერა მისითა მოსმენითა, იყო ეგეთი ზარი, რომელ ძველნი მკვდარნი, მიწა ქმნილიცა, ათრთოლდებოდეს მიწასა შიგან, მათითხ შიშითა. შეუტევეს ერთმანეთსა და მათი შეტევება ჰევარდა შემო-

დგომათა ქართა, რომე ხეთაგან ფურცელთა ჩამოჰყრის. ორი ეგზომი მათისა შეტევებისაგან შეკაზმული კაცი ჩამოიჭრა და ორგნითვე ქოსი და ბუკი ამას ყვიროდა: „ისწრაფეთო, ჰე სულისა წამლებელნო!“ იცოდა თურმე ბუკმან მათი სიკვდის ლი, წინასვე მათზედა მით ტიროდა. მეომართა ხელთა შიგან მახვილი ხრმლები იცინოდა ელვისაებრ მათსავე სულტა ზედა. გულოვანნი მინდორთა შიგან ლომთაებრ იყვნეს და მთათა შიგან ფიცხელისა ვეფხისაებრ იყვნეს, და რომელიცა მათ შეუა ცნობილი კაცები იყო, ომსა შიგა იგინიცა გახელებულ-იყვნეს, უცილოდ შმაგნი და მტერიანნი იყვნეს, რომელ არცა ცეცხლისაგან ეშინოდა და არცა წყლისაგან; არცა ხრმლისა, შუბისა, ლახტისაგან და ისრისაგან; არცა ლომთა და სპილოთაგან. მას ომსა შიგან ეგეთი ჭაბუკები იყვნეს, რომელ სახელისათვის ტკბილნი სულნი გაეწირნეს და სიკვდილისაგან არ ეშინოდა. აუგსა და გაქცევას ეკრძალვოდეს. ჰაერო ტყესა ჰგვანდა შუბისა და დროშისა სიმრავლითა, ქვეყანა ნაძვისა ტყესა ჰგვანდა მრავალ ფერისა დროშისაგან: ზოგსა ზედან ლომი ზის, ზოგსა ფარშავანგი, ზოგსა არწივი, ზოგსა დეორბი. მიწა ერთობით მტვერ ქნილიყო, ცად გასრული, და ლაშქარსავე თავსა ჩამოსდიოდა. მრავალი ყმა კაცი დაბერებული იყვის და შავი ცხენი გაჭარმაკებული იყვის. ჯაბანნი და გულოანნი ამით გამოჩნდებოდა, რომელ ჯაბანი დაღრეჯილ-იყვის და გულოანი მხიარულ. გულოანსა ჰირი, ბრწყინვალესა ყვავილსა უგვანდის და ჯაბანსა სიყვითლითა — ღრიანკალსა.

ორთავე ლაშქართა ერთმანერთსა შეუტევეს, თუ სთქვა, ორნი მთანი ბასრისანი ერთმანერთსა შეეტაკნეს, მათ შეუა მოციქულად ქორაფისა ისრები, არწივისა ფრთოსანი, ჰირ-ბასრნი მიღიოდეს და მოღიოდეს; ეგზომ საყვარელნი მოციქულნი იყვნიან, რომელ გულსა შიგან დაესობოდიან და თვალთა ზედან, სხვა ადგილი, არ მოეწონებოდა; და რომელსაცა სახლსა შიგან მისთანა მოციქული მოვიდოდის, მის სახლისა

პატრონსა და მასპინძელსა ფიდე წაიყვანდის. ასრე გაძნელ
და ომი, რომელ საუკუნო თვალიად ნახეს ცხადად. ძმა ძმი-
საგან აბეზარ იქმნა და მას უამსა თავისა მკლავისაგან კიდე
მწე და მეშვეობი არავინ იყო. ვისცა მკლავი ძლიერი ჰქონდა,
მოიხმარა ხრმალი თავისა წაღილისაებრ. მეომარნი უენოთა
ჰგვანდეს ომისა ქარისა და ბუკისა ხმისაგან. სხვა არა ისმო-
და. ზოგჯერ ჯაჭვსა შიგან ხრმალი შევიდის ვითა წყალი,
ზოგსა თვალთა შიგან ისარი შეეპარის. ვითა ძილი, ზოგსა
გულსა შიგან შუბი შეეპარის ვითა მსიყვარული; ზოგსა თავ-
სა ბფთი შევიდის, — ტვინი, თუ სთქვა, მხიარულმან იცოდა,
თუ ღმერთმან სული კაცისა ტანსა შიგან სადა დაამკვიდრა;
მასვე კვალისა მახვილთ შევიდის და მის კვალისაგანვე სუ-
ლი გამოვიდის. ღრუბელსა ჰგვან და ღურჯსა ბასრის ხრმალი,
მაგრა წვიმდა და ღვარი მისი წითელი იყვის. ომსა შიგან
ისარი მკერვალსა ჰგვან და, მკერვალისაებრ შეაკერის ხორცი
უნაგირსა.

სალამომდინ გაუგრძელდა ორთავე ლაშქართა ომი. მას ომისა სიხშირესა შიგან ერთი ავაზად იქნა, და ერთი ველურ თხად. საყვარელისა ვისის მამა ყარან მოკლეს მტერთა მისთა და ყარანის მიღამოსა მოკლეს. სხვა დიდებული, ჭაბუკი ას აცდა ათი, ვიროსი. თუ სთქვა, წვიმდა წვიმისა ცვარი, სიკვდილი იყო. აზომი კაცი მოკლეს, რომე მკვდრისა გორი-გორსა ზედა იდვა და მას გარეშემო დიოდეს სისხლისა ლვარნი.

შესცემოდნენ და საკვირველებიდან გამოღიოდნენ — ბევრი რამ გვინახავს და ამისთანა ამბავს-კი არ მოვსწრებივართო. თრითინები მორბოდნენ ცალ-ცალკეცა და გუნდ-გუნდათაც, სულ პირდაპირ, გასისწვრივებითა; მორბოდნენ ქუჩა-ქუჩა, ხტებოდნენ ლობე-მესრებზედა, შედიოდნენ სახლებში, ავებდნენ ეზო-ყურესა და კარ-მიღამოებს, ჰეტოდნენ ბანებზედ. ერთის სიტყვით, მთლად ქალაქს თრითინების ჯარი დაესხა თავსა; თრითინა შიშიშარაა და ეს უკვირდათ, შიშიც რომ აღარა აქვთო! არც ხალხს ერიდებოდნენ, არც ძალლებსა, მოჰქმოდნენ და მოჰქმოდნენ შურდულივით წინა. ეცნენ ქალაქის ძალლები, და ათობით-კი არა, ასობითა სჭამდნენ. ხალხსაც არ ეძინა, დაუწყეს ხოცვა და ულეტიდნენ მრავლად — გავატყავებთ და მაგათ ტყავს კარგ ფასად გავყიდითო. შეიქმნა იმ ქალაქში დიდო მუსრვა თრითინებისა; მათი სისხლი იღვრებოდა. შეუწყალებლად; თრითინებს ჰულეტიდნენ ათასობითა.

საოცარი ის იყო, რომ არც სიკვდილს ერიდებოდნენ და მოღიოდნენ და მოღიოდნენ კიდევ ტყავდან გუნდ-გუნდობითა, ბაწარ-აღებით, ზილილან დაწყობილი ვახშმობამდინა, ჯისიდან დაისამდე.

სამს დღეს გასტანა ამ ლაშქრის დენამა. ღამე რომ გატყდებოდა, მხოლოდ მაშინ შეუწყდებოდა ეს მგზავრობა, მაგრამ გათენდებოდა თუ არა, კვლავ მოსკდებოდა ჯარი-ჯამა-ათი და მოაბნელებდა მზესა. ქალაქს რომ გასცდებოდნენ, გასწევდნენ ახლა ქვეით და მიადგებოდნენ. მდინარესა. მდინარე დიდი იყო და ჩქარი, მაგრამ იმანაც ვერ შეიმაგრა თრითინები. თითქმი გადარეულანო, ისე ჰეტოდნენ წყალში, მხოლოდ ბეწვიან კუდს გაიკრავდნენ ზურგზედა და, რაც ძალი და ლონე ჰქონდათ, მისცურავდნენ მეორე ნაპირისა-კენ. თვალით მნახველს აქვს ნაამბობი, რომ გაკვირვებული ვიყავ, როცა ვნახე, რანაირად ებრძოდნენ თრითინები მდინარეს სიჩქარესა და ზვირთებსათ. თრითინები გუნდ-გუნდათ

ცურავდნენ, ჩავჯექ ნავში, გვიამბობს ამ ამბის თვალით
მნახველი, — და შიგ შუა გუნდში შევცურდი. ვხედავ, ზოგი-
ერთნი მოქანცულან, თავი აღარა აქვთ ცურვისა, — აგერ
ამოჰყოფს თავს წყლიდან საკოდავი, ერთხელ, ორჯელ, ჩაი-
ყურჭუმელავებს, კიდევ ამოჰყოფს თავს და პატარა ხანს უკან
საღლაა, გაიტაცა წყალმა და წაიღო დაღლილ თრითინებს
მოსასმელ ნიჩბებს გავუწვდიდი ხოლმე. გავუწვდიდი თუ არა,
მაშინვე ზედ შესხდებოდნენ და ამოთოფხდებოდნენ ჩემთან
ნავშია; ისეთი პაწაწინაები იყვნენ, დაბზენილები; ისხდნენ
ნავში და სულ ცახცახებდნენ. ბევრი ამოვიდა ასე ჩემთანა.
როცა ნავი დიდ გემთან მივაცურე, თრითინები იმაზედ აფო-
ფხდნენ და ისხდნენ იქ გუნდ-გუნდათ, ისხდნენ წყნარად
და გულ-დანდობითა. საწყალნი, ისვენებდნენ. მერე მივიდა
თუ არა გემი ნაპირზედა, თრითინები გადაცვივდნენ მაშინვე
ლამზედ და სირბილით გაუდგნენ ისევ თავიანთ გზას. ბევრი
დაიღუპა, მაგრამ ბევრი უვნებლად გავიდა წყალში და განა-
გრძო თავისი გზა.

ამ ქალაქზედ დიდმა გუნდმა გაიარა თრითინებისამა:
მაგრამ უმთავრესი ლაშქარი მათი კიდევ სხვა იყო. ის უმ-
თავრესი ლაშქარი ქვემოდ მიღიოდა, ესერვა ვერსის მანძილ-
ზე იმ ქალაქიდანა. ამ ლაშქარში აუარებელი სიმრავლე იყო
თრითინებისა, ასი ათასი კი არა კიდევ მეტი, მიღიონები.
თრითინები შორს მიღიოდნენ, ასა და ასი ათასს ვერსზედა.
აყრილიყვნენ ერთის, ქვეყნიდანა და მეორე ქვეყანაში აპი-
რობდნენ გადასახლებასა, იმ ქვეყნის ტყეებისათვის თავი დაე-
ნებებინათ და ახალ, სხვა ქვეყნის ტყეში უნდოდათ დაბინა-
ვება.

ბოსფორი არის დიდთა და მშვენიერთა მთათა შორის
ხეობა, რომლისა სიგრძე შავის ზღვით ქალაქამდე კონსტან-

ტინოპოლისა არის 16 ვერსტი. სიგანე ამა ხეობისა, რომლისა შუაზედ სდის ბოსფორისა ზღვა, დიდთა ხომალდთა თვის სავლელი, არის 350 საუკუნი. ამა ხეობისა მთიანთა გვერდთა ზედა, მარჯვნივ და მარცხნივ, თურქთა აქვსთ ციხენი და სიმაგრენი, ზარბაზნებითა მოწყობილნი. ამის გამო ბოლაზი ესე ბოსფორისა ყოვლად შეუვალ-არს მტერთაგან. — ორივე კერძო ხეობისა მოსხმულ-არს შენობითა, საღაცა კონსტანტინოპოლისა მცხოვრებნი განატარებენ ზაფხულსა. ყოველგან დასხმულნი ბალნი, დარგულნი ცაცხვისა ხეები, მწვანე, რომელითაცა შემოსილ-არიან მთანი და მთისა კალთანი, — ეჩვენებიან თვალთა განსაკვირვებელად.

(მიმოსვლა ანუ მოგზაურობა იონა რუისის მიტროპოლიტისა)

მარჩოგალა გველის ნადირობა.

ცხელ ქვეყნებში იცის უშველებელი გველი, სიგრძით სამ საუკუნის ანუ კიდევ უფრო მეტი ამნაირ დიდ გველს მარჩობელა გველს უწოდებენ.

თვალით მნახველი მოგვითხრობს, როგორ თურმე ნამ დირობდა ერთი მარჩობელა გველი თხაზედა. დაინახა თუ არა გველმა იგრ მაშინვე დაეხვია, მოიკუნტა და გაჭნაბა სული თვალები კი ისე დაშტერა იმ საცოდავს, თითქო თვალით უნდა შესჭამოსო. მერე ეცა უცებ, ჩავლო კბილები ცხვირპირში, შემოეხვია გარშემო და ისე შემოეჭირა, რომ სულ გასთანგა: საცოდავი ველირა სუნთქავდა. ასე ჰყავდა, მუხრუჭში თხა რვაოდე წამსა. როცა დაარჩო, დაანება თავი, გაიშალა და დაუწყო ლოკვა მოკლულს თხასა. მერე მიჰყო ხელი მის მთლიანად გრძაყლაპვას. ჯერ თხის თავი ჩაიდო პირში, მერე ბეჭები, გულ-მკერდი და ბოლოს ფეხი. პირი ისე გაუგანიერდა გველსა, რომ თხა სულ ჩაუვიდა. პირში. გველს ტანი თითქო უსიცდებაო, ისე უგანიერდებოდა; ყლაპ-

ვის დროს გველი ნერწყვით ასველებდა თხას. ნერწყვი ძლიერ მოსდიოდა პირიდან. ეს იყო მიზეზი, რომ თხა ლიპდებოდა და უფრო ადვილად იყლაპებოდა. ბოლოს ძლივს გადაჰყლაპა მარჩობელი გველმა თავისი მსხვერპლი. მეოთხედს საათს მოუნდა სწორედ იმის გადაყლაპვასა. რა-კი ჩაყლაპა, მერე გაიჭიმა და დიღხანს იდო გაუნძრევლად. კარგად ემჩნეოდა, რა ადგილსაცა ჰქონდა მუცელში. თხა: იმ ადგილს თითქო გაპბეროდა მუცელი.

მარჩობელი გველი სამხრეთ ამერიკაში იცის. სცხოვრობს უფრო ტყეში და წვრიმალა ბუჩქნარებში; ხანდახან ხეზედაც ადის, რომ იქიდან ათვალიეროს თავისი საკბილო. გველი მარჩობელი სჭამს ტიყვებსაც, თეთრ კურდლელსაც, ფრინველსაც. კაცსაც ხეირს არ დააყრის, თუ გარს შემოეხვია ამისთანა საშინელება.

ათონის ჩართველთ მონასტერი.

რომელმან ხელოვანმან მოქსოვა ათრანგნი ხავერდნი, ვითა ამა ეკულესიასა იატაკნი ჩაწყობილ-იყო ფერადითა იასპითა და ეშმისა ქვითა! რამეთუ ალუშენებია გიორგი მთაწმინდელსა მეფისა ბაგრატ კურაპალატის საფასითა და გუმბათის ჩამოსწვრივ სინით მიხვეულს ნახჩედ ეწერა: გიორგი მღრღდელ-მონაზონი ქართული. სხვასა ამას ვიტყოდით, ვითა რუკა მეჭანდრაკეს აჩვენებს სვლასა, ეგრეთ მუნ იატაკნი აჩვენებენ დღესასწაულსა, სადა საკურთხნი პურნი ჯერ-არს დადგომად, სადა სასანთლეთა დადგომა, სადა მღვდელთა და დიაკონთა დგომა, სადა ისოდია მღვდელთა განწყობა. კედელნი აქვნ მარმარილოსა წმინდისა და ქაშანურისანი; კანკელი უცხო ყვავილებითა და ხრახნილებით ოქრო-ცურვებულნი; სალხინებელი საკურთხეველისა, ხარისხი წინამძღვრისა ოქრო ცურვებულნი; უცხონი ფანჯარანი თვითო სახისა მინისანი

ყვავილებად მოჭრილნი; ღიღი პოლიელეო და ხომლნი და ქორ-კანდელნი ჭიქისანი და ვეცხლისანი უცხონი, რამეთუ განსაკვირვებელ იყო მშვენიერება ტაძრისა მის და ეზოსა ტაძრისასა სამარხო ლუსკუმა ღირსთა მამათა ჩვენთა: ევთი-მისი, იოანესი, მამისა იოანესი და გიორგი მთა-წმინდელისა, კანდელთა ნთებითა პატიოსნად შემკული.

(მოხილვა წმიდათა და სხვათა აღმოსავლეთისა ადგილთა
ტიმოთესგან ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა)

მეტად უძლიერი მოვალეობა. თუ არა, იმ სასტუმროს
კარების წინ, რომელშიაც მე წინა ღამეს ჩამოვხტი, რუსის
პირ-დაუბანელმა და თავ-დაუვარცხნელმა „იამშჩიკმა“ ფოშ-
ტის პოვოსკა მთაყენა. ეს იყო ვლადიკავკასტი. საკვირვე-
ლია! რუსის მხატვრების სურათებზედ რა ლამაზად არის გა-
მოყვანილი ამ სქელ-კისერა „იამშჩიკის“ ბრიყვი სახე, იმისი
მიდუნ-მოდუნებული მიხვრა-მოხვრა. რამოდენადაც სურათია
კარგი, ორი იმოდენად ნამდვილი საძაგელია. მაგრამ ამბო-
ბენ ა დამს ითევა და სამ სამ სამ სამ სამ სამ სამ სამ სამ
კვამლის სიტკბოებისა-კი რა მოგახსენოთ და სიამოვნებისას ამას
გეტყვით, რომ კვამლი ფრიად სასიამოვნოა, ნამეტნავად მა-
შინ, როცა თვალებიდამ ცრემლებს გვაყრევინებს ხოლმე.

— როცა ავიბარე, ესე იგი, ჩემი ერთად-ერთი ბოხჩის
თდენა ცალ-თვალი ტყავის ხურჯინი ჩავაგდე პოვოსკაში,
მიუუბრუნდი ჩემს ახლად გაცნობილს ფრანსიელს გამოსასალ-
მებლად.

— ეს ეტლი ვისი მოგონილია? — მკითხა მან და მიმიშვი-
რა ხელი ფოშტის პოვოსკაზედ, რომელზედაც ჯერ არ გა-
მოფხილებული „იამშჩიკი“ უგემურად სთვლემდა.

— რუსისა, — ვუპასუხე მე.

— მგონი არა ხალხი მაგაში არ შეეცილოს. მებრალე-
ბით მე თქვენ, რომ იძულებული ხართ მაგას გაალიაყებინოთ

თქვენი ტვინი და გაადლვებინოთ თქვენი გულ-მუცელი.

— რა ვქნათ? თუ მთელი რუსეთი მაგით დადის, მე რა-
ლა დამიშავდება?

— იმიტომაც შორს არ არის წასული!.. ღმერთმა მშვი-
ლობის მგზავრობა მოგცეთ, მე კი, სწორედ გითხრათ, თავს
არ გამოვიმეტებდი, რომ მაგაში ჩავმჯდარიყავ. მშვილობით!
თუ შევხვდეთ ერთმანეთს კიდევ როდისმე, გთხოვთ მიცნობ-
დეთ.

ამ სიტყვებზედ მომაწოდა ხელი გამოსახალმებლად და
სე მჭიდროდ მომიჭირა ხელი, როგორც მარტო ევროპიელ-
მა იცის ხოლმე.

პოვოსკაში ჩავჯექ.

„იამშჩიკმა“ ერთი შემომიბლვირა, მერე აკრიბა, სადავეე-
ბი, „მწუო, მწუო“, დაუწრუწუნა მჭლე ცხენებს და მოუღე-
რა შოლტი. მჭლე ცხენებმა ყურიც არ შეიძერტყეს. ჩა,
ყი-ი-ორტა, თრიაშ შთო-ლა! დაუყვირა ცხენებს, აიქნივა სადა-
ვენი და ფეხებით ტყაპუნი დაუწყო. შენც არ მომიკვდე, ცხე-
ნებმა ფეხი არ შესძრეს. ამ ყოფას ის ჩემი ნაცნობი ფრან-
სიელი უყურებდა და სიცილითა სკდებოდა. რა უხაროდა იმ
სულელს?...

თუმცა მე სამხიარულო არა მჭირდა-რა, მაგრამ მეც გა-
მეცინა. „იამშჩიკმა“ თავისი ძროხის თვალები ჩემსკენ მოაბ-
რუნა და პირუტყვულად ბლვერა დამიწყო. მერე ისევ ცხენე-
ბისაკენ მიიგრიხა სქელი კისერი და ორიოდე შოლტი გადუ-
ჭირა.. ცხენებმა, შეიტყეს-რა, რომ მეტი გზა არ არის, ყო-
ველს დაკვრაზედ ტყუპ-ტყუპი ტლინკები ჰყარეს, დაიძრნენ,
როგორც იყო, ადგილიდამ და ძუნძულით გასწიეს. დანუღ-
რეულმა ზარმა დაიწყო თავისი უგემური ჟღარა-ჟღური, პო-
ვოსკამ ქვებზედ ხტომა და მე ლაყლაყი ხან აქეთ და ხან
იქით.

ამ ყოფით განვშორდი ვლადიკავკაზს და პირი ჩემის ქვეყ-

ნისაკენ ვჭენი. თერგის ხიდი ისე გამოვიარე, რომ, არამც თუ წყალი დამელიოს, თვალიც არ ამიხილებია. მეშინოდა, თერგ-დალეულობა არ დამწამონ, მეთქი. თერგ-დალეულობა ჩვენს ქართველს კაცს როგორლაც არ ეჭაშნიკება...

ეგ დასაღუპავი თერგი! რა ორპირი ყოფილა! დახე, როგორ მომკვდარა. რაკი ზურგი ჩვენსკენ უქნია და პირი რუსეთისკენ, რაკი გაუმინდვრებია და გაუვაკნია, როგორლაც ის დევ-გმირული ხმა ჩასწყვეტია. ჩვენი დამთხვეული თერგი ვლადიკავკასთან ის აღარ არის, რომელზედაც ჩვენს პოეტს უთქვამს:

„თერგი რბის, თერგი ლრიალებს,

კრძენი ბაჩს ეუბნებიან“...

შუა დღე იყო, რომ ლაპსის სტანციაში მივედი. ლარ-სამდი ჩემმა გულმა ვერაფერი განსაკუთრებითი სიამოვნება ვერა მიიღო-რა, გარდა იმისა, რომ რამოდენადაც ჩემ სამ-შობლო ქვეყანას ვუახლოვდებოდი, იმოდენად გარემო ბუ-ნებას ჩემის ქვეყნის ფერი ემატებოდა და თერგს — შფოთვა და ღელვა.

შევედი სტანციის ცარიელს ოთახში, ჩაის დალევა მინ-დოდა და ამის გამო სამოვრის დადგმა შევუკვეთე ერთს ფეხ-მოტეხილს სალდათსა, რომელიც ბოლოს სტანციის გუშაგად გამოდგა. მინამ სამოვარს შემოიტანდნენ, მივწეჭ გაფიცრულ ტახტზედ და თავი ფიქრებს მივეცი.

ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმუოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხვე-ლო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშო-შებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასთვის-კა არა, მარტო იმათვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭიუა

ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, — ფეხი ადგ-
მევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჰაბუკის ტვინ-
ში და გულში გამოკვანდავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს
კვირტი კიდევ ის კვირტია, რომელიდამაც მშვენიერი და
ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძალლ-ყურძენაცა. ოთხ,
ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გა-
დებული ბეჭვის ხილი ფეხთა ქვეშ არ ჩასტყიდომია! ნეტავი
იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა!

რაკი ვლადიკავკასიდამ გამოვედი და ჩემის ქვეყნის სი-
ომ დამკრა, გულმა სხვა რიგად დამიწყო ფეთქა. პოვოსკაში
უკეთესთა ფიქრთა ქვებზედ ხათქა-ხუთქი დამიბნევდა ხოლმე.
ახლა-კი, როცა სტანციის ათახის ტახტზედ მამა-პაპურად
გაჭიშოტე, ღვთის წყალობა შენა გქონდეს, რომ მე ფიქრს
მივეცი სრული ჩემი გულის-ყური და ყურადღება. ჯგუფად
მომიგროვდა, რაც-კი დამეტოვა ჩემს მშვენიერს, პატარძალ-
საჭით მორთულს ქვეყანაში, რაც-კი მენახა, მეცაღნა და მეც-
ნო. პრავალნაირი ფიქრნი ერთად, რეულად გონების თვალ-
წინ წარმომიდგნენ, მაგრამ ელვის უმალეს ერთი ფიქრი მეო-
რეზედ მეცვლებოდა, ისე რომ ჩემის გონების თვალი ერთ და
იგივე საგანზედ ერთს წუთსაც ვერ გავაჩერე — ერთის სიტყვით,
ჩემს ტვინში სრული რევოლუცია მოჰქმდა: ძირს მილაგე-
ბულნი ფიქრები მაღლა მოექცნენ, მაღლა დალაგებულნი —
ძირსა და მერე აირივნენ ერთმანეთში.

ამ ყოფაში ვიყავ. ბოლოს, ჩემთა ფიქრთა ყოველმა თვი-
თეულად თავისი შესაფერი ადგილი დაიჭირა ჩემს გონებაში,
მათ შორის ერთი უფრო ბრწყინვალედ გამომეხატა, იმ ერთს
მოჰყვა მეორე, მეორეს მესამე, ასე რომ ბოლოს ერთს გა-
ნუწყვეტელ გრეხილად შემექმნენ. როგორ შევეყრები მე ჩემს
ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, ვიფიქრე. რას ვეტყ-
ვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის:
იქნება მე ჩემთა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს, როგორც

სხვა ნიადაგზედ გადარგულსა და ოლზრდილსა? იქნება მიმით-
ვისოს კიდეცა, რადგანაც ჩემში მაინც და მაინც ჩემის ქვეყ-
ნის დვრიტა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქნა, რომ ჩემმა
ქვეყანამ მამიყოლოს და მიამბოს თავისი ამბავი და მე-კი, მის
ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქ-
ნება მიმილოს კიდეც და, როგორც თავისა შვილი, გულზე-
დაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შევიძ-
ლებ-კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრო და იმ სიტყვით
უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინ-
დო, მუშაკს შრომა გავუადვილო და ის თვითოეული ნაპერ-
წყალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არა
უოლავდეს, ერთად შევიგროვო? შევიძლებ-კი? შევიძლებ. გა-
საგონის სიტყვით თქმასა? გადავწყიტე, რომ ჩემი ქვეყანა
მიმიღებს და მიმითვისებს კიდეც, იმიტომ რომ იმისი სისხლი
და ხორცი ვარ; იმის სიტყვასა და ენასაც გავიგებ, იმიტომ
რომ მამულს შვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითა-
გულითაცა, რომლისათვისაც დუმილიც გასაგონია; ჩემს სიტყ-
ვასაც გავაგებინებ, იმიტომ რომ შვილის სიტყვა მშობელს
ყოველთვის ესმის, მაგრამ ამას სულ სიტყვაზედ ვლაპარა-
კობ, საქმე-კი საქმეშია. შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხო-
ვოს, მაშინ რასა იქ? ვკითხე მე ჩემს თავს და გავჩერდი კი-
დეც. ვიგრძნე, რომ ამ კითხვამ შესწყვიტა ის ზემოხსენებუ-
ლი ჩემის ფიქრების ფერადი გრეხილი.

— მართლა და რა უნდა ვქნა, ვკითხე ჩემს თავს ხმა-
მალლა.

— ჩაი უნდა მიირთოვო, — მიპასუხა სტანციის გუშაგმა,
რომელმაც ამ დროს შემოიტანა სამოვარი და დასდგა.

— ჩაი!..

— სამოვარი იმისთვის არ მიბრძანეთ? — მიპასუხა სულელ-
მა გუშაგმა და გავიდა გარეთ.

იმ სალამოს სტეფან-წმინდას ამოვედი. მშენიერი სალამო-

იყო, ასე რომ იმ ლამეს იქ დავრჩი, რათა თვალი გამეძლო
მშვენიერის სანახავების ხილვითა. ოხ საქართველოვ!

„სხვა საქართველო სად არის,

რომელი კუთხე ქვეყნისა?“

ოთახიდამ გარეთ გამოვედი და შევხედე სტეფან-წმინდის
პირდაპირ აყუდებულს მყინვარსა, რომელსაც ყაზიბეგის
მთას ეძახიან. დიდებული რამ არის ეგ მყინვარი. აბა, მაგას
შეუძლიან სთქვას: ცა ქუდადა მაქვს და დედა-მიწა ქალამ-
ნადაო. ცისა ლაუვარდზედ მოჩანდა იგი თეთრად და აუმღვრევ-
ლად. ერთის მუჭის ოდენი ღრუბელიც არა ჰფარავდა მის
მაღალს შუბლსა, მის ყინვით შევერცხლილს თავსა. ერთად-
ერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვალედ ზედ დაპნათიდა, ერთს
ალაგს გაჩერებული, თითქო მყინვარის დიდებულს სახეს
განუცვითრებიაო. მყინვარი! დიდებულია, მყუდრო და
მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკვირ-
ვებს და არა მაღელვებს, მაციებს, და არ მათბობს, — ერთის
სიტყვით მყინვარია. მყინვარი მთელის თავის დიდებულებით
საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა, რად მინდა მისი
დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყ-
ნის ავ-კარგი მის მაღალ შუბლზედ ერთს ძარღვსაც არ აატო-
კებს. ძირი თუმცა დედა მიწაზედ უდგა, თავი კი ცას მიუბ-
ჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც
მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზედ გადგომა, არც
მაგისთანა მიუკარებლობა. დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ
ხელ-ალებული, გიუი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმო-
ნავი მღვრიე თერგი. შავის კლდის გულიდამ გაღმომსკდარი
მიდის და მიბლავის და აბლავლებს თავის გარეშემოსა. მიყ-
ვარს თერგის ზარიანი შუილი, გამალებული ბრძოლა, დტვრი-
ნვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა აღამიანის გაღვიძებულის
ცხოვრებისა, ამაღლვებელი და ღირს-საცნობი სახეც არის:
იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების
ნაცარ-ტუტა. მყინვარი-კი უკვდავებისა და განცხრომის დი-

დებული სახეა: ცივია როგორც უკვდავება და ჩუმია, როგორც განცხომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მიუკარებლად მაღალია. ქვეყნიერების ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიდამ ამაღლებულა, მაღლიდამ კი შენობა არსად არ დაწყებულა. ამიტომაც მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მამწონს და უფრო მიყვარს. არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე სუსხავს და სითეთრე აბერებს! მაღალიო! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება. არა, არ მიყვარს მყინვარი. მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი — მრისხანე და შეუპოვარს ბაირონს. ნეტავი შენ თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გარდაიქცე და შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ლონისა და სიცოცხლის მიმცემი...

ჩამოლამდა, თერგისა და მყინვარის ყურებაში და ზოგიერთ ფიქრების გართვაში დრო ისე გამეპარა, რომ თითქმის ვერ შევიტყე — მზე როგორ გამოესალმა მისგან გამთბარ ქვეყნიერებასა და როგორ მიეფარა მთებსა. დალამდა, თვალწინალისა-რა. მისწყდა ხმაურობა ქვეყნისა, ქვეყანა და დუმდა.

დალამდა, მაგრამ არ ვიცი, რას ვიქმოდი, რომ იმედი არა მქონდეს კვლავ გათენებისა. სიცოცხლე სიცოცხლედა ელირებოდა?.. მიყვარს, ბუნებავ, შენი დაწყობილება, რომლის შეოხებითაც ყოველი ლამე თენდება ხოლმე.

დალამდა, მაგრამ მე მაინც სტანციის გარედა ვარ და დაუინებით ყურაცხვეტილი გონებას ვადევნებ თერგის თავზედ ხელ-აღებულის დენის შუილსა. ყველა დადუმდა და შენ არ სდუმობ, თერგო! მერწმუნეთ, მე მესმის ამ ხმა-კმენდილს ქვეყანაში თერგის დაუჩუმართ ჩივილი. არის აღა-

მიანის ცხოვრებაში იმისთანა წუთნი მარტომბისა, როცა
ბუნებას შენ თითქოს შენსას აგებინებ და იგი თავისას შენ
გაგებინებს. ამიტომაც შეგიძლიან სთქვა, რომ მარტომბა-
შიაც არსად მარტო არა ხარ, ჰოი, ორ-ფეხო ცხოველო,
რომელსაც ადამიანს გეძახიან. ამ ლამეს ვერძნობ, რომ ჩემის
ფიქრებისა და თერგის ჩივილის შუა არის რაღაც იდუმალი
კავშირი, არის რაღაც თანხმობა. გული მიტოკს და მკლავი
მითრთის. რისთვის? დროს დავაცალოთ ამის პასუხის მიცემა.

სტანციაში შევიტყე, რომ მთებში დიდი დაბრკოლებაა
ფოშტის მიმავალისათვის, რადგანაც სტანციებში ცხენები
ხშირად თურმე აკლდებათ. მირჩიეს ფასანაურამდე ცხენი მე
ქირავნა და ცხენ-და-ცხენ გადავსულიყავ.. მე ეს რჩევა ჭკვა-
ში დამიჯდა. იმ ფიქრით მივეცი თავი ძილს, რომ ხვალე
საჯდომ ცხენს ვიქირავებ და ისე გადავივლი მოებსა.

გათენდა. რა მშვენიერი რამა ხარ, დილის რიურაჟო! რა
მშვენიერი რამა ხარ დილის ცვრით პირდაბანილო ქვე-
ყანავ! მე მგონია, რომ ამ დილის ყოველი ტკივილი ქვეყნი-
სა უნდა დაყუჩებულიყოს, მაგრამ თერგი მაინც პბლავის და
იბრძვის. სჩანს, ქვეყნის ტკივილი დაუყუჩავია. .

გათენდა და გაიხმაურა ქვეყანამ ადამიანის ხმითა. დღემ
დაიწყო თავისი დაუდეგარი ფაცა-ფუცი. კარგია გალვიძებუ-
ლი ადამიანი!.. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, როდესაც
ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურობით გულ-აღტყი-
ნებულსა. ჩემო ლამაზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში? მე
მოვნახავ და, თუ ვიპოვე, ვეთაყვანები.

გავედი სტანციის გარედ და ერთს მოხევეს შევხვდი.
ვიქირავე შისგან ცხენი იმ პირობითა, რომ თითონაც ცხე-
ნით გამომყოლოდა. ბოლოს არამც თუ ვინანე, დიდად კმა-
ყოფილიც დავრჩი, რომ ჩემი საქმე ეგრე მოეწყო. ჩემი მო-
ხევე ძალიან კაცი გამოდგა. იგი იყო ჭალარა-მორეული, ხან-

ში შესული კაცი. ბოლოს გამოჩნდა, რომ იგი თვალ-ყურ მაღევარიც ყოფილა იმ პატარა ქვეყნისა, რომელიც მის გარ- შემო ბედს შემოეხაზა და რომელიცა იმის უფერულის ცხოვ- რების მისაქცევ-მოსაქცევად დაენიშნა.

შევსხედით ცხენებზედ და წამოვედით სტეფან-წმინდი- დამ. უკანასკნელიც შევხედე მყინვარს. იგი როგორლაც დიდ- კაცურად იბლვირებოდა თავისს სიმაღლიდამ. ამან ამირია იმ დილით დამშვიდებული გონება, გულმა კვლავ ტოკვა და- მიწყორ და მკლავმა თრთოლა. სრულის მძულვარებით მოვა- შორე თვალი მყინვარის დიდებულებასა და უფრო დიდის პატივით გამოვეთხოვე მის ფეხთა-ქვეშე გაგიჟებით მავალს თერგსა.

ჩემი მოხევე სანახავად ღირსი იყო. იგი, თითონ ზორ- ბად მოსული, იჯდა ერთს პატარა მთის ცხენზედ, რომელიც თითქმის მთელს გზას მგლურის ძუნძულით სასაკილოდ მო- ძუნძულებდა. ჩემს მოხევეს ჩამოეფხატა ბანჯგვლიანი ქუდი თვალებზედ და ისე გარინდებული იდვა, განიერ უნაგირზედ გადაბოტებული, ისე არხეინად და გულ-აუმლვრევლად აყო- ლებდა თავის ახოვანს ტანს ცხენის ძუნძულს, ისეთის და- მშვიდებით და განცხრომით აბოლებდა თავის ჩიბუხსა, რომ გეგონებოდათ — ამისთანა ქეიფში სხვა კაცი ძნელად თუ იქ- ნება დედაშიწის ზურგზედათ.

— რა გქვიან, ძმობილო? ვკითხე მე.

— ... ლელთ ლუნრას მიხმაბენ, ჭომიგო მან.

— სადაური ხარ?

— სადაველ? გაიბოტნდამ, აქავ მთაჩია, თერგ-კილტ- ზედ.

— ქართველი ხარ, თუ ოსი?

— ოვსი, რარდ ვიქნები?! ქართველ ვარნ, მახევე.

— კაი ადგილია ეს თქვენი ადგილი?

— არა გონჯაი *): ჩვენს ბეჩარბას შეჰვერობს.

*) გონჯაი — ცული.

— ამისთანა შეალი, ამისთანა პაერი სწორეთ ბედნი-ერებაა.

— ჰე! ჩაიცინა მოხევემ

— რას იცინი?

— საცრნალს ვიცრნი. ცარალ სტვამაქი მაგნათ ვერ გაძლების.

— აქ ძალიან მოსავალი უნდა იცოდეს?

— რაიდ არ ეცოდინების? ადგრლ არა გონჯა, პატარ გვაქვნ: თვითვაულს კაცს ორ-ორ შაბადის ყანქ არ ექმნების. ვიწროდ ვარნ.

— ეს დიდი გზა დიდ ხელს მოგცემთ.

— რაი ბედენაა გზაი? იგ მისთვის ვარგობს, ვისქც თვის ნაშვრელ-ნამუშევრ გასატან-გასასყიდ აქვნ.

— მაშ ქირაზედ არ დადიხართ?

— რაიდ არ დავდრვართ? დავდრვართ.

— მაშ ქირის ფულს იშოვნით.

— ვშაულობთ. ჯიბექი არ რჩების: მთის კაცი მახევე სვაქმნის კერძია, ჭამალი, სმაღი არჭა სახლი, ნაშროვერ დუქანები მიღის.

— მაშ ისევ ბარი სჯობნებია: იქ ხალხი უფრო მაძლარია.

— ვინ უწყის? იქართაც საჭირ-ბოროტორა დარჩენა: ადგილ პხაშმობს. იქაველ კაცს ფერი არა აქვნ, ჯანი არა აქვნ. აქაველ ჯან-მრთელნი არნ. ცა-რგვლის გამჩქნმა განაგო: იქაით მაძლრობა, აქაით სიმრთელე.

— რომელი ქვეყანა სჯობია, მაძლარი თუ მრთელი?

— ორვენ ერთადა. უერთ-ურთოდ ქვეყანაი გონჯაა.

— ორში რომ ერთი ამოგარჩევინონ?

— ორჩიდა? არჩევანზედ? ამ ღორლიან კლდეთ ვიჯობდი, ჯან-მთთელია. ადამის ძეი ბალახითაც, გაჭირდის, გაძლების, სატკრვარს რაი ეყვის?

ამ ღროს ჩემს მოხევეს უეცრად თოკის უზანგი ჩაუწყდა, თავი ვერ დაიმაგრა და ცხენს გვერდზედ მოექცა. მერე

ისევ გასწორდა; ჩამოხტა ცხენიდამ და დაიწყო უზანგის გა-
მართვა.

— საჭირ-ბოროტორა შეკაზმულ ცხენ,—წამოიძახა ლი-
მით მოხევემ: დაილოც შიშვალ ცხენ: ფეხ-დაწვლიდი და გა-
დაჯდრდი. მე აღარ მოვუცადე მოხევეს და წინ წავედი.

მზავრობა რუსის მიტროკოლიტის იონასი.

განვლე ზღვა შორის ბიზინტიისა და ხვრისა პოლისა,
და ვნახე მას შიგან რაჭის ერისთვის ე გიორგი, დღიდისა
სიამოვნითა ურთიერთ-არს ნახვითა, და დავჭყავ მასთან ლამე-
ორი, და იქიდამ წარველს ხალკიდონს¹⁾, ხოლო აწ ყადი
ქოვად წოდებულსა.

და განვიზრახე ჩემი იერუსალიმს წასვლა, და თაყვანისცე-

¹⁾ ხალკიდონსა უწოდებენ აწ თურქნი ყადი-ქო. დიდის სურვილის ვეძიებდი ადგილსა, სადაცა იყო ძველად ტაძარი წმინდისა დიდისა მრწა-
მისა ეფემიასი, სადაცა 324 წელსა იყო დიდი იგი 4 მსოფლიო კრება ხალკიდონისა.—დრომდე დიდისა კონსტანტინებისა იყო აქა დრდი ტაძარი წარმართთა ღმერთისა ვენერასი. სულთანმან სოლიმან II (1522) შემუ-
რა იგი და დანაკუევითა მისითა აღაშენა თვისი მეჩითი.

ხალკიდონისა ხილვა იყო ჩემთვის სასიხარულო, ამისთვისცა, რომელ აქა, ვითარცა სწერს. რომისა მეისტორიე ტაციტი, ქართველთა შეფე-
ფარასმან მოუზდა. დიდითა ჯარითა ბერძენთა და შემუსრა ხალკიდონი.
ამის ფარასმანისა სახე, ანდრიანტად გამოკვეთილი. პატივად ახოვნებათა
მისთა და საქმეთა, დაასვენეს რომაელთა კაპიტოლიტისა ტაძარში. აქავე
იყო უსჯულო იგი მსჯავრი, რომლითაცა დიდი იგი სვეტი ეკკლესიისა
ითანე ოქროპირი განიდევნა კონსტანტინოპოლით, ვიზილე ადგილსა მას წყარო აქროპირისა. თავსა ზედა ამა ნაკადისა ჰკიდავს კანდელი. წინაშე
ხატისა წმინდისა ითანე ოქროპირისა და თარს თაყვანის საცემელად ლოც-
ვითა მიმავალთათვის.

მა ქრისტეს საფლავისა და წმინდათა ადგილთა. ხოლო მივეღ
და თაყვანის-ვეც პატრიარქთა და განვემზადე. ღმურომში
აკურთხოს იასე ქართველი და პავლე ფახანელი; დიდათ მწე
ჩემდა. იქმნენ და მზრუნველნი ჩემისა კეთილ-წარმართებისა.
მიძიეს ნავი და ჩავსხედით ნავსა მას შინა და შევედით მარ-
მარისა ზღვად წოდებულისა და ვვლეთ რაოდენიმე დღე და
ლამე, და მოვედით კალის-პოლის¹⁾), ხოლო აწ წოდებულ-
არს; გელიბული, მრავალ-ნაყოფიერი, ღვინო და პურით დი-
დათ იეფი, ეპარხია ანდრიანე პოლისა²⁾). ხოლო არს ქალა-
ქსა ამას შინა ეპისკოპოსი ერთი. იქიდამ მივედით ბოლაზსა
თეთრისა ზღვისასა, რომელ-არს არხიპელაგო და მივედით
ჩინახ-ყალად წოდებულსა, სადაცა გალმა გამოლმა ციხენი არი-
ან დაშენებულნი, და მას ციხესა შიგან ნათობენ მანათობე-
ლნი, და თვინიერ მიცემისა ჩებისა ვერვინ ვლის. ზღვასა
ამას შინა არიან ქალაქნი, სადაცა სახლობენ ქრისტიანენი
უცხოთ-შემწყნარებელნი. და ადგილი ესე ნაყოფიერი დი-
დათ, და იაფობა. შემდგომად ამისა, ვვლე სოფლები ხუთი,
პირსა ზღვისასა. მთასა მაღალსა, რომელიცა დაჰყურებს ზღვა-
სა, არხიპელაგოდ წოდებულსა, არიან მრავალნი ქალაქნი და
სოფელნი; ქალაკებსა ამას შინა კუნძული და კუნძულსა ში-
გან მსახლობელნი ქრისტიანენი ბერძენნი. მრავალსა ქალა-
ქებსა და სოფლებში არცა ერთი იპოების მახმადიანი თვინიერ
ქრისტიანისა, და ხუთნი ესე სოფელნი მსგავსი ქალაქებისა
არიან: მუნ სრულად ბერძენნი. და შემდგომ ამისა წარველ
ნავით და მივეღ ბოხა-ადასა³⁾). კაცთა ქრისტიანეთა იამათ
ჩემი მისვლა და მკითხვიდენ დომენტი კათალიკოზისასა, ძმისა
მეფისა ვახტანგისასა; მატრიელნი და მაქებარნი მისნი, მახ-

¹⁾ კალის-პოლი, ე. ი. გალიპოლი.

²⁾ დიდად ვრცელი ეპარხია.

³⁾ ტენიდოსის ჭალაკი, სადაცა იყო პატიმრად დომენტი კათალიკოსი.
(იხ. მოხილვა ტიმოთესი, გვერდ. 29—31).

სოვარნი ეკულესიასა შინა მისის მრწამსის თქმისა, რომელიცა მოსწონდათ, და მკითხევდნენ იმასთან მხლებსა ძესა გედეონისასა, მოლარეთ-ხუცესს პართენის. და დიდათ შეწყალებულ ვიქმენ მათგან. ღვინო ამის ქვეყანისა, და სრულიად თეთრის ზღვისა არხი-პელაგოსი დიდათ კეთილობს, და წარჩინებულ-არს, და ევროპასა შეგან ზიღვენ. ქალაქი ესე ბოლჩა-ადა ერთია და არა სხვა.

შემდეგ მისა წარველ კვალადცა ნავით, და მივიწიენით ჭალაკსა ლიმნას¹⁾. ადგილი ესე დიდათ კეთილობს, ჭალაქით და სოფლებით. შიტროპოლიტი ერთი, და ქალაქნი და სოფლები სამოცი ჭალაკსა ამას. აქედამ იხილვება ადგილითა ამით მთა-წმინდისა მონასტერნი ათანასი ათონელისა და ივეროსისა, და სხვანი მონასტერნი. მუნ დავჭყავ კვირა ერთი, და შემიტკბო ვითა ძმა თვისი, და ვთხოვე წასვლა ჩემი ათონისა მთასა, რომელ არს მთა-წმინდა და მიძია ნავი; ჩავსხედით ნავსა მას, განვვლეთ და მივედით ნაპირსა მთისასა, სადაცა დაშენებულ-არს ლავრა ათანასი ათონელისა²⁾.

1) ლემნოს ჭალაკი.

2) ამა ლავრაში ჰს ჰს კს ც ს ც რ ა ვ რ ე ბ ს ა ნ თ ი მ ი ს ა ზ ხ ი ე პ ი ს კ რ პ ი ს ი ტ რ ა ი ს ა, რომელმანცა ნებსით დაუტევა ეპარხია და შევიდა ათონისა მთათა შინა მყუდროებისა ცხოვრებისათვის. ამან ფილოთეოსის მონასტრისა მასვე ათონისა მთასა შინა, წმინდათა სამთა მღელელთ-ვთავართა სახელსა ზედა ეკულესისა კურთხევისა უამსა, ინება კურთხევა. ოდიკისა, სოლოლაკისა თბილისს ამალლების ეკულესისათვის. ოდიკი ესე, თეთრს ტილოზედ შეზადებული, წარმომივლინა კესარიონშან, წინამძღვარშან ფილოთეოსის მონასტრისა ზედა-წარწერით მისგან ბერძულად და დაიდვა ეკულესისა მას.

მოთხრობითნი თხზულებანი, ბიოგრაფია და დახასიათებანი

საქართველოს ნათელ-ღება ძრისტეს სარწმუნოებით.

მეოთხე საუკუნის დასაწყისში ქრისტეს მოსვლის შემდეგ საქართველოში მეფებდა მირიან მეფესასანიდის გვარისა, სპარსეთის მეფის ჩამომავალი. ის იჯდა უზრუნველად მამა-ჰაპის ტახტზე მცხეთას. გარეშე მტერი შეწუხებას ვერ უბედავდა, რადგან მფარველად ჰყავდა დიდებული და იმ დროს ყველაზე უძლიერესი სპარსეთის სახელმწიფო. მთის ხალხი ყველა შეშინებული ჰყავდა, რადგან ფარნავაზისა და იმის მემკვიდრეებისაგან დარჩენილი, ბერძნულს წესწე განწყობილი ჯარი მუდამ გარს ერტყა. ჯარს გარდა კავკასის მთებით ყოვლის მხრით შემოზღუდული ქვეყანაც ირწივის ბუდესავით უშიშრათ იფარავდა შიგ ჩაბუდებულს ქართვლის ერს. თავის შეფით. მეფე მირიანი, ვაჭრობით გამდიდრებული, შეექცეოდა ლხინს და ნადირობას; თაყვანს სცემდა ბრწყინვალე მზეს, მსხვერპლსა სწირავდა თავის უმთავრესს კერპს არმაზს და ზადენს, რომელთა სურათები სპილენით, ვერცხლით და ოქროთი იყვნენ ხელოვნურად გაკეთებულნი და ამართულნი მცხეთის მოშორებით მტკვრის მარჯვნივ მალლობზე.

იქ, საცა გამოდის არმაზის წყარო, მანგლისის ახლოს, არის ნაქალაქევი, სახელად ატენი, ზაფხულში მშვენიერი საგრილებელი ალაგი, რომელიც იყო ძველად დარჩენილი საქართველოს მეფეებისათვის საზაფხულო აღგილ-სამყოფე-

ლად და შესაქცევად. მირიანის დროს ამ ალაგს ერქვა არმაზი, სადაც საუკეთესო კერპები იყო ამართული თავიანთ საუდრებით ანუ, უკეთ ვსთქვათ, საყდრებით. 318 წელს მკათათვეში ამ ალაგს მთელ საქართველოს სამეფოდგან იყვნენ მოგროვილნი დიდებულნი და მცირენი საერო დღესასწაულის გადასახდელად და თავიანთ კერპების მსხვერპლების შესაწირავად. ერი ფერხულით უვლიდა გარს არმაზის კერპს და იძახოდა „არალეს“. მეფე, ჯარი და დანარჩენი ერი, ყველანი მხიარულად ატარებდნენ ამ დღესასწაულს. მზე მეტად აცხუნებდა და ერს სიმღერით და შექცევით ოფლი წურწურით სდიოდა. სამხრობისას ცას შავი ღრუბელი გადაეკრა და გაჩნდა საშინელი ჭექა-ქუხილი, წამის-წამ მეხი ეცემა მშვენიერ ჩუქურთმით ნახელავს კერპებს და სულ ერთიანად არმაზის სამლოცველო ინგრევა. მთელი ერი შეძრწუნებულია, ყველანი იქით-აქედ მორბიან. არმაზის სამლოცველოზე აღარავინ დარჩენილა დამსხვრეულს კერპებსა და ერთ ფეხ-ტიტველა ახალგაზდა ქალს გარდა, რომელსაც დაუჩიქია, თვალები ზეცას აღუპურია და ევედრება. ვინ არის ეს ახალგაზდა ქალი, რომელიც ამ მეორედ მოსვლის დროს აქ დაჩიქილი და ხელ-გაპყრობილი ღმერთს ევედრებოდა? ნუ თუ მხოლოდ იმას არ ეშინიან მეხის დაცემისა? — ის ქალი არის გულმაგარი თავის სარწმუნოებით. იმას მტკიცედ სწამს, რომ ეს ჭექა-ქუხილი იმის ღვთისაგან არის მოვლენილი კერპთ-თაყვანისმცემლების მოსაქცევად.

ის ამ დროს გულ-მხიარულია, და მტკიცედ დარწმუნებულია, როგორც გულში განიზრახავს, უეპველად კიდეც აღუსრულდება. ეს ახალგაზდა ასურეთიდგან ფეხით მოსულა საქართველოში ქრისტიანობის გასავრცელებლად. შემკრთალმა ერმა შენიშნა ეს ქალი იმ საშინელ მეხის ტეხის დროს და გულით დაემორჩილა იმის ზნეობითს. ძლიერებას, თავ-განწირულებას. ყოველმა ქართველმა, კერპთ-თაყვანისმცემლების მოსაქცევად.

ნის მცემელმა, გულშა გაივლია ეს სიტყვები: „სწორედ იმ ქალის ღმერთმა შემუსრა ჩვენი კერპებიო“. ამ დღესასწაულობის შემდეგ, როცა ერთ დაზალა, ნინოს ამბავი მთელს საქართველოში განითქვა. მაგრამ მანამდის საქართველოს ერთს მოქცევაზედ ვიტყოდეთ რასმე, საჭიროა ორიოდე სიტყვით ავწეროთ ნინო წმიდის ცხოვრება.

ნინო იყო კეთილ-მსახური დედ-მამის ქალი; მამა მისს ერქვა ზაბულონი, ცხოვრობდა კაპადოკიაში და თვითონ-კი მხედრად მსახურებდა დიოკლეტიანის ჯარში. როცა ჯარიდგან დაპრუნდა, იერუსალიმის პატრიარქის დაი შეირთო ცოლად და გაუჩნდა ქალი, სახელად ნინო. ეს ქალი ჯერ კიდევ პატარა იყო, ჩოცა დაობლდა. ბიძამ მიიღო იმისი მზრუნველობა და მიაბარა ერთს ეკულესის. მსახურს დედაკაცს, სახელად სარჩას, რომელმაც ჩინებულად იცოდა საღმთო-წერილი. ნინო კარგა დიდი შეიქმნა და საღმთო წერილშიაც ძალიან განვითარდა. ამ დროს იერუსალიმს მივიდა ერთი კონსტანტიის კეისრის კარზე ნამყოფი ქალი, რომელმაც მოიტანა ამბავი, რომ კეისრის ცოლს ქრისტიანობის მიღება ძალიან ჰსურსო, მაგრამ ჯერ ვერ მოუხერხებია, რადგან ზოგიერთი გარემოება აბრკოლებსო. წარმოიდგინეთ იერუსალიმის ქრისტიანების სიხარული, როცა ამ ამბავს შეიტყობინებ. ნინოს გული-კი იმდენად აღელდა ამითი, რომ მაშინვე განიზრახა რომს წასვლა ქრისტიანობის გასავრცელებლად. ის წაჲყვა ზემოხსენებულს ქალს რომსა და იქ შევიდა ერთს დედათა მონასტერში, სადაც რამდენსამე ქალს დაწვრილებით ასწავლიდენ ქრისტეს სჯულს. ამავე მონასტერში იზდებოდა მშვენიერი რითსიმე.

იმპერატორს დიოკლეტიანეს მოესმა რითსიმეს მშვენი. ერება და განიზრახა იმის ცოლად შერთვა. ეს მონასტრის ახალგაზღა ქალებმა შეიტყეს და იმავე ლამეს გამოიპარნენ სომხეთში. გამოპარულებს შორის იყო ნინო, გაიანე, რიფ-სიმე და სხვებიც. მაგრამ სომხეთშიაც არ მიეცათ ამ საწყლებს

შოსვენება. სომხეთის შეფემ ტირდატმა დიოკლეტიანეს სიტყვით დაიჭირა ისინი ნინოს გარდა, და ომ ვეღარ დაათანხმა რიცხიმე კეისრის ცოლობაზე, უველა აწვალა. ასე ჰქონდა მოწერილობა დიოკლეტიანესაგან. ამ საქმით შეშინებული ნინო სომხეთიდგან გამოიქცა და მოვიდა ჯავახეთს. იქიდგან მგზავრებს წამოპყვა ურბნისის ქალაქამდის. აქ ნინომნახა, რომ ქართვლის ერი იყო კერპთ-მსახური და თავის ღმერთების დღესასწაულობისათვის მიდიოდნენ მცხეთის მახლობლად, არმაზისა და ზადენის თაყვანის-საცემლად. ნინო გამოპყვა მგზავრებს და მოვიდა იქ, საცა ერი იკრიბებოდა. დღესასწაულობის შემდეგ, ნინო მიადგა კარს მეფის მებალეს და ის ჩვეულებრივის სტუმრის მოყვარეობით დახვდა შორეულ ქვეყნიდგან გადმოვარდნილს საკვირველს ახალგაზდა ქალს. ცოტა ხანს შემდეგ ნინომ მთარჩინა ერთი დედაკაცის შვილი, რომელიც თავის დედას გამწარებული დაჰქონდა კარ-და-კარ და ყველას ევედრებოდა მორჩენას. ნინომ დედ-მამას უთხრა: „განკურნებულ არს ზეციერი მამის სახელითამ“. იმ ყმაწვილის სახლობა ამის შემდეგ შეიქმნა გულით ქრისტიანი. მცხეთის ქალაქში ნინოს დიდი ხმა დაუვარდა ექიმობისა. მირიან მეფის ცოლი დიდის ხნიდგან შეიქნა დავრდომილი ავალმყოფი. იმის მორჩენას არა გაეწყო რა. ბოლოს მეფის მოლარეთ-უხუცესმა რაბბინმა აბიათარმა ურჩია მოეცვანათ. საექიმოდ უცხო ქვეყნიდგან მოსული დედაკაცი, რომელიც თავის ღვთის სახელით ჰკურნებდა ყოველს ავადმყოფს. ნინომ მეფის ცოლიც მალე წამოაყენა ფეხზე, მოაქცია და შემდეგ ცოლის შემწეობით თვითონ. მირიანიც თავისკენ მიიმხრო. მეფემ შეჰკრიბა თავის ჰატივცემული კაცები მოსალაპარაკებლად ამ მძიმე საქმეზე. საქართველოში ძველიდგანვე წესი იყო ერის უფროსების ლაუკითხავად მეფე ვერას მოიქმედებდა. ყველას მოსწონდა კეთილ მსახური დედაკაცის სარწმუნოება, მაგრამ მამა-პაპის სჯულის დაგდებას მაინც ვერ ბედავდნენ. ბოლოს ერთმა საკვირველმა შემთხვევ-

ვამ სრულებით დაარწმუნა მეფე და ერის წარმომადგენლები, რომ ქრისტეს სარწმუნოება უფრო ჭეშმარიტი იყო იმათსაზე. ქართლის ცხოვრებაში აღ რა სწერია: ერთხელ მეფე და იმის ხლებულნი ერისთავები წავიდნენ თხოთის ტყეში სანადიროდ. უეცრად ცას შავი ლრუბელი გადაეკრა და ისე დაბნელდა, რომ კაცი თითს თვალში ვერ მიიტანდა; ატყდა ამას-თანავე მეხის ტეხა და ჭექა-ჭუხილი; ყველანი იქიდა-ქედ გაიფანტნენ, დარჩა მეფე მარტო, შეშინდა და, რადგან ნინოს ქადაგებით გული შერყეული ჰქონდა, თვალ-წინ წარმოუდგა იმისი სიტყვები, და კიდევ უფრო შეეშინდა. იმან მკრთოლ-ვარე ხმით შეპფიცა ნინოს ლმერთს, თუ ამ სიბნელისაგან გადამარჩენ, შენი თაყვანის მცემელი გავხდეო. ცოტა ხანს შემდეგ ლრუბლები გაიფანტა და მზემ ისევ გაანათლა ქვეყანა. მეფე დაბრუნდა მცხეთას მცინარე სახით. ცოლმა უკვე იცოდა იმის ამბავი და მხიარულად გამოევება. ნინოც იმათ შორის იყო. როგორც მირიანმა დაინახა კეთილ-მორწმუნე დედაკაცი, ცხენიდგან გაღმოხდა, თვი დაუხარა და მიიღო იმისგან კურთხევა. ამის შემდეგ ერი იმდენად მომზადებული იყო, რომ მოუთმენელად ელოდა ქრისტიანობის მიღებას-მირიანმა გაგზავნა ელჩები კოსტანტინე იმპერატორთან, სთხოვა ეპისკოპოსი და მღვდლები ერის მოსანათლავად. კოსტანტინემ გამოგზავნა საქართველოში სამღვდელოება სახარებით და წმიდა ნაწილებით.

იმათ მოსვლის დროს მირიანმა შეპრიბა თავის სამეფო-დგან ყველა ერისთავები და მცხეთის მცხოვრებლები სიამოვნებით მოინათლენ მტკვარში.

მეფის სიტყვით მშვენიერის ხელოვნებით ნაკეთები კერ-პები დაინგრა, იმათი საყდრები ზოგი სულ გაცივდა, ზოგი ეკლესიად გადაკეთდა. მტკვარს გაღმა რომ მაღალი ბორცვია, ახლა იქ ძველი ჯვარის ეკლესიაა; იმაზედ წმინდა ჩუ-ქურთმით და მდიდრულად ნაკეთები არმაზის კერპი იყო უწინ ამართული, რომლის ოქროს და სპილენძის შემკულე-

ბა, როცა ამომავალი მზის სხივები ჟცემოდენ, ჩირალდანსა-
ვით შუქით აპრიალდებოდა. ქართლის ური დილის მზის ამოსვ-
ლისას, ქალი და კაცი, ღიღი და პატარა. ავიდოდენ თავის
სახლის ბანებზე და მუხლ-მოყრით ფაყვანს სცემდნენ შუქით
გაელვარებულ კერპსა. ცველას სწამდა, რომ მზე თავის სუ-
რათს განზრახ ამკობდა შუქებით მაღალი მზისვე საქებლად,
რომელიც იყო ცხოვრების მომცემა, გამთბობი და განმანათ-
ლებელი მთელი ქვეყნისა. ქრისტიანობის შემდეგ ერმა ვე-
ლარ ნახა მთაზე ამართული საყვარელი კერპი, დაიწყო ჯავ-
რობა ამ სიტყვებით: „ვიღას უნდა ვსცეთ თაყვანიო“. ბრწყინ-
ვალე კერპის მაგიერად ამართეს ხის ჯვარი, მაგრამ მდაბალი
ერი მაინც უკმაყოფილოდ დარჩა და ამბობდა: „მაგისთანა
ხეები ჩვენს ტყეშიაც ბევრიაო“. მოგვნი სარგებლობდენ
ერის უკმაყოფილებით და კიდევ დიდხანს ჰყავდათ მტკიცედ
დაბალი სოფლის ერი ზენდის სარწმუნოებაზე. მირიან მე-
ფემ წარჩინებული ერის მონათვლის შემდეგ მოაჭრევინა ტყე
თავის ბაღში და იქ ეკლესია ააგებინა. ამნაირმა წარმატე-
ბამ წმიდა ნინო კიდევ უფრო გაამხნევა, მისცა იმდენი სუ-
ლის სიმაგრე, რომ ალანეთის კარიღამ მოკიდებული მესხე-
თამდის, კავკასიის მთის იქით და აქედ ცველა ადგილები სულ
ფეხით მოვლო და ქადაგებდა ქრისტიანობას. ამ სახით ქართ-
ველები შეიქმნენ ქრისტიანებათ იმ დროს, როცა ჯერ კი-
დევ საეკკლესიო წესი არ იყო დადგენილი. ის დააფუძნა ნი-
კეის წმიდა კრებამ 325 წელს ქრისტეს შემდეგ. ამ წესის
შემოღებით საქართველოს ეკკლესია შეიქმნა ანტიოქიის სა-
პატრიარქო.—

გ. წერეთელი

რეისტრაციული მუნიციპალიტეტი.

საეკკლესიო მწერლების ნაწერებში დაცულია ძველნი
თქმულებანი, რომელთაგანაც სჩანს, რომ ამიერ კავკასიაში

უქადაგნია ქრისტიანობა ხუთს მოციქულს: ოთხნი ათორმეტთაგანი იყვნენ — წმინდა ანდრია, წმ. მათე, წმ. ბართლომე, წმ. იუდა თადეოზი, ლევიად წოდებული და ერთიც ათ-სამე-ოცთაგანი — წმ. თადეოზი.

პირველმა მოიარა შავი ზღვის სანაპირონი, შევიდა ამი-ერ კავკასიაში და საკუთრად ზღვის პირის ქვეყნებში იქადაგა, იქ, საცა გზად გაიარა, სახელდობრ კოლხიდასა და აფხაზეთში, აფხაზეთში მეტად დიდხანს იღვაწა, მეტადრე უფრო იქაურს ქალაქში — სებასტოპოლისში (ახლანდელი ისკური), საცა დიდი დევნა და წამება გამოიარა. აქედამ წმიდა მახარებელმა გადავლო კავკასიის მთები, საცა დამარხა თანამგზავრი თვისი წმ. სიმონ კანანელი და მასუკან პირ-და-პირ გადავიდა ჩიხებში, რომელნიც სცხოვრობდენ აზოვის ზღვის პირად. დასავლეთ კერძოთა, და მიღამოთა გარდა, საქართველოს ანუ ივერიას არ მოუსმენია მისი ქადაგება; სომხეთსა და ალვანიაში-კი სულ არ ყოფილა. ამას ჰმოწმობს თვით იქაური მატიანეც.

წმ. მათეც ქადაგებდა კოლხიდაში. ეს გარემოება საკმა-ოდ სჩანს დოროთეოზის, ტირის ეპისკოპოსისა და ნიკიტა პაფლაგონელის ნაწერებიდამ. ორივენი ამბობენ, რომ მათე ათორმეტთა მოციქულთა გუნდს შეუერთდა იუდის ნაცვლად და იქადაგა, გარდაიცვალა და დაიმარხა პირველს ეთიობაში. ხო-ლო ხან და ხან ძველნი ეთიობის უწოდებდნენ კოლხიდასაც. მაგრამ უფრო გარკვევითა სჩანს ესევე გარემოება სოფრონისა და ეკუმენის ნაწერებიდამ (მე-Х საუკ.). იმათ ნაწერებში ნათქვა-მია, რომ წმ. მათე ქადაგებდა და დაიმარხა სწორედ იმ ეთი-ობიაში, საცა იყო მდინარე აფსარნი და გისიო, ხოლო ესე თრნი მდინარენი მარტო კოლხიდაშიაო.

მოციქული ბართლომე და ორივე თადეოზნი ქადაგებ-დენ აგრეთვე სომხეთშიაც. — თუმცა ამიერ კავკასიაში რამ-დენიმე წმ. მოციქული იყო და თითქმის ყველამ ცოტა საქ-შე არ გააკეთა, მაინც არ ითქმის, რომ ქრისტიანობა ამ ქვე-ყანაში იმ დროდამვე დამყარდა და დაუბრკოლებლივ იქმნა.

შეწყნარებული. არა, აქაც, როგორც უველგან სხვაგანაც დაბრკოლება ბევრი დახვდა: წინააღმდეგობა გაუწია მკვიდრმა ერმა—კერპთ-თაყვანის მცემლებმა, რომელთაც ბრმად სწამდათ სარწმუნოება მამა-პაპათა; წინააღმდეგობა გაუწიეს მოგვთა და ქურუმთა, რომელთაც ბევრი რამ დააკლდებოდათ კერპთ-თაყვანის მცემლობის მოსპობით; წინააღმდეგობა გაუწიეს აგრეთვე მეფეთა და მთავართა, რომელნიც დიდის ცნი-თვე ჩვეულნი იყვნენ დაეფარათ და დაეცვათ სარწმუნოება ერისა. აქაც დიდხანს აიტანა ქრისტიანობამ უწყალო დევნა, მეტადრე სომხეთში. და თუ ზოგან სრულიად არ აღმოიფხვრა, კეთილი მაინც არ ეყარა. ხოლო მეოთხე საუკუნის დასაწყისს და არა უფრო აღრე, დადგა აქ უკეთესი დრო ქრისტიანობისათვის, როცა წმიდა სარწმუნოება, უკვე შეწყნარებული და მფარველობას ქვეშე მიღებული თვით პატრონთაგან სომხეთისა და ივერიისა, შეიქმნა უმთავრესს. სარწმუნოებად ყველა იმ ერთა შორის, რომელნიც მათ ემორჩილებოდენ. —

გავიდა რამდენიმე წელიწადი სომხეთის ნათელ-ლების შემდეგ და ქრისტიანობა საქართველომაც მიიღო. ღმერთმან ინება, რომ საქართველოს განმანათლებლად ყოფილიყო ერთი კეთილ-მსახური კაბადოკიელი დედაკაცი, სახელად ნონე ანუ ნინო. ნინო იყო ერთი იმ ქალწულთაგანი, რომელთაც ლვთისთვისა ჰქონდათ თავი შეწირული და, როცა დიოკლეტიანემ დევნა დაუწყო, ისინი რომის ქვეყნებიდამ ივლტოდენ სომხეთად დასაფარავად თვისის სარწმუნოებისა და ქალწულებისა. სომხეთში ტირდატმა აწამა მათ შორის ოცდაჩვიდმეტი. ნინო და მასთან ერთი ქალწული, მეგობარი მისი, გადაურჩნენ მტარვალის მახვილსა და შეაფარეს თავი მომიჯნავე საქართველოში. აქ შეიძყრეს ტყვედ მკვიდრთა, მაგრამ ნინომ დიდის მარხულობითა, განუწყვეტელის ლოცვითა, და ქალწულებისა თვისისა დაცვითა დაიმსახურა საყოველთაო ყურადღება და პატივისცემა. მალე ნინომ იქსო ქრისტეს სახელით შვილიერება მიანიჭა ერთს დედაკაცს. ქრისტე-

სისავე სახელით განკურნა შვილი ერთის ქვრივისა, მერმე განკურნა თვით დედოფალი და მეფე. ამ ამბავს მოჰყვა დიდი ცვლილება საქართველოს ერის ბედისა. 318 წელს მოჰყვდა ეს ამბავი. წმ. ნინომ ამცნო სარწმუნოება ქრისტე მაცხოვრისა შირიანს, მაშინდელს მეფეს საქართველოსას. მირიანმა მსწრაფლ მოუწოდა ყველა თავის დიდებულებსა და წარჩინებულ კაცთა დედა-ქალაქად მცხეთად, და მეუღლისა თვისისა და მოციქულთა სწორისა თანადასწრებით აუწყა შემოკრებულთ ამბავი ახალის და ჭეშმარიტის სარწმუნოებისა და მზად ყოფნა თვისი ამ სარწმუნოების მიღებად. ამავე დროს მირიანმა გაუგზავნა მოციქულნი საბერძნეთის იმპერატორს კოსტანტინეს, ხოლო თუ ვერწმუნეთ სომეხთა მეისტორიეთა, სომხეთის განმანათლებელს გრიგოლსაც, და სთხოვა მწყემსნი და მოძღვარნი. კოსტანტინე დიდის ბრძანებით მალე წამოვიდა საქართველოს მეფეთა-ქალაქით¹⁾ იმ დროს იქ შემთხვევით მყოფი პატრიარქი ანტიოქიისა ევსტათი მცირედის თვისის კრებულით, რომელსაც შეუერთდენ შემდეგ რამდენიმე მლვდელნი, მოსულნი სომხეთიდამაც. იმ ამ მწყეს-მთავარმა, თავის კრებულის თანა შემწეობითა, მიმოვლო სრულიად ქვეყანა ივერიისა და განავრცელა ყველგან ქრისტიანობა, აკურთხა ეკლესიები, ხელ-დასხმნა მოძღვარნი, და რა დაადგინა ივერიაში მთავარ ეპისკოპოსი იოანე მთავრად ეკლესიისა, დაბრუნდა თვითონ საპატრიარქო კათედრად, რომელსაც მიეწერა ამიერიდგან ახლად დაარსებული ეკლესია.

შემდეგი ამბავი საქართველოს ეკლესიისა, ისე როგორც სომხეთისაცა, თითქმის განუწყვეტელი ბრძოლაა ნათელისა და წყვდიადისა, რომელსაც ბოლოს მაინც სძლია პირველმა.

საქართველოში მეფობდნენ ხან-და-ხან მეფენი კეთილნი, რომელნიც პზრუნავდენ, როგორც სამეფოსა კეთილდღეობისათვის, აგრეთვე მშობლიურისა და ლვიძლის ეკლე-

¹⁾ კოსტანტინეპოლი.

სიისათვისაც. ასეთი იყო ძე და მემკვიდრე მირიანისა ბაკური¹⁾. ბაკური ცდილობდა ქრისტიანობის გავრცელებასა ყველა თავის ქვეშევრდომთა შორის და უმეტესად იქ, საცა წინადვე ვერ დამკვიდრდა. ამას გარდა, საცა კი უფრო საჭირო იყო, მისის სურვილით მრავლად შენდებოდა ღვთის ტაძრები ძველ კერპთ-მსახურების ბომბონთა მაგიერ. ამავე დროს ეკლესიის საქმეთა უკეთესად მოწყობისათვის და თვალიურის დასაჭერად, რომ წმინდად დაცულ იყო სარწმუნოება და წარმატებულიყო ზნეობა ახლად მოქცეულ ქრისტიანეთა, ბაკურმა საჭიროდ სცნა დაეარსებინა რამდენიმე საეპისკოპოსო კათედრა. ხოლო ლირსეულ მწყემსთა მოსამზადებლად და საზოგადოდ ერისა თვისისა გასანათლებლად ცდილობდა დაეფუძნებინა სკოლები, რომლისათვისაც მასწავლებლებს იბარებდა ასურეთიდამა და საბერძნეთიდამ. ასეთები იყენენ მას შემდეგ—მეფენი მირდატ (ძე ბაკურისა), რომელმაც სამუდამოდ დაამკვიდრა ქრისტეს მცნება კლარჯეთსა და ჯავახეთში; არჩილ (413—446), რომელიც ყოვლის ლონის-ძიებით ცდილობდა აღმოეფხვრა, თუ რამ ნაშთი კერპთ-მსახურებისა დარჩენილიყო სამეფოში და განეწმინდა ეკლესია საქართველოსი ზოგი ერთა უწესოებათა და ურიგობისაგან; ვახტანგ (446—499), რომელმაც ბევრად ხელი შეუწყო ქრისტიანობის გამტკაცებას თავის სათნო ცხოვრებითა და ტაძართა ღვთისათა პატივის ცემითა; მაგრამ უფრო უმეტესად ხელი შეუწყო ამ საქმეს მით, რომ თვითეულ საეპისკოპოსო კათედრას დაავალა საკუთარი სკოლა და სამწავლებელი გაეჩინა. ლირია მოხსენებისა, რომ ბაკურის მეფობაში მისგან დაწესებულ სასწავლებლებში დაედო საფუძველი საღმთო წერილის თარგმნას ბერძნულით ქართულად.—არჩილის მეფობაში-კი, სურვილისამებრ სათნო მეუღლისა მისისა სანდუხტასი, გადათარგმნილ იქმნა პირველ ქართულად ახალი აღთქმა. ამა წმი-

1) ბაქარ.

და საქმეში მოღვაწეთა შორის მატიანე ქართული მოიხსენიებს მხოლოდ დავითსა და სტეფანეს (V საუ.), რომელნიც უნდა ვსთქვათ, სთარგმნიდენ საღმთო წერილის წიგნებს არა იმ ენით, რომლითაც იყო დაწერილი პირველვე, არამედ ასურულის ენით. სთარგმნიდენ ამასთანავე არა ყველა წიგნებს, არამედ იმ წიგნებს, რომელიც უფრო საჭირო იყო წირვა-ლოცვისათვის. ამ თარგმანებს სჯერდებოდა საქართველოს ეკლესია მეათე საუკუნემდე, ვიდრე არ გაჩნდა მაშინ პირველი და უკეთესი თარგმანი ბერძნულით ყველა სამღვდელმოქმედო წიგნებისა.

ღმერთი მოუვლენდა ხოლმე საქართველოს ეკლესიას კეთილ მწყემსთაცა, რომელნიც გულმოდგინებით იღვწოდენ თვის სამწყოისა საკეთილოდ. მათ შორის ყველაზედ მეტად ღირსია ხსოვნისა შთამომავლობის მიერ მთავარ-ეპისკოპოსი პეტრე (457 წ.). შესაძლოა ვსთქვათ, მან გააკეთა თავის სამწყსოსათვის ყოველივე, რის გაკეთებაც-კი საჭირო იყო მაშინდელის დროს მიხედვითა: გაამრავლა თავის სამშობლოში რიცხვი სკოლებისა, რომელნიც სოფლის ეკლესიებთანაც-კი დააარსა; ბრძანა შესწორებულიყო საღმთო წერილის წიგნები, გარუცნილი გადამწერელთაგან, გადათარგმნილიყო, რაც ჯერ გადაუთარგმნელი იყო და დაპრიზ გებოდა, ყველა ტაძრებსა და ეკლესიებს; ჰერიკი გამოცდილ მღვდელთა საქადაგებლად აფხაზეთისა, სამეგრელოსა და კავკასიის მკვიდრთა შორის და დააარსა ქართლ-ქახეთისა, სომხეთისა და იმერეთის ზოგიერთს ალაგას ახალი საეპისკოპოსო კათედრები. არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ აქ: საუკუნოდ სახსენებელნი საქართველოში ცამეტნი მამანი ასურეთისა, მოსულნი ივერიად, ლვის ჩაგონებით, ასურეთიდამ ფარსმანის მეფლაბაში (542—557 წ.). ამ ცამეტმა მამამ ბევრგვარად შეუწყვეს ხელი ქვეყნის მოქცევასა და მკვიდრთა სათნოების გაძლიერებასა. მამანი ესე დაბინავდენ უდაბნოთა შინა და განდეგილობისა ლვაწლითა, სიბრძნითა და სასწაუ.

ლებით ყოველ მხრიდგან იზიდავდენ მრავალთა, რომელნიც
მიისწრაფოდენ მათთან ანუ შენდობისა და ლოცვა-კურთხე-
ვისათვას, ანუ რჩევისა საკითხველად და დარიგებისა მათისა
მოსასმენად. მალე ზოგმა მათგანმა (მაგ. ოთანემ და იოსებ-
მა) სახელი განითქვეს მით, რომ მოაქციეს და მოაქრისტია-
ნეს მრავალი ნადირ-მსგავსნი მკვიდრნი კავკასიის მთებისანი.
ზოგმა (ანტონ და შიო) დააფუძნეს უდაბნონი და მონასტერ-
ნი, რომელთაც შემდეგში დიდი სახელი განითქვეს. იქ მათი
დამარსებელნი იკრებავდენ გარშემო ღირსეულთა მოწაფეთა
თვისთა; ზოგმა მათგანმა (აბიბოს ნეკრესელი და ისე წილკნე-
ლი), მეფისა და კათალიკოსის თხოვნით, მიიღო ღირსება
ეპისკოპოსისა და, დადგენილნი ადგილსა მას ნათელოვანსა,
დიდხანს ჰუკვენენ გარემოდ თვისსა ნათელსა კეთილისა საქ-
მეებისასა, სადიდებლად ღფთისა და ცხოვნებად მოყვასთა..

მაგრამ საქართველოს ეკლესიას იმოდენი ბეღნიერება
და სიკეთე არ უნახავს ამ ხანში, რაც უბედურება და მლელ-
ვარება გამოსცადა. ვინ მოსთვლის, რაც უბედურება ეწია
საქართველოს ეკლესიასაც გარეშე მტერთაგან — სპარსთა, ბერ-
ძენთა და არაბთაგან. სპარსნი თავს ესხმოდენ საქართველოს
უფრო იმიტომ, რომ ბრმად სწამდათ სარწმუნოება თვისთა
მამა-პაპათა და სძულდათ ქრისტიანობა. შემოსევა მათი და-
იწყო ჯერ ისევ ბაკურის მეფობაშივე (342 — 364), იმ ბა-
კურისა, რომელიც ისე ზრუნავდა ქრისტიანობრივის სათნოე-
ბისათვის. მას შემდეგ არა ყოფილა თითქმის ისეთი მეფე,
რომლის დროსაც მტერი არ შესეღვდეს საქართველოს; და
თითქმის ყოველთვის მტერნი ქრისტესნი მახვილითა და
ცეცხლით აოხრებდენ ამ სუსტ ქვეყანას, ანგრევდენ ქალა-
ქებს, სძარცვავდენ სოფლებს, ფე-ხევეშ სთელავდენ ნატეს-
სა და ჭირნახულს, ყოველთვის მაისწრაფოდნენ მოგვნდ
სპარსეთისანი თავიანთის ქადაგებით და უნდოდათ დამრჩე-
ბულნი ქრისტიანენი მიეკციათ ცეცხლ-მსახურებად, ხოლო
ეწამებინათ ისინი, ვინც გამოიჩენდა სიმტკიცესა და ურჩოს

ბასა. ხანდაჭან ყოველს ამას საპოლიტიკო მიზეზიც ზედ-და-
ერთოდა ხოლმე: სპარსი ვერ ითმენდენ, როცა ქართველ-
ნი დაუმეგობრდებოდენ იმათს მტერს — ბერძნებს, და ამიტომ
იყო, მაგალითად, რომ ვარას-ბაქარის მეფობაში (379—393)
სპარსელთ იწყინეს, რად დაუმეგობრდა ეს მეფე ბიზანტიის
იმპერატორს თეოდოსე დიდსაო, შემოესივნენ და მოაოხრეს
ქართლ-კახეთი, შაქი და შირვანი. ისიც მოჰქდებოდა ხოლმე,
რომ ბერძნებიც ამოიწვდიდენ მახვილს ივერთა საწინააღმდე-
გოდ, თუმცა-კი არა სარწმუნოების მიზეზით, არამედ მოა-
ლოდ იმიტომ რომ, სპარსთ ნუ ემხრობითო. აი თუნდა, რო-
ცა საბერძნეთის იმპერატორი ერეკლე შეებრძოლა სპარსე-
თის მეფეს ხოსროს და მოვიდა ივერიად, შეჰნიშნა ივერიე-
ლებს, რომ უფრო სპარსებისკენ აქვთ გულიო; მაშინ იმპე-
რატორმა მახვილი თვისი მიაქცია ქართველთა წინააღმდეგ
და დიდად მოაოხრა კიდეც ქვეყანა. არაბების შესევის მიზე-
ზი საქართველოში და აგრეთვე სხვა ქვეყნებშიაც უფრო ფა-
ნატიკოსობა იყო და სიძულვილი ქრისტიანობისა. მხედართ-
მთავარი მურვან-აბულ-ყაზიმ, სურვილისამებრ ომარისა, რო-
მელიც შემდგომად მაჰმადისა ბრძანებლობდა და მსურველ
იყო საქართველოში ცრუ-წინასწამეტყველის მოძღვრების გა-
ვრცელებისა, რისხასავით დაეცა იმერეთს 730 წელს, მოსწ-
ვა ქალაქნი და დაბანი, ალაოხრა ტაძარნი, გაანადგურა ყო-
ველივე ქრისტიანული და თვით ქრისტიანენი ჰგვემა და აწა-
მა სასტიკად სარწმუნოებისა და სჯულისათვის. ესევე გან-
მეორდა მეტის მძვინვარებით 760 წელს და რამდენჯერმე
კიდევ შემდეგაც.

ამავე დროს საქართველოს ეკლესიაშ სიმწარით იხილა მტერ-
ნი თვისნი თავის საკუთარ ძეთა შორის და მერე ისიც ისეთ
ძეთა შორის, რომელთაგანაც უფრო მფარველობა და ზრუ-
ვა იყო მოსალოდნელი. სახეში გვყავს, პირველად, მეფე მირ-
დატი *), რომელიც გულითა და სულით ისე იყო გარყვნი-

*) მირდატ IV (408—410 წ.წ.)

ლი, რომ ფიქრობდა ახალ იულიანედ შექმნილიყო თვისთა ქვეშევრდომთათვის; სძულდა სარწმუნოება და სდევნიდა ქრისტეს ეკკლესიას, ვიდრე, განვებითა ღვთისათა, ღირსეული სასყიდელი არ მიიღო სპარსთაგან; მეორედ, მთავარ-ეპისკოპოსი მობიდაპი (434), რომელსაც პირველი ადგილი ეჭირა საეკლესიო მთავრობაში და უნდოდა არიანობა შემოელო შეუმჩნევლად. ამ აზრით სცდილობდა ნელ-ნელა შეეცვალა ძველი წესები, ძველი საეკლესიო ჩვეულებანი და მათ მაგიერ შემოელო ახალი, მწვალებლობის შესაფერი და შესაბამი; ამას გარდა სდევნიდა და აშორებდა კიდეც ეკლესიას, ვითომ და დიდის დანაშაულობისათვის იმათ, ვისაც ატყობდა, რომ დიდი ერთგულია მართ-მაღიდებლობისაო. დასასრულ ვითომ და იმრტომ რომ სახელმძღვანელო შევუდგინო ნაკლებად მომზადებულ მწყემსთა და მოძღვართაო, დასწერა თვისი ღვთის-საწინააღმდეგო აზრები და დაარიგა საყოველთაო საყურადღებოდ. მაგრამ ღმერთმა არ დააცალა ამ უკეთურს შეესრულებინა თვისი განზრახვა: მალე შეამჩნიეს ბოროტება, მოძღვრება მისი შეაჩვენეს და თვითონ იმასაც აპხადეს ღირსება და მოჰკვეთეს ეკლესიას.

არა ერთხელ სცადა სხვა ცრუვე მოძღვრებამა და მწვალებლობამ საქართველოში დამკვიდრებულიყო, მაგალითად მოძღვრებამ პეტრე ფულლონისამ, რომელიც პქადაგებდა, რომ სამ-წმიდა არსების საფალობელს უნდა მიემატოს: ჯვარ-ცმული ჩვენთვისათ; მწვალებლობა ალვანიელებისა, რომელნიც პირველად (650 წლებში) გამოჩნდნენ ალვანიაში და ისე ქადაგობდენ, როგორც მანიხეები და ასურეთის სხვა. მწვალებელნი; ბოლოს კიდევ მწვალებლობა მონოფიზიტებისა, რომელთაც მოტყუებითა და ცბიერებით მოიკიდეს ფეხი სომეხთა ეკლესიაში და მერე ცდილობდენ ივერიის მკვიდრნიც აეყოლიებინათ. მაგრამ ყოველივე ამაო შეიქმნა: პირველ მწვალებლობის წინააღმდეგ შესდგა კრება მწყემსთა საქართველოში და ამ კრებამ საქვეყნოდ უარ-ჰყო ცრუ-მოძღვრება; მეო-

რეთ მწვალებლობის წინააღმდეგ მწყემსნი აღიჭურვენ ღვთისა სიტყვისა მახვილითა, მეფენი — ყოვლითა ძალითა და ძლიერებითა თვისითა, ერი უგულებელ-ყოფითა; მესამე მწვალებლობა შეაჩვენა კათალიკოსმა კირიონმა და ამასთანავე აღუკრძალა სამწყსოსა თვისისა, ერიდებოდეთ ცდომილებასაო.

ასეთის სიწმინდითა და უვნებელობით დაიცეს ქრისტიანებმა მართლ-მადიდებელი სჯული მამა-პაპათა რამდენისამე საუკუნის განმავლობაში და, თუმცა ათას-გვარი გაჭირება და ვაი-ვაგლახი გამოიარეს, მაინც კეთილ-მსახურება არ დაჰკარგეს, ის კეთილ-მსახურება, რომელიც უნებლიერ ანცვით ფრებდა უცხოელებსაც-კი. „ივერიელნიო, — ამბობს თავის ნაწერში ბერძენი პროკოპი, — უკეთესნი არიან ყველა ქრისტიანეთა შორის, რომელთა ცნობაც კი ჩვენა გვაქვს; ამასთანავე მტკიცედ უჭირავთ ყველა წესი და წყობილება მართლმადიდებლობისაო“.

ერთს საუკუნოზე მეტს ხანს ივერიის ეკლესია ანტიოქიის პატრიარქის დამოკიდებულებაში იყო და მის უმთავრესა მოსამსახურეთ ეძღვოდათ მხოლოდ ღირსება მთავარ-ეპისკოპოსისა. მაგრამ 457 წლიდგან-კი მიიღეს ნება კათალიკებად წოდებისა და მას უკან ნელ-ნელა დაიმკვიდრეს დაუმოკიდებლობა ეკლესიის გამგეობის საქმეებში. მეტადრე მაშინ შეიქმნენ თავისუფალნი, როცა კოსტანტინეპოლის პატრიარქმა ევტიქიოსმა და იმპერატორმა იუსტინიანემაც შეიწყნარა და მოუკიდებლობა ივერიის ეკლესიისა. ისიც კი უნდა ვსოდეთ, რომ, როცა რაიმე საყურადღებო საგანი იყო, თვით სჯულის საფუძველის შესახები, ივერიის კათალიკოსნი მიჰმართავდენ ხოლმე მეფეთა-ქალაქის პატრიარქსა და იმპერატორს, როგორც მოიქცა, მაგალითად (597 წ.), კათალიკოსი კირიონი იმ დავის გამო, რომელიც ხალკიდონის კრებაზე ჩამოვარდა სომეხთა და ქართველთა ეკლესიას შორის.

ივერიის ეკლესიას დაფუძნებიდამვე ივერიელთ გარდა ეკუთვნოდენ მკვიდრნი აფხაზეთისა, კოლხიდისა ანუ ახლან-

დელის სამეგრელოსი და კავკასიისანი. შემდეგ, აფხაზნი და კოლხიდელნი ხან-და-ხან განშორდებოდენ ხოლმე ივერიის ეკლესიას და თავიანთი დამრუკიდებელი შთავარნი ჰყვანდათ ხოლმე: აფხაზთ — სებასტოპოლის ქალაქში, ხოლო კოლხიდელთ — ფაზის ქალაქში, თუმცა-კი ორივე კათალიკოსნი ისევ ბერძენთა მწყემსთ — შთავართა უწყებას ემორჩილებოდენ. ამის მიზეზი იყო ხოლმე ხან პოლიტიკებრივი განდგომა ივერიისაგან აფხაზეთისა და კოლხიდისა და გავრცელება მათ შორის ბერძენთა იმპერატორების ბრძანებლობისა, რომელთაც ამისათვის ჰქონდათ იქ ციხე-სიმაგრენი; ხოლო ხან ისა, რომ მრავალნი აფხაზნი, კოლხიდელნი, სვანები და ლაზნი მოქცეულნი იყვნენ არა ივერიელთა მიერ, არამედ ბერძენთა იმპერატორის იუსტინიანესაგან, რომელიც ამასთანავე აშენებდა და და აახლებდა მათვის ტაძრებსა და მონასტრებს და უგზავნიდა მღვდლებსა და მოძღვრებსა. რაიცა შეეხებათ კავკასიის მთიელთა, იმის გამო, რომ განათლებულნი მწყემსნი ნაკლებად იყვნენ, თუ სპარსეთის მოგვთა მეცადინეობით, თუ საპოლიტიკო არეულ — დარეულობის გამო, ეს ნადირმსგავსნი ხალხნი — არა თუ განშორდენ ივერიის ეკლესიას, არამედ თან-და-თან სულ მიივიწყეს იმათ წმიდა სჯული და სარწმუნოება. ესეც-კი უნდა ვსთქვათ, რომ იყო ხოლმე ისეთი დროც, როცა ეკლესია ივერიისა; რა-კი დამშვიდებოდა თავად და აღარ აწუხებდა შინაური შფოთი და მღელვარება, ზრუნავდა ხოლმე ცდომილთა მთის შვილთათვისაც და არა ერთხელ კვლავ დაიბრუნებდა ხოლმე წიაღსა შინა თვისსა. ამიტომ ქრისტიანობა მთაში კიდევ რამდენსამე საუკუნეს იყო ფეხ-მოკიდებული: ცნობილია რომ შეცამეტე საუკუნეშიაც-კი კოსტანტინეპოლის ერთს კრებაზე დაესწრო ეპისკოპოსი კავკასიისა. —

ტელიშის აობრეგა აღა-მაჰად-ხანის მიერ.

(მემუარი)

წელიწადსა 1792, ქორონიკონს უპ, თთვესა იანვრის ექვსსა დღესა, უფლისა ჩვენისა იესოს განცხადებისასა, ხელ-დასხმულ ვიქმენ მღვდლად უწმინდესობისა მისისა კათალი-კოს-პატრიარხის მეფის ძის ანტონისაგან ქალაქსა ტფილისს ეკულესისა შინა ქრისტეს შობისასა. ამასვე წელსა, თთვესა თებერვალსა იბ, ხუთშაბათსა ყველიერისასა, იშევ შენ, შვი-ლო ჩემო შიო; ამასვე თვესა შინა ნათელ-ღებულ იქმენ შენ მეფის ძის ალექსანდრესაგან. ამისვე წლისა სივრცესა შინა ვკითხულობდი და ვისწავლე აღჭხსნით ვარლამისაგან წიგნი ესენი: ლრამატიკა, რიტორიკა, კატილორია, ლოლიკა და მე-ტაფისიკა და გარდავწერეცა წიგნი ესენი თვინიერ კატილო-რიისა. ეგრეთვე განვლე წელიწადიცა 1793, ქორონიკონს უპა, კითხვითა და წერითა ზემო ჰესენებულთა მათ სასწავ-ლოთა.

არცა მყვანდა ვინმე შემწე კითხვასა შინა და სწავლასა ამათ წიგნთაბა. რამეთუ იციან ქართველთა ერმან ესე და აქვსთ მიღებულ ანაგებად, უკეთუ ვისმე იხილვენ ტრფიალად სიბრძნის მოყვარებისა, ნაცვლად შეწევნისა, ზედა დასხმენ სიტყვათა გიობისათა და ჰყოფენ საყვედრელ და საკიცხელ. ამასვე წელიწადსა, თთვესა სეკდემბერსა კგ, მომეცა ღვთისა-გან ასული, რომელსა უწოდეთ თეკლა. მოვანათვლინე ესე არხიმანდრიტსა ქვათახევისასა თარხნის შვილს ანტონის.

წელიწადსა 1794, ქორონიკონს უპბ მოვიფე მოძღვრად შასწავლებლად ფისიკისა და სამღლოესა დამასკელის ოთხ-ნა-წილოვან წიგნისა პროტოპოპი სიონისა იასეს დე იოანე. სიმ-რგვლესა შინა ამის წელიწადისასა შევექეც კითხვასა ამათ ორთა წიგნთასა და ვცხოვრებდი ეგრეთვე მწირობით.

ამასვე წელიწადსა შინა, თთვესა ოკტომბერსა, ებრძანები-

ნა უგანათლებულესსა მეფის ძეს იულონს თავადისა როჭიკა-
შვილის იოსების პირით ხლება ჩემი თვისთანა და მობარება-
ძეთა თვისთა სწავლად წერილთა. ვინათგან პაზრი ჩემიცა-
იყო, რათა მომეგო ვინმე შესავედრებელი და მის ძლით წარ-
მევლო ცხოვრება ჩემი და განრინებულ ვიყავ ფრიადისა მწი-
რობით ცხოვრებისაგან და თქვენ, ძეთა ჩემთათვისცა, მომეგო
საბოლოო რამე ბინად, ამისთვის და კვალად ვინათგან ნია-
დაგ საკუთარითა ყმობითა ყოფილიყვნენ წინაპარნი ჩვენნი
საქართველოს უფლის წულთა, თუ ვინაჲთ არს ადგილობა
ჩვენი და ვითარ პაპაჩემი ყოფილ არს დგომით დაბასა გომი-
ჯვარსა უფლისწულთაგან გააზატებით და შესაფერისა მოხე-
ლობით. ყოფნასა ქართლსა შინა ყიზილბაშთასა და ფლობისა
მათსა რომელსამე მიზეზით აყრილა მუნით და მისულა სამშვილ-
დესა. მუნ მიუცია აბდულ აბეგოს, რომელი იყო ტომი ქარ-
თველთა მეფისა, მამული და უცხოვრებია კარსა ზედა თვისსა
მამა და ბიძა ჩემი პატივითა და შესაფერითა სახელობითა.
გარნა ვინაჲთგან აბდულ აბეგოს დასცალებია მცირე ხანი
მუნ და აყრილა სამშვილდეცა ლეკთაგან, განშორებულან
მამა და ბიძა ჩემი და უცხოვრიათ თვის თვისსად. ბიძა უკვე
ჩემი დაშორებით ქალაქს და აღსრულებულა უშვილოდ. ხოლო
მამასა ჩემსა უცხოვრია შიდა ქართლს სხვა და სხვათა ადგილთა
მწირობით. და სხვასა შემდგომსა ყოველსა პსკნობთ წარკით-
ხვითა ამის აღწერილისათა.

წელიწადსა 1795, ქორონიკონს უპგ, ვცხოვრებდი ქ-
ლაქსა შინა ტფილისსა. ვმსახურებდი მეფის ძესა იულონს,
ვწუხდი წინა თქმულისა მწირობით ცხოვრებისათვის, გარნა
შემდგომი მექმნა უძნელეს და უმწარეს.

ამას წელიწადსა წამოვიდა მცყრობელი სპარსეთისა არა
მამადხან. დღე და დღე მოდიოდა ამბავი მოსვლისა მისისა.
მოვიდა ყარაბაღს და მოადგა შუშას. ვერ აღილო ციხე სიმ-
ტკიცისა გამო. სექტემბერს შემოვიდა საქართველოსა შინა,

დაეცა შიში დიდი ყოველთა ერთა ზედა და უმეტეს ტფილისელთა. ვ სექტემბერს წარმტაცა სიკვდილმა მცირე ყრმა, და თქვენი თეკლა მცირედლა ნაკლები ორისა წლისა. მაგრამ არღარა მაცალა უამშან მწუხარებად ამას ზედა, ვინათგან დღესა მეორესა ამისვე თვისსა, რიცხვსა ც მოვიდა ალამამადხან იალლუჯასა ზედა. ლამესა ამას აიყარნენ სამეფო ფამილია და წარჩინებულნი, ვინცა მყოფ იყვნენ მას უამსა ტფილის შინა და წარვიდნენ სახიზრად მთიულეთს. ეპა, საკვირველი და საგლოველი, რომელ წარჩინებულთა ცოლნიცა მრავალნი ვიდოდეს ქვეითად, ვინაიდგან ვერ შოვობდეს ცხენსა ავდარსა, წვიმასა და ტალახსა შინა მძაფრსა, ვინათგან შვიდეულსა უმეტესსაცა უამსა იყო წვიმა გარდაულებელი. და ესრედ გავყევ მეცა მაშინ მეფის ძის იულონის შეწევნითა.

ვიარეთ ღამე იგი და დღე მეორე კვირიაკე. დღესა მესამესა, ორშაბათს ძლივ შეუძელ მიწევნად დუშეთს. დავყავით დღე იგი მუნ. ია სექტემბერსა, დალამდა რა დღე სამშაბათი, საღამოს უამს მოვიდა ჰამბავი შესაწუხებელი, საგლოველი და სატირელი, რომელ დამარცხებულ იყვნენ ორნი მეფენი: მეფე ქართველთა და კახთა ირაკლი და მეფე იმერთა სოლომონ. ხოლო მას უამსა იყო იგიცა მოსულ ჯარითა იმერლისათა შესაწევნელად ჰაპისა თვისისა მეფისა ირაკლისა, ესენი გამჭულნი - მეფე ირაკლი წარმოსულიყო კახეთის მხარესა ხაგურამოს და ეგრეთვე მუნიდამ მოვიდა დღესა მესამეს მთიულეთს.

. ხოლო მეფემან სოლომონ შევლო ქართლსა ზედა და წარვიდა იმერეთს. მას უამსა შემოვიდა ალამამადხან ტფილის შინა, ტყვე ჰყო მუნებურნი, აღილო ალაფი, რამეთუ ყოვლითურთ მუნ დარჩა ხაზინა სამეფო, ნივთნი ეკკლესიისანი და სიმღიდრე სხვათა ხალხთა და მოქალაქეთა აღურაცხელ; მოწვა ცეცხლითა ჰალატნი და სახლნი სამეფონი და სრულიად ტფილისი. განუტევა მარბიელნი ვიდრე გორადმდე, დაჰყო დღე ცხრა მდგომან სოლალუს და წარვიდა ეგრეთ.

ვად, ვად, ცოდვათა ჩვენთა სიმრავლესა! რაოდენნი ქალ-შულნი განიხრწნეს, რაოდენნი მღვდელნი და მოწესენი მო-ისრნეს, რაოდენნი ტყვე იქმნეს და მიზეზ ექმნათ დატევება უ-ქრისტესა.

რამეთუ ვგონებ მაშინდელსა დაკლებულსა. სიკვდილით და ტყვეობით ვიდრე სამოცი ათას სულადმდე და უმეტესსაცა; ამას უამსა დაიკარგა ნაწილი მკლავი მთელი წეიდის დიდის მოწამის ევსტათისა, ხატი და სამკაული მეტეხისა, სამკაული სიონისა, სამკაული ალავერდისა, სამეფო გვირგვინნი, სკიპ-ტრა და სხვანიცა მრავალნი ძვირფასნი ნივთნი. უკეთუ რად გარდარჩათ აუკლებელ და წაულებულ ყიზილბაშთა და გა-მოეტანათ ვისმე რამე, იგიცა აიკლეს გამოქცეულთა იმერთა და სხვათა, აგრეთვე მეკობრეთა ქართველთა და მთის კაცთა. რამეთუ უამსა მას, ვიდრემდის სცნობდნენ წარსვლასა აღა-მამად-ხანისასა ქართლსა და კახეთსა შინა, თვით იკლებდენ ურთიერთთა, ვინ ვისცა მოერიოს, არ რის სინიდისის მგრძნო-ბელნი თვის შორის.

აწ ვიწყებ პირველისავე სიტყვისაგან უამსა ამას, თუ რანი გარდამხდენ მე ღამესა მას სამშაბათსა ია სეკტემბერს, მოვიდა რა ჰამბავი მეფეთა დამარცხებისა და ქალაქსა შინა შესევისა.

აიყარნენ ფამილია სამეფო და სხვანი მყოფნი დუშე-თით და წარვიდნენ მთიულეთს. გავყევ მეცა მათ ქვეითათ, შვილნო ჩემნო, შვილო ჩემო შილ! ვერდა იყავ შენ წლისა ოთხისა და არა საკვირველ არს, უკეთუ ქვეითად ვერ შემძლებელ იქმნებოდი სიარულსა და დედაცა ჩემი, ბებია შენი, ვერ შემძლებელ იქმნა ღამესა მას ქვეითად მოყოლად ჩვენდა მოხუცებულობის გამო; ამისთვის დაგიტევე თქვენ მას ღამესა დუშეთს და გავყევ მე ხალხსა მას დედის თქვენით; გათენდა რა, მიკედით ანანურს; მუნ იყო საკვირველი ხილვა ხალხისა მის, რამეთუ ვერვინ იხილვიდა სხვასა რამეს ეგო-დენსა ერსა შინა, გარნა დუმილსა და მოსწრაფედ სიარულ-

სა. ეგოდენ იყო ხალხი იგი, რომელ ანანურიდამ ვიდრე მუხ-
რანის მინდვრამდე ვერსადა იხილევდი გზასა ცალიერსა, რო-
მელსა ზედა არა ვიდოდნენ უმეტეს ქვეითნი ქალნი მორ-
თულნი და ცოლნი წარჩინებულთანი. გათენდა რა დღე
ოთხშაბათი სექტემბრის იბ-ს დავბრუნდი ანანურიდამ, მოველ
თქვენთანა, ვიხილე დედა ჩემი და შენ, შვილო შიო, მომა-
ვალი, წარგიყვანე მუნით უმეტეს მხარზედ ჯდომით და
ხანდიხან ქვეითად მოსიარულე ვლეთ დღე ოთხშაბათი და
ლამე იგი; ხუთშაბათს სექტემბრის იგ-ს მივედით მთიულეთს
ცხაოტს, რამეთუ მუნ დაებანაკათ სამეფოს ფამილიას. და
დედაშენიცა დაგვხვდა მუნ. შევიყარენით ერთად, მხოლოდ
ცალიერნი და ტიტველნი, რამეთუ, უკეთუ წარმოგველო რაე-
მე ქალაქით, იგიცა ყოველი დაგვრჩა დუშეთს, ურემსა ზედა
დადებული. აქა მთიულეთსა შინა რაოდენიცა ხანი დავყა-
ვოთ, გამოვიარეთ შიმშილი ფრიადი, რამეთუ არა იყო პური. ა
არამედ უფროს-ლა გამოვიზარდენით კორცითა და ცერცვი-
თა. მივედით რა ხუთშაბათს, ლამე იგი და დღე პარასკევი
სექტემბრის იდ-ს დავყავ მუნ, რამეთუ იყო დღესასწაული დი-
დი საუფლოსა და ცხოველს-მყოფელის ჯვარის ამაღლება.

მეფეცა ირაკლი მობრძანდა მუნ და არავინ მღვდელი დღესა-
მას, გარდა ჩემსა, არავინ იყო მუნ; ულოცე ცისკარი და მწუხრი-
თვინიერ ყოვლისა. ცერემონიისა. გათენდა რა დღე შაბათი
სექტემბრის იგ-ს წარველ დუშეთს, ნუ უკვე, ბარგისა რამესა,
ქვეშაგებისა, ტანისამოსისა ანუ სხვა რადესამე შემეძლო მო-
ტანა. მიველ რა დუშეთს, ვერდარა ვიხილე ბარგთა ჩემთაგა-
ნი, რამეთუ აეკლოთ და წარელოთ ყოველივე, არა თუ მარ-
ტო ჩემი, მეფის ძის იულონისაცა, ყოველივე რაცა აქვნდა;
ქათალიკოზისა. ყოვლის შესამოსლით და სვეტის ცხოვლის
სამკაულით დუშეთს შინა მდგომთა ერთა, უმეტეს სომეხთა
და სხვათა გარემოს მყოფთა მახლობელთა დაბათაგანთა. მო-
ველ რა და ვიხილე იავარ ქმნილი დარჩენილი მუნ ნაქონე-
ბი ჩემი და სხვათა ყოველთა, წარმოველ ცალიერი. თუ რანი

დავკარგე მუნ, არლარა განვაგრძობ გარდა ამის, არამედ გა-
უწყებთ მოკლედ, რომელ, რადცა დამრჩა ქალაქს, სახლი ანუ
სხვა იგი, ყოველი წარტყვენილ იქმნა და წარლებული: ქვე-
შაგები, ლოგინი, ჭურჭელი სპილენძისა და სხვანი ნივთნი,
ვიდრე ოც-და-თხუთმეტის თუმნისადმდე, ანუ მეტი, ალიკლეს.
დუშეთს წარმოველ რა დაკარგულთა ამათ ნივთთათვის, შეწუ-
ხებული მოველ კვალად ვიდრე თქვენთანა მთიულეთს. მას
ღამესა ვლოცულობდი რა მწუხრს მეფის ძესა იულონთან,
ლოცვასა ზედა შემიწუხდა გული მწუხარებისაგან, რომელ
ძლივ მობრუნებულ ვიქმენ.

დავყავით ვიდრე კზ სექტემბრამდე მთიულეთს სხვათა-
და-სხვათა ადგილთა. დღესა ამას კზ ხუთშაბათს წარმოვე-
დით ნაზღაიძის კარილამ. გას ღამესა მოვედით ამირიძის კარს.
მეორე დღეს, პარასკევს, ვლეთ საღამომდინ. დავრჩით ჭალასა
შინა. შაბათს, სექტემბრის კთ, მოვედით ანანურს ქვეით ერთს
მცირეს სოფელში და კვირას, სექტემბრის ლ-ს, ჩამოვედით
დუშეთს. ვითარ მოგითხრა, შვილო ჩემო შიო, თუ ვითარის
მწუხარებით ვლევით ეს გზები. იქნება გახსოვდეს. და დიალ
ყმაწვილი იყავ, იქნება არ გახსოვდეს, ხან ქვეითს გატარებ-
დი და ხან მხარზედ გისვემდი; აგრეთვე ბებია შენი და დე-
და შენი მოდიოდნენ დალალულები. ცხენი არ მეშოებოდა
და სხვა გზა არსაით მქონდა. ველარ გამეგო, თუ რომელი
მწუხარება მეწუხნა: ქვეყნის წახდენა, რაც გვქონდა და მე-
ბადა, იმის დაკარგვა და აკლება, თქვენი მშივრების და ქვეი-
თების სიარული, ჩემის სიმამრის და სიდედრის — პაპის შენის
და ბებია შენის დაკარგვა, რომ ქალაქში დარჩენ და სრუ-
ლებით დაიკარგნენ, თუ სხვა-და-სხვა შეწუხება.

მოვედით რა დუშეთს, მუნ ბრძანდებოდა მეფე ირაკლი
და ყოველი ფამილია სამეფო. დაეჭერინებინა მეფეს რამდე-
ნიმე ბარგისა ამკლებნი ავაზაკნი და მოეტანათცა ნივთნი
რომელიმე, უმეტეს სამკაულნი სვეტის ცხოვლისანი. და უკე-
თუ მოჰქონდათ ქურდთა და ავაზაკთა რამე, თვინიერ ეკალე-

სიის ნივთისა, აწ იკლებდნენ იასაულნი, დაყენებულნი მეფი-
საგან და არ ან ებებდნენ პატრონთა თავისთა უკანონობისა
ძალით ქვეყანისა ჩვენისა. აქ ვიპოვე დიალ მცირე რამ ჩემის
დაკარგულის ნივთებიდამ: წიგნებიდამ—პარაკლიტონი, სამო-
ციქულო, კურთხევანი, კონდაკი და ალექსანდრე მაკედონე-
ლის ისტორია; ქვეშაგებიდამ—ერთი ჯეჯიმი; სპილენძიდამ—
ტასტი და ორი სინი, და სხვა ვერა-რა. დავყავით მცირე
ხანს შეწუხებით მუნ. მეფე სამეფოს ფამილიით კახეთს წა-
ბრძანდა. თავისი შვილი იულონ ქართლში გამოგზავნა. წარ-
მოვყევ მუნიდამ მეფის ძეს იულონს, პირველად მოვედით
მეჯვრისხევს, კვ-ს დეკემბერს ჩავედით გორს. ზამთარი იგი
განვლევით მუნ გორის ციხეში დგომით და მეფის ძეს იუ-
ლონთან სამსახურით. იქნება შენც გახსოვდეს, შვილო შიო,
და იქნება არ გახსოვდეს, ამ უამებში რამდენი მწუხარება
გვქონდა. არაფერი სასმელ-საჭმელზედ მოსახმარებელი ჭურ-
ჭელი არა გვეშოვებოდა-რა. ქვაბი რომ გვეშოვნა მოსახარ-
შავათ, ჯამებს ვეღარ ვიშოვნიდით, აგრეთვე სხვას ნივთებს.
რაღა გავაგრძელო,—ან უქვეშაგებობა ან უტანისამოსობა და
ან სხვას ნივთებისაგან მოკლება, რომ აღარა გვქონდა-რა და
ყველა დავკარგეთ. ეს კმარა.

ამავ წელიწადს, ეს მდგომარე ოქტომბერი რომ გავიდა,
ნოემბერში გადმოვიდა რუსის. ჯარი საქართველოს მფარვე-
ლათ—ორი ბატალიონი. ამათი კამანდირი იყო პოლკოვნიკი
სურენოვი. პირველად დატვირთვის მუხრანს, შემდგომად—გორს
და ტფილისს. წელიწადსა 1796, ქორონიკონს უპდ-ს, თოვე-
სა შინა იანვარსა, წარველ დუშეთს ბრძანებითა უგანათლე-
ბულესის მეფის სძლის სალომესითა მეფის ძეს ვახტანგთან,
ნუ უკვე ბარგთა ჩემთაგანი მეპოვნა რამე. მუნ ვიპოვე წიგ-
ნები ჩემი: ლრამატიკა, ლოლიკა, მეტაფისიკა, ითიკა, ფისი-
კა, სხვა ვერა-რაც.

ჰქმნა უჯერო ერმან დუშეთისამან და მახლობელ მისსა
მდგომან აკლებითა მრავალთა წარჩინებულთა გვამთა ბარგი-
სათა და ნივთა ეკკლესიისათა. და შემდგომად კვალად არ-

ღარა გამოჩენიათ, რომელ მრავალნი ნივთნი ეკულესიისანი არიან დღესაც დაკარგულ მათ შორის და სხვას რაღას გამოაჩენდნენ.. ესე ყოველი იქმნა ერთაგან მუნებურთა.

არა ვუწყი, მიიწერების საქმე ესე მპყრობელსა და მფლობელსა მათსა ზედა, ანუ არა. თვით ჰერან შენ, მკითხველო, რამეთუ მე არა აღვსწერ, ანუ არა ძალმიძს. მოველ მუნიდამ კვალადვე გორს, ვერარაისა ბარგთაგანისა მპოვნელი, თვინიერ წიგნთა ზემო ხსენებულთა...

დეკ. იოანე ქართველიშვილი.

გიორგი მრისთავი.

(ბიოგრაფია)

გიორგი ერისთავი დაიბადა 1811 წელს. მამა მისი დავით იყო ქართლის მებატონე, უფროსი წილობა ქსნის ერისთავიანთ ოჯახისა, რომელიც უწინდელს დროში იქმნებოდა საერისთავოს გამგეთ. დედა, ივანე მდივნის ქობულოვის ასული მარიამ, იყო დიდი ღვთის მოყვარე ადამიანი, წყნარი, კაც-მოყვარე. პოეტი ამათი შუათანა შვილი იყო.

შუა-გულს ქართლში, წარჩინებულის თავადიშვილის ოჯახში, ახალგაზდა გიორგის გზა გახსნილი ჰქონდა სოფლის ზნისა და ჩვეულებისათვის ეთვალ-ყურნა, სოფლის ავკარგიანობა შეემცნო, შეესწავლა და მისი უტყუარი ხატი ღრმად ჩაერჩინა გულში სიყრმითვე. ამასთან დედაც ჰყვანდა ქართული ენის და მწიგნობრობის ზედმიწვნით მცოდნე და სოფლის ცხოვრებასთან ერთად პოეტმა შეისწავლა ქართული ენაც კარგად და ქართული მწერლობა. სიყრმიდანვე შეიმსჭვალა. ვიდრე ათის წლისა არ გაჰქიმდებოდა, გიორგი არ გაშორებია დედ-მამის ყურადღებას. ათის წლისა-კი იგი ჩამოიყვანეს ქალაქში და მიაბარეს კეთილ-შობილთა სასწავლებელში.

პირველად აქ გამოიჩინა გიორგიმ ლექსთა-მთქმელობის ნიჭი. თორმეტის წლისა იგი უკვე სწერდა ლექსებს და უკით-

ხავდა თავის ამხანაგებს, რომელთ შორის ქართულის ენის სიყვარული მაშინ ძალიან გავრცელებული იყო.

კეთილ-შობილთა სასწავლებელი სრულად არ შეუსრულებია პოეტს; როცა გადავიდა მეხუთე კლასში, მისმა ბიძამ, მიტროპოლიტმა ვარლაამმა, რომელიც სცხოვრებდა მოსკოვში, მოსწერა მისს მშობლებს, რომ გაეგზავნათ მის-თვის ერთ-ერთი შეილი ესრეთივე სათხოვარი მოუვიდა და-ვითის მეორე ძმას, მირმანოზ ერისთავს. დავითის შვილებში წილი ხვდა გიორგის და გიორგი მის ბიძაშვილთან, ესტა-ტესთან ერთად, გაპეზავნეს მოსკოვს, 1825 წელს. მოსკოვს ყოვლად სამღვდელო ვარლაამმა მიაბარა თვისი ახალგაზდა ნათესავები კერძო პანსიონში.

მაგრამ არც იმ პანსიონის გათვება ხვდა წილად ახალგაზ-და გიორგის. შემდეგ ორის წლის სწავლისა, გიორგის გაუხდა ავად მისი ბიძაშვილი და ექიმებმა არჩიეს ავადმყოფის სამშო-ბლოში გაგზავნა. დაშინებულმა ვარლაამმა ვერც გიორგის დატოვება გაპედედა მოსკოვში და 1828 წელს გიორგი ისევ სამშობლოში გამოისტუმრა.

აქ გიორგი ხელ-ახლად არ შესულა სასწავლებელში, თუმცა ჰასაკი-კი შკოლისა ჰქონდა. რამდენსამე ხანს იგი უსაქ-მოდ იყო, ე. ი. სკოლასა და სამსახურს გარე და ლექსთა-თქმით იჯერებდა გულს მობრაობისა და მოქმედებისათვის გაჩენილი მისი ბუნება. ეს ის დრო იყო, როცა საქართვე-ლოში დაბრუნდნენ რუსეთიდამ ჩვენებურნი ახალგაზდა ყმა-წვილნი კაცნი, რომელთაც ჩამოიტანეს თან ქართულის მწერ-ლობის სიყვარული, საქართველოს ბატონიშვილებისა და მათ გარეშე პირთაგან შეძენილი პეტერბურგსა და მოსკოვში. ამ ყმაწვილ-კაცებს ზედ დაერთო ის თაობაც, რომელიც გამო-იზარდა კეთილ-შობილთა სკოლაში და ცოტ-ცოტათი თბი-ლისში დაარსდა ქართულის მწერლობის მოყვარეთა წრე, რო-მელშიაც დიიბადა შემდეგში ქართული უურნალის გამოცე-მის აზრი. ამათში გიორგი ერისთავს პირველი ადგილი ეჭირა.

„ჯერ-კი ვიდრე დრო არ მოსულიყო, გიორგი გან-
წესდა სამსახურში, თბილისის გუბერნატორთან, სტრექალოვ-
თან. შემდეგ, როცა კავკასიის მთავარ-მართებლად დაინიშნა
ბარონი როზენი, გიორგი გადავიდა იმის ამალაში....

ჰე ჰასაკი მოუახლოვდა მას, რომ უნდა გამოეჩინა თავისი
ნიჭი რომელსამე ასპარეზზე. მან აირჩია მწერლობის ასპარეზი
და მიჰყო ხელი შრომას ნამდვილის პოეტურის აღტაცებით
რჩ სიყვარულით.

პირველი მისი ვრცელი პოეტური თხზულება არის პოე-
მა „შეშლილი“, რომელშიაც შეუდარებელის სურათებით
გამოჰხატა მან თვისი — ეს პოეტების საზოგადო ხვედრია — თვი-
სი არ შეწყნარებული სიყვარული. ერთის თავადიშვილის ქა-
ლი მოსწონდა; რომელიც უნდა შეერთო, მაგრამ რაღაცა
უთანხმობა მოუვიდა მშობლებთან და ქორწილი ჩაიშალა. —
„შეშლილს“ მოჰყვა კომედიები: „გაყრა“ და „დავა“ და
ბევრი სხვა მცირე ლექსები, რომელიც ხელ-ნაწერად გა-
ვრცელდა ქალაქ-ქალაქ და სოფელ-სოფელ.

ამათი მწერალი, უეჭველი იყო, რომ ლიტერატურულ
ძალას შეადგენდა, რომელსაც შეეძლო იმ დროს სხვა ჩვენ-
ზე უფრო მდიდარ მწერლობისათვისაც დაემშვენებინა მხართ.

გიორგის გვერდთ უდგნენ გრიგოლ ორბელიანი და ნიკ.
ბარათაშვილი, ზემოთ — ალექსანდრე ჭავჭავაძე, — ყველანი ერ-
თად თავადნი ჩვენის მწერლობისა. ამათ გარემო იყვნენ ბევ-
რი სხვა ახალგაზდა ყმაშვილები და მწერლობის მოყვარე ქა-
ლები. ყველა ესენი იკრიბებოდნენ ან ალექსანდრე ჭავჭავა-
ძესთან, ან კნ. მანანა ორბელიანთან, ან მამუკა ორბელიან-
თან და კითხულობდნენ სხვა-და-სხვა ქართულ ნაწერებს.
მწერლობის თანაგრძნობა საყოველთან იყო, კარგი ალტოს
ამღები კაცი უეჭველად იგრძნობდა ამ დროს, რომ ეს სა-
ზოგადო ინტერესი მწერლობისადმი უფრნალ-გაზეთების შე-

მოლებით გათავდებოდა; რომ ეს კომედიების წერა თეატრის დაფუძნებით დაგვირგვინდებოდა. და მართლაც ასე მოჰქმდა.

1844 წელს ხელმწიფე იმპერატორმა ნიკოლოზმა პავლეს ძემ კავკასიის მმართველად თავისდა ნაცვლად ამ მხარეში დანიშნა თავადი მ. ს. ვარანცოვი.

სახალხო განათლებამ და მწერლობამ ბევრი მოიგეს ამ გონიერის მმართველის დანიშვნით, იმდენივე, რამდენიც მოიგო კავკასიის სამოქალაქო აღორძინებამ.

თბილისში ამ დროს საკმარიდ იყო განათლებული ქართველი საზოგადოება, რომლის განწყობილებას ეძიებდა გონიერი მმართველი ვარანცოვი. ის ხშირად მოიწვევდა თვისთან იმ საზოგადოების წევრებს და თვითონაც დადიოდა ქართულ ოჯახებში. ამ ხშირ მისვლა-მოსვლის დროს ცნობის მოყვარე ვარანცოვი ჰკრებდა სხვა-და-სხვა ამბებს შესახებ ქართველების მდგომარეობისა და სხვათა შორის ქართულ მწერლობაზე. აქ შეიტყო იმან პირველად, რომ ქართულ ენაზე დაც ყოფილა დაწერილი კომედია, რომელიც ხელ-ნაწერად იყო გავრცელებული ტფილისსა და ქართლ-კახეთში და აქ განაცხადა მან პირველად სურვილი ქართულის თეატრის დანახვისა.

გიორგი ერისთავი, რომელიც ამ დროს ხიდისთავში ემსახურებოდა, საჩქაროზედ დაიბარეს ქალაქში და წარუდგინეს ვარანცოვს. ვარანცოვმა დიდის აღერსით და დიდის სიამოვნებით მიიღო პოეტი, რომელმაც წარუდგინა მას „გაყრის“ ხელ-ნაწერი.

— ვიდრე გადავათარგმნინებდე ამ თქვენს კომედიას რუსულად, უთხრა ვარანცოვმა გიორგის, თქვენ სთხოვეთ ჩემ მაგიერათ სცენის მოყვარე ქართველებს, დაისწავლონ როლები და თქვენის თაოსნობით გამართეთ წარმოდგენა თბილისის გიმნაზიის სცენაზე. ვნახოთ, როგორი კომედია დაგიწე-

რით, ან რა გვარ სცენიურ ნიჭის გამოიჩენთ ქართველები? გიორგი ერისთავი გულ-მხურვალედ შეუდგა ვარანცოვის ბრძანების ასრულებას. მისი სამარატისო ნატვრა სრულდებოდა, ქართული თეატრი არსდებოდა და „გაყრა“ უნდა დადგმულიყო მის კურთხევაზე, მის საძირკვლის ჩაყრაზე. სცენის მოყვარეებთან იმას ბევრი ხვეწნა არ დასჭირდა, ყველამ დიდის სიხარულით მიღილო მონაწილეობა კომედიაში. გიორგი, რომელიც თითონ მიკირტუმას როლს თამაშობდა, რეჟისორის მოვალეობას ასრულებდა და სწვრთნიდა უჩვევთა მოთამაშეთა.

პირველი წარმოდგენა მოჰქდა 2 იანვარს 1850 წ. გიმნაზიის პატარა ზალა ვერც-კი იტევდა თურმე მაყურებლებს, იმდენი ხალხი დაესწრო ამ პირველ წარმოდგენას. ვარანცოვიც თავის სახლობით და ამაღლით თეატრში იყო და ყველაზე უფრო გაცხარებულად ტაშს უკრავდა სცენის მოყვარეთა; ნამეტნავად კომედიის დამწერი მოიწონეს, როგორც აკტიორი და ავტორი. რამდენისამე დღის შემდეგ ვარანცოვმა გთიორგი ერისთავი დანიშნა თვის ამაღლაში „საგანგებო მინდობილების უმცროს ჩინოვნიკად“.

3 მაისს იმავე წლისას ხელ-ახლა გაიმართა წარმოდგენა ახლად აშენებულს მშენიერს თეატრში, თამამშოვის ქარვასლაში. ითამაშეს „დავა“.

ორმა პირველმა წარმოდგენამ დაარწმუნა ვარანცოვი და მისი ახლო პირები, რომ ქართულის თეატრის სამუდამოდ დაფუძნება შეუძლებელი საქმე არ ყოფილა თბილისში. იმან გადასწყვიტა ქართულის სცენის დაფუძნება თბილისში, რაც უნდა დახარჯულიყო და თაოსნობა ამა საქმისა მიანდო გიორგი ერისთავს.

მაგრამ სად და როგორ უნდა ეშოგო მომავალის თეატრის დირექტორს ქართული სცენისთვის საჭირო აქტიორები და ნამეტნავად აქტორისები? მაშინ ჯერ კიდევ დაკეტილებში ისხდნენ ჩვენი ქალები და ვინ იქნებოდა ისეთი გულადი,

რომელიც თავის ქალის მიცემას ფაზედავდა თეატრში და მა-
მა-პაპურს ლექაჭს აქტრისის წოდებაზე გასცვლიდა? ქალაქ-
ში მეტადრე აქტრისობა და უნამუსობა სინონიმები იყო
და მოციქულებრივი თავგანწირულობა ძნელად-ლა იყო მოსა-
ლოდნელი.

გიორგიმ ამის გამო სოფლის შეუბლალავ ბუნებას მოს-
თხოვა შემწეობა. იქ მაინც არ იყო ცნობილი თეატრი და
აქტრისების წინააღმდეგაც არავინ იბრძოდა. ის წავიდა სო-
ფელში, 1850 წელს, გაზაფხულზე, და იქ მიჰყო ხელი ტრუ-
პის შედგენას. წასვლის წინად ვარანცოვმა მისცა მას ორასი
თუმანი აქტიორების და აქტრისების დასასაჩუქრებლად და
გადასწყვიტა, რომ ქართულ ტრუპას ექნება წლის თავზე თხა-
ოთხასი, თუმანი ჯამაგირად.

სოფელში იმდენი ღმეცადინა გიორგიმ, რომ ორ-სამ
თვეზე ჩინებული ტრუპა მოაწყო. თბილისშვი ჩასვლა, სა-
ზოგადოების გაცნობა, ჯამაგირი, პატივი, ვარანცოვის მოწ-
ყალება — ეს ისეთი საბუთები შეიქნა ხელოვანის პოეტის ხელ-
ში, რომ არამც თუ კაცებს, ქალებსაც კი არ დამძიმებიათ
სცენაზე გამოსვლა. პირველ აქტრისებათ ჩაეწერნენ: სააკადისა,
ტატიევისა, ანტონოვისა და ბაფეროვისა; პირველ აქტიორე-
ბათ: დვანაძე, ტატიევი, რჩეულოვი (ძმა მწერლისა), კორძაია,
კიკნაძე და ელიოზოვი. ესენი ჯერ სოფელში მზადდებოდენ
პოეტის ხელ-ქვეშ და მერე, იმავე წლის შემოდგომაზე, ქა-
ლაქში ჩამოვიდენ.

აქ ახალი ტრუპა განაგრძობდა სათეატროდ წვრთნასა.
ვარანცოვი, რომელსაც მოახსენა გ. ერისთავმა ტრუპის შედ-
გენა, მოხარული იყო მათის წარმატებისა, რამდენჯერმე და-
ესწრო კიდეც რეპეტიციებს. განსკ. ივანე კერესელიძე, გიორ-
გი ერისთავის ლეტერატურული და თეატრალური მემკვიდრე,
რომელსაც ჩვენ ვთხოვეთ დაეწერა ჩვენთვის, რაც ახსოვდა ამ
დროის შესახებ, სწერს ახალს ტრუპპაზე და საზოგადოდ
თეატრზე და მის დირექტორზე:

„ზოგიერთი აქტიორები და აქტრისები გიორგი ერის-
თავმა თვისს სახლში დააყენა ეშინოდა გული ჭრავის შეეც-
ვალა და თეატრიდამ ხელი არ აეღებინებინა. პოეტი მაშინ
იდგა კუკიაში იმ ალაგს, საცა ახლა მესამე ნაწილის მომ-
რიგებელი სასამართლო არის. მე რომ შევიტყე ქართული
ტრუპის დაარსება, ავიღე ჩემგან ნათარგმნი პიესა „მოჯადოე-
ბული თავალი“ (ეს ის პიესაა, რომლითაც დაიწყო რუსული
წარმოდგენები თბილისში) და წაუღე პოეტს. მე მანამდის არ
მენახა გიორგი ერისთავი და პირველისავე ნახვით ისე შემაყ-
ვარა თავი, რომ არაფერს დავიშურებდი მისთვის; მიმიღო
დიდის ალერსით და ღიმილით მადლობა მითხრა პიესისთვის
და მთხოვა მივშველებოდი პიესის წერაში, თუ სხვა თეატრის
ჭაქმეში. ამის შემდეგ მე თითქმის ყოველ დღე დავდიოდი
მასთან და შეძლების-და გვარად ვეხმარებოდი. გიორგის ამ
ხანებში გაცხარებული რეპეტიციები ჰქონდა, რომლებზედაც
ხან და ხან ვარანცოვიც დადიოდა.

„სხვათა შორის, მახსოვს ურთი მისი ფიზიტი ქართული
პიესების რეპეტიციებზე. აქტიორები და აქტრისები პოეტის
სახლში ვიყავით შეყრილნი ერთს შემოდგომის ნასაღილევზე
და „ძუნწსა“ ვსწავლობდით, რომელიც ის-ის იყო დაეწერა
ავტორს. ცოტა ცხელი დღე იყო და გიორგი შინაურულად
იყო მორთული, ახალუხით და ჩუსტებით. უცებ ფეხის ხმა
შემოგვესმა კიბიდგან. გავიხედეთ ფანჯარაში და რა ვნახეთ?
ჩერქეზულ ნაბაღში გახვეული, გრძელის ჯოხით, ამოღიოდა
ბალკონზე ვარანცოვი. „ნამესტნიკი მოდის, კნიაზო, ნამესტ-
ნიკი!“ წასჩურჩულებ გიორგის აქტიორებმა. ოთახში ქარები
შორს იყო, რომ იქითკენ გაქცეულიყო მასპინძელი თავის
ქაბითა და ჩუსტებით და, მეტი რომ არა გაეწყობოდა რა,
ერთის თვალის დახამხამებაზე პოეტი წალოში გადახტა და
კარები მიიხურა. ერთი კი წაგუიჩურჩულა: უთხარით, შინ არ
არისო. ამის თქმა იყო და ვარანცოვის ზალაში შემოსვლა.

იმან ყველას ჩამოგვართვა ხელი და გამრგველაპარაკა. როცა ერისთავი იკითხა, მე მოგახსენე მისი შინ არ ყოფნა".

"—არაფერია, უიმისოდაც შემიძლია ვნახო თქვენი ხელოვნება, განაგრძეთ რეპეტიცია, სთქვა ვარანცოვმა და ჩამოჯდა დივანზე".

"ჩვენ განვაგრძეთ რეპეტიცია და სანამ სრულად არ გავათავეთ, ვარანცოვი არ მოგვშორებია გიორგი-კი ამ დროს წალოში იჯდა, სულ-განაბული".

"საზოგადოდ დიდად უყვარდა გიორგი ერისთავი და მისი ქართული ტრუპა ვარანცოვს. როდესაც განსვენებული იმპერატორი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჩამობრძანდა ქალაქში მემკვიდრეობის დროს, 1850 წელს, გიორგი ძრიელ ავად იყო. ვარანცოვი ძრიელ შეწუხებული იყო ამ ავად მყოფობით; მან დაგბართ დოკტორი პელეცკი და უბრძანა: ეცადე ქართველების პოეტი მალე მომირჩინო, ცესარევიჩს უნდა წარუდგინოთ. გიორგი, მართლაც, მალე მორჩა. როდესაც იმას შეეძლო გარეთ გამოსვლა, მას მოუვიდა ბრძანება ვარანცოვის აღალასთან ერთად დიდუბეს წასულიყო, როცა მემკვიდრეს უნდა დაეხედა ჯარები. გათავდა თუ არა „რაზვოდი“, ვარანცოვმა დაუჭირა ხელი გიორგის, მიიყვანა ცესარევიჩთან და მოახსენა: „рекомендую, Ваше Высочество, грузинского Мольера“. მემკვიდრემ ჩამოართვა ხელი ერისთავს და ლიმილით უთხრა: „ძლიერ მიხარის, რომ ქართველებსაც ჰყოლიათ თავიანთი მოლიერი“. ამასთან დაკავშირდებოდა მარტინ გარებონა და მისი მომართვა არ იყო დაუჭირებელი.

"სხვა ქართული მწერლები და არტისტები თანასწორედ ვე უყვარდა ვარანცოვს. ისე პიესებს არ დასწერდნენ ანტონი, დვანაძე და სხ., ისე ქართულ წარმოდგენაზე არ მობრძანდებოდა ნამესტნიკი, რომ ამ მწერლებისთვის და არტისტებისთვის საჩუქარი არ მიეცა განსვენებულს, ერთხელ, წვიმიან დღესა, ვარანცოვს შემოეყარა ქუჩაზედ ქართველი აქტიორები, რომელნიც რეპეტიციაზე მიდიოდნენ ფეხით იშვინელს ტლაპოში. მეორეს დღეს განსვენებულმა დაიბარა

გიორგი ერისთავი და ჰკითხა: გუშან აქტრისები ფეხით რატ
მიღიოდნენ, ხომ ცოდვანი არიანო. ერისთავს ეპასუხნა, ცო-
ტა ჯამაგირი აქვთ, ძლივს-და ჰყოფნით და იმდენი საღა რჩე-
ბათ, დროშებით იარონო. ამ სიტყვებზე ვარანცოვმა დროშ-
კის ფულათ კიდევ ასი თუმანი მოუმატა ტრუპას წელიწადში:

1851 წელს ტრუპა იმდენად გაიწვრონა, რომ გიორგი
ერისთავს შეეძლო დაეწყო ქართული სპექტაკლები. პიოვე-
ლი წარმოდგენა დანიშნეს 1851 წლის 1 იანვარისთვის. დას-
დგეს იგივე „გაყრა“, რომელიც ერთის წლის წინად ითამა-
შეს გიმნაზიის ზალაში. ტფილისის მაღალი სასოგადოება,
ვარანცოვისა და მისის სახლობიდგან დაწყობილი, უკლისად
დაესწრო ამ წარმოდგენას. ყველას მოსწონდა „შინ-გაზდი-
ლის“ არტისტების თამაშობა, ყველა ტაშს უკრავდა, როგორც
აქტიორებს, ისე დირექტორს. ვარანცოვი ნამეტნავად იყო
გახარებული.

გაზეთის „კავკაზის“ რეცენზენტმაც დიდი ქება შეასხე-
ქართველ არტისტების ხელოვნებას. იმ წლის გაზეთის პირ-
ველ ნომერში (5 იანვ. 1851 წ.) ეს რეცენზენტი სწერდა:
„Въ первый день второй половины текущаго столѣтія, на
сценѣ тифлисскаго театра, была розыграна комедія кн. Эристова „Раздѣль“.... Играли грузинскіе актеры, играли на гру-
зинскомъ языкѣ, играли пьесу, написанную грузиномъ. Комедія явилась во время, она попала, такъ сказать, въ таکъ.
Посѣяно съмѧ, которое со временемъ принесетъ цвѣты и
плодъ....“ და შემდეგ აქებდა რჩეულოვის, ჯაფარიძის და
სხვათა თამაშობას.

ახალი ტრუპა, ახალის რეჟისორით, ვარანცოვმა გა-
დასცა ტფილისის თეატრის დირექტიას. ქართულ კომედიას
ყველაფერი თვისი ჰქონდა: ჯამაგირი, ტანისამოსი, რეპერ-
ტუარი. თუ დირექტია აღმოუჩენდა მას იმავე თანაგრძნობას,
რა თანაგრძნობითაც ეჭვეოდა მას თავადი ვარანცოვი, მისი
საქმე უეჭველად კარგად უნდა წასულიყო. მაგრამ... ზოგი-

ერთმა მთავარ-მართებლის ხელ-ქვეითებმა სულ სხვანაირად შეჰქედეს ქართულ თეატრს იმ თავიდამვე. მაშინდელმა თეატრის დირექტორი ქართულის თეატრის საქმე ისე წაიყვანა, რომ თბილისის ხალხმა გული აიცრუა ჩვენს თეატრზე. თეატრს ავნო აგრეთვე საზოგადო გულ-გრილობამ, რომელიც ჭლე-ქია ქართულის თეატრისა და რომელიც წარმოსდგება არა მარტო ჩვენის უდარდელობისაგან, არამედ რეპერტუარის სი-ლარიბისაგანაც...

როგორც სჩანს თეატრის დირექტორის ანგარიშიდამ, 1851 წელს ოცდა ორი ქართული წარმოდგენა იყო, რუსულ სპეკ-ტაკლებთან შეერთებული. ქართულ ტრუპაზე ამ ანგარი-შით დახარჯული ამ წელს 4666 მანეთი.

შემდეგს 1852, 1853 და 1854 წლებში ჩვენი სცენა ისევე იმ პირობით დარჩა, როგორც პირველ წელიწადში. ტრუპას განაგებდა იგივე გ. ერისთავი; აქტიორ-აქტრისებს ეძლეოდათ ოთხას-ოთხასი თუმანი.

ამ ხანებში გიორგიმ ბევრი ახალი პიესა შესძინა ქა-რთულ რეპერტუარს. თითონ დასწერა: „ძუნწი“, „თილის-მის-ხანი“, „უჩინ-მაჩინის ქუდი“, „კამისარი შტატ გარეშე ქალაქისა“, „კარაპეტა ქვევრში“, „ბებიას თუთიყუში“ და „ყვარყვარე ათაბაგი“.

ქართულ პიესების ცენზორათ, ვარანცოვის განკარგუ-ლებით, დანიშნული იყო ამიერ კავკასიის უწყების რედაქ-ტორი, სტატსკი სოვეტნიკი პ. ი. იოსელიანი. სამწუხაროდ, ჩვენის არტისტების გულ-მოდგინებამ და ნიჭმა, ჩვენის მწერ-ლების კომედიებმა და ღრამებმა ვერა გააწყეს-რა ქართულ თეატრთან. ჩვენი წარმოდგენები სულ მუდამ ცალიერი იყო და თეატრს შემოსავალი არა ჰქონდა-რა. დირექტორის ამის გამო სულით და გულით უნდოდა ქართულის ტრუპას და-თხოვნა და რამდენჯერმე განიზრახა კიდევ იშისი თავიდამ მოშორება, მაგრამ იმათ სურვილს ვარანცოვის შება დაუხვა-და წინ და ვეღარ აღსრულდა.

ბოლოს, 1854 წელს, ქართულ ტრუპპას ჯამაგირის მი-
ცემაც გაუჭირეს. მთავარ-მართებლის არხივი, საიდამაც ჩვენ
ჩოვკრიბეთ აქ მოყვანილი ცნობები თეატრის შესახებ, შე-
იცავს, სხვათ შორის, ფრს. საჩივარს, თავადის გიორგისას ამ
ჯამაგირის შესახებ. ერთს საჩივარში გიორგი ერისთავი ით-
ხოვს ტრუპპისათვის სამის თვის ჯამაგირს, ივნისის, ივლისის
და აგვისტოსას, სრულიად 999 მანეთს. დირექტორი ამ საჩივ-
რის გამო სწერს ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორს
შეერბინინს, რომ ეს ფულები ქალაქიდამ უნდა შემოუვიდეს
თეატრს და, როცა ქალაქი შემოიტანს, ტრუპპას ვაშინ და-
ურიგდებათ. ამასთან იმ დროის თეატრის დერექტორი ბალ-
დანოვი სწერს შეერბინინს: „ამასთანავე მაქვს პატივი მოგახ-
სენოთ, რომ სამერმისოთ ჩვენ არ დაგვრჩა არავითარი წყა-
რო ქართულის ტრუპის შესანახავად. ამ ტრუპის წარმოდე-
გენისაგან არა არის-რა შემოსავალი, რადგანაც საზოგადოე-
ბის თანაგრძნობა აკლია ქართულს თეატრს. ამ მოხსენების
ბოლოს ბ-ნი ბალდანოვი სთხოვდა შეერბინინს, ან დაეთხოვ-
ნათ სულ ქართული ტრუპა, ან მომეტებული ფული მიე-
ცათ დირექტიისათვის. ამაზე პასუხად შეერბინინმა სამის თვის
ჯამაგირი გამოუგზავნა და შემოუთვალი, რომ ტრუპის და-
თხოვნა შეუძლებელი იყო, რადგანაც „ვარანცოვის სურვი-
ლი ეგრეთიათ“.

მეორე საჩივარი ფიფონ გიორგის ხელით არის დაწერი-
ლი. აი ეს წერილი:

Господину директору канцелярии Намѣстника Кавказскаго Щербинину. Младшаго чиновника особыхъ порученій при Намѣстнику Кавказскомъ, коллежского ассессора кн. Эристова, рапортъ. Вашему Превосходительству извѣстно что, по волѣ Его Свѣтлости, отпускались мнѣ четыре тысячи рублей на содержаніе грузинской труппы. Сверхъ этихъ денегъ князъ Намѣстникъ отпускаль мнѣ до 1852 года на костюмы особыя деньги, но я впослѣдствіи устроилъ такъ, что

обходился 400 руб. Съ прошлаго года осталось у менѣ око-
ло 300 руб. для костюмовъ, но г. директоръ тифлисскаго
театра тайный совѣтникъ Богдановъ удерживаетъ мнѣ эти
300 рублей и я не имѣю теперѣ средствъ построить костю-
мы для грузинской театральной труппы... ბოლოს სთხოვდა
ებრძანებინა დირექტორისთვის მიეცა ეს სამასი მანეჟი. ეს
რაპორტი დაწერილია 6 თებერვალს, 1854 წელს; შეერბი-
ნინმა მაშინვე დააკმაყოფილა გიორგის თხოვნა და მოსწერა
ბალდანოვს მიეცათ დაჭერილი ფული. 1855 წელთან ქარ-
თული თეატრიც გათავდა. ვარანცოვი გადიყვანეს კავკასიი-
დამ და ტრუპას ჯამაგირი მოუჭრეს. ვარანცოვის დროებით
მთადგილებრივი რეადმის ვერაფერი შემწეობა აღმოუჩინა იმ საქ-
მეს, რომელსაც მისი წინა-მთადგილე ასეთს დიდს მნიშვნელო-
ბას აძლევდა.

ამას იქით ტრუპის რიგიანი შენახვა შეუძლებელი იყო
და გიორგიმ თავი ანება ქართულის სცენის თაოსნობას. ად-
ვილი არ იყო მისთვის სცენის დატოვება. ის ხელავდა რომ
მისგან დაწყებული და ფეხზე დაყენებული საქმე იშლებო-
და, თუ არ სამუდამოდ, დიდის ხნით მაინც. ამასთან ის შორ-
დებოდა იმ ტრუპას, რომელთანაც ოთხი წელიწადი გაატა-
რა, რომელიც იმას სულით და გულით უყვარდა და სულ
ყველა ეს დიდად სამძიმო იყო მისთვის.

გიორგიმ დაუტევა თეატრი, გამოვიდა სამსახურსდამ და
წავიდა თავის მამულში, ხიდისთავს.

ეს ქართულ თეატრს ქართულის უურნალის დაარსება მო-
ჰყვა. ცხოვრებამ და სკოლამ უიმისოდაც ფეხზე დააყენა ჩვე-
ნი საზოგადოება იმ ნახევარ საუკუნის განმავალობაში, რო-
მელსაც გაევლო ამ ტრანს ტრუსების შემოსვლიდამ. როდე-
საც ამ საზოგადოებას ერთს დარბაზში მოუყარა თავი თეატრ-
მა და მის სხვა-და-სხვა ნაწილებ შორის ჭირისა და ლხინის
ხიდი გასდო, საჯაროდ მოლაპარაკე ხმაც უფრო გამბედავი.

შეიქნა და ცხოვრებამ მოითხოვა ახალი ორგანო სულიერის ურთი-ერთობისა — უურნალი. ეს აზრებისა და ამბების დრო-ზე მიმტან-მომტანი უურნალი შეიქმნა დღის ლალადებად და ეს ლალადება თავისას ითხოვდა.

როგორც ზემოთ ვთქვით, ლიტერატურული ძალაც საკ-
მაოდ იყო ამ დროს ტფილისში. ხშირად ერთი და იგივე
ოჯახი, ერთსავე და იმავე დღეს, ჰედავდა ერთად შეყრი-
ლად ისეთს მწერლებს, როგორნიც იყვნენ: გრიგოლ არბე-
ლიანი, გიორგი ერისთავი, ალექსანდრე არბელიანი, ვახ-
ტანგ არბელიანი, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ყიფიანი,
მიხეილ თუმანიშვილი და სხ. ალექსანდრე ჭავჭავაძე, და ნი-
კოლოოზ ბარათაშვილი, თუმცა ცოცხალნი არ იყვნენ ამ
დროს, მაგრამ მათი ნიჭიერი ქმნილება, სიკვდილით განწმე-
დილი, ხელ-და-ხელ დადიოდა „ვით მარგალიტი აბოლი,
ხელის-ხელ საგოგმანები“ ამათ გარდა, ბევრი სხვა უცნობი
მწერლებიც იყვნენ, რომელთაც საკმაო „არიგინალები“ ეწ-
ყოთ შინა სტამბისათვის.

სამკალი მოსული იყო, მომკალნიც იყვნენ; საჭირო
იყო მხოლოდ ერთი გამბედავი მესვეური, რომ რიგი დაეწ-
ყო და პირველი სვე გაეტანა. ამისთანა მესვეურად აღმოჩნ-
და იგივე თეატრის დირექტორი თ. გ. დ. ერისთავი.

ვარანცოვმა დიდის სიამოვნებით მიიღო გიორგის თხოვნა
ქართულის უურნალის გამოცემის შესახებ. რაც უნდა მცი-
რედი ბედი სწეოდა ქართულ მწერლობას მომავალში, რაც
უნდა მცირედი მნიშვნელობა ჰქონდა თითონ საქართველოს
ერსა ისტორიაში, საქართველოს მმართველისათვის მაინც
დიდი სახელი იყო, რომ მის დროს და მისის შემწეობით
პირველი ქართული უურნალი დაარსებულიყო. ეს კარგად
ესმოდა იმისთანა განათლებულს მმართველს, როგორიც ვა-
რანცოვი იყო. გარნა სათავედ მისის თანაგრძნობისა ქარ-
თულის მწერლობისა და ენისადმი არა მარტო სახელის მოხ-
ვეჭის სურვილი ყოფილურობივე ვარანცოვები — ცოლ-ქმარ-

ნი — დიდის უურადლებით თვალს ადევნებდენ ქართულის ენის წარმატებას ტფილისის სასწავლებლებში.

თ. ამ ერთი წერილი კნეინა ელისაბედ ვარანცოვისა, მიწერილი თვით გიორგი ერისთავისადმი:

„ლღეს, 2¹/₂ საათზე, იქმნება წმინდა ჰინოს საქალებო სასწავლებელში ქართული ენის ეგზამენი. ჩემდ დასწრება ამ ეგზამენზედ სრულიად უსარგებლო იქნება და, რადგანაც მინდა შევიტყო, როგორ შეისწავლეს ქალებმა თვისი სამშობლო ენა, ამიტომ გთხოვთ, პატივცემულო კნიაზო, გიორგი დავითის ძევ, თქვენ დაესწროთ იმ ეგზამენზედ. — ორშაბათი 18 დეკემბერი 1850 წ.“

როდესაც უურნალის გამოცემა შეიტყო თ. ვარანცოვმა, მან მოაწერა ხელი 100 ეკზემპლიარზე, სასარგებლოდ წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებლისა, რომელიც ის-ის იყო დაეფუძნებინა მის მეუღლეს. ასი ეკზემპლიარი ღირდა ორ-მოცდა ათი თუმანი და ეს დიდი შემწეობა იყო უურნალისთვის. ახალს უურნალს, რომელსაც უნდა გაეთენებინა ახალი ზრწყინვალე დღე ქართულის მწერლობისათვის, გიორგი ერისთავმა დაარქვა სახელად „ცისკარი“. მისი გამოცემის ნებართვა ვარანცოვმა თვით ხელმწიფე იმპერატორს ნიკოლოზ პავლეს ძეს სთხოვა.

როდესაც უურნალის გამოცემის ნება-რთვა მოვიდა პეტერბურლიდამ, გიორგი ერისთავმა აუწყა „ცისკრის“ ვამოცემა ქართველ საზოგადოებას განცხადებით, რომელიც დაჰყეჭდა გაზეთს „გავკაზში“ 27 აპრილს 1851 წელსა (№ 32.)

პირველი ნომერი „ცისკრისა“ გამოვიდა იანვარში, 1852 წელს,

1853 წ. დეკემბრის წიგნით გათავდა „ცისკრის“ გამოცემა: უურნალი ისე მისწყდა უგანცხადებოთ, უმიზეზოთ. მიზეზი, ეჭვი არ არის, ხელის-მომწერლების სიმცირე იქნებოდა, მაგრამ ამაზედ რედაქციას არა უთქვაშს რა. ივანე კერძესელიძე სწერს, ვითომ „ცისკრის“ შეწყვეტის მიზეზი ცენზორი

ალექსი — მესხიევი ყოფილიყოს, რომელიც ძლიერ ფიცხელათ თურმე ეკიდებოდა თავის მოვალეობას, მაგრამ ეს ძნელი დასაჯერებელია. ადვილი საქმე არ იყო ერთ თუმნათ ოცდა ოთხი წიგნის დაბეჭვდა. როგორც იყო, დიდის ვაის-ყოფით, ეს ოცდა ოთხი წიგნი-კი გაავრცელა გიორგიმ საქართველოში და მერე, მეტი ღონე რომ არ დარჩა, „თავისთავად ვალ-მოხდილმა პოეტმა“, როგორც ამბობს აკაკი, უურნალის გამოცემას თავი დაანება.

ერთის წლის შემდეგ, ე. ი 1855 წლის დამდეგს, გიორგიმ თეატრსაც მიანება თავი და, როგორც ვთქვით, და-
უტევა ქალაქი და ისევიმ ხილისთავის მამულს მიჰმართა, საი-
დამაც ჩამოვიდა ქალაქს, ხუთი წლის წინად. რომ ვერ გა-
აწყო თავისი გრძნობა ჩვენზედაო, ამბობს მიხეილ თუმანი-
შვილი პოეტზე, გიორგი ერისთავმა დაანება თავი უურნალ-
საც, თეატრსაც, და თითქმ ასე გვითხრაო გულ-ამოოხვრით; „როგორც გიწირავთ, ისე სწირეთო“!.. მას აქეთ პოეტი სულ
სოფელში სკხოვრებდა, თბილისის ხმაურობას მოშორებული.
ათასში ერთხელ თუ ჩამოვიდოდა ქალაქში და გააგონებდა
აქ ნაცნობთ თავის მოსწრებულს და ტკბილად მოუბარს ენას
თავად-აზნაურობის კრებაში, ანუ სხვაგან საღმე კერძო ხა-
ზოგადოებაში...

თ. გომილები ერისთავი გარდაიცვალა ქალაქში გარს, 9
სექტემბერს, 1864 წელსა. იგი დასაფლავებულ იქმნა სოფ-
იკონითას. /

სტუდენტების პირველი დრო.

(ავტობიოგრაფია)

„შავი წყალი“, სადაც ჩვენ აგარათ ვიდექით, ერთი ჭაობიანი, ნოტიო, ჩამპალი და მართლა შავი ადგილია, პეტერბურგის სიახლოეს, „ახალი სოფლის“ (новая деревня) და სტროგანოვის პარკის გვერდით. შავ-წყალს პატარა ღელეს უძახიან, რომლის გაჩერებული და ხავს-მოდებული წყალი კუპრსავით შავათ მოჩანს, მისი დამპალი ძირის გამოისობით... ეს ღელე ღიდ ნევკას ჩაერთვის. ამ ღელის პირათ გაუშენებიათ პატარა ქოხები და სახლები, რომელსაც პეტერბურგში მცხოვრები წვრილი ან შუათანა ჩინოვნიკობა აგარათ ჰქირაობს ხოლმე, ზაფხულობით. აქ არც ჰაერია ხეირიანი, არც წყალი, არც მცენარეობა. რისთვის იხაშმავს იქ თავს კაცი, ეს მარტო ღმერთმა უწყის...

აქ, ჩვენს გარდა, ბევრი სხვა ჩვენი სტუდენტები დასახლდნენ ზაფხულის გასატარებლად. ყველაზე შესანიშნავი, რა-საკვირველია, ის მოსახლობა იყო, რომელსაც ღრეულია, ეგნატე და მიხა ბაჟაყიშვილი შეადგენდა, ამიტომ რომ შიგ პირველი მათგანი ერია...

ბჟირად, თითქმის ყოველ დღე, დაიარებოდნენ ჩვენთან ჩვენა უფროსი სტუდენტები. დილის ერთი მოვიდოდა, ჩაგვიხედავდა წიგნში და გვეტყოდა: ჰო ისწავლეთ, ისწავლეთო! საღილობისას მეორე მობრძანდებოდა და სწორეთ იმავე სიტყვას გვეტყოდა, იმავე საქციელს დაადგებოდა. საღამოს მესამე და მეოთხე ერთხელ მაინც ეთქვა რომელსამეს მათგანს, თუ როგორ უნდა ვისწავლოთ, რა სახით უფრო ადვილია სწავლა, რანაირათ შესაძლებელია მისი გაადვილება და ჩალრმავება!.. ეს ჩვენც კარგათ ვიცოდით, რომ უნდა გვესწავლა, მაგრამ როგორ უნდა გვესწავლა, ამისი გაგება არავის ჰქინდა ჩვენთაგანს. ერთი ჩვენგანი ზეპირათ სწავლობდა მთელ სა-

ლიუსტს, და ყველა მისის სიტყვების შნიშვნელობას დიაკვან-
სავით იზეპირებდა: მეორე მარტო დედათხჩის იხსომებდა,
მესამე გრამატიკულ ფორმებს იბეჯითებდა: რომელი ამათ-
განი იღვა სწორე გზაზე, რომელი იყო შემცდარი? ამას ჩვენ
არავინ გვიხსნიდა, თუმც კითხვა კი არ დაკლებიათ ჩვენი
მხრით. — „ისწავლეთ, ისწავლეთო“, ბრძნულათ გვიმჟორებდა
ყველა .. .

მომბეჭრდა ეს სიტყვებიც და ლათინური ენის „სწავლაც“
გაგონილი მქონდა ჩვენი სტუდენტებისაგან, რომ ეგზამენის
დროს ვინც სალიუსტის დასაწყის კარგათ ახსნის და გადა-
თარგმნისო, ის ჯეროვანათ გამოვა განსაკლელიდამათ. მთელი
სალიუსტი გადავიკითხე რუსულათ, კლევანოვის თარგმანში,
თითოეული მისი სიტყა დედანთან შევასწორე, ამ დედნის
სიტყვებით თავში ჩავიბეჭდე და გარდავწყვიტე: რაც მოხდეს,
მოხდესთქო, მითხრეს ათიოდე თავის ცოდა სუმაოა, მით-
ხრეს, კიდევ, პირველ ოთხ თავს არასოდეს არ გკითხვენ
ეგზამენის დროსო. მეც ეს პირველი ოთხი თავი მივატოვე
და სწავლას იმ ადგილიდამ შეუდებელ, რომელიც იწყება სიტ-
ყვებით: „Bellum scripturus sum“, შევისწავლე თუთუყუშ-
სავით შემდეგი ათი თავი, და მივატოვე შრომა. დანარჩენ
ოთხ საგანში საკმაოთ მომზადებულს ვგრძნობდი ჩემ თავს,
და ამ მიზეზით მიუბრუნდი ნავს, ნევას, ზღვის პირს და კერ-
ძო წიგნების კითხვას...

„წიგნების კითხვა“ იმ დროს იშვიათი და უჩვევი საქმე
იყო ჩვენს სტუდენტობაში. მე კი, ბავშვობიდამ კითხვას ნაჩ-
ვევს, ამ ჩვეულების მიტოვება არ შემეძლო. უნდა გარდამე-
კითხა, რაც-კი ჩამივარდებოდა ხელში. მესამე და მეოთხე კლას-
ში რომ ვიყავი, გიმნაზიაში, ჩვენ ერთი ახირებული მეზო-
ბელი გვყავდა, უდაბნოელსავით მდგომი დამოუნის ჩინოვნიკი
ტ—ი, რომელსაც შინ ასი თუ ორასი წიგნი პქონდა. მთე-
ლი მისი ბიბლიოთეკა გადავიკითხე, თუმც იმ დროს რუსუ-
ლი ენა არც-კი მესმოდა... გიმნაზიის გათავების დროს, რაც

კი რამ წიგნი პქონდა ვისმე ქუთაისში, რაც-კი რამ უურნცლი
მოდიოდა ამ ქალაქში, ქართული თუ რუსული, ისულ გადა
კითხული შქონდა, კარგიც და ავიც რასაკვირველია, იმის
გაგება და დაფასება საღ შემეძლო, რა იყო იმ წიგნებში ხეი-
რიანი, და რა—სავნებელი ან უხეიროვ, რა იყო ჭკვიანური,
და რა—ბრიყული... ცკითხულობდი ყველაფერს, ამიტომ რომ
კითხვა ჩემთვის საჭიროებას შეადგენდა, იმისთანა საჭიროე-
ბას, ურუმლისოთაც გაძლება არ შემეძლო. პეტერბურგში,
რასაკვირველია, წიგნებს დავუწაფე, დღე არ გავიდოდა ისე,
რომ ორი—სამი წიგნი არ მეყიდა. ტოლკუჩაზე, ზოგი ორ
შაურათ, ზოგი აბაზათ. ხშირათ დამმართნია; რომ უფროსი
სტუდენტები შემოსულან ჩვენსა და უნახევართ ლოგინზედ წა-
მოწოლილი, წიგნის მკითხველი, მაშინ, როდესაც ჩემი ამხა-
ნაგები ლათინურს სწავლობდენ. ყოველთვის იმას მეტყოდენ
ის დალოცვილები, მაგ კითხვაში დროს ნუ ჰკარგავო, შენი
სასწავლელი ისწავლეო, აი როგორც შენი ამხანაგები შვრე-
ბიანო...

ერთხელ ღრეჭია მოვიდა ჩვენსა და „Современникъ“-ის კითხვაზე შემომესწრო. ისე გატაცებული ვიყავ ამ კითხვით, რომ მისი შემოსვლა ვერც-კი შევნიშნე და ფეხზედ ვერც-კი წა მოვხტი... დაათვალიერა ყველაფერი, ნახა, რომ თავდარა და ქურაძე საქმეს აკეთებდენ, ლათინურს სწავლობდენ, მე კი „დროს ვკარგავდი“, შემობრუნდა ჩემ ოთახში, წიგნი გამომართვა და ტკბილათ დარიგება დამიწურა:

— შენ ამაებში დროს ნუ კარგავ, საქმე გააკეთე, უროვა
კები ისწავლე, თორემ ეგზამენს ვერადაიჭერა და დარჩები
უსაქმოთ... არ არ და და.

დიდხანს მიქადაგა ამ საგანზე, ძლიერ ბრძნულათ, მაგრამ, რა ვქნა, განა ქადაგებით შეიძლება სმას ან ჭამას გადააჩვიოს კაცი? წავიდათუ არა, ისევ იმ წიგნს დავუბრუნდი...

իյմ լղացու առ դամավորվութեան օս անհոգ, հռմցլու յրտ-

მა უფროსმა სტუდენტმა, ერთმა ავტორიტეტმა, გამოთქვა ჩვენსა, როცა „Современникъ“-ის კითხვაზე წამესწრო:

— გაიხსენე ჩემი სიცუვაო, მითხრა, თუ შენც ისე არ წახდე, როგორც ი. ჭავჭავაძე წახდა. ისიც აქ შილლერის, ბაირონის და ვალტერ-სკოტის კითხვის მეტს არაფერს შერებოდა, და, დაესხა თავსლაფი, ისე წავიდა, რომ კურსი ვერ შეასრულა; უდიპლომოთ წაბრძანდა... აბა ეხლა რა ადგილი უნდა მიიღოს იმან?..

საშაშიშრო იყო ეს გაფთხილება, დამაჯერებელი იყო ეს დარიგება, მაგრამ... წავიდოდენ თუ არა უფროსი სტუდენტები, ისევ ჩემ წიგნებს დავეწავებოდი, და როცა კითხვით დავიღალებოდი, ავიყვანდი ნავს და ზღვისკენ მარტო გავსწევდი. ნევას უჩემოთაც მიპქონდა ნავი, მე კი ოცნებას თავს მივანებებდი და ვფიქრობდი, ვფიქრობდი იქამდი, სანამ თავბრუ დამეხვეოდა... —

მარიამობის წინა დღეებში ღრეჭიამ და ფილიპემ პეტერბურგში წაგვიყვანეს და უნივერსიტეტში შეგვიძლვენ ეგზამენის დასაჭერათ. ბევრს ჩვენგანს ათაქთაჭებდა შიში იმ დილას, ბევრს ცოდვილსავით აკანკალებდა... საკვირველია ეს გარემოება: საულ ქერაძე ისეთი შესახედავი იყო ამ დღეს, როგორც გინახავთ კუბოდამ ამოლებული შესულრული მკვდარი! დამზადებული-კი ჩვენზე უკეთესად იყო და ყველაზე უფრო მეტი კი იცოდას რით აიხსნება ეს თვისება? ათასჯერ ნაკლებ ვიყავი დამარაგებული, ათასჯერ ნაკლები ვიცოდი მასზე, მაგრამ ერთი წუთის განმავლობაშიაც ეჭვი არ შემპარვია გონებაში, რომ ვაი თუ ეგზამენი ვერ დავიკავო და უნდა ვერსიტეტში ვერ შევადეთქმ. არავითარი საფუძველი არა მქონია მეფიქრა, რომ უსათუოთ დავიჭრ ეგზამენს, და მტკიცეთ დარწმუნებული, კი ვიყავ, რომ დავიჭრდი. ბრიყვობაა ეს, რასაკვირველია, მაგრამ დამეთანხმეთ, რომ დიდ ძალას

აძლევს კაცს ამ გვარი რწმუნება, ამნაირი იმედი თავის თავისა ან თავის ვარსკვლავისა...

ნუ დაივიწყებთ, რომ ციდა ნახევარი ტანი მქონდა, რომ პირ-ტიტველა ვიყავ, როგორც ბალანა, რომ რუსულ ენას ძლივს ვაშტვრევდი. ნუ დაივიწყებთ ამას, და წარმოიდგინეთ, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის ზალაში, ეგზამენა-ტორების წინ წარმომდგარა ამ სახის ბალანა, ოთხასიოდე წვერულვაშიან მუტრუკებს შუა... ბევრს ეგონა—ვისმე სტუდენტს პაწია ძმა მოჰყოლია სეირის საცეკვლიათო... პროფესორს რომ მიუახლოვდი (იმ წელიწადს პროფესორები და გიმნაზიის მასწავლებლები აჭერინებდენ ეგზამენს), გაკვირვებით მკითხა: ნუ თუ შენც საეგზამენოთ მოსულხარო? რუსული მწერლობისგან უნდა დამეჭირა მასთან ეგზამენი. მკითხა: განა წაგიკითხავს რამე რუსული ლიტერატურიდამო? გამეცინა და მიუგე—დიახაც წამიკითხავსთქო.—პუშკინს იცნობო?—დიახაც-მეთქი. —გოგოლსო?—კი ბატონო. —რა წაგიკითხავს მათი ნაწერიო?—ყველაფერი, რაც-კი უწერიათქო.—„*Кавказский пленникъ*“ წაგიკითხავს, გახსოვს?—ზეპირათაც მახსოვესთქო. —აბა წადით და დამიწერეთ თქვენი შეხედულობა. ამ თხზულებაზე: თქვენი ქვეყანაა შიგ აწერილი, კავკასია, და გასინჯეთ, რამოდნათ სწორეთ არის გამოხატული შიგ თქვენი ქვეყნის ბუნება, ჩვეულებები, ხალხი ან ცხოვრება.

დავჯეჭი თუ არა საწერათ, პროფესორიც გვერდით მომიჯდა და პირდაპირ მითხრა: მინდა ჩემი თვალით დავრწმუნდე, მართლა თქვენ დაწერთ, თუ სხვა ვინმე დიგიწერსო. (ეს ხშირათ ხდებოდა ხოლმე იმ დროს. იმავე დღეს მე თვითონ დაუწერე თხზულება თუ ჩვენებურ ყმაწვილს). ვწერდი მარდად და პროფესორი იმავ წამს კითხულობდა ყოველ სიტყვას, რა წამსაც დავწერდი.

მოიწონა ჩემი ჩქარი წერა, მოიწონა აზრის სიახლეც და ენის სისწორეც.

— ამას თქვენ წიგნებში ვერ ამოიკითხავდითო, მითხრა,

ვინ გითხრათ ეს აზრებიო, ვინ გასწავლიდა ქუთაისს რუსულ ლიტერატურასო?

— არავინ, ბატონო, თვითონ ვკითხულობდი და ეს ფიქ-რები მომივიდა კითხვის დროსთქო.

— სხვა საგნებიც ასე კარგათ გაქვს დამზადებულიო, მკითხა.

— არა, ლათინურში ვარ მეტის მეტათ სუსტი, თითქმის არაფერი ვიცი, ზეპირათ ვისწავლე რამდენიმე თავი „იუგურ-ტას ომისა“ — მეტი არაფერი ვიცი სრულებრივ.

წამიყვანა მაშინვე იმ სტოლისკენ, საცა ლათინურის ენიდამ აქერინებდენ ეგზამენს, და რაღაც ჩაუჩურჩულა პროჭ ფესორს. მაშინვე მომიბრუნდა ეს უკანასკნელი და მითხრა — მობრძანდით, რა იცით, მითხარითო.

გამოუტყდი და უთხარი — არაფერი ვიცი, „იუგურტას ომის“ ათიოდე თავის მეტითქო.

გაშალა სალიუსტი, მიათითა „Bellum scripturus“-ს და მთხოვა წაიკითხეო.

გადავიბულბულე უცებ: ზეპირათ ვიცოდი ის თავი.

— ჩინებულათ გცოდნია ეს თავიო, დაცინვით მითხრა, სხვა რა იცით კიდევვი?

— ცხრა პარაგრაფი კიდევ მაქვს ნასწავლი, მეტი-კი ვერ მოვასწარითქო.

— გეყოფა ესეცაო. სამი დაგისვა თუ თთხიო?

— რაც თქვენი ნება იქნეს, ის დამისვით.

— მაშ თხს დაგისვამთ, რადგანაც რუსული ლიტერატურა კარგად გცოდნიათ...

თავი დაუკარ და მოვშორდი. დამრჩა საღმთო-წერილი, რომელიც ჩინებულათ ვიცოდი, და ფიზიკა, რომელიც გულით მიყვარდა. ორივე ამ საგანში კარგი ნიშანი მივიღე. უკანასკნელ ენაში-კი, ფრანცუზულ ენაში, — წავფორხილდი გვარიანათ: იმ წყეულმა მარგომ გადამიშალა თავისი დაწერილი წიგნის ბოლონდელი თავები, და მითხრა გაღმომითარგმ-

ნეა. შეც არ ვიცი, რას გაღუთარგმნიდი, როცა წიგნის პირა
ველი ფურცლებიც ძლივს მქონდა შესწავლული. დამისვა-
ორი.—ფეხებზე მეკიდა მისი ნიშანი. ნოლიც რომ დაეწერა,
უნივერსიტეტში მაინც მიმიღებდენ.

ერთი სიტყვით, ისეთი ადვილი იყო იმ წელიწადს ეგზა-
მენები, რომ ვინც-კი იყო მისული იმ დღეს ჩვენი ყმაწვილე-
ბი, ყველა ჩინებულათ გამოვიდა განსაცდელიდამ: ყველანი
სტუდენტათ მიიღეს. ცეკვა-ბუქნით დავბრუნდით შინ, გახა-
რებულები, ფრთა-შესხმულები... თავდარამ ვერც-კი მოითმი-
ნა: იმ წამსვე ახალი ქუდი იყიდა გზაზე, ლურჯი მაუდით
შემოყოლებული, სტუდენტური ფორმის ქუდი... ღმერთო
შეგცოდე, მეც რომ იმ დღეს ჯიპეში ფული მქონდა, იქ-
ნება მეც გავბრიყვებულიყავ და თავძარას მაგალითისთვის წა-
მებაძნა...

მივედით შინ თუ არა, იმ წამსვე დავწვი სალიუსტი და
ყველა ის წიგნები, რომელიც საეგზამენიოთ დასამზადებლათ
გვქონდა: ისე შემძულდა მათი თვალით დანახვა... სამი დღე
და სამი ღამე სულ არ მივკარებივარ ჩემ სტოლს. გათენები-
დამ შუალამებდი სულ ნავში ვიჯეჭ. ისე გადვირიე სიხარუ-
ლით, ისე გავცელებდი, ისე გავგიუდი, რომ იმავ დღეს, ყვე-
ლანი რომ ერთათ სანაოთ წავედით, შევხტი ფეხებით ნავის
ნაპირებზე, გატავალაჯე ნავს და შუაგულ ნევაში ნავის რწე-
ვა დავიწყე იმოდნათ, რომ ნავის ნაპირი წყალს ხვრეპდა
ხოლმე... ფილიპემ და თავძარამ კივილი გააბეს, ქერაძემ ისე-
თი შემომიტია, რომ კინალამ ხმით გადამაგდო წყალში... ძა-
ლათ დამაჯინეს, ძალათ მიიყვანეს ნავი ნაპირზე და მიმატო-
ვეს მარტო. მაინც ისე ვხტოდი და ვცმუტავდი, როგორც
გინახავთ ახუნტრუშებული ხბო ახალ გაზაფხულზე... გაი-
გეთ, სტუდენტი ჭავებდი, ნამდვილი სტუდენტი, პძრველი
კურსის სტუდენტი! ეგზამენი აღარ მქონდა დასაჭირო. რაც
მინდოდა, შისი კითხვა შემეძლო... როგორ არ გამხარებოდა
როგორ არ მეთამაშნა! ქვა ხომ არ ჭიყავ?!

ჩემი თავ-გადასავალი.

(ავტობიოგრაფია)

გიმნაზიაში რომ შემიყვანეს, — გავცეცდი: იმდენი ბავშვი, ერთად თჯუ-მოყრილი, ჩემ დღეში არ მენახა. მოზღიულები სკამებზე იჯდენ სულ-განაბული და ახალ-მოსწავლე პატარები-კი ჯგუფ-ჯგუფათ კედლებთან იყვენ ატუზული. აქ კედლებზე ირგვლივ ქალალდის ფიცრები იყო ჩამოკიდებული, ზედ ანბანი და ამოსალები ეწერა და იმას აკითხებდენ ყმაწვილებს. ჯგუფს ერთი უფროსი ჰყავდა და ის ასწავლიდა: ხელში ეჭირა წკეპლა და, შეეშლებოდა თუ არა ბავშს კითხვა, უცხუნებდა და უცხუნებდა. ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდენ და, როცა სულ შემოუვლიდენ კედლებს, მერე-კი ნება ჰქონდათ სხვებთან დამჯდარიყვენ ისინიც სკამზე. ამ ცოტაში იყვენ, სანთქ კითხვას ისწავლიდენ. უნდებოდენ ჩოგჯერ წელიწადზე მეტს. წარმოიდგინეთ 7—8 წლის ბავშვი დილის შვიდი საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდი მშერ-მწყურვალი და მაშინ იგრძნობთ, თუ რა ტანჯვაში იყვენ ის საწყლები. ზოგს გულს ეყრებოდა, ზოგს თავ-ბრუ ეხვევოდა და ეცემოდენ ძირს, მაგრამ ყურადღებასაც არავინ აქ-ცევდა.

შესვლისათანავე პირველ კედელთან დამაყენეს „ანბან“-ზე, მაგრამ რადგანაც მე ხუცური ვიცოდი, მხედრული წერა-კითხვაც შესწავლული მქონდა და რუსულ ამოსალებშიაც გატეხილი მქონდა თვალი დედიჩემის წყალობით, ერთ დღეს შემოვირბინე ყველა კედლები. მასწავლებელმა თავზე ხელი გადამისვა, მომიწონა და უფროსებთან დამსვა სკამზე. კითხვით კარგათ ვკითხულობდი, მაგრამ ჩემი უბედურობაში იყო, რომ რუსული არ მესმოდა. იმ დროს შემოღებული იყო საზოგადოთ თუნუქის ფირფიტა, რომელსაც „მარკას“ ეძახდენ. ვინც ქართულათ ხმას ამოიღებდა, მიაჩეჩდა.

დენ ხელში და თანაც გძელ ფიცარს — სახაზავს — დაპკრავდენ ხელის გულზე. მერე ის უნდა ცდილოყო, რომ სხვისთვის გადაეცა როგორმე იმ რიგადვე, ე. ი. ჩაბარების დროს „ლინეიკა“ დაერტყმია ხელის გულზე. ამ გვარად ეს საცოდაობის ფირფიტა გადადიოდა ხელიდან ხელში. სწავლის გათავების დროს ვინც ვერ მოასწრებდა იმ ფირფიტის თავიდან მოშორებას და შერჩებოდა ხელში, უნდა კლასში დარჩენილიყო მთელი დღით უსადილოთ. ვინც რუსული არ იცოდა ახალ-შემოსულობის დროს, ხმის ამოლებას ვერ ბედავდენ და მუნჯდებოდენ. ამ ჩვეულებას დიდი გამრყვნელი ხასიათი ჰქონდა: ყმაწვილები ცდილობდენ, რომ ერთმანეთი მოეტყუებიათ, გაებრიყვებიათ როგორმე და ცბიერობა-ფარისევლობას ეჩვეოდენ. სულ ერთი კვირის შესული არ ვიყავი, რომ მოვიდა ჩემთან ერთი პატარა ყმაწვილი, ანგელოზის სახის მქონი, და ტკბილი ლიმილით მეგობრულათ მკითხა რაღაც ქართულათ; შეც, რასაკვირველია, რადგანაც სხვა ენა არ ვიცოდი, ქართულათ ვუპასუხე. ყმაწვილს მშვიდობიანი სახე გადაუსხვავერდა და სიხარულით მომაჩეჩა ფირფიტა. ჩამოვართვი, მეტი რალა გზა მქონდა, მაგრამ „ლინეიკაზე“ ვერ დავეთანხმე. რა გენალვლება შენ, მე რომ „ლინეიკა“ არ დავირტყა, მარტო ვართ და ვინ გაიგებს-მეთქი — ვეხვეწებოდი. ჩემმა მოწინააღმდეგემ შორს დაიჭირა: მე თუ დამარტყეს, შენ რა ჭრელი პეპელა ხარო?! მე მაინც არ დავეთანხმე, გავუძალდი და იმან ჭუჭყუნი დაიწყო. მასწავლებელი რომ შემოვიდა, მივიდა და დამაბეზღა, დამიძახეს. გავედი შიშითა და კანკალით. მასწავლებელმა წარბები შეიკრა და მკითხა: როგორ ბედავ ურჩობას? აქ შენი სახლი ხომ არ გვინია! მე თავის გამართლება დავიწყე, მაგრამ აღარ გამივიდა! — კარგი, მე გასწავლი ჭკუასო! დაუძახა „სტოროვებს“ და უბრძანა: „როზგიო!“ მე, ასე გამგონეს, თავში სისხლი ამივარდა და გაქცევა დავაპირე. — ნუ გაუშვებთ, დაიჭირეთო! — ბძანა მასწავლებელმა, იგრიალეს მოსწავლეებმა ჩემ დასაჭერათ და

გადამელობენ კარებზე... მე მეორე ოთახში შევვარდი, სა-
დაც მესამე კლასი იყო. აქაც ერთი ალიაქოთი მოვახდინე, მაგრამ შევხტი ფანჯარაზე, გავამტრიყ მინები, გადავხტი და
მოვკურცხლე შინისკენ, გამომიღენ „სტაროუები“... წინ
მე გავრბოდი კურდლელივით და უკან ისინი მომდევდენ კი-
უინით. გულ-გახეთქილი შევიჭერი შინ. დედ-მამამ რომ გაი-
გეს, რაც მოხდა, შეწუხდენ და ბევრიც მირჩიეს: წადი, რა
ვუყოთ, გაგროზგონ, ეგ მარტო შენს თავზე ხომ არ არის —
ყველას როზგვენო. მოითმინე, მოიჭირვე, მიეჩვივ და ბო-
ლოს კაცი გამოხვალო; მაგათში უმისოთ არ შეიძლებაო!..
მაგრამ მე შორს დავიჭირე და გამოტეხილი ვუთხარი დე-
დას: — თუ კიდევ გაგიგზავნივარ იმ დასაქცევ გიმნაზიაში,
თავს დავიხრჩობ-მეთქი!.. შეშინდენ და ჩამომეთხოვენ, ერთ
კვირას აღარ წავსულვარ კლასში. იმ დროს დირექტორათ
კოცებუ იყო ახალი დანიშნული. ქართული მაზრის უფრო-
სობის დროს შეესწავლა, კარგათ იცოდა და ქართველებიც
ძალიან უყვარდა. მოვიდა ჩვენსა და გამომკითხა ყველაფე-
რი. მეც დაუფარავათ მოვახსენე, რაც გადამხდა და რასაც
ვგრძნობდი. გაუკვირდა, გადააქნია თავი, მომეფერა და მითხ-
რა: — შენ ჩემი სახელი ახსენე და ნულარავისი. გეშინიაო;
ხვალ ჩემთან მოდი პირდაპირ კანცელარიაში და წაგიყვან
კლასშიო. მეორე დღეს მართლა წამიყვანა და მიმიყვანა ჩვენს
კლასში. გამოიკვლია ყოლიფერი და, „მარკის“, ამბავი რომ
გაიგო, გაოცდა, მოიხმო ინსპექტორი, ზედამხედველები,
მასწავლებლები და გამოუცხადა ყველას, რომ დღეიდან ეგ
საქციელი აღარ ჩაიდინოთო!.. მოსპერ „მარკა“ და უმიზე-
ზოთ ცემა-ტყეპაზედ ხელი აიღეთო! მერე მიუბრუნდა ჩემ
მასწავლებელს და უთხრა: — განსაკუთრებითი ყურადღება მი-
აქციე ამ ყმაწვილსო. მართლაც იმ დღიდან ცოდვის ფირ-
ფიტა გადააგდეს, მაგრამ ცემა-ტყეპაზე-კი ისე უცბათ ვერ
აიღეს ხელი, უიმისობა მაინც არ ეხერხებოდათ. ტყუილა-კი
არ არის ნათქვამი: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“. იმ

დროს მთელი რუსეთი დარწმუნებული იყო, რომ ჭეუა და
სიკარგე როჩების ნაყოფიაო. გიმნაზიებშიაც, რასაკვირველია,
პირველი ადგილი ეჭირა... დღე არ იქნებოდა, რომ ყმაწვე-
ლების წივილ-კივილით იქაურობა არ ყოფილიყო გაყრუე-
ბული. „როტაში“ არ მოუნდებოდათ იმდენი წკებლა, რაც
თვითოეულ კლასში. „სტოროუებს“ ურმებით მოჰქონდათ
ყოველ დღე ახალ-ახალი. მოსწავლეს გალახვა ყველას შეეძ-
ლო დირექტორიდან დაწყებული, „სტოროუებამდე“. მიზეზს
არაფინ კითხულობდა. ვინ იცის, რამდენი დასწულებულა,
რამდენი დამახინჯებულა და რამდენს კიდევ ხასიათი გაფუ-
ჭებია საუკუნოთ... ხშირათ მოხდებოდა ხოლმე, რომ ერთი
და იგივე ბავშვი ერთი დღის განმავლობაში სამჯერ-ოთხჯერ
„გაროზგვილიყოს“ სხვა-და-სხვა უფროსებისაგან. მახსოვს და
არც დამავიწყდება ჩემ დღეში: ერთი რუსის ბავშვი იყო—
კრიუანოვსკი, —ძლიერ მოუსვენარი რამ, მაგრამ სხვებ კარ-
გი იყო. ერთხელ ნახევარი საათით დააგვიანდა კლასში მოსვ-
ლა და ინსპექტორმა „გაროზგვინა“, იმ დღესვე გაკვეთილი
არ იცოდა და მასწავლებელმა „გაროზგვინა“; კლასი რომ
გამოვიდა, ზედამხედველმა „გაროზგა“: სახლში გიცელქნია
და მეზობლის ბავშვისათვის ქვა გისროლია—გიჩივლეს! ამი-
თაც ვეღარ გადარჩა. ყველამ ერთად დააბეჭდეს ინსპექტორს
და იმანაც მოუნდომა „გაროზგვა“. ეს ინსპექტორი შეუბრა-
ლებელი რამ იყო და მისი ისე ეშინოდათ, როგორც სულ-
თა-მხუთავისა. კრიუანოვსკიმ, ტანჯვა რომ ვეღარ აიტანა,
იშვირა ხელი და ფეხი და გადავარდა რიონში. რომ შემთხვე-
ვით იქვე არ დასწრებოდა ერთი მეგრელი მოსწავლე, ძალიან
კარვი მცურავი, დაიღუპებოდა. ისე ცემა-ტყეპას ხომ ანგა-
რიში არა ჰქონდა. ვაი მისი ბრალი, ვისაც კარგი ხუჭუჭი თმა
ჰქონდა!.. ერთ ყმაწვილს, გვარად ჭაჭიაშვილს, დიდი ყურე-
ბი ჰქონდა. დიდი და პატარა ყველა ყურებში ავლებდა ხელს.
ერთხელ გამხეცებულმა ზედამხედველმა შუამდი აახლია ყუ-
რი. გაუსივდა და მხოლოდ რამდენისამე დღის განმავლობაში

ისევ დაუწყო შეხორცება. მაგრამ ვინ აცალა შეხორცება!.. სტაცებდენ ხელს და ხელ-ახლს აგლეჯდენ... ასე რომ გავი-და სასწავლებლიდან. ერთ მოსწავლეს — კლდიაშვილს — პირით დაჰკრა შუბლზე „ლინეიკა“ და თაჭ-თხლე გადააღინა, ძალიც კი გაუტეხა. გულ-შემოყრილი ბავში შინ წაიღეს. ამ გარემოებისათვის ყურადღებაც არავის მიუქცევია. ამისთანე-ბი რამ უთვალავი იყო. ღვთის მადლით, მე ამცილდა ტანჯ-ვა და ერთხელ მეტათ არ გავლახულვარ, მაგრამ ეს ერთიც საკმაო იყო, მთელი ჩემი სიცოცხლე მოეტანჯა. დირექტორ-მა რომ მიმიუვანა, იმ დღიდან ჩემი მასწავლებელი სულ გულ-ალრენილი იყო ჩემზე და, თუ კი შემთხვევა ექნებოდა, რა-საკვირველია, არ დამზოგავდა. ერთხელ რომელდაც მოსწავ-ლემ ხაჭაპურები მოიტანა კლასში და ლატარიაში ჩააგდო თითო კაპეიკათ, ყველამ მოაწერა ხელი. წამძლია სულმა და მეც მოვაწერე. შემოგვესწრო მასწავლებელი და იწყინა, რო-გორ გაგიბედნიათ ხელის მოწერაო! აიღო დიდი, უშველე-ებლი „ლინეიკა“ ხელში: თვითო-თვითოთ გაპყავდა ხელის მომწერლები, ჰკითხავდა: რომელი ხერით მოაწერეო? და პა-სუხს რომ მიიღებდა, დაჰკრავდა ხოლმე, რაც ძალი და ლო-ნე ჰქონდა!.. „კიდევ მოაწერო?“ — ეკითხებოდა დაცინვით. მე ყველაზე ბოლოში ვეწერე, რადგანაც ჩემი გვარი წილ-ზეა, და „უურნალში“ ანიდან იწყება გვარების წერა. იმ დროს საბა-ორბელიანის იგავ-არაკები წაკითხული მქონდა და მო-მაგონდა ოფოფის ხრიკი, თავის გადარჩენა რომ უნდოდა და მელა გააბრიყვა. იმ განუოფილებაში წერის გაკვეთილი იყო. მე ვითიქრე, რომ თუ მარჯვენა ხელი მეტკინა, წერა გამი-ფუჭდება და მოდი მარცხენას გავიმეტებ-მეთქი. მეც, რა-საკვირველია, მითხრა: აბა დამნაშავე ხელი გამოაშვირეო! მე მარცხენა გავუშვირე. ჯერ დამკრა და მერე ეჭვი შეიტანა, რასაკვირველია, განგებ, მარცხენა ხელით როგორ მოაწერ-დიო? რომ გამოვუტყდი, მარჯვენა ხელზედაც დამკრა და გამიშვა. ტკენა ხომ ტკენა იყო, მაგრამ მე ის უფრო მტან-

ჯავდა, რომ ჭკუა წივაგე და ორი „ლინეიკა“ დამკრეს, მა-
შინ როცა სხვები-კი თვითოთი გადარჩენ!.. ვტიროდი, ხე-
ლი მიკანკალებდა და, რასაკვირველია, კარგათ ველარ და-
ვწერდი!.. ნაწერები რომ გაარჩია მასწავლებელმა, დამიწუნა
და კიდევ დამკრა „ლინეიკა“ — უკეთ დაწერეო! კლასის გა-
თავებამდი ოთხჯერ კიდევ დამკრა!.. ის დღე იყო და მას
აქეთ ველარ გამოვბრუნდი. არ იქნა, ველარ გადავიგდე გულ-
ზე ეს შემთხვევა. წერაში ხელი გამიფუჭდა და დღესაც კი-
დევ გაურკვევლათო ვწერ. ვინც ჩემ ნაწერებს დახედავს, გა-
უკვირდება, რომ ზოგან კარგი ხელია და ადგილ-ადგილ-კი
ნაჯღაბნი და გაუგებარი. ეს მაშინ მემართება, როცა ინსტიქ-
ტურათ მაგონდება ხოლმე მაშინდელი ჩემი დატანჯვა. ეს
შემთხვევა რა გასახსენებელი იყო, მაგრამ მიტომ ვამბობ,
რომ მშობლებმა და მასწავლებლებმა იგულისხმონ, თუ რა
ძნელია სათუთ ბავშვებთან სასტიკათ მოპყრობა და რა შე-
დეგი მოჰყვება ხოლმე.

ჩემი გალახვის ამბავი გაეგო დირექტორს და შენიშვნა
მიეცა მასწავლებლისათვის. ის იყო და ის, ამ დღიდან ამო-
მიჩემა მასწავლებელმა და ყურადღებასაც აღარ მაქცევდა,
თითქო ერთი ჯირკი გდებულიყო იქ. არც მასწავლიდა და
არც რამეს მკითხავდა. მე მაინც ზოგს ამხანაგების შემწეო-
ბით, ზოგსაც ჩემით ვსწავლობდი, რაც ძალიდა ღონე მქონ-
და. იმდენი ნიჭი არა მქონდა, რამდენიც სურვილი და ბე-
ჯითობა. ვცდილობდი, დღე და ღამე გასწორებული მქონდა
და სხვებს არა თუ არ ჩამოუვარდებოდი, მეტიც ვიცოდი
მათზე. ეგზამენები მოახლოვდა, ხმა გავარდა, რომ „პოპერი-
ტელის“ თანაშემწე, მაქსიმოვიჩი, მოდის, იმან უნდა გამო-
გვცადოს მოსწავლეებიო. იმის სიფიცხეზე და გულ-ქვაობა-
ზე ბევრ საარაკო რამეს ლაპარაკობდენ. ყველა შიშის ქარ-
მა აიტანა: მასწავლებლებიცა და მოსწავლეებიც.

მაქსიმოვიჩი ჩამოვიდა თუ არა, მაშინვე ბრძანება გა-
მოსცა, რომ რადგანაც ყველას ვერ მოვასწრებ, თვითოვეუ-

ლი კლასიდან სამ-სამი მოწაფე გამომგვარეთ: პირველი, შუა-
თანა და უკანასკნელი; იმათ გამოვცდი და მით მთელი გიმ-
ნაზიის გარემოებაც გათვალისწინებული და აწონილი მექ-
ნებაა. ეგზამენებმა კარგათ ვერ ჩაირა. წინდაწინვე დამ-
ფრთხალ ყმაწვილებს გონება ეკარგებოდათ. ჯერ იმ სამ მო-
წაფეთაგანს ჰკითხავდა რამე საპასუხოს და, თუ ვერ უპასუ-
ხებდენ, მერე მთელ კლასს მიუბრუნდებოდა, თუ აქაც აღა-
რავინ აღმოჩნდებოდა — მასწავლებელს უნდა აეხსნა, ხშირათ
მასწავლებლებიც წაიბორძიკებდენ ხოლმე და მაშინ თვითონ
ეგზემენატორი ახსნიდა და გაამეორებინებდა ხოლმე ყმაწვი-
ლებსაც. ეს ახელი მეთოდა იყო მისგან შემოღებული: იმ
დროს გიმნაზიაში სწავლობდა ერთი შესანიშნავი და სახელ-
განთქმული ახალგაზდა — ბესარიონ. ლოლობერიძე. მასწავლებ-
ლებსაც დიდი ხათრი ჰქონდათ მისი და პედაგოგებსაც მისი
იმედი. ჰქონდათ: „თუ დაგვიხსნის, ის დაგვიხსნის და გვასა-
ხელებსო“. მათი მოლოდინი გამართლდა, მაგრამ სულ ისე
მაინც არა, როგორც ეგონათ. ამბობდენ: „მარჯვეთ იყო ბე-
სარიონი, მაგრამ ბევრი ოფლიკი აწურვიესო“. ასე თუ ისე,
თუ იმას არა, მაქსიმოვიჩი გულს ვეღარ მოიბრუნებდა ქუ-
თაისის გიმნაზიასა და მის მასწავლებლებზე. შუა კლასებშიაც
ზოგიერთებმა გვარიანათ მიუგეს. ბოლოს ჯერი მიღვა უმც-
როს კლასებზე. ჩვენი კლასიდანაც, განკითხვის დღე რომ
დადგა (ასე ვეძახოდით საზოგადოთ მაქსიმოვიჩის ეგზამენებს),
სამი მოწაფე აიყვანეს და ჩაბყენეს თორნეში. მესამე მოწა-
ფეთ, ესე იგი უკანასკნელ მაჩანჩალათ, მე გამაყოლეს. ჩემი
ამხანაგები ცახცახებდენ და მე-კი უფრო სეირის საყურებ-
ლად გავედი, რაღაცაც ვიცოდი, რომ, როგორც უკანასკ-
ნელს, ბევრს არას მკითხავდენ და ყურადღებას არ მომაქ-
ცივდენ. ერთ ხანს მარჯვეთ იყვენ მოწაფეები. საზეპირო რო-
ცა ჰკითხეს, იმათაც ჩაბულბულეს, მაგრამ ბოლოს, როცა
აზრით გავებაზე მიღვა საქმე, მაშინ-კი აიბნენ. საკვირველი
იყო: იმ „პოპეეჩიტლის“ თანაშემწის საკითხავებმა; სასახლე-

ში რომ ბავშვებმა თამაშობაები ვიცოდით: „ბერი ჩამოხტა“, „აჩატი“, „ანზე ვისი ყმა ზარ“ და სხვანი,—სწორეთ არ მომაგონა! გამიკვირდა: ეს რა გიმნაზიის საკადრისია-მეთქი—ვამბობდი გუნებაში, მაგრამ მომაგონდა ჩვენი სახლი, დედა და ისე წავხალისდი, რომ ასე შეგონა, შინა ვარ-მეთქი და ორჯელ-სამჯერ ჩემ ამხანაგებს რომ შეეშალა, მე უკმაყოფილოთ თავი გავაჭნიე. მაქსიმოვიჩმა თვალი შემატანა და მომაყვირა:—„რას აქნევ თავს ქეციან ცხენივითო!“ შევშინდი და ენა ჩამივარდა. მასწავლებელი მომეშველა და მოახსენა:— ალბათ ბუზი აწუხებს და ხელს ვერ ხმარობს... რა დროს ბუზებია! მიუბრუნდა უკმაყოფილოთ მასწავლებელს და ან საჭიროების დროს ხელს ნუ გაანძრევო, ვინ ეუბნება? უშლიან მხოლოთ წარა-მარა ხელების აქეთ-იქით ქნევას, არა, აქ სხვა მიზეზია! მიმიხმო სტოლთან.

— მე შეგნიშნე, რომ, როცა იმათ ეშლებოდათ, მაშინ აქნევდი თავს. მართალია თუ არა? ნუ გეშინია, მითხარი!

— დიახ, უნებურათ!..

— მაგალითად, რა შეეშალათ?

— აქლემი გაფრინდებაო—რომ მოგახსენეს, ეტყობათ, არ უნახავთ აქლემი!

— შენ? შენ სად გინახავს?

— შარშან თათრებმა ჩაატარეს მაედანში; ძლიერ მიიფხორებოდენ.

— მერე რა იცი, რომ ვერ გაფრინდება?

— ფრთხები არ აქვს.

— რასაც ფრთხები არ აქვს, ვერ გაფრინდება? მაგალითად, კაცი ვერ გაფრინდება?

— ვერა.

— არ გაგიგონია ძველათ, რომ ვინმე გაფრენილიყოს?

— ძველათ—ენოქ და ილია, მაგრამ ისინი ურმით გაფრიდნენ ღვთის ძალით. ეგზემენატორმა თვალები დააჭყიტა და მკითხა:

- ვინ გითხრა შენ ეგ?
- დედამ.
- კუდიანები რომ ფრენენ, იმათ ხომ ფრთები არ აქვთ?
- კუდიანები არ ფრენენ.
- მაშ როგორ შეუძლიათ, რომ არ ფრენდენ? ასე ჩქარა ყველგან როგორ მოიჯლ-მიივლიან?
- მგელზე ჯიან და ისე დადიან. აქ გადიხარხარა და თავზე დამისვა ხელი. ამ გვარ რამებს მკითხავდა და თანდათან გახალისდა. მეც რომ შევატყვენ, აღარ წყრება-მეთქი, გავთამამდი. ბოლოს დამიწყო გამოცდა. საზეპიროები მკიჯხა, — კარგათ მივუგე.
- აზრიც გესმის? მკითხა.
- რასაკვირველია, მესმის!
- შეგიძლია ქართულათ გადაგვითარგმნა ეგ ლოცვები?
- რაღათ გადაგითარგმნით, ქართულათ რომ უფრო ადრე ვიცოდი?..
- სად ისწავლე?
- სახლში.
- ეგებ რუსულადაც იქ ისწავლე?
- არა, აქ. მიუბრუნდა მასწავლებელს და ჰკითხა:
- თქვენ ხომ არ შეგშლიათ, რომ ეს ბავშვი უკანასკნელ მოწაფეთ წარმოადგინეთ?
- არა, თქვენო აღმატებულებავ! ერთი რომ პატარაა, მერე კიდევ არც დიდი ხნის შემოსულია და ჯერ-ჯერობით ყურადღებას აღარ ვაქცევდი, არასა ვკითხავდი, გაკვეთილებსაც არ ვაძლევდი: ჯერ მიეჩიოს-თქო — უპასუხა მასწავლებელმა ცოტა ფერ-მიხდილათ.
- მაშ თუ არა გკითხავდენ, შენ როგორდა სწავლობდი? მკითხა მან.
- სხვებს თუ აკითხებდენ და უხსნიდენ, მეც იქან ვის ყავი? ყურს ვუგდებდი. ეს რომ გაიგონათ ხელავთოუ? დაეკითხა ჩემ ამხანაგებს. რომ მოგენდომებიათ, თქვენც ასე ისწავ-

ლიდითო. მასწავლებელი რო კარგათ გიხსნით, ეს ცხადათ ჩანს. ხელი ჩამოართვა მასწავლებელს და მაღლობა უთხრა. მე შუბლზე მაკოცა, წამოდგა ზეზე და დაიშალა კლასიც. მივთრინდი, თუ ფეხით მივედი სახლში, აღარ მახსოვს. სიხა-რულმა ისე ამიტაცა, რომ მთვრალივით ვეღარ გამოვერკვიყ. შინ რომ მივედი, სტუმრები იყვენ სახლში და მამა ჩემმა მომახარა: რა ქენი ჩემო კაჭუაო? მეც ყველაფერი მოვახსე-ნე, რაც გადამხდა. „მე კი არ ვიცოდი?! წამოიძახა მამამ — კვიცი ყოველთვის გვარზე მიღისო. პეტრე არხიმანდრიტს რომ ვებარე მონასტერში ბავშვობისას, ყველას ვჯობდიო, რასაც სხვები ათ-ათ წელიწადს უნდებოდენ, მე თრა-სამ წე-ლიწადს გავიარე, გავათავე; ღრამატიკა, ართმეტიკა, ისტო-რია, ლეოლრაფია და სხვანიო. ბატებმა არ დამაცალეს, ყიყი-ნით მაწუხებდენ, თვარა, რომ მოშეცადა, არისტოტელის კა-თელორისასა და ლოტიკას სულ ბდლვირს გავადენდიო. შენც, შვილო, ოჯახის შვილი რომ ხარ, სხვებზე უფრო მეტი უნ-და ისწავლო და ვიგინდარები არ გაიტოლოვო!“ სტუმრებ-მაც ამ გვარივე დარიგება მომცეს. დედა-კი თავისთვის იჯდა თავ-ჩალუნული, თითქო ამისათვის სულ ერთიაო და არც-კი შეუმჩნევივარ. სალამოს, დასაძინებლათ რომ ჩავწექ ლოგინ-ში, მოვიდა დედა და შუბლზე დამადვა ხელი. ჩამოჯდა ლო-გინზე. მე ვიფიქრე, ვაი თუ ავად ვარ და მატყობს რამეს, თვარა ასე სხვიმის როდის მოსულა-მეთქი. წინათაც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ საკვირველი ზნე სჭირდა დედას: თუ არ გამოთხოვების დროს, როცა სადმე დიდი ხნით მივ-დიოდი და ან ხანგრძლივ უნახაობის შემდეგ, ისე არ გვაკო-ცებდა ბავშვებს, და მაშინაც ისე, თითქო გული ნებას არ აძლევსო. ეს მეც მიკვირდა და ვერ ამეხსნა. ეს ხასიათი მთელ მის სიცოცხლეში შერჩა. შვილი-შვილებსაც ასე ეპყრო-ბოდა. ერთხელ, დაცოლ შვილიანებული ვიყავი, შევესწარი, რომ ჩემ პატარა შვილს, მძინარეს, მიღვომოდა და სიფრთხი-ლით, არ გამოვალვიძოვო, ჰკოცნიდა და ეალერსებოდა. მა-

შინ მივხვდი, რომ ალბათ ჩეენც ასე გვეალერსებოდა-მეთქი. ცხადათ ვინ უშლიდაო—იფიქრებს კაცი და ის თურმე იმ აზრის იყო, როგორც ერთხელ გამოაცხადა ლაპარაკში, რომ ხშირი მოფერება აფუჭებს ყმაწვილს და წარა-მარა კოცნა-საც ფასი აღარ აქვს მის თვალშიო. არ ვიცი, საზოგადოთ ეს მართალია თუ არა, მაგრამ ჩემ თავზე როგორც გამოვ-ცადე, მისი კოცნა რაღაც სასუფევლურ ნეტარებათ მიმაჩნ-და...

აკაცი.

გიორგი V ბრძანებალე.

(დახასიათება)

გიორგი მეხუთე სახელოვანის მამის შვილი იყო. იმისი მამა დიმიტრი II, თავ-დადებული, ცნობილია ჩეენს ისტო-რიაში, როგორც ერთი საუკეთესო მეფეთაგანი. მაგრამ ბევრ დიდ ღირსებასთან დიმიტრი თავ-დადებულს ერთი წუნიც ედო, ერთი ნაკლიცა ჰქონდა: ყმაწვილობისას მშვენიერი სქესი გადაჭარბებით უყვარდა... დიმიტრი თავ-დადებულმა ერთსა და იმავე დროს სამი ცოლი დაისვა. არ ვი-ცით, სახელად რა ერქვა პირველს, კანონიერს ცოლს, თუმცა კი სჩანს, რომ იგი საბერძნეთის მეფის ასული იყო. მხოლოდ ამ კანონიერს ცოლს ეწოდებოდა დედოფალი. დი-დის კომნენის ასულმა მეფე უხვად დაასაჩუქრა, — დედოფალს ოთხი ვაჟი მიეცა: დაჟით, ვახტანგ, ლაშა და მანოელ. ამ ოთხს ძმას ერთი დაც ჰყვანდათ — რუსუდანი. რასაკვირველია, ამდენი შვილი სრულიად საკმარი იყო, როგორც გვირგვინოსა-ნი მამისათვის, ისე სამეფო ტახტისათვისაც, მაგრამ მეფემ არ იქმარა და მეორე ცოლად ვიღაც თათრის ქალი მოიყვანა, სახელად სორლალა. ცნობა არ დარჩენილა — ვინ იყო ეს სორლალა, მხოლოდ ის-კი სჩანს, რომ იმას თრი ვაჟი შვილი ეყოლა: ბაადურ და იადგარ და ერთი ქალი — ჯიგდახათუნ,

არც ბაადურსა და არც იადგარს ტახტზე ასვლა არა ჰქონდებია; იმათი მოქმედებაც თითქო დაჩრდილულია, თვით იგინი თითქოს ფარულად საცხოვრებელი და მხოლოდ აქა-იქ თუ შექვედებით ამ ორს ძმასა და ისიც მეტად იშვიათად... სულ სხვა ბედისა და იღბლისა იყო მესამე ცოლი, სახელ-განთქმულის სამცხის სპასალარის ბეჭას ასული, ნათელა. ქართველთა დედათა შორის ნათელას მართლაც და ციური ნათელი დაედგა — ამ ნათელამ უშობა დიმიტრი თავდადებულს გიორგი... „რომელი მარტო ეშვა დედასა, ვითარცა მარტო რქა“...

როცა დიმიტრი თავ-დადებული იძულებული შეიქმნა არღუნ ყაენს ჰელებოდა ურდოში, მეფეს თითქო გულმა უგრძნო — ცოცხალი აღარ დავბრუნდებიო და ამიტომ საჭირო განკარგულება მოახდინა ოჯახში, თითოეულს ცოლ-შვილს საზრდო და საყოფელი დაუნიშნა. ზოგნი კახეთს გაჰზავნა საცხოვრებლად და ზოგნი კიდევ მთიულებს შეაფარა. ხოლო ყრმა გიორგი ტაოს წარავლინა, იშხნის ციხეში. ვინ იცის, იქნება ქვეყნისათვის თავდადებული მამა წინადვე ატყობდა, რა მომავალიც მოელოდა იმის ნორჩს შვილს და ამიტომაც ასე უფრთხილდებოდა... როგორც თქვენც გეცოდინებათ, არღუნ ყაენმა დიმიტრის შესწამა ჩემ წინააღმდეგ შეთქმულებაში ერიეო და ურდოში მისვლის უმაღვე მოკვლევინა. განრისხებული ყაენი მეფის გვამსაც-კი არ იძლევოდა, მაგრამ მცველნი მოისყიდეს და დიდის გაჭირვებით ეს გვამი მეთევზეების ურმით ჩუმად მოასვენეს საქართველოში და მცხეთას დაასაფლავეს. დიმიტრის სიკვდილმა თავ-ზარი დასცა მეფის სასახლეს, მთელი მისი ჭახლობა შიშსა და ელიდას მიეცა. შეიტყეს თუ არა საშინელი ამბავი, წამებიული მეფის ცოლ შვილი აქეთ-იქით გაიბნა, — დედოფალი სკორეთს დაიმალა, სორლალამ თავისის შვილებით სამშობლოში გასწიარასაკირველია, ნათელასაც სიფრთხილე ჰმართებდა და ისიც სამცხეს წავიდა მამასთან. მეფის სრა-სასახლე დაცალიერდა და

თვით სამეფოც ცოტა ხნობით უმეტოდ დარჩ... ამ დროიდ-
გან გიორგი პაპის სახლში იმყოფებოდა და თბილონ ბექამ აღ-
ზარდა ბედნიერი ყრმა. დიდხანს აღარა ისმის-რა ყრმისა. პა-
პის სახლის გარედ მას ვეღარ ვხედავთ და, სამწუხაროდ, არ
ვიცით, რა ყოფასა და მდგომარეობაში გაატარა მან პირველი
სიყრმე...

აგრეთვე არაა მოხსენებული, თუ როგორ აღიზარდა მე-
ფე გიორგი V, თუმცა კი შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეფეს
დროს შესაფერად საუკეთესო აღრზდა უნდა მიეღო. ამ აზრს
ჩვენ ბექას ცხოვრებასა და ხასიათზედ ვაფუძნებთ. ბექა, მან-
დატურთ-უხუცესად ცნობილი, იმ დროს ძრიელ გავლენიანი
და შესანიშნავი კაცი იყო. მისი სამთავრო დიდს ადგილს
შეიცავდა, ტასის კარიდგან სპერამდე (ჭოროხის ხეობა) და
შავ ზღვამდე, აღმოსავლეთით — კარნუ ქალაქამდე (აზრუმი).
როცა საბერძნეთის მეფემ აღექსი II ბექას ასული შეირთო,
მაშინ სიძემ თავისს სიმამრს მისცა მთელის ტრაპიზონის აქეთ
მხარე ჭანეთითურთ. ციხის-ჯვარელ-ჯაყელნი — ეს იყო სამც-
ხის მთავართა გვარი — სულ პირველადვე განთქმულნი იყვ-
ნენ მხნეობითა და გამჭრიახობით. მანგოლების დროს ხომ
უფრო მეტად ისახელეს თავი და საქართველოში პიტივიც
დიდი მოიხვეჭეს. ბექას მამა სარგის ჯაყელი თავის დროს
პირველ სარდლათ ითვლებოდა, მთელს სამეფოსა და საყენო-
ში გაითქვა სახელი ვაჟკაცობითა და სამხედრო ნიჭიერებით, ყა-
ენის სიყვარული მოიპოვა და სამთავროსაც დიდი ადგილები
შეჰმატა. შეილმა მამას აჯობა და ბექა პირველს მთელს სა-
ქართველოში სწორი და ტოლი არა ჰყავდა. იგი შესანიშ-
ნავია, როგორც სარდალი და გამჭრიახე სახელმწიფო კაცი.
დაუვიწყარი ლვაწლი მიუძლვის სამშობლოს წინაშე ამ საკ-
ვირველს კაცს. მან სძლია და შემუსრა საშინელი მტერი,
რომელიც ჰლამიდა საქართველოს ოხრებას. მეტამეტე სა-
უკუნის დამლევს აზატ-მოსე, ანუ ბროსეს აზრით, მუსა-ზანი

სამოცდა ათის ათასის თურქით შემოესია ტაო-კლარჯეთსა და აპირობდა ქართველობა აღეგავა დედა-მიწის ზურგიდგან. მხნე და მტკიცე ბექა წინ დაუდგა მძლავრსა და მძვინვარე მტერს, რამდენჯერმე დაამარცხა იგი და ბოლოს სრულიად განდევნა თავის სამთავროდამ. სამცხის მთავარმა ბაიბურთამდე გასწია თავის სამფლობელოს საზღვრები. ყველა თავს იხრიდა ბექას წინაშე, ყველა მეზობელს შიშითა და კრძალვით მიჰქონდა ხარჯი მანდატურთ-უხუცესის სალაროში. ბექაც განდიდდა, მაღლა და ამაყად ეჭირა თავი, არწივებრ მაღლიდამ დასკეროდა, მარტო ქართლის მეფეს-კი არა, თვით ყაენსაც-კი. საყურადღებოა, რომ თვით საქართველოს ბატონის ბრძანებაც-კი ხშირად არაფრად მიაჩნდა ამ ბედნიერს მთავარს და ეს მაშინ, როცა ქართლ-იმერეთის მეფენი და დიდებულნი მარტო ყაენს-და შესკეროდნენ თვალ-წარბში!.. იმ შავსა და ბნელს დროს მხოლოდ სამცხეში შეეძლო კაცს სულითა და გულით აღფრთოვანებულიყო; მხოლოდ იქ მოიპოვებოდა თავისუფლება, ერის თავ-მოყვარეობა, და ყველა ეს ხომ ასე საჭიროა სახელმწიფო მოლვაწის საწვრთნელად, სავარჯიშოდ... ახლა წარმოიდგინეთ, რომ ბედმა და ილბალმა დიდ-ბუნებოვანი ყრმა თითქო განგებ ამ სამთავროში შეაფარა,— ლალსა და თავ მომწონე ქვეყანას იმყოფებოდე და თავისუფლების ძუძუთი იზრდებოდეო... მართლაც და, ყველაფერი, რასაც-კი ყრმის გონება და თვალი მისწვდება, ნელს უწყობდა მომავალს მეფეს. სამშობლოს პატივი და დიდება ღრმად ჩაენერგა გულში, რომ მძიმე სახელმწიფო სკიპტრა ღირსეულად ხელთ დაეპყრა... გარშემო აყვავებული და თავისუფალი სამთავრო, თვალ-წინ პაპის სახელოფანი ცხოვრება, თითონ სახლში ჭიდევ სამაგალითო ოჯახობა — განა ყველა ეს საუკეთესო სკოლა არ არის?!

კერძო ცხოვრებაშიაც ბექა ხასიათითა და თვისებით აღეს მატებოდა ყველა თანამედროვე მთავარს, მრავალ გვარ ღირსებით იყო სრული და აღსავსე, — „კაცი წარმატებული ყო-

ველსა შინა, სიკეთე აღმატებული საღმრთო-საკაცობოთა საჭ-
მეთა... მე დროის აღზრდა და განათლება თხოულობდა, დიდის იჯახის შვილი ყოფილიყო ნამდვილი ქრისტეანე, საღმ-
თოს მცოდნე და მერე მცომარი. სასულიერო-სამხედრო მი-
მართულება ჰსუფევდა საოჯახო სკოლაში და როგორ იყო
აღრჩდილი თვით ბეჭა? — იგი გულწრფელი ქრისტეანეა, რო-
მელიც წირვა-ლოცვას არ აკლდება, უყვარს ყვკლესიები-
სა და მონასტრების აგება, გლახაკთა და ქვრივ-ობოლთა
პატრიონი და მფარველია... მაგრამ მარტო ეს ხომ არა კმა-
როდა. ბეჭამ ჯეროვანი სამხედრო სწავლაც მიიღო: „იგი
ომსა შინა მხნედ მბრძოლია, ცხენსა ზედა მხნედ მოისარი,
ნადირთა ხელოვანი“... დაუმატეთ ამას ისიც, რომ მანდა-
ტურთ-უხუცესს ძლიერ უყვარდა რჯული და სამართალი, „სა-
მართლის მოქმედი“ იყო; არ დაივიწყოთ, რომ ეს სახელმწი-
ფო კაცი გამჭრიახე და შორს-მჭრეტელია, „გონებით ფრთხი-
ლია“ და თქვენ წარმოიდგენთ მკრთლად მაინც მთავრის
დიადს სურათს. უნდა გახსოვდეთ აგრეთვე, რომ ამ ღირსე-
ულს მთავარს ღირსეული ცოლიც აგვირგვინებდა, — ბეჭას
მეუღლე ვახახი სამაგალითო და შესანიშნავი დედა-კაცია...
ასეთი პაპა და ბებია დასტრიალებდნენ თავს სახელოვანს
ყრმას და ასეთს იჯახში იზრდებოდა გიორგი. არ ვიცით
როგორი დედაკაცია ნათელა, რადგანაც იმისი შვილი გიორ-
გი პაპასა და ბებიას ხელში უფრო იზრდებოდა...

რასაკვირველია, სხვა საბუთების უქონლობის გამო, მარ-
ტო ისტორიულს სინტეზს ვერ ვენდობით და გადაჭრით ვერ
ვიტყვით, რა სწავლა-მიმართულება შეიძინა გიორგიმ პაპის
სახლში. მაგრამ ის-კი უტყუარია, რომ მას ბევრი თვისება
და ხასიათი გამოჰყვა თვისის პაპისა. აბა, კარგად ჩაუკვირ-
დით მეფის სულსა და გულს, თუ დიდი მსგავსება არა ჰპო-
ვოთ: მეფეც ღვთის-მოსავი და ღრმად მორწმუნე ქრისტეანე,
„ომსა შინა მხნედ ბრძოლია“, „გონებით ფრთხილი“, „სა-
მართლის მოქმედი“ და სხ. ეს სამართლის მოქმედება ხომ

ბექას ოჯახის საკუთრება შეიქმნა. ამ ოჯახში განუწყვეტლივ არსებობდა სჯულისა და კანონის სიყვარული; იგი ოჯახზე თითქო იურიდიულ სკოლად გარდაიქცა... შემდეგ, როგორც მკითხველსაც ეცოდინება, ბექა მეორემ და აღბუღაშ მთელი სამართლის წიგნი დაუტოვეს სამშობლოს. გიორგი მეფესაც „სამართლის მოქმედება“ დასჩემდა და, ვინ იცის, იქნება „ძეგლის დების“ ავტორი პაპის სახლშიაც სწავლობდა კანონ-მდებლობას... დიალ, ბევრი რამ საერთო მოიპოვება ბექასა და გიორგი ბრძებულებების!...

ნ. ურბნელი

ქართული მსახურების თეზულებანი

ზოგიერთი რამ

„თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისა“.

გრ. ორბელიანი.

I

რაკი ჩვენს ლარიბს ლიტერატურაზედ და ეხლანდელს მწერლობაზედ დაიწყებ. სადმე ლაპარაკსა, მაშინვე რაღაც მოღუნებულის პირის მთქნარებით და თითქო რაღაც სიმზაკვრით სავსეს სიხარულითა მოგახლიან ხლომე: ეხლანდელს მწერლებს ენა აქ უვარგათო.

მეც, ცოტად თუ ბევრად, ამაზედ თანახმა ვარ; მაგრამ ერთი ეს მინდა ვიკითხო: გვაქვს-კი ენა, რომ ვიწუნებთ კი-დეც?..

ვიცი ამ ჩემს პირველ-შეხედვით უსაფუძვლო კითხვაზედ მე ბევრი თქვენგანი, მკითხველო, მასხარად ამიგდებს; მაგრამ აბა, მკითხველო, შენ მე ყური მომიგდე; მე გეტყვი და შენ დალაგებით და აუჩქარებლივ მისმინე. მე წინადვე ვიცი, რომ მასზედ, რასაც რომ მე გეტყვი, გული აგითანალრდება, აი-ტკიცები და შეწუხდები. მაგრამ შენ-კი, მკითხველო, იქნება ის არ იცოდე, რომ თითო სიტყვას, რასაც ეს წერილი ქვევით მოგახსენებთ, იქნება თითო კოშტი სისხლიც თან ამოჰყოლოდეს. რაზედ გაიჭირე საქმეო, მეტყვი შენ? იმის-თვის, ჩემო ძმაო თუ დაო, რომ „თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისო“, ჩვენის პოეტისა არ იყოს.

II

აიღებს ბეჩავი ქართველი მწერალი ხელში კალამს თუ არა, მაშინვე გულ-ამოსკვნით შედგება ხოლმე და თავის თავ-სა ჰკითხავს: ვის უნდა ჭელაპარაკოვნა,—და სისხლი ძარღვ-ში გაუშრება ხოლმე. მართლა-და, ვის უნდა ელაპარაკოს? მეტყვიან: ყველასაო. დიალ კარგი და პატიოსანი, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, საყოველთაო რა ჭვაქვს, რომ მწერალმან ფრთა გაშალოს და იმაზე განაღვლოს საყოველთაო ნაღვლი-თა, ანუ გალხინოს საყოველთაო ლხინითა? ქართველობა ხომ არა გგონია საყოველთაო სალხინებელი და სანაღვლებელი? დიალაც ეგ უნდა იყოს, მაგრამ სად არის ქართველი და ქა-რთველობა? ერთი ეს მინდა გკითხო: ვართ-ღა საღმე? — რო-გორ თუ ფართ-ღაოვ შეძლომიტევ წყრიობით. თუ შენ, ჩემო მკითხვულო, ადამიანობა, კაცური-კაცობა ხელში მჩერად არ გადაგიქცუვია, ფიცი, რომ ამ კითხვაზე ძარღვი ჩაგრწყდება; ისიც ვიცი, რა ტკოვილიც ამოგაკვნესებს. ა მაგრამ ესეც უნ-და იცოდე, რომ ბალლამში ამოგლებულს ჭეშმარიტებასაც ვაუ-კაცურო მოსმენა უნდა. რით ვერ გაიგე, რომ ჩვენ უბე-ღურნო ვართ!.. ყური მომიგდე.

III

პატარა დალაგებით რომ დაუფიქრდე იმ ხავსემოყვიდებულს გუბეს. რომელსაც ჩვენ, ქვეყნის სამასტროდ, ცხოვრებას ვფ-ძახით, რომელშიაც ჩვენ რაღაც დაუდევარის ქმაყოფილე-ბით უჰყუმპალაობთ და რომლიდამაც ათასი სხვა-და-სხვა ფე-რი ნიკადული იწრიოტება, ცალკ-ცლკუ და სხვა-და-სხვა გზით მიღის და, ჯრაოდენადაც ერთმანეთზედ შორსა ვალს, უგოდენს დაუძლებულდებოს”, — ამ გუბეს რომ თვალ-ღია და აუჩქრებლივ დაკვირდე, მაშინ შენც ჩემთან ამოიკვნესებ და იტყვო „ვართ-ღაო!

აჩქარებული კაცი, ის კაცი, რომელსაც უნდა შავი ფიქ-
რები თავიდამ მალე მოიშოროს, ადვილად გვიპასუხებს ჩვენ
და გვეტყვის: ბრმანი ყოფილზართო. ეს ჩვენი დედა ქალაქი
და ეს შავი ზღვიდამ კასპის ზღვამდე გუნდ-გუნდად მორი-
გებული მისი შვილი — სოფლები — ქართველები არ არიან, მაშ
ვინ არიანო? ქალაქი იქნება დედა იყოს; სოფლებიც იქნება
მისი შვილები იყვნენ; მაგრამ საჭმე იმაშია, რომ დედის ძე
ძუ დიდი ხანია გაშრა და დედის ძუძუს შვილი აღარ სწოვს.

IV

ქართველები არ არიან, მაშ რა არიანო? არიან თავად-
ნი, აზნაურნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანი და უჩინონი — ყვე-
ლანი არიან და ქართველი-კი არსად არის. თავადს აზნაური
სძულს, აზნაურს — თავადი, გლეხს — ორივე. ნუ თუ ესენი
ქართველნი არიან, ერთის დედის, საჭართველოს ოჯახის შვი-
ლები? თავადის აზრი სათავადოა, აზნაურისა — საააზნაურო,
გლეხისა — საგლეხო, ვაჭრისა — სავაჭრო, ნუ თუ ესენი ქართ-
ველნი არიან, ერთ თესლზედ აღმოსულნი? თავადის აზრი
აზნაურის არ უხდება, აზნაურისა — თავადსა, ორივესი — გლეხ-
სა. ნუ თუ ესენი ქართველნი არიან, ერთისა და იმავე ხორ-
ცისა და სულის ნაყოფი და ერთის დედის — საჭართველოს
ძუძუთი გაზდილნი? ეს ასო-მთავრული რომ ასო-მხედრული
გზას უღობავს, ეს თავადი რომ აზნაურს ზურგს უქცევს, აზ-
ნაური — თავადს, ორივენი — გლეხსა, ეს ვაჭარი რომ სამივეს
ერთნაირის სიხარბითა სწოვს, — ნუ თუ ესენი თვითვეულად
ცალკე და ყოველნივე ერთად ქართველნი ჰგონია ვისმე! ქა-
რთველი საყოველთაო სახელია და ამათში რა არის საყოველ-
თაო? ეგ თვითო-თვითოდ ერთის გაწყვეტილის ჯაჭვის რგო-
ლებივით რომ ცალკ-ცალკე და თავ-თავად დავგორავთ ზოგი
აქეთ, ზოგი იქით, ნუ თუ ეგ თვითოვეული ქართველი ჰგო-
ნია ვისმე!

თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, საცა მაგ თვითოვეულის გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისა-თვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი, ის საერთო ნიშანი მიჩვენეთ, საითკენაც თვითეულის ჩვენგა-ნის ჭკუა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად, ხა-ლისიანად და შეუპოვრად მიიწევდეს საყოველთაო საქართ-ველოს კეთილ-დღეობისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი. საერთო ლხინი მიჩვენეთ, საერთო ჭი-რი მაინცა, მაგრამ სად არის? ჩემი ლხინი შენი ლხინი არ არის, შენი ჭირი ჩემი ჭირი არ არის. ქართველი საყოველ-თაო სახელია და კიდევ ამას გკითხავ: საყოველთაო რა გვაძვს? ჩვენში არის: „მე თუ შენ, შენ თუ მე“ და ორივენი ერთად კი არაო.

აბა დაიძახე, — ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მო-ყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმოგდებულის ქართლელის მეტმა (ე. ი. გორის მაზრაში მცხოვრებლებმა) შემოგხედოს ვინმებ და, თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თა-ვისი სხვილი კისერი შენკენ მოილრიჯოს. სხვანი-კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო იმათ არ ეძახიო, თითქო ისინი-კი ქართველები არ არიანო.

ის შემკრებელობითი, დიდებული, ერთიანი აზრი, რო-მელსაც ყოველივე ჩვენგანი ქართველობაში უნდა ჰქედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, — დიდი ხანია დაირღ-ვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძოობითი სახელი-და გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხი-სა, რომელიც ოდესმე ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართ-ველთა შესისხლულის ისტორიის მძიმე უღელი ჭირში თუ ლხინში ერთად, ძმურად უწევნია, რომელსაც ერთისა და იმა-ვე ენით ჭირში უგლოვნია, ლხინში უმხიარულნია და რო-მელიც დღესაც ერთისა და იმავე ენით — თუ არაფერს აკე-

თებს — თავისს მოძმეს მაინც აბეზლებს ღმერთთანაცა და კაც-
თანაცა.

V

იმერელი, გურული, მეგრელი, ქართლელი, კახელი — ეს
ცალკ-ცალკედ მითვისებული, კერძობითად მოღებული, განუ-
მყოფელი სახელები ჩემის ზემოხსენებულის სიტყვის ცხადი
მაგალითებია. მაგრამ მეტყვიან: ეგ უველა ხალხში არისო.
მართალია, მაგრამ არა ეგრე გულ-საკლავად, როგორც ჩვენ-
შია. იქ, სხვა ხალხში, საცა თვითეულს პირს თავისი დამო-
კიდებულება თავის ხალხთან არ შეუწყვეტია და სისხლში და
ხორცში გამჯდარი აქვს, იქ მაგისთანა სახელები შინაურო-
ბაში იხმარება ურთიერთის გასარჩევად და არა საქვეყნოდ,
საგარეოდ. მარსელში მცხოვრებელი ფრანციელი, რასაკეირ-
ველია, ფრანციელსავე ეტყვის, მარსელელი ვარო, მაგრამ
უცხო ქვეყნელს-კი ეტყვის, ფრანციელი ვარო. ეს იმას ჰნიშ-
ნავს, რომ იგი შინაურობაში მარსელელია და გარეობაში
ფრანციელი. უცხოსათვის ერთი იმათგანია, საცა უველანი
ამისათვის სცხოვრობენ და ყველასათვის თვითონა სცხოვრობს.
ეგ იმას ჰნიშნავს, რომ ჩემი ძალა ჩემის ხალხის ძალააო, ჩემი
სიკეთე — ჩემის ხალხის სიკეთეაო, რომ ჩემი სისხლი ყოველს
ფრანციელთან ერთადა სდულსო, ყოველის ფრანციელის ცხოვ-
რების ძარღვი ჩემის ცხოვრების ძარღვიაო და, თუ გინდათ,
ყოველის ფრანციელის ავად და კარგად მყოფობას ჩემს მაჯა-
ჯედ შეატყობო. ეგ იმას ჰნიშნავს, რომ ჩემი წყენა უცხო-
საგან ჩემის ხალხის წყენააო და ჩემის ხალხის წყენა ჩემი
საკუთარი წყენააო.

ჩვენში? ეჭ, რაღა გითხრა, მკითხველო? შენც კარგად
იცი, რომ „ქართველი“ ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ
არის, აღარც შინა და აღარც გარედ, არც მახლობლისათვის
და არც უცხოსათვის. იმერელი იმერელია, გურული გუ-

რულია, შეგრელი მეგრელია ქართლელი ქართლელია და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან.

ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა! ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თვითო არ არის და თვითოში—ყველა, საცა თვითვეული ყველასთვის არ ჰქოქობს და ყველა—თვითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ იშვიათი!

VI

განვთვითვეულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო-სოდ დავიჭერით და მაგ განთვითვეულებამ, ცალკ-ცალკეობამ ყოველგან და ყოველს ფერში ის საქმე გვიყო, რაც ეზოპეს ზლაპარში თვითვეულს წკეპლას მოუვიდა, ერთად ძნელიად გადასამტკრევს. ამის შემდეგ, რასაკვირველია, საერ-თო სახელი აღარ შეგვრჩებოდა და აკი აღარ შეგვრჩა!

რაკი ის დიდებული ქართველობის აზრი, ის საყოველ-თვო სახელი გონებიდამ გამოგვეცალა, ჩვენი გონება დაი-ფუყა, სულით და ხორცით დაკუუწმაწდით. გონება ჩვენი, როგორც ყოველივე საგანი, რომელიც დაიფუყება, შეგვი-ვიწროვდა, დაგვისუსტდა და, რასაკვირველია, ვეღარაფერს ფართოსა და დიდს აზრს ვეღარ დაიტევდა და ვერ ზიდავდა. ამ მიზეზით ყოველივე აზრი, ფიქრი, სურვილი, გრძნობა დაგვინამცეცდა, გონებითად, ზნეობითად დავპატარავდით. მას აქეთ, რასაც-კი ხელი მოვკიდეთ, ვეღარ მოვერივენით; რასაც-კი გონების თვალით დავაკვირდით, გონებაში ვერ და ვიტივეთ; ავიღეთ ყოველი იგი და დავანაკუწეთ, იმოდენა ნამცეცებად ვაქციეთ, რამოდენის ზიდვასაც თვითვეულის ჩვენგანის ღრანე შესძლებდა, რადგანაც მთელის ზიდვისათვის საერთო მხარი აღარა გვქონდა. ზემოდ ვსოქვი, რომ ერთიან ნი სახელი მთელის ჩვენის ხალხობისა ხუთ თუ ექვს ნაკრად დავყავით-მეტქი. გონებამ ჩვენმა ერთიანი, მთლიანი აზრი

იმ სახელისა ვეღარ დაიტივა, ვერ ჰქონდა, ჭილი და ის სახელი და მისი აზრი ხალხის მცირე ნაწილს დაარქვა. ამ რიგად სიტყვას ქართველს, რომელსაც საზოგადო მწიშვნელობა ჰქონდა, კერძოობითი მნიშვნელობა მიეცა...

ილია ჭავჭავაძე.

ჩართული ანაპი, ხუცური და მხედრული.

სახელ-წოდება „ხუცური“, „მხედრული“ ჩვენმა ძველმა მწერლობამ სრულებით არ იცის და როდის არიან ეგ სახელ-წოდებანი შემოღებულნი ანუ პირველად ხმარებულნი, ჯერ არ არჩეს ცნობაში მოყვანილო. ამ სავანზე გავრცელებულია ჩვენში ორი აზრი: ერთი ჰქონდის ხუცურს მხედრულზე უძელესად და იმის დაფუძნებას მიაწერს ფარნავაზს; ხუცურის შემოღებას-კი მისთვისებს სომხის მეცნიერს მესრობს მე-V საუკუნეში ქრისტეს შემდეგ. მეორე აზრი ამ აზრის წინაღმდეგია. ჩვენ თვით ვადგევართ მეორე აზრსა, რომელსაც ვამყარებთ შემდეგზე.

თუ ჩვენ ჩვენის ანბანის ანუ ალფაბეტის ასოების რიგს მივაქცევთ ყურალდებასა, შევნიშნავთ, რომ იგია ბერძნულის ალფაბეტის ასოების რიგი. გარდა ამისა ზოგი ქართული ასოები თავის ფორმებით მიემსგავსება ბერძნულის ასოების ფორმებსას ასოს ს, როგორც ქართულში, აგრეთვე უძველეს ბერძნულში ერთი და იგივე სახელ-წოდება აქვს: „სან“. მართალია, ზოგი ჩვენი ასოებიც, მეტადრე ასო-მთავრულისა ხუცურში, როგორც თვით ფორმებით აგრეთვე გამოთქმით, უახლოვდება ღევა-ნაგირსა და სხვა ალფაბეტებს ინდოეთისას; მაგრამ ეს მხოლოდ გვიჩვენებს, რომ ჩვენი ალფაბეტი სხვა და-სხვა დროს არის სხვა-და-სხვა ალფაბეტებიდამ შევსებული და, ჩემის მხაზრებით, დაარსებულია იგი ბერძნულის კულტურის გაფლენით იმ დროს, როდესაც ბერ-

ძნული კოლონიები დამყარებულა. ჩვენს შეზობლად შავი-ზღვის ნაპირზე. თვით ლექსი: მელანი, კალამი იმ დროდამ უნდა გვქონდეს. ბერძნებისაგან შეთვისებულნი. ეს ლექსები ძველს ბერძნულშიაც ისე იხმარება, როგორც ქართულში.

რომელია უძველესი, ხუცური თუ მხედრული? ამ საგნის გადასაწყვეტად უნდა მივმართოთ ძველ ნაწერების ნიმუშებს (პალეოგრაფიას). თუმცა პალეოგრაფია ახალი შტოა მეცნიერებისა, მაგრამ მან უკვე აღმოაჩინა კანონი, რომლის ხელმძღვანელობით იკვლევს ნათესავურ ალფაბეტში, რომელიც უფრო ძველი უნდა იყოს. დავადგეთ ამ კაკონსა და ვნახოთ, რასა ვპოვებთ. უძველესნი, ჩვენის მწერლობის ნაშთნი, რომელნიც აქამომდე ხელში გვაქვს, არიან წარწერანი შენობასა, ფულებსა და ეტრატებზე: ფულებზე — სასანიანთ დროს; მონასტრებზე: ურბნისისა და რკონისაზე, გორის მაზრაში, და ჯვარის-მონასტრისაზედ, მცხეთის მახლობლად (უკანასკნელია მე-VI—VII საუკუნისა) და გარდა ამისა ტყავზე ნაწერ წიგნებში, რომელთაც მე-VI—VII საუკუნებს მიაწერენ.

ალფაბეტური ნიშნები აღრიცხულს ნაშთებზე არიან მხოლოდ ასო-მთავრულნი ხუცურნი. იმ დროს სრულებით არა სჩანს კვალი: არც ნუსხა-ხუცურისა, არც მხედრულისა. ეს ასო-მთავრულნი წარმოგვიდგენენ თავის მოხაზულობით ძველად-ძველის ხასიათის ნაწერებს. იმათ შორის არც იპოება ზოგიერთი ასოები, რომელიც მხოლოდ შემდეგ საუკუნოებში შემოვიდა ხმარებაში. **О**, სრულებით არ არის და იმის ნაცვლად იხმარება **Օ** **Վ**-ოვ, ამასთანავე **Օ** **Վ**-თი გამოითქმის, გარდა უ-საჲ ვე-ცა, ვა-ცა, ვ-ცა და ვი-ცა. ეს ნაცვლად იხმარება ხშირად **წ**-ც და **Վ**-ც-ცა, მაგალითად: ცნობისათოვის, ოვწყება, მოგოვითხრა, მოძლოვარი, განხაზლოვრებული, შოვდეოვლი, ოვფალი, ჩოვენი, მოგვანიჭა, ქრისტც, ძე, დღც, პეტრც, მც, საქმც, სახვ, ექრვ, ქოვშვ და სხ.

ნუსხა-ხუცური პირველად შეგვხვდება ერთს ძველს ოთხ-

თვის ვარიანტში, რომელსაც თვით იმისი ქორონიკონი მიაწერს შე-VII საუკუნესა, თუმცა ეს ქორონიკონი ჩვენ ცოტა საეჭვოზ მიგვაჩნია. შემდეგ იგი ცოტ-ცოტად ვრცელდება. ამ ნუსხა-ხუცურში ზემოდ ნაჩვენები შეერთებული უცნაურის თვისების ასრები უფრო იშვიათია და თვით **ОуФ**-ს ნაცვლად იხმარება აყ მაშინ, როდესაც **ОуФ** ასო-მთავრულ-ში მე-XII—XIII საუკუნედმე რჩება, თუმცა **Оу** უკვე შემოლებულია. აყ სულ პირველად იწერება აყ, რომელიც უდრის **ОуФ**-სა. ეს ორი აყ დროს განმავლობაში უერთდებიან ერთო მეორესა და ამ გვარად მდგენენ ერთს ასოსა, რომელიც ჯერ ისევ თთხ-კბილიანია (აყ), მას უკან სამ-კბილიანია (აყ). ამ აყ-დამ წარმოსდგა მხედრული უ. ჩვენის აზრთ, ნუსხა-ხუცურისა და მხედრულის შემოლებას ერთი მეორის შემდეგ მოკლე დრო ჰყოფს: ასეა თუ არა, მხედრული სხვა არა არის-რა, როგორც იგივე ნუსხა-ხუცური, შაგრამ უფრო განმარტივებული და გააღვილებული სახმარად. უძველესს მხედრულს, რომელიც ჯერ ისევ ნუსხა-ხუცურს მიემსგავსება, ჩვენ ვპოულობთ, სხვათა შორის, პირველად სომხეთის ანის ქალაქის ქართულს ეკლესიაზე (X საუკ.), რომელსაც შეცდომით ჰქალიან „ბერძნულ“ ეკლესიად; მეორედ სოუქ-სუს ეკლესიაზე აფხაზეთში (X საუკ.) და მესამედ ამ რამდენისამე წლის წინად ნაპოვნს დიდ ტყავზე ნაწერს ბაგრატ IV-ს გუჯარში:

კველებური დედაკაცი.

ეხ.. სულ სხვა იყო ქართველი დედაკაცი დალოცვილის ძველის დროისა. მათი რიცხვი, სამწუხაოროდ, დლითი-დღე კლებულობს ახლა, მაგრამ არასმი ერთხელ შაინც კი-დევ შეჭვდება ადამიანი დღესც. იმათთან მუსაიფი და საუჯბარი სწორედ რომ დიდად გასიამოვნებთ და დაგატკბობთ

კოდეტუ. პირველის შეხედვით თითქო სასაცოლონი არიან, ეხლანდელის, ჩვენებურის თვალით რომ დავუწყოთ ყურება; მაგრამ როგორაც-კი რომ დავაკვირდეთ, ძალიან მიმზიდველი და სასიამოვნო ხალხია. ამისათვის, რასაკვირველია ზოგიერთს წვრილმანს ყურადღება არ უნდა მიაქციოთ, უნდა ეცადოთ მიუხვდეთ, რითი სულდგმულობს, რითი სცოცხლობს მისი სული და გული, მოიგონოთ ის გარემოება და ვითარებაც, რომელშიაც ისინი აღიზარდნენ. აბა, ასე დააკვირდით. ამ ძველებურს ჩვენს დედაკაცებს და, დაგარწმუნებთ, მალე მიჰვდებით თქვენს შეცდომას მათ შესახებ, უნებურად იგრძნობთ, რომ დიდის პატივის-ცემის ლირსია სიწმინდე მათის სულისა, მათი ჭკვა-დამჯდარი და ფხიზელი მსჯელობა, მოუსყიდველობა მათის გულისა.

მაგრამ უპირველეს ყოვლისა უფრო იმათი დამთავრებული და მტკიცე ხასიათი გაგაკვირვებთ და მოინადირებს თქვენს გულს. მაშინვე იგრძნობთ, რომ ისინი თავისს სიტყვა-პასუხსა და ქცევა-მსჯელობაში სრულიად დამოუკიდებელნი არიან. მართალია, განათლება მათი მცირეა, ცოდნა კოდევ უფრო მცირე და ბევრი რამ სულ არ ესმით და არ ეყურებათ, ხოლო წესი, ანუ უკეთ ვსოდეთ, ტიპი მათის ზრდა-წროვნისა დიდად და დიდად მაღალის ლირსებისაა, თუ მეტადრე მხედველობაში მივიღებთ იმ დროის ჭითარებას, რომელშიაც ისინი აღიზარდნენ. იმ არა-რთულსა და სა-და ერთმანერთობის დროს, როგორიც არსებობდა იმათ ყმაწვილ-ქალობაში, უეჭველია, ისინი ნამდვილი მოღვაწე წევრნი იყვნენ საზოგადოებისა, ისეთნი წევრნი, რომელთაც კარგად ესმოდათ ყოველივე მაშინდელი ამბავი, რაც-კი რამ საყურადღებო იყო ქვეყნისათვის. ასე გასინჯეთ, ახლაც-კი ამისთანა ძველებური დედაკაცები დიდად გულზედილნი არიან და მით ყველასთვის ცხადია, ადვილი გასაგებია ვის და რას როგორ ეციდებიან, როგორ ეპყრობიან. ხშირად იქნება სცდებიან, ისე არ ეკიდებიან და ისე არ ეპყრო-

ბიან, როგორც ახლა სასურველია, მაგრამ ეს გარემოება განუ-
ვითარებლობის ბრალია. სხვაფრივ-კი ვერავითარს უნდობლო-
ბას, ვერავითარს ორპირობასა და სიყალბეს იმათ ვერ შეამჩნევთ.
ცხადად ჰქედავთ, რომ თქვენ თვალ-წინ სდგანან ხასიათით
სრულნი, ძლიერნი და თითქო ერთისა და იმავე ლიტონისაგან
ჩამოსხმულნი აღამიანიშვილნი. უნდა გამოვტყდეთ, რომ ეს
დედაკაცნი ყველას სჩრდილავენ და ისეთს ძალას იჩენენ,
რომ თითქმის სჩაგრავენ ადამიანს არა მარტო თაფიანთის
დიზღვა ჰატიუდაცემის ხნოვანებით, არამედ მთლად თავიანთის
ჭკუითა და ხასიათითაც.

სწორედ მოგახსენოთ, ცოტა არ იყოს, შური აღმეძერის
ხოლმე, როცა ვუცქერი ასეთს მოხუცებულ ძულომებს.
აბა, დააჭვირდით, რაოდენი თავ-დაჭვერილობა ეტყობათ, რაო-
დენის გულ-დამშვიდებით ჰერძნობენ თავიანთ ძალ-ლონეს, თა-
ვიანთ უპირატესობას! აბა, შეჰქედეთ, რაოდენი მშვიდობა სული-
სა, სასწორის ულელსავით გაწონილ-გაუმრუდებელისა, ატყვია
მთელს მათს დიდად დარბაისლურს შესახედაობას, აუჩქარე-
ბელს სიტყვა-პასუხს, მოფიქრებითა და სიტყვა-მოსწრებით
თქმულს შენიშვნას, წყნარსა და მოხდენილს მიხვრა-მოხვრას.
საიდამ გაჩნდა ასეთი სულით დამთავრებული, დასრულებუ-
ლი აღამიანი, ასეთი საღი, უსახისრო ბუნება, რომლისათვი-
საც არ არსებობს არც ეხლანდელი მოუსვენარი ფატუ-
ცი, არც ეხლანდელი გულის ჩქროლვა-ლელვა და ნერვების
სისუსტე!

ხშირად დავფიქრებივარ ამ გარემოებას და ხშირად, ძა-
ლიან ხშირად, განუცვითრებივარ ამ უფრველს უპირატესო-
ბას ძეველებურ ქართველ დედაკაცისას. რა უნდა იყოს ამისი
შიზეზი: თვით ძველებური დედა-კაცი, მათი კერძო თვისება-
ნი, მათი ჯან-მრთელობა და საღი აგებულფრთხა, თუ ის ცხოვ-
რება, რომელიც მათ გარს ერტყა და რომელმაც აღზარდა
დაინი?

„ქართლის ცხოვრების“ სინამდვილე.

ჩვენს დროში საზოგადოდ მსწავლულნი დარწმუნებულნი არიან, ვითომც „ქართლის ცხოვრება“ ვახტანგ მეექვისა-საგან იყოს სომხურის ქრონიკებიდამ და სხვა-და-სხვა ცნობებიდამ შედგენილი. ამ აზრს ამყარებენ ქართლის ცხოვრების სათაურზე, რომელიც გვამცნევს, ვითომც ვახტანგ მეფეს „მოეხვნეს გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკკლესიათა და დიდებულთანი და შეემოწმებინოს „ქართლის ცხოვრება“ და, რომელი გარყვნილ-იყო, განემარტოს და სხვაცა წერილნი მოეხვნეს, რომელიმე სომხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოეხვნეს და ესრედ აღეწერინოს“. ამ სათაურზედვე დაუფუძნებია ამ ცოტა ხანში ერთ მეცნიერსა დედა-აზრი თავის სტატიისა, რომლითაც იგი უარ-ჰყოფს „ქ—ცხბის“ სიძველეს და ამასთანავე ამტკიცებს, ვითომც ის იყოს შედგენილი სომხისაგან სომხურს ენაზე მეთორმეტე საუკუნეში და ვითომც ვახტანგზე წინა დროის „ქ—ცხოვრება“ არ მოიპოვებოდეს.

როგორც ხსენებული სათაური, აგრეთვე ეს უკანასკნელი აზრი ყოვლად უსაფუძვლოა. ვახტანგ მეფეზე ჩვენა გვაქვს ცნობები, რომელიც დაწვრილებით გვიხატავს ყოველ შემთხვევას იმის ცხოვრებისას; მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ შედგენას თუ შესწორებას არც ერთი მათგანი არ იხსენიებს.

მაშ საიდამ წარმოსდგა ხსენებული სათაური? საქართველოს წარსულ უმთა მატიანე იყოფა ორ განყოფილებად: პირველი ანუ „ქართლის ცხოვრება“ თავდება მეთორმეტე საუკუნეში, გიორგი ბრწყინვალეს დროს; მეორე შეიცავს შემდეგს საუკუნეთა უამოკვლევას. მეორე განყოფილების მატიანე, შეუწყვეტელის არეულობის გამო საქართველოში, არა ყოფილა შემუშავებული და რიგზე აღწერილი და აი რას ამბობს ამ საგანზე ვახუშტი თავის ისტორიის წინა-სიტყვა-ობაში: „თუმცა ვიხილავთ გუჯართა, სიგელთა და ეკლესიებ-

თა წიგნებთა შინა ქორონიკონებთა მათთა, რომელნი აღუ-
წერიათ ბრწყინვალე გიორგიდამ ვიდრე ჩვენამდე; ყოველთა
მეფეთა და მთავართა და სხვათა ვიუწყებთ ხსოვნა-მოთხრო-
ბათა და მცირეთა ცხოვრებათა მათთა წარწერითაცა, არამედ
გარჩევა საჭირო არს და უხმს შრომა დიდი. გარნა ამის გა-
რჩევისათვის წარმოვსთქვათ ბრწყინვალე გიორგიდამ ვიდრე
ჩვენამდე; ხოლო აღუწერიათ ცხოვრებაცა სახელითა ლევა-
ნის ძისა მეფისა ვახტანგისათა, რომელი არა საგონებელ არს
მის მიერ და, თუმცა ბრძანებითა მისითა არს, არამედ მას
თვით არღარა განუხილავს ვითარება მისი "... შემდეგ ამისა
ვახუშტი უჩვენებს ქრონოლოგიურს შეცდომებს ამ აღწერი-
ლობისას და წინა-სიტყვაობას აბოლოვებს ამ სიტყვებით:
„ხოლო ჩვენი შრომა ამისთვის იყო, ვინადგან მეფის ვახტან-
გის სახელით აღეწერათ და ვიხილეთ ესოდენნი წინააღმდეგ-
ნი და უსწორებლობანი, ესენი განვასწორეთ და განვმართეთ
მოწმობითა ზეით თქმულითა, რათა არავინ სთქვას მხილველ-
მან ამისმან შეურაცხება რაიმე, რამეთუ მეფის განზრახვას
ვგონებ ესრედ, ვითარცა აღვწერეთ, ვინადგან ნათესაობისა
ქორონიკონსა სწორესა სწერს, გარნა შემწყობი ამისი შეც-
დომილ არს“. ვახუშტის ამ სიტყვებიდამ ჩვენ ის აზრი გა-
მოგვაქვს, რომ იმისგან დაწერილი ახალი ისტორიული ცხოვ-
რება ჩვენის ქვეყნისა უნდა იყოს თვით ის აღწერა, რომე-
ლიც ვახტანგის ბრძანებით შეუდგენიათ და ვახუშტის ეს
აღწერა მხოლოდ შეუსწორებია და შეუვსია კიდეცა.

წინა-სიტყვაობა ვახუშტისა, რომელსაც ჩვენ ვუჩვენებთ,
ჩართულია ბროსესაგან გამოცემულს „ქართლის-ცხოვრება-
ში“ და ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, რომ ახალის ქარ-
თულის მატიანის დამწყების სახელი, ესე იგი ვახტანგისა,
მიუთვისებით თვით „ქართლის ცხოვრებისათვის“, — ასე რომ
ორს „ქართლის ცხოვრების“ ძველს ვარიანტში, რომელნიც
ვახტანგის წინად არიან გადაწერილნი და ეკუთვნოდენ თეი-

მურაზ ბატონიშვილს, დასაწყისში სხვა ხელით არის დაწერილი ხსენებულის სათაურის ფურცელი და ქს არის საფუძველი შეცდომის გავრცელებისა. ამის გამოა შეცდომაში თვით თეიმურაზ ბატონიშვილი. რაც-კი იმას თავის ისტორიაში „ქართლის ცხოვრებიდამ“ გამოაქვს, ყველას მეფე ვახტანგს მიაწერს. ამ შეცდომაში იმყოფებოდენ ევროპიელნი ქართულის ისტორიის გამომეძიებელნი...

საქართველოს ისტორიული მატიანე ძველის დროდამ-ვეა ცნობილი „ქართლის ცხოვრებად“. ასე უწოდს მას ზე-მოდ-ხსენებული „სომხური ქრონიკა“, ანუ უკედ „ქართული ქრონიკა“, რომელიც თავდება დავით აღმაშენებელის სიკვდილით — 1125 წ. არ იციან, როდის არის იგი თარგმნილი სომხურ ენაზე; მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ეს თარგმანი ეკუთვნის დავითის თანამედროვეს. „თვით ჩვენის თვალით გვიხდავსო — ასე აბოლოებს მთარგმნელი თავის შრომას — სოლომონ ბრძენის სიტყვების აღსრულება დავით მეფეზე“. და-ვითის შემდეგ რომ თარგმნილიყო ეს ქრონიკა, უეჭველია, მთარგმნელი მომავალს შრომასაც განაგრძობდა. „ქართლის ცხოვრებადვე“ სახელ-სდებს ქართულ მატიანეს მეტამეტე საუკუნეში სტეფანიზ ორბელიანი. მცხეთის ერთი გუჯარი 1546 წლისა, რომელიც ახლა ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტონაშია, მცხეთის წიგნთა საცავში, იხსენიებს, სხვა-თა შორის, „ქართლის ცხოვრებას“. ჩვენ დრომდე მოუღწევია ვახტანგ მეფეზე აღრინდელს საშს ვარიანტს „ქართლის ცხოვრებისას“: ერთია ხუცურად ნაწერი და ეკუთვნის პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიასა; მეორე — მხედრული, რუმიან-ცოვის მუზეუმშია; მესამე — მხედრულივე, გადაწერილი 1646 წ. როსტომ მეფის ცოლის მარიამისათვის. ჩვენ იმედს არა ვკარგავთ, რომ სხვა ძველი ვარიანტებიც უნდა აღმოჩნდეს საქართველოს კერძო სახლებსა და მონასტრებში. —

„ქართლის ცხოვრების“ თვით ჩვენმა საკუთარმა გამოკვლევამ აღმოგვიჩინა შემდეგი ფაქტები.

თუ მარტო პალეოგრაფიის მხრით განიხილავთ „ქართლის ცხოვრების“ ვარიანტებს, უეჭველად დარწმუნდებით, რომ ძველი „ქართლის ცხოვრება“ წერებულა იმ დროს, როდესაც მხედრული ჯერ არ არსებობდა და მხოლოდ ხუცური ანბანი იყო გავრცელებული. როგორც ვიცით, ხუცურში ზოგიერთა ასოები, მაგ. შ და ბ, ტ და ძ, პ და ლ ერთმანეთში ძნელად გაირჩევა; ამის გამო მწერლებს ძველადვე ეს ასოები მხედრულის ხელით გადაწერილს „ქართლის ცხოვრებაში“ აურევიათ და ამ მიზეზით, მაგ., ნაცვლად შიომისა, არშაკისა, არდაშირისა, მობიდანისა, შაბურისა, აბალასი, შამქორისა, დარიალანისა, ჯვანშერისა, მურლულისა, ჰკითკულიბთ: ბიობ, არბაკ, არდაბირ, მოშიდან, ბაბურ, აშალ, ბანქორი, ჯვანბერი, დარღალანი, მუძღული და სხვ. ეს შეცდომა ხშირია და ამის კვალი დარჩენილია თვით მეთორმეტე საუკუნის „სომხურ ქრონიკაშიაც“, რომელიც ზევით მოვიხსენეთ, და მეცამეტე საუკ. მხითარ აირივანქელის „ქრონილოგიურს ისტორიაშიაც“.

თვით ლექსთა-წყობა და საგრამატიკო ფორმები ძველის „ქართლის-ცხოვრებისა“ აღმოაჩენენ საგრძნობელს, განსხვავებას, თუმცა იმათ მომავალის საუკუნოების კალმის კვალიც-კი დასტურებია. გარდა ამისა „ქართლის-ცხოვრებაში“ ვპოულობთ იმისთანა ლექსებს, რომელნიც შემდეგ საზოგადოდ არიან მიღებულნი, მაგრამ ძველად-კი ან არ იხმარებიან, ან განსხვავებულის აზრით იხმარებიან, მაგ. ბიძა, პაპა სულ არ ამოიკითხვის და ამათ მაგიერ იხმარება: მამის ძმა, დედის ძმა, მამის მამა; თარგმანი იხმარება მთარგმნელის ნაცვლად: „კანანელთა თარგმანთა“, „მოუწოდა თარგმანსა“. ხშირია სეფე და ამ ლექსიდამ წარმომდგარი რთული სიტყვა: სეფე-შვილი, სეფე-ქალი, სეფე-წული, სეფის-პირი, სეფე-მწიგნბარი, სეფენი ქვეყნისანი, სეფე-დროშა, სეფე-ვენახი; „ხარაკა“ სულ ძველად, შემდეგ „ხარკი“, მასუკან „ხარაჯა“, სულ ბოლოს „ხარჯი“; „სანახები“ ნაცვლად სიტყვისა საზღვარი,

გარეშემო ადგილები: „სანახები ქართლისა“; „არენი და სანახები ქართლისანი“; „მსგეფსი“—შვიდეულის მაგიერ ან სწორის—სწორისა: „დაიბანაკეს მსგეფსი ერთი“; „დაჰყვეს მუნ მსგეფსი ერთი“. მრავალია „ქართლის-ცხოვრების“ ძველს. ნაწილში იმ გვარი ლექსები, რომელთაც იგივე მნიშვნელობა აქვთ თვით სახარების უძველეს ვარიანტებში და სხვა მანუსკრიპტებში.—ძველი „ქართლის-ცხოვრება“ შეიცავს ერთს შესამჩნევს ფაქტსა, რომელიც გვაძლევს შეურყეველს საბუთს თავის სინამდვილისას. „ქართლის-ცხოვრება“ აშოტის შვილის გვარამის დროდამ (883) ტაო-კლარჯეთის მფლობელთ უწოდს მამფლებად, როგორც კახეთის მფლობელთ—ქორიკოზებად. ლექსი მამფალი უდრის შემდეგის საუკუნოების, მთავარსა და იხმარება მხოლოდ მეათე საუკუნის გასვლამდე, როდესაც მამფლები ერთ-მპყრობელობის დაარსების გამო საქართველოში გაპქრენ. ამავე ლექსისა ხმარობს, როდესაც ტაო-კლარჯეთის მპყრობელთ შეეხება მეათე საუკუნეში ბიზანტიის მწერალი კოსტანტინე პორფიროგენი და ხმარობენ აგრეთვე იმავე დროსათვის: მეთერთმეტე საუკუნის მემატიანე სტეფანი აზოჭივი და სხვა და სხვა ქართული მანუსკრიპტები და გუჯრები, საკვირველია, რომ ლექსი მამფალი ტაო-კლარჯეთის საზღვრებს თითქმის არ გასცილებია და ამასთანავე მეთერთმეტე საუკუნიდამ არც მატიანებში, არც სხვა ძველ მწერლობაში აღარ ამოიკითხვის.—

რომ მომეტებული ნაწილი „ქართლის-ცხოვრებისა“ მირიანის მეფის დროდამ თითქმის თავ-თავის დროს იწერებოდა, ამას ადგილ-ადგილ „ქ.-ცხოვრება“-ვე გვიჩვენებს. ზოგიერთ-თა ეჭვი შეპქონდათ და შეაქვთ კიდეც „ქართლის-ცხოვრებაზე“ იმ გარემოების გამოცა, რომ „ქართლის-ცხოვრება“ არ იხსენიებს, რომელი მოთხრობა როდის და ვისგან არის შედგენილი. ეს მართალია, მაგრამ უმთავრესი ამისი მიზეზი, რომლის განხილვაში არავინ შესულა, ის უნდა იყოს, რომ „ქართლის-ცხოვრება“ შეადგენდა სხვა-და-სხვა ვრცელთა

კერძო ქრონიკებთაგან „შემოკლებით გამონაწერ საზოგადო საკითხავ წიგნსა. ამ აზრის საბუთს იმის შინაარსივე გვაძლევს, როდესაც გვაუწყებს, მაგ., „ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა სომეხთასა“... „წიგნსა წამებისა რითსიმესა“ (აგანთან-გელის ისტორია)... „ვითარცა წერილ არს ცხოვრებათა სპარსთასა“... „ბერძენთასა“... „ვითარცა წერილ არს სრულსა ცხოვრებასა მისსა“... „დაიწერა ცხოვრება და სასწაულნი მათნი (ათორმეტთა სირიელთა მამათა) და დაისხნეს ეკლესია-თა შინა ქართლისათა და აწ ვიწყოთ შემოკლებით ცხოვრება მათი“... „რომელი თვითოეულად ჰპოვო ცხოვრებასა მათსა (აფხაზთა მეფეთასა)“... „ვითარცა მოგვითხრობს ძვე-ლი მატიანე ქართლისა“... „ვითარცა მოგვითხრობს წიგნი მეფეთა და ესე მცირედ სიტყვანი, ვითარცა თესლის-მკრებელ-მან მიმო-განთესილნი წმინდათა წერილთაგან ერთად შემოვ-კრიბე“... „...ვითარცა მოგვითხრობს ჩვენ აღწერილი გუ-ჯარი, რომელსა შინა აღწერილ არიან მეფენი და წარჩინე-ბულნი ტომებით და სოფლებით მათით“. თუმცა, როგორც ეს გამონაწერი გვამცნევს, სირიელ მამათა და სხვა წმინდა-თა გარემოებანი მხოლოდ გაკვრით არიან ნაჩვენებნი „ქარ-თლის-ცხოვრებაში“ და ამასთანავე ამათნი შემაღენელნი არ არიან დასახელებულნი, მაგრამ მომეტებულს ნაწილს ამ წმინდანთა კერძო ცხოვრების აღწერისას ჩვენამდე მოუღწევია, რადგან იგინი იკითხებოდენ ეკლესიებში, როგორც ამას მოითხოვდა საეკლესიო კანონი; ამის გამო თვითოეულის მათგანის ავტორებიც ვიცით, ვინ არიან. ამას ვერ ვიტყვით საზოგადოდ საერო კერძო ქრონიკებზე. რადგანაც იმათ ან არ მოუღწევიათ ჩვენამდი, ან ჯერ არ არიან იგინი აღმო-ჩენილნი. მხოლოდ ორი-სამი შემთხვევა ვიცით, როდესაც „ქართლის-ცხოვრება“ მოიხსენებს ავტორებსა. აი ეს შემთ-ხვევავანი, რომელნიც სიტყვა-სიტყვით შემოგვაჭვს: „წიგნი ესე „ქართლის-ცხოვრება“ ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებო-და უამითი-უამად; ხოლო ვახტანგ მეფიდგან ვიდრე აქამომ-

დე ოღწერა ჯვანშერ ჯვანშერიანმან და ამიერიტგან შემდგომთა ნათესავთა ოღწერონ, ვითარცა იხილონ და წინამდებარებაშ უმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა...“ „ესე არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება და ნინოსაგან ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა და ახლა ითანედეკანოზი სწერს“... „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა, ჩვენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადით მოიწივნეს ამას ქვეყანასა ანუ რომლით უამიდგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა, რომელი აღწერა სუმბატ, ძემან დავითისამან“. რა ეკუთვნის „ქართლის-ცხოვრებაში“ ან მროველს, ან ჯვანშერს, ანუ ითანედეკანოზს, არ ვიცით. არ ვიცოდით აგრეთვე აქამომდე, რა ეკუთვნოდა სუმბატს, რადგანაც იმაზედ მხოლოდ შენიშვნაა მიწერილი აკადემიის ძველს ვარიანტში; მაგრამ როდესაც მარიამ დედოფლის ვარიანტი გავჩხრიკეთ, ვნახეთ, რომ აქ სუმბატის ქრონიკა მთლად ცალკეა შეტანილი „ქართლის-ცხოვრების“ ტექსტში, იწყება მეექვსე საუკუნიდამ და თავდება მეთერთმეტე საუკუნეში ბაგრატ IV დროს; დაბეჭდილ „ქ.-ცხოვრებაში“ და სხვა დედნებში კი დაგლეჯილია და აქა-იქ გაფანტული. სუმბატის ვინაობაზე ცნობა არა გვაქვს. ჩვენის აზრით, ის უნდა იყოს ტაოკლარჯეთის ბაგრატიონთაგანი, რადგანაც ამ ბაგრატიონთისტორია „ქართლის-ცხოვრებაში“ ეკუთვნის სუმბატსა. ამასთანავე მხოლოდ იმ ბაგრატიონთა შორის ვპოულობთ რამდენსამე სუმბატს დავითის ძეთა იქნება იგია უკანასკნელი სუმბატ, რომლის სიკვდილსაც „ქართლის-ცხოვრება“ უჩვენებს 988 წელს, და თუმცა სუმბატის ქრონიკა იმის სიკვდილსაც გადასცილდება, მაგრამ შესაძლებელია, რომ ეს შემდეგი სხვამ განაგრძო. ამ გვარივე უნდა იყოს აქა-იქ „ქართლის-ცხოვრებაში“ დაბნეული თვით მროველისა, ჯვანშერისა და ითანედეკანოზის ქრონიკები. ვნახოთ, იქნება ესეც აღმოჩნდეს რომელსამე ვარიანტში.

ზემო ხსენებულ ცნობათა გარდა ჩვენამდე მოუღწევია

სხვა ცნობებსაც ძველ ქართულ წყაროებზე, რომელნიც არ ვიცით, სად იპოვებიან, კერძო სახლებში, თუ მონასტრების წიგნთ-საცავებში. მაგალითებრ, სად არის ბაგრატ მეფისა-გან მეათე საუკუნეში. შედგენილი „აფხაზეთის ისტორია“, საიდამაც იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოზს მე-XVII საუკუნეში აღგილობრივ გამოუკრებია თავისი ცნობები და რომელიც აქა-იქ „ქართლის-ცხოვრების“ ცნობათაგან განსხვავდება? სად არის ან ის ისტორია, რომელიც, როგორც ვახუშტი გვარწმუნებს, ვახტანგ VI-ს ბრძანებით იყო შედგენილი გიორგი ბრწყინვალის დროდამ თვით ვახტანგ მეფემდე? ანუ ის მასალა, რომელიც ვახუშტისვე ჰქონია თავის გეოგრაფიისა და ახალის ისტორიის წყაროებად, მაგ., იმერეთის ძველი გარიგების წიგნი, დავითნი მესხური, ხუთწიგნად დაყოფილი, იმერული სძილის პირი ეტრატზე, ტლაშაძის მიერ აღწერილი ქორონიკონები და სხვ. (იხილე „ქართლის-ცხოვრება“, II, 237). სად არიან ის სხვა-და-სხვა გვარნი წყარონი, რომელთაც ბატონიშვილი თეიმურაზ მოიხსენებს თავის ისტორიაში და რომელნიც თვით მას ჰქონია ხელში, მაგ. არსენი კათალიკოზის მოთხრობა, საიდამაც ანტონი მეორის მინდობილებით თეიმურაზს გამოეწერა პეტერბურგში 1822 წ. სეზოსტრისზე ცნობა, რომელიც არსენის აღმოეკითხა დიდს ქართულს მატიანეში? ანუ თვით ანტონის გამოწერილი ძველის „ქ.-ცხოვრებიდამ“ ისტორიული მოთხრობა და მრავალთა წერილთაგან გამოკრებილი მოთხრობანი? ანუ ის „წერილი“, ძველი ფრიად, ძველთა წინაპართა ჩვენთაგან შედგენილი, რომელიც, როგორც იგივე თეიმურაზ გვარწმუნებს, გიორგი მთაწმინდელს „ენახა ანტიოქიის სვიმონ წმინდის მონასტერში და საიდამაც გიორგის გამოკრიბა თავისი მატიანე?“

ახლა აღარ უნდა ვეჭვნეულობდეთ, რომ საკმაოდ მოიპოვებიან ჩვენში იმ გვარნი ჩვენის ისტორიის წყარონი, რომლებზედაც ჯერ-ჯერობით არა-ვითარი ცნობა არა გვაქვს.

და რომელთაგან ზოგიერთებს ხან-და-ხან შემთხვევით ვპოულობთ. ერთიც იმათგანი ჩვენ შეგვხვდა ამ ცოტა ხანში (1888 წ.). იგია შეტანილი მეცხრე საუკუნის ტყავზე ნაწერს დიდ საეკლესიო მანუსკრიპტში, რომელიც ჩვენის „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნთა-საცავი-სათვის შემოუწირავს ალექსიძეს—მესხიშვილს და წიგნთა-საცავის კატალოგში აღნიშნულია 1141 ნომრით. იმისი სა-თაურია: „მოქცევა ქართლისა“, რომელიც შეიცავს 433—497 გვერდსა და ჩართულია მანუსკრიპტში ბაგრატ მე-ფის დროს (826—876 წ.) ითანე ბერაის ხელითა. ამ „მო-ქცევას ქართლისას“, განსხვავებულს იმ ცნობათაგან, რო-მელნიც ჩვენა გვაქვს, წინა-უძლვის ქართული მოკლე მატია-ნე (გვ. 433—446). ეს მატიანე იწყება ალექსანდრე მაკედო-ნელის დროდამ და სწყდება აშოტ კუროპალატის (786—826 წ.) მემკვიდრის გვარამ ერისთავთ-ერისთავის დროს, ესე იგი იმ დროს, რომელსაც ეკუთვნის თვით მანუსკრიპტი. ეს მატიანე გამოკრებილია, როგორც ეტყობა, სხვა დიდის მატიანიდამ და ბევრში ეწინააღმდეგება „ქ.-ცხოვრებას“. — ხსენებული წყარო ჩვენ მიგვაჩნია შესანიშნავ წყაროდ. არც მატიანეში, არც „ქართლის მოქცევაში“ ჩვენ არა ვხედავთ არავითარ კვალს არც უცხოელ მწერლობის გავლენისას, არც შემდეგ საუკუნეთა ცვლილებისას. ერთიც და შეორეც აღმეჭვილნი არიან იმ ხასიათით, რა ხასიათიც უნდა ჰქონი-ყოთ იმათ იმ დროს, როდესაც იგინი პირველიდ არიან შედ-გენილნი. მატიანე ბევრშიაც ჰშველის „ქართ.-ცხოვრებასა“. „ქართლის-ცხოვრებით“ ზოგნი მეფენი და მთავარნი მეტის-მეტად დიდხანს მეფობდენ და მთავრობდენ, მაგ. 40—60 წელს, მაშინ როდესაც ჩვენის ქვეყნის პოლიტიკური მდგო-მარეობა, მეტადრე სასანიანებისა და არაბების ბრძანებლობის დროს ისეთი იყო, რომ ხანგრძლივი მეფობა ანუ მთავრობა შეუძლებელი საქმე იყო. მატიანე იმ ხანად აღრიცხავს რამ-დენსამე მეფეს თუ მთავარს და ამ წყაროს შემწეობით ახლა

შეგვიძლიან ჩვენ თითქმის შევიგნოთ, მაგალითებრ, ვინ იყვნენ, სხვათა შორის, წმ. ესტატე მცხეთელის ცხოვრებაში (VII საუკ.) ნაჩვენები ქართლის პატიახში არშუშა, ანუ მეცხრე საუკუნის მანუსკრიპტში ჩართულის წმ. აბოს ცხოვრების პირნი, ქართლის ერისთავ-მთავარნი: ნერსე, ძე ადანარსე კუროპალატისა, სტეფანოზ, დის-წული ნერსესი და ძე გურგენისა. გარდა ამისა მატიანე ყოველთვის უჩვენებს, რომელ დროს ვინ იყო პირველი მთავარ-ეპისკოპოზი კათალიკოზის დაწესებამდე. ამ გვარადვე ასახელებს იგი ყველა კათაკოზებს, მათ შორის იმათაც, რომელთაც „ქართლის-ცხოვრებაში“ ჩვენ ვერა ვპოულობთ. პოლიტიკური მდგომარეობაც და უცხოელთ მფლობელობაც აგრეთვე გარკვევით არის ნაჩვენები... აქ დავძენთ, რომ თუ ამ მატიანის დიდი დედანი სადმე აღმოჩნდება, მაშინ, ჩვენის აზრით, ჩვენ შევიძენთ ერთს ახალს, იქნება უკეთესსაც, ისტორიულ მასალას ძველის ჩვენის დროისას.

დიმ. ბაქრაძე

საჭიროება სტავლისა.

(სიტყვა, თქმული სამეურნეო სკოლის განსწორების უამს სოფელს წინამძღვარიანთ კარში გლეხეცაცთა წინაშე.)

ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედა-მიწას გული გადაუსხნა, შიგ აუარებელი, ულეველი სიმდიდრე ჩაუდვა და აღამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯე და ეგ სიმდიდრე დედა-მიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადლეგრძელოდ მოიხმარეო. ჩვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტელმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში, დაიბერტყაო. ამას ამიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სავსეა. არც თვითონ ჩვენა ვართ უხეირონი, ღმერ-

თი-რჯული. მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალ-ლონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია. ეს ყველაფე-რი გვაქვს. ეს მდიდარი, პატარძალივით მორთული ქვაყანა, ეს ჯანიანი, მკლავ-ძლიერი ხალხი, გამრჯელი და ოფლის მლვრელი—მაშ რალადა ვართ ღარიბნიო?—მკითხავთ თქვენ-

იმიტომ-რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე სძევს, სად რა განძია. არ ვიცით, საიდამ რა ამოვილოთ, რა ხერხით და-ოსტატობით ამოვილოთ, რომ ჯაფაც აღვილი იყოს და ნა-ჯაფიც ბლომად. აკი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერ-თი რამ გვაკლია, სახელდობრ, ისა, რაც, თქვენისავე სიტყ-ვით, თვითონ ღონესაცა სჯობია, რაც ძლიერს მკლავს ხერ-ხიანად ამოქმედებს, რაც კაცის თვალს დედა-მიწის გულში ჩაახედებს, რაც კაცს წინ-მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისაგან შენოვის მიბარე-ბულიო; ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით უფრო აღვილად, უფრო ბლომად ამოილებო.

მაგისთანა ღვთისნიერ წინამძღოლს ცოდნა ჰგვიან. უა-მისოდ დედა-მიწა თავის უხვს და უხარბელს გულს არ გა-დაგვიხსნის, ისე უხვად არ მოგვაბარებს, რამოდენათაც ჩვენ-თვის მიბარებული აქვს. სხვა ქვეყანაში, საცა ცოდნა აქვს ხალხსა, ოთხი დღის მიწა ისე უჭირველად აცხოვრებს მთელს ოჯახს, როგორც ჩვენში ოცისა და ორმოცის დღის პატრო-ნი ჰერა ჰსცხოვრებს. რათა? განა იმიტომ რომ ისინი მკლავ-ძარღვით ჩვენა გვჯობიან!؟ არა. იმათ ცოდნა აქვთ, ხერხი იციან. „ხერხი სჯობია ღონესაო“, თქვენგანვე თქმულა და მარლალიც არის.

ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თვითონ, თავის-თავადაც სი-მდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ: ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერ-ცა ვინ წაართმევს, ვერცა ვინ წინ გადუდგება. ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც დიდი ბაზარი აქვს,

ხმალზედაც უფრო მეტად სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია.

ლონიერი და ჭირთა მძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია: „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჭქონდეს და გამოპჭონდესო“, თქვენგანვე მაქვს გაგონილი და დასწავლული. მართალიც არის: კაცი სხვის მარგეც უნდა იყოს და თავის თავისაც, კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გაულესია, ცოდნის ჩარხზედ გაუჩარხავს. მაშინ ხერხს ხერხსავით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს.

ეგ თქვენ თვითონაც კარგად იცით. თქვენ თვითონ ყოველ დღე ჰქედავთ, რომ ეგ აგრეა. ალოში გუთნის-დედას მეტს არგუნებთ ხოლმე, ვიდრე მეხრესა. რადა? იმიტომ რომ გუთნის-დედა მცოდნეა და მეხრე-კი არა. ურმის მკეთებელი უფრო მეტადა ჰლირს, მოჯამაგირედ რომ დგება, თუმცა უბრალო მუშა-კაცი ერთი-ორად იმაზედ მეტი იყოს მკლავითაც და ჯანითაც. რადა? კიდევ იმიტომ; რომ ურმის ხელოსანი მცოდნე კაცია და უბრალო მუშა-კი არა.

ამიტომ ვამბობ, რომ ცოდნა თვითონ, თავის-თავადაც სიმდიდრეა-მეთქი, მერე იმისთანა მაღლიანი სიმდიდრეა, რომ, რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმითი არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოველე. პირ-იქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა.

სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ თუნდაც ცოტად ბუუტავდეს, შორს საღმე ბნელაში, ქურდს, მპარავს, მტერს აფრთხობს, იქ სინათლეა, სჩანს ჰლვიძავთო, და და-

გვიანებულს. მოყვარეს-კი ახარებს კიდეც იმით, რომ იქ ლვი-
ძილია, მღვიძარენი დამხვდებიან და მიმასპინძლებენო.

სინთელს მარტო იმაში არა ჰეთეს, რომ სანთელი, რო-
ცა იქნება, ჩაიწვის და გაქრება ხოლმე; ერთხელ ანთებული-
ცოდნა-კი თავის დღეში არა: მამიდგან შვილზედ გადადის,
შვილიდან შვილი-შვილზედ, უფრო გადიდებული, უფრო
გაძლიერებული.

ცოდნა იმითია კიდევ კარგი, რომ იმან უფროს-უმცრო-
სობა არ იცის. როგორც საყდარი, როგორც ეკლესია, რო-
გორც თითონ ღმერთი ერთნაირად შეივეღრებს, ერთნაირად
შეიკედლებს, ერთნაირად იშვილებს ხოლმე ძონძებში გა-
ხვეულ გლეხებსაც და ბუზმენტებით მორთულ თავადსაცა. ყველას ერთნაირად მოუხდება, ყველას ერთნაირად დაშვე-
ნებს ხოლმე, ოღონდ-კი კაცი გულ-მონდომილი და მოწა-
დინებული მივიდეს ცოდნის კარამდისა.

ახლა სად არის ეგ კარი? როგორ შევიძინოთ ის სა-
ნატრელი განძი, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც
ჩვენ და ჩვენს ქვეყანას ეგრე უჭირს? გამოვიდა ჩვენში ერ-
თი გულ-მტკივნეული კაცი და გვითხრა: გზას მე გიჩვენებ-
თო, თქვენ ოღონდ ხალისი გამოიჩინეთო. ის კაცი მარტო
თავისის თაოსნობით, დაუღალავის მცდელობით, თავ-გამო-
დებით, მხნეობით შეუდგა ამ ძნელს საქმეს და, თავის სასა-
ხელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ, აქ, ამ სოფელში, აკვანი
დადგა ცოდნის გასაზრდელად და ძუძუსათვის ძიძები მოიწ-
ვია. ის კაცი ილია წინამძღვრი შვილია, ის აკვანი აი ის პა-
ტარა შენობაა, რომელიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა
სოფელს, ძიძები კიდევ მისგან მოწვეული ოსტატები არიან.

აი სად და ვისის ხელით აინთება აქ ის სასიხარულო
სანთელი, რომელიც მტერს დააფრთხობს და მოყვარეს გაახა-
რებს და რომელსაც ცოდნა ჰქვიან. მაგას გამოიტანენ თქვე-
ნი შვილები და მოპფენენ ქვეყანასა, ჩვენდა სადღეგრძელოდ,
ჩვენდა საბედნიეროდ.

ცოდნა ბევრნაირია. ხოლო აქედამ თქვენი შვილები გა-
მოიტანენ იმისთანა ცოდნას, რომელიც დედა-მიწის გულში
ჩაგვახედებს, მიგვაგნებინებს, სად რა სიმდიდრე უძევს და რა
რიგის ხერხით, რა რიგის ოსტატობით შეიძლება იმ სიმდიდ-
რეს ხელი დავაწვდინოთ, ამოვილოთ და მოვიხმაროთ ქვეყ-
ნისა და ჩვენის თავის სადღეგრძელოდ.

მაშ გაუმარჯოს, ხალხო, ამ სკოლას, ამ ცოდნის აკვან-
სა! გაუმარჯოს ილია წინამძღვრიშვილს, ამ აკვნის და-
მდგმელსა! გაუმარჯოს ამ სკოლის ოსტატებსაც, რომელიც
ამ აკვანს დაარწევენ, დასაძინებლად-კი არა; გასაზრდელად,
გასაღვიძებლად! გაუმარჯოს ამ პატარა ჭაცხაც, თავადს
ბებუთაშვილს, რომელმაც დაუზოგველად, უსასყიდლოდ, მარ-
ტო ერთის სიყვარულისა გამო, თავისი დრო და ცოდნა ამ
სკოლის აშენებას მოახმარა! ღმერთმა გაუმარჯოს იმათაც,
რომელიც დღეს აქ არ არიან, მაგრამ გულით-კი ჩვენთან
დღესასწაულობენ ამ სკოლის გამართვას, რაღაც მონაწი-
ლენი არიან ამ დიდის საქმისა! ღმერთმა თქვენც გამარჯვე-
ბა მოგცესთ ყველგან და ყოველთვის! ღმერთმა შეგასწროთ
იმ დროს, რომ აქედამ, ამ სკოლიდამ გამოსულს შვილს შე-
ჰეაროდეთ და იმის ცოდნით ფეხზედ წამოყენებულმა ოჯახ-
მა, გამოკეთებულმა მამულმა თქვენის თვალითვე დაგანახოთ,
რომ მართლა „ხერხი სჯობია ღონესა“. მაშინ იქნება ჩვენ-
მა თვალმავე ისიც გვიმოწმოს, რაც გულში მამა-პაპათაგან
მარტო ანდერძათ ჩაგვრჩენია: „ის ურჩევნია მამულსა, რომ
შვილი სჯობდეს მამასაო“.

თქვენ იცით ხოლმე, როცა სიმღერას /გაათავებთ, იტყ-
ვითა: „თქვენი გამარჯვებისა იყოსო“/. მეც გავათავე, რაც სა-
თქმელი მქონდა, და თქვენებურად, ჩვენებურად გეუბნებით:
„თქვენი გამარჯვებისა იყოს“!

რა არის დედა-ენა?

(უშინსკისა)

ენა ხალხისა არის საუკეთესო, დაუმჭვნარი და ყოველთვის ახლად გაფურჩქვნილი ყვავილი იმის სულიერის ცხოვრებისა, რომელიც იწყება შორს, ისტორიის საზღვარს იქით. ენაშია შთაბერილი სული მთელის ხალხისა და მთელის იმის დედა-ქვეყნისა. ხალხის სულიერ შემოქმედობის ძალით ენა განახორციელებს და შეჰქმნის აზრად, სურათად და ხმად სამშობლოს ცასა, იმის ჰაერს, იმის ზეციურ მოვლენათ, იმის ჰავას, იმის მინდვრებს, იმის მთა-ღელეს, იმის ტყესა და მდინარეებს, იმის ქარიშხალს და ელვა-ჭექას, — ყოველს იმ აზრითა და გრძნობით სავსე ხმას დედა-ბუნებისას, რომელიც ისე აშკარად მოსჩანს კაცის სიყვარულში მის ხანდის-ხან მკაცრის სამშობლოსადმი, რომელიც ისე ცხადად გამოითქმება მშობლიურს სიმღერაში, მშობლიურს კილოვი, ხალხის პოეტების ენით. მაგრამ ხალხის ენის ნათელსა და გამჭვირვალე სილრმეში მოსჩანს არა მარტო დედა-ქვეყნის ბუნება, არამედ სრული ისტორია ხალხის სულიერ ცხოვრებისა. ჩამომავლობა მისდევს ჩამომავლობას, მაგრამ ყოველ მათგანის ცხოვრების ნაყოფი გამოიხატება ენაში შემდეგს თაობათა სამკვიდროდ. ჩამომავლობა ჩამომავლობაზედ აგროვებს დედა-ენის სალაროში ღრმა გრძნობათა ნაყოფს, ნაყოფს ისტორიულ მოვლენათა, მათ სარწმუნოებას, გამომხატველობას; სტოვებს კვალს გამოვლილ მწუხარებისა და სიხარულისას, — ერთის სიტყვით თვის სულიერ ცხოვრების ნაყოფს ერთ მოწიწებით ინახავს დედა-ენაში. ენა არის ცხოველი, მკვიდრი კავშირი, რომელიც ერთობის სულს უდგამს ყოფილს, აწმყოს და მომავალს თაობას ერისას. ის არა თუ ხალხის სიცოცხლის გამომხატველია, — ის არის თვით სიცოცხლე. როცა ხალხის ენა ჰქონება, — ჰქონება ხალხიც. ვიდრე ენა ცოცხალია და ხალხი იმაზედ ლაპარაკობს, — ხალხიც

ცოცხალია; და იმისთანა აუტანელი ძალადობა არა იქნება-
რა, რომ წაართვა ხალხს სამკვიდრო, შექმნილი და დატო-
ვებული აურიცხველ უწინდელ თაობათაგან. წაართვით ხალხს
ყოველისფერი — და ის ყოველისფერის დაბრუნებას შეიძლებს;
მაგრამ, თუ ენა წაართვით, — ის თავის დღეში ველარ შეჰქმნის
მას; ახალს სამშობლოს კიდევ შეჰქმნის ხალხი, მაგრამ ენას
კი ველარ; მოკვდა ხალხის ენა და მოკვდა ხალხიც! და თუ
კაცს აძრწუნებს ერთის ადამიანის მოკვლა, რომელსაც უი-
მისოდაც დიდი დღე არა აქვს, — რა უნდა ვიგრძნოთ მაშინ,
როდესაც ცუპირებთ მოკვლას მრავალ-საუკუნე-გამოვლილს
და ისტორიულს პირს — ხალხს, ამ დიდებულს ქმნილებას?...
ენა არის სრული და სარწმუნო მატიანე ხალხის სულიერ და
მრავალ-საუკუნე-გავლილ ცხოვრებისა და იგივეა უდიდესი
ხალხის მოძღვარი. ბავშვი ითვისებს დედა-ენას და მასთან
ერთად ითვისებს აზრისა და გრძნობის ნაყოფს ასისა და
ათასის განვლილ თაობისას, რომელნიც დიდი ხანია, რაც
განხრწნილან დედამიწაში. ბავშვი აკვირდება ქვეყნიერებას
და ყოველივე ნახული, ნაცალი, ნაგრძნობი და ნაფიქრი იმ
აურიცხველ ჩამომავლობათა გარდაეცემა მას აღვილად, უშ-
რომლად, და როცა სწავლობს იგი დედა-ენას, შედის ცხოვ-
რებაში, უძლეველის ძალით შეჰქურვილი. ბავშვი არა სწავ-
ლობს დედა-ენას, როგორც უბრალო ნიშნებს და სიტყვებს,
— ის სწოვს სულიერს ცხოვრებას დედა-ენის მკვებავ ძუძუ-
დამ; იგი უმარტებს მას ბუნებას ისე, როგორც ვერც ერთი
ბუნების მეცნიერი ვერ განუმარტებდა, იგი აცნობებს მას
ადამიანთ ხასიათს, ხალხსა, საზოგადოებას, მის ისტორიას,
მის მისწრაფებას ისე, როგორც ვერც ერთი ისტორიკოსი
ვერ გააცნობდა; იგი უხსნის მას ხალხის რწმენას და მის
პოეზიას ისე, როგორც ვერც ერთი ესტეტიკოსი ვერ აუხს-
ნიდა; იგი ისეთს ნათელსა ჰფენს, მის მსჯელობასა და ფი-
ლოსოფიურ შეხედულობას, როგორსაც ვერც ერთი ფილო-
სოფოსი ვერ მოჰყენდა.

ქართული მწიგნობრობა და უძველესი ხელ-
ნაწერები.

ქართულის მწიგნობრობის ბედი მე-V საუკუნიდამ მე-XVIII-მდე ამ სახით გვეჩვენება: მისი ისტორია ორ დიდ ხანას შეიცავს — ძველს, მეხუთე საუკუნიდამ მეთერთმეტემდე და ახალს, მეცამეტე საუკუნიდამ მეთვრამეტემდე.

პირველ ხანაში მწიგნობრობას გამოუვლია დრო მთმზადებისა, მეხუთე საუკუნიდამ მეცხრემდე, და დრო კლასიკური, შეათე საუკუნიდამ მეთორმეტემდე. ხოლო მეცამეტე საუკუნისაწყისიდამ მეჩვიდმეტე საუკ. დასაწყისამდე, როცა მწიგნობრობამ ახალი ხასიათი მიიღო, ჩვენ ვხედავთ დაცემას ლიტერატურულის და ხელოვნურის შემოქმედობისას. მიზეზი ამ დაცემისა იყო განსაცდელნი, რომელიც საქართველოს მოევლინა შინ და გარედ, მაგალითად: მე-XIII საუკუნეში თავს დაესხნენ პირველნი მონვოლნი და ხვარაზმელნი, 1400 წ. თავს დაეცა თემური და, გარდა ამისა, მეთხუთმეტე საუკუნეში, ოსმალთაგან კოსტანტინოპოლის დაპყრობიდამ, საქართველო სრულიად მოსწყდა დანარჩენ ქრისტეანე და განათლებულ ქვეყნებსა და გარს შემოერტყა მუსულმანობა. ამ გარემოების გამო საქართველო დაიყო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს-კი ეს სიმწრისა და გაჭირვების საუკუნენი დაბოლოვდა სპარსეთის შაჰაბაზ I-ის საქართველოში შემოსევითა და მძვინვარებით, ასე რომ ამ ოთხს (XIII-XVI) საუკუნეს მწარე განსაცდელისას ბუნებრივ შედეგად მოჰყვა საქართველოს კულტურისა და პოლიტიკურის ცხოვრების დაცემა. ეს ოთხი საუკუნე ჰყოფს ძველს კლასიკურს პერიოდს (X-XII) ქართულის ლიტერატურისას ახალს, აღთქმინების პერიოდისაგან (XVII-XVIII).

მე-V-IX საუკუნეთა ნაწერებში, რომელთაც მოაღწიეს ჩვენამდე, ე. ი. 1883 წლამდე, ვიცოდით მხოლოდ ქართული წარწერები სასანიანთ ფულებისა მე-V-დამ მე-VI საუკუნემ-

დე, წარწერები ტაძრებისა მე-VII საუკუნიდან დაწყებული, მაგალითად, მცხეთის პირ-და-პირ წმ. ჯვრის მონასტრისა და რამდენიმე უთარილო ხელნაწერი; ახლა-კი აღმოჩნდა ორი ნაშთი. პაპირუსისა VII – VIII საუკუნოებისა; ერთი არის პალესტინის სადღესასწაულო და მეორე – სინას დავითნი; აღმოჩნდა აგრეთვე ათიოდე ეტრატის ხელნაწერი. მე-VIII–IX საუკუნოებისა, მაგალითად: სახარება, დავითნი, კურთხვანი, წმ. მამათა ქმნილებანი, რომელთაგან იოანე ოქროპირისა, გრიგოლ ნოსელისა, ბასილი დიდისა და კირილე ალექსანდრიელის სიტყვანი და მოძღვრებანი აღნიშნულია 864 წლის თარიღით, ე. ი. უზის ქართულის ქორონიკონის 84 (ვდ); არის მეორე კრებულიც წმ. მამათა მოძღვრებისა 925 წლის თარიღით, ე. ი. უზის ქართულის ქორონიკონის 145 (რმე). ეს ორი უკანასკნელი შესანიშნავი კრებული დაწერილია ქართულის მწერლობის გამავრცელებელს წმ. საბას მონასტერში, პალესტინას. ჩვენში-კი ქართულ მწერლობის უძველეს ნაშთად დღემდის ითვლებოდა ჭრუჭის მონასტრის, ოთხთავი, 936 წელს დაწერილი.

ამ ხნის განმავლობაში საქართველოს სამწიგნობრო მოღვაწეობის ცენტრად იყო: უმთავრესად მონასტრები, დაარსებული ცამეტთა სირიელ მამათაგან, რომელნიც მოვიდნენ საქართველოში მე-VI საუკ., სამცხის სავანენი VIII და მე-IX საუკუნისანი და აგრეთვე მეფეთა და კათალიკოსთა სასახლენი. საქართველოს გარეშე ამ გვარი ცენტრები იყო: პალესტინის მონასტრები (ყოვლად წმიდა ღვთისმშობლისა, წმ. იოანე ნათლის-მცემლისა და სხვ.) და მეფის ძის მურვანისისაგან (მონაზონობაში წმ. პეტრედ, მაიუმის (ლაზის) ეპისკოპოსად ცნობილისაგან) მეხუთე საუკუნეში დაარსებულნი მგზავრთა თავშესაფარნი, ლავრა წმ. საბასი მე-VII–IX საუკუნეთა განმავლობაში, სინას მთა მე-VII საუკუნიდამ დაწყებული და კიდევ უფრო აღრე ბერძნების ულუმბა და კოს-

ტანტინოპლი; აგრეთვე ქართველების მონასტრები სირიასა და ტრაპიზონში. ამ ხელნაწერებშია დაცული სახელები უძველესთა და უფრო ცნობილ საღმთო წიგნების მთარგმნელებისა: მე-VIII საუკუნემდე დავითისა და სტეფანოზის სახელი პალესტინაში, მე-VIII—IX საუკ. მიხეილისა და ევსტათისა სინას მთაზე, მე-X—XI საუკ. ევთიმესი და გიორგისა ათონზე და XI—XII საუკ. ეფრემ მცირესი და საბა თუხარლისა ათონზედვე.

მე-V საუკუნიდან დაწყებული მე-IX საუკუნემდე, როგორც სჩანს, უკვე დასრულებული იყო თარგმნა დაბადებისა; ეს თარგმანი დაწერილია ათონის მთაზე 978 წ. და ახლაც დაცულია. ზემოხსენებულ დროთა განმავლობაში დასრულებული იყო აგრეთვე თარგმნა უმეტეს ნაწილ საეკლესიო და სამლევდელ-მოქმედო წიგნებისა; იყო აგრეთვე დაწერილი ქრისტიანობის პირველ მოციქულთა, ქართველების, ბერძნების და სომხების ლვაწლ-მოსილთა და წამებულთა ცხოვრება. ამ თარგმანების კოპიოებმა, ამ წმიდათა ცხოვრებამ, არსენი ნინო-წმიდელის მიერ მე-X საუკუნის მე-80 წლებში გადაწერილმა, ჩვენამდისაც მოაღწია.

ეჭვი არ არის, რომ იმ ხანებშივე იქმნა შეკრებილი და აღწერილი საერთო ისტორიულნი გადმოცემანი და აგრეთვე საქართველოს მფლობელთა და გამოჩენილ ისტორიულ მოლვაწეთა ბიოგრაფიები, რომელიც შემდეგ ჩართულ იქმნა „ქართლის ცხოვრებაში“, ამ მატიანეთა კრებულში. ჩვენამდე-კი მოაღწია ამ კრებულის ბოლოს ხანებში გადაწერილმა კოპიოებმა.

მე-X—XII საუკ. საოცრად გავრცელდნენ სამწიგნობრო მოლვაწეობის ცენტრი, გამრავლდნენ მწერლობის მოლვაწენი (მთარგმელები, გადამწერნი და მხატვარნი) და მწიგნობრობის ნაწარმოებნი. ზემოხსენებულ მონასტრებს გარდა, სადაც გაცხარებული სამწიგნობრო მოლვაწეობა ჰქონდათ, საქართველოში იყო სახელ-განთქმული მონასტრები: ტბეთისა, ხანულისა, საფარისა, ოპიზასი და სხ., იმერეთში—გელათისა და

სამეგრელოში — მარტვილისა. კახეთში იყო უმაღლესნი სასწავლებელნი — იყალთოს, გრემსა და სხვ. — საქართველოს გარეშე იყო სახელ-განთქმული: ივერიის მონასტერი ათონის მთაზე, მე-X საუკუნეში დაარსებული, წმ. სვიმონ-მესვეტის და ღვთისმშობლის კალიბოსის მონასტრები აღეპვოს (ქალიბა) მახლობლად და შავს-მთაზე სირიაში და წმ. ჯვრის მონასტერი იერუსალიმში, მე-XI საუკუნის პირველ ნახევარში დაარსებული. მწიგნობრობისათვის განსაკუთრებითის მხნეობით მოღვაწეობდნენ ქართველები სინას მთაზე მე-X საუკუნიდან მე-XVI-მდე და არა ნაკლების გულსმოდგინებით იღვწოდნენ ქართველი ბერები გოლგოთაზე, წმ. აღდგომის ტაძარში, წმ. სამუელისა და პალესტინის სხვა მონასტრებში, მეტადრე მარილოვან ტბის (Мертвое море) ახლო, წმ. საბას მონასტერში, და აგრეთვე ულუმბისა და კოსტანტინოპოლის მონასტრებში.

საქართველოს პოლიტიკურის ცხოვრებისა და მწიგნობრობისათვის უბედურს მე-XIII—XVI საუკუნოებში, როცა მწიგნობრობა და მხატვრობა თვით საქართველოში სრულიად მისუსტდა, ქართულის სამწერლო მოღვაწეობის უძველეს ცენტრებში, პალესტინას და სინას მთაზე, კვლავ გულსმოდგინებით ამრავლებდნენ ქართულ ხელნაწერებს. — მე-XVII და XVIII საუკუნოების განმავლობაში, როცა საზოგადოებრივი ცხოვრება გამოფხიზლდა და მწერლობა და ხელოვნება აღორძინდა, სამწიგნობრო მოღვაწეობა თითქმის განსაკუთრებით მარტო საქართველოში მოთავსდა.

იმ კოლექციებში, რომლებსაც ჩვენ ვჩერეკავთ და რომლებიც ნაწერია პაპირუსზე, ეტრატზე, ბამბიცინსა და ქალალდზე შავი მელნითა და სინგურით, ურევია ქართულის წერის სხვა-და-სხვა ნაირი ძვირფასი, ნიმუშები, მე-VII—XVIII საუკუნოებში ნაწერი.

პაპირუსის სეინაქსარი მე-VII—VIII საუკუნის ნაწერია ხუცურად, უშნო და მიუჩვეველის ხელით; ასო-მთავრულე-

ბი და წვრილი ასოები ერთმანეთშია არეული; პაპირუსის დავითნი-კი, ამ ხანებშივე დაწერილი, ნუსხა-ხუცურით არის ნაწერი, მხოლოდ ფსალმუნები და მუხლები იწყება ასო-მთავრულებით. არის რამდენიმე ლამაზი ხელნაწერი მე-VIII-X საუკუნოებისა, წმ. საბას მონასტრისა. განსაკუთრებით ლამაზია ზემოხსენებული ორი ხელნაწერი—წმ. მამების ქძნილებათა კრებულნი 864 და 925 წწ.; ლამაზებია აგრეთვე სინას, ათონ-ივერიის და სამცხის ხელნაწერები მე-X-XI საუკუნ. თითქმის ყოველს დიდს მონასტერს თავისი ხელი ჰქონდა, მაგალითად, ათონ-ივერიის ხელი წვრილია, მოგრძო და ლამაზი, მაშინ როდესაც სინას ხელი, თუმცა აგრეთვე ლამაზია, განსხვავდება ასოების მსხვილის ხაზებით. ეტყობა რომ ქართველნი დაგამწერნი ჰბაძავდნენ იმ ხალხების წერის ფორმებს და მოხაზულებას, რომელთა შორისაც სცხოვრობდნენ. გადამწერნი არა იშვიათად აღადგენდნენ ხოლმე ხელს წინანდელ გადამწერლებისას, რომელთაც რამდენისამე საუკუნით მათზე უწინ უცხოვრიათ, მაგალითად, მე-VII-VIII საუკ. ნაწერ დავითნის ხელს შეხვდებით მე-X-XI საუკ. ათონისა და სინას ეტრატებზე ნაწერებში და მე-XIV-XVI საუკ. ქალალდზე ნაწერებშიაც. — ამავე კოლლექციებში არის ნიმუშები იმ გვარის ნაწერებისა, რომლებიდანაც ცხადად ჰხედავთ, თუ როგორ გადადის ხუცური ოთხკუთხური ხელი მხედრულს რგვალ ხელზე.

ზემოხსენებულ კოლლექციების ხელნაწერებში. უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს მხატვრობას: ეს მხატვრობა პირველად, მე-VII საუკუნეში, უხერხულია, შემდეგ თანდათან ვითარდება და ეტყობა ეგვიპტურის, ბიზანტიურის, არაბულის და სპარსულის ხელოვნების ზედ-გავლენა, თუმცა მრავალი ურევია წმინდა ქართულის ხელოვნების ნაწარმოებიც, რომელთაგან ზოგნი სისრულის უმაღლეს ხარისხამდევ შიწეული. პირველ ქართულ ხელ-ნაწერში — პალესტინის პაპირუსის სვინაქსარში — არშიებზე უხერხულად გამოხატულია

სინგურით იესო ქრისტე და წმიდანნი, აგრეთვე დიდი დღე-
სასწაულებიც. მხატვრებს უხატავთ ადგილობრივი ბუნება და
უბაძავთ ადგილობრივის ხელოვნებისათვის, მაგალითად, სინას
მე-VIII—IX საუკ. ერთს ხელნაწერში დახატულია დედალი
აქლემი, რომელსაც ლოინი კოზაკი ძუძუს სწოვს და დე-
დას-კი ამასობაში კისერი გაუშვერია ბზის შტოის გამოსართ-
შევად, რომელიც პირში უჭირავს მის წინ მდგომარე ირემს და
აწვდის აქლემს. საზოგადოდ, სინას ხელნაწერების მინიატურე-
ბი სიკმაოდ ჰქონდება. ეგვიპტისა და არაბეთის ხელოვნებას. სამც-
ხის, გელათის და მარტვილის მონასტრების მე-X—XII საუ-
კუნოების ხელნაწერთა მინიატურულ მხატვრობაში, ასო-
მთავრულებში, ფერად სვეტებში და სხვ. ერთობ ისტატუ-
რად არის შეზავებული ბიზანტიურ-სპარსული კილო ქარ-
თულ-კილოსთან. ეს მხატვრობანი უმშვენიერესი ნაშთია მი-
ნიატურულ ხელოვნებისა; სიმშვენიერით ამათ ბევრად ჩა-
მორჩება იმავე დროის (X—XII საუკ.). წმინდა ქართული მინია-
ტურები, რომელიც ყოველს შემთხვევაში ძვირფასად უნდა
ჩაითვალოს, ქართულის თავისებურ, დამოუკიდებელის ხე-
ლოვნების ნაშთად. ქართულს მინიატურებში უპირატესობა
უჭირავთ მცენარეების მხატვრობას — შტოების, ყვავილების
და ფურცლების წნულებსა, რომლებიც განსაკუთრებულს
თვისებას შეადგენს ქართულის მხატვრობისასა და ხუროთ-
მოძღვრების კილოსას (სტილისას). მე-XIII—XV საუკუნოე-
ბის მინიატურებს ეტყობათ საზოგადოდ ხელოვნების დაცე-
მა, მე-XVI—XVIII საუკ. მინიატურებს-კი ეტყობათ, რომ
სპარსულს ხელოვნებას უფრო უპირატესი გავლენა ჰქონია
მათზე, ვიდრე ბერძნულს. იმდენად ძლიერი ყოფილა ეს გავ-
ლენა, რომ ადგილის კილო (ქართული) მხატვრობისა კიდე-
ვაც დაუმორჩილებია.

ამ ბოლოს ხანს ცნობაში მოყვანილ ისტორიულ ნაშ-
თების ვრცელს განხილვას და დაფასებას სხვა დროს შე-
ვუდგები. აქ-კი მეტი არ იქნება რამდენიმე სიტყვა ვსოჭვა

საზოგადოდ ქართულს ისტორიულს მწიგნობრობაზედ, რომელსაც ამ უკანასკნელის 50 წლის განმავლობაში მეტი ყურადღება ჰქონდა მიქცეული, მაგრამ რომელსაც ზოგიერთმა რეცენზიებმა მეტი წუნიც დასდეს.

„საისტორიო ნაწილს ქართულის მწიგნობრობისას — ვაწერდი მე 1883 წელს — თუმცა განსაკუთრებულს ყურადღებას აპყრობლნენ გამომკვლეველნი ამ უკანასკნელ ორმოცდა-ათის წლის განმავლობაში და ერთგულად იკვლევდნენ, მაგრამ მისი განხილვა ჯერ სულ დასრულებულად მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს. — ქართულ მატიანეთა ნაშთების შედაზებითს ნაკლებობას (თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს სამეფოის ოცს საუკუნეზე მეტს არსებობას) და მათს გვიან შემუშავებას საკმაო სისრულეს სძენენ ჩვენამდე მოღწეულნი, რიცხვ-მრავალნი და სხვა-და-სხვა გვარნი ისტორიულნი ნაშთნი, ისტორიასთან მჭიდრო კავშირის მქონენი. წმინდა ისტორიულ ნაშთების, მაგალითად, მატიანეთა, რიცხვი, მართალია, უფრო ცოტაა, არა თუ მარტო სასულიერო ნაშთებზე, არამედ პოეზიისაზედაც, მაგრამ ამ შემთხვევაში ქართული ლიტერატურა ერთად ერთი არ არის ქვეყნიერობაზედ; მისი ბედისა პოეზიისა და სასულიერო მწერლობის ნაშთებით მდიდარი ძველის ინდოეთის მწიგნობრობა, რომელსაც არა აქვს თითქმის არც ერთი ნამდვილი ისტორია, და ძველი სპარსეთის მწიგნობრობაც, რომლის ეროვნულის ისტორიოგრაფიის ხანა იწყება ჩვენის დროთა-აღრიცხვის შეათე საუკუნიდან ისტორიულ-ეპიკურის პოემით „შაჰ-ნამეთი“, მაშინ როდესაც სომხეთს, სპარსეთისა და საქართველოს მეზობელს — სამაგალითო ისტორიკოსები ჰყავს, ხოლო პოეზიის კვალიც კი თითქმის სრულიად არა აქვს. ასე განსხვავებულია აღმოსავლეთის ოთხის მეზობელ ხალხის მწიგნობრობის ბედი. ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის განსჯას, თუ რად არის, რომ ზოგიერთს ხალხს აღყვავებული აქვს ერთი რომელიმე დარგი მწიგნობრობისა და ზოგიერთს-კი — მეორე. —

„ქართლის ცხოვრება“, რომელიც უმთავრესი და არა ერთად ერთი კრებულია ქართულ მატიანეთა, რამდენიმე ათი წელიწადია, რაც სატავო საგნად შეიქმნა მეცნიერთა შორის: ზოგიერთნი მათგანნი და მათ შორის ქართულის ენისა და მწიგნობრობის მცოდნენი ალვიარებენ ისტორიულს უყვილობას ამ კრებულისას, და ზოგიერთნი-კი, რომელთა შორის უფრო მცოდნეებს ქართულ ანბანის გარჩევაც უჭირთ, უარს ჰყოფენ ქართლის ცხოვრების ისტორიულს მნიშვნელობას და თავიანთს აზრს, რაკი ქართულის ენის ფაქტიური ცოდნა არა აქვთ, ასაბუთებენ სხვა-და-სხვა ვითამ და მოსწრებულის მოსაზრებით. ის-კი ავიწყდებათ, რომ ფაქტიურის ცოდნის უქონლობის მაგიერობას გამოსაკულეველს საგანში ვერავითარი ბრძნობა ვერ იზამს და რომ მოსწრებული აზრი თავისთავად, თუ ფაქტიურს საფუძველს მოკლებულია, ყოველთვის მართალი-კი არა, ჭკვიანურიც არ არის. ვინმემ რომ განიზრობს, მაგალითად, თუკიდიდეს, ტაციტეს ანუ ნესტორის მატიანეთა განხილვა და ბერძნულის, ლათინურის და სლოვენურის ანბანების გარჩევა-კი არ შეეძლოს, თუმცა მოხსენებულ ავტორების (პირველის ორისა მაინც) ნაწარმოები მრავალჯერ თარგმნილია და დაწვრილებით განმარტებული, ასეთი კადნიერი განზრახვა დაცინვის მეტს ვერაფერს და იმსახურებდა. ქართულის ისტორიულ კრებულის შესახებ-კი რისთვის არ უნდა იყოს ასე, — სწორედ გაუგებარი და მიუწდომელია გონებისათვის! განა რაც უფრო დახლართული და ნაკლებად გამოკვლეულია საგანი, მით უფრო ნაკლები ცოდნაა საჭირო, რომ მისი ღირსება განსაჯოს კაცმა? განა ყველას ნება აქვს, როგორც სურს, ისე განიკითხოს იგი საგანი? ის-კი არ არის საკვირველი, რომ არიან იმისთანა აღამიანები (ამისთანანი ყოველთვის ყოფილან და იქმნებიან), რომელნიც დიდის სითამამით მსჯელობენ იმ საგნების შესახებ, რისაც არა გაეგებათ-რა, არამედ ის არის საკვირველი, რომ მოიპოვებიან იმისთანანი, რომელნიც ისე გაჩვენებენ თავს, ვითამ და

ჩვენისთანა კრიტიკოსების აზრი მეცნიერებისათვის საყურადღებოა. ცდას ამ რეცენზეტებისას, რომელთაც ფაქტიური ცოდნა არა აქვთ, და სხვა-და-სხვა მოსაზრებას-კი დიდის გულ-მოდგინებით გაპყოლიან, ამაռდ არ ჩაუვლია; მეტადრე იმ მკითხველებისათვის, რომელთაც ქართული ენა და ლიტერატურა არ იციან; ამაռდ არ ჩაუვლია არც ქართულის მეცნიერებისათვისაც, რომელიც, დიდი ხანი არ არის, რაც აღმოცენდა ევროპის ნიადაგზე, ჯერ კიდევ ფესვი გამაგრებული არა აქვს, და რომლის შემდეგს ზრდას, როგორც ეტყობა, ასეთი ცდა ხითათს უქადის... ქართული ისტორიული ნაშთები ცოტა ყოფილაო, ჰერონიმენ, მოხსენებულ რეცენზენ ტების სიტყვით, ზოგიერთები, — მაშასადამე, კულტურაც სუსტი ჰქონიათ ამ ქვეყანაშიო, და თუ ეგ ასეა, განა ჰლირს ამისთანა ხალხის წარსულის ცხოვრების შესწავლაო? ამისთანა ცალ-მხრივს, ყოვლად უსაფუძვლოს და განუმარტებელს მსჯელობას უკვე მოაქვს, სამწუხაროდ, თავისი მწარე ნაყოფი, რომელსაც, შესაძლებელია, დიდად სავალალო და მავნებელი შედეგი მოჰყვეს ამ ნორჩის მეცნიერებისათვის.

ეჭვი არ არის, რომ ქართული ისტორიოგრაფია მდიდარი არ არის წმინდა ისტორიულ შინაარსიანის ნაშთებით, მაგრამ განა მარტო ქრონიკები და მატიანენი შეადგენენ ქვეყნის ისტორიას? რასაკვირველია, არა; იმიტომ რომ, რა გვეციდინებოდა ეგვიპტისა, ძველის სპარსეთისა, ასირიისა და ბაბილონისა და სხ., თუ-კი უყურადღებოდ დავტოვებდით ჩვენამდე მოღწეულს დარიბს ნაშთებს მათის მწერლობისას და წარსულის ცხოვრებისას, მაგ. იეროგლიფებს და ლურსმულ წარწერებს, ხუროთ-მოძღვრებასა და საზოგადოდ სამხატვრო ნაშთებს, საზოგადო შენობებს და სხვა სიძველეებს? შეეძლოთ განა თვით თუკიდიდეს, გინდ ტაციტეს, მათ ანაწერ ეპოქების ბერძენ-რომაელთ ცხოვრებისა და კულტურის მრავალ ნაირობასა და სიმდიდრის ყოველ მხრივი სრული სურათი გადმოეცათ ჩვენთვის, თუ რომ

ჩვენ თვითონ არ ვავსებდეთ მათს მონათხრობს სხვა გვარის ფაქტებით, რომლებსაც ვიძენთ სიტყვა-კაზმულ მწიგნობრობიდან, ხელოვნებისა და კერძო და საზოგადობრივ ცხოვრების ნაშთებისა და სხვა წყაროებიდან?!

საქართველოს მდგომარეობაც ამ ნაირია: რაზედაც მდუმარებენ მისნი მატიანენი; იმაზედ ხმა მაღლა ჰლალადებს მისი მდიდარი სასულიერო და საერო (სიტყვა-კაზმული) ლიტერატურა მეხუთე საუკუნიდან, ეპიგრაფიული და ნუმიზმატიური ნაშთები მეხუთე — მეშვიდე საუკუნიდან, ათი-ათასობით დაცული ისტორიულ-იურიდიული გუჯრები და სიგელები მეათე საუკუნიდან, აგრეთვე მრავალი ნაშთები საეკლესიო და საერო ხუროთ-მოძღვრებისა და მხატვრობისა, საზოგადო შენობათა ნანგრევნი და სხვა...

დასასრულ, ზემოდ გამოთქმული აზრები ასე შეიძლება დავასკვნათ: ა) რომელისამე ხალხის მწიგნობრობაში მატიანეთა და ქრონიკების სიმცირე ჯერ კიდევ არ ჰნიშნავს იმ ხალხის კულტურის სიღრიბესა და სიმდარეს, და არც მის აზროვნობისა და შემოქმედობის ორგანიულს სწეულებას, მით უფრო, თუ სხვა გვარი წერილობითი ნაშთი ბევრია. ამის მაგალითი არის ინდოეთი და სპარსეთი; ბ) მეორე მხრით; მატიანეთა და ქრონიკების სიმრავლე ყოველთვის არ არის მომასწავებელი ხალხის კულტურისა და ისტორიულის ცხოვრების საუცხოვო დიდებისა, ძლიერებისა და სიმდიდრისა. ამის მაგალითი არის სომხეთი; გ) წერილობითს ნაშთებს გარდა, ხალხის ისტორიას აქვს კიდევ მრავალი სხვა, ნივთიერი ნაშთები, რომელთაც უთუოდ ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ჭემარიტი აზრი შევადგინოთ ხალხის კულტურისა და ისტორიულის ცხოვრების შესახებ; დასასრულ დ) არაოდეს არ უნდა დავივიწყოთ ის თავდაპირველი წესი, რომ რომელისამე წერილობითის ნაშთის სამეცნიერო ღირსებაზე მსჯელობის უფლება ვისაც სურს იქონიოს, იმას, სულ ცოტა რომ ვსთქვათ,

იმ ენის ცოდნა მაინც მოეთხოვება, რომელზედაც ის ნაშ-
თი არის ნაწერი.

კარგად ვიცით, რომ ქართული ლიტერატურა მდიდა-
რია პოეტურ ნაწარმოებით, რომლის უმრავლესობამ ჩვენამ-
დე მოაღწია. ეს ნაწარმოებნი აღნიშნულიყაა ქართულ წიგნე-
ბის 1838 წ. შედგენილს კატალოგში. მას შემდეგ ნაპოვნია
კიდევ რამდენიმე წიგნი, ასე რომ ამ უამაღ რამდენიმე ათი
ცალი სხვადა-სხვა ფორმისა და სივრცის თხზულებანი შეგვიძ-
ლია ჩამოვთვალოთ, უმთავრესად მე-XI—XII და მე-XVII—
XVIII საუკუნისა. მათ შორის არის აღმოსავლეთის მუზის უკე-
თესნი ნაწარმოებნიც, ხშირად მთარგმნელთაგან დამატებულ-
ნი, მაგალითად, „შაჰ-ნამე“, „როსტომიანად“ წოდებული,
„ანვარი-სოპაილი“, „ქილილა და დამანა“ და სხვ. — უმრავ-
ლეს მათგანისა-კი მარტო სახელები ვიცით. ისიც უნდა ვსოდეთ,
რომ მათს შესწავლას მარტო ქართულის ლიტერატურის ის-
ტორიისათვის არ ექმნება მნიშვნელობა; მსოფლიო ლიტე-
რატურის ისტორიისათვისაც არ იქნება უსარგებლო მათი შე-
სწავლა. ამ შესწავლით შეიძლება აიღსნას იმისთანა საგნები,
რომლებიც დღეს გამოურკვევლად და დახლართულად ითვ-
ლება, მაგალითად, აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოეტურ
გადმოცემათა ურთიერთ შორისი დამოკიდებულება და კავ-
შირი, რომელზედაც ამ ბოლოს დროს დიდი ყურადღება აქვთ
მეცნიერებს მიპყრობილი.

აღ. ცაგარელი

„ქართლის ცხოვრება“ ღავით აღმაშევებელის შესახებ.

მერვე მატიანე, რომელიც შეუტანიათ ქ-ცხოვრებაში,
არის დავით აღმაშენებელის მატიანე... მემატიანე გიორგის
მეფობას ამდაბლებს, რათა მით უმეტესად აღმოაბრწყინოს
ძლიერება დავითის მეფობისა.

მატიანეში იპოვება მრავალი ცხადი ნიშნები იმისი, რომ
მემატიანე თვით მხილველია მისგან აღწერილ ამიებისა: „თუა-
ჭითა ჩემინითა ვიხილეთ და ფრიად უფროს ამათ წარმოთქმულ-
თასა“ (გვ. 239); „დღეთა ჩემინთა მოიწია ჭირი ესე“; „თვთ
მისგან გამოსრულსა ვგონებდით“ სისხლსა (გვ. 243); „ვითარ-
ცა ვგიხილავს“ (გვ. 254); „საქმენი აწ ხილულნი“ (გვ. 260);
„მრავალ-გზის ვგიხილავს იგი დამლტობელად ლაწვთა თვსთა
ცრემლითა“ (გვ. 257) და სხ. მაგრამ თვისი მატიანე რომ
დავით აღმაშენებელის სიკვდილს შემდეგ აღუწერია, უეჭვე-
ლია... აქ დავუმატებთ იმასაც, რომ მემატიანე მოიხსენებს
(გვ. 259): „არიან ვინმე მაბრალებელნი (დავით) მეფისანი
ჯერუთცა“, ე. ი. მეფის სიკვდილს შემდეგ, კიდევ იპოვე-
ბიანო პირნი, რომელნიც მეფეს ემდურიან, აბრალებენო
(გვ. 260). აქედამ ცხადია, რომ დიდს ხანს არ გაუვლია მეფის
სიკვდილსა და მატიანეს დაწერის შუა (იხ. აგრეთვე გვ. 262).
მთელი უკანასკნელი ნაწილი მატიანისა ისეთის გრძნობით
და კილოთი არის აღწერილი, ისეთის მწუხარებით არის აღ-
ბეჭდილი, თითქო მწერალი ახალს მკვდარს დასტირის და
მოსთქვამსო.

ეს უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებულს ფერსა
სდებს და განსაკუთრებულს ხასიათს აძლევს: მთელს მატია-
ნეს. რადგან მატიანე დაწერილია შემდეგ მეფის სიკვდილი-
სა, ამის გამო პირველს ნაწილს მატიანესას, სადაც აწერი-
ლია მეფის დიდ-დიდნი საქმენი, საკმაო ცხოველობა და ახ-
ლიანობა არ ატყვია. მწერალი გატაცებულია უფრო მეფის
პიროვნულ ლირსებათა მიერ, მისის სიბრძნითა, ხასიათის სი-
მტკიცითა, ღვთისნიერებითა, მხედართ-მთავრულ ნიჭიერები-
თა, კაცურ-კაცობითა. ამ მხარეს მეფისას ვრცლად და ნი-
ჭიერად გვისურათებს (გვ. 253—263). ხოლო რაც შეეხება
თვით იმ დიდებულ ლაშქრობათა, რომლითაც ამ საკვირველ-
მა მეფემ თავ-ზარი დასცა მთელის ასიის თურქობას და მთელს
აღმოსავლეთ-დასავლეთს მოჰყონა სახელი ქართველთა ძლი-

ერებისა, ამ სახელოვანს ამბებს მემატიანე, სამწუხაროდ, მოკლედ და გაკვრით-ლა აღგვინუსხავს, მრავალს დიდ-დიდს და საოცარ ამბებს ოდნავ შეეხება, ანუ ხშირად სრულიად სტოვებს; და რომ ეს ამბავი უცხო მწერალთა არ აღენუსხათ, მრავალი ძლევა-მოსილობა მეფისა სრულიადს დავიწყებას მი-ეცემოდა და დავით ალმაშენებელის ბრწყინვალე სახელი მეტად დაიჩრდილებოდა. ეს ნაწილი მატიანისა იმდენად მოკლეა, რომ თითქმის შეგვიძლია ვსთქვათ, დავით ალმაშენებელის მატიანე არა გვაქვს, გარდა თითო-ოროლა ცნობებისა, რომელთაც, ამასთან, ქრონოლოგია არა აქვს, როგორც უკვე გვითქვამს. სტრიქონ-და-სტრიქონ შეა მაინც გამობრწყიალებს სხვა რაღაც დიდ-დიდი საქმეებიცა მეფისა, და თუმცა მემატიანე ამ ამბებს არ აღგვიწერს, მაგრამ აქა იქ წამოსცდება ხოლმე. მაგ., „ერწუს წყობანი დიდ-ნი“, ალება ჰერეთის და კახეთისა და „ხმა-განსმენილი ივი დიდი ძლევა, რომელ... დახოცნა (1105 წელს) სულტანისა იგი სპანი ურიცხვნი, ათაბაგი განძისა და უმრავლესი კახ-თა და ქვეყნისა ერი (უნდა: ქვეყნისა ჰერეთისა“), მტერთავეთანა გარემოდგრძილი ჩვენთანა“ (ქ-ცხ. 243). მერე გასაგებად რად არ აღგვიწერს მემატიანე ამ „ხმა-განსმენილთა ბრძოლა-თა“, რომლისაგან საგულის-ხმებელია, რომ მეფეს აულია კახეთი და ჰერეთი, ერწოს გადაუხდია დიდ-დიდი ლაშქრობა, ალბათ კახ-ჰერთა ზედა, რომელნიც არ დაჰმორჩილდნენ; უკანასკნელ ჰერ-კახთა მოუშველებიათ სულტანი და განძის ათაბაგი, მაგრამ მეფეს სრულიად აუმტუტებია ეს აუარებელი ლაშქარი მტრისა, ჰერ-კახნი, „მტერთა თანა გარემოდგრძილნი ჩვენთანა“. ცხადია, როგორც დღე, რომ აქ იგულის-ხმება დიდ-დიდი სახელოვანი საქმე მეფისა, რომელსაც მემატიანე მხოლოდ გვანიშნებს და არ აღგვიწერს (ქ-ცხ. 242). ან რად არ აღუწერია მემატიანეს ძერნის ალება (გვ. 245), ანუ გიორგი მეფის სიკვდილი, დიმიტრის სახელოვანი ბრძოლა და დერბენდის კარის მოტანა, ლორესი და აგარახს აღ-

ბა (246), გულისტანის, შარვანის, დმანისის, შამახიის, ბივ-რიტის, ღასანის, ხოზაონდის და სხვათა ციხე-ქალაქთა და ქვეყანათა დამონება (გვ. 251—2), ანუ სხვა განსაცვიფრე-ბელნი საქმენი, რომელთაც მხოლოდ გვაგულისხმებინებს (გვ. 255—256)? ანუ რად გვიმალავს მრავალთა „განპატი-უებათა და მხილებათა“ ურჩითასა და „საშიშად-საზარელობა-სა“ ორგულთა ზედა (გვ. 257), ან იმ ქართლის ქალაქის ალების ამბავს, როდესაც მეფე ისრისაგან სიკვდილს გადაარ-ჩინა გულზე კიდებულმა ხატმა (გვ. 262); ანუ რად არ გვი-სახელებს იმ საღალატო საქმეებს, რომელნიც ყივჩაყთა გა-ნიზრახეს მეფის მოკლვისთვის „არა ერთ და ორ, გინა სამ, არამედ მრავალ გზის და არა მიუშვა ღმერთმან“ (გვ. 262), ანუ იმ ორგულობათა, რომელსაც, მემატიანეს სიტყვით, ჰმოწმობენ „საქმენი აწ ხილულნი“, ე. ი. ის საორგულო ამ-ბები, რომელიც, როგორც საგულისხმოა, მომხდარა მეფის სიკვდილის უმალ, ალბად პირველს წლებში დომიტრის მეფო-ბისას (ქ-ცხ. 260)?

ერთის სიტყვით, მემატიანე იმდენად საქმეებს არ აღვი-წერს, რამდენად ამ სახელოვან და განსაცვიფრებელ საქმე-თაგან აღტეხილს საკუთარს თვისს გრძნობას, თვისს საკუთარს აღტაცებას, განცვიფრებას, მოწიწებას ბრწყინვალე გმირის წინაშე. მთელი მატიანე ნაყოფია ამ გრძნობისა. იგი უფრო შესხმასა ჰგავს, ვიდრე ისტორიას, რომელსაც მხოლოდ იმ-დენად შეეხება, რამდენადც მასში გამომსჭვირვალებენ ჰირფ-ნულნი თვისებანი საკვირველის გმირისა. მწერალი თვითონ არ ჰმალავს, რომ მეფის ხორციელ საქმეებს იგი ოდნავ შე-ეხება; იგი პირდაპირ აცხადებს: „მრავალთაგან, მცირედი მე+ გულვების თქომად“ (გვ. 248), „მრავალგზის... განსაცდელ-თა სიკვდილისათა შთავარდა იგი, რომლისაგან მცირედი მიესცეთ თხრობასა“ (გვ. 262), „და ესე მცირედი მრავლისა-გან თქომად შეუძლებელი“ (გვ. 257, 243); — „...აღასრულ-ნა საქმენი, რომელნი ჩვენ მცირედითა და უფლად ქნინითა

სიტყვითა წარმოგვიჩენიან დიღთა შათ და მითხრობად შეუძლებელთა საქმეთა მისთაგან“ (გვ. 252—3); ანუ „რაოდენმან ქარტამან და მელანმან დაიტიოს ალწერად“ (გვ. 250)?.. ამ ნაირად, დიღ-დიღ ამბების ალწერის მაგიერ მემატიანე გადმოადულებს იმ თვისს ღრმა შთაბეჭდილებას, რომელმაც უნებლიერ ათქმევინა მემატიანეს: ბერძენთა და ჰრომთა უმთავრესნი გმირნი ვერ შეედრებიან დავითს და, თუმცა გომერ, არისტოტელ, იოსიპოს, ოდისეი და ფირესტე აქებდენოთვისს გმირებს, მაგრამ „ამათ ნივთნი საქმეთანი არა ჰქონდეს კმად მისათხრობელად; ამისთვისცა რიტორებითა მით ხელოვნებისათა განავრცელეს, ვითარცა იტყვის თვთ სადამე ალექსანდრელი: „არა დიღ იყავ აქიველ, არამედ დიღსა მიემთხვიე მაქებელსა უმიროზსა (გომერს)... ჰქონებოდესმცა ამათ ბერძენთა თხრობათა ნივთად საქმენი დავითისნი და მათმცა ალწერნეს ჯეროვნად მათისაებრ რიტორებისა მსგავსად და მაშინ-ლა ლირს ქმნილ იყვნეს ჯეროვანსა ქებასა“ (გვ. 250). მემატიანეს აზრით, თვით ალექსანდრე მაკედონელი ქართველების მცირე სპით ვერ იქმოდა იმდენს საქმეს, რაც დავით მეფემ ქმნა: „და თუმცა დავითს სპარსთა მეფობა ჰქონებოდა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხვათა დიღთა სამეფოთა, მაშინდა გენახნეს ნაქმნარნი მისნი და სხვათა ქებულთანი!“ (გვ. 260).

რომ მემატიანე სამღვდელო პირია, ეს ყოველ სტრიქონში გამომჰვირვალებს. მოელი მისი მოთხრობა ალბეჭდილია ლვთის-მეტყველურის ბეჭდით. მოქმედება მეფისა განყოფილია ორ ნაწილად: სახორციელოდ და სასულიეროდ. უკანასკნელს უჭირავს თითქმის ნახევარი მატიანისა და გვიხასიათებს მეფის ლვთისნიერებას (გვ. 253—263); შესავალიც (გვ. 236—240) ლვთის-მეტყველურის ხასიათისაა. თვით „სახორციელო“ ნაწილიც (გვ. 240—253) უმეტესს ყურადღებას აქცევს. არა საერო, არამედ სასულიერო საქმეებს მეფისას; ხოლო სახორციელო „სვიანობა“ მეფისა, მემატიანეს

აზრით, შედეგი ანუ „სანაცვლო“ იყო მისის ღვთისნიერებისა (გვ. 242), გინა ნაყოფი მისის სულიერად წარმართებისა (გვ. 253).

ამასთან მემატიანე ღრმად განათლებული და ნაკითხი პირია. მისი ნაწერი ნიმუშია მაღალის ხელოვნებისა. აქა-იქ ენა-მზიანობა მატიანისა უმწვერვალეს წერტილამდე აღის და ატკბობს სმენა-გონებას. (მაგ. გვ. 263; 261). ამის გამო ჩვენ გვგონია, რომ მემატიანე უნდა იყოს ანუ თვით კზი ითანე, ანუ სვიმონ ჭყონდიდელი და ანუ არსენი იყალთოელი, რომლის მჰევრ-მეტყველება სჩანს მისგან დაწერილის დავითისადმი „შესხმისაგან“ (იხ. „სამოთხე“ გვ. 518—9 და ეკ. მუხ. ხელნაწ. № 76). არსენიზე ეჭვი შეიტანება მხოლოდ იმის გამო, რომ თავისს ქებას არ იყადრებდა: „არსენი იყალთოელი, თარგმანი და მეცნიერი ბერძენთა და ქართველთა ენათასა და განმანათლებელი უფლება ექვემდება“ (ქ-ცხ. 259).

უკანასკნელ, საჭიროდ ვრაცხ დავურთო, რომ მემატიანე გვარწმუნებს, სრულს სიმართლეს ვწერო (ქ-ცხ. 254).

თ. უორდანია

„ჩართლის ცხოვრება“ თამარ მეფის შესახებ.

მეცხრე ვრცელი მატიანე, რომლისაგან შესდგება შემდეგი ნაწილი ქ-ცხბისა (გვ. 236—238), არის თამარ-მეფის მატიანე. ამ მატიანეში მოთხრობილია ფრიად მოკლედ მეფობა დიმიტრი I-სა და დავითისი (ქ-ცხ. 263—4), უფრო ვრცლად მეფობა თამარის მამის გიორგი III-ისა (265—277) და უკანასკნელ ფრიად ვრცლად თვით თამარის ცხოვრება (277—238, ანუ უფრო დაჭეშმარიტებით გვ. 274—238). ამ ნაირად, მოხსენებულს მატიანეში დიმიტრის, დავითის და გიორგის ბრწყინვალე მეფობას უჭი-

რავს სულ 12 გვ., ხოლო თამარის მეფობას — 64 გვ. აქიდამაც საგულისხმებელია, რომ მთელი ეს მატიანე თამარის მატიანეა, ხოლო დანარჩენი მეფობა მხოლოდ წინასიტყვაობასავით მიუძღვის ამ მეფობას. მაგრამ უკანასკნელს აზრს სხვა უფრო მკვიდრი საბუთები აქვს: ქ.-ცხ. აღწერს რა გორგი III-ის ცხოვრებას (გვ. 265), პირდაპირ გვაგულისხმებინებს, რომ მას სახეში აქვს არა გიორგის, არამედ მისის ქალის თამარის მეფობა: გიორგი მამა იქმნაო... „მისებრ მჰყრობელისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, თამარს ვიტყვი, მეფედ ცხებულსა, რომელი ქვემოთ სიტყვამან ცხად ჰყას“. მაშასადამე, მემატიანე თამარის დროს სცხოვრობს და თამარის მეფობას. სწერს და არა გიორგისას, რომელსაც არა ჰყავს საკუთარი მემატიანე, როგორც, სამწუხაროდ, არ ჰყოლია საკუთარი მეისტორიე ბრწყინვალე მეფობას ჯიმიტრისას და დავითისას.

გიორგი მეფის მატიანე დაწერილია თამარის დროს დაიმავე პირისგან, რომელსაც თამარის მატიანე აღუწერია. მაგალითად, გიორგის ცხოვრებაში ჰემარებულია ფრასა: „მოვიდა ოდესმე წინაშე გიორგისსა ანდრონიკეს კომნიანოსი“ (გვ. 271). რადგან კეისრის ანდრონიკეს მოსლვა იყო 1167 წ., ამის გამო მემატიანე ვერ იხმარებდა. ფრასას „ოდესმე“, თუ რომ დიდს ხანს არ გაევლო 1167 წლითგან მატიანის აღწერამდი; ხოლო გიორგის მეფობაშივე ქ-ცხბაში თამარზე ნათქვამია: „ჰჰსანს ვითარცა მზე ვიდრე მოდდეინდეჭად დღემდე მამის კურთხევა შეილსა ზედა საყვარელსა...“, რომელიცა შემდგომმან სიტყვამან საკუნაურ ჰყოს, რომელი გვებულების აღწერად (ქ.-ცხ. 274+5). აქიდამ ცხადია, რომ ვისაც გიორგის ცხოვრება აღუწერია, მასვე დაუწერია თამარის მატიანეც, და როდესაც დაუწერია, თამარი კიდევ ცოცხალი ყოფილა.

რომ მატიანე დაწერილია თანამედროვისაგან, რომელიც თვით-შილველიც არის რამდენთამე მისგან აღწერილ ამბავთა,

ეს ისე ცხადად ატყვია მთელს მატიანეს, რომ ამაზე სიტყვის გაგრძელება მეტი იქნება. აქ ჩვენ განვმარტოთ მხოლოდ ის, თუ ვის და როდის, რომელს წელს აღუწერია ეს მატიანე. ამ კითხვის განმარტვა პირველს კითხვასაც საკმაოდ აგვიხსნის.

ჩვენ უკვე საკმაოდ დავამტკიცეთ (ქრონ. გვ. 280—285), რომ თამარ მეფის მატიანე დაწერილია ორ-ხანად: ერთი წილი დაუწერიათ 1195 წელს (გვ. 263—310), შანქორის ომის უმაღვე, ხოლო მეორე მისი ნაწილი (გვ. 440—348) თამარ მეფის სიკვდილის შემდეგ. სიტყვის გაუგრძელებლობისათვეს მკითხველმა ჩვენი საბუთიანობა აღმოიკითხოს ჩვენს ქრონიკებში (გვ. 258; 282—3) და ჭ-ცხბა (გვ. 283), სადაც მოთხოვთ საქართველოს განდიდება და სამეფოს გავრცელება „ზღვით პონტიასით ზღვადმდე გურგენისა (კასპიის ზღვა) და სპერითგან დარუბანდამდის..., რომელი აწ სჩინს დაწერასა შინა ამისსა ათერთმეტთა მოქმედებათა უამთა თამარ სამ გზის სანატრელისათა“. ცხადია, რომ როდესაც ეს დიდი დიდი ამბები მემატიანეს აღუწერია, მაშინ ყოფილა მე-11 წელი თამარის მეფობისა, ე. ი. 1195 წ., დრო შანქორის ომისა, რომელსაც მართლა შეუდგა შემოერთება შარვან-შანქორისა დარუბანდამდი და მთელის ბუბაქარის სავთავროსი კასპიის ზღვამდი და სპერითგან ხაზარეთამდი და სკურეთამდი, გამდიდრება ეკლესიათა, დიდებულთა და აზნაურთა (შეად. გვ. 308—310).

ამ საბუთიანობას დავუმატოთ ესეცა: 1) დავით სოსლანზე მემატიანე სწერს (გვ. 293), რომ იგი მოკლე დროს ისე დახელოვნდაო სამხედრო საქმეში, „გითა დღეს სჩინს, რომელ შინათ ვინ ყოფილა ამისი მასწავლებელი და თანამოსწავლე და, თუ გარეთთა ქვეყანათა მისრულა, ვერავინ სადა გამოჩენილა მისებრი“. აქიდამ ცხადია, რომ ამ მატიანის დაწერის დროს დავით და მისი მასწავლებელნიც ცოცხალნი ყოფილან, ე. ი. მატიანე დაწერილა არა უგვიანეს 1207 წ., როდესაც მოკვდა დავით.

შეორე ნაწილი ამ მატიანისა თამარის სიკვდილის უბალ უნდა იყოს დაწერილი. ამას ამოწმებს ის ცხოველი ურვა, რომლითაც აღბეჭდილია უკანასკნელი ნაწილი ამ მატიანისა თამარის სიკვდილზე და თვით დაწვრილებითი მოთხრობა ამ ამბისა (გვ. 333—335). თვით უკანასკნელი სტრიქონებიც მატიანისა ამასვე ამოწმებენ (იხ. გვ. 338, სამი უკანასკნელი სტრიქ.). ამ სტრიქონების ბუნდათ გამოხატული აზრი ეს არის: აქ დავხშავ სიტყვათა წყობას მომავალთათვს ძლევათა, რადგან მომავალ სახელოვან საქმეთა „უაღრესი სახის-მეტყველება“ საჭიროა; ვინემ ჩვენ შეძლება გვაქვსო, „და ამის-თვს ჩვენ მიერ დუმილით პატივ-ცემით დავიდუმოთ“. ცხადია, მემატიანეს სრულიად სწამს, რომ გიორგი-ლაშას მეფობა თამარისაზე უდიდებულესი იქნება და მაშასადამე უფრო დასელოვნებული მემატიანე დასჭირდებაო. მაგრამ ეს რწმენა მემატიანეს უსათუოდ უნდა დაპკარგვოდა 1218 წლის შემდეგ მაინც, როდესაც გიორგი ლაშას ზნეობითმა ხრწნილებამ ძლიერად თავი იჩინა....

სახის მეტყველებითი ხასიათი თამარის მატიანისა ბუნებითია და არა ნაძალადევი: მთელი ხანგრძლივი მეფობა გიორგი III-ის და თამარისი სავსეა ისრეთის საოცარ ძლევათა და საკვირველ მოვლენათაგან, რომ თვით მემატიანე წარტყვენილია და დამონებული ლრმა შთაბეჭდილებით. გული მისი სავსეა აღტაცებით, და ეს აღტაცებითი გრძნობა ჰმეფობს მთელს მისს ნაწერში უფრო ძლიერად, ვიდრე დავით აღმაშენებელის მატიანეში. თამარის მატიანე განუწყვეტელი ქებაა, ანუ ქებათა-ქებაა. იგი რიტორულ ხელოვნებით აღწერილი შესხმაა მეფისა და გმირთა. მემატიანეს სიტყვით, თამარის მეფობის „მოთხრობა შეუძლებელ არს, არა ხოლო ჩვენ მიერ, არაშედ უკეთუმცა შეკრბეს ბრძენნი ყოვლისა სოფლისანი, ჯეროვნად კელ-ყოფენ დუმილსა ვერ მიწდომისათვს სიტყვთ გამოთქმად საქმეთა თამარისოა“ (გვ. 310). ამის გამო, — გვარწმუნებს მემატიანე, — „ამიერითგან გონება

უხმს ვრცელი და ენა ბრძნად შეტყველი, რომელმანცა შე-
უძლოს ღირსებით აღწერისა მიცემად წარმართებანი თამარის
საქმეთანი; რამეთუ ვითარ თმანი თვისნი თვთოვეულად ვერ
ვინ აღრაცხნეს, ეგრეთვე ვერცა ვინ ესენი აღრიცხნეს ანუ
თუ აღწერნეს“ (გვ. 291). მხოლოდ მცირედსა „პელ-ვურ-
ფო აღწერად ძალისაებრ ჩვენისა“, რადგან „სრულიად დუ-
მილი დავიწყებასა შეიქმს საქმეთა მისთა და პალწერა ვერ-
შეძლებით დაკნინებს სიღიღეთა ბრწყინვალებათა საქმეთა
მისთასა“ (გვ. 310). მემატიანე ჰშიშობს, რომ იმ მცირე აღ-
წერასაც, რომელსაც იგი გვაძლევს, მომავალი შთამომავლო-
ბა საქმის სიღიადისაგამო ვერ დაიჯერებსო: „საეჭვი მიჩნს
მომავალთაგან არ დარწმუნებად“ (გვ. 291). ამისთვის მწერა-
ლი სთხოვს მკითხველს, რომ თუ სიტყვას არ დაუჯერებს,
საქმებს მიჰხედოს თამარისას: „ვის უნდეს ცნობად, იხილენ
ქალაქნი, ციხენი და თემნი სულტანთა სასხდომნი, მისგან
ახმულნი (ხმლით აღებულნი) საზღვარნი, სამეფოსა ორად
(ე. ი. ორ-წილად) განფართოვებულნი... ერაყამდის მისგან
დადებული ხარაჯა და ბალდადის კერძ მარალამდის და თვით
იგი ხალიფა შეშინებული და მოაჯე“ (გვ. 291). ხანდისხან
მემატიანე, მოშიში მომავალთაგან არ-დარწმუნებისა, ფიცით
გვაჯერებს: „ამისი მოწამე თვით იგი უტყუელი ღმერთი არს,
და რათა არა ტყუილი ვისმე ეგონოს და ზღაპრად გიჩნდეს
თქმული ესე მომავალთა უამთა“... (308).

მემატიანე არ აზეიადებს და არც განზრახ აღიდებს თა-
მარის მოქმედებათა: აღძრული ღრმა შთაბეჭდილებით, იგი
მხოლოდ მუსიკობს, მჭევრ-მეთქვეობს, ენა-წყლიანობს, სახე-
მეტყვეობს, რათა ენა-მზიანობით მაინც რამდენადმე შეგვა-
გებინოს დიდებულება მეფობისა, რომლის ვრცლად და და-
ლაგებით აღწერას ვერ ჰკადრულობს, ვერ ახერხებს, ვერ-
შეძლებლობს. მართლაც, მრავალი წვრილი და დიდ-დიდი-
ცა საქმე თამარისი აღუწერელად და აღუნუსხველადაც დარ-
ჩენილა. საკმაოდ ვრაცხთ მაგალითად მხოლოდ ის ვუჩვენოთ,

რომ მემატიანესგან სრულიად აღწერილი არ არის თამარის მიერ განთავისუფლება და მტერთაგან უზრუნველყოფა და-რუბანდელთა, ლუნძთა, ოცხთა, ქაშაგთა, რომელსაც მხო-ლოდ ორიოდ თითქმ შემთხვევით წამომცდარ სიტყვით გვა-უწყებს (გვ. 336).

მემატიანე ლრმად განათლებული პირია და სავსებით მცოდნე ჩვენის ენისა. იგი ნაკითხია და მცოდნე, არა თუ საეკლესიო მწერლობისა, არამედ სამხედრო უცხო ტომთა ისტორიისაც; მრავალთა მწერალთა სახელი და აზრი შემო-აქვს თვისს შრომაში, განსაკუთრებით მარიამ დედოფ. ქ-ცხ. ვარიანტით უფრო ხშირად პოეტურს და ეროვნულს მწერ-ლობას გვისახელებს, ვიდრე ეკლესიურთა. ღვთის-მეტყველუ-რი მსჯელობა და ბეჭედი ამ მატიანეს ბევრად უფრო ნაკლე-ბად ატყვია, ვიდრე დავით აღმაშენებლისას, მაგრამ რიტო-რიკ-პიიტიკური, მრავალ-ფრასოვან-სიტყვაობა პირველს გა-დამეტებით აჩრდილებს, ვიდრე უკანასკნელს. ამ ნიშნებით შეიძლება ვიფიქროთ, რომ მემატიანე ურის-კაცი უნდა იყოს. ამას ის გარემოებაც უფრო უძლიერებს, რომ მემატიანე, რო-გორც ცხადად ეტყობა მისს მატიანეს (მაგ. გვ. 299—300; 306—7; 329—332 და სხვ.), რომელიც ხშირად თვით-მხილ-ველის შესაფერს წვრილ გარემოებას აღვიწერს, — თვითონ მონაწილეა იმ ლაშქრობათა, რომელიც აღუწერია.

მაგრამ მატიანეში ჩვენ მაინც უფრო ბევრს ნიშნებს ვპოულობთ იმისას, რომ იგი დაწერილი უნდა იყოს ჯვარ-მტვირთველის ჭყონდიდელის ან ტონ გლონისთავისძის მიერ. ჯვარ-მტვირთველის თანამდებობით ანტ. ჭყონდიდელი მართ-ლა მუდამ ჯარს ახლდა და თვით-მხილველი იქნებოდა. მის-გან დაწვრილებით აღწერილ ლაშქრობათა. ანტონი გიორ-გის მეფობაშიც სცხოვრობდა და, მაშასადამე, მის მატიანეს აღწერასაც შესძლებდა, როგორც თანამედროვე და თვით-მხილველი. გიორგის მეფობაში ანტონს უკვე ჰქონდა ჭყონ-დიდლობა, მაგრამ მიქელ კზმა მისტაცა ჭყონდიდლობა

„მოძმაცვითა (ცბიერებითა) ვინობე შეფისა (გიორგის). გან-
მზრახთადასა“, და ამის შემდეგ გარესჯაში სცხოვრობდა (გვ.
293). ანტონის გადაყენება იმავე წელს (1170—1178 წლებ
შუა) იქნებოდა და იმავე მიზეზით, რომელს წელს და რა მი-
ზეზითაც იმავე მიქელ კზის შეცადინებით ნიკოლოზ კათა-
ლიკოზმა გულაბერისძემან თავი დაანება თვისს თანამდებო-
ბას და იერუსალიმს გადასახლდა. საგულისხმებელია, რომ
ეს იქნებოდა 1178 წელს, როდესაც უკანასკნელია აეშალა
შეფეს დემეტრე, რომლის დამხობას შეუდგა განპატიუება მრა-
ვალთა (იხ. ქრონ. 1178 წლის ქვეშე). სწორედ ეს პირადი უსი-
ამოვნება უნდა იყოს მიზეზი იმისი, რომ ანტონი თვისს მა-
ტიანეში მეტად უხამსაღ მოიხსენებს მიქელ კზს: „მოკვდა
ქ-კზი მიქელ, ჭყონდიდელი, მწიგნობართ-უხუცესი... რო-
მელსა აქვნდა სამთავისიცა, და არავინ შესწევნა მისთვის, არა
დიდი, არა მცირე, რამეთუ ყოველნი სძულობდეს მას“. პირა-
დი ანგარიში ანტონისი აქ მით უცხადესათ გამომჭვირვა-
ლებს, რომ ამ დროს მიქელ გადაყენებული იყო კათალიკო-
ზობიდამ და მაშასადამე მისს სიკვდილს არავითარი სამეფო
მნიშვნელობა არა ჰქონდა და არც მოსახსენებელი იყო მა-
ტიანეში. მატიანე არ იხსენიებს არც-ერთს თამარის დროინ-
დელს კზის სიკვდილს და ტახტად აღსლვას (ნიკოლოზისას,
თეოდოსესას, ბასილისას, იოანესას. (იხ. ქრონიკები, გვ. 280),
და რაღა მიქელის სიკვდილი მოაგონდა მემატიანეს? იმავე
პიროვნულის გრძნობით უნდა იყოს გამსჭვალული მემატია-
ნე, როდესაც კზს მიქელს უწოდებს „თესლად ბოროტად“,
რომელიც „წინა-უკმო იყო წესთაგან საეკლესიოთა, და ჭყონ-
დიდელ-მაწყვერელობა“. და მწიგნობართა-უხუცესობა მას მო-
ეხვეჭა უფლისაგან“ (ე. ი. გიორგი მეფისგან) და რომელიც,
ანტონის სიტყვით, „განაყენა (საყდრიდამ) სასჯელმან ღვთი-
სამან“ (გვ. 280). რამ აღძრა ესრეთი რისხვა მწერლისა, თუ
არ იმ პირადმა ანგარიშმა, რომ მიქელმა მემატიანეს მისტა-
ცა ჭყონდიდლობა? ან რად სახელდებით არ გვიჩვენებს მა-

ტრანსმიქელის ბრალს, თუ მართლა მას ესრეთი დიდი ბრალი მიუძღვდა? ხოლო ჭყონდიდლობის და მწიგნობართ-უხუცესობის მოხვეჭის ბრალი მიქელს-კი არ ჟდება, არამედ მეფე გიორგის, რომელმაცა მას მიუბოძა ეს თანამდებობა; და ან რა დიდი ბრალია ეს, რომ ასე უშვერად იხსენიებენ მას? რასაკვირველია, აქ ღალადებს უმთავრესად პირადი ანგარიშები ანტონისი, რომელიც თვისს მატიანეში შურს უგებს მიქელს ჭყონდიდლობის მიტაცებისათვის და ნიკოლოზ კზის გადაყენებისათვის.

რომ ანტონი არის მწერალი მატიანისა, ეს უფრო ცხადად გამომჭვირვალებს იმაშიც, რომ მემატიანე განსაკუთრებულის დაწვრილებით აღვიწერს, რომ მიქელის სიკვდილის შემდეგ თამარმა ვაზირად დასვაო ანტონი და „მისცეს მას ჭყონდიდი, სამთავისი, კისის-ხევი და მწიგნობართ-უხუცესობა: რამეთუ მართალსა უკეთუ უბრკმეს, არა დაეცეს“. მერე აღწერს ანტონის ღირსებათა ცალიერ ფრასებით; მხოლოდ ის-ლა მოჰყავს საბუთად იმ ღირსებათა, რომ მან ღვიმეს და კლარჯეთს აღაშენაო მონასტერი (იხ. გვ. 293). — ყოველივე ეს ერთად: უშვერად მიქელის მოხსენება და ესრეთის არა ჩეცულებრივის დაწვრილებით ანტონის შედარებით. წვრილმან საქმეთა აღწერა თითქმის პირდაპირ გვიჩვენებს, რომ მწერალი თვით ანტონია.

ხოლო ეს უმეტესად ცხადდება იქიდამაც, რომ მემატიანე ანტონის სახელს წამ-და-უწუმ ჰქმარობს, უბრალო შემთხვევისა გამოც: ანტონს უბრძანესო ჯარის გამოწვევის წიგნების წერა „მამაცურითა სიტყვითა“ (ალბათ დიალ რჩეული მწერალი ყოფილა, როგორც მისი მატიანეც გვიმტკიცებს), ანტონივე გაატანესო ჯარს შანქორის ომში (გვ. 304—305); იგივე ჯვარ-მტვირთველი მონაწილეობს ბასიანის ომში და მოგვაგონებს, რომ ეს ანტონი იყო მწიგნობართ-უხუცესი, „კაცი შესახედავათცა ჭაბუკი ღა გვარ-ტომბით არა-უაზნო“ და მას უბრძანესო ძელი-ცხოველის წარძლვანა (გვ.

305—6); — რომ შანქორს გამარჯვებულს მეფე დავითს „მიე-
გებნესო წინა ანტონი ვაზირი, კელ-განპყრობით მმაღლობე-
ლი ღვთისა, თვით აღვსილი ლართა და საჭურჭლეთა მიერ
ათაბაგისათა, რომელმან რიდობითა მონაზონებისათა არა იკა-
და მახვილი და მისრულმან სამითა ყმითა შემოაქცია სამასი
ჯორი და აქლემი კიდებული“. ესრეთი წვრილმანობა უბრა-
ლო საქმეებში, ანტონის სახელის წამ-და-უწუმ ხსენება შე-
უსაბამო იქნებოდა იქ, სადაც მემატიანე სტოვებს მოუხსე-
ნებლად დიდ-დიდ ამბავთა, მოქმედებათა და გმირთა, თუ
რომ ამ წვრილმანებში არ გამომჭვირვალებდეს თვით მემა-
ტიანეს სახელი და მისი კერძო თავ-მოყვარული ანგარიშები
(ქ-ცხ., გვ. 289, 293; 304—307).

თ. უორდანია

საორაცორო პროზა.

სააღლითიკო მავრებელთა გადასახადი.

ს ი ტ ე გ ხ

კოლხიდელის აიეტისა ლაზთა მეფის გუბაძის მოკვლის გამო, თქმული
საერო კრებაზედ.

მარტო სიტყვითა და ლაპარაკით რომ ეწყენინებინათ
თქვენთვის ბერძნებს, ან მარტო ავი რამ განზრახვა რომ შე-
გემჩნიათ, ეგ კიდევ არაფერი; ჩვენც ადვილად შევიძლებდით
სამაგიერო გადაგვეხადნა. მაგრამ, როგორ უნდა ავიტანოთ
დღეს ის საშინელი უპატიურება, რომელიც იმათ მოგვაყე-
ნეს და ან როგორ შეიძლება ახლა ფიქრი, ტოკვა და ყოყ-
მანი? ხომ დავკარგეთ ასეთი მოხერხებული დრო და მერე
როდის-ლა შევიძლებთ, რომ შური ვიძიოთ. და სამაგიერო
ვაზღვევინოთ. განა საბუთებს ვერ წავუყენებთ იმისას, რომ
საქმით დაგვიშავეს და არა მარტო განზრახვით? საჭირო არც-
კია რომ ამისი დამამტკიცებელი საბუთები დაგისახელოთ.
სულ-მდაბლობით მოჰკლეს იმათ გუბაძე, იგი დიდებული
ვაჟ-კაცი; მოჰკლეს ისე უკადრისად, თითქო ვიგინდარა და
ზნე-დაბალი კაცი ყოფილიყოს. წავიდა, განკერა დიდება კოლ-
ხიდელებისა! ახლა ჩვენ იმას-კი აღარ უნდა ვფიქრობდეთ,
რომ სხვები დავიმორჩილოთ და ვმართოთ საქმენი მათნი,
არამედ იმისიც მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, თუ, ვინც უწინ
ჩვენ გვემორჩილებოდა, ავად არ მოგვეპყრა ახლა. განა რა

ჭკუაა, რომ დავსხდეთ და ვიფიქროთ, ჩვენი მტერნი არიან თუ მოყვარენი ისინი, ვინც პირველი კაცი მოგვიკლაო. მოვალენი ვართ შევიგნოთ, რომ თავ-გასულობა მათი ამას არ დასჯერდება. ეს ერთი დანაშაული რომ არაფრად ჩავუგდოთ, შემდეგაც აღარ მოიშლიან ჩვენს შეურაცხებასა. უფრო გულ-დამშვიდებით და ნაკლების შიშით დაგვიწყებენ წყენას, იმიტომ რომ თავიანთ დაპყრობილთ ისინი მეტად შეუბრალებლად ეპყრობიან და ზიზღით უყურებენ თავის ხელქვეჩოებს. იმათი იმპერატორიც მეღა კაცია. ის მუდამ მოხარულია და მოსურნე ყოველ-გვარის არევ-დარევისა. ეს კაცის-კვლაც იმიტომ მოჰედა ისე სასტრატოდ, რომ თვითონ ის აგულიანებდა ამ საქმეში თავის ხელ-ქვეითებს და იმათაც დიდის სიამოვნებით შეასრულეს მისი სურვილი; არამც თუ მა შინა გვცარცვავდენ და გვყლეფავდენ, როცა არაფრეს არ ვუშავებდით და ჩვენ შორის არავითარი სამღურავი არ იყო, არამედ მაშინაც-კი, როცა მეგობრობით გვეპყრობოდნენ, დიდი შეურაცხყოფა მოგვაყენეს და დიდათ გაგვაბიაბრუეს. კაცს ეგონებოდა, სულ ერთად შეპყრიათ სენი სასტიკობისა, უგუნურებისა, ჩვენის მძულვარებისა და სხვა ამისთანა ბიწიერებაო. სპარსელნი სულ სხვა ზნისანი არიან, ბერძნებისაგან დიდად განირჩევიან. თუ მეგობრობა აქვთ ვისთანმე, მუდამ ერთგულობას უწევენ, ხოლო მტერს მტრულად ეპყრობიან და არა ჰაზოგავენ.

ჩემი სურვილი და ნატვრა ის არის, კოლხიდელების სამეფო ისევე ყოვლად-ძლიერი იყოს, როგორც წინად ყოფილა, რომ არავითარი შემწეობა უცხოელთა არ ეჭირვებოდეს და რომ სრულიად დაუმოკიდებელი იყოს, როგორც მშვიდობიანობისა, ისე ომიანობის დროსა, მაგრამ, რა-კი დროთა-ბრუნვისა გამო, ანუ ბედის დაუდგრომლობის მიზეზით, ანუ, შესაძლოა, ამ ორსავ მიზეზით ერთად, ასე დავუძლურდით და თვითონ ჩვენ ჩავუვარდით ხელში სხვებს, გონიერება უფრო ის იქნება, იმათ ხელში ვირჩიოთ ყოფნა, ვინც

უფრო ზომიერები და მართლის მოყვარენი არიან და უფრო გატანა. იციან თავიანთ მომხრეებისა. ჩვენს ნამდვილს მტრებ-ზე უფრო ძლიერნი ვიქნებით მაშინ, როცა არ შევარჩენთ იმათ თავიანთ დანაშაულს და ვიზრუნებთ ამასთანავე შემ-დეგისათვის. ახლა ბერძნები თავის მელაძუობითა და თვალთ-მაქუაბით გვაბრმავებენ. ხოლო, რა-კი მათნი მტერნი შევიქნებით, იმათი მოჩვენებული სიმშვიდე და მეგობრობა ველარას გააწყობს, ამათ შეიქმნება. ფარისევლებს აღარ მიე-ცემათ შემთხვევა, რომ კვლავ დაგვათათბირონ ტკბილის სიტყვითა და მოქარგულის ენით, რადგან მტრად გადაკიდე-ბულნი სრულიად შორი-შორს ვიქნებით ერთმანერთზე. თუნ-და რომ კიდეც გამოილაშერონ ჩვენ წინააღმდეგ, კარგად ვერ მოუვათ საქმე: სპარსები და ლაზები ერთად შევერთდებით და რაღას გააწყობენ ისინი, მერე ისიც მტრის ქვეყანაში შემოსულნი? ერთს ჩვენს შეტევასაც ვერ გაუძლებენ. სულ ახლახან არ იყო, რომ მთელი მაგათი ჯარი გააქცია მიდი-ელების მცირე რაზმმა და საშინელი სირცხვილი აჭამა. დღე-საც სული ვერ მოუბრუნებიათ, ისე დაიხოცნენ მაშინ სირ-ბილით. ყველაფერში დამარცხედნენ და მხოლოდ იმაში აჯო-ბეს სპარსელებს, რომ ძალიან მოჰკურცხლეს და გამოკიდე-ბულნი სპარსნი ველარ დაეწივნენ. მიზეზი ამისა ის იყო, რომ მხდალნი არიან და განგებულება მათი უგონოა. ამის-თანა ნაკლი და ამგვარივე ბიწიერება თან-დაყოლილია აქვთ, დაბადებითვე დასჩემებიათ. ასე ბიწიერნი არიან ბუნებით და კიდევ მაინც სულს იმშიმებენ სხვა დანაშაულით, რომე-ლიც აორკეცებს მათს უბედურებას; აორკეცებს იმიტომ რომ კაცის-კვლის გამო დაჰკარგეს მფარველობა უზენაესისა, იმი-ტომ რომ იმდენად მახვილი არა სჭრის, რამდენადაც კეთა-ლი და სათნოება; არა მგონია, რომ ცოდვილსა და დამნა-შავეს ეწვიოს ამისთანა მაღლი. მაშ ასე: თუ გვინდა რომ კეთილ-გონიერნი ვიყვნეთ, არ უნდა დავიჭიროთ მხარე ბერძ-ნებისა, რომელთაც თავი თავის ალაგას არა აქვთ და რომელ-

თაც უწყრება და ურისხდება ის, ვინც არის ყოველისავე ხსნა და ცხონება.

ამ გვარად, თვით საქმით დავამტკიცეთ და არა ლიტონის სიტყვით, რომ ადვილია ჩვენთვის სპარსელებს მივემხროთ და რომ ღვთისთვისაც ეს იქნება უფრო სასიამოვნო და კაცისათვისაც ვერავინ ვერ იტყვის, რომ ან უსამართლოდ მოვიქეცით, ან ლალატი გავწიეთ მართალია, წინადაც ბევრი უსამართლობა გვინახავს ბერძნებისაგან, მაგრამ მაინც ვამჯობინებდით არ შეგვეცვალა ჩვენი ყოფა-მდგომარეობა, იმიტომ რომ არ არის კარგი სხვა მხარეზე გადასვლა მხოლოდ რამდენისამე მიზეზის გამო ეს მიზეზები თუმცა პატივ-სადები მიზეზები იყო, მაგრამ მაინც შეიძლებოდა მოთმენა და ატანა მაშინდელის ყოფისა ხოლო როცა უმწვერვალე სად გვიჭირებენ საქმეს და გამოვყევართ მოთმინებიდან, მა შინ, მგონია, რომ მხოლოდ უგუნურნი, მხდალნი და საცოდავნი თუ აიტანენ ყოველსავე ამას მოთმინებით და არ აღშეფოთდებიან, რაც უნდა უსიამოვნება და სირცხვილი აჭამონ. არსად და არასოდეს არ მოჰქმებოდა ისეთი ბოროტ-მოქმედება, როგორიც იყო მოკვლა გუბაძისა ხოლო თუ მოჰქმებოდა, დაუსჯელად პრაჩაივლიდა. ამიტომ არც ჩვენ უნდა დავსტოვოთ ეს გარემოება უყურადღებოდ, რადგან სირცხვილი იქნება ჩვენთვის დავივიწყოთ მეფე ჩვენი და პირში ვეფეროთ მის მკვლელებსა ახლა რომ ის ჩვენა წინაშე წარმოსდგეს, უეჭველია, სამართლიანად გაგვკიცხავდა და საყვედურით გვეტყოდა, რომ ჩემი ჯეროვანი პატივისცემა არა გქონიათ, რაკი მკვლელნი ისევ თქვენს ქვეყანაში არიან და ჯერაც არ განგიდევნიათო. მაგრამ იმას ხომ თქვენ შორის თავის დღეში ვეღარ ჰნახავთ და ვეღარ გეტყვით ამ საყვედურს. მაშ აზრით მაინც წარმოიდგინეთ, რომ მეფე ჩვენი სდგას ჩვენ შორის, გვიჩვენებს თავის წყლულს, მახვილით გაპობილს მკერდს და დიდს რნახმლევს კისერზე, გვიჩვენებს და ემუდარება თავის ერს, ახლა მაინც ნუ შეარჩენთ ჩემს

სისხლს, გადაუხადეთ სამაგიერო და ნუ გამხდით მტრის გულისათაო.

ამას გარდა, ვინ იქნება ოქვენში, ისეთი, რომ საქმე დაიჭიროს იმასთან, ვინც ტოკავს და ფიქრობს, ვითომ სამართლანად იქცევიან კოლხიდელები, როცა ენანებათ გუბაძე, თუ არაო. ყოველ ამასაც რომ თავი დავანებოთ, უნდა გავფთხილდეთ, რომ ჩვენ მოწილენი არ გაგვხადონ ბოროტ-მოქმედებისა, რა-კი ასე გვეშინიან სპარსელების მომხრეობისა, იფიქრებენ, რომ გუბაძის ჯავრს იმიტომ არ ჰყრილობენ და ამ საქმეს ასე გულ-გრილად იმიტომ მოექცნენ, რომ თვითონაც წილი უდევთ იმის მოკვლაშიო. ჩემის აზრით, უფრო მოლალატენი შევიქნებით, თუ როცა კაცი ცოცხალი იყო, მის სახელსა ვფიცავდით, მოკვდა და მაშინვე დავივიწყეთ. როცა ყოველივე საქმე კარგად მიღის, უგუნურება იქნება შეცვლა არსებულის წესისა და წყობილებისა, ხოლო როცა ყოველივე საქმე დაცარულია, უგუნურება არ ავცვეთ დროს. მოთმინებით ატანა დღევანდელის ყოფისა მაშინ არის საქებური, როცა ასეთს მოთმენას გონიერებაც მოითხოვს. ხოლო ვინც უგულებელ-ჰუმანური იმას, რისთვისაც გულითა და სულით უნდა ჰქონიავდეს, და ამჯობინებს არის, რაც შესაფერი არ არის, მაშინ ის უფროა დამწუშივება ვინც მისციუ ვებია ძეველს ყოფის და წეს-წყობილებას, ვიდრე ის, რომელიც ხსნას და შველას სხვა ყოფასა და სხვა წყობილებაში ეძებს.

სპარსელებმა რომ შეიტყონ ასეთი ჩვენი განზრახვა, დიდად შეგვიყვარებენ და ეცდებიან დაგვიფარონ, იმიტომ რომ კაცო-მოყვარენი და სულ-გრძელები არიან; ამასთანავე, იმათ იციან და ეხერხებოთ გაგება თავიანთ მეზობელთა სურვილისა. ამას გარდა კიდევ, ჩვენი ქვეყანა იმათვის ძალიან მოხერხებულს ალაგას არის მოთავსებული; მხედრობაა კიდევ ჩვენი და ძლევითა და დიდებით არის მოსილი; სპარსელნი ჩვენს მხედრობას უფრო ირჩევენ, ვიდრე ფულსა და

ქონებას. ოღონდ-კი ჩვენის ნებითვე მოვინდომოთ და შევატყობინოთ ჩვენი სურვილი, თორემ ისინი დიდის სიამოვნებით დაგვიმეგობრდებიან. ახლა ნულარ მოჰყვებით ფიქრსა და განსჯასა, შეუდექით პირდაპირ საქმესა და სთკვით, რაც გულშივაქვთ. ქებისა და დიდების ღირსნი, მაშინ შეიქმნებით, როცა იმას მოიქმედებთ, რაც სამართლიანია და სათანადო და რაც შეგძენთ სარგებლობას.

კოლხიდელის ფარცატისა იმავე ლაშთა მეფის გუბაძის მოკვლის გამო

ახალი ამბავი არ არის თქვენთვის, კოლხიდელებო,

რომ შეგაშფოთათ მოქარგულის ენით ნალაპარაკევმა და ხელოვნურად წარმოთქმულმა სიტყვებმა. მჭერ-მეტყველება პხიბლავს ადამიანს და სძლევს ყველას, მეტადრე იმას, ვისაც არ გამოუცდია მისი ძალ-ლონე. მაგრამ მაინც შესაძლოა გავუმაგრდეთ და არ ავყვეთ გულს, უკეთუ დავფიქრდებით, დროსა და გარემოების შესაფერად განვსჯით, და გულის-ხმიერებით ჩავაკვირდებით საქმეს. თქმული იმიტომ-კი არ უნდა მოგწონდეთ, რომ მოულოდნელი იყოთ თქვენთვის და ყური თქვენი არა სჩვევია იმის გაგონებას. თქმული უნდა მოიწონოთ მხოლოდ მაშინ, როცა ნათქვამი თქვენთვის საპატიოსნოა და სასარგებლო. გაიგეთ და შეიტყოთ, რომ იქნება თქმული სასიამოვნოა თქვენთვის, მაგრამ მაინც ის უნდა ირჩიოთ, რაც უკეთესია; ჯერ მარტო ისა, რომ ასე მალე აჲყევით ნალაპარაკევსა, ცხადი საბუთო, რომ მოტყუებული ხართ. იცოდეთ, რომ ვისაც სწადიან. ცუდი რამ ურჩიოს ადამიანს, სცდილობს სიტყვა მოჰყარგოს, მოჰყაზმოს, გაალამაზოს, იმიტომ რომ მოთინთლულის, გულს-მოსახვედრის სიტყვებით უფრო აღვილად მოჰხიბლავს, მოინადირებს გულუბრყვილოსა და გულ-დანდობილსა, მაშ, იცოდეთ, რომ

თქვენ ფიქრად არც-კი მოგდით, რანაირადა ხართ მოტყუებულები და ბადეში გაბმული აიეტის სამაცდურო და ხერხიანის სიტყვითა: ერთი რამ მაინც უნდა შეენიშნა ყოველს თქვენგანს, სახელდობრისა, რომ მოლაპარაკემ იმ თავიდამჯე სულ სხვა საგანზე ჩამოაგდო ლაპარაკი, იმ საგანზე, რომელიც სრულებით ახლო არ უდგება იმას, რისთვისაც ჩვენა ვართ შეკრებილი. იმანა სთქვა, ვითომ ჩვენ ყველას გვგონია, რომ რაც მოჰქდა, ყოვლად შეუწყნარებელი საქმე არ იყოს, ვითომ დანაშაულად არ ვუთვლით ბერძნებს მათ მიერ ჩადენილს სამარცხვინო კაცის-კვლას, ვითომ ჩვენ მხოლოდ იმ ფიქრში ვართ, მართლა პიროტ-მოქმედება ჩაიდინეს გუბაძის მკვლელებმა თუ არა; მაგრამ მოლაპარაკემ მკვლელებს-კი არ დაუწყო ბრალდება, მოგვიყვა იმის წილადობილას, რაც ყველამ ვიცით უიმისოდაც. მე-კი ვიტყვი, რომ წყეულ და შეჩვენებულ იქმნენ მღვთისაგან მკვლელნი. სიამოვნებით და-ვუწყებდი ცქერას, რა სატანჯელიც უნდა მიეყენებინათ, არა თუ მათთვის, ვინც თავიანთის ხელით ჩაიდინეს კაცის-კვლა, არამედ მათთვისაც, ვისაც შეეძლო აეცილებინა ჩვენთვის ეს უბედურება და ხელი არ შეუშალია მკვლელებს და ბოლოს იმათვისაც, ვინც სიხარულით მიეგება ამ კაცის-კვლას და არ აშფოთდა, გული არ აემღვრა, დიალ, თუმცა ასეთის აზ-რისა ვარ, მაინც ვგონებ, რომ სპარსელების მხარეზედ გა-დასვლა სარგებლობას არ მოგვიტანს. ვერავინ ვერ იტყვის, რომ, რა-კი ბერძნებმა დაარღვიეს კანონი, ვითომ ჩვენის მხრითაც მოსაწონია იქნებოდა მამა-პაპათა ანდერძი დაგვერ-ლვია, არაფრად ჩაგვეგდო ლალატობის ჩადენა, აღარ გვძაგე-ბოდა ძველებურად მოლალატენი და ჩვენც გაგვტეხოდა სა-ხელი ლალატის გამო. ჩვენ არ უნდა მოგისვენოთ და არ უნ-და დავჯერდეთ იმ ფიქრსა, რომ, ვითომც, რაც მოჰქდა, იმას აღარა ეშველება-რაო. არა, უნდა ვსწუხდეთ, და ამ წუხილით დავამტკიცოთ, რომ გულ-გრილად არ ვუყურებოთ უკვე ჩა-დენილს ბოროტ-მოქმედებას, მაგრამ ამასთანავე ვალდებულ-

ნი ვართ ვიზრუნოთ, რომ შემდეგისათვის საქმენი უკეთესად
მოეწყოს. მხოლოდ უგუნურნი და უჭიურნი სწუხან და შფოთ-
ვენ გამუდმებით იმის გამო, რაც უბედურება მოპხდა და შე-
ემთხვათ ოდესმე. გონიერნი და ჰკვიანები-კი, იციან რა ცვა-
ლებადობა წუთის-სოფლისა, როდი ჰშფოთავენ ბედის-ცვლი-
ლებისა გამო, და რაც უნდა ზარალი და უბედურება ჰნა-
ხონ, არა ჰკარგავენ იმედს მერმისისას. ეს ჩვენი მრჩეველი
და მოთათბირე აიეტი-კი, რომელიც დიდი ხანია ეტანება
სპარსელებს და მოწადინებულია, რომ ჩვენც იმათკენ გადა-
ვიდეთ, სცდილობს დაგვაშინოს, თითქო ბავშვები ვიყვნეთ
და გვეუბნევა, რომაელები იმას როდი დაგვაჯერებენ, რაც
დაგვმართეს, უარესს გვიზამენო; რომ ვითომ ცბიერთ-უცბი-
ერესი მათი მეფე თვით აგულიანებდა მკვლელებს, ჩაედინათ
ასეთი შემაძრწუნებელი ავაზაკობა, რომელიც წინადვე იყო
გადაწყვეტილი და მოფიქრებულია. გვეუბნება ამას და თან
გულ-მოდგინედ აქებს სპარსელებს იმ აზრით, რომ ვითომ
ამით დაგვაჯერებს, დავიმციროთ თავი და ჩვენის ნებითვე
გადავიდეთ ჩვენთა მოსისხლე მტერთა მხარეზე. იმას მხოლოდ
ურთი რამ სწადიან და მხოლოდ ერთ რისთვისაშე ჰზრუნავს,
სახელდობრ იმისთვის, რომ შესრულდეს ის, რაზედაც წი-
ნადვე უზრუნია; ამიტომ გვირჩევს, მოუფიქრებლივ მოვიქ-
ცეთ, არღვევს წეს თათბირისას და სრულიად აბათილებს,
ძალას უკარგავს ბჭობას, განსჯას საქმისას. თქვენ თვითონ
იანგარიშეთ აბა: ჯერ უნდა მოფიქრება და ბჭობა იყოს იმი-
სი, რაც ბუნდად გვესმის, ცხადად ვერ წარმოგვიღვენია; და
როცა განიხილვის, რაც განსახილველია, რაც უნდა გაკეთ-
დეს და გადაწყდეს, მხოლოდ მაშინ უნდა გაჩნდეს ნება და
სურვილი აღსრულდეს ის, რაც გადაწყდა. აიეტმა-კი ბოლო
თავში მოაქცია და უნდა იმოქმედოს მაშინ, როცა საქმე ჯერ
მოფიქრებული არ არის. რის მაქნისი უნდა იყოს მაშინ ბჭო-
ბა და ფიქრი, თუ-კი ერთიცა და მეორეც იმ დროს გაჩნდე-
ბა, როცა საქმე უკვე გადაწყვეტილია.

თქვენ-კი, კოლხედელნო, განირიდეთ თუ რამ აზრი
აგჩემებიათ წინდაწინვე და ისე აიღ-დაიღევით საქმე. იქონი-
ეთ სახეში მხოლოდ ის, რაც უფრო სასურველია თქვენთვის,
რაც გადაწყდეს ბოლოს, ყველამ აიღეთ და ის შეასრულეთ.
თქვენ უფრო სხვა წესსა და რიგს უნდა ადგეთ, ვიდრე სხვა-
ნი. თვითვეულმა უნდა გადასწყვიტოს საქმე სრულის თავის
ჰკუითა, ვისგანმე ძალ-დაუტანებლივ, იმ აზრით, რომ აი ვი-
ფიქრე ყოველ-მხრივ და ის ვარჩიე, რაც სასარგებლოა ჩემ-
თვისაო, რაკი ასე იფიქრებთ და განსჯიდ საგანს, მაშინვე
დაინახავთ, რომ არც ბერძნების ჯარები, ანუ ლეგიონები,
არც ჭათნი წინამძლოლნი და სარდალნი, არც უმეტესად
თვით იმპერატორი არავითარს მახს არ უგებდა გუბაძეს. იმათ-
ში ყველა იმას ამბობს და იმას აღიარებს, რომ რუსტიკმა და
მარტინემ შეიშურეს სიკეთე მისი და აჟყვნენ თავის მხეცურ
გულის-თქმასაო. სხვა წინამძლოლთ, არამც თუ არავითარი
მონაწილეობა არ მიულიათ მაგ ბოროტ-მოქმედებაში, არა-
მედ დიდადაც სწყენიათ და გული ამღვრევიათ მარტინესა და
რუსტიკზე. ამიტომ, ვგონებ, უსამართლობა იქნება და არც
არაუითარ სარგებლობას მოგვიტანს, რომ ერთისა და ორის
დანაშაულის გამო დავარღვიოთ სახელმწიფო კანონები, რომ-
ლის პატივისცემაც ვიტვირთეთ, შევსცვალოთ ის წესი და
რიგი ცხოვრებისა, რომელსაც შევჩვევივართ და მოლალატენი
შევიქმნეთ იმათი, ვინც ჩვენის გულისათვის სდგანან ციხეებში
სადარაჯოდ და, ვინ იცის, რა საფრთხეში არ არიან, რა
მოსათმენს არ ითმენენ, ოღონდ-კი ჩვენ ვსცხოვრებდეთ მშვი-
დობითა და მოსვენებით. დასასრულ კიდევ, დიდი ცოდვა
იქმნება ჩვენის მხრით უარვყოთ ჰეშმარიტი სარწმუნოება,
წმინდა საიდუმლო და ქრისტეს მოძღვრება. თუ არ უარ-
ყოფა, მაშ სხვა რა უნდა იყოს ჩვენი გადასვლა იმათ მხარე-
ზე, რომელნიც ისეთი დაუძინებელნი და ძლიერნი მტერნი
არიან ყოვლად შემძლებელისა? ჩვენ რომ იმათ წირვა-ლოც-
ვა დაგვიშალონ და თავიანთი სარწმუნოება შემოგვატყუონ,

განა ამაზე მეტად საშინელი-ლა მოჰქმდება რამე ჩვენის ცოცხლისა და მკვდრისათვის? რა სარგებელი უნდა გვჭონოდა, თუნდა მთელი სპარსეთიც ჩვენ შემოგვეერთებინა და სულნი ჩვენი-კი წაგვეწყმინდა? თუნდა ვსოდათ, რომ სპარსელებმა ხელი არ ახლეს ჩვენს სარწმუნოებასა, მაინც უნდა ვიფიქროთ, რომ დიღის გულ-კეთილობით არ მოგვექცევიან, არა-მედ მუდამ გულში ხინჯი ექმნებათ და საეჭვოდ დაგვიწყებენ ცქერას, დროსა და გარემოების მიხედვით.

მაშ რის იმედით-ლა უნდა გადავიდეთ, კოლხიდელნო, სპარსელების მხარეზე? ისინი მაინც ჩვენს მტრობას არ დაიშლიან და მხოლოდ იმას თუ მოვიმკით, რომ იმდენად უფრო ადვილად შეგვაწუხებენ, რამდენადაც ჩვენთვის ძნელი იქნება გავუფთხილდეთ შინაურს და ქურდულს მტერს, ვიდრე პირდაპირ მოსულს. ვსოდათ თუნდა, რომ ჩვენი გადასვლა სპარსელების მხარეზე საწინააღმდეგო არ არის არც სამართლიანობისა და არც პატიოსნებისა; ვსოდათ ისიც, რომ ვითომ სპარსელების ხასიათიც უფრო უცვლელია და საიმედო და რომ ისინი თავის დღეში არ დაარღვევენ პირობასა და აღთქმასა. ბოლოს, თუნდა ისიცა ვსოდათ, რომ აღარა გვიშლის-რა სპარსების მხარეზე გადასვლასა. მაინც ვამბობ, რომ ჩვენი ღონე საკმარისი არ არის ამ საჭმის გასაბედავად. აბა, როგორ უნდა მოვახერხოთ ესა, როცა ბერძნები, ესოდენ მრავალნი და მამაცნი და მათნი უკეთესნი სარდალნი პირში გვიდგანან? როგორ გადაურჩებით საშინელ შურის-ძიებასა შაშინ, როცა ისინი, ვინც უნდა მოგვეშველნენ, ყოვნდებიან ივერიაში და არ მოეჩარებიან ჩვენდა საშველად? ხოლო ჩვენის სამაგიეროს გადამხდელთ-კი მთელი ჩვენი ქვეყანა ხელში უჭირავთ და შიგ ჩვენს ქალაქებში სცხოვრობენ. პატივცემული აიეტი-კი ბრძანებს, რომ ბერძნები ჩვენს ერთს შეტევასაც ვერ გაუძლებენო და თავის სიტყვების დასამტკიცებლად მოჰყავს ემას წინანდელნი გარემოებანი. ხოლო ვინ არ იცის, რო

ბედი ომში ცვალებადია, და რომ ისინი, ვინც ომში ერთ-ხელ და ორჯელ დამარცხდნენ, შესაძლოა, მუდამ არ და-მარცხდნენ და ბევრჯელ გაიმარჯვონ კიდევა. ხშირად გამარჯ-ვება რჩება იმათ, ვინც წინად დამარცხდა, რათა მით გასწორ-დეს პირველი შეცდომა ბედისა. ამიტომ დიდი იმედი. არ უნ-და გვქონდეს იმისი, რომ ბერძნები ყოველთვის დამარცხდე-ბიან, როგორც აქამდე იყოვო. თუ მხოლოდ იმიტომ და-მარცხდნენ, რომ კარგად ვერ მოსაზრეს, როგორ უნდა მო-ქცეულიყვნენ, ამ მაგალითმა უნდა დაგვაფიქროს და ჩვენ-თვის გამოსაყენებელი ჭკუა გვასწავლოს, სახელდობრ, ის ჭკუა, რომ მოუფიქრებლობას მარცხი და ფათერაკი მოსდევს. ან-კი როგორ შეიძლება იმის მიხედვით, რაც იყო, იმედი მივცეთ ჩვენს თავს, რომ უთუოდ გავიმარჯვებთო; უფრო ჭკუას ახლოა, რომ რაკი ერთხელ და ორჯელ შეცდნენ და დამარცხდნენ, მით უფრო გამოიცადნენ, ჭკუა ისწავლეს და შემდეგში მეტის მოფიქრებით და ჭკუით ეცდებიან აიცდი-ნონ შეცდომა. ხოლო თუ თვით ღმერთს აწყენინეს, განა-რისხეს მით, რომ მათის დაუდევრობით მოჰქმდა საზოგადო კაცის-კვლა და ამიტომ ეწიათ ასეთი უბედურება, ღმერთს რაღა ჩვენი მიშველება და დახმარება ეჭირვება: თვითონაც შეიძლებს მათს დასჯასა. ბერძნებმა იმდენი სიკეთე გაგვიწი-ეს, ისე გვიცავენ და გვიფარავენ, რომ ჩვენ ყოვლად მოსვე-ნებულნი ვსცხოვრობთ და, თუ მაინც ამ სიკეთის მაგიერ, ვუღალატებთ და განუდგებით, სხვა ვიღა მოგვენდობა, რას არ გაგვიბედავენ და რა ბოროტება უნდა იყოს, რომ არ მოგვაყენონ. ამიტომ სჯობს რომ განსვენებულს გუბაძეს არ-უნ არ წამოგვიყენებდეს აქ სიტყვიერად, ვითომ-და ჩვენ შორის სდგას, ჰლვრის ცრემლს, რომელიც არ შეეფერება მამა-კაცს, და გვიჩვენებს თავის წყლულებს, აი გეცოდებო-დეთ, ჩემო-თანამემამულენოვო. ასეთი საქციელი ეკადრე-ბა მხოლოდ სუსტს და განებიერებულს კაცს, და არა მეფეს, მით უფრო—ლაზს და უფრო კიდევ—გუბაძეს. ის რომ ჩვენ

შორის იყვეს, ეჭვი არ არის, როგორც კაცი სათნოიანი და გონიერი, გვისაყვედურებდა, ეგ რა გიფიქრიათო, დატვიშლი-და კიდეც და გვეტყოდა, ნუ დაღონდებით და ნუ შედრ-კებით, ნუ ილტვით, როგორც მონები, არამედ გიბრძანებთ, გამაგრდით ისე, როგორც ჩვეულება აქვთ კოლხიდელებს, და ნურას ჩაიდენთ ისეთსა, რაც სამარცხვინოა და მოაყივნებს თქვენთა მამა-პაპათა სახელსაო. იყავით ისევე, როგორც ხართ და იმედი იქონიეთ, რომ ღმერთი არ დასტოვებს კოლ-ხიდელებსაო. განა უგუნურება არ იქნება ვიფიქროთ, რომ ის, ვინც ძალადობით მოჰკლეს, ასე ფიქრობს და ჩვენ-კი, რომელთაც ვითომ გვიყვარს ის კაცი, სულ სხვა გზას გვინ-და დავადგეთ? მე იმისიც მეფიქრება, რომ მარტო იმისათვი-საც არ დავისაჯნეთ საკმაოდ, რაც ფიქრი და განზრახვა გა-ვივლეთ გულში. მომზადებულოც რომ ვიყვნეთ განდგომისა-თვის და იმედი გამარჯვებისა საეგებიოდ წინ არ გვედგას, მაინც სწორედ ღიდად სამძიმო იქმნებოდა ამისთანა გაჭირებულ ყოფაში მხოლოდ ვინიცობაზედ მიგვეგდო ჩვენი ბედი. მაგ-რამ, ვინ იცის, იქნება ისინი, ვინც ასე ფიქრობდნენ მოქცე-ვასა, ფარაუდობდნენ, რომ დიდი თავის ტეხა არ უნდა საქმე-საო. ხოლო თუ წინ-დაუხედაობა და მოსალოდნელი ბორო-ტება ასეთის განზრახვისა ასე ცხადია, მაშ რაოდენად ღირს-ნი უნდა იყვნენ სიძულვილისა ისინი; ვინც ჩაგვაგონა მაგის-თანა ფიქრი და აზრები? ვგონებ საკმაოდ გავარკვიეთ, რო-გორ უნდა მოვერიდნეთ ამისთანა კაცებს. ჩემი აზრი-კი ის არის, რომ უნდა ფაუწყოთ იმპერატორს, როგორ მოჰხდა ყო-ველივე ესე, რათა მან ღირსეულად დასაჯოს თავი დამნა-შავენი კაცის-კვლისა. თუ ეს ასე მოჰხდა, მაშინ ჩვენც დავი-ვიწყებთ, თუ რამ მტრობა გვქონია რომაელებისა და კვლავ მოვითმენთ იმათთან ერთად ყოველსავე მოსათმენს და კვლავ ვილაშქრებთ და ვიბრძოლებთ ისევ ისე, როგორც გვიბრძოლნია წინად. ხოლო თუ არ შეიწყნაროს ჩვენი თხოვ-ნა, მაშინ უნდა მოვიფიქროთ და განვსაჯოთ, საჭიროა თუ

არა სხვა გზას მიემართოთ. ასეთის ქცევით დაფამტკიცებთ, რომ არ დაგვივიწყნია გუბაძე და ჩვენს საქმეებს მოფიქრებით განვაგებთ.

სახლიშვილ გვარის მემკვიდრეობა

ს ი ტ ე ბ ა

გაიოზისა, თელავის სემინარიის რექტორისა, მეფე ირაკლი II-სადმი „გან-დიდებისათვის იმისის მეფობის დიდებულობის მზრუნველობისა და მომ-ჭირნეობისა ყმათა თვისთა და მაღლობისათვის იმისის უწმინდესობისა, ვი-თარცა მიზეზისა, დამაფუძნებელისა და სრულ-მყოფელისა მეცნიერებითი-სა სიმრგვლისა“.

ყოველივე საქმე იმით არის დიდ და კეთილ, ოდეს გა-მოიძიების, თუ ვინ არის მიზეზი მისი, და ანუ რაი სარგე-ბელი გამოვალს მისგან, და ანუ თუ ვითარითა ჰაზრითა ქმნილ არს იგი? აწინდელისა ამის შეკრებულობისა არა ღმერთი არსა მიზეზ? უსამღვდელოესი ჰაზრი კეთილ-მსახურისა მეფი-სა ჩვენისა არა. არსა საქმე ყოვლად უმაღლესისა არსებისა, აჰზრი, რომელიც დაპნერგა ყოვლად მაღალმან სულსა შინა იმისის მეფობის დიდებულობისასა? არა მაცხოვარება არსა სა-რწმუნოთა და ერთგულთა ყმათა მისთა, შვილთა კახეთისა-თა, რომლისათვის იხარებდინ ერთგულნი შვილნი ამის ქვეყა-ნისანი?! მდგომარეობა ესე ცხოვრებისა ჩვენისა და მოლო-დება განათლებისა და გამოყვანა უმეცრებითისაგან სიბნელი-სა არა არიანა სარგებელნი, რომელნიცა შოგვეცმიან ყოვ-ლად მოწყალისაგან ლვთისა? და ამისათვის შევსწიროთ მსხვერპ-ლი ქებისა ქველის-მოქმედსა ღმერთსა ჩვენსა...

ვჰედავთ და გვესმის, თუ ვითარსა შინა განვრცელებასა და თუ ვითარსა შინა სიმრავლესა განთესილ არის სიბრძნე, რომელსა ვერცა სიშორე აღგილთა, ვერცა სხვაობა ქვეყანი-სა და ჰაერთა შემძლებელ არს შეცვალებად მის მიერის გარ-

დაშოსხმულისა ბედნიერობისა მიმღებელთა ზედა მისთა, არამედ ნიადაგ ლორძილობს, ნიადაგ ყვავილოვნებს და ნიადაგ ერთებრსა სუნელებასა განჰფენს ყოველთაგან, ვითარცა დასავლეთსა შინა, ეგრეთვე აღმოსავლეთსა, ვითარცა ჩრდილოეთსა, ეგრეთვე სამხრეთისა კერძოთა შინა და ამისათვის ყოველნი სიხარულით ისმენენ სახელსა სიბრძნისასა და ამისთვის ყოველნი ბედნიერობად პრაცხვენ თვის ზედა შესმენასა ამის ყოვლად-ძვირფასის გვაროვნებისასა.

აჰა, წინამდებარე არს ბედნიერება ქვეყანისა! აჰა, ცხადდების მზრუნველობა ღვთისა ქმნილთა თვის-თვისთა, ვინადგან აღგვიდგინა მეფე და მამა ყმათა თვისთა, რომელსაცა შინა აღაორძინა პაზრი თვისისა წადილისა, ე. ი. რათა სამეფოი თვისი პყოს. მოკრძალულად ყოვლად მტკიცისა სიბრძნითისა ბედნიერობისა ზლუდითა, რათა ყოველი საქართველოი ესდენ ბედნიერ იყოს, რაოდენცა შესაძლებელ იყოს ბედნიერობა კაცისა შეწევნითა და მომჭირნეობითა ესოდენ ძლიერისა და კეთილ-მსახურისა ხელმწიფისათა.

ესე არს პაზრი მმართებელისა სოფლისა, ესევე არის პაზრი დამწყებელი ამის ყოვლად-უწმინდესისა საქმისა სურვილითა კეთილ-მსახურის მეფისა ჩვენისათა, რათა ჩვენ ყოველნი ვიქმნეთ განათლებულ ნათლითა მეცნიერებისათა, რომლისათვისცა წარმოდგომილი ამას ახლად დაფუძნებულსა უსამლვდელოესსა ადგილსა ზედა წინაშე პატიოსნებისა თქვენისა ვჰყოფ ჰსჯასა, თუ ვითარი სხვაობა არს შორის მეცნიერებისა და უმეცრებისა და ანუ თუ ვითარსა სარგებელსა მოვიდებთ ამის ერთისაგან და მეორისაგან — ვითარსა სავნებელსა, უკეთუ ინებებს პატიოსნება თქვენი.

არა საჭირო არს განხილვაი ამისა, თუ ვითარი სხვაობა არს შორის მეცნიერებისა და უმეცრებისა. გვნებავსა, რათა შევეჩვინეთ ნიადაგ ჰეშმარიტებისა თქმასა? გვნებავსა, რათა განვარჩიოთ საქმენი, განვიხილოთ ყოველნი მდგომარეობანი საქმეთანი და ვჰსცნობდეთ მათცა, თუ რაი გამოვალს მათ-

გან? ესე ყოველნი და სხვანიცა ესე ვითარნი გამოვალნნ მეცნიერებისაგან.

მეცნიერებთ მოიყვანს კაცსა პირველად ცნობისადმი თავისა თვისისა, თუ რა არს და ვითარი რა არს და ესრეთ ცნობა ესე თავისა თვისისა ხელით ყვანებულ ჰყოფს ამის ცნობისადმი, ვითარმედ ეგე ვითარივე არს კაცი, ვითარცა დასაბამი მისი და წარმომადგენელი ნივთი, ფ. ი. მიწა, რომლითაცა დაამყუდროებს თვის. შორის ყოველსა ზეირთსა ამპარტავნებითისა ღელვისასა და მერმე მოიყვანს მას ამის გამოძიებისადმი, თუ რაისათვის დაბადებულ არს იგი შემოქმედისაგან თვისისა და დადგინებულ სოფელსა ამას შინა, რათა სარგებელ ეყოს მოყვასთა, ვიდრე-ლა თავსა თვისისა და ხორცონ, რათა უსნეულო აქვნდეს გონება, ვიდრე-ლა ხორცი, რათა უმეტეს მსურველ იყოს კეთილობისა მის, რომელნიცა თვის-ეყვიან ბუნებასა, ვიდრე-ლა რომელნიცა ტკბილ გემოვნებისადმი მიათრევენ, ვითარცა უსიტყვსა. და ამისათვის ბედნიერობასა შინა არა ზვაობს და უბედურობასა შინა არა სულ-მოკლეობს, არამედ საშუალსა ზედა გზასა დაადგინებს თავსა თვისისა, ვიდრემდის მისწვდებოდეს სასურველსა კეთილსა.

გარნა უმეტება არა უტყვებს კაცსა გამოძიებისადმი აშის ყოვლისა. უმეტარი, ე. ი. არა-მეცნიერი თავისა თვისისა დასაბამისა და დასასრულისა, ჰგონებს თავსა თვისისა ეგრეთ, ვითარცა პირუტყვთა და ესრეთ მისა ოდენ მოსწრაფე არს ქმნად, რაიცა მოეწონების საგრძნობელთა მისთა; შერაცხს მას სასარგებლოდ, რაიცა დაატკბობს უაღვიროსა გულის-თქმასა მისსა, გამოეძიებს მას და შეუდგების, რაიცა აღუთქვამს მას განუძლომელსა წყურვილსა სიმდიდრისა და ვეცხლის მოყვარეობისასა, რომლითაც მწყურვალი სვამს სისხლსა ძმისასა უტკბილეს ზეციერისა ნეკტარისა; სიცრუე შეურაცხიეს უფროს ჭეშმარიტებისა, მოტყუება—უფროს პატიოსნებისა და უპატიოება—უფროს სასუფეველის დიდებისა, ოლონდ მიიღოს სიმდიდრე არა-მგამელი...

ესე არს სხვაობა მეცნიერებისა და უმეცრებისა და ამი-
სათვის მეცნიერება ჰბალავს გულსა შინა ჩვენსა ბედნიერო-
ბითსა სიცოცხლესა, ხოლო უმეცრება შორს გვყოფს ნეტა-
რისა მშვიდობითისა ცხოვრებისაგან.

ყოველი ესე სარგებლობა მეცნიერებისა არა დაფარულ
არს ყოვლად ბრძნისა მხედველობისაგან კეთილ-მსახურისა მე-
ფისა ჩვენისა ირაკლი მეორისა. ყოველი ესე ყვავილოვნება
შემოკრებულ არს გუგასა შინა განათლებულისა თვალისა
მისისათა. ამას ესოდენ გრძელ-უამობითსა გამოცდილებისა
თვისისა კეთილ-მსახურებითისა მეფობისასა ესეოდენ დაუძი-
ნებლობითისა მზრუნველობისასა ბედნიერობისათვის ყმათა-
თვისთასა არა შესაძლებელ იყო, რათა არა ეცნო კვალი იგი
ბედნიერობისა, რომლისადმიცა უძღვის მეცნიერება და ამი-
სათვის პირველად თქვენზედ განმარტა საბედნიეროდ დაუძი-
ნებელი იგი თვალი თვისი, პირველად თქვენთვის ისურვა
ძვირფასი ესე ბედნიერებაი თქვენი, პნებავს რათა იყვნეთ
სრულ ყოვლითა კეთილობითა მით, რომლითაცა შეამკო-
ბუნება სიტყვიერი შემამკობელმან და განმშვენებელმან ყო-
ველთამან; პნებავს თქვენი, არა თუ ვითარცა მონათა, არა-
მედ ვითარცა საყვარელთა შეილთა თვისთა განშვენებად,
განსვენებად და განმდიდრებად. ესრეთ გიძლვისთ თქვენ წყა-
როსადმი მოწყალებისა თვისისა, ესრედ გარდმოპფენს თქვენ-
ზედა ხელმწიფობითსა მფარველობასა, სიბრძნითა და მეცნი-
ერობითა შექსოვილსა! შესაძლებელ არსა, რათა იპოებოდეს
ვინმე ესე ვითარი გულ-ქვა, რომელიცა არა ტყვე იქმნას
ერთგულობითა ესე ვითარისა კაც-მოყვარისა ხელმწიფი-
სათა?

არა შესაძლებელ არს, (უკეთუ უმაღლოებასა შინა არა
ვამყოფებთ გონებას ჩვენსა), რათა არა მოხსენებულ ვყოთ
აქა ღვაწლი და მომჭირნეობა უწმიდესისა მამათ-მთავრისა
ჩვენისა, მეფის ძის ანტონისა და საყვარელისა ძმისა კეთილ-
მსახურისა მეფისა ჩვენისა. ამან, აღმომყვანმან სიბნელისაგან

უმეცრებისა საქართველოისა, იწყო შენობად ბეღნიერობისა ამის ჩვენისა. ამან სრულ-ჰყოცა სახლი სიბრძნისა საქართველოისა ყოვლითა საჭიროთა სწავლულებითა; ამან საუნჯე სწავლისა ამის განამდიდრა ქმნითა და თარგმნითა წერილთა სასიბრძნოთა; ამან გულს-მოდგინებითა თვისითა ჰყო ათინად მამული თვისი, რომელიცა ვითარსა სიბრძნელესა შინა უმეცრებისა დაფარულ იყო უწინარეს ამისა, თქვენვე იცით. ამის უწმიდესის პირისადმი ჰემობს კეთილ-მსახური მეფე ჩვენი სიტყვასა მას ფილიპპე მეფისა მაკედონიისასა, მიწერილსა ბრძნისადმი არისტოტელისა... კვალად „ვმაღლობ ღმერთსა, მომნიჭებელსა ჩემდა სკიპტრასა მეფობისასა დროსა მწყემსობისა შენისასა, ვინათვან ვსასოებ შენ მიერ, რათა შვილნი მორჩილთა კეთილ-მსახურისა სკიპტრისა ჩემისათანი ჰყო ღირსად და სარწმუნოდ მონად ჩემდა სიბრძნითა და სწავლულებითა კეთილ-მსახურებისათა“.

და ესე ვითარისა მოწყალებისათვის, ვითარი რაიმე მაღლობაი ღირსი უძღვნათ კეთილ-მსახურსა ხელმწიფესა ჩვენსა? გარნა რაისაც გულ-მოდგინებითსა მივსცემთ მაღლობასა, ყოველი იგი იქმნების უმცირეს შესწორებითა ქველის-მოქმედებისა მისისათა. და უკეთუ ვპოებთ რასამე ღირსასა, იგი ესე ოდენ იქმნების, რათა გულ-სავსე ვჰყოთ მამობრივი გული მისი სრულ-ყოფითა ამის უწმიდესისა ჰაზრისა მისისათა? ამისათვის ვისწრაფოთ ცხად-ყოფად გულს-მოდგინებისა; ვისწრაფოთ და ვაჩვენოთ, ვითარმედ ვითარცა ესრეთი კეთილ-მსახური მეფე ღირს არს ესე ვითარისა სამეფოისა, ეგრეთვე ჩვენცა ღირსად მონებისა მისისა ცხად-ვჰყოთ თავი ჩვენი. ხოლო უფროს ყოველთასა ვითხოვოთ ღვთისაგან, ვითარცა მეუფისა მეუფეთასა, რათა წარმართებულ ჰყოს სათნოდ თვისად დაწყება უსამღვდელოესისა ამის საქმისა და ვევედრნეთვე მხურვალითა გულითა, რათა სიმრთელით და კეთილობით დაიცვას სიგრძესა შინა ღღეთასა და სიმრავლესა წელთასა კეთილ-მსახური მეფე ჩვენი უმაღლესითურთ სახ-

ლეულით მისით და კვალიად რათა გარდამოუვლინოს ზეცით
მაღალმან მან ნიჭნი და კურთხევანი ყოვლად-წმიდისა სული-
სა თვისისანი უწმიდესთა მამათ-მთავარსა ჩვენსა, მეფის ძეს ან-
ტონის, სემენარიისა ამის დირექტორს და პროტექტორს, და
აქაურთა გნოსისთა დიდას-კალოსა და ჩვენცა, მშრომელთა
ამას უსამღვდელოესსა პალატსა შინა, მოგვცეს ძალი სრულ
ყოფად თანამდებობისა ჩვენისა.

მეცნა დავითს მონაზონი არსენი.

ამათდა მიმართ რასა იტყვ, რომელსა ჰსიბრძნის მოყუა-
რებ შენ, უფროდ ბრწყინვალეო თუალო ყოვლისა სოფ-
ლისა მყოფთა ერთგუამოვნებისაო! რომელი ეგე ჰაეროვან
ზარ, ვითარცა სამყაროე ხილულისა სოფლისა შორის; საჩი-
ნო, ვითარცა მზე ვარსკულავთა შორის; ბრწყინვალე, ვი-
თარცა ეთერი ნივთთა შორის; ნათლის ფერ, ვითარცა ელ-
ვად ღრუბელთა შორის; ცისკროვან, ვითარცა აღმოსავალი
კერძოთა შორის; ტკბილ, ვითარცა არე უამთა. შორის; ღუ-
ლის-
სათქმელ, ვითარცა ოქროე მიწათა შორის; ელვარე, ვითარ-
ცა იაკინთი ქვათა შორის; მაღალ, ვითარცა ფინიკი წერგთა
შორის; მშუბნიერ, ვითარცა ვარდი ყუავილთა შორის; აღ-
მატებულ, ვითარცა სამოთხე ქუბყანისა შორის; ძლიერ, ვი-
თარცა ლომი მხეცთა შორის; მტკიცე, ვითარცა ანდამატი
განუკუბთელთა შორის; სახელ-განთქმულ, ვითარცა ნებროთ
გმირთა შორის; ახოვან, ვითარცა ისო წინა მბრძოლთა
შორის. მხნე, ვითარცა სამფსონ მსაჯულთა შორის; მო-
შურნე, ვითარცა ფინეზ მღუდელთა შორის; უბრძოლველ,
ვითარცა აქილლევ ელლინთა შორის; ბრძენ, ვითარცა სოლო-
მონ მეფეთა შორის; მშვდ, ვითარცა დავით ცხებულთა შო-
რის; უზარო, ვითარცა მაკედონელი *) მფლობელთა შორის;

*) ალექსანდრე.

განმაღილებელ ფლობისა, ვითარცა ავლცხტოს კეისართა შორის; კაც-მოყუარე, ვითარცა ჩემი იესო ღმერთთა შორის; ბუნებით ღმერთი, მაღლით ღმერთი ქმნულთა შორის; მხურვალე, ვითარცა პეტრე მოწაფეთა შორის. საყუარელ, ვითარცა იოანე მეგობართა შორის; მკვრცხლ, ვითარცა პავლე მოციქულთა შორის; სახის დასაბამ უცომელისა ქრისტეანობისა, ვითარცა ღიღი კონსტანტინე თვკ მპყრობელთა შორის; სიმტკიცე კეთილად მსახურებისა, ვითარცა თეოდოსი სკიპტრის მპყრობელთა შორის.

სათნო უჩანანა ესენი მყულროებადსა შენსა, განსულნებულ არსა სიბოროტისა სვლათა მდევნელი დავითიანი სული შენი, რომელნი ესე ძლინად მოგართუნა შენ მწყობრმან შენთა ამათ ნაზარეველთა სიმრავლისამან, რათა შენ მიართუნე ესენი ღმერთსა და მოწყალე ჰყო ამათ მიერ წყალობის მოყუარე ღმერთი, რომელ მოსწრაფებით შემკრებად უბრძანე შენ და ღიდისა ამის და ღრუთისა სათნოდსა წარმართებისა თანა შეუ-მდგომელად მღრუთისა მიმართ მოიგენ, ვითარცა საკუთარი მონანი: რათა რომელიმე ღრუთისა სახისა მღრუდელთ-მთავრობისა მიერ მახლობელ ექმნებოდის შენთვს ღმერთსა, რომელიმე მღრუდელ მშტბნიერითა მსახურებითა, რომელნიმე შეყუარებითა დამბადებელისა; სხუასა გონდნობად ცრემლითა, სხუასა ლამე ყოველ ოფლნი მღვდარებანი, სხუასა ხმელ სარეცლობად; სხუასა რათურთით არა რას ქონებად კეისრისასა ყოველსავე ღრუთისასა, მხოლოდ ხორცითა ოდენ და მათცა მარხვითაგან ლეულთა სხუასა სიტყუა, დაღაცათუ მდაბალი და უნდოე, გინა არავე უპრმოე, არცა უმუსიკელოე მომზიდველ ყოფად სმენისა ამის-თანა შემსგავ-სებულიცა ძალისა ყოველთა ვედრება, ყოველთა ლიტანიობა, ყოველთა ერთხმობა, ვითარმედ დავით კეთილად მსახურისა და ღრუთივ დაცულისა მეფისა ჩულნისა მრავალმცა არიან წელიწადნი!

სასულიერო მშვიდობის მიერა.

ს ი ტ ე გ ა

ხარების დღესა, თქმული კაბრიელ ეპისკოპოსის მიერა

და შევიდა ანგელოსი იგი მისა და
ჰაქვა: გიხაროდენ, მიმაღლებულო!
უფალი შენთანა! (ლუკ. ۱. ۲۴.)

ზეცით მოვლინებული მთავარ-ანგელოზი განუცხადებს
დღეს ქალწულსა მარიამს დიდსა ხარებასა: გიხაროდენ, მიმაღ-
ლებულო, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის.
რა წარმოიდგინა და რა იგრძნო ყოვლად-წმიდამან ქალწულ-
მან, როდესაც იხილა ესრედი უცები მახარებელი და ესმა
მისგან გაუგონებელი სიტყვა? გაუხარდა მას? იფიქრებს კა-
ცი, რომ იგი უთუოდ იგრძნობდა გულში დიდსა სიხარულ-
სა, მისთვის რომ ეს ხილვა და სიტყვა იყო ერთობ დიდი და
აღმამაღლებელი კაცობრივისა ბუნებისა; გარნა არა! ყოვ-
ლად-გონიერმან ამან ქალწულმან გული თვისი არ დაანება
უცებსა სიხარულსა; არამედ იგი შეძრწუნდა, დაფიქრდა და
განიზრახვიდა: ხოლო მან რა იხილა, შეჭირწუნდა სიტყვასა მას
მისსა ზედა და განიზრახვიდა, გათარმე არს მოვითხვა ესე. ანგე-
ლოზმან ლვთისამან შეატყო, რა გრძნობა გასჩნდა მის გულ-
ში, და სთქვა: ნუ გეშინინ, მარიამ! რამეთუ ჭიშოვე მადლი წინა-
შე დვთისა.

შეპხედეთ, ძმანო, და უმეტესად დანო, და განიზრახეთ
თქვენდა სანუგეშოდ, რაოდენი გონიერება და სიმტკიცე სუ-
ლისა და გულისა გამოაჩინა ამ შემთხვევაში ყოვლად-წმი-
დამან ქალწულმან მარიამმა. იგი უეცრად პხედავს თვალთა-
წინაშე უჩვეულოსა მახარობელსა, მას ესმის უცნაური და
შემაძრწუნებელი ხარება; ცეკველია, მიპხვდებოდა, რომ მა-
ხარებელი არ არის უბრალო კაცი, არამედ ზეციერი ანგე-

ლოზი. სხვა ვინმე ამ შემთხვევაში უთუოდ იქმნებოდა სრულიად წარტაცებული გრძნობითა ღელვისაგან. იგიცა შესძრწუნდა, მაგრამ მაშინვე იწყო ფიქრი და განზრახვა: განიზრახვიდა, ვითარმე არს მოკითხვა ესე. თუმცა ჰედავს, რომ მის წინაშე სდგას ანგელოზი, გარნა მაინც დაუფიქრებელად არ მიიღებს სიტყვასა მისსა: განიზრახვიდა, ვითარმე არს მოკითხვა ესე. ესრედთა უჩვეულოთა შემთხვევათა შინა გამოსჩნდება აღამიანის გონება და ხასიათი. ყოვლად-წმიდამან ღვთის-მშობელმან ცხადად აღმოაჩინა ამ შემთხვევაში, რომ უმთავრესნი თვისებანი მისისა ბუნებისა იყვნენ მაღალი გონიერება და შეურყუველი მხნეობა. არა თუ აქ, მთელსა შინა მისსა სიცოცხლესა იგი იქცეოდა საკვირველითა გონიერებითა და მხნეობითა. ორნი ესენი კეთილნი თვისებანი: გონიერება და მხნეობა, მით უმეტესად იყვნენ მის შორის სანატრელნი და განსაკვირვებელნი, რომელ ამასთანავე იგი იყო მშვიდი და მდაბალი. როდესაც გონიერება და მხნეობა შეერთდება სიმშვიდისა და სიმდაბლისათანა, მაშინ იგინი შეამკობენ აღამიანის ბუნებასა.

იგინივე არიან ორნი უმთავრესნი და უსაჭიროესნი თვისებანი, რომელნი უნდა შეამკობდენ ყოველთა ქრისტიანულთა ქალთა. მხოლოდ გონიერებით და მხნეობით შემკულსა ქალსა შეუძლიან აღასრულოს ქვეყანაზე თვისი მაღალი მნიშვნელობა.

რა საჭიროა ამაზე ლაპარაკიო, იფიქრებს ვინმე ჩემთა მსმენელთაგანი. ვინ იფიქრებს და ვინ იტყვის, რომ ქალისათვის არ იყოს საჭირო ჭკუა და მხნეობა? გარნა მრავალი შემთხვევა და ჩვეულება გამოაჩენს, რომ თუმცა ენით ვიტყვით, საქმით-კი სხვაფერ ვიქცევით. გაიხსოვნეთ, ძმანო, ქრისტიანენო, რას აფასებენ უდიდესად მამა-კაცნი და რა მოსწონთ მათ უმეტესად ქალთა შორის? ვინ არ იცის, რომ პირის სახე და მშვენიერება ტანისა ყოვლისა უმეტესად მოსწონთ მამა-კაცთა ქალთა შორის! თუ-კი პირის მშვენიერება

აქვს ქალს, მეტს არაფერს მოითხოვენ მისგან; გარეგანითა თვისითა სახითა ქალი უმეტესად მოიგებს საზოგადოებაში, ვიდრე ჭკუითა და გონიერებითა და უმეტესად საკვირველი აქ ის არის, რომ თვით ქალნიცა ნატვრიან მშვენიერებასა და მით რაცხვენ თავთა თვისთა ბედნიერად. ხოლო რაიცა შეეხება სიმხნესა და გონიერებასა, თითქმის ყოველგან განვრცელებული არის ის აზრი, რომელ ეს ორი თვისება ქალთათვის არ არის ეგოდენ საჭირო და მათ შეუძლიათ უიმისოდაც კარგად გაატარონ თვისი ცხოვრება. ეს ჰაზრი უსაფუძვლო არის! ვგონებ, რომელ მახვილი და ღრმა გონიერება, აგრედვე მხნეობა და სულიერის ხასიათის სიმტკიცე ქალისათვის უმეტესად არის საჭირო, ვიდრე მამა-კაცისათვის. იქმნება ვისმე ეუცხოოს ეს ჰაზრი, მაგრამ ჩვენ აღვილად შეგვიძლიან მისი დამტკიცება.

პირველად, ვიცით ჩვენ ყოველთა, რომელ ქალი აგებულობითა, ანუ სხეულითა არის უფრო სუსტი, ვიდრე მამა-კაცი; მას არა აქვს ეგოდენი ხორციელი ძალი და ღონე, რაოდენიც აქვს მამა-კაცსა, და რადგანაც ამაში იგი ჰშორავს მამა-კაცისაგან, საჭირო არის, რომ გონიერებითა და ჭკუით მაინც შეავსოს ეს თავისი ნაკლულევანება, რათა ყოვლის მხრით არ დარჩეს შორს მამა-კაცისაგან. ამავე მიზეზის გამო, ესე იგი, რადგანაც ქალი არის აგებულობით სუსტი, საჭირო არის რომ მას ჰქონდეს სულიერი სიმტკიცე, ხასიათის სიმაგრე. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ქალი ჭკუითაც შორს დარჩა მამა-კაცისაგან, ხასიათიც სუსტი და უღლონო აქვს, მაშინ იგი პირდაპირ შეიქმნება მამა-კაცის სათა-მაშო, მაშინ ყოველი მამა-კაცი ბოროტად იხმარებს მისსა სისუსტესა და უღლონოებასა. საუბედუროდ, ხშირადაც ვჰედავთ ჩვენ ამას. რაოდენი ქალი იღუპება ქვეყანაზე მით, რომ იგი არის უღლონო, სუსტი სულიერადაც; არა აქვს სულიერი ღონე, რათა მტკიცედ წინა-აღუდგეს განსაკრელთა, არ აჰყვეს მამ-კაცის ბოროტა შეგონებათა, სურვილთა და მა-

გალითთა. საზოგადოდ, ის უნდა ვსთქვათ, რომ ცოდვანი და ნაკლულევანებანი ქალთა უმეტესად წარმომდინარეობენ ამ წყაროისაგან.

ქრისტეანობა არ მოითმენს ამას. ქრისტეანობა მოითხოვს, რომ ქალი იყვეს თვით-მდგომარი, ესე იგი, ყვოდენი გონიერება და მხნეობა უნდა ჰქონდეს, რომ იქცეოდეს თავის ჭკუითა და ნებითა; ქრისტეანობა არ მოითმენს, რომ ქალს ჰქონდეს მონებრივი დამოკიდებულება მამა-კაცთან, თუ გინდ მამასთან. გაუნათლებელთა და უსჯულოთა ქვეყანათა შინა ქალი არის სათამაშო მონა მამა-კაცისა და ემსახურება მხოლოდ მამა-კაცის პირუტყვულთა ვნებათა. არა ესრედ არის განათლებულთა, ქრისტეანეთა საზოგადოებათა შინა. აქ ქალს აქვს დიდი პატივი და მნიშვნელობა. ღმერთმან ისე შეამკო ქალი მრავლითა განსხვავებულითა თვისებითა და ნიჭითა, რომ მან უნდა მისცეს დიდი შემწეობა საზოგადოებასა. გარნა უკეთუ იგი არის მოკლებული გონიერებითა და მხნეობითა, მაშინ ყოველნი მისნი მშვენიერნი თვისებანი შეიქმნებიან წყაროდ მისისა უბედურებისა და საზოგადოების წახდენისა.

რაში უნდა გამოიჩინოს, როგორ უნდა მოიხმაროს ქრისტეანულმა ქალმა თავისი გონიერება და მხნეობა? შეიძლება, ძმანო, მან ბოროტად იხმაროს თვისება და ეს იქნება დიდი უბედურება. ქალი მაშინ აღასრულებს თვისსა დიდსა დანიშნულებასა, როდესაც იგი მხნეობასა და ჭკუასა მოახმარს ოჯახსა, შვილთა და ნათესავთა. ქალის ბუნება განსხვავდება მამა-კაცის ბუნებისაგან გულის გრძნობითა. გამოცდილება ამტკიცებს, რომ ქალი თვითონაც მაშინ უფრო ბედნიერი არის, როდესაც სხვას მიანიჭებს ბედნიერებასა. ქალის გული მოითხოვს სიყვარულსა, თავის გამომეტებასა; იგი ყოველთვის ეძიებს ვისამე შესწიროს თვისი ლონე, სიყვარული. მართალია, არიან ზოგიერთნი ქალნი თავის-მოყვარენი, რომელნიც მარტო თავის ბედნიერებას ეძიებენ, გარნა ესე ვითარნი მოქმედებენ წინააღმდეგ თვისის ბუნებისა.

ჭეშმარიტი დედობრივის ბუნების შექონი ქალი ბეღნიერი არის მაშინ, როდესაც სხვას აბეღნიერებს. ამისთვის ქალმა უნდა ყოველთვის ეძიოს ის შემთხვევა, სადაც საჭირო არის მისი თავის-გამომეტება, სადაც მას შეუძლიან ნუგეშის-ცე-მა შეწუხებულისა, შემსუბუქება აღამიანის ტვირთისა, რო-მელსა შინა შემწე იყოს ყოვლად წმიდა ყოვლისა გონიერი-სა და მხნე ქალისა. — ამინ.

ს ი ტ ყ გ ა

ყოვლად-სამღვდელო მიტროპოლიტ ანტონ ჭყონდიდელისა.

იტყვის წინასწარმეტყველი ღიღი ღანიელ: ვსულდეთ, ვიუსამართლოეთ, ვიუთნოეთ და განვსდეგით მცნებათაგან შენთა და მსჯავრთაგან შენთა: ამას წინასწარმეტყველი ღვთი-სა მიმართ ჰქმობს: ვსულდეთ, ვიუსამართლოეთო. მაგრამ არ იცოდა ესე თვით ღმერთმან? მან ყოველი უწყის და იცის. მაშ რათ ეუბნება? ეს გამოვიკვლიოთ. ამისთვის ეუბნება, რომ ღმერთს ეს ჰნებავს, კაცმან თავისის პირით თავისის ცოდვის აღსარება ჰყოს. და წინასწარმეტყველი ღვთის ნებას სრულ ჰყოფს და თავისის პირით თავის შეცოდებას აღია-რებს. მოვიდეთ და ძველიდამ და ახლიდამ ამისი დასამტკი-ცებელი სახეები მოვილოთ, რომ კაცისაგან აღსარება ნებავს ღმერთს. როდესაც აღამ სცოდა, ღმერთმან ხმა უყო: აღამ, აღამ! სადა ხარ? ღმერთმან არ იცოდა, სად იყო? როგორ არ იცოდა, მაგრამ თითონ აღამისაგან აღსარება ენებებო-და, თუ სად რომელს ცდომაში იყო. კაენმან რომ აბელ მოკლა, თითონ აბელის სისხლი ღმერთს ულალადებდა: ამას თვითვე უფალი ამტკიცებს და იტყვის: სისხლი აბელისა, ძმი-სა შენისა, ღალადებს ჩემდამო. და კაენს რომ ჰკითხვიდა ღმერთი, სადა არს აბელ, ძმა შენიო, როგორ არ იცოდა, სად იყო, მაგრამ ამისთვის ჰკითხვიდა, რომ თითონ კაენისაგან

აღსარება ენებებოდა. ეს ძველისა იყო. აწ ახლისაგან მოვილოთ სიმტკიცე, რომ კაცისაგან ღმერთს აღსარება ჰქონდავს. მატთე მოგვითხრობს წინამორბედისა ითანესთვის: და განვიღოდა მისსა ყოველი იერუსალიმი და გარემო სოფლები და ნათელს იღებდეს მისგან და აღუარებდეს ცოდვათა მათთა. და იაკობ მოციქული: აღუარებდით ურთი-ერთარს ცოდვათა. ვგონებ რომ კმა საყოფელად დამტკიცდა, რომ ღმერთს დიდად ნებავს კაცისაგან აღსარება. ეგების ვინმე იძიოს, რათ ნებავს ჩვენის ცოდვის აღსარება? საყვარელნო! ეს ხომ მოციქულისაგან გასმია: ღმერთს ყოველთა ნებავს ცხოვრება. და ყოველთა ცხოვრება რო ნებავს, ცხოვრება თვინიერ აღსარებისა, შეუძლო არს. ამას თვით ქრისტე ამტკიცებს: რომელმან არა აღმიაროს მე წინაშე კაცთა, არცა მე აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა. ამ აღვიღს ეს ძალი შვენის. ამ სიტყვას ქრისტე გიბრძანებსთ: რომელმანცა წინაშე მოძღვრისა თვისისა ცოდვა არ აღმიაროს, არცა წინაშე მამისა ჩემისა ჩემდა მოწაფედ და შვილად სასუფეველისა მას აღვიარებო. ამისთვის ნებავს ღმერთს აღსარება. ნუ გონებ, თუ ჭეშმარიტი აღსარება არა გაქვს, ქრისტეს მოწაფეობისა-განაც არ განვარდე და ჯოჯოხეთსაც არ მიეცე. თორემ ამი-სი უცდომელი სახეები მოგართვა. ადამ დაიმალა, არ აღიარა ცოდვა, რომლითაცა სკოდა და დაისაჯა. ეგების სთქვათ, ადამ ახლა სასუფეველშია და მეცისე მიხსნისო. ეს თქმა უგუნურება არის: მეორედ შენთვის ქრისტე ჯვარსა ზედა არ დაემსჭვალვის. არ განუცხადა კაენმან თვისი ცდომა და დაიწყევა პირისაგან ღვთისა. შენც კაენისებ შენს ცდომას წინაშე ქრისტესა არ განაცხადებ, მსგავსად მისსა შენც წყევას მიიღებ პირისაგან ღვთისა: წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა. ესე ძველისა იყო. ახალში მოვიღეთ: იუდამ დაფარა თვისი ცდომა თვისის მოძღვრისა და უფლისაგან და განვარდა კრებულისაგან მოწაფეთასა. შენც ფარავ შენის მოძღვრისაგან შენს ცდომას, იუდასებრ შენც

ქრისტეს მოწაფეობისაგან განვარდები. ისიც ქრისტეს ეცრულ
და, შენც ქრისტეს ეცრუები, რომ აღსარებას ჰფარავ, მანდ—
არის ქრისტე და თვითვე ბრძანებს: მუნ ვარ მე შორის მათ—
სა. კიდევ: ანანიამ დაუფარა, თვისი მოგებული ქრისტეს მო—
წაფეთა, დაეცა ანანია და სული წარხდა. ეგრეთვე შენ შო—
რის მოგებულს ცოდვას ქრისტეს მოწაფეს, სამლელელჭთა—
განს, უმალავ, როგორც ანანიამ თავისი მოგებული ზოგი
გამოუცხადა ზოგი დაჰფარა; ეგრეთვე შენ რომელსამე ცოდ—
ვას გამოუცხადებ და რომელსამე დაუფარავ: ჯეროანი არის
ანანიასებრ დაეცა და სული წარგხდეს; ჯეროანი არის მა—
ზედ თქმული, შენზედაც ითქვას: არა ეცრუე შენ კაცთა;
არამედ ღმერთსა. და თვალით რომ ვერ ჰხედავ ქრისტეს, ეგებ
იჭვნეულებდე ამას, რომ მოძღვარსა და შენ შორის სწორე—
ბით ქრისტე არ იყოს და ამისთვის აღსარებას ჰფარვიდე?! სა—
მლობას მაღლის შეწევნით დასამტკიცებელი სახეები მოგართ—
ვა ამისი, რომ სწორებით იქ ქრისტე მდგომარე არის. რა—
საც თვალით ვერ ჰხედავ, იმას თუ არ ირწმუნებ, სწორედ
უღმრთო შეიქმნები. წმიდა სამებას: მამასა და ძესა და სულ—
სა წმიდასა ვერ ჰხედავ და, თუ არა გრწამს, უღმრთო იქმნები. თუ
ამას მეტყვია ამას წინასწარმეტყველნი და მოციქულნი
მარწმუნებენ სიტყვით: ქრისტესი უმეტესად უნდა გრწამდეს,
რომ მათი უფალი არის და ის გიბრძანებს: მუნ ვარ მე შო—
რის მათსა. ან უღმრთო უნდა იქმნე, ან აქ, აღსარებაში,
ქრისტე მდგომარედ უნდა ირწმუნო. კიდევ სხვა სახე უნდა
მოვიღოთ: სასუფეველსა და ჯოჯოხეთს ვერ ჰხედავ, მაშ არ
უნდა ირწმუნო არც კეთილთათვის კეთილი მისაგებელი და
არცა ბოროტთათვის ბოროტი? ესეც უღმრთოება შეიქმნა.
ჰნახე, რა უღმრთოება არის: პეტრე და იუდა სწორე უნდა
შეიქმნენ! პეტრეს კეთილი არ უნდა მიეგოს შენის იჭვის მსგავ—
სად და იუდას — ბოროტი. თუ მეტყვი და შეიკლიმებ, რომ
ამას ქრისტეს სიტყვით ვირწმუნებ: ცოდვილთ მიეგება სა—

ტანჯველი, ვითარცა ბრძანებს უფალი შესო: წარვედით ჩემ-
გან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა და მართალთა:
მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ
თქვენთვის განმზადებული სასუფეველი. მე გეტყვი: თუ ამას
ჩემის სიტყვით არ ირწმუნებ, რომ მოძღვრისა და მოწაფისა
შორის ქრისტე არის, ესეც მისი სიტყვით ირწმუნე, რომ
ბრძანებს: მუნ ვარ მე შორის მათსა. ერთი მაგალითი კიდევ
ვსთქვათ: შენ თუ სული გიდგას, არ უნდა გრწამდეს, ამის-
თვის რომ სულს ვერ ჰქედავ. თუ თვალით უხილავად არას
ირწმუნებ, არც ეს უნდა გრწამდეს შენ. ცოცხალი და მკვდა-
რი, უსულო, ერთი უნდა იყოს. პნახე, რა უგუნურება არის!
და თუ მეტყვი, სულს სხეულის მოძრაობით ვიცნობო, სა-
მართალი საჯე, შენის სხეულის მოძრაობისაგან ქრისტეს
სიტყვის მოძრაობა უფრო სარწმუნოა თუ არა? შენი სხეუ-
ლი ერთი უძლური რამ არის და სიტყვა ღვთისა როგორ
ძლიერი არის, მოციქულისა ისმინდე: ძლიერ არს სიტყვა
ღვთისა და უმკვეთლეს უფრო მახვილისა ორ-პირისა.. თუ
უძლურისა და დახსნილის შენის სხეულის მოძრაობისაგან შენ
შორის უხილავად მყოფს სულს ირწმუნებ, უძლიერესის ქრის-
ტეს სიტყვისაგან მოძღვრისა და შენ შორის მყოფი ქრისტე
ირწმუნე, რომ იტყვის: მუნ ვარ მე შორის მათსა. და თუ ამას
იტყვი, რათ ცხადად არ მეჩვენებაო, პასუხი მაგისი არის: მზე
ცხადათ რომ აღმოგიბრწყინდება, რაისთვის პირის-პირ სწორე-
ბით ვერ მიხედავ? მიზეზი ეს არის: უძლურს თვალს მისის მცხინ-
ვარების განცდა არ შეუძლია. უმეტესად ცოდვისაგან მოუძლუ-
რებულს თვალს ცხადად ქრისტეს მიხედვა არ შეუძლია. თუ
დაბადებულის მზის მიხედვას ვერ უძლებს, დაუსაბამო ღმერ-
თი როგორ უნდა განიხილოს შენმან თვალმან? ამისთვის არ
გეჩვენება. თუ იტყვი, მოციქულნიკი ჰქედვიდენო, მაგის პა-
სუხი აი რაა: აქ ორი რამ სათქმელი არის — ერთი ეს რომ
მოციქულთაებრ განწმენდილებას შენის თავისას ვერ იქადებ,
მეორე ესე — ამაღლებამდის მოციქულნიცა და სხვანიც ჰქე-

დევდენ, შემდგომად ამაღლებისა ისე სახილველი არ არის. ამაღლებამდისაც მარიაშ მაგდალინელს რა უბრძანა? ნუ შემომეხებიო. კიდევ ცხადად არ გეჩვენება თავისის კაცთ-მოყვარეობისათვის: უხილავად უდიდესს ნეტარებას მიიღებ, ვითარცა ბრძანებს უფალი იქსო: ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვრწმენე. კიდევ არის მიზეზი, რომ ცხადად არ გეჩვენება: კაცი, რომელიც გონებისაგან განსრული არ არის, თავისის ცოდვის თქმისათვის დიდად იშიშვის და ძრწის, და აღსარების უამს ცხადად რომ ეჩვენოს, ასეთი შიში და ძრწოლა შეიპყრობს, ენის ძვრას ვეღარ იკადრებს. თუ ქერაბინ-ნი-კი ძრწიან მისგან, მიხედე, თუ ცოდვილთათვის, რა ძნელი შესაძრწუნებელი იქმნება. ამისთვის ცხადად არ გეჩვენება. იქმნება რომ კიდევ მიზეზი რამ მოიგონოს ვინმე და არ აღიაროს თავისი ცოდვა. ეგების უმეცრება დასდვას. ვინმე მიზეზად და სთქვას, არ ვიცი, რა ვჰყო. საყვარელნო! დანიელ წინასწარმეტყველმან მაგალითად დაგიდვა თავისი თავი. როგორც ის ხმობს ღვთისა მიმართ: ვსცოდეთ, ვიუსამართლოეთ, ეგრეთვე შენ შენის ცოდვისათვის ღალადება ჰყავ შენს მოძლვართან და, თუ ქს გაბრკოლებს რომ მძიმე ცოდვის ტვირთი გაქვს, მაგისთვის ნუ სწუხარ, უცხო განმხნევებელი გყავს; ქრისტე გიბრძანებს: მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. უწყოდე, საყვარელო, იმ განსვენებაში საკვირველს ნიავს და წყაროს ჰპოვებ. ნიავი, რომელ არს სული წმიდა, ვითარცა ბრძანებს უფალი იოველის შიერ: მივფინო სულისაგან ჩემისა წყარო, რომელ არს უკვდავ-მყოფელი, — ხორცი და სისხლი ქრისტესი, ვითარცა ბრძანებს უფალი პირითა დავითისათა: და უკვდავებისა წყაროსა გემო ვიხილოთ. და თუ ამისი ეჭვი გაქვს, რომ მივიდე და განმაგდოსო, სხვა ვინ განაგდო? მეძავი მივიდა და არ განაგდო, შეიწყალა და რქვა: მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი; ავაზაკსა რქვა: დღეს ჩემთანა იყავ სამოთხესა, მტკიცე იყავ, არც შენ განგაგდებს.

უტყველის სიტყვით ამტკიცებს: რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განვაძო გარე, ესეც სცანი, მისდა მიმართ მისრულს არ შერისხავს, ამისთვის რომ მშვიდი და მდაბალი არის. ამას თვით ქრისტე ამტკიცებს: მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა. და თუ სირცხვილისათვის აყენებ აღსარებას, ეს უგუნურება არის, ამისთვის რომ ერთის ვისმე სამღვდელოთაგანის გრცხვენიან. და წინაშე ქრისტესა წარდგინებისათვის არ სძრწი. ხოლო თუ რა შესაძრწუნებელი არის, დანიელისაგან ისმინე: მდინარე ცეცხლისა სდიოდის წინაშე მისსა; ათასნი ათასთანი სდგენ და ბევრნი ბევრთანი მსახურებდენ მას. და თუ მკითხავ, მოძღვარს რომ ჩემი ცოდვა კეთილად აღუარო, საუკუნოს სირცხვილისაგან ვიხსნები. დავით წინასწარმეტყველისაგან სცანი, რომ იხსნები, ვითარ იგი ჭმბბს: ვსთქუა, აღუარო ბრალი ჩემი უფალსა და შენ მომიტევე მე უღმრთოება გულისა ჩემისა. საყვარელნო, ესეც ისმინეთ: ქრისტე მკურნალი არის ცოდვის წყლულებისა, ვითარცა იტყვის იოანე ღვთისმეტყველი: ამას მივსწერ თქვენდა, რათა არა სცოდოთ და, უკეთუ სცოდოთ, მკურნალი გივის მამისა მიმართ — ქრისტე — იესო მართალი. და სნეული რომ მკურნალს წყლულს უფარავდეს, მიხედეთ; თუ რა დიდი უგუნურება არის. უდიდესი უგუნურება რა იქნება: მკურნალის დაფარული წყლულება სიკვდილს შემოიდებს. ეგრეთ თვე უაღსარებო ცოდვა — საუკუნო სიკვდილს, ესე იგი წარწყმენდას შემოიდებს. ეგების აღროებდეთ ვინმე და რომელსამე უამს უცდიდეთ, შაგრამ მდიდარს რომ ხმა ესმა: უგუნურო, ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენგან, ეს რომ გესმას, რასა ჰყოფ? მე სხვას არას გეტყვი: უმჯობეს იყო შენდა, არა თუმცა შობილ იყავ. საკვირველი არ იქნება, თუ ამას ფიქრობდეს ჩემი დაფარული ცოდვა სხვას როგორ განუცხადოვო. თუ გამოიძიებ ჩემის ულირსობისაგან და ამას მკითხავ, რა განსაკვირვებელი არის, ჩემი დაფარული ცოდვა სხვას არ უთხრა. ორის საქმისათვის დიდად საკვირველი არის:

ერთად — ამისთვის, შენ შენი ცოდვა დაფარული გგონია და
ყოვლითურთ განცხადებული არის და მეორედ — ამისთვის:
აღსარების ოქმა ცოდვის უფრო დამფარველი არის, არა თუ
განმაცხადებელი. მითხარ, საყვარელო, თუ რითი დაფარავ
შენს ცოდვას? თუ მეტყვი, ბნელი დამფარავსო, მაგითი ვერ
დაიფარვი. მზის უბრწყინვალესი თვალი გხედავს. თეოდოტე
ეპისკოპოზი იტყვის: ბევრ წილ მზისა უნათლეს არიან თვალ-
ნი უფლისანი, თუ იტყვი, არავინ კაცი მხედავსო, ვერც
მაგითი დაიფარავ: ადამს კაცი არავინ ხედავდა, მაგრამ არ
დაიფარა მისი ცოდვა. კაენს ვინ ხედვიდა, განვიდა ველად
და მოაკვდინა ძმა თვისი, მაგრამ არც იმისი ცოდვა დაიფა-
რა. აგრეთვე არც შენი ცოდვა დაიფარვის, ნუ სცდები.
კიდევ უცხადესად გიჩვენო, რომ შენი უაღსარებო ცოდვა
უფრო განცხადებული არის. ამის მეტი განცხადება რა იქნება:
ღმერთმან იცის, კაცმან, ანგელოზმან და ეშმაკმან. ღმერ-
თმან ამითი იცის, ყოველგან არს და ყოველსავე აღავსებს
და შენ სით დაეფარვი? კაცმან ასე იცის: ქრისტე სრული
ღმერთი და კაცი არის: მას თუ რამ დაეფარვის, შენვე კე-
თილის მეცნიერებით იფიქრე. მომავალი პეტრეს შეცოდება
თუ არ დაეფარა და პეტრეს ცოომამდის ამხილა და უბრძანა:
ვიდრე ქაომისა ხმობამდე სამგზის უარ მყო მე, შენი ქმნილი
ცოდვა სულ არ დაეფარვის. ანგელოზმან ასე იცის, მცველი
ანგელოზი უამ მარად თავს გადგას და სად უნდა დაეფაროს
შენი ცოდვა? ეშმაკმან ამითი იცის, რომ თვით ის გაქმნე-
ვინებს ცოდვას. მე გიჩვენე, თუ შენი ცოდვა როგორ გან-
ცხადებული არის ღმერთთან, კაცთან, ანგელოზთან და
ეშმაკთან. შენ მიჩვენე, თუ დაფარული რითი არის. თუ ამას
იტყვი: ლიტონმან კაცმან არ იცისო, ღმერთი არ განაცხა-
დებსო. აქაც სცდები, ამისთვის რომ ღმერთი უაღსარებოს
ცოდვას არ დაფარავს. დავით წინასწარმეტყველის პირით
ცხადად გიბრძანებს, გამხილო და წარმოვალგინნე ცოდვანი
შენნი. წინაშე პირსა შენსა. საყვარელო, მე გკითხე, თუ

თქვენი ცოდვა სად და რაგა დაფარული არის და ვერა მო-
მიგეთ რა. აწ მე მოგახსენო, თუ აღსარებისაგან ცოდვა რავა-
დაიფარვის. ნეტარ მკვდარი დავიწყებული და დაფარული
არის თუ არა? დიდის იერემია წინასწარმეტყველისაგან ის-
წავეთ, თუ როგორ დავიწყებული და დაფარული არის.
იერემია იტყვის: დაივიწყნეს დედამან ნაშობნა მუცლისა-
თვისისანი. მიხედეთ: სადაც დედა შვილს დაივიწყებს, თუ
ის მკვდარი როგორი დაფარული იქმნება, აგრე აღსარებისა-
გან ცოდვა როგორ კლდეს შეეხეთქება, ესე იგი ქრისტეს,
ჰითარცა იტყვის წინასწარმეტყველი დავით; ნეტარ არს,
რომელმან შეიპყრეს ჩივილნი და შეახეთქნეს კლდესა, ის
ცოდვა დავიწყებული და დაფარული იქმნება. ვითარცა
მკვდარს დედა დაივიწყებს, ეგრეთვე აღსარებისა და სინანუ-
ლისაგან მკვდარს ცოდვას დედა ჩვენი ეკკლესია დაივიწყებს.
ერთი მაგალითი კიდევ ვსთქვათ: ერთი მაკვდინებელი წამალი
ქონდეს ერთს ვისმე უგუნურს, მოეგოს გონებას და თავის
მასწავლებელს უჩვენოს ის მაკვდინებელი წამალი, მასწავ-
ლებელმან მიუწოდეს უკიანე ზღვაში ჩააგდოს და უცნა-
ურად დაიფაროს, აგრეთვე, რომელსაც სულის მაკვდინებე-
ლი ცოდვა აქვს და იმას მოძღვრისაგანს მასწავლებელს უჩვე-
ნებს (მასწავლებელი ქრისტე არის, ვითარცა თვით ამტკი-
ცებს). ისწავეთ ჩემგან: ქრისტეს რომ აღსარებაში ცოდვას
უჩვენებს, ქრისტე მიუწოდეს და გამოუძიებელს თავისის
მოწყალების უფსკრულში დანთქამს. მიხედეთ, თუ მერმე ის
ცოდვა როგორ დაეფარვის. თუ როგორ, სული წმიდა ეზე-
კიელის პირით ამტკიცებს: არღა მერმე მოხსენებულ იქმნენ
ცოდვანი მისნი. ცხადად წარმოჩენილი შეიქმნა, რომ აღსა-
რებისაგან ცოდვა დაიფარვის მიიღეთ კეთილი აღსარება და
სინანული, რათა განქარდენ ცოდვანი თქვენნი და მკვიდრ
იქმნეთ ყოველნი სასუფეველსა ცათასა აწ და საუკუნეთ
უკუნისამდე.—ამინ!

ს ი ტ ე ბ ა

არზიმანდრის მაკარისა

დირსისა დედისა ჩეტნისა და მოციქულთა სწორისა ნინო ქართველთ-განმანათლებელის გარდაცვალების დღესა, იდ-ს იანვარს ჩეპვ-ს წელსა.

„მოიხსენეთ წინამძლეარნი თქუმნი, რომელნი გეტყოდეს თქვენ სიტყვათა მათ ღუთისათა, და ჰედვდეთ რა გამოსვლასა ცხოურებისა მათისასა, ჰბა-ძევდით სარწმუნოებასა მათსა (ებრ:

13. 7)

კეთილ მორწმუნენო ქრისტეანენო! ყოველს ერთ, რომელსაც კი ისტორიულად უცხოვრია, რომელსაც-კი აღუ-შეჭდია რითიმე კვალი თავის ცხოვრებისა, უეჭველად ჰყო-ლია იმისთანა დიდებულნი კაცნი, რომელთაც დაუყენებიათ ეს ერთ ისტორიულ გზაზედ და შეუტანიათ მის ცხოვრებაში ის ამაღლობინებელი ძალი, რომელიც შემდეგ გამხდარა ქვა-კუთხედ ამ ერთს მთელის ისტორიულის სიცოცხლისა. მეტად-რე დასაწყისი რომელისამე ერთს ისტორიისა ხომ ყოველთვის ეკუთვნის ამათთანა კერძო კაცთა. ყოველი ერთ მათგან არის დავალებული თავის ისტორიით.

საქართველოს შვილნო და მართ-მაღიდებელნო ქრის-ტეანენო! არც ჩუმნა ვართ მოკლებულნი ამათთანა დიდებულთ კაცთა, ჩუმნცა გვყავს ჩუმნის ეროვნების სულის შთა-მდგმელნი და ჩუმნის ისტორიის მომცემნი. ჩუმნი წინამძლვა-რი და ჩუმნის ერთს სიცოცხლის დამსყენებელი, არამც-თუ არის მომაკვდავი ხორციელი, — იგი არის მოციქული თვით ზეცისა, იგი არის იმ წმიდა მოციქულთ თანასწორი, რო-მელთ მოძლვორებამ განაახლა მთელის კაცობრიობის ცხოვრე-

ბა ზეციურის ცხოველ-მყოფელის მაღლით, — იმ მაღლით, ურომლისოთაც, როგორც გვაჩვენებს რამდენისამე ათასის წლის ისტორია, კაცობრიობას არც შეეძლო მიეგნო ჭეშმარიტ გზისათვის და არც ევლო მასზედ თავის თავათ.

დიდებული დღეა დღეს, არამც-თუ საქართველოს ეკკლესიისათვის, არამედ მთელის საქართველოს ერისათვის. დღეს ჩუცნ ვდღესასწაულობთ საქართველოს განმანათლებელის მოციქულთა სწორის ნინას გარდაცვალების დღეს. თხუთმეტმა საუკუნემ განვლო მას აქეთ, რაც ეს ღირსი დედა ალსრულდა; თხუთმეტმა საუკუნემ მრისხანებით გარდაუარა ივერიას, მაგრამ ის სულიერი ძალა, რაც უ შეიტანა ამ ღირსმა დედამ საქართველოს ერში, დღევანდლამდე არ გამჭრალა და არც გაქრება, მინამ საქართველოს ერი სცოცხლებს დედა-მიწის ზურგზედ. ეს ის ზეციური ძალა იყო, ცხოველი და საუკუნო, რომელმაც საქართველო განახლა და განამტკიცა სულიერად და ამით შეაძლებინა იმ შავის ბედი-საგან თავის გამოხსნა, რომელიც შეუბრალებელის მექასა და მედინას ფანატიკოსთა წყალობით ერგო საქართველოს მის გრძელ-ჭამიერ წარსულში; როგორც რომ ყინვით დამზრალ ქვეყანას გამოაცოცხლებს თბილი გაზაფხული, ეგრეთვე საქართველოში ნინას მიერ შემოტანილმა ქრისტეანობის ბრწყინვალე და ცხოველ-მყოფელმა სხივმა გარდაახალისა, განახლა საქართველოს ერი, ზეციურის მაღლით განაცოცხლა. და აღადგინა იგი წარმართობის ღრმა სიბნელისაგან, რომელ-შიაც გზა არეულნი ჩუცნი წინაპარნი, არა მცნობნი ჭეშმარიტისა და სინათლისა, უხრიდნენ თავთა მხოლოდ თვისთა უსულოთა კერპთა და სწირავდნენ მათ შვილთა თვისთა.

სახარების სინათლემ, რომელიც შემოიტანა ივერიაში. ლტოთის-მშობლის მოციქულმა ნინამ, აუხილა ამ ბრმათ თვალნი, ზეციურის სიყვარულის ძალამ და ზეციურის მაცხოვრის მაღლმა ჩაუდგა მათ სულო განახლებისა და ცხოვრებისა, ზეციურის მტკიცედ შეაკავშირა იგინი ერთ განუყოფელ

საზოგადოების სხეულად, რომელშიაც ყოველი ქართველი ხედავდა თავის თავს ზეციურ მამის შვილად და თავის მეზობელს თავის მოძმედ, თავის მოყვარედ. ეს სულიერად შემაკავშირებელი ძალა ქრისტეს სწავლისა, რომელიც განავრცელა ჩუღუნის სამშობლოში ლირსმა ნინომ, ეს ერთი ერთ მანეთის სიყვარულის დაფუძნება ქართველთა შორის, ნაცვლად უწინდელის მათ შორის სიმძულვარისა, და მტრობისა, შეიქმნა საქართველოს იმ მტკიცე სვეტად, რომელსაც ვერა დააკლო-რა თხუთმეტის სახუკუნის ქარიშხალმა. მტკიცედ იდგა ეს სვეტი და მტკიცედ ჰქონდა მას ფესვი გამდგარი ივერიის კეთილ და ნაყოფიერ ნიადაგში.

დიდება ღურულის განგებას! ის ურიცხვი ისტორიული უბედურობა, ის მრავალ-გზით აკლება აუარებელის მტრისაგან, რომელიც მოელოდა საქართველოს მომავალში, ხომ ერთიანად აღგვიდა ერთ მუჭა საქართველოს ერს, ისე რომ მისი ხსენებაც აღარ იქნებოდა დედა-მიწის ზურგზედ, თუ ჩუღუნის წინაპარნი არ ყოფილიყვნენ წინადვე განმტკიცებულნი ერთი ერთმანეთის ზეციურის სიყვარულით, რომელიც მათ უბედურობის დროს ერთად აკავშირებდა ერთს საღმრთოს დროშას ქვეშ და ერთ მუჭა ხალხს აძლევდა იმისთანა გმირულ ძალას, იმისთანა გასაოცარ სიმხნეს, რომ ერთი ქართველი, თუმცა უხვდებოდა აკს მტერს, მაინც ეს ერთი ამ ასს, არამც-თუ უდრიდა, არამედ ძალითა ღურებდა კიდეც; და ესრედ ქართველი იცავდა თავის რჯულს, თავის ეროვნებას და თავის სამშობლოს. საშინელი წვალება გამოიარა ჩუღუნმა მიწა-წყალმა ურჯულო მტრისაგან: ერთი მეორეზედ მოყოლილი უბედურება სდებდა თავის კვალსა აოხრებისას, საქართველოს უკეთესთა შვილთა სისხლის ნიავლეარით ირწყოდა ჩუღუნი სამშობლო, შეუბრალებელი უღვთო მტერი „ძლიერი მძლავრი“ ოთხ-კუთხივ ნატამალს ავლებდა, მუსრავდა, იკლებდა და ცეცხლის მსხვერპლად ჰქიდიდა ქალაქებს, სოფლებს, დათესილს ყანებს, ანგრევდა და შეაბილ-

წებდა წმიდათა ღურთისა ტაძართა, არ იბრალებდა არც სუსტო, არც მოხუცოთ და არც უსუსურ ყრმათ, აუპატიურებდა ცოლთა, დედათა და ასულთა ჩრდინთასა. რასაც-კი მიუახლოვდებოდა მისი დაუნდობელი და ბოროტებით სავსე მარჯვენა, ყველას ემჩნეოდა სისხლი, აკლება და შებილწვა. რა იხსნდა, რალას შეეძლო დაეხსნა საქართველო, რალა რჩებოდა მას ამისთანა გულ-მოსაკლავ სურათის მხედველს სანუგეშებელი ანუ განმამხნევებელი, თუ არ მხოლოდ ღურთისადმი სასოება, თუ არ ის რწმუნება, რომ იგი „ყოვლად ძლიერი და ყოვლად სახიერი“ არ დაუტევებს მას, თავის ერთგულს საქართველოს ერს, ვიდრე დასასრულადმდე სოფლისა?! რალა შეაძლებინებდა საქართველოს კვალად აღდგომას, თუ რომ ამ გვარ შერყევასთან, საქართველოს გაუქრებოდა ის „ცხოველს-მყოფელი სულიც“, რომელიც ჩაუდგა ჩრდინს წინაპართ ზეციურმა ჩრდინის განმანათლებელის ნინოს სწავლამ? მაგრამ არა, ყოველ-გვარ იმ შემთხვევასთან, რადცა იყო „ხორციელი“, ივერიას არასოდეს არ შერყევია ეს „საღმრთო სული“; ყოველივე ინაცვალა მტერმა, მაგრამ საქართველოს ვერ გაუქრო ეს „სული“; იგი ღურთის ნაბერწყალივით ღვიანდა და ივერიის განმგმირულ და განრღვეულ გულში, ამტკიც ცებდა და ამხნევებდა ამ გულს ახალის ღვაწლისათვის, უკანასკნელ სისხლის წვეთამდისინ საბრძოლველად წინააღმდეგ „შვილთა უსჯულოებისათა“, და ქართველი ერი ფერფლისა და ნაცრისაგან კვალად აღდგებოდა და აღყვავდებოდა ხოლმე, ამ საქართველოს სულს არ მიჰყავდა არავითარ-უბედურებაში საქართველოს შვილნი იქამდის, რომ მათ დაჰკარგოდათ როდისმე ღურთისადმი სასოება და მოძმეთადმი სიყვარული; ხოლო ეს სასოება და სიყვარულის ძალა ამხნევებდა ქართველთ და ჰქმნიდა უძლეველ გმირებად. ქართველ ერისათვის, ჩვენ მამა-პაპათათვის, ქართველნო, არ არსებობდა რაღმე გარეგანი დაუძლეველი დაბრკოლება, რაღვან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათთანაა თვით უძლეველი მათი უზე-

ნაესი ხელთაღმპურობელი, რომ მათთანაა და მათკენ თვით ყოვლად შემძლებელობა ზეცისა, რომ მათთანაა ერთად შეიარაღებული უზენაესი სიმართლე და უკვდავი ჭეშმარიტება, და ეს სარწმუნოება ისეთი უდიდესი ძალაა ქვეყანაზედ, რომელსაც ადრე თუ გვიან ძლევა შემოსილად გამოჰყავდა ჩუტინი მამა-პაპა ყოველ-გვარ უბედურებისა, განსაცდელისა და ჭირისაგან.

უამსა განსაცდელისასა იგინი არამც-თუ არ ვარდებოდნენ სასოწარკვეთილებაში, არამედ რამდენათაც უბედურობა უფრო საშინელი და შესაზარი იყო, იძღვნად უფრო ემატებოდათ ჩუტინი მამა-პაპათ ღურთისადმი სასოება და სიმტკიცე ქრისტეს სჯულისა წინააღმდეგ ურჯულოთა და მძვინვარე ბარბაროზთა; არავითარ ტანჯვას არ შეეძლო გადაეყენებია იგინი ქრისტეს სარწმუნოების ერთგულობიდგან და ეს გასაოცარი რჯულის სიმტკიცე ჩვენთა წინაპართა იყო მიზეზი, რომ მცირე ხალხმა არ დაჰკარგა თავისი მამული და თავისი ეროვნება. რჯულმა, ქართველნო, ნინოს რჯულმა, ვიმეორებ, დაიცვა ქართველთა სამშობლო და მათი ეროვნება. შეუბრალებელი ბედის მსხვერპლნი, ზოგიერთნი მხარენი ივერიისა, რომელნიც რჯულის გადადგომისა თანავე მოსწყდნენ ჩუტინს საერთო სამშობლოს და დაჰკარგეს თვისი ეროვნება, წარმოადგენენ ეგრეთვე ცხადად ამის დამტკიცებას: აჭარა, ქობულეთი და სხვანი. ჩვენნი ლვიძლნი ძმანი, ჩვენის ეროვნების უწინდელი გმირთ ბუდე, ერთ დროს ჩვენთანა ერთად ძმურად მებრძოლნი წინააღმდეგ საზოგადო სამშობლოს ბედისა, აღმსარებელნი ჩვენთანა მართლ-მადიდებელისა სარწმუნოებისა, ეხლა, სამწუხაროდ, რანიც არიან, ეს ყველამ ნათლად ვიცით.

მაგრამ დიდ არს განგება ზეცისა! მან არ მოინდომა თავის ერთგულის ივერიის სიმტკიცე მიეყვანა უკანასკნელ განსაცდელამდისინ; მან მოუვლინა მრავალ ტანჯულს, მრავალ გვემულ საქართველოს მფარველი ანგელოსი; თავის,

ერთგულნი ივერნი მან შთააბარა მათს ერთ მორწმუნე დი-
დებულ რუსეთის ერს, რომლისა საფარ ქვეშავ ვიმყოფებით
უშიშრად, მყუდროდ და უსჯულოთა მტერთაგან მოსვენე-
ბით.— თხელმეტის საუკუნის სისხლის ღვრის შემდეგ საქარ-
თველოს დაუდგა დრო მშვიდობისა და შვებისა მაგრამ
უცვალებელმა ისტორიულმა კანონმა თავისი ხარკი აიღო;
ერი, რომელმაც ამოდენა ხნის განმავლობაში არ იცოდა,
რა არს მშვიდობა და მოსვენება, ეს ერი ჭისეთ ნაირად დაე-
ცა, ისეთ სულიერ სიუძლურეში ჩავარდა, რომ ეხლანდელ-
ნი ქართველნი წარმოადგენენ თავიანთ დიდებულთ მამა-პა
პათ მხოლოდ აჩრდილს. სამწუხარო და გულ-მოსაკლავია
ეხლანდელი სულიერი მდგომარეობა საქართველოს ერისა,
მისი უგრძნობელობა ყველა მისღამი, რითაც ძველი ქრის-
ტეს და მამულის მოყვარე ივერი იყო ძლიერი და მხნე.
მაგრამ, ქართველნო, იმედი გვქონდეს, რომ ეს სულიერი
დაცემა ერისა მხოლოდ დროებითია, შემდგომ ამოდენა ხნის
მისის დაუცხრომელის და დაუძინებელის, თითქმის ყოველ-
დღიურის ბრძოლისაგან. გაივლის ეს ხანა და ჩვენი ერი
კვალად განმტკიცდება სულითა ძლიერის რუსეთის მფარვე-
ლობის ქვეშ.— მხოლოდ, ძმანო, ნუ დავივიწყებთ, რომ სარ-
წმუნოებამან სულიერად აღზარდა და ისტორიული აცოც-
ხლა ძველი ივერი; მისმა ცხოველს-მყოფელმა ძალმანვე უნ-
და დააყენოს ფეხზედ დაუძლურებული სულით პხალი სა-
ქართველოც, და ეს იმდენად უფრო აღვილია ჩუბნოვის,
რამდენათაც ახალი საქართველო ყოვლად მოწყალე და
თანა მორწმუნე რუსთა ხელმწიფის უავგუსტოესს საფარ ქვეშ
უფრო მშვიდობიან და უშიშრა ვითარებაშია, შედარებით
ძველ ივერთან, რომელიც მთელ თავის ეროვნების ძალ-ღო-
ნეს ანდომებდა თავის თავს და თავის წმიდა რჯულის დაც-
ვას, რომელსაც თვით არსებობისათვის განუწყვეტელი ბრძო-
ლის დროს აღარ რჩებოდა ძალა ფართო სულიერის განვი-
თარებისათვის. ეხლა-კი სულ სხვაა; ეხლა მთელი სულიერი

ძალა ჩუბნის ერისა, სრულიად მიმართული იქნება მისს შინაგან კეთილ დღეობისა და სულიერად ამაღლებისადმი.

დღევანდელი დიდებული დღე ჩვენის ღირსის დედისა და ჩვენის განმანათლებელის ნინოს გარდაცვალებისა იყოს, ქართველნო; ჩვენი გამამხნევებელი ამ საღმთო სამშობლო საქმეში, დამომაგონებელიც მისა, რომ ჩვენი ღონის-ძიება, შრომა და სიმხეე სამშობლოს ამაღლებისა და ოღლუფავებისათვის უნდა იყოს მტკიცედ დამყარებული იმ სამღთო ისტორიულ ხაფუძვლის ნიადაგზედ, რჯულსა და სიყვარულსა ქრისტიანებრივზედ, რომელზედაც იყვნენ აღზრდილნი ეგრეთვე ჩუბნი დიდებულნი წინაპარნი. მივმართოთ, საქართველოს შვილო, მივმართოთ ჩუბნის განმანათლებელის ცხოველ მყოფელ სარწმუნოებასა, მივმართოთ კვალად „ღმერთსა მამათა ჩუბნთა-სა“, მივმართოთ მას, მაშვრალნო და მრავალ ტანჯულნო, და „იგი განგვისვენებს ჩვენ“. ვევედრნეთ ეგრეთვე მხურვალისა გულითა ღვთის მშობელსა დედასა; საქართველო მისი საუფლის წულოა, ზენა არსიდგან მას ხვდა წილათა; მან მოგვივლინა ჩუბნ ღირსი დედა ნინო, ჩვენი განმანათლებელი და ჩვენის ერის წინამძღვარი; იგი იყო მფარველი უბედურობის დროს — ჩვენთა წინაპართა ხელთ აღმპყრობელი, იგი არ არიდებდა თავის მოწყალე თვალსა მათ უამსა განსაცდელისასა; იგივე მოგვცემს ჩვენცა, დავრდომილთა სულიერად, ძალასა კვალად აღდგომისას! მოვიხსენოთ, მართლ-მაღიდებელნო ივერნო, მოვიხსენოთ, ეგრეთვე ყოვლად საგონებელი ქართველთაგან დაუვიწყარი ჩვენი წინაძღვარი, ქრისტეს სჯულის ჩუბნ და მქადაგებელი, წმიდა და მოციქულთა სწორი ნინო; და „ვხედევდეთ რა გამოსვლასა მას ცხოვრებისა მისისასა, ვბაძვიდეთ სარწმუნოებასა მისსა“. — ამინ!

II ნაწილი.

საეპიკო პოეზია.

გევა ღიგითრი თავ-დაღებული

(ნაწყვეტი)

III

„ყური მიგდეთ, გეტყვით ამბავს
უტყუარსა და მართალსა:
ერთი მეფე თურმე ჰყვანდათ
უწინ ჩვენ მამა-პაპასა..

დიმიტრი ერქვა სახელად,
მხარ-ბეჭ-პრტყელი, ტან-მალალი,
ჯირითში, თუ შვილდ-ისარში
არავინ ჰყვანდა ბადალი.

კაცი იყო, მეფე კაცი,
თვალად, ტანად მშვენიერი,
გარედ რისხვით მტრისა მსრველი,
შინ მოწყალე, ლვთისნიერი.

ღამით თურმე ჩაიცვამდა
უბრალო კაბა-ჯუბასა,
წავა და ინახულებდა
საწყალის ხალხის უბანსა.

მოივლიდა ქვრივს და ოხერს,
დავრდომილსა და ობოლსა,
თავის ხელით ურიგებდა
მოწყალებას და საზრდოსა.

ვის რაც გულში დარდი ჰქონდა,
წავა იმას შესჩივლებდა,
გლახის, ობლის, ჩაგრულისას
სარჩლსა არ ითაკილებდა.
ყველგან იმის სამეფოში
თხა და მგელი ერთად სძოვდა,
ერი, ბერი, ობოლ-ქვრივი
სულ იმის დღეს ლოცულობდა.

IV

„მის დროს იყო ყეინობა,
მეფე ყეინს ჰმორჩილებდა,
მაგრამ თავის ქვეყნის საქმეს
თვის ნებაზედ განაგებდა.

ერთხელ ყაენს აეშალა
თათარივე კაცი ერთი,
იმძლავრა და გადიყენა
ნახევარი სათათრეთი.

მეფე ჩვენი ყეინს თურმე
არ გადუდგა სხვასავითა...
ვაუი-კაცის წესი არის
კაცს შეპრჩება ძმასავითა.

შეიბნენ და შეიჭიდნენ
ყეინი და განდგომილი;
ძმას ძმის ძვალი ატეხინეს,
მამის სისხლსა ჰლვრიდა შვილი.

დამარცხდა ბოლოს ყეინი,
გამდგარმა აკი აჯობა,
ის მოჰკლა და თვით დაიპყრო
სათათრეთის ბატონობა.

ას ხომ მოჰკლა, მის ცოლ-შვილიც

ცხენსა კუდით ათრევინა,
საცა კი მის მომხრე იყო,
თავები დააყრევინა.

V

„ჯერი მიღგა ჩვენს მეფეზეც...
— „რატომ მე არ მოშიღაო,
იმას ცოცხალს არ გავუშვებ,
თუ პირში სული მიღგაო“.

გაუგზავნა მოკიქული:
— „გამოცხადდი ჩემ წინ შენო,
თუ არ მოხვალ, შენს ქვეყანას
ნაცარ-ტუტას ავადენო“.

დაგვილონდა მეფე ქველი,
იმ ურჯულოს მიხვდა წადილს,
ისიც იცის — იმ ლვთის-რისხვას
ჯართ სიმრავლე შესწევს ქადილს.

რა ჰქნას? თვითონც მამაცია,
მამაციც ჰყავს ჯარი, ერი,
მაგრამ ერთს რომ ასი გცემდეს,
კლდეც რომ იყო, გაგტეს მტერი.

დიდს ჩავარდა საგონებელი,
შეუდგა ბჭობას, რჩევასა...

„— წავალ, მომკლავს, და არ წავალ,
ამიოხებს ქვეყანასა“.

ბოლოს ბრძანა: — „თავს მოუყრი
მღვდელთ-მთავართ და დიდებულთა,
ოცჯერ ზომვა — ერთხელ ჭრაო,
წესია მეფეთ ქებულთა.

„ვნახოთ ერთი რას მეტყვიან,—
წასვლას, თუ წაუსვლელობას?

ორში ერთს რას აირჩევენ,—
მეფის, თუ ქვეყნის დამხობას?“

VI

„ბრძანა და მსწრაფლ შეიყარნენ
დიდებულნი, მღვდელთ-მთავარნი,
ვეზირნი და ნაზირები;
ბჭე-მდივნები, სპასალარნი.

წადგა მეფე კრების წინა
თამამად და დიდებულად;
ყველამ: დიდმა და პატარამ
თაყვანი სცეს ბატონს ყმურად.

ასე ჰშვენის მეფე იმ დღეს
ტანად, თვალად, იერითა,
მნახველთ თვალი ვერ გაიძღეს
იმის ჰვრეტით, ყურებითა.

უბრძანა თუ: — „დიდებულნო,
საქმე მძიმე მაქვს თქვენთანა...
ის დღეა დღეს — ან მე ვიყო,
ან ჩვენი ტურთა ქვეყანა.

შეიტყობლით, მომივიდა
მე ყეინის მოციქული,
აქ მოდიო, მე მიბარებს
ჩემზედ გაბოროტებული.

თუ არ მოხვალ, მე მოვალო,
აგიოხრებ ქვეყანასა,
საცა კი ფეხს დავადგამო,
აფადენ ნაცარ-ტურასა.

თუ წავედი, თქვენც ხომ იცით,
მე სიკვდილი არ ამცდება...

თქვენ რას მირჩევთ, მართალი სთქვით
მართლის თქმაა ერთგულება“.

VII

„დიდებულნი წინ წამოდგნენ,
ამ ამბით შეწუხებულნი,
მივიღნენ და თაყვანი სცეს,
აემღვრიათ მწარედ გულნი.

— „მეფე! ნეტა რა გვიბრძანე,
რა ასმინე ყურსა ჩვენსა!..
თუ შენ მოგკვლენ, შენს სანაცვლოდ
რაღა დარჩეს ერსა შენსა?!

თუ შენ აღარ გვეყოლები,
რად გვინდა სახლი, ქონება?..
ჩვენ შენისთანა ღიმიტრი
სხვა არვინ დაგვებადება.

მოვიდეს, რომ იმუქრება
ის ურჯულო, სისხლის მსელი;
მოვიდეს და წინ დახვდების
შენი ერთგული ქართველი.

მტრის მუქარას ერი შენი,
გვითხარ, როდის გაჰქცევია,
გვითხარ, როდის ქვეყნის მტრის წინ
ქართლს უკან დაუწევია!

ბძანე და იმ მუქარასა
ჩვენს მოსისხლეს შევანანებთ:

ან შევმუსრავთ მამა-პაპებრ,
ან მეფისთვის თავსა დავდებთ.

სირცხვილია ერისათვის,
თავის მეფე მისცეს მტერსა...
მეფე, სირცხვილს ნუ შეაჭმევ
ერსა, შენსა შემნატვრელსა.

ნუ, ნუ გვაჭმევ ემაგ სირცხვილს,
წამყოლს შვილის-შვილამდიე...

აქ მოვიდეს, მის დახვედრა
ამ ჩვენს ქედზედ დააჭირე.

VIII

„ახლა წადგა სპასალარი...
— „მეფევ, რაც სთქვეს, მართალია:
შენ წახვიდე, შენ იქ მოგკლან —
ჩვენ წელზედ გვერტყას ხმალია?!

თუნდ რომ დავრჩეთ, ვინ რას გვეტყვისა?
რით ჩავრეცხოთ ეს სირცხვილი?
არა, მეფევ!.. ძველებს უთქვამთ, —
სახელიო, ან სიკვდილი.

ნუ შეგვიშლი მამათ ანდერძს,
სირცხვილისგან დაგვიხსენი!..
მეფეს ვფიცავ, — მამა-პაპებრ
დღესაც გასჭრის ხმალი ჩვენი”.

ბატონმა თავი ჩაჰკიდა
გვირგვინოსანი, ცხებული.
დიღხანს იყო დალონებით
ეგრე თავ-ჩაჰკიდებული...

IX

„ბოლოს ბრძანა: — „ეს ქვეყანა
ღვთისაგან მაქვს მონაბარი...
მე დავრჩე და იგი წახდეს,
მითხარით, რა მაღლი არი!?”

ათი ერთზე რომ მოვიდეს,
მუქარას მტერს შევანანებ,
რა ვქნა, — ასი ერთზე მოვა,
ამას ვსწუხვარ და ვვალალებ.

ჩვენი კაცი ერთი ასაც,
ვიცი, არ შეუშინდება,
მაგრამ ბოლოს სიმრავლე გვძლევს,
ხალხი ურგოთ გამიწყდება.

მერმე უკაცურს ქვეყანას
დასწვავს, დაპირის დაანგრევს;
საყდრებსა და მონასტრებსა
დააქცევს, მიანგრ-მოანგრევს.

ხატებს, მამათ სალოცავსა,
წამურტლავს და შეგვიგინებს,
ამოიღებს მკვდრებს საფლავით,
ძალლსა და ორს ათრევინებს.

ქალწულთ ქალზედ ძალით მივა,
წაპბილწავს, ნამუსა დაუმხობს;
ორსულ დედა-კაცებს კიდევ
მუცლებს ხანჯლითა დაუპობს.

დედას თავის ძუძუთა შვილს
კბილითა დააგლეჯინებს,
უსუსურს ბავშვებს ძნად ჩაშლის
და ზედ კალოს ალეწვინებს.

X

„ამდენი სული უბრალო
ტანჯვითა ამოწყდებიან,
საწყალის ხალხის ცოდვითა
ქვანიც-კი ატირდებიან.

ქვეყნის ამოდენი ცოდვა
ჩემს თავზედ დატრიალდება,
წაწყმდება აქაც და იქაც
დიმიტრი მეფის ხსენება!
ეს სულ რისთვის? მარტო მისთვის,

რომ მე შიშა გავექეცი,
ჩემი თავი გადვირჩინე
და ერთ კი წყალს მივეცი.

მე მეფე ვარ და მეფობის
რიგიც ვიცი რაში არი...
ფუ, იმ წყემსა, თავს უშველოს,
მგელს დაუგდოს თავის ცხვარი...
სირცხვილს ამბობთ! — რა სირცხვილი?

მე ვეძლევი ნებით მტერსა,
ჩემს სიცოცხლეს, ჩემსა სისხლსა
თვითონ ვწირავ მე ჩემს ერსა.

თუ სიკვდილი სახელად გაქვთ
მაგდენს ჩემთვის ერთისათვის,
მაშ რად მიშლით თავ-დადებას
მე ერთს მთელის ერისათვის!..

არა, წავალ, არ დავდგები,
დე, ასრულდეს ნება ლვთისა!
ხორცი მოკვდეს, სული სცხონდეს
მეფის თქვენის დიმიტრისა».

XI

— „შენ რას ბრძანებ, მღვდელთ-მთავარო?
სიტყვა შენი გვიღირს ძვირად:
მართებს თუ არ ერისათვის
მეფეს თავი გასაწირად?“

ატირდა და მოახსენა:

— „ეჭ, მეფეო, მე თქმა მიჰირს,
მართალს ვიტყვი, თუმცა შენთვის
სული მიწუხს, გული მიტირს.

მეფევ, უნდა თავი დასდო.
ერისა და ქვეყნისათვის,

ღმერთს შესცოდავს, ვინც გამკიცხავს
მე ამ მწარე რჩევისათვის.

მეფევ, რაკი ბედმან დაგდო
შენ ეგ მძიმე საზღაური,
სხვას უკეთესს ვერას გირჩევს
სიყვარული ბატონ-ყმური...

ვსტირ და გირჩევ თავ-გაწირვას,
რაკი რომ ეს დღე გვეწია,—
მოყვასთათვის თავ-დადება
ქრისტე-ღმერთის ანდერძია.

ვსტირ და გირჩევ ლვთის სახელით
ხორცი დასთმო სულისათვის,
უკვდავება არ დაჰკარგო
წუთის სოფლის გულისათვის!..

XII

„მეფეს ძლიერ მოეწონა
მღვდელთ-მთავრისა სიტყვა ბრძნული,
წალგა ისევ კრებულის წინ
უფრო გათამამებული:

— „დიდებულნო, ხომ ისმინეთ,
რაც სთქვა წმიდა მღვდელთ-მთავარმა!..
მოყვასთათვის თავ-დადება
გვიბძანაო მაცხოვარმა.

ნუ გადმიყვანთ ლვთისა სიტყვას;
ერს მეფე ვერ ვუღალატებ!..
წავალ და, თუ ღმერთს სწადიან,
ერისათვის თავსა დავსღებ.

მე წავალ და ეს ქვეყანა
თქვენ უნდა გებარებოდეს,
ღარიბს ისე მოუქაროთ,
რომ მდიდარს არ შენატროდეს.

გლეხს თუ თავადს, დიდს თუ მცირეს
მაღლი თანასწორ მოპფინოთ,
ობოლი, ქვრივი, უძლური
ძლიერს არ დამიჩაგვრინოთ.

თუ დავბრუნდი, თქვენს სამსახურს,
გადაგიხდით ორად ერთსა,
თუ არა და—სული ჩემი
შეაველრეთ მაღალ ღმერთსა».

ატირდა და აატირა
ყველა კაცი, იქა მდგომი;
გულის სილბო სიტურფეა,
თუ კაცია სხვაფრივ ლომი.

მართალს ვაუ-კაცს ის ამშვენებს,
როცა გულითაც ლბილია;
რკინის კაცის თვალში ცრემლი
დიდ-სულოვნობის შვილია.

XIII

„ბრძანა და მსწრაფლ დაიშალა
დიდებულთა იგი კრება...
უხმო მხლებელთ და უბძანა
წასასვლელად მომზადება.

სთქვა და ურდოს კიდეც წავა
მეფე იგი უშიშარი,
თქმულა: გმირის კაცისათვის
თქმა და ქმნაო ერთი არი.
გაათავეს სამზადისი
და მოვიდა დღეც წასვლისა;
ვით ჭინჭველა ჭიუსფუსებდნენ
შინა-ყმანი სასახლისა...
ხმა გავარდა ქალაქშიაც:

მეფე ჩვენთვის სდებს თავსაო,
უშლიდნენ, არ დაიშალა,
ვერ ვუღალატებ ხალხსაო.

შეიძრა მთელი ქალაქი,
ხალხი ეცა ერთმანერთსა,
მოზღვავდა, დაიგრიალა
და მიაწყდა სასახლესა.

მივიღნენ, ნახეს მზად არი
რაზმი მეფის ამალისა,
სულ სავსეა ცხენოსნებით
მოედანი სასახლისა.

წინად ბარგად გაეგზავნათ:
ჯორი, ცხენი დატვირთული;
აქ ვინც იყო, სალთად იყო,
ტურფად კაზმულ, დარახტული.

XIV

თავადნი და აზნაურნი
სულ ოქროს და ვერცხლში ისხდნენ,
ვერ იტყოდი, ვინ ვის სჯობდა,—
ყველა ასე კარგნი იყვნენ.

წყობით იდგნენ და ისმოდა
აბჯრისა და რახტის უღერა.
საამოა გაწყობილის
ვაჟ-კაცების რაზმის მზერა!

კაცი თვალს ვერ აშორებდა
მხედარსა და იმის ცხენსა,
თვით წუნი წუნს ვერ დასდებდა
მათს სიკეთეს, სიტურფესა.

შარქაფად ცხენს ბევრს სხვასაცა
რაზმ გარედა ატარებდნენ,

მათი მხედნი ღიღებულნი
მეფეს სასახლეში ახლდნენ.

იმ ცხენების მორთულობა
კაცს უშურველს შურს მოჰვერიდა,
მძიმე რახტით დატვირთულნი
თითო თითო სოფლად ჰლირდა.

მაგრამ მათში ერთი იყო
თეთრი ცხენი არაბული.
უკეთესს ვერ ინატრებდა
კაცის უძლომელი გული.

მეფისა იყო ის ცხენი
თამამი, თითქო ვეფხია,
იმის უზანგში მეფის მეტს
ვერ ვის შეედგა ფეხია.

ამაყი იყო ლომსავით
და ნაზი, როგორც მშველია,
სხვა მას ვერ იმორჩილებდა,
თუ არ ბატონის ხელია.

ცეცხლს აფრქვევდა თვალთაგანა,
ჰქუხდა, სჭექდა, მრისხანებდა,
თითქო ლოდინს ჰთაკილობსო,
ჰშფოთავდა და ტოტსა სცემდა.

XV

„გამობრძანდა ბოლოს მეფეც,
თან გამოჰყვნენ ღიღებულნი,
ხმალ-კაპარჭით გაწყობილნი,
სამგზავროდ გამზადებულნი.

მეფეს ახლდა მხარ მარჯვნივა
გულ-მწუხარე მღვდელთ-მთავარი
და მხარ მარცხნივ—შუბლ-შეკრული
ჯავრით სავსე სპასალარი.

მღვდელთ-მთავარი სწუხს და ჰვაებს
მეფის თავ-გადადებასა,
საასალარი-კი ჰთაკილობს
უომრად დამარცხებასა.

ხალხიც დაპხვდა თავის მეფეს:
ვიშითა და წუხილითა,
მეფეს გული ამოუჯდა
მათთვის გულის-ტკივილითა.

უბძანა თუ: — „რასა სწუხართ?
იქმნას, რაც კი საქმნელია!..
ერისათვის თავ-დადება
მეფისათვის სახელია.

რაც მომივა, მომივიდეს,
მე იმისთვის არ ვინაოვლო...
თქვენ ჭირს დაგხსნით... დე ვიქმნე
მე ქვეყნის ჭირის სანაცვლო“.

ხმა ჩაუწყდა, ველარ-რა სოჭვა,
მოეგუბა თვალში ცრემლი...
თქმულა: ქვასაცა შაგარსა
გასტეხს ტყვიის რბილი გრდემლი.

მოუმატა ხალხმაც სულთქმას,
ხმა გაისმა ქვითინისა,
გულსა ჰკლავდა გლოვა, ვიში
ობლისა და ქვრივ-ოხრისა.

XVI

„უცებ მეფემ თვალი მოჰკრა,
ხალხი გაირლვა შუაზედ,
ორს მარჯვე ბიჭს ბერი-კაცი
მოჰკყავთ მის წინ მოედანზედ.

მოჰკყავთ ცახცახით, ხანხალით
ჩაჩანაკი და ბებერი,

მკერდზედ სცემდა თოვლივითა
მოხუცებულს თეთრი წვერი.

მოვიდნენ და გააჩერეს
ის მოხუცი მეფის წინა,
ბიჭები კვლავ მხრებში უსხდნენ,
თუმც ყავარჯენს დაებჯინა.

ის ამ ქვეყნის აღარ იყო,
ფეხი ედგა სამარეში,
მაგრამ მაინც კი უცემდა
ადრინდელი გული მკერდში.

XVII

„მოახსენა: — „ჰე, მეფეო,
ნუ შემჩისხავ ერთგულ ყმასა!
მე ხომ მხედავ, გარდავსრულვარ,
სამარიდამ გაძლევ ხმასა.

მეფევ, კისრად აგილია
ტვირთი ჩვენის შავის-ბედის,
ბედის-წერას მისცემიხარ
უბედურის ჩვენის ქვეყნის.

ვიცით, რომ არ შეშინდება
გული მეფის დიმიტრისა,
როცა ნდომობს თავ-გაწირვას
დიდი საქმე ქვეყნის ხსნისა.

შაგრამ ჩვენ რა გვეშველება,
ჩვენ, მეფეო, შენთ დამკარგველთ?
მამობასა ვიღა უზამს
შენგან დაობლებულ ქართველთ?

ერს ოფლის მღვრელს და ტვირთ-მძიმეს
ჭირსა ლხინად ვიღა გვიპევს?
წუთი სოფლის მძიმე უღელს.
შენებრ, მეფევ, ვინ გაგვიწევს?

ამას ვსტირით, რომ მიღიხარ
და ობლებ შენსა ერსა,
ჩვენს ბეჭა და მშვიდობასა
ვეღარ მოუმართავ ზელსა.

ჩემებრ უძლურს, გაჭირებულს
მწედ ვეღარ მიეშველები,
ლარიბს, ობოლს, ქვრივს და ოხერს
პატრონად არ ეყოლები!

XVIII

„ნუ სწუხარო!.. განა, მეფევ,
ჩვენ ხელთ არის ეხლა გული?
რკინაც იყოს, მაინც დასღნეს,
ამებრ ცეცხლში ჩაგდებული.

გულს რად გვიკლავ? რად მისდიხარ?
ნუ თუ, მეფევ, ხსნა არ არი!..
ქუდზედ კაცა დაუძახე,
მოაგროვე სპა და ჯარი.

ცოტა ვართ, მაგრამ კარგნი ვართ,
ვინც კია, ყველა დევია...
ბევრჯელ უნახავს ქართვლის მტერს,
რომ ცოტაც ბევრის მძლევია.

აჰა, მეფევ, ორი ბიჭი
მხრებში რომ ამომჯდომია,
ორივ ჩემი შვილი არის,
ერთი მეორის მჯობია,

მიირთვი და ინაცვალე,
ჩემს ქვეყანას მტლად დაუდე!
ომში, მეფევ, გაჩვენებენ,
რა ლომებს ჰზრდის ქართვლის ბუდე.
შეკრიბე დიდი, პატარა,

გაუძელ წინამძღოლადა,
მტერს წინ დაპხვდი... ვინც უკუდგეს,
დედა შეერთოს ცოლადა!

ჩვენს საქართველოს, ჰე, მეფევ,
ბევრი რამ გადაპხედია,
მაგრამ უომრად მტრისა წინ
არ წაუხრია ქედია.

ნურც დღეს ვიზამთ ამ საქმესა,
უომრად ნუ დავმარცხდებით;
თუ ვერა ვძლევო, დავიხოცნეთ
სახელითა და დიდებით“!...

XIX

„უბრძანა თუ: — „ბერო-კაცო,
მესმის შენი ერთგულება...
შაბაშ ქართველს!.. გული თურმე
სამარემდე გულად ჰრჩება.

მაგრამ გეტყვი: ჯარს არ შევკრებ,
არ ვინდომებ სისხლის ღვრასა,
მარტო ჩემის გულისათვის
არ შევაკლავ მტერს ათასსა..

ჩვენის ქვეყნის შავი ბედი,
როგორც ტაროსი იცვლება,
დრო მოვა და თქვენი თავი
უფრო მეტად დასჭირდება.

მე ერთი ვარ, თქვენ მრავალი,
გვიჯობს ერთით ბევრის რჩენა;
თუ თქვენ მე არ გემეტებით,
მე რად გაგიმეტებთ თქვენა?...

განა თვითონ ქრისტე-ღმერთსა
გადარჩენა არ ძალ-ედვა,

არ ინება და ქვეყნისთვის—
ლმერთი იყო—და ჯვარს ეცვა.

XX.

„მაშ რად არის მეფე მეფედ,
თუ არ ქვეყნის ჭირთა მძღეა?
თუნდაც მოჰკვდეს ქვეყნისათვის,
ეგ სიკვდილი სიცოცხლეა.

არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია,
„მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია“.

არ დავიშლი, ვსთქვი და კიდეც
თავი უნდა გავიწირო,
ისე მოვკვდე, რომ ჩემ გამო
დედა შვილზედ არ ვატირო.

წავალ მეთქი!... თუ ლმერთს უნდა,
მოჰკდეს იგი, რაც მიმელის...
მაგრამ ჯავრი თან მიმყვება
საყვარელის ჩემის ქვეყნის.

ეჭ, რაც სურდა, არ დასცალდა
ჩემს წყურვილსა სულისასა!...
აწ იქმნას ის, რაც სწადიან
განგებასა უფლისასა.

თქვენ ხომ მაინც მოგცილდებათ
ხოცვა, ულეტა, სრვა და რბევა...
მე კი... მეყოს, თუ გამყვება,
თქვენი ლოცვა და კურთხევა“.

XXI

„თითქო ზეცით ზარი იყო,

თითქო ღმერთი მოევლინა,—

ხალხი პირ-ქვე მყის დაემხო

საკვირველის მეფის წინა... .

თურმე დიდებას მაღლისას

კაცი მსწრაფლ დაუმონია;

ვით დიდს ბოროტს, ისეც დიდს მაღლს

თავისი ზარი ჰქონია.

XXII

„მეფეს ერი შეეცოდა,

სთქვა: — „მეც ვსწუხვარ, რომ გშორდებით...

ღმერთს ვსთხოვ, იყვნეთ ჩემ შემდეგა

მშვიდობით და გამარჯვებით.

ნურას გიკვირთ, რომ ქვეყნისთვის

მეფე თქვენი თავს არ ჰქოგავს!

ამასა იქმს ყველა, ვინც კი

ჭკურით სჭრის და გულით ჰქომავს.

მე მივღივარ!.. მეფე თქვენი

დიდს და მცირეს გეთხოვებით,

რაც დაგაკლეთ, ნუ შემრისხავთ,

რაც შეგცოდეთ, შემინდევით“.

ბრძანა და ცხენიც მოართვეს,

ზედ მოახტა ვეფხსავითა:

ცხენზედ იგი დალოცვილი

გამობრწყინდა მზესავითა.

მტერსაც კი რომ დაენახა,

თვალი გაუშტერდებოდა;

მისებრი ცხენზედ მოხდენა

ბევრს ვაჟ-კაცს ენატრებოდა.

გამოეთხოვა ყველაკას,

ვინც კი შინ, სახლში ჰრჩებოდა,

სხვა კი ამხედრდა დიდ-კაცი
უველა, ვინც უნდა ჰელებოდა.

ამხედრდა თვით მღვდელთ-მთავარიც,
შინ დარჩენა არ ინება,
შეევედრა თან წაყვანას
და მეფემაც დართო ნება.

წაბძანდა და თან იახლა
ის ამალა და მხედრობა,
უკან მისტირს ერი, ბერი,
გლეხობა, თუ დიდ-კაცობა...

ილ. ჭავჭავაძე

თორინიკო ერისთავი

(ნაწყვეტი)

კარი პირველი

III

ახოვანი, შენიერი,
თეთრ-წვერა და თეთრ-თმიანი,
წინ წამოდგა სასაუბროთ
მოწიწებით—ტკბილ-ხმიანი.
თაუვანი სცა პირველ მეფეს,
მერე კრებულს თრივ მხრითა,
გულზე ჯვარათ ხელებს იჭდობს,
თავ-დახრილი, ცრემლის დვრითა!..
წვერ-ულვაშზე მარგალიტებრ
ცრემლი ცრემლზე ეკიდება,
მწარი თხვრით გერ იქარვებს,

გულს რომ ცეცხლი ეკიდება...
უკვირს, რომ ამ სამსჯავროში
უმიზეზოთ ის ჩავარდა
და რომ მასზე გულს იურიან
ისინი, ვინც მას უუგარდა...
გულ-ნატკენათ რომ უურებს
სხვებს, თითონაც გული წედება,
მაგრამ თავის პირადობა
ადარ ახსოვს, ავიწედება...
და საკო ნება-სურვილს
მორჩებით აძლევს პასუხს
და თან-და-თან მისი სიტყვა
შეუპოვრათ ჭიქავს და ჭერს:

— „ვუიცავ იმ ჰირველ მიზეზსა,
უოველ მიზეზის მიზეზსო,
ვითიცავ საქართველოსა
და მერე, მეფევ, თქვენს მზესო,
რომ მართალი ვარ იმაში,
რაზედაც ბრალს მდებთ თქვენათ,—
დაბლა ეს გული მიმოწმებს
და მაღლა—დამერთი ზენაო.
მართალი არის, დღეიდან
რომ ვტოვებ სამსახურსათ,
თუმც გული ჩემი, ერთგული,
ძველებურადვე ხურსაო.
თქვენ რომ გშორდებით, მით ვკარ-

გავ

ხორციელ ნეტარებასო...
გერ სედევთ გულ-დაწყვეტილის
მოხუცის მდედარებასო?
მაგრამ მივჭევები საკანსა
აწ უფრო უდიდესსაო,
ის მარღვევინებს გაბედვით
ჩვენს ჩვეულებრივ წესსაო:
დრომ მოითხოვა აწ ჩემგან
სხვა გვარი სამსახურით
და რომ უარვჭეო, დაურჩებდ
ძველზედაც უმაღლერით...
ეჭ, მეფევ, ბრალს რათ მაღებდი
შენს ერთგულს, ფეხთა მტვერსაო,
რომ სამსჯავროში მაგდებდი,
გათ ორგულს... ქვეუნის მტერსაო?!
იძულებით ვარ აწ მთქმელი
უოშლის ფრის უნაკლულოდო,
რაც გულმა გადამიწევორტა

მხოლოდ მე საიდუმლოდო.
თქვენი ნებაა... მონა ვარ
მე თქვენის სურვილისათ!
სიტუვაა მხოლოდ წამალი
გულის თქმის, სურვილისათ!“
მოხუცმა ამ სიტუვების დროს
ცრემლები ჭილარა მრავალი
და უნებურად დაიწევ
თვისი თავ-გადასავალი.

IV

„მწარ წარსულის მოგონებით,
თქვენ წინ მთქმელი ვარ აშისა,
რომ მომსწრე ვარ საქართველოს
შავის დღის და ვარამისა...
ბევრს თქვენგანს ის არც-კი ახსოვს,
იქნებოდით მაშინ ბალლი,
მაგრამ მე კი დღესაც გულზე
მაშინდელი შაზის დაღი!..
ცამას რისხვით მოგვიქცხა,
საქართველოს ადგა ბუნდი,
მონავრულათ გვესოდა
უოველი მხრით მტრისა გუნდი!..
მოგვაწვენ და მოგვაზვირთდენ
ერთიანად ჩასახთქმელათ...
რაც რომ მაშინ ჭირი გწახეთ,
ძნელი არის აწ სათქმელათ...
ეს პატარა საქართველო
ჯარასავით დატრიალდა,
გადიწერა რა პირჯვარი,
გაფოლადდა და გასალდა!..

მოხუცმ, თუ ახალ-გაზდა,
ერის კაცი, თუ სამღვდელო,
უველა ერთ მხრივ მიწევდა,
ერთი ჭერნდათ უველას ლელო!
სადღა იუთ განსხვავება?
რის ბატონი?! ან ვისი უმა?!
უველა ერთად შეკავშირდა,
ერთი ჭერნდათ მათ გულის თქმა:
რომ გულწრფელათ მოეხადათ
ქართლის შვილებს მათი ვალი
და სიკვდილით გამოეხსნათ
ჩვენი ქვეუნის მომავალი!..
მამა-შაშის განთქმულ ფარ-ხმალს
უმატებდა შვილი ფასსა
იმითი, რომ ლომ-კაცურათ
შეებმოდა ერთი ასსა!..
„ჭეა მაგის“ ხმა უოველის მხრივ
მოისმოდა მტრის საზარი
და იმ გრგვინვას ბანს აძლევდა
სათრგეცოთ მოა და ბარი.
სისხლით მორწევს ტემ და ველი,
შეიღება წითლად მდელო...
აღდგომის კვერცხს დაემგზავს
ჭირ-ნახული საქართველო!..
განახევრდა ქართველობა...
მაგრამ მტრის კი ჭიშძლის მათ
და თამამად დაიძლიოს:

„საქართველო აღდგა მკვდრეთით!“
და მართლაც, რომ გამოიხსნეს
განწირული, სულთა მბრძოლი
და გადმოცეს შვილი-შვილთა

მარგალიტი, ვით მიმდინარე!..
მხედართ-მთავარ-უხუცესათ
იუთ მაშინ ითანე,
შემდეგში რომ ბერად შედგა,
დღეს ულუმბოს აქვს სავანე.
სანამ მტრი გარს გვეხვია,
მძვინვარებდა, ვითა ლომი,
გოლიათის შებმას ჰგავდა
მისი ბრძოლა, მისი ომი!
მტრისა ისრით გამხვრეტელი,
ხმალს ულეწდა, ფარს უხევდა;
ხშირათ მამა-შაშის სისხლზე
თავისასაც ზე ათხევდა!..
ჯოჯოსეთის რისხვა იუთ
მისი რისხვა, მისი ვნება!..
სანამდი კი მტრის ჭიშძლავდა,
არ იცოდა მოსვენება.
მაგრამ, როცა საქართველო
ნახა გმირმა დამშვიდებით;
სხვა მაღალ მთას მიაშურა
გალობით და ლვთის დიდებით.
მან ფარ-ხმალი აიყარა,
მოურიდლად, თვისი ნებით
და თავსაც ვერ იმართლებდა
ის, ჩემსაგით, მხცრევანებით.
მხლოეთ უთხრა დარაზმულ ჯარს:
„უქმია აწ ფარ-ხმალი!“
აწ სხვა მმართებს სამსახური
და მიმიწევებს სხვა ვალი!“
დამჭოცა და მისი ხმალი
გადამკიდა მისგან რჩეულს;
თაუგანი ვეც მორჩილებით,

როგორც მამას, მეც კურთხეულის.
მითხო: „— თორნიკ, ჟა, შენ გქონ-
დეს
სარდლობა და ჩემი ხმალი,
ვინძლო, ღირსათ აასრულო
მომავალში შენი ვალი!“
ამ სიტუაციაში მომიმატეს
მე სიმხენე და ერთგულება,
გულმა იწეო ფოლადობა
და სულმაცა — ამაღლება!
თუმცა ამ გვარ დიდებისა
უღირსათ თავს ვიგულებდი,
მაგრამ მაინც უნებურათ
დღემდი ჩემს ვალს ვასრულებდი.
ავათ იყო ის, თუ კარგათ,
თქვენს ხელი არის დაფასება,
მე არ მოვრობის ჩემი თავის
არც გინება და არც ქება!
ვიტუვი მხოლოდი: ხმა ისმოდა
თქვენგან ჩემი შირველობის
და მე მხოლოდი ვთავ-კაცობდი,
შემწირველი დიდ მაღლობის.
მეფისა და სამშობლის წინ,
მართალია, მიძღვის ღვაწლი,
მაგრამ, მეფევ, სხვას დავუთმიშ
აწ სამსახურს, სხვას დავაცლი!
აშიტომ, რომ : დარა ვარ,
რაც ვიუავი ადრე... ძეელათ:
ჩემ სისუსტეს გული გრძნობის და
გონება სწოვეტს უკველათ.
მართალია, ეს ჭაღარა
სიუვარულს და სურვილს ვერ ჰქლავს,

მაგრამ დონის წახმარება
აღარ ძალ უძის მუხლისა და მედავსკი
ადრინდულათ მუხლის არ შერჩის,
აღარ მიძრის არცა თვალი...
და ვით შევძლო, მაში, სარდლობა,
როცა ატედეს ბრძოლის აღი?
გისაც ხედავ : ქ—სუველა
არის ჩემგან გამოზრდილი,
ათასჯერ და ათას გვართ
ბრძოლის ველზე გამოცდილი.
რაც მე ვიცი რაზმთა წეობა
და სამსედრო წესი სრული,
მაგათაც აქვთ ჩემგანავე
ასწილი და გასწავლული.
ჩემზე მეტიც შეუძლიათ,
უპეთ გაჭკვეთს მათი ხმალი
და ჩემსავით სიბერითა
არ უმტუკებსთ რმში თვალი.
ბევრია, რომ ჩემზე უფრო,
დღეს შეშვენის მას სარდლობა
და რათ დახვდეს ლობე-უორეთ
იმათ ჩემი შირველობა?
რომ ამხადო შირველობა,
მეფევ, შენ ეს არ შეგშვენის:
უმაღურათ ჩაითვლება,
გქონდეს რიდი ქვეუნის ენის.
და რომ ჩემი წარსულითა
დღესაც კიდევ ვისარგებლო,
მოდალატე შეგიწინები...
მეძულება მე სამშობლი!
ა, მეფევ, თუ რათ ვბედავ
თქვენს წინაშე დღეს ურჩიბას

და, სულ სხვა გზით მიმავალი,
გილოცავ თქვენ გამარჯობას!..
ითანეს მიგაშურებ,
შეგუდგები მეც მის კვალსა
და, თქვენისგე ნება-დართვით,

სხვას გადავცემ ამ ჩემ სმალსა!
ესა თქვა და მისი სმალი
ორბელიძეს გაუშვირა
და ამ გვარშა მისმა სიტუამ
გულში ბეგრი აატირა...

კარი მეორე

III

სმა გავარდნილა მთელ ქართლში:
ჯარებს აგროვებს მეფეთ,
ბერძნების მისაშეელებლათ,
სიკეთე მოიეფეთ.
ათონით დაბრუნებული
თორნიკე მოციქულთბისა
და „თრივ ხელით იჭმება
ქადა, თუ გული გულობსო.“
დღეს გამოხნდება, ვინც არის
გაშპაცი ჩვენთაგანით,
ამაზე კარგი რათ გინდა
ბურთი და მეიდანით?
ისარ-კაპარჭი მომართეს
სმალს ლესენ, ცარსა ჭიურავენ;
მათვის სამგზავრთ ქალები
ტანისამოსებს ჰყერავენ...
ჯოჭივ მთავარის თანხმობით,
ეს უთქვამს გამრეცელსას;
„თორნიკე თუ არ გვესარდლა,
სმალს არ მოვჭირდებოთ ხელსალ!..

წაგვიძლებს ძველი არწივი,
ჩვენ მივჭევეთ შევარდნულადო,
ფიცხელი ომი ავტეხოთ,
საქები აღრინდეულადო!“
ხალხიც ამ აზრზე დამდგარა,
მასვე თხოვს კურატ-ბალატსა
და, ვინც იურჩებს, იცდეს,
მას შესწამებენ დალატსა.
მაგრამ თვითონვე თორნიკე
გაკერძო, რადგან ბერია,
ეს არჩევანი როგორლაც
მეტათ შორს დაუჭირა.
თვითონ სარდლებიც მისულან
იმასთან მეტის თანხმობით
და უთხოვნიათ სარდლობა
ამხანაგობით და ძმობით.
მოხუციც ამის მნახველი,
თუმცა კი აღელვებულა,
მაგრამ შეუკრავს გრძნობები
და ისევ გასალებულა!
ორბელიძე და ჯოჭივი
ორივე გააწილაო.

და გამრეკელსაც ეს უთხოა:
 „ძმაო, ნუ მიოჩევ ტუვილაო;
 გერ ავასრულებ თქვენს თხოვნას,
 გულ-მკედარი გამბობ გარსაო,
 აწ გელარ გავცელი ფარ-ხშალზე
 ქრისტეს სატსა და ჯვარსაო!
 აღთქმას ნუ გამატეხინებთ,
 ნუ მაქნევინებთ ავსაო;
 მყალესიისგან შეკრული,
 თვით გერ ავიხსნი თავსაო
 და მდგრელ-მთავარი თუ ამხსნის,
 იქნება მისი ნებაო;
 მაშინ ეგ თქვენი სურვილი
 ჩემ გულშიც აიგზნებაო!“
 არსენი იუო იმა დონს
 ქართველთა ქათალიკისი,
 შატიგ-ცემული უკელასგან,
 ბრძენი და შიიტიკისი,
 გაბრძნილი საღმრთო მაღლითა,
 საერთო გაბრწყინვებული,
 მწიგნობართ-უხუცესობა
 მას ჰქონდა მინიჭებული.
 თქოთირობდა მწევრობით
 ძლიერი შქადაგებული
 და მწიგალებელთა მრავალთა
 მზა-მეტეველ-პასუხ-მგებელი.
 ამას მიჭმართეს საერთოდ,
 ამისი ჰქონდათ იმედი,
 რაღაც თორნიკეს გერავინ
 შეაგონებდა მის მეტი.

IV

— „შედი, მარტოა ქათალიკისი.
 ნუ ეგშელები იქ დიდ კრებასა,
 ჩვეულებრივათ ცრემლით მლოცვე-
 ლი
 ეძლევა საღმრთო ნეტარებასა.
 ნაბრძანები მაქვს, სხვა არ მივიღო,
 მარტო შენთან სუს დღეს საუ-
 ბარი!“
 ეს უთხოა ერთ ბერს სახლთ-უხუცესმა
 და შესავალი უჩეენა კარი.
 შევიდა ბერი ფეხ-აკრეფილი,
 მორჩილებითა და დიდი კრძალვით;
 იქ დახვდა არსენ ტახტიზე მჯდო-
 მარე,
 გატაცებული ფიქრით და ხალვით.
 პირველ შესვლაზე გერ დაინახა
 კრძალვით მისული მასთან სტუ-
 მარი;
 ბოლოს შენიშნა... აკურთხა მაღ-
 ლით
 და გადასახა სელ-გაშლით ჯვარი.
 წინ წადგა ბერი, ჯერ უამბორა,
 ფერ-დაკარგულსა გული უძგერდა,
 მერე ჩამოდგა და შორი ახლოს
 ის თავ-დახრილი, კრძალვით გა-
 ჩერდა.
 ქათალიკისმა შეხედა მაშინ
 ფოთბილებით და გაიცინა:
 „— დიდ არს მხოლოდ ღმერთი—
 უფალი

აქ, ქვეუნაზე, და ცათა შინა!...
რისთვის მეკრძალვი, მომიახლოვდი
დამიჯემ გვერდით, ვით მეგობარი.
დღეს ღსევე მსურს შენთან განვა-
გრძო

ადრე რომ გვერდა ის საუბარი.
შენზე არა ჭრის სხვისი სურვილი,
არცა გედრება და არც მუქარა,
მაგრამ შენ-თავათ რა გადაწყვიტე?
ასრულებ ქვეუნის წადილს თუ არა?
„ — არ შემიძლია, უოვლად-სამ-
ღვდელოვ!

გერ გულალატებ მადალ-მცნებასა
და გერ უარ გვეტოვ მსოფლიო კრების
დაკანონებულ სურვილ-ნებასა!..
რა კი ერთხელვე ესე სოფელი
დავივიწყე და უარი ვეავი,
გერ გავტეხ ალთქმას: ზეცას ეპუ-

თვნის

ცოდვილი სული და ჩემი თავი!
მღვდელ-მთაზონისა საიქისკენ
უნდა ეჭიროს უოველთვის თვალი...
ადარ შემშენის, რომ ხელ-მეორეთ
სისხლით შევღებო. ჩემი ფარ-ხმა-
ლი!

დმიერთმა ხომ იცის, რომ მთაწმინ-
დიდან

არ მდომებია ფეხის გადმოდგმა!
შეიძ დღეს მინჩევდენ წმიდა მამები
და გერ შეცვალეს ჩემი გულის-თქმა.
თვით წინამდგრადი და ითანეც
ამაღდ დაშვრენ, ვიდემ უარზე,

სანამ ბრძანებით, როგორც მორ-
ჩილი, არ გამომგზავნეს სასახლის კარზე-
იქ დედოფალი დარბაისლებით
ენახე სულ ერთაღ შეწუხებული...
საქრისტიანო სკლიართსისგან
წაბილწული და აოხრებული!...
მხოლოდ-ლა ქართლზე მათ დარ-
ჩენიათ
ერთი ნუგეში, ერთი იმედი!
დღეს ჩვენ ხელშია იმათი შეელა,
რომ დაეცემორუნოთ წალმავე ბედი!
მიბრძანეს მეფის მოციქულობა,
არ გამიგიდა მათთან უარის
ცახტის ასველებდა დედოფლისგან
ჩამონათხევი ცრემლისა ღვარი...
სამაგიეროთ ქართლს ჰშირდებიან
ზემო ქვეუნების დამონებასა;
მხოლოდ ამისთვის მე დავეთანხმე
იმათ სურვილს და იმათ ნებასა.
ეხლა კი ისევ უნდა გავიძონდე,
ამას მოითხოვს ჩემი ღირსება,
თუმც გერ დავფარავ, რომ სოფლის
ძრახვით

ეს ჩემი გული ისევ ივსება.
და რასაც ერთხმად ჩემგან მოითხოვს
დღეს სამსახურსა ქართველთა ერი,
იმას ხომ სხვებიც აასრულებენ?
რა საჭიროა იმისთვის ბერი?
განა ცოტა ჰუავს მეფეს სარდლები?
ერთ იმათთაგანს მიანდოს ჭარი
და მეც, თუ ჰნებავს, თან გრახლები,

შაგრამ მექმნება კი სელში ჯვარი
და ხატი უოვლად-წმიდა ღედისა,
როგორც მოძღვასა და არა სარ-

დალს.

სხვებმა იძრდოლონ და გამარჯვებას
შევთხოვ ცრემლითა მხოლოდ ძალ-
თა ძალს!“

— „კეთილი! — ბრძანა ქათალიკოს-
მა —

რაც აღრევე თქვი, იმ აზრზევე ხარ!
მაში, ვით უმცროსმა, უფროსის ნება
რომ შეასრულო, ამაზეც მზა ხარ?
ვით ქათალიკოსს, შენი ბრძანების,
შენც კარგათ იცი, ხელთა მაქვს ნება,
მაგრამ მე მაინც მსულს შეგავთნო,
რომ შემცდარია შენი გონება:

ნუ თუ შენ მართლა რამე გზობრია
ცარიელ სიტყვით დვითისა დიდება?
განა დვაწლია ხორციელისგან
ამა სოფლისა კრძალვა, რიდება?
და ეს ქვეუანა, შეენებით სავსე,
შემოქმედების გამომსატველი,
ნუ თუ მიტომ გზაქვს მონიშებული,
რომ ჩვენი ნებით ავიღოთ ხელი?
ვინცა იწუნებს თავ-მოვარებით
ამ მიუწდომელ დიდსა ქმნილებას,
თუ უარსა ჰეთო განონიერსა
ბუნების უოვლ-გვარ მოთხოვნილე-

ბას,

ის უარსა ჰეთო თვით შემოქმედსა,
საბრალო არის ის და შემცდარი,
რადგან არ იცის, თუ ქვეუანერთ

რათ მოგვევლინა ჩვენ მაცხოვარი?!“

— „ვითა რეგვენი, დირსი არა უარ,
ბატონი, თქვენთან გაბაასების,
მაგრამ რა ვქნა, რომ მეც საპასუხოთ
ცოდვილი გული ურჩად მევსების?
და კიდევ გპადრებთ: „ლოცვა კარგია
ცოდვილისათვის სინახულისა

და მარტოობა სადმე უდაბნოთ —
გასცეტა გება მადლით სულისა!

ამა სიმართლეს უარს ვერა ჰეთო, ვინც ქრისტიანთ ნათელ-ღებულა,
ამის მაგალითს ქრისტე მით გვა-
ძლებს,

რომ ორმოცი ღლე მან იმარხულა!“

— „არა, მამათ, მაგ გვარი ახსნა
საცალმოგვა და შემაცდენა!

მაგითი შუქა დაიხრდილება,
ქეშმარიტების კადმინავენი.
ვიცით, რომ ქრისტემ უდაბნოდ
დაჭურ

ის ორმოცი ღლე ლოცვა-მარხვითა,
მაგრამ ის იმ დროს იმა ლოცვითა,
ქვეუანერთ საერთ საქმებს ძრახვიდა.
და როდის დარჩა მეუდაბნოედ?

განა ამ სოფელს ის უარ ჰეთო, თუ დადიოდა დაბად და სოფლად,
ხალხის ჭირს ჭლხინს შეა იყოფდა?
თვითონ არ დაჭირო ფარისევლების
გზა-ჯვარადინზე ლოცვა საქეუნო
და ნაცვლათ მოგვცა მოკლედ სა-
თქმელი

საუფლე-ღლე „მამა ჩვენი?“

ასე არ ბოდასა; „თვინიერ საქმის,
სიტუაცით ლოცვა, უწყით, მკვდარ
არსო“,

და „მრავალისა მეტეველებითა
ვერ ვინ გაიღებს სამოთხის კარ-
სო!“

საქმეა მხოლოდ, საქმე, საჭირო,
გულიცა წმინდათ დაბადებული
და ქვეუნიერი გეთაღ მრავებით
სული სიწრიცელით გაახლებული!..
ეს არის მხოლოდ ქრისტეს მო-
ძღვრება,

საქრისტიანო ეს არის ვალი
და ვინც ამატებს ამაზე სხვებსაც,
დაბნეული აქვს მას გზა და კვალი!“

— „ებ უგელა კარგი, მაგრამ ამ
სოფლათ

შესრულებული ვისაც აქვს ვალი
და რომ განაგრძოს კიდევ რამ,
მისთვის

არ დარჩენია ღონე და მალი?!

ნუ თუ არა ჯობს უქმათ უოფლიას,
გადგეს უდაბნოდ მმარხველ-მფლი-

ცემათ
და არ გაუხდეს სხვებს ამა სოფლათ
ურგებ ტვირთად და ხელის შემ-
შლელათ?

განა ეს ჩემი უარის უოფა
კერძობა არის და უმეცრება?
მეც კარგათ მესმის, რომ ქვეუნი-
ურის ეძღვევა სულს ნეტარება!

აღრევაც მითქვამს და ეხლაც ვამ-
ბობ,

რომ მე თვითონ ვგრძნობ ჩემ
უძლურებას;

დღეს, შედარებით ბევრი მჯდომარეობის,
სახალხო ვამბობ ამ აღსარებას.

— „არა! „ხმა ღვთისა — ხმა ერა-
საც“,

ხომ კარგათ აცი ეს შენც, მამათ?
დღეს ერი გირჩევს ერთ-ხმად წი-
ნამძღვრათ

და უარის თქმა არის ამათ!

როდესაც ასე დარწმუნებული
არის რაზედმე ერთ ჰირად ერი,
მაშინ ის არის გულით და სულით
ამაღლებული გმირი-ძლიერი!

დღეს ქართველები შენი სარდლო-
ბით

ჰეთიქობენ მტერზე გამარჯვებასა
და უნდა მივჭევეთ ჩვენც იმათ
სურვილს

და მოსიბლულსა შათსა ნებასა.

ჩემი სიტუაციი რომ იგულისხმო,
ხალხის დაღადსაც დაუგდე უური.

ნუ თუ გამოხსნა ქრისტიანობის
არ იუც იგივ ღვთის სამსახური?

გასაკრცელებლათ ქრისტიანობის
საქმაო არის, დიახაც, ჯვარი,

მაგრამ მის მტერის მოსაგერებ-

ლათ
ხშირათ გვშირდება ხმალი და ფა-
რი!..

ოთვორც გვირგვინსა მისის ქმნი-
ლების, ისევე ფარ-ხმალს მოჰქიდე ხელი!
მისთვის გვიშნავდა განგუბა ქვე-
უნათ, შეიძლება მოგემსხვერპლოთ, თავი შევ-
წირთ რომ მივემსხვერპლოთ, თავი შევ-
წირთ მისსა დიდებას საკურთხევდ და
ძლვნათ. და ეს ძლვენია გეთილი საქმე,
ქრისტიანობის სვეტი ცხოველი,
და შენც, თორნივე, ამის სახელით, კიდეც შეჭერა სამშრალია ჯარი...

ისევე ფარ-ხმალს მოჰქიდე ხელი!
შეიძლება მახვილი, და გარეგნობით,
ღრცს შესაწინათ, იცვალე ფერი
და გამოიხსენ განსაცდელისგან
ქრისტეს მმოსავი ბერძენთა ერი!“
თქვა მღვდელ-მთავარმა და გადა-
სახა მაღლ-მინიჭებით მოხუცსა ჯარი.
და მეორე დღეს თორნივ-სარ-
დალმა

აკაკი.

ბეჭი ჩართლისა.

(ნაწყვეტი)

...დაპკრეს ნაღარა, გულნი შეზარა
და მტერთ საომრად ჯარნი შეპყარა.
ხმა ნაღარისა, ხმა ეს ბრძოლისა
ვით არ აღგანთებს, გმირო ქართლისა!
მხდალო, განგამხნევს, მხნევ, განგაღვიძებს
და შენც, მიჯნურო, სულს შეგიშფოთებს!
შეექმნათ მწარე, ძლიერი ომი!
ვითა ნაღირსა მშიერი ლომი,
ეკვეთნენ სპარსთა ივერთ მხედარნი.
და მტკვარსა შერთეს სისხლისა ლვარნი!
ორნივ იბრძვიან გამწარებულნი,
ორნივ ომებში გაქეზებულნი;
სომხეთის გმირნი, ყაფლანის შვილნი
და მათ მომარცხნედ ბარათაშვილნი.
განუმტკიცებდენ მკლავთა ქართველთა;
მეფის ირაკლის ლვაწლი, ყოველთა

შთაუდგამს სულსა ვაჟკაცობისას; —
მაინც ვერ ჰედვენ ბოლოს ბრძოლისას.

რა ნახეს ქართველთ, გაჭირდა საქმე,
მყის ჩაიკეცეს ქუდები თურმე.
ხმალს კელი იკრეს მამა-პაპურად
და დაერივნენ თავისებურად!

ბინდმა გაჰყარა მებრძოლნი მტერნი.

გამარჯვებულნი დარჩნენ ივერნი;

მაგრამ რა მეფე ჯარსა უყურებს,

მას გამარჯვება არღა ახარებს:

ძვირად დაუჯდა იგი ირაკლია!

მრავალთ ყმაწვილთ კაცთ, ნუგეშთა ქართლის,

დაპირების აქ თავი მამულისათვის!...

აწ საფლავიცა არსად არს მათთვის!

ჰაერში, განკქრა მათი სახელი

და უამთ მოწამე სადამე ძეგლი

არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა;

დუმილნი ჰფარვენ ერთგულთა ძეთა!

მაგრამ, ჭი გმირნო, ნუ შეშფოთდებით,

თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით:

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,

საშვილის-შვილოდ გარდაიცემის;

ქართლი თქვენს ღვაწლსაც ვერ დაიღუმებს

აღა-მაჰმად-ხანს ფიდრე ახსენებს!

მეფემ უბრძანა თვისთა მოხელეთ:

„გვიჯობს რომ ახლავ ქალაქს მივიქცეთ

და ციხე ჩვენი მსწრაფლ გავამაგროთ,

თვარემ ხვალ სიმხნით ვერა გავაწყოთ.

აღა-მაჰმად-ხან რა აქა გვნახავს,

ხომ იცით, ჯარი დიდალი ახლავს,

და იქნება, რომ ციხეში დავხვდეთ;

ჩვენის ძალისა ფიქრი მიეცეთ.

ქველადგან ასე ნაამბობია,
რომ ზოგჯერ ხერხი ღონეს სჯობია!

ყველა ეთანხმა ამაზედ მეფეს,
ქალაქს მოიქცნენ იმავე ღამეს,
და მსწრაფლ ზღუდენი ნარიყალისა
ექმნათ საჭურედ ჯართა ქართლისა!

გათენდა დილა მზისა აღმოსვლად;
მაგრამ მნათობმან, შუქისა ნაცვლად,
ბნელი მოპფინა ტფილისის არეს:
ალა-მაჰმალ-ხან მოადგა ციხეს!

სამი დღე და ღამ ადგა მას ჯარით,
მაგრამ ვერა რა ავნო ვერსაით.

დალონდა სპარსთა მეფე ბორგვნილი
და თურმე ყოვლით იმედ-მიხდილი,
ქართლითგან წასვლას ჟაჰპირებდა;
მაგრამ იუდა უამს ეძიებდა!

აჰა მან იგი აწ მოიკელთა
და მუხთალისა ანგართა კელთა
აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი:

მან მტერთ უმსხვერპლა თვისნი მოძმენი!
ჰსცნა რა ირაკლიმ ესე სიმუხთლე,
მოყმეთა თვისთა ესდენ სიმდაბლე,
შეისვე აღენთო კელმწიფე-გული,
მტერზედ ამაყად გამზადებული.

მაგრამ ცუდ იყო ყოველი ღონე:
ალა-მაჰმალ-ხან, კვლავ თავმომწონე,

შემოეპარა ციხისა კართა,
და მოევლინა ქართველთა ჯართა.
გაფოთებული ეძიებდა მას,
ვინცა ჰერანის ტახტს-კელმწიფებას
ქართველთა შორის წაართვა ძალა;
მაგრამ ირაკლიმ უკვე გაქუსლა

მთიულეთისკენ თავისი ცხენი
და შეუმცირა სპარსთ ტკბილნი დღენი!

მორბის არაგვი, არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანი,
და შეუპოვრად მოუთამაშებს.
გარემო თვისსა ატეხილს ჭალებს.
ჭი ადგილნო, არაგვის პირნო,
მობიბინენო, შვებით მომზირნო!
ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
ოდეს შვენება თქვენი იხილოს,
რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,
რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს!
როგორ იქნება, არ განისვენოს!
სამჯერ ხომ მაინც გადაპერავს ღვინოს!
ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,
გამოიღვიძებს — შუბლს განიგრილებს,
ერთს ქართველურად კიდეც შეჰსძახებს:
არაგვო, მაგ შენს გამწვანებულს მთებს!
და მერჩე თუნდაც დაუგვიანდეს,
იგი იმისთვის აღარ დალონდეს!

მზე დამავალი მოპფენს სიამეს.
მთიულეთისა ხეობის არეს,
და ამ მშვენიერს არაგვის პირებს
ძველი ჩარდახი ზედ გადმოპყურებს.
მუნ ბძანდებოდა მეფე ირაკლი,
მოწყენის თვალით გადმომზირალი;
დაფიქრებული, თვისთა ზრახვათა
კრიელესონის ართობს ქარვათა.
თან ახლდა მეფეს თავის მსაჯული,
ნიჭთა კეთილთა უხვად მორჭმული.
ვის არა გახსოვთ სოლომონ ქველი,

მეფის შინაყმა, ყმათ საყვარელი?
სადღა არიან აწ ესე კაცნი,
რომ არ გვალხენენ, სულით მამაცნი!
დიდხანს უჭვრეტდა მეფე მდუმარედ
არაგვის წყალთა, მდენთა მჩქეფარედ.
ბოლოს მახვრალმან უბრძანა მსაჯულს:
„შენ იცნობ კარგად, სოლომონ, ჩემს გულს,
შენ უწყი ქართლის აწ ვითარება,
მისი აწ ძალა, ყოფა-ცხოვრება;
ბევრ-ჯერ რჩევანი შენნი, ვითა წყლულს,
მსალბუნებიან მუ შეწუხებულს;
აწც ჩემს სულის ტვირთს, ჩემს გულის წადილს,
შენ გაგიმულავნებ, ვით საყვარელს შვილს!“
„არ მითვისებდა ქართველთა გული,
რომ ვიყავ მათი მეფე ეული;
ჩემი მეფობა ზედ დავასრულე,
რომ ძლივს იგინი გავიერთგულე!
და ახლა, ოდეს ჩემს კელმწიფობას
განუმზადებდი უამ-კეთილობას,
აი მის ნაცვლად მე რა მამაპყრეს
ჩემმა შვილებმა, და ვინ ახარეს!“
„ამიერიდგან გაქეზებული,
მაჰმად-ხანისა მოსისხლე სული,
არ დაგვიწყნარებს ამაყობითა:
მას უამი შესწევს ყოვლის ღონითა;
ეს ხმა ლეკთაცა აგვიყაყანებს;
ოსმალი მხოლოდ დროს შემოჰყურებს,
და მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყდნენ,
როს ყმანი ჩემნი ერთმანერთსა ჰკვლენ;
მე თუმც კიდევ ვგრძნობ სულის სიმტკიცეს,
გარნა ღონენი წელთ წარმიტაცეს;
შენი ირაკლი ის აღარა ვარ,

პატარა კახად რაც გინახვივარ!
მარქვი, რომელს შვილს ჰედავ ღირსეულს,
რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?...
ღმერთო, ამაზედ მეტთა სატანჯველთ
ნულა მოუვლენ საწყალთა ქართველთ!..
აბა, რას მირჩევ, ჩემო მსაჯულო?
კარგად იფიქრე, შვილო ერთგულო!
აწ განთქმულია რუსთა სახელი,
კელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი;
დიდიხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი — სარწმუნოება, —
მას მინდა მივცე მემკვიდრეობა,
და მან მოსცეს ქართლს კეთილდ-ლეობა!..“

ამის გამგონი ჩვენი მსაჯული
უჭვრეტდა მეფეს განცვიფრებული.
მას არ სჯეროდა, რომ ირაკლის გულს
ჰედავდა იგი ესთ შეცვალებულს.
„რასა მიბრძანებ! ჰყადრა მან მეფეს,
ბატონო, ღმერთი გადლეგრძელებდე!
ნუ გააგონებ მაგ ხმას ქართველთა,
ესდენ შენზედა მსასოებელთა!
ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განვისყიდოთ თავისუფლება?!“

„იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქმნებიან რუსთ კელთ ბედნიერნი?
სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არა რას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვა-და-სხვაობდეს;
ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს.
რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი!
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,

რაც მოისურვოს ქართველობამა?
მაშინ, მეფეო, რავდენთ კაცთ მართალთ
მოუკლან გულნი ტანჯვათ იღუმალთ!
მაშინ ირაკლის სახსენებელი,
ვინდა ახსენოს აწ საქებელი?
ნუ, კელმწიფეო, მას ნუ ინებებ,
შენგან კი მაგას ნუ გაგვაგონებ,
და მერე ქართლი ვინც ვერ განაგოს,
მაშინ მან უწყის, რაც მოაგვაროს;
ხოლო ირაკლი ვიდრე ჰყავთ ქართველთ,
უბედურებაც ბედნიერ აქვნდეთ!“

„ჩემო ხოლომონ, მეფემ უბრძანა:
მე ეგ ყოველივ არ ვიცი განა?
მაგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლის,
რა მოვაგვარო უმჯობეს ამის?
მე არა ვჰთიქრობ, ვითარცა მეფე,
თვის დიდებისთვის სისხლთა აღმჩენე;
არამედ ვითა მამა კეთილი,
რომელსა სურს, რომ თავისი შვილი
თვისს სიცოცხლეშივ დაასახლ-კაროს.
ქნელ-არს ცხოვრება სამეფოსი, როს
უჭვრეტდეს იგი ომსა დღე დღითი!
აი ხომ ნახე აწ მაგალითი,
რა ჰქმნა ამ ერთმა დამარცხებამა!
კარგი რომ კიდევ აღა-მაჭმაღ-ხან
ქალაქს დასჯერდა განძვინებული,
სხვით არ აღივსო მან საწყაული!...“

„ახლა-კი დროა, ხოლომონ, რომა
მშვიდობა ნახოს საქართველომა.
მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის
ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის,
და მხოლოდ მაშინ უეჭვოდ გვრწამდეს,

რომ ქრისტეანთ ხმა მარად ისმოდეს
საფლავზედ ჩვენთა მამა-პაპათა,
და განისვენონ აჩრდილთა მათთა!“

ვეღარ გაუძლო მსაჯულსა გულმან
და ჰყადრა მეფეს აღშფოთებულმან:
„განზრახვა შენი, მეფევ, მაკვირვებს!
ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს
არად მიაჩნით უბედურება,
თუ აქვთ თვისთ ჭერთ ქვეშ თავისუფლება!“

„სულ მართალია, ჩემო სოლომონ,
მაგრამ, აბა, სოჭვი, ქართველთა რა ჰყონ
ამ უბედობის და დარღვევის დროს?
აბა, ირაკლიმ რა მოაგვაროს
შშეიდობისათვის საყვარელთ ყმათა?..
აი მივიღებ მე შენთ რჩევათა
და დავიდუმებ მე ჩემს გულის თქმას;
ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას,
რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება,
ქართლსა დაიცავს რუსთ კელმწიფება!“

ასე ირაკლი და მის მსაჯული,
მამულისათვის გულ-მტკივნეული,
ქართლისა ბედსა განსამართლებდენ,
ხოლო ქართველნი მამულს ჰვლოვობდენ!...“

5. ბარათა შვილი

გოგოთურ და აფშინა

(ძველი ამბავი)

ამბობენ: ბლოელ¹⁾ აფშინა,
მინდოდაურის გვარისა,
სცარცვაგს რჯულიან-ურჯულის,
მარჯვედ მომხმარე ფარისა;
ჭერსო აავსო უნჯითა;
როგორც სალარო ხანისა.
თანაც იტუვან: გოგოთურის
ჯანით ვერ შაედრებათ,
ნეკით გასტუვარცნის, აფშინა
ხე და ქვათ შაეცხებათ.
მეფესაც უთქვამს: „გოგოთურ
ათას კაცთანო ვადარე,
ათასგანა მყავს ნაცადი,
ათასგან ომში ვატარე;
გოგოთურის რკინის გული აქვს,
ჯანი ხო გადამუტია,
აამდენჯერ მარტომ შაბერტუის
მტერი, ქვიშაზედ მეტია.
ომში სიკვდილს ჰგავ გოგოთურ,
შეუბრალები, უკვდავი,
მტერსაც ზარსა სცემს უზომის,
როგორაც სულთა-მხუთავი ..
ისე აგორებს მტრის ააზმებს,
როგორც ნავს ტალღთა დენანი;
ალბათ სწეალობენ ვაჟებაცსა
ის ანგელოზნი ზენანი!“

აამდენჯერ სთხოვა ბატონმა
დარჩომა მეფის კარადა,
მაგრამ ვაჟებაცი ეტელდა:
— მეფევ, ვერ გავსძლებ ბარადა..
თუ მთის ნიავი არა მცემს,
გული ქალებურ ტირისა,
არ მინდა შური, არც წყალი,
ალარც გადება პირისა;
მამესიბლება გუნება,
ვერა ვარ გამძლე ჭირისა.
გოგოთურ ამაზედა სწებს,
ხმა ადარ ასმის ომისა,
მიწურვილია, თავდება
ჟამი ზაფხულის ორისა.
შინაც ხომ უქმად არ არი,
მუშაობს, მიწის მხვნელია,—
ამბობს: „ომის ღრუს ვიამოთ,
არად, — ვიქნიოთ ცელია,
ნადავლით, ნაყაჩადარით
კაცის დარჩომა ძნელია!“
რავის ახსოებს, ფშავშია
ხმა-მაღლა ასძრახდომოდეს,
განაღამც საცარცვავადა
გზად ვისმე გადასდგომიდეს..
ვეება ჭანდარის აიღებს,
წიწერად გაიდებს მხარზედა,
უალიონს პირით არ უშვებს,
მიატანს თავის კაზედა;

¹⁾ ბლო სოფელია ხევსურეთში.

თომებსაც დაედევნება
უფლის გადაღმა კვალზედა.
შემოღამდება, შინ მოდის,
ჩამაუჯდება პერასა,
დაიწუებს შესაქცევრადა
დიდის უალივნის წევასა,
ფანდურსაც შააუდარუნებს,
თითს ააჩქამებს ბერასა.
ხანდახან დაიბუბუნებს,
ჭერი დაიწუებს ნძევასა,
თან ფეხს დაუცემს გაშაცი,
მიღამო იწუებს ნთქრევასა.

II

ქველადგანვეა ნათქომი,
რო დედაქაცი უბედია,
მიჟუვება გულის ძრახვასა —
ვნებიანთბით რეტია,
წააოტევის უგვანს სიტევასა
მოუფიქრელი, ცეტია.
ქმრისად სახელის მძებნელი
სხვას არ დაგიდევს არასა;
მოტევანი იქთს მის ქმარი,
თუნდ ხალხს სცარცვიდეს შარასა,
თღომც იქნევდეს ფრანგულსა,
არ ჭრალატობდეს ხარასა ²⁾ ,
ცოლსაც სწეალობდეს, აცმევდეს
წითლის დარასის კაბასა.

ცოლი აუტედა გოგოთურს:

— რად გინდა დიდი სხეული,

²⁾ თოფია.

თუ-კი ზღუბლს არ გასცილდები,
როგორც სახადით სხეული?!

რად გინდა თოფ-იარალი,
ბასრი ფრანგული, წევული,
ათასგან სისხში ნათრევი,
ბაცების ულეტას ჩვეული?!

ამა დაჭივლიე, უტიორნავ,
ცრემლი აქვ ჰირზე მცვრეული!

წადი, შენც გინშე გაცარცვე,
არ გინდა სარჩო ნეტარა?

ქისტების თაგები გაჭიბლთვე,
ხევსურთ დაადევ ბეგარა.

ამბობენ, აფშინაის ცხენს
ტანი სულ ვერცხლით ეფარა.

— ნეტავ რას ამბობ, დიაცო,
ჭიგას რად არ ატან სიტევასა,
საქმე თუ გამოგლევია,
არტუ არ იტევი იმასა?!

რად მინდა მაშინ სიცოცხლე,
ლუკმასა გსჯამდე სხვისასა...

შენ გინა გკითხავს, უჯიშდვე,
თოფისასა და ხმლისასა?!

შენ უნდა საჩეჩელს ეჯდება,
ან არა, — ჭქსოვდე წინდასა.

ხმლის ქნევას მაღლი მაშინ აქვ,
როცა ხმალს ჭხედავ მტრისასა!

ჯერ მეფის სიტევა არა სჩანს, —
„შემოგვესია მტერია,
ფშავით მაიდეს ლაშქარი,
ჩემი ერთგული ერიო;
წინ გამაუძვევეს გოგოთურ,
ჯერ ართ არი ბერიო“;

შითც არ მოსვლია ჩემს სმალს
სისხლით შეფების ჯერით.
ჩემი ფრანგული მტერსა ჭკლავს,
ძმაზედ არა აქვ სეჭით!
უწინ შინ როდის დავმდგარვარ,
როსც დაგზუტემია თათარი,
მტერს წინ მე მივგებებიჭარ,
როგორაც ჯერნებს აფთარი.
ოში რვა სმალი გავცეითე,
მეცხრე თეთრ-ტარა ხანჯარი...
თუ-კი ავ-სული არა ხარ,
ებ საუკედური რა არი!?

— მე იმას ვამბობ, ბეჩავო,
სახლისადა ხარ ურგები.
რა სარჩოდ გამოგადგება
თათრების დაჭრილ ზურგები?
ფაშქობით რა მოგიტანავ
ტანზე წყლულების მეტია,
მარტო სახლი რას გიზამს,
თუ სარჩოც არა ჭევეტია?!

დაღონდა მეტად გოგოთურ,
სმალს მიაწვადა ხელია;
ფაფნის ³⁾ სამბურით შაიბა,
მაგრა შაიგრა წელია,
მარცხნისას ფარი გადიგდო,
შარჭვნით — სიათა ჭრელით, —
უზარ-მაზარი, ძელსა ჭიგავს,
კაცის საზრდად ძნელით.
დედაკაცი დათათბირებს:

— უნდა მიმოველო სმელით
რასაც შენა მთხოვ, იმისა
წავალ, ვიქნები მქნელით.
მოუგრებში გამაემართა,
ამის დაცინვით მთქმელით.

III

გაზაფხულ იუთ შაშინა,
ახლად ყოლდენ იანი,
მწვანის ქათიბით კოსტატბს
მთების კალთები ტუანი;
ბექ-ბუქში თოვლი დამდნარა,
მიწა გამხდარა წვნიანი,
მწვანეს ეწვდება ფოთოლსა
ხარი ირემი რქიანი.
გალაფებულან ფრინველი,
ისედაც ლალი-ზნიანნი;
არაგვიც მოჟკუს მრისხანედ.
ამ დროს შავ-ფერად მდინარე,
იღვიძებს, იფშვნეტს თვალებსა
მის არ-მარე მძინარე.

კლდეებიც წყალსა ჭურნავენ,
სრულად დამდნარა მუინვარე...

კოპალის ქვასთან გამოჩნდა
კაცი მთასავით მძვინვარე,
მაიზლაზნება ზოვივით,
შირ-ქუში, არა-მცინარე.
ზენაით მეორე მოსჩანს,
იმდერის, — მთანი ხვივიან,
მაქევეჭევებს ლურჯასა, —
ნალნი რიუეზე წივიან;
მაეზაუება ცხენზედა

³⁾ ლაფანი — ပატვის ან თელის
კერძის ზიდა-პირია.

გამარჯვებასა ჩვეული,
უხდება წითელს ჩახაზე
ფარი და დაშნა რწეული.

გოგოთურს ჭხედავს აფშინა,
გულშიაც ჩაეცინება,
ზედ მიჭვარდება ცხენ და ცხენ,
უდინერად შაიგინება;
აფშინას ბაწარაულის ⁴⁾
შუქი შორს გაითინება.

— იარაღნ მამცენ, ფშაველო,
რად გი, ⁵⁾ არ იცი ხმარება;
შირ-და-პირია აფშინა,
გაეკაცს არ უუვარს პარება.
რა გაგვირვებით მიუურებ,
აფშინას მექაზიანო!?

ჭა, თორთ შავთხოვ ფრანგულსა,
ხმალო, გამიწერ, ფხიანო!

გოგოთურ ფიქრობს: ვეჩვენო,
აცა, აფშინას საწელადა;
ვეზევწო, თავი ვიდამლო,
ამის რას მიზამის ნაცვლადა?
აქებენ: შამიბრალებსა,
თუ გადამაქცევს ნაცრადა?

— რადა, ძმობილო, რად აგრე,
გან დიაცი ვარ თრსული?
დედამ გამზარდა მენაცა,
ნეხვები არა ვარ მოსული!
თუ მართლა აფშინაი ხარ,
იარაღთ რად მყრი, უმისა,

უიარაღო გამიშვა,
ხათრი არა გაქვ დგომისათ?!

მიწაზე როგორ უიარო,
მზე როგორ ვსინჯო ცისათ?
ჯალაფნი არ მეტყვიანა:
„ჭარ, შე ტულაპო მტრისათ!“

სუ, თუ ღმერთი გწამ, აფშინავ,
სირცხვილს ნუ მაჟუმევ, ძმობასა,
ქუდ-მოხდილს ქვეუნად ნუ მავლევ,
შირში ნუ მამცემ გმობასა.

კაცი ხარ სახელიანი,
რად მიწევ ეგრე მტრობასა?
თლომც იარაღთ ნუ ამერი,
რა ვქნა, გაგიწევ უმობასა.

— ნუ მაგვიანებ, ფშაველო,
ჩქარა შაისხენ ხმაჭია,
სიათაც გაღმამაწვადე,
კარგი ექნება ძალია;
ერთი გვირაა, შენს მეტსა
გერავის დაგვარ თვალია.
ჩქარა მაიხვენ აბჯარნი,
არა-დ — გალოგებ ქვიშათა,
მიგცემ, გათრიონ უუნჭივით
ტალღთა არაგვის წელისათა.

შისცა ხმალი და სიათა,
ფარი, ნაჭრევით ფარული,
ცხენის აღვირისაც უსწორდა
მოუმე დისწელი უვარული.
აფშინამ ლურჯას დეზი ჭკრა,
იგიც გაფრენას ლამიბდა;
გოგოთურს თმენა გაუწედა,
გამოცხადებით ჯავრობდა:

⁴⁾ ხმალია.

⁵⁾ შემოკლებული „გინდა“.

— მაშ, შიგქონ ჩემნ იარაღნი, კიდევ არ შაირცხვინია?
დადგძ, შე უნამუსოვა, ქვაზედ გინაულ ტვინია!

გაწურა, გაჯავრდა გოგოთურ, გულში აეძრა ჟინია;
ხელი გაავლო აფშინას, დადგა, დაბეგვა ძალიან;
გადაფითრებულს აფშინას, სატირლად ადარ სცალიან.
მაგრა შაკონა ბეჩავი, ისე დააგდო გზაზედა.
ჩაეუბნება ჭკვიანად:

— შენ გაგერშილხარ სხვაზედა, გინდოლა გოგოთურსაცა
წამოსჯდომიუავ თავზედა?
შენ რომ ჭკვიანად მოგემმა, გვედრე, არ შამიბრალია,
ახლა მე მერტეას წელზედა
შენი ზიკ-ზიკა ხმალია;
ცრხნიც მე მუგანდეს ლურჯა, თანაც ეს შენი ფარია;
ჩაჩქანი, რეინის პერანგი
შენზედ არამი არია.

— რა ვქნა, — ამოთქვა აფშინაშ წვერ-მოტეხილის ენითა,
თან დნება ლურჯად, შავადა,
გულში ბოროტის კბენითა, —
რა ვქნა, გავმოიუვდი, ვერ გიცან,
თუმც-კი გიცნობდი შორითა;
ბეჩავსა ვისლაც გამსგავსე
დონდლედ აგებულს უორითა.

გაქებდნენ, კარგი ჟულფილხარ,
კარგი გქონია მარჯვენა,
ფიც-ვერცხლი ვსჭამოთ, გოგოთურ,
ჩემნ იარაღნიც მამცენა.
მცხვენიან, ამას რო ვამბობ,
მიძმე და მომეც აბჯარი,
თუ არა, ბევრად მირჩევნავ,
რო გულში დამცე ხანჯარი.

— კი უოფილაა ადვილი
სხვისად მიცემა აბჯარისა,
სხვის წელზედ სინჯვა თვალითა
თავის ხმლისა და ხანჯრისა?

კაცისად იარაღისა
აურა სიკვდილთან სწორია.

ეხლა-ღა მოხვედ ჭკვაზედა,
ეხლა მარეც კონია?
ხომ იცი, საქართველო
უგალა კუთხიდგან მტრისი,
მგზავრს მიშვებ უიარაღოს,
კაცი არა ხარ ღვთიანი?

რას დაძრწი, რას დაეთრევი,
შე უნამუსოვა, ფაფუხურა,

რო წისქვილებში მსუნავი
ქურდი, ქოფაკი, შავ-უურა?

გშილდა, რატუ არ მითხარ,
გაჭმევდი, გაგაძლებდია,

იარაღს როგორა მურიდი,
ლმერთი არ არის შენშია!

თუ არა, რაად გინდარის
ვერცხლი, ხაღები ქვევრშია?

თუ მაინც გიუვარს ხმლის ქევა,
ქოლვა, ქორებულ ტეშება,

მე სამ გამამუებ, გაჩვენო
მტერი, საელეტად ვევძა;
დაგეცეს მარტოს ათასი,
გცემდენ, მოგიგდონ შუაში,
მაჯა დნებოდეს შრომითა,
ხმალი ტედებოდეს უუაში.
გასძელ, სხვა ხმალი იშოვე,
მტერი დათორთხე თხებურა,
მარტომ მისდიე მრავალსა
ჰირ-თოლიანმა, მგლებურა;
მაშინის ვიტევი, დირსი ხარ
წელზე ხმლის, თავზე ქუდისა;
არად, გეხუროს ჩიქილა
თავზე დიაცის ცუდისა!
შენ გეცარცვია, ვინაცა
საბრალო :რი, ბეჩვი,
თვის დღეში ომ-უნახველი,
დიაცთ ნალახის მხვეტავი;
არ შაგხვედრია შავ-ფერა,
მჭდავ-მსხვილი, რკინის მკვნეტავი.
მე შენ იარალნ რად მინდან
სიმრედის გზაზე ნაგალი,
შინაცა აქვის გოგოთურს
ფარი და ხმალი მრავალი.
აჭა, აბჯარნი, ცხენიცა,
წადი, მშვიდობით ვლიდია,
სადაც შენი სთქვა ბიჭიბა,
რქავე ჩემი სთქვიდია.
გარისხებ ხახმატის ჯვრითა,
აი კოშალაც ეს არი,
რო უველა სიმართლითა სთქვა,
რაც რო დაგეღვა ბეგარი...

თანაც გაუხსნა ხელები
წამაუენა მხედარი,
ადგა ბეჩავი, აფშინა
თვალ-მოცრემლილი, ლურჯია.
— მეგონა თავი, ამბობდა,
გაუტეხელი ბურჯია;
ეხლა სჯობს სახჩი ვიშაფა,
თავზე დაგორტყა გურჩია.
მოდი გაკოცო, გოგოთურ,
სიგეთისათვის შუბლიჩა.
— ხელი მაჭხვიერ ერთმანერთს
გულ-ახდით, არა-ძალადა;
აფშინას ხურჯინშითა
ტიკჭორა მააქ ჩქარადა.
მიიშატიჯა გოგოთურ,
დასხდენ ვაუკაცნი ხის ძირა;
აფშინამ უანწი აავსო
და ილოცება წინ-წინა:
— სანამ იცოცხელე, გოგოთურ,
სანამ ფასა სდის ნამია,
სანამ მზე ათბობს ქვეუანას,
დილა-სალამოს ჟამია;
სანამ ტუეს ესხმის ფოთოლი,
მიწა ამცენებს მწვანილსა,
სანამ ჯინჭველა ქალაქით
ზურგით მარტანს მარილსა!
მოგწიოს ლაშარის ჯვარშა
მუდამაც გულის წადილსა!
ახლა გოგოთურმ დალოცა:
— გწეალობდეს, ძმისავ, ხატა,
შენც ჯანიანა ჭულოუილხარ,
როგორც წელანა გცადია.

დმირთმა გაშოროს ბოროტი,,
ავ-საქმე, ავი წადილი!
ნუ მოგვიშალოს უფალმა
ძმობა და ერთად ხალილი!
აფშინამ ხანჯოის ბუნისა.
ვერცხლი არაუში ჩათალა,
ორთავ დალიეს ერთადა,
ორიგემ უანწი დაცალა.
აფიცნეს. ეხლა ძმინა,
ვით ერთის დედის შვილები...
ახლა უმღერეს ზედაცა
ერთ-ურთს სამღერი ტკბილები,
მემრე წავიდნენ ცალ-ცალები
თავ-თავის გზაზე გმირები.

IV

უკუნეთია. არ ისმის
კრინტი არსიდგან არ-რისა.
სუდალ-ჩაცმულნი მთანი დგან,
ფიქრის მზიდვეები მწარისა,
სუ მუდამ უინულიანნი,
არ-რთს მნახველნი მწვანისა;
ცხადად ერჩევა საჯიხე,
ქმნილი კლდისაგან სალისა.
ჩქაფუნი მოდის მწერომარე
იმ ხევსურეთის წყალისა,
და განაპირად სოფლისა
ისმის რაკუნი კარისა;
თან ხმაც გაისმა მწერომარე,
გადმონადენი ჭავრისა:
— გაგოწყვერეს ჩემი კამჩენი,
მადლი ხახმატის ჭვარისა!

რა დროს ძილია, ბეღ-მწარევი,
შე უდავლათოს გვარისა?!
აფშინას გერ შაეწონვი,
ორგორც მზეს შუქი მთვარისა.
აჭა, წაიხვენ აბჯარნი,
ცხენის ნუ დაუყრი თივასა;
ვინც ხვალ პირველად მოიდეს,
ეველა ეს მიეც იმასა.
ჩემ ცხენიც იმასა ჰუვანდეს,
ფასს არ გსთხოვ. არცა ქირასა.
ხო გესმის, რას გეუბნები,
თავს რასა ჰკიდებ ძრასა!?

მე გარჩი ვეღარ გამოვალ,
ძმად უნდა ვეგანდე ჯინასა,
ჭირი შამურია უწამლო
კაცს, ხევსურთ ბადალს, წინასა.

აგერ სამი თთვე სოულდება,
არა სცილდება ბინასა,
ლოგინად ჩავარდნილია,
უნდება კგნესას, გმინესა,
მალა და ვეღარ დამალა
აფშინამ წელული გულისა,
არ ეთქვა, ადარ შაეძლო
გაჭეაცს მობრუნვა სულისა.
ცხეჩი, აბჯარნი სხვას მისცნა,
გახდა ერთგული რჯულისა.

V

მოგროვილიუგნენ ხახმატისა
ხევსურთ გაჟები ხმლიანნი,
სალუდის კაზზედ მოჩანან

მინდი, ⁶⁾ მაშუკა ⁷⁾ მტრიანნი; ხირჩლაიც მოდგა ხატის კარს, გაუკაცი სახელიანი; განს, მოჟორებით დამდგარან დიაცნი მანდილიანნი.

ლუდის სმა არი, დრეობა, ცხვრის თავები ჭურავ უორედა; ხევის-ბრის დიდება ისმის, აფშინა არი სწორედა, ხელის ხატს ახვეწებს ტკბილის | ხმით, იწვევს მფარველად ქვეყნისა:

„მწეალობელ იუს გორგი, ხალხო, ოჯახის თქვენისა; მტერზედამც გაგემარჯვებათ, სიწვდილს გაშოროსთ მწარესა, გამარჯვებითამც გივლიათ უფლებივ ხმელეთის მხარესა?!“

ამბობენ: ქვითინი მოდის დამ-ღამ ბლოს თავით კაცისა: „გაჲ, მკვდარო ვაჲ-კაცობათ, ცოცხლად დამარხვავ თავისა!!“ ვაჲა-ფშაველა

ვეზეის-ტყაოსანი

(ნაწყვეტი)

ამბავი პირველი როსტევან არაბთა ძეფისა.

იყო არაბეთს როსტევან მეფე, ღვთისაგან სვიანი, მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქართ-მრავალი, ყმიანი, მოსამართლე და მოწყალე, მორწმული, გამგებიანი, და თვით მეომარი უებრო, კვლავ მოუბარი წყლიანი.

სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული, სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული, მან მისთა მჭვრეტთა წაულის გული, გონება და სული, და ბრძენი ჰეამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული.

⁶⁾ სახელია კაცისა.

⁷⁾ სახელია კაცისა.

მისი სახელი თინათინ არს, ესე საცოდნარია;
რა გაიზარდა, გაივსო, მზე მისგან საწუნარია,
მეფემან იხმნა ვაზირნი, თვით ჰქის ლალი და წყნარია,
და გვერდსა დაიხსნა, დაუწყო. მათ ამო საუბარია.

უბრძანა: „გვითხავთ საქმესა, ერთგან სასაუბაროსა:
„რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭკნაროსა,
„იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა,
და მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვსჭრეტთ, ლამესა ჩვენ უმთვაროსა.

„მე გარდავსრულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია;
„დღეს არა ხვალე მოვკვდები, სოფელი ასე მქნელია.
„რალაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?
„და ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია“.

„ვეზირთა ჰკადრეს: „მეფეო, რად ბძანეთ თქვენი ბერობა?
„ვარდი თუ გახმეს, ეგრეცა გმართებს რაზომცა ჯერობა,
„მისივე მეტობს ყოველსა სული და ტურფა ფერობა, [რობა!
„და მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითარცა ჰკადრა მტე-

„მაგას ნუ ბრძანებ, მეფეო, ჯერ ვარდი არ დაგვჭკნობია,
„თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჯობია,
„ჰემდა განაღამცა სათქმელად, რაცა თქვენ გულსა გლმობია,
„და ჰსჯობს და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენაფლობია.

„თუცა ქალია ხელმწიფედ, მართ ლვთისა დანაბადია,
„არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოთ გვითქვამს კვლავ დია,
„შუქთა მისთაებრ საქმეცა, მისი მზებრ განაცხადია,,
„და ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.

ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა,
საროსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა,
ჯერ უწვერული, საღარო, ბროლ მინა საცნობარისა,
და მას თინათინის შვენება ჰკლევდის, წამწამთა ჯარისა.

გულსა მისია მიჯნურობა მისი პქონდა დამალულად, [ლად, რამოშორდის, ვერ მჭვრეტელმან ვარდი შექმნის ფერ-ნაკლუ-ნახის, ცეცხლნი გაუახლდის, წყლული გახდის უფრო წყლუ-ლ საბრალოა სიყვარული, კაცია შეიქმნა გულ-მოკლულად. [ლად;

რა მეფედ დასმა მეფემან პბრძანა მისია ქალისა, ავთანდილს მიხვდა სიამე, ვსება სჭირს მის სოქალისა. თქვა: „ზედა-ზედა მამხვდების ნახვა მის ბროლ-ფიქალისა, და ნუ თუ ვით ვპოვო წამალი მე ჩემი ფერ-გამქრქალისა.“.

არაბეთს გასცა ბრძანება ღირდმან არაბთა მფლობელმან: „თინათინ ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმან მშობელმან, მან განანათლნეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან, და მოდით და ნახეთ ყოველმან, შემსხმელმან, შემამკობელმან“.

მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი გამრავლდეს ხასისა, ავთანდილ პირ-მზე, სპასპეტი ლაშქრისა ბევრ-ათასისა, ვეზირი სოგრატ, მოახლე მეფისა დასთა დასისა, და მათ რომე დასდგეს საჯდომი, თქვეს: „უთქმელია ფასისა!“

თინათინ მოჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა, დასვა და თავსა გვირგვინი დაადვა თავის ხელითა, მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა, და ქალი მზებრ უჭვრეტს ყოველთა ცნობითა ზე-მხედველითა..

უკუ-დგეს და თაყვანი-სცეს მეფეთა და მისთა სპათა, დალოცეს და მეფეთ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა. ბუკა ჰკრეს და წინწილითა დაატკბობდეს ტკბილთა ხმათა. და ქალი ჰსტირს და ცრემლსა აფრქვევს, ჰხრის ყორნისა ბოლო ფრთასა.

მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ელირსებოდა, ამად ჰსტირს, ბალი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა. მეფე ჰსწვრთნის, მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა: და „ამისად ქმნამდის დამწველი ცეცხლი არ დამევსებოდა“.

უბრძანა: „ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემი თხრობილი:
„დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩვენგან ხელმწიფედ ხმობილი,
„აქათგან ესე სამეფო მართ შენია მონდობილი,
„დ ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი დ ცნობილი.

„ვარდთა და ნეხვთა ვინალგან მზე სწორედ მოეფინების,
„დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების:
„უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების,
„და უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესღის და გაედინების.

„მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა რგულია,
„უხვსა მორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია.
„სმა-ჭამა, დიდად შესარგი, დეპა რა სავარგულია?
„და რასაცა გასცემ — შენია, რაც არა, — დაკარგულია“.

ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა,
ყურსა უპყრობდა, ისმენდა, წვრთნასა არ მოიწყინებდა.
მეფე სმასა და მღერასა იქმს, მეტად მოილხინებდა,
და თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინებდა.

მოიხმო მისი გამზრდელი, ერთგული, ნაერთგულევი.
უბრძანა: „ჩემი საჭურჭლე, შენგან დანაბეჭდულევი,
„მომართვით ჩემი ყველი, ჩემი ნაუფლისწულევი“.
და მოართვეს, გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი.

მას დღეს გასცემს ყველაკასა, სივაჟისა მოგებულსა,
რომე სრულად ამოაგებს მცირესა და დიდებულსა.
მერმე პბრძანა: „ვიქმ საქმესა, მამისაგან სწავლებულსა,
და ჩემსა ნუ ვინ ნუ დამალავს საჭურჭლესა დადებულსა“.

უბრძანა: „წალით, გახსენით, რაცა საღ საჭურჭლენია
ამილახორო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია“.
მოილეს, გასცა უზომო, სიუხვე არ მოსწყენია.
და ლარსა პხვეტლიან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია.

ალაფობ-დეს საჭურჭლესა მისსა, ვითა ნათურქალსა,
მას ტაქტსა არაბულსა, ქვენაბამსა, ნასუქალსა,
რომე ჰგვანდა სიუხვითა ბუქსა, ზეცით ნაბუქალსა.
და არ დაარჩენს ცარიელსა, არც ყმასა და არცა ქალსა.

დღე ერთ გარდახდა პურობა, სმა-ჭამა იყო, სილობა,
ნადიმად მჯდომთა ლაშქართა მუნ დიდი შემოყრილობა;
მეფემან თავი დაჰკიდა და ჰქონდა დალრეჯილობა,
და „ნეტარ რა უმძიმს, რა სჭირსო?“ უექმნეს ამისი ცილობა.

თავსა ზის პირ-მზე ავთანდილ, მჭვრეტთაგან მოსანდომია,
სპათა სპასპეტი, ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია.
ვეზირი, ბერი სოგრატი, თვით მასთანავე მჯდომია.
და თქვეს თუ, „რა უმძიმს მეფესა, ანუ რად ფერი ჰკრთომია?“

თქვეს თუ, მეფე ცუდსა რასმე გონებასა ჩავარდნილა,
თვარე აქა სამძიმარი მათი ყოლე არა ქმნილა! გვეცილა;
ავთანდილ სთქვა: „სოგრატ, ვკითხოთ, გვითხრას, რაცა შე-
და ვკადროთ რამე სალალობო, რასათვისცა გაგვაწმილა“.

ადგეს სოგრატ და ავთანდილ ტანითა მით კენარითა,
თვითო აივეს ჭიქები, მივლენ ქცევითა წყნარითა,
წინა მიუსხდეს მუხლ-მოყრით პირითა მოცინარითა;
და ვეზირი ლალობს ენითა, წყლიანად მოუტნარითა:

„დაგილრეჯია, მეფეო, ალარ გეცინის პირიო,
„მართალ-ხარ—წარხდა საჭურჭლე თქვენი მძიმე და ძვირიო,
„ყველასა გასცემს ასული თქვენი საბოძვარ-ხშირიო,
და ყოლამცა მეფედ ნუ დასვი, თავსა რად უგდე ჭირიო?“

რა მეფემან მოისმინა, გაცინებით შემოხელნა.
გაუკვირდა: ვით მკადრაო, ან სიტყვანი ვით გაბედნა?
„კარგა ჰქენო!“ დაუმადლა, ბრძანებანი უიმედნა,
და „ჩემი ძრახვა სიძუნწისა, ტყუის, ვინცა დაიყბედნა.“

„ეგე არ მიმშიშს, ვეზირო, ესეა რომე მწყენია:
„სიბერე მახლავს, დავლიე სიყმაწვილისა დღენია;
„ქაცი არ არის სიდგანცა საბრძანებელი ჩვენია,
„და რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია.

„ერთია მიზის ასული, ნაზარდი სათუთობითა,
„ღმერთმან არ მომცა ყმა შვილი, ვარ საწუთროსა თმობითა,
„ანუმცა მგვანდა მშვილდოსნად, ანუ კვლავ ბურთაობითა,
„და ცოტასა შემწევს ავთანდილ, ჩემგანვე განაზრდობითა“.

ყმა მეფისა ბრძანებასა ლალი წყნარად მოისმენდა,
თავ-მოდრეკით გაიღიმნა, გაცინება. დაუშვენდა,
თეთრთა კბილთა გამომკრთალთა შუქსა ველთა მოაფენდა,
და მეფე ჰკითხავს: „რას იცინი, ანუ ჩემგან რას შეგრცხვენდა?“

კვლავ უბრძანა: „თავსა ჩემსა რას ეცინი, რად დამგმეო?“
ყმამან ჰკადრა: „მოგახსენებ და ფარმანი მიმოძეო,
„რაცა გკადრო, არ გეწყინოს, არ გარისხდე, არ გასწყრეო,
„და არ გამხადო კადნიერი, არ ამიკლო ამაზეო“.

უბრძანა: „რამცა ვიწყინე თქმა შენგან საწყინარისა!“
ჰფულუ მზე თინათინისა, მის მზისა მოწუნარისა.
ავთანდილ იტყვის: „დავიწყო კადრება საუბარისა, [რისა].
„და ნუ მოჰკვეხ მშვილდოსნობასა, თქმა სჯობს სიტყვისა წყნა-

„მიწამცა თქვენი ავთანდილ თქვენს წინა მშვილდოსანია,
„ნაძლევი დავსდვათ, მოვასხნეთ მოწმად თქვენივე სპანია,
„მოასპარეზედ ვინ მგავსო, ცუდილა უკუთქმანია,
და გარდამწყვეტელი მისიცა ბურთი და მოედანია“.

„მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა მაგისა დაცილებასა!
„ბრძანე, ვისროლოთ, ნუ იქმო შედრეკილობა-კლებასა,
„კარგთა კაცთასა ვიქმოდეთ მოწმად ჩვენთანა ხლებასა,
„და მერმე გამოჩნდეს მოედანს, ვისძი უთხრობდეს ქებასა“.

ავთანდილუა დაპირისილდა, საუბარი გარდასწყვიტეს, იცინოდეს, ყმაწვილობდეს საყვარლად და კარგად ზმიდეს; ნაძლევიცა გააჩინეს, ამა პირსა დაასკვნიდეს: და „ვინცა იყოს უარესი, თავ-შიშველი სამ დღე ვლიდეს“.

კვლავ ბრძანებს: „მონა თორმეტი შევსხათ ჩვენთანა მარებ-თორმეტი ჩემდა ისრისა მამრთმევლად, მოსახმარებლად. [ლად, ერთია შენი შერმაღინ არს მათდა დასადარებლად, [ლად“. და ნასროლ-ნაკრავსა სთვალვიდენ უტყუვრად, მიუმცდარებ-

მონაღირეთა უბრძანა: „მინდორი მოიარენით, დასცევით ჯოგი მრავალი, თავნი ამისთვის არენით“. ლაშქარნი სამზოდ აწვივნეს: „მოდით და მოიჯარენით“. და გაყარეს სმა და ნადიმი, მუნ ამოდ გავიხარენით.

დილასა აღრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი, ძოწეულითა მოსილი, პირად ბროლ-ბალახისანი: პირს ოქროს რიდე ეხვია, ჰშვენოდა ქარქაშოსანი, და მეფესა გასვლად აწვევდა, მოდგა თეთრ-ტაიჭოსანი.

შეეკაზმა, მეფე შესჯდა, ნადირობას გამოვიდეს, მგვრგვლივ მინდორსა მოსდგომოდეს, ალყად გარედ შემო-ზეიმი და ზარი იყო, სპანი ველთა დაფარვიდეს, [ჰკვროდეს, და ნაძლევისა მათისა-თვის ისროდეს და ერთგან ჰსვრიდეს.

უბრძანა: „მონა თორმეტი მოდით, ჩემთანა ვლიდითა, „მშვილდსა ფიცხელსა მოგვცემდით, ისარსა მოგვართმიდითა, „ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა“. და დაიწყო მოსვლა ნიღირთა ყოვლთა მინდორთა კიდითა.

მოვიდა ჯოგი ნაღირთა ანგარიშ-მიუწდომელი: ირემი, თხა და კანჯარი, კურციკი მალლა მხტომელი მას პატრონ-უმანი გაუხდეს, ჭვრეტადმცა სჯობდეს რომელი, და აპა მშვილდი და ისარი და მკლავი დაუშრომელი!

ცხენთა მათთა ნატერფალნი მზესა შუქთა წაუხმიდეს,
მიხოცდეს და მიესროდეს, მინდორს სისხლსა მიასხმიდეს;
რა ისარნი დაელივნეს, მონანი ყე მოარომიდეს,
და მხეცნი, მათგან დაკოდილნი, წალმა ბიჯსა ვერ წასდგმიდეს.

იგი ველი გაირბინეს, ჯოგი წინა შემოისხეს,
დახოცეს და ამოსწყვიტეს, ცათა ღმერთი შეარისხეს,
ველნი წითლად შეეღებნეს, ნადირთაგან სისხლი ისხეს,
და ავთანდილის შემხედველთა: „ჰგავს ალვაა, ედემს ისხეს“.

იგი მინდორი დალივეს, მართ მათგან განარბენია,
მინდორსა იქით წყალი სდის და წყალსა პირსა კლდენია,
ნადირნი ტყესა შეესწრნეს, სადა ვერა ჰრბის ცხენია,
და იგი მაშერალნი ორნივე მოსწყდეს, რაზომცა მხნენია.

ერთმანერთსა, „თუ მე გჯობო“, სიცილით ეუბნებოდეს,
ამხანაგობდეს, ლალობდეს, იქით და აქეთ დგებოდეს;
მერმე მოვიდეს მონანი, რომელი უკან ჰყვებოდეს, [ბოდეს].
და უბრძანა: „სოჭვითო მართალი, ჩვენ თქვენგან არ გვეთნე-

მონათა ჰკადრეს: „მართალსა გკადრებთ და ნუ გემცდარებით,
„მეფეო, ყოლა ვერ ვიტყვით შენსა მაგისა დარებით,
„აწვეცა დაგვხოც, ვერა ჰგავ, ვერათ ვერ მოგეხმარებით,
„და ვისგან ნაკრავი გვინახავს მხეცნი ვერ წალმა წარებით“.

„ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ასჯერ ოცია,
„მაგრამ ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია,
„არ დასცუთომია ერთიცა, რაც ოდენ შეუტყორცია,
„და თქვენი მრავალი, მიწითა დასვრილი, დაგვიხოცია“.

მეფესა ესე ამბავი უჩანს, ვით მღერა ნარდისა,
უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა,
აქვს მიჯნურობა ამისი, ვითა ბულბულსა ვარდისა,
და სიცილით ლალობს, მიეცა გულით ამოსვლა დარდისა.

იგი ორნივე საგრილად გარდახდეს ძირთა ხეთასა,
ლაშქართა შეჰქმნეს მოდენა, მოჰსლეს უფროსი ბზეთასა,
ახლოს უდგს მონა თორმეტი, უმხნესი სხვათა მხნეთასა;
და თამაშობდეს და უჭვრეტდეს წყალსა და პირსა ხევთასა...

წიგნი ნესტან-დარეჯანისა საუკარლადმი მეწერილი პირველი.

„წიგნი ვნახე, მისი იყო, ვისი მდაგავს ცეცხლი გულსა.
„მოეწერა მზისა შუქსა: „ნუ დაიჩნევ, ლომო, წყლულსა,
„მე შენი ვარ, ნუ მოკვდები, მაგრამ ბნედა ცუდი მძულსა,
„და ასმათი მოგახსენებს ყველაკასა ჩემგან თქმულსაა.

„ბედითი ბნედა, სიკვდილი, რა მიჯნურობა გვონია?
„სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია!
„ხატავეთს მყოფნი ყველანი ჩვენნი სახარაჯონია,
„და აწ მათ ჯავრნი ჩვენზედა ჩვენგან არ დასათმონია.

„შენგან ჩემისა ქმრობისა წინასაც ვიყავ მნდომია,
„მაგრამ აქამდის საუბრად კვლავ უამი არ მომხდომია,
„ძულან ხელქმნილსა გიჭვრეტდი კუბოსა შიგან მჯდომია,
„და მანდ ყველაი მასმია, რაცა შენ გარდაგხდომია.

„მართლა გითხრობ; მომისმინე ესე, რაცა მოგახსენე:
„წა, შეები ხატაველთა, თავი კარგად გამაჩვენე! [ტენე,
„გიჯობს, ცუდად ნუღარა სტირ, ვარდი კვლამცა რად დას-
და მზემან მეტი რაღა გიყოს, აპა, ბნელი გაგითენე!“

წიგნი ტარიელისა საუკარელსა თანა მიწერილი და ამბავი სასიძოს მოკვლისა.

„მივუწერე: „მზეო, შუქი შენი, შენგან მონაფენი
„გულსა მეცა, გამიცუდდეს სიჩაუქე, სიალფენი;
„ხელმან შენი განვიცადენ სინატიფე, სიტურფენი,
„და სულთა ნაცვლად სამსახური რამცა ვითა გიმუფქენი.

„მაშინ, ოდეს დამარჩინე სულთა სულად არ გამყარე,
„აწ ჩემთვისცა ესე უამი მასვე უამსა დავადარე.
„სამხრე შენი მომივიდა, შემოვიბი მკლავსა გარე,
„და რომე ჰმართებს სიხარული, ეგზომიმცა რა ვიხარე.

„გალანამცა ვიწინაშე, აპა რიდე, რომე მსთხოვე,
„ყაბაჩაცა ასეთივე, ამისებრივ ვერა ჰქოვე.
„დაბნედილსა ნუ დამაგლებ, მოშველე რამ, მარგე, მოვე
„და სოფელს მყოფსა უშენოსა კაცსა ვისმცა შევეპოვე“.

„ქალი აღგა, გამეყარა, დავსწევ, ამოდ დამეძინა,
„მაგრამ შევკრთი, საყვარელი ჩემი ვნახე ძილსა შინა;
„გამეღვიძა, აღარა მყვა, სულ-დგმულობა მომეწყინა;
„და ლამე ასრე გავათევე, მისი ხმაცა არ მესმინა.

„დილასა ადრე სრას მიხმეს, დღე რამ ჰქმნა მწუხრმან უამი-
„ავდეგ, ვსცან მათი ამბავი, წარსვლა ვქმენ მითვე წამითა; |თა
„ვნახენ: ორნივე ერთგან ჰსხდეს სახითა ადენ სამითა;
„და რა მიველ, მითხრეს დაჯდომა, წინაშე დავჯე სკამითა.

„გვიბრძანეს თუ, „ლმერთმან ასრე დაგვაბერა, დაცაგვლია,
„უამი გვახლავს სიბერისა, სიყმაწვილე გარდგვივლია,
„ყმა არ მოგვცა, ქალი გვიზის, მისგან შუქი არ გვაკლია,
„და ყმისა არა სმა არად გვაგვა, ამათ ზედან წაგვითვლია.

„აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, — სად მოვნახოთ,
„რომე მივსცეთ ტახტი ჩვენი, სახედ ჩვენად გამოვსახოთ,
„სამეფოსა ვაპატრონოთ, სახელმწიფო შევანახოთ, |ხოთ.
„და არ ამოვსწყდეთ, მტერთა ჩვენთვის არ ვამა-

„ვსთქვი: თქვენის ძისა არა სმა გულსა ჭით მიეფარების,
„მაგრამ კმა ჩემად იმედად, ვინ მზესა დაედარების;
„ვისცა სთხოვთ შვილსა სასიძოდ, მას დიდად გაეხარების,
„და სხვამცა რა გყადრო, თვით იცით, მაგას რა მოეგვარების,

„დავიწყეთ რჩევა საქმისა, გული უძს, თუცა მელია;
 „ვსოდეთ ჩემგან დაშლა ამისი არ ითქმის, არ საქმნელია.
 „მეფემან ბრძანა: „ხვარაზმშა, ხელმწიფე ხვარაზმელია;
 „და თუ მოგვცემს შვილსა საჩვენოდ, მისებრივ არ რომელია“.

„რომე პირველვე დაესკვნათ მათ, ესე შეეტყობოდა,
 „ერთმანერთსაცა უჭვრეტდეს, სიტყვაცა აგრე სწბებოდა;
 „ჩემგან დაშლისა კადრება მართ ამბად არ ეგებოდა;
 „და ოდენ დავმიწდი, დავნაცრდი, გული მიდამო ჰკრთებოდა.

„დედოფალმან სთქვა: „ხვარაზმშა მეფეა, მორჭმით მჯდომელი;
 „მათსამცა შვილსა სასიძოთ ჩვენთვის სხვა სჯლობდეს რომე-
 „შეცილებამცა ვით ვკადრე, რადგან თვით იყო მდომელი, |ლი?
 „და მოწმობა დავრთე, დაესკვნა დღე ჩემი სულთა-მხდომელი.

„გაგზავნეს კაცნი ხვარაზმშას წინა, შვილისა მთხოველი,
 „შესთვალეს: „გახდა უმკვიდროდ სამეფო ჩვენი ყოველი,
 „არს ერთი ქალი საძეო, არ კიდე გასათხოველი“.
 „და თუ მოგვცემ შვილსა სამისოდ, სხვასა ნულარას მოელი“.

„კაცრ მოვიდა, აევსო ჯუბაჩითა და რიდითა,
 „გახარებოდა ხვარაზმშას სიხარულითა დიდითა.
 „ებრძანა: „მოგხვდა ღვთისაგან ჩვენ რომე ვინატრიდითა;
 „და თვით მაგისებრსა შვილსამცა ჩვენ ხელსა რასა ვხდიდითა“.

„კვლავ გაგზავნეს სხვანი კაცნი სასიძოსა მოყვანებად,
 „დაავედრეს: „ნუ აყოვნებთ, მოდით ჩვენად ნაბრძანებად“.
 „მე მაშვრალი, ნაბურთალი, საწოლს შეველ მოსვენებად,
 „და გულსა სევდა შემეყარა, ვიწყე ჭირთა მოფოვნებად.

„შეტმან სევდამან მიმწურა გულსა დაცემბდ დანისად,
 „ასმათის მონა შემოსდგა, შევსჯე ლალი და ჯანისად,
 „წიგნი მომართვა, ეწერა: ვინ სჩანს ალვისა ტანისად,
 „და აღრე მოდიო, გიბრძანებს, დაუყოვნებლად ხანისად“.

„შევჯექ, წაველ, ბაღჩას მიველ, ვითა სცნობდე ლხინთა ზო-
„ბაღჩა შევლე, კოშკი დამხვდა, ასმათ ვნახე ძირსა დგომით; | მით;
„ვნახე, ვსჭირეტდი ნატირებად, ცრემლი აჩნდა ლაწვთა წთომით,
„და დამიმძიმდა, არა ვკითხე, ჩემი სჭირდა მისვლა ნდომით.

„იგი ვნახე დაღრეჯილი; ესე მეტად დამიმძიმდა,
„ვითა წინას შემომცინის, არლა ეგრე გამილიმდა.
„ყოლე სიტყვა არ მომიგო, ოდენ ცრემლთა გარდმოსწვიმდა;
„და ამით უფრო დამაწყლულა, არა წყლულთა მიაჭიმდა.

„ჩემნი ერთნი გონებანი მეტად შორად გამიკიდნა;
„შინა კოშკად შემიყვანა, ფარდასაცა ამიზიდნა.
„შეველ, ვნახე იგი მთვარე, ჭირმან ყველაშ უკუმრიდნა,
„და გულსა ჭუშნი შემომადგნა, მაგრა გული არ დამიდნა.

„იყო არ ნათლად ნათელი, ფარდაგსა შემოდგომილი,
„ებურა მოშლით პირ-ოქრო მე მივეც რიცე რომელი,
„მითვე მწვანითა უებრო მიწოლით ტახტსა მჯდომელი,
„და ცრემლისა ლვარსა მოეცვა პირი, ელვათა მკრთომელი.

„ქვე წვა, ვით კლდისა ნაპირსა ვეფხი პირ-გამეხებული,
„არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა ედემს ხებული.
„ასმათმან დამსვა შორს გვარად გულსა მე ლახვარ ხებული.
„და მერმე წამოჯდა წარბ-შერჭმით გამწყრალი, გარისხებული.

„მიბრძანა: „მიკვირს, რად მოხველ, მშლელი პირისა. მტკი-
„გაძწირავი და მუხხთალი, შენ გამტეხელი ფიცისა; | ცისა,
„მაგრამ ნაცვალსა პასუხსა მოგცემსო, ზენამ იცისა“.
„და ვკადრე: „რა გკადრო პასუხი მის ჩემგან მე უვიცისა“.

„ვსთჭვი: „პასუხსა ვერას გკადრებ, თუ არა ვსცნობ მე მარ-
რა შეგცოდე, რა მიქნია უცნობოსა, ფერ-ნამკრთალსა“. | თალსა:
„კვლავცა მითხრა: „რას გეუბნო მტყუანსა და შენ მუხხთალსა;
„და დიაცურად რად მოვლორდი, მე დაუწვავ ამით ალსა.

„შენ არ იცი ხვარაზმშასი საქონდ ჩემად მოყვანება?
 „შენ ჯდომილხარ საფაზიროდ, შენი რთულია ამას ნება,
 „შენ გასტეხე ფიცი ჩემი, სიმტკიცე და იგი მცნება!
 „და ლმერთმან ჰქმნას დაგირჩინოს ცუდათ შენი ხელოვნება!

„გახსოვს, ოდეს ჰაე-ჰაჲ ზმიდი, ცრემლნი შენნი ველთა ბან-
 „მკურნალნი და დასტაქარნი წამალსაყე მოგიტანდეს? |დეს,
 „მამაცისა სიცრუვესა ნეტარ სხვანი რამცა გვანდეს!
 „და რადგან დამთმე, მეცა დაგთმობ, ვინძი უფრო დაზიანდეს!

„ამას ვბრძანებ, ვინცა მინდა, ეპატრონოს ინდოეთსა!
 „ეგეც მე მაქვს ჰატრონობა, უგზოთ ვლიდენ, თუნდა გზეთსა,
 „ეგე აგრე არ იქმნების, აწ მომცდარხარ მოსაცეთსა.
 „და აზრნი შენნი შენვე გგვანან მტყუანსა და შენ აგეთსა.

„ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ლმერთო, ხანი ვერა დაჰყო;
 „თუ ეცალო დაყოფასა, ხორცია შენთა სული გაჰყო.
 „სხვა ჩემებრივ ვერა ჰპოვო, ცათამდისცა ხელი აჰყო“.
 „და ესე სიტყვა დასრულა, ყმა ატირდა სულთქმა აჳ ჰყო.

„ვსთქვა, რა მესმა ესე მისგან, მეიმედა მეტის-მეტად,
 „კვლავ მიეცა თვალთა ძალი მის ნათლისა ეგრე ჭვრეტად. |ტად?
 „აწ დავკარგე, რად არ მიკვირს, რად ვცოცხალვარ, რად ვარ რე-
 „და სოფელო უხანოო, რად ჰზი სისხლთა ჩემთა ხვრეტად?!

„შევხედენ, ვნახენ სასთუმალ მუსაფი გაშლით მდებარე,
 „ავიღე, ავდეგ ლვთისა და მერმე მე მარი მქებარე;
 „ვკადრე, თუ მზეო, დაგიწვავ, ჩემიცა დაწვა მზებარე.
 „და რადგან არ მოკლავ, პასუხი ერთი-ლა გკადრო მე ბარე.

„რომე გკადრებ, ესე სიტყვა აწ თუ ცუდათ ნალიქნია,
 „ცამცა მრისხავს, მზისა შუქნი ყველა ჩემთვის ნაშუქნია!
 „თუ მალირსებ გაკითხვასა, ავი არა არ მიქნია.
 „და მან მიბრძანა: „რაცა იცი, ჰსთქვიო“, თავი დამიქნია.

”კვლავცა ვკადრე: „მე თუ, მზეო, თქვენთვის ფიცი გამეტე-
„ლმერთმან აწვე რისხვა მისი ზეცით ჩემთვის გაამეხოს! |ხოს,
„ვისი გინდა უშენოსა პირი მეზოს, ტანი მეხოს.
„და მაშა მაშინ როგორ დავრჩე, რა ლახვარი გულსა მესოს!

„,მე მეფეთა დარბაზს მიხმეს, შეჰქმნეს დიდი ვაზირობა,
„,მათ წინასვე დაეპირათ იმა ყმისა შენი ქმრობა.
„,დამეშალა, ვერ დავშლილი, დამრჩებოდა უმეცრობა;
„,დ თავსა ვუთხარ, მიემოწმე, უამაღ გიჯობს გულ-მაგრობა.

„,მემცა დაშლა ვითა ვკადრე, რადგან იგი ვერ მიმხვდარა?
„,არ იტყვის, თუ ინდოეთი უპატრონოდ არ მომხდარა,
„,ტარიელ არს მემამულე, სხვასა მართებს არვის არა.
„,და ვის მოიყვანს არა ვიცი, ანუ იგი ვინ მომცდარა.

„,ვსთქვი, ამითა ვერასა ვიქმ, ლონე სხვა რამ მოვიგვარო;
„,თავსა ვუთხარ: ნუ მოვიცავს გონებაო მრავალ გვარო.
„,მედვა გული მხეცისაებრ, ათას-ჯერცა მინდორს ვარო,
„,დ ვისმცა მივსცე თავი შენი, შენვე რაღ მე არ წამგვარო.

„,სულთ ვიყიდი გულისათვის, კოშკი ამაღ გამებაზრა.
„,იგი წვიმა დარენელდა, რომე პირველ ვარდი აზრა;
„,ვნახე, ძოწსა მარგალიტი გარე ტურფად მოემაზრა,
„,და მიბრძანა თუ, ეგე საქმე მემცა მართლად რაღ მეაზრა.

„,არ დავიჯერებ მე შენსა ლალატსა, ორგულობასა,
„,უარის ქმნასა ლვთისასა, ამისთვის არ მაღლობასა.
„,რაჯდი თავსა ჩემსა და მორჭმით ინდოეთს ფლობასა, |ბასა.
„,დ მე დ შენ დავსხდეთ ხელმწიფეთ, ჰსჯობს ყველა სიძე-სძლო-

„ მე ლმობიერად მომიტკბა გამწყრალი, გამქისებული,
„ ანუ მზე იყო ქვეყანად, ან მთვარე პირ-გავსებული.
„ ახლოს დამისვა, დამიტკბა, აქამდის არ ლირსებული,
„ დ მეუბნებოდა: „დამევსო ცეცხლი ამითა გზებული“.

„მიბრძანა თუ, „გონიერი ჰხამს არ ლდეს არ აჩქარდეს,
„რაცა სჯობდეს, მოაგვაროს, საწუთროსა დაუწყნარდეს.
„თუ სასიძო არ მოუშვა, ვათუ მეფე გაგიმწარდეს;
„და შენ და ისი წაიკიდნეთ, ჩნდოეთი გარდაპქარდეს.

„კვლავ: თუ სიძე შემოუშვათ, მე შემირთოს, იყოს ასდენ,
„ერთმანერთსა გავეყარნეთ, ძოწეული გაგვიფლასდენ,
„მათ მორჭმულთა მოივლინონ, ჩვენ პატიჟი გაგვიასდენ,
„და ეგე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ.“.

„მე კვადრე: ღმერთმან აშოროს მას ყმასა შენი ქმარობა.
„რა შემოვიდნენ ინდოეთს, შევიგნა მათი გმირობა,
„უჩვენო ჩემი ძალ-გული და ჩემი მეომარობა,—
„და ასრე დავხოცნე, შეეძლოსთ აღარა არ სახმარობა.

„მიბრძანა თუ, „ჰხამს დიაცი დიაცურად, საქმე დედლად,
„დიდსა სისხლსა ვერ შეგაქნევ, ვერ ვიქმნები შუა კედლად,
„რა მოვიდეს, სიძე მოჰკალ, მათთა სპათა აუწყვეტლად,
„დ ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად.

„ასრე ჰქმენ, ჩემო ლომო, და მჯობო ყოველთა გმირთაო,
„მიპარვით მოჰკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო,
„მისთა სპათაცა ნუ დაჰხოც, ზროხათა ვითა ვირთაო.
„და დიადი სისხლი უბრალო კაცმანცა ვით იტვირთაო.

„იგი რა მოჰკლა, ეუბენ პატრონსა, ჩემსა მამასა,
„ჰკადრე თუ, სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა,
„ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არც დრამასა,
„და არ დამეხსნები, გაგიხდი ჭალაქსა, ვითა ტრამასა!

„ჩემი ყოლა ნურა გინდა, სიყვარული, ნურცა ნდომა,
„ამით უფრო მოგეცემის სამართლისა შენ მოხდომა.
„ჰქმნას მეფემან ყელ-მოტეხით შემოხვეწა, შემოკდომა, |მა.
„დ ხელთა მოგცემ თავსა ჩემსა, შეგვფეროდეს ერთგან სხდო-

„ესე მეტად მომეწონა თათბირი და გამორჩევა,
„ჩემთა მტერთა დავაცადე დასახოცლად ხმლისა ქნევა;
„მერმე ავდეგ წამოსავლად, მან დამიწყო ქვე-ქვე წვევა.
„და მწადდა, მაგრამ ვერ შევმართე შეჭიდება, შემოხვევა.

„ხანი დავყავ, გავეყარე, მაგრამ გავხე ვითა ხელი;
„ასმათ წინა ჩამომიძლვა, ჩამდიოდა ცრემლი ცხელი.
„ჭირი ბევრ-ჯელ ვაათასე, ლხინი ჩემი ვაერთხელი,
„და მერმე წასვლა არა მწადდა, ამად მივალ არ ფიცხელი.

მოვიდა კაცი, სასიძო მოვაო, მოსვლა გვახარა,
„მაგრა, თუ ღმერთი რას უზამს, არა იცოდა გლახ არა,
„მეფესა მიხვდა სიამე, არ სიტყვა ივაგლახა რა,
„და მიბრძანა, ახლოს მიმისვა, მოდიო, თავი დახარა.

„მიბრძანა: „ჩემთვის ესე დღე ლხინი და სიხარულია,
„გარდავიხადოთ ქორწილი, ჰხამს ვითა დასასრულია; |ლია,
„კაცი გავგზავნოთ, მოვილოთ, ყოვლგნით საჭურჭლე სრუ-
„და უხვად გავცემდეთ, ვავსებდეთ, სიძუნწე უმეცრულია“.

„მე გავგზავნე ყოვლგნით კაცნი საჭურჭლისა წამომხმელნ ი,
„სასიძოცა მოგვივიდა, იყვნენ ხანსა არ დამზმელნი,
„შიგნით ჩვენნი გაეგებნეს, გარეთ მოსდგეს ხორაზმელნი,
„ლ მათ ლაშქართა, ერთგან მყოფთა, ვერ იტევდეს ვერცა ველნი.

„მეფემან ბრძანა: „მოჰკაზმეთ კარვითა მოედანია;
„რა მოისვენოს სიძემან, დაჲყოს ცოტაი ხანია;
„მუნ მისდა ნახვად გავიდნენ უშენოთ სპანი სხვანია,
„და შენ აქა ნახენ, კმარიან, აქა ნახვისა კმანია“.

„მოედანს დავდგი კარვები წითლისა ატლასებისა.
„მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე ჰგვანდა არ აღვსებისა,
„შეიქმნა გასვლა შიგნითა, ჯარია მუნ ხასებისა,
„და დაიწყეს დგომა ლაშქარმან, თემ-თემად დას-დასებბისა.

„მე დავშვერ, უითა წესია საურავ-გარდახდილისა,
„შინა წამოველ მაშვრალი, ქმნა მომდომოდა ძილისა,
„მონა მოვიდა, მომართვა წიგნი ასმათის ტკბილისა:
„და ადრე მოდიო, გიბრძანებს მსგავსი ალვისა ზრდილისა“.

„ცხენისაგან არ გადავხე, წაველ ფიცხლად, დავმორჩილდი,
„ქალი დამხვდა ნატირები, ვკითხე ცრემლსა რასა მიღდი?
„მითხრა: „შენი შესწრობილი, ტირილსამცა ვით ავცილდი,
„და გაუწყვეტლად ვით გამართლო, რა გვარამცა გავაჭილდი“.

„შევედით, ვნახეთ ბალიშსა ზედა წარბ-შერჭმით მჯდომარე,
„მზე ვეღარას იქმს მის მეტსა, მას განენათლა რომ არე.
„წარვსდეგ, მიბრძანა: „რასა ჰსდგი, დღე მიგიჩნს წინ საომარე?
„და ანუ გამწირე, მიტყუვე და კვლავცა მოიმცდომარე?“

„მე მეწყინა, ალარრა ესთქვი, ფიცხლავ გარე შემოვბრუნდი,
„უკუ ვყივლე, აწ გამოჩნდეს, არ მინდოდეს, ვისცა უნდი,
„ქალი ომსა რა გვარ მაწვევს, აგრე ვითა დავძაბუნდი?
„და შინა მოველ, მოკვლა მისი დავაპირე, არ დავუმუნდი.

„ასსა ვუბრძანე მონასა, საომრად დაემზადენით;
„შევსხედით, გავლეთ ქალაჭი, არავის გავეცხადენით.
„კარავსა შეველ, სასიძო ვითა წვა, ზარმრა თქმად ენით.
„და უსისხლოდ მოვკალ იგი ყმა, თუცა ჰემდა სისხლისა დენით.

* კარვის კალთა ჩახლათული ჩავსჭერ, ჩავაკარაბაჭე,
„ყმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაჭე,
„წინა მწოლთა დაიძახეს, გლოვა მიხვდათ საარაკე,
„და ცხენსა შევსჯე, წამოცაველ, ჯაჭვი მეცვა საკურტაჭე:

„ხმა დამივარდა, შეიქმნა ზახილი მოსაწევარი.
 „წამოველ, წევნა დამიწყეს, დავხოცენ ჩემი მდევარი.
 „ქალაქი მქონდა მაგარი, მტერთაგან მოურევარი,
 „და მუნ შიგან შეველ მშვიდობით, ამად იგივე მე ვარი.

„კაცი გავგზავნე, ვაცნობე ყოვლგან ლაშქარსა ყველასა:
 „აქა მომმართეთ ვინცალა ჩემსა იქმოდეთ შველასა.
 „არ გასწყდა მოსვლა მდევართა ლამესა დია ბნელასა,
 „და ჩემნი რა სცნიან, ჰსცვიდიან თავებსა მათსა მრთელასა.

„ცისკრად ავდეგ, შევეკაზმე, რა გათენდა ლამე დილად,
 „ვნახე სამნი დიდებულნი მეფისაგან მოგზავნილად:
 „ებრძანა თუ, „ლმერთმან იცის, გამზარდე ვითა შვილად,
 „და ჩემი ასრე რად შესცვალე სიხარული სიმძიმილად?

„ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რათ დამადებინე?
 „თუ ჩემი ქალი გინდოდა, რათ არა შემაგებინე?
 „მე ბერსა, შენსა გამზრდელსა, სიცოცხლე მაარმებინე,
 „და დღე სიკვდილამდი შენიცა თავი არ მაახლებინე!“

„მე შევუთვალე: მეფეო. ვარ უმაგრესი რვალისა,
 „თვარა რად მიშლი სიკვდილსა, ცეცხლი სიკვდილთა ალისა;
 „მაგრამ, თვით იცი, ხელმწიფე ჰერიკ მენელი სამართალისა,
 „და მე თქვენმან მზემან მაშოროს ნდომა თქვენისა ქალისა.

„იცი, ინდოთა სამეფო რაზომი სრა-საჯდომია?
 „ერთილა მე ვარ მემკვიდრე, ყველაი თქვენ მოგხდომია!
 „ამოსწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგრჩომია,
 „და დღესამდი ტახტი უჩემოდ არავის არ მონდომია.

„ვერ გათნევ, თქვენმან კეთილმან, აწ ეგე არ მართალია,
 „ლმერთმან არ მოგცა ყმა შვილი, გიზის ერთაი ქალია.
 „ხვარაზმშა დავსვა ხელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალია?
 „დ სხვა მეფე დაჭრედეს ინდოეთს, მერტყას მე ჩემი ხმალია?!

„შენი ქალი არა მინდა, გაათხოვე, გამარიდე,
 „ინდოეთი ჩემი არის, არვის მივსცემ ჩემგან ჭიდე;
 „ვინცა ჩემსა დამეცილოს მისით, მასცა ამოვფხვრიდე,
 „და სხვად მეშველსა გარეგანსა, მამკალ, ვისცა ვინატრიდე!

ამბავი ნურადინ ფრიდონისა, ოდეს ტარევე შემთევარა
 ზღვის პირსა.

„ღამით მევლო, მოვიდოდი, ზღვისა პირსა აჩნდეს ბალნი,
 „ჰგვანდეს ქალაქს, ვიახლენით, ცალკერძ იყვნეს კლდეთა ნაღ-
 „არ მიამის კაცთა ნახვა, მიდაღვიდის გულსა დალნი; წი,
 „და მუნ გადავხე მოსვენებად, დამხვდეს რამე სენი ლალნი.

„ხეთა ძირსა მივიძინე, მათ მონათა სჭამეს პური;
 „მერმე ავდეგ სევდიანი, მიღამდება გულსა მური,
 „ვერა მეცნა ეგზომ გრძელად, ვერ ჭორი და ვერ დასტური.
 „და ველთა ცრემლი ასოვლებდა, თვალთა ჩემთა მონაწური.

„ძახილი მესმა, შევხედენ, მოყმე ამაყად ჰყიოდა,
 „შემოირბევდა ზღვის პირ-პირ, მას თურმე წყლული სტკიოდა.
 „ხმლისა ნატეხი დასვრილი აქვს, სისხლი ჩამოსდიოდა.
 „და მტერთა ექადდა, წყრებოდა, იგინებოდა, ჩიოდა.

„ზედა სჯდა შავსა ტაიჭისა, ესე აწ მე მყავს რომელი,
 „მართ ვითა ქარი მოჰქროდა, გაფიცხებული, მწყრომელი.
 „მონა მივსწივე, მისისა შეყრისა ვიყავ მდომელი;
 „და შევსოვალე: დადეგ, მიჩვენე, ლომსა ვინ გაწყენს, რომელი.

„მას მონასა არა უთხრა, არც სიტყვა მოუსმინა.
 „ფიცხლავ შევსჯე, ჩავეგებე, მე ჩავუსწარ, ჩაველ წინა;
 „ვუთხარ, დადეგ, გამიგონე, შენი საქმე მეცა მინა.
 „და შემომხედა, მოვეწონე, სიარული დაითმინა....

დათხოვნა ავთანდილისაგან როსტეგან მეფისა და ვეზირის
საუბარი და ხვეწნა.

„რაცა იცოდა, ყველაი ჰქალრა მოშიშრად ენითა,
კვლავ მოახსენა: „რამცა სცნო სიტყვითა ესოდენითა,
„თუ რა-გვარ მყოფი მინახავს, თუ რა-გვარ ცრემლთა დენითა,
„და მართალ ხართ, ჩემთვის რისხვანი თუმცა იანაზღენითა.“

რა მეფემან მოისმინა, გაგულისდა, გაუცნობდა,
ფერი ჰქრთა და გასაშიშრდა, შემხედველთა შეაშთობდა;
შეუძახნა: „რასთვის შმაგობ, მაგას სხვამცა ვინ მითხობდა!
„და ავსა კაცა ურჩევნია, ავსამცა რას აღრე ჰსცნობდა!

„ვითამც რამე სიხარული საქმე მითხარ, ვითა ღადრად!
„მაგის მეტი რა ვინ მიყოს, თუ არ მომკლავს მუხთლად, ღად-
„შმაგო, ენა ვით იხმარე, აწ მაგისად ჩემად კადრად! [რად.
„და აგრე შმაგი არც ვეზირად არად ვარგხარ, არცა სხვად რად.

„ჰხამსცა, კაცმან პატრონისა საწყინარსა არ ღარიდნეს?
„ოდენ სიტყვა უმეცრული უმეცარად დაიყბედნეს,
„მე მაგისად მოსმენამდის, რად არ ყურნი შემეჭედნეს!
„და შენ თუ მოგკლა, სისხლნი შენნი ჩემმან ქედმან მიიქედნეს.“

კვლავ უბრძანა: „თუმცა მისგან და არ იყავ მოგზავნილი,
„თავმან ჩემმან, თავსა მოგკვეთ, არად უნდა ამას ცილი.
„წა, უკუსდეგ! აი შმაგი, უმეცარი, შლეგი, წბილი!
„და შაბაშ-სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი!

„დადრკა, სკამნი შემოსტყორცნა, ჰქრა კედელსა, შეალეწნა,
„დააცუნა, მაგრამ მისთვის აალმასნა, არ აბეწნა:
„ვით მიამბე წასვლა მისი, ვინ ალვისა ნორჩი ხე წნა“!
და ვეზირსა ცრემლმან ცხელმან ღაწვნი თეთრნი აახეწნა.

ვეზირმან გლახ გამორიდნა, მართველარას ვერ იძრწინვებს; გამოძრწა და გამომელდა, გულსა წყლულსა მოიმტკივნებს, შეის ხასობს, გაის ქუშობს, ენა ასრე მოაყივნებს, და მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომელ კაცი თავსა ივნებს.

ანდერმი ავთანდილისა როსტევან მეფისა მამართ, ოდეს
გამზარდა.

დაჯდა წერად ანდერმისა, საბრალოსა საუბრისად:
„ჰე, მეფეო, გავიპარე ძებნად ჩემგან საძებრისად,
„ვერ დავსდგები შეუყრელად ჩემთა ცრემლთა მომდებრისად!
„და შემინდევ და წამიტანე მოწყალებად ღვთაებრისად!

„ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ ამა ჩემსა განზრახულსა, —
„კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა.
„მე სიტყვასა ერთსა გკადრებ პლატონისგან სწავლა-თქმულსა;
„და სიცრუვე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე გულსა.

„რადგან თავი სიცრუვეა ყოვლისა უბედობისა,
„მე რად გავსწირო მოყვარე, მმა უმტკიცესი ძმობისა!
„არა ვიქ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა,
„დ მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ-მწყობრთა-მწყობ-
[რისა.

„ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევა მტერთად,
„ვინ არს ძალი უხილავი, შემწე ყოვლთა მიწიერთად,
„ვინ ხაზლვარსა დაუსაზღვრებს, პზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,
„და იგი გახდის წამის ყოფით ერთსა ასად, ასა ერთად.

„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საჭმე არ იქმნების,
„მზისა შუქის ვერ მჭვრეტელი ია პხმების, ვარდი სჭკნების;
„თვალთა ტურფა საჭვრეტელი ყველა რამე უშვენდების;
„და მე ვით გავსძლო უმისობა, ან სიცოცხლე ვით გეთნების.

„რაზომცა სწყრები, შემინდევ შეცვლა თქვენისა მცნებისა!
„ძალი არ მქონდა ტყვე-ქმნილსა მე მაგისისა თნებისა:
„არ წასვლა იყო წამალი ჩემთა სახმილთა გზნებისა.
„და სადა გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფაცა მქონდეს ნებისა.

„არას გარებებს სიმძიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენა,—
„არ გარდავა გარდუალად მომავალი საქმე ზენა!
„წესი არის მამათაგან მოჭირვება, ჭირთა თმენა!
„და არავის ძალ-უძს ხორციელსა განგებისა გარდავლენა!

„რაცა ღმერთსა გაუგია თავსა ჩემსა გარდასავლად,
„გარდამხდეს და შემოვიქცე, აღარ დამრჩეს გული ავლად;
„თქვენვე გნახე მხიარული, დიდებით და დავლა მრავლად;
„დ მას რა არგო დიდებად და კმარის ესე ჩემად დავლად.

„რა უარეა მამაცსა, ომშიგან პირის მღმეჭველსა,
„შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა!
„კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა, ქსლისა მბეჭველსა?
„და სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
„მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალ-გულოვანი;
„ბოლოდ შეპყარნეს მიწამან ერთგან მოყმე დ მხცოვანი.
„და სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი.

„მერმე ვიშიშვი, მეფეო, თქვენად კადრებად ამისად:
„სცდების და სცდების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად!
„მოვა შემყრელი ყოვლთათვის ერთგან დღისა და ღამისად!
„დ თუ ვერა გნახენ ცოცხალმან, სიცოცხლე მქონდეს უამისად.

„თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან,
„ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან;
„ვეღარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან;
„დ მუნ შემიწყალოს თქვენმანვე გულმან მოწყალემ, ლმობელმან!

„მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,
 „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
 „შენ დაამდიდრე ყოველი ობოლი, არას მქონები;
 „და მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეჭონები.

„რაცა თქვენთვის არ ვარგ იყოს საჭურჭლესა დასადებლად,
 „მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი — ხიდთა გასადებლად,
 „ნურა ნუ გშურს საქონელი ჩემი ჩემთვის წასაგებლად;
 „და შენგან კიდე არვინ მივის ცეცხლთა ცხელთა დამავსებლად.

„ამას იქით ჩემგან ჩემი ამბავიცა არ გეცნევის,
 „ამად გვედრებ სულსა ჩემსა, წიგნი გკადრებს, არ გეთნევის,
 „არას არგებს ეშმაკისა საქმეთაგან, დაეძლევის.
 „და შემინდევ და შემივედრე, მკვდარსა რალა გარდმეხდევის!

„გვედრებ, მეფეო, შერმადინს, მონასა ჩემსა რჩეულსა,—
 „ნაკად აქვს ჭირი სამისოდ ამ წელიწადსა წლეულსა,—
 „ნუგეშისი ეც წყალობით, ჩემგან წყალობა ჩვეულსა,
 „დ ნუ დაადინებ თვალთაგან ცრემლთა სისხლითა ფრქვეულსა.

მისცა ანდერძი შერმადინს, რა გაათავა წერითა,
 უთხრა: „ჰკადრეო მეფესა, საქმითა მეცნიერითა;
 შენ დაგამეტებს ვერა ვინ მსახურებითა ვერრითა.“
 და მოეხვია და ატირდა ცრემლითა სისხლთა ფერითა.

დოცვა აფთანდილისაგან მიგზითას და გაშარება მისი.

ილოცავს, იტყვის: „მაღალო ღმერთო ხმელთა და ცათაო,
 „ზოგჯერ მომცემო პატიჟთა, ზოგჯერ — კეთილთა მზათაო,
 „უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო,
 „დ მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულის თქმათაო!

„ლმერთო, լմերთო, გეაჯები, რომელი ჰფლობ ქვენათ-ზესა,
„შენ დაპბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა,
„მე სოფელმან მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა,
„და ნუ ამოფხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა!

„ლმერთო, ლმერთო მოწყალეო, არვინ მივის შენგან კიდე,
„შენგან ვითხოვ შეწევნასა, რაზომსაცა გზასა ვლიდე:
„მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, ღამით მავნე განმარიდე!
„დ თულა დავრჩე, გმახურებდე, შენდა მსხვერპლსა შევსწირვი-
[დე.]

რა ილოცა, ცხენსა შეჯდა, მალვით კარნი გაიარნა,
შერმადინცა დააბრუნა, თუმცა ვამნი უდიადნა:
მონა სტირს დ მკერდსა იცემს, საბრალომან ცრემლნი ღვარნა:
და პატრონისა ვერა მჭვრეტმან ყმამან რამცა გაიხარნა?

აწ ამბავი სხვა დავიწყო, ყმასა წავჰყვე წამავალსა.
არ შეექმნა დარბაზობა მას დღეს როსტენს გულ-გამწყრალსა,
რა გათენდა, ქუში ადგა, ჰგავს თუ ადენს პირით ალსა,
და ხმობა ბრძანა ვეზირისა, მიიყვანდეს შიშით მკრთალსა....

შოთა რუსთაველი

საერთ ეჭოსი

ამირან დარუჯანაშვილი

(საგმირო თქმულება)

სამწი ძმანი იყვნენ; ერთს მათგანს ერქვა სულ-კალმახი, შეორეს ბადრი, და მესამესაც უსუპ; გვაჩად დარუჯანაშვილები იყვნენ.

უსუპს ერთი რკინის ქუდი ჰქონდა; დაიხურავდა ამ ქუდია, ავიდოდა ალვის ხეზედ, რომელიც იქვე კარზედ ედგა და ერთს ისეთს საშინლად დაიყვირებდა, რომ დევებს იმის შიშით ძლვენები შოჰქონდათ.

ერთხელ უსუპი სანადიროდ წავიდა; ნადირობის დროს ერთს მთიანს აღგილას კოშკი ნახა; ახლოს რომ მივიდა, შეიტყო, რომ კოშკში მზეთ-უნახავი ქალი ზისო. უსუპი კოშკში შევიდა და სამი დღე-და-ღამე დაჰყო ამ ქალთან. უსუპმა უთხრა ქალსა:

— ახლა-კი ჩემი წასვლის დროა. აი ეს ალმასის ბეჭედია, მე ამ სამს დღეში მოვკვდები და შენ თავს კარგად მოუარე და გაუფრთხილდი! ქალი მოგეცეს, — ეს ალმასი იმისი იყოს, ვაუი მოგეცეს, — თავის თავს დაირჩენსო.

უსუპი წამოვიდა და მართლა სამს დღეს უკან მოკვდა, დევებმა რომ გაიგეს, უსუპი აღარ არისო, ბადრი და სულ-კალმახი დაიბრიყვეს და მეღვინეებად დაიყენეს.

ქალს მიეტა ვაუი, რომელსაც დედის მუცლიდან მოკლე ხმალი დაჰყვა.

ეს პატარა ბავშვი უფალმა თავის ხელით მონათლა და სახელი ამირანი უწოდა. ვინც წლით იზრდებოდა, ამირანი დღით იზრდებოდა; ასე რომ ათის წლის ამირანს ფიცხელის ომის გარდახდა კიდევ შეეძლო.

ერთხელ ამირანმა კოშკიდან გამოიხედა და დაინახა დედაკაცი, რომელსაც კოკით წყალი მიჰქონდა. ამირანმა თავის დედას უთხრა:

— დამენაძლევე, — აიმ დედაკაცს კოკა გაუტეხო და დედაკაცს-კი არა ვავნო-რაო?

მართლადაც გაისროლა მშვილდით ისარი და დედაკაცს კოკა გაუტეხა. დედაკაცი გაჯავრდა და სთქვა:

— დაგწყევლო, როგორ დაგწყევლო, — დედის ერთა ხარ; თუ აგრე კაი ვაუკაცი ხარ, წახვალ და დევებისაგან დაიხსნი ბიძებს, რომელნიც დევების მეღვინეობას ვერ ასდიანო.

ამირანი გაოცდა: ნუ თუ მე ბიძები მყვანან და იმათი ვინაობა-კი არ ვიციო!

წამოვიდა და უთხრა დედას:

— ძუძუ მამაწოვეო!

მოუჭირა ძუძუზედ კბილი და უთხრა:

— ბიძები მყავსო?

დედა ჯერ უარს ეუბნებოდა და, როცა ამირანმა ძლიერ მოუჭირა ძუძუზედ კბილი, ბოლოს უთხრა:

— გყავსო. ერთსა ჰქვიან ბადრი, მეორეს — სულ-კალმახიო.

შაშინვე ადგა ამირანი და წამოვიდა ბიძების საძებნელად. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, იპოვნა ბიძები და შესძახა:

— ოჯახის შვილო, კარზედ გამოდიო!

ერთი ბიძა გამოვიდა კარზე და, როგორც დაინახა ამირანი, იფიქრა: ეს ჩემს ძმას უსუპსა ჰგავსო.

— პური შშიან, მაჭამეო, — უთხრა ამირანმა.

— ჩაიარე ბალში, ხილი იხილე, ჩრდილი იჩრდილე დაიჭ მოგართმეო, — უთხრა ამირანს ბიძამა და თან გაჰყვა, რომ დევებს არა დაეშავებინათ-რა.

დევები მართლაც ამირანს დაპევდნენ ბალში და სთქვება: — ეს რა კარგი ყმაწვილი მოვიდა, მაგრამ მოკლე ხმალი აკრავსო.

მეორე დევმა სთქვა:

მოკლე ხმალი რას აშავებს,
წამოვაგდოთ შამფურზედა,
ნაღვინევზედ კარგიაო.

ამის გამგონმა ამირანმა სთქვა:

ამირანო მშვენიერო,
ღვინის ფერო და ძლიერო,
მოკლე ხმალი რას გიშავებს,
ფეხი წავდგა წინა მეო.

ამოილო ის მოკლე ხმალი და სულ ერთიანად დაულიტა დევები.

გახარებული ბიძები მოეხვივნენ ყელზედ თავიანთ ძმის-წულს და მხსნელსა. ბიძებმა ამირანი შეიყვანეს სახლში. აქ ამირანმა ერთი რკინის ქუდი დაინახა და ჰკითხა ბიძებსა:

— ეს რა არისო?

ბიძებმა უთხრეს: ეს უსუპის ქუდია; ამას იმიტომ იხურავდა, რომ თავი არ გაპეტქოდა, როცა დაიყვირებდა და დაიყვირებდა ხოლმე ისე, რომ უსუპის ხმის შიშით დევებს ძლვენები მოპერანდათო.

ამირანმაც აილო ის რკინის ქუდი, დაიხურა, მაგრამ პატარა მოუვიდა; შეიგდო მაჯებზე, გასწივ-გამოსწია, გაადიდა, გააგანიერა, დაიხურა და გავიდა გარედ.

ახლა ალვის ხეზე ასვლა მინდაო. მოპერანდა ალვის ხე, გაისროლა შორს და ისე დაიყვირა, რომ იმისმა ხმამ ქვეყანა შესძრა და შეაზანზარა.

სხვა დევებს გული გახეთქოდათ; — ვაიმე უსუპი გაცოცხლებულაო, და აგერ ძლვენებს მოპერანდნენ. როცა კარგა დანაყრდნენ, ბიძები ძმისწულით წავიდნენ სანადიროდ.

სანადიროდ წამოვიდნენ

ამირან და ბიძა მისნი;

მთას ირემი წამოუხტათ,
ცასა სწვდება რქანი მისი.
ამირანმა ბოძალი ჰქრა,
წითლად დასჭრა მკერდი მისი;
შვიდი დღე-ლამე იარა,
არ დაჰკარგა კვალი მისი.
მთაში ერთი კოშკი ჰპოვეს
ცასა სწვდება წვერი მისი;
ამირანმა გარს უარა,
ვერ იპოვა კარი მისი.
ამირანმა წიხლი მიჰკრა,
იქ შეაბა კარი მისი;
შიგ ერთი მკვდარი ჰსვენია.
საწყალი და საბრალისი.
თითებსა და თითებს შუა
წიგნი უდევს ქალალდისი.
წაიკითხა ამირანმა,
შიგ ეწერა გვარი მისი:
„არც ისე დაკარგული ვარ,
დისწული ვარ უსუპისი;
მინამ ვიყავ, მტერი ვსრისე,
მე არ წამყვა ჯავრი მისი;
ერთი ბაყბაყ დევი დამრჩა,
მოგვედი, წამყვა ჯავრი მისი;
ვინც იმ ბაყბაყ დევს მომიკლავს,
ჩემი რაში ალალ მისი;
კარებს უკან შუბიც არის,
ის შუბიცა ალალ მისი.

ბიძებმა უთხრეს ამირანს:

— ჩვენ გაჩვენებთ ბაყბაყ დევს. იმასთან ომი ჩვენ არ
შეგვიძლიან და შენი კი არ ვიცით; სხვა არა იყოს-რა, ერთი
პირ-ცეცხლი დედა ჰყავს, იმას ვერ გადაურჩებითო.

ადგა ამირან, წავიდა,
იპოვნა კვალი დევისა.
ამირან და სულ-კალმაზი
ორივ ისხლნენ წყლისა პირსა;

ამირანი ხმალსა პლესაფს,
სულ-კალმახი უწყობს პირსა.

ვნახოთ, დევი მოდის მთასავით და მოპბუტბუტობს:

— ცოცხალი ვერ ჩაგიგდე ხელში და მკვდარს ავიღებ
და ძალლებს მივცემო.

დევი დინჯად მოაბიჯებს,
დედამიწა შეიძერისა.
ამირანმა შეუძახა:

— შენ კაცო; კაცო; ვინ ხარო?
სახელი უნი მითხარო?

— შენ ჩემს სახელს რად კითხულობ,
ვინა ვარ და სად მივალო?
უსუპის დისტული მოკვდა,
იმის საჭმელად მივალო!

— ადამიანს ვინ შეგაჭმევს?
შენთან საომრად მოვალო!

ამირან, დევი შეიბნენ:
მიწას გაჰქონდა გრიალი!
ამირანმა დევი დასუა,
ალაგი დახვდა ქვიანი,
დასუა და მხარი მოსტეა,
დაწყებინა ლრიალი!

ბიძებმა უთხრეს:

— მაგ მყრალს დევს ცოცხალს ნუ გაუშვებ, თორემ
მაგის დედას ცოცხლები აქედან ვერ წაუვალთო.

ამირანმა უთხრა:

— მთელი დევი იყო, ვერა დამაკლო-რა და დალეწილ-
დაჩეხილი რალას მიზამსო; მაგის დედასაც, ლვთის მადლით,
გადაურჩებიო.

დალეწილ-დამტვრეული ბაყბაყი წავიდა ლრიალით დე-
დასთან.

ვნახოთ, ავერ დედა მორბის და პირიდან ცეცხლსა
ჰყრის.

ბიძებმა ამირანს უთხრეს:

— მზადა გქონდეს ერთი გუდა ნაცარი და ერთი გუდა თაფლი; როცა ბაყბაყის დედა გეტყვის: მაჭამე რამეო, აიღე და ჯერ თაფლი მიე, მერე — ნაცარი. მართლაც, დევის დედამ უთხრა ამირანს: მაჭამე რამეო და ერთ წუთის სიცოცხლეს მოგანიჭებო. ამირანმა ერთი გუდა თაფლი მისცა; მასუკან კიდევ მოსთხოვა თაფლი და დაპირდა ნახევარ წუთის სიცოცხლეს. ამირანმა აიღო ნაცრით საუსე გუდა და თავზედ ჩამოაცვა, მოუსვა ხმალი და მოსჭრა თავა.

ამირანმა და ბიძებმა დამარხეს კოშკში რომ მკვდარი იყო და წამოვიდნენ შინ. გზაში სამი გველეშაპი შეჰვდათ. ამირანმა ბიძებს უთხრა:

— სამნი ჩვენ ვართ, სამნი გველეშაპნი, მოდით დავხოცოთ, თორეშ ვინ რას იტყვის, დარუჯანიანთ გველეშაპებისა ჰშინებიათო. ამოიღო ხმალი ამირანმა, ჯერ ერთს მოსჭრა თავი, მერე მეორესა. — მესამეზედ რაღა ხმალი მინდაო, დაადგა ერთს ლაყუჩზედ ფეხი, მეორე ლაყუჩს მოჰკიდა ხელი, ასწია ლონივრად, რომ გაჰგლიჯოს, და ამ დროს წყეულმა გველეშაპმა ჩაყლაპა. ბიძებმა გველეშაპს ამირანის ხმლით ცხრა ადლი ბოლო მოსჭრეს. ბოლო-მოჭრილი გველეშაპი მივიდა თავის დედასთან და უთხრა:

— დედა, მუცელსა მგლეჯავსო.

— ჭია-ლუა შესჭამდი, ან და იქნება, შვილო, დარუჯანიანთი ვინმე შესჭამეო?

— ჭია-ლუა კი არა, თვითონ ამირანი შევჭამეო.

დედამ ეს რომ გაიგონა, წამოიძახა:

— აი დაგიდგა თვალი! მკვდარი იქნება — გაცოცხლდება, ცოცხალია და კეთილს არას დაგაყრისო. შესძახე ამირანს, გაშოვიდესო.

გველეშაპმა შესძახა. ამირანმა მუცლიდან გამოსძახა:

— საიდგან გამოვიდე: პირიდგან გამოვიდე — ნარწყეველს დამიძახებენ, გვერდიდგან გამოვიდე — გვერდელას დამიძახებენო. ამ დროს ერდოდან მოუარეს ბიძებმა და ჩასძახეს ამირანს:

დარუჯანიანთ ჩციან,
ჩექმას ჩადება დანისა,
ამოილე და გასჭრი
წიბონი გველეშაპისა.

გასჭრა ამირანმა წიბო და გამოვიდა: საწყალს წვერ-
ულვაში სულ გასცვივნოდა. ერთმა ბიძამ დასცინა:

ამირანი დაიბადა,
გოჭსა ჰევდა ხუხალოზსა,
წვერ-ულვაში გასცვივნოდა;
ჩაუყარა მუქაროსა.

მეორე ბიძამ-კი გული გაუკეთა;
მინდორშია დავდიოდი,
დავკრიბე ვარდი-სოსანი;
ამირან, ნუ გეწყინება,
სხვანიც არიან ქოსანი;
თხასაც ასხია ბალანი,
ჩალად-კი არ ღირს თმოსანი.

ამირანი ჩავიდა წყაროზედ, რომელიც იქვე ფერდოში
გამოჩუხებდა, დაიბანა ხელ-პირი და უკეთესი წვერ-ულვა-
ში ამოუვიდა. შემდეგ სამთავენი წამოვიდნენ სახლში. გზა-
ში ჯაგებიდან ერთი დევი წამოუხტათ. ამირანმა ერთი დას-
ჭყივლა და იქვე დაიჭირა. დევმა უთხრა:

— ამირანო, ოლონდ ნუ მომკლამ და ზღვის გალმა
გასწავლი ქალსა, სახელად ერქვას ქალ-ვაშაო.

— რომ მომკლას ვინმემ, იქით სად მისტუმრებო, —
უთხრა ამირანმა.

— არა, არ მოგკვლენ. იმ შზეთ უნახავ ქალს ჰყავს ერთი
ვირი და ერთი მგელი. ერთი ცხვარი მგელს წაულე და ერთი
ბულული თივა კიდევ ვირს წაულე.

II

წავიდა ამირანი მზეთ-უნახავთან თავის რაშით, წაილო
ერთი ბულული თივა და ერთი ცხვარი; რომ მიახლოვდა,

კარებზე გამოცვივდნენ მგელო და ვირი. ამირანმა მგელს ცხვარი მისცა და ვირს — თივა. დაიწყო სიარული და ამირანი შებრძანდა იმ ქალთან. ეს ქალი სწრაფად გამოვიდა და კარის ყარაულებს გაუწყრა: რად შემოუშვით ეს კაციო.

— რა ვქნათ, შენ არას გვაჭმევდი და აი მაგან რა მოგვიტანაო, — უპასუხეს მგელმა და ვირმა.

ამირანმა ქალს უთხრა, წამომყევი სახლშიო.

ქალიც ნებას დაჰყვა: მხოლოდ იმდენიც კი დამზარებულე, რომ ჭურჭელი დავრეცხო და პირ-ქვე დავამხოვო. ამ ქალმა სულ ყველა ჭურჭელი დაამხო პირ-ქვე, და ერთი თეფში-კი, რამდენსაც დაამხობდა, იმდენი გადაბრუნდებოდა. გაჯავრებულმა ამირანმა დაჰყრა ფეხი და ეს თეფში სულ ჩამტვრია. ერთმა თეფშის ნატეხმა გაამტვრია ფანჯარა, ავარდა მაღლა და გასწია ზეცაში ისე ჩქარად, რომ პატარა ხანს უკან აღარცკი სჩანდა. ეს თეფშის ნატეხი აფრინდა ზეცას ამ მზეთ-უნახავის დედ-მამაშ, რაკი დაინახეს ამ თეფშის ნატეხი, მაშინვე მიხვდნენ, რომ ჩვენი ქალი ვიღაცას მიჰყავსო. საჩქაროდ შეჰყარეს თავისი ჯარი-ჯამაათი და გამოსწიეს. ამირანმა მზეთ-უნახავი ქალი რაშე შემოისვა, მოვიდა თავის ყმებ დევებთან და შესძახა:

— ოჯახის შვილებო, კარზე გამოდითო!

დევებმა უთხრეს ერთს რძალს:

— გაიხედე გარედ და გაუცინე, — თუ ერთი კბილი ჭიკისა აქვს, დარუჯანიანთი იქმნება ვინმე, თუ არა და, გამოვალთ და შევქამთო.

დევის ცოლი გამოვიდა და გაუცინა ამირანს. ამირანმა შესძახა.

რას მიცინი დევის ცოლო,
რას მიჩვენებ თეთრსა კბილსა?
უსუპის ვარ, პეტრე მქვიან,
დავდივარ და ვეძებ ვირსა;
ხან ღავკარგავ, ხან ვიპოვნი,
ჩემი ბეჭი ასე სჭრისა.

დევის ცოლი შევიდა და უთხრა: ჩვენ რომ ვირი შევ-
ჭამეთ, იმისი პატრონი მოსულა და ვირს თხოულობსო. დე-
ვები გამოცვივდნენ გარედ, რომ ისიც შევჭამოთო, მაგრამ
ამირანმა ერთი-ერთმანეთზედ მიაწყ-მოაწყვიტა და სულ ამო-
ულიტა. შემდეგ ამირანი შევიდა დევების სახლში და დაბიი
ნავდა თავისის მზეთ-უნახახის ქალით. ამასობაში ამ ქალის
მამა თავისის ჭარით თავს წამოადგა და დასცა ბაირალი სა-
ხლის წინ. ამირანმა უთხრა თავისს ბიძებს: ეხლა მაინც გა-
დით, თითო კაცის მოკვლაში მაინც შემეწირენითო. ბიძებმა
დაუჯერეს. ერთმა ბიძამ სთქვა: მე რომ მოვკვდე, მიითი გა-
იგებთ, რომ მაღლა ფრინველი აირევაო; მეორემ უთხრა:
მე რომ მოვკვდე, ძირს ჭიანჭველა აირევაო. პატართხანს
უკან ნახეს, რომ ჭიანჭველებიც და ფრინვლებიც აირივნენ
ამირანმა სთქვა: ისევ მე გავიდე, თორემ ისინი ვერას მიშვე-
ლიანო. ამირანმა მზეთ-უნახავი ქალი ერთ მაღალ გორაზედ
დასვა და უთხრა: — აქედან უყურე ამსაო. ახსენა ღმერთია,
შეჯდა თავის რაშედა, შეერია ჯარში და როგორც თვი-
თონ, ისე რაში, ულეტდა ჯარსა. ისე ამოხოცეს ეს ჯა-
რი, რომ ერთიც აღარ დარჩა; შემდევ ამირანი მიეჭრა
თვითონ მზეთ-უნახავის მამას, რომელსაც ღურმე თავზედ
სპილოს ძვალი ეხურა. ამირანი რამდენჯერაც დაჰკრავდა
ხმალს თავში, იმდენს ცეცხლსა ჰყრიდა. ბევრი ეწვალა ამი-
რანი, მაგრამ ამ ხელმწიფეს ვერა უყორდა.

ბოლოს ამირანს დაუძახა მზეთ-უნახავმა ქალმა:

ამირან, დედაბრის შეილო,
კილო არ იტი ღმისა?
ზევით რასა სცემ სპილოსა,
ქვევით შემოჰკარ წვეროსა,
მიწვეს და მიიძინოსა!

მამამ დაუძახა თავის ქალსა:

დამიხედე ურცხვსა ქალსა,
კურო არჩია მამასა!
რისთვის გაგზარდა დედამა,
რისთვის გეტყოდა ნანასა?

ქალმა დაუძახა:

კარებს უკან მიმაგდებდნენ,
ძირა მეტყოდა ნანასა!

ამირანმა ამ დროს შემოჰკრა ქვევით ხმალი და გააგდებინა თავი მზეთ-უნახავ ქალის მამას. დაღალულ-დაქანცული ამირანი წამოვიდა ნაომარ ადგილიდან და ამ დროს მკვდრებიდან სისხლში გათხვრილი კაცი წამოვარდა. ამირანმა დაჭყივლა და იქვე დაიჭირა. ამირანს ეს კაცი უნდოდა მოეკლა, მაგრამ შეეცოდა და აღარ მოჰკლა.

როდესაც ამირანი წამოვიდა თავის მზეთ-უნახავისაკენ, შეიპარა ის კაცი, ჩაჰკრა ამირანს ფეხებში ხანჯალი და მოჰკლა. ამის მნახველმა მზეთ-უნახავმა, დაიწყო ტირილი და ვაება: ეს ამოდენა ჯარი დამიხოცა, მამა მომიკლა და თითონ ამირანიც მომიკლეს, რაღა წყალში ჩავარდეო.

მაშინ უფალმა გამოჰკვანა ყორანი, რომ გაეგო, რა ამბავი მოჰკლა; ყორანი ჩამოვიდა, გაძლა ლეშით, ავიდა მაღლა და მოახსენა: გუთანი უბიათო.

მეორედ უფალმა ყვავი გამოჰკვანა. ისც აქ ლეშით გაძლა და უფალს, როგორც ყორანმა, ყვავმაც ისე აუტანა ამბავი.

მესამედ მტრედი გამოჰკვანა უფალმა. მტრედი ჩამოფრინდა, დაჯდა ერთს ალაგას, დაინახა, რომ მრავალი ხალხი იყო დახოცილი და ერთი მშვენიერი ქალიც ერთს ჭაბუქს დასტიროდა, — ფეხები სისხლში მოისვარა, აფრინდა და ღმერთს მოახსენა: — მრავალი ხალხი დახოცილი ჰყრია, ერთს უსამართლოდ მოკლულს მშვენიერს ფალავანს, ერთი მზეთ-უნახავი ქალი დასტირისო, და ნიშნად თავისი გასისხლიანებული ფეხები უჩვენა.

ღმერთი გაუჯავრდა ყორანს და ყვავსა, რომ მოატყუეს და ესროლა მუგუზალი; ყორანი ძრიელ გაშავდა, რაღგანაც იმას უფრო ძრიელ მოხვდა და ყვავი ძრიელ ვერ გაშავდა, რაღგანაც ძრიელ ვერ მოჰკლდა; თურმე უწინ-კი ყორანიც და ყვავიც თეთრები ყოფილან.

უფალმა მტრედი დალოცა და უბრძანა: მკვდრებსაც
და უკვლოდე და ცოცხალსაც ეჭმევოდეო. უფალმა შეიწყნა-
რა ვედრება მზეთ-უნახავის ქალისა და გამოპეგზავნა თაგვი.
თაგვი მოვიწა და ამირანის სისხლს დაუწყო წოვა; ქალმა
გაიხადა ქოში, ესროლა თაგვს და მოპკლა. თაგვის დედა გა-
მოვარდა და დაუწყო ჩხუბი ქალსა, მერე წავიდა, მოპეგლიჯა
ერთი რაღაც ბალახი, მიუსვ-მოუსვა მკვდარს თაგვს და გაა-
ცოცხელა.

შემდეგ გაიგდო წინ ცემით და ეუბნებოდა, რომ აღარ
გამოხვიდე სოროდან დედის დაუკითხავადაო.

მზეთ უნახავმაც იმისთანა ბალახი მოპეგლიჯა, მიუსვ-
მოუსვა ამირანს და გააცოცხელა; შემდეგ ამირანმა ბიძებიც
დააცოცხელა. ბიძები, ამირანი და მზეთ-უნახავი ქალი წამო-
ვიდნენ სახლში.

რამდენისამე ხნის შემდეგ ამირანი ბიძებით სანალიროდ
წავიდა. გზაში ერთი მკვდარი მიჰქონდათ მარხილით, ცხრა
ულელი კამბეჩი ებათ და მაინც ძლივსა სძრავდნენ. მკვდარს
მარხილიდან მკლავი გადმოვარდნოდა და მიწას გუთანივითა
სთხრიდა; მწუხარე დედა მკვდარს ცხენით მისდევდა და ხელ-
ში მათრახი ეჭირა. დაინახა ამირანი და უთხრა:

— დედა-შვილობას, ეგ მკლავი გულზედ დაადეო.

ამირანი მივიდა, უნდოდა მკლავი გულზედ დაედო,
მაგრამ საძრაობაც ვერ უყო. დედა მკვდრისა გაჯავრდა, გად-
მოსწვდა ცხენიდან მკვდარს; მათრახის ტარით მკლავი გულ-
ზედ შეუდო და ამირანს უთხრა:

— დედა-შვილობა რომ არ მეთქვა, ამ მათრახით გაგა-
ჭრელებდიო.

ამირანი დალონდა და დაუწყო ვედრება თავის ნათ-
ლიას—უფალსა. ამირანს გამოეცხადა უფალი. ამირანმა
სთხოვა, მომეცი ღონეო; შესჩივლა აგრეთვე, რომ ერ-
თის მკვდრის მკლავი ვერ ავწიეო. უფალმა მისცა კიდევ
ამირანს იმდენი ღონე, რამდენიც იმ ცხრა ულელს კამბეჩსა

ჰქონდა. გახარებულმა ამირანმა გამოსწია და რაც გზაში ხე
ხვდებოდა, სულ აქედ-იქით ისვროდა. მაშინ უფალმა სთქვა:
ეს ამოდენა ღონე რომ მივეცი, ხალხს სულ გამიშუვეტავსო
და გამოეცხადა ამირანს სხვა კაცად. ამირანმა უთხრა უფალს,
მოდი დამეჭიდეო. უფალი და ამირანი დაიჭიდნენ და, რო-
გორც უნდა წაექცია ამირანს, უფალი გაეშვებინა და უთხრა:
— აი ამ ყავარჯუნს მიწაში დავარჭობ და ბიჭობა ის
არის, ვინც ამ ყავარჯენს ამოპგლეჯავსო. უფალმა ყავარჯე-
ნი დაარჭო მიწაში, ამირანი მივიდა და, რამდენიც ამოსწია
ყავარჯენი, იმდენი უფრო მიწაში ჩავიდა. მაშინ უფალმა
გადასწერა პირ-ჯვარი და ამირანი ჯაჭვით დაება და ზედაც
დიდი უზარ-მაზარი მთა გადაეფარა.

III

მას აქეც ამირანის პატარა ფინია მთელი თორმეტი
თოვე განუწყვეტლივ ჰლოკავს ჯაჭვს, რომლითაც არის და-
ბმული ამირანი; ფინიას ლოკვით ისრე გაილევა ხოლმე
ჯაჭვი, რომ ერთი რომ გაჰკრას ამირანმა, გაწყდება, ვაგრამ
დიდ-ხუთშაბათს მჭედლები კვერს რო დაჰკვრენ სამჯერ, იქ
ის ჯაჭვი ისევ მთელდება; ასე წვალობს მთელი უამი საწყა-
ლი ფინიაც; და თუ არც ერთმა მჭედლელმა არ დაჰკრა
კვერი, ამირანი იმ ჯაჭვს გასწყვეტს, გორას იქით გადაიგდებს
და სულ ყველა მჭედლებს გასწყვეტავს. შვიდს წელიწადში
ერთხელ ამირანს კარი ეღება. ერთხელ პატარა მწყემსს ცხვა-
რი ჰყოლოდა შეფენილი იმ გორაზედ, საცა ამირანი არის
დაბმული; დაენახა, რომ ამ გორას ფერდოს განივრად პირი
დაეღო; მწყემსს შიგ შეუხედნია და დაუნახავს დიდი, უზარ-
მაზარი ვაუკაცი, რომელსაც ცხვრის ოდენა თვალები ჰქონდა
თურმე. ეს იყო თვითონ ამირანი. პატარა ბიჭს შეჭმინებოდა
და გამოქცევა დაეპირებინა. ამირანმა დაუძახა: აქ, ხერელში
შემოდი, ნუ გეშინიანო, ამირანმა დაუყვავა ბავშვს და უთხრა,

შეც ქრისტიანი ვარ და ნურაფრისა გეშინიანო. ამირანმა გამოართვა მწყემსს პური, რომელიც იმას გუდაში ედვა, მოუჭირა ხელი და სამი წვეთი სისხლი გამოაღინა; მერე თავისს პურს მოუჭირა ხელი, რაც გამოაღინა და სთქვა:

— პური ამისთანა უნდა გიცხევებოდეთო. ამირანმა დაანახვა ბავშვს ხმალი და უთხრა, — მომაწოდეო! მწყემსმა ხმალი ვერც-კი შეანძრია, ისე დიდი იყო, შემდეგ ამირანმა მწყემსი გააწვინა, ხელები ხმალს მოაკიდებინა და თვითონ ფეხებს გამოსწია; ხმალის სიმძიმეს მწყემსის წელმა ვერ გაუძლო, დაიყვირა: ვაიმე წელიო! და ხმალს ხელები მოაშორა. შემდეგ ამირანმა მწყემსი ღვედზედ გაგზავნა, რომ ღვედით მოეთრია ხმალი და თანაც დაარიგა, გზაზედ არავისათვის არ გაეცა ხმა, რაც უნდა ეკითხნათ.

მწყემსი წავიდა სახლში, აიკიდა ღვედი და წამოილო. მწყემსს ერთი ქალი წყევლით გამოეკიდა და ჩააცივდა: საღმიგაქვს ეგ ღვედიო? ბიჭი, რაკი გაბეზრდა, უთხრა: შენ რა გინდა, საცა მიმაქვსო!

მწყემსმა მიიტანა ეს ღვედი გორასთან, ბევრი უარა ამ გორას გარს და შესავალი-კი ვეღარ უპოვნა, რაღანაც შესავალი გზა გაუქმდა იმის გამო, რომ იმ დედაკაცმა აცლინა მწყემსი და დაალაპარაკა.

ახლა თურმე ამირანი როდისმე რომ წამოდგეს, მჭედლებისა და ქალების სინსილას გააწყობსო.

ხალხური „ვეზეის ტყაოსანი“

(საგმირო თქმულება)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი უწინდებური დიდი გმირი კაცი, სახელად ტარიელი. ჰყავდა ცოლად მეტად მშვენიერი, მზეთ-უნახავი ქალი, სახელად მზე-ქალი. ისეთი ლამაზი იყო ტარიელის მზე-ქალი, რომ ღამე-ბნელაში ანა-

თებდა და აშუქებდა, როგორც ლამპარი, როგორც ცის მნა-
თობი. და მიტომაც ეძახდენ მზე-ქალს.

ტარიელი უდიერი ლონიერი იყო და ქვეყანაზე არაფე-
რი არ უმაგრდებოდა. ყველა ლონიერ დევს ეშინოდა და
ერიდებოდა მისი. მუდამ სანადიროდ დადიოდა; დილით წა-
ვიდოდა და ბალამოთი მოჰქონდა ცალ მხარზე მოკლული ირე-
მი და ცალზე—დიდი, უზარ-მაზარი ხე—შეშათა. ტარიელი
აიღებდა თავის დიდ ქვაბს; შედგამდა ნანადირევის მოსახარ-
შავათ, დაავლებდა ხელს, იმ უზარ-მაზარ ხესა, დაანარცებე-
და ღელამიწაზე და სულ ლუკმა-ლუკმათ აქცევდა შეშათ!..

ბევრს ედვა გულში მოტაცება ტარიელის მზე-ქალი-
სა, მაგრამ ვერავინ ბედავდა ტარიელის შიშით. ყველაზე
ჟფრო შურდათ ეს ქალი ტარიელისათვის ქაჯებსა და მა-
ცილებს (ეშმაკებს). ყოველ დღე და ყოველ წამს იმის სა-
ცადში იყვნენ მაცილები, რომ ეშოვნათ დრო და მზე-
ქალი (ნესტან-დარეჯანი) მოეტაცნათ და თავიანთვის წაეყ-
ვანათ. ერთხელ, როცა ტარიელი სანადიროთ იყო წასული,
მოვიდნენ, მზე-ქალთან მაცილები და თან მოიტანეს ერ-
თი ახალ გაკეთებული კიდობანი. მაცილები იმ სახით მოვიდ-
ნენ მზე-ქალთან, როგორც ხორციელი ადამიანები და
როგორც ტარიელის ერთგული მონები. მოახსენეს ტარიე-
ლის მზე-ქალს: კიდობანი მოგართვით ტანისამოსის შე-
სანახადაო და მოგეწონებათ თუ არა—აბა ნახეთო. როცა
მზე-ქალმა ნახა კიდობანი და მოეწონა, მაცილებმა უთხ-
რეს: აბა შიგაც შებძანდით და დაათვალიერეთ, სინათლე
ხომ არსად გადისო? მზე-ქალს არ ეგონა; თუ მაცილე-
ბი არიან და ოინს მიზამენ, მილალატებენო. შევიდა კი-
დობანში თუ არა მზე-ქალი, მაცილებმა მაშინვე დახურეს
კიდობანი, ოთხივ-კუთხივ დარაზეს და მოიტაცეს; მივიღნენ
ზღვასთან და მისცეს წყალს:

დასხდიან მეკიდობნენი:

იმბარ-ამბრი და უმბარნი.

იმათ კიდობან ააგეს
ქებითა არა — ქებითა,
შიგ ქალი შესვეს, მზე-ქალი,
ძალითა, განა ნებითა!..

მზე-ქალი შეაგდეს ქაჯებმა აღელვებულ და აზვირთებულ
წყალში. ზღვამ შეიბრალა მზე-ქალი; დაწყნარდა და კიდო-
ბანი მალლა-მალლა ქანქანით წაილო. წინ ნესტან-დარეჯანს
გადაელობნენ, „გაებაღნენ“ გველები. შავმა გველმა თქვა:
შევჭამოთო, მაგრამ წითელმა გველმა შეუტია, „უშეინა“
და დაუშალა; თეთრმა გველმაც მხარი დაუჭირა წითელს და
თქვა: ცის მნათობია, ქვეყნად მოვლინებული, და ნუ შევ-
ჭამოთო, ნურას გავუბედავთო.

ქაჯებ მზე წყალში შააგდეს,
წყალს მისცეს დგან-დგარებითა; *)
წყალმა იბრალა, იწყალა,
გაიგდო ქანქანებითა;
წყალში რომ გველებ დაუზვდეს;
ბაღე-ბაღეს აქვს გაბმითა;
შავმა გველმ უთხრა: შევჭამოთ,
წითელმ უშეინა ავითა;
თეთრმა გველმ უთხრა, ნუ შევჭამოთ
ხმელთ მნათობარი მოვიდა.

ბევრის ცურვისა და ზღვაში ხეტიალის შემდეგ, ქაჯებმა
გაიტაცეს კიდობანი ნაპირზე „ფასმანის“ (ფატმანის) მიწა-
ზე. გამოიყვანეს ნესტან-დარეჯანი და კიდობნის დირეზე
ჩამოსვეს. ამ დროს დაინახეს ფასმანის მონადირეებმა. მო-
ჰკიდეს თვალი თუ არა შვენიერ მზე-ქალს, მაშინვე ჩაუხტ-
ნენ და დაუწყეს ომი. ქაჯებმა შეაცურეს კიდობანი ზღვა-
ში. მონადირენი კიდევ არ მოეშვნენ და სამაც სამოცრ ისა-
რი ჰკრეს კიდობნის დირეს:

*) „დგან-დგარებითა“ — აზვირთებულს, აღელვებულს.

ქაჯთა მზე გამოიყვანეს,
დასმენ კიდობნის დირესა.
„ფასმანის“ მონალირეთა
დირეზე თვალი ჰკიდესა,
ჩავიდენ, არ დაიშალეს,
მისწივნეს, არ დარიდესა,
სამას-კამოცი ისარი
ზე ჰკრეს კიდობნის დირესა.

მონალირები ბევრს ეცადენ, მაგრამ ვერ დაიხსნეს მზე.
ქალი და წაიყვანეს ისევე ქაჯებმა. მიიყვანეს ქაჯებმა ქაჯე-
თის ციხეში და დამალეს იქ მზეთ-უნახავათ. გაიგო თუ
არა გმირმა ტარიელმა თავისი მზე-ქალის დაკარგვა, გაშ-
მაგებული შეჯდა თავის რაშე და წავიდა საძებრათ; დაღიო-
და ტყე-მინდორში და ზღვის პირებში. დღისით ტარიელი
არ დაისვენებდა ხოლმე, ხოლო ღამდებოდა თუ არა, მაშინ-
ვე დაიბინავებდა და, როგორც-კი გათენდებოდა და ამოვი-
დოდა მზე, ტარიელიც მაშინვე შეუდგებოდა. მგზავრობას და
ძებნას. უფრო ზღვის პირებზე ეძებდა ტარიელი, რადგანაც
ეჭვით იცოდა, რომ ზღვისაკენ უნდა ყოფილიყო მისი მზე
წაყვანილი.

ტარიელ, მზის მაძებარმ,
ზღვის ნაპირთ იარებოდა.
მზე ჩახდა,—დადგა ტარიელ,
ამოხდა,—იარებოდა;
მასკვლავი ჰქონდა ლოგინათ,
მთვარე გულს ეფარებოდა.

ერთ დღეს ტარიელი მიაღვა ერთ მღინარეს, საღაც ერ-
თი კოჭლი მონა დაინახა. მონა მიდი-მოდიოდა წყლის კი-
დეებზე და ტიროდა.

— რა გატირებსო—ჰკითხა ტარიელმა კოჭლ-მონას.
— ისა, ბატონო, რომ ბატონთან ვარ დაბარებული და
ამ მღინარეზე ხიდი არ არის, ისე ვერ გავედი და არ ვიცი,

რაღა ვქნაო. ტარიელს შეებრალა კოჭლი მონა, გაიშვირა
მკლავი და გადვა ხიდათ მდინარეზე; მონა შედგა ზედ და გა-
ვიდა.

მივიდა თუ არა თავის პატრონთან კოჭლი მონა, მის
ნაზირ-ვეზირებს უამბო ამ საკვირველი გმირის—ტარიელის—
ნახვა და მისი ამბავი. ყველა ეს ნაზირ-ვეზირებმა მოახსენეს
თავის ბატონს, მეფეს. მეფემ მაშინვე დაიბარა თავისი საკვა-
რელი და გამოჩენილი ორი გმირი „ადენ“, და „ომარე“ და
უბრძანა, გაჰყევით კოჭლ-მონას და რომელ კაცსაც ეს
დაგანახვებსთ მინდორში, ის მომიყვანეთო, ან სახელი და
გვარი მომიგეთო.

ადექ და მოემზადენით,
ჩემო ადენ და ომარე,
ის კაცი აქა მომგვარეთ,
ვინ იყოს მინდორთ მდგომარე!..

ადენმა და ომარემ მორჩილებით თავი დაუკრეს თავის
შეფეხს და მოახსენეს: სახელის და გვარის გაგება და მისი ვი-
ნაობის, ოლონდ თქვენი ბრძანება იყოს, თორემ ორი კაცი-
საგან ერთი კაცის მოყვანა ძლიერ ადვილი სამსახურიაო.

ბრძანება იყოს, ბატონო,
შენთა ბაგეთა ბროლთაგან,
ადვილი სამსახურია.
ერთის მიყვანა ორთაგან.

ადენმა და ომარემ შეისხეს საჭურველ-იარალი, გამო-
იყოლეს კოჭლი მონა და წავიდენ. კოჭლმა მონამ მი-
იყვანა მდინარის ახლო და დაანახვა გაღმით ტარიელი. ადენ
და ომარე წადგნენ წინ და დაუძახეს ტარიელს:

ბიჭო, ვინა ხარ, ვინ იყავ,
მარტო მინდორში მდგომარე?
ბატონ გიბარებს, აქ მოდი,
ან სახელ-გვარი მიბარე!

ტარიელმა მოისმინა თუ არა მათი ძახილი, შემოუძახა:

თუ კარგი ბიჭები ხართ, შანდედან ნუკი ყვირით, ახლოს
მობრძანდით და აქ გამიცანით, ვინცა ვარ; აქ გაცნობებთ
ჩემ თავს და ჩემ მკლავის ლონეს, აბა შორით რას დამაფა
სებთო.

მინდორში ოქროს კოშკი დგას,
გარშამო—ვერცხლის თასები,
ახლოს მოდექით, მოსრულნო,
შორით არ დავიფასები!..

ამ ხმაზე ადენ და ომარე გავარდნენ გულადათ გაღმა,
მაგრამ მისთანა თქვენს მტერს, ტარიელმა იმათ საქმე დამარ-
თა: ადენს ერთი მათრახის წვერი მოარტყა და სულ ჯარა-
სავით ატრიალა მინდორში; ომარ ერთი მათრახის „გადანა-
თებით“ ზეცას გაგზავნა, კოჭლი მონა-კი შორს იყო და
გამოიკუა ბატონისაკენ, მაგრამ ტარიელი მოეწია, გამოპერი-
ხა ამბავი და, რომ გაიგო ბატონისაგან იყვნენ გამოგზავნილ-
ნიო, წავლო ზელი კოჭლ მონას, ააგლიჯა ცალი მხარი,
მისცა მასვე ხელში და უთხრა: წატი, მიუტანე შენს ბატონს
ამბავი და ეგ შენი მხარიც სუფრის მისამატათ, „შესაახლებ-
ლათ“ — მიართვიო.

მოვიდოდა კოჭლი მონა,
თავში მოიცემდა ქვითა;
ბატონ, შენი საყვარელნი
მოგიმშვიდნა მათრახითა...
ადენს შემოკრა მათრახი,
შინდორს ბრუნავს ჭარავითა;
ომარე ზეცას წალალა,
ჯერაც არ მოსულა ცითა,
მე რო მხარი ამომწვალა,
ისე მომაქვს თავის მხრითა...
მითხა: „ბატონს მიუტანე,
სუფრა შაიაზლოს მითა“.

ეს ამბავი ძლიერ ეწყინა მეფეს და სამშიმოთ დაურჩა

თავისი საყვარელი ორი გმირის სიკვდილი. მაშინვე შეჰყარა
დიდი ჯარი და გამოეშურა ტარიელისაკენ. შემოახვია მწო-
ლარე ტარიელს დიდი ლაშქარი და დაუწყო ისრის სროლა
სეტყვა-წვიმასავით:

ეგე იწყინა ბატონმა,
მეტად დიდსა ჯარებს ჰყრიდა,
შამოეხვია გარშამო,
ჩალათ ისარს მიაყრიდა.

ტარიელმა, როგორც დიდმა გმირმა; „უმით-უამამდე“
ილიერ მაგარი ძილი იცოდა და, სანამ გაღვიძების „უამი“
არ მოუვიდოდა, მანამ ვერავინ ვერ გამოაღვიძებდა და გონს
ვერ ჩაგდებდა. იმ დროს, როცა მეფე შემოადგა დიდი ჯა-
რით და დაუშინა „ჩალასავით ისარი“, ტარიელს ეძინა ნა-
ბად-წახურულს და ვერაფერმა ვერ გამოაღვიძა. რაში რომ
ტარიელის განსაცდელს ხედავდა, ტიროდა და ტორსა სცემ-
და, მაგრამ, რომ ვეღარ გამოაღვიძა თავისი პატრონი, მაშინ
რაში დასწრებდა ტარიელს და ცალი თითი მოაკვნიტა: ეგება
ამით მაინც გამოვაღვიძოვო.

თავით უბამს ცხენი-რაში,
თვალებთ ცრემლებს ჩამოჰყრიდა;
ჩაეწოდა, თით მოკვნიტა;
ოქროს თითი მოებმოდა.

თითის მოკვნეტამ ტარიელი გამოაღვიძა; დაინახა, რაც
ამბავი იყო, ნელ-ნელა, აუჩქარებლად წამოდგა, გადაჰბერტყა
ნაბდიდან ისარნი და მოევლო თავისს რაშს.

გაიღვიძა ტარიელმა,
ნელა-ნელა წამოდგესა;
ფეხი შედგა უზანგოში,
ამოდ შეჯდა, აუ შეშინდა...

მაშინ გაერია ამ ურდო და ურიცხვ „ხატაველთა ლაშ-
ქართა“ ჯარში, როგორც ქორი მტრედის გუნდში, და და-
უწყო ელეტა. „კაცი-კაცი ჰკრა, ცხენი-ცხენსა“ და მკვდრის.

გორები დააყენა წამზე. გლეხი კაცი ტარიელს ებრალებოდა
და არ კადრულობდა მათთან ომს, დიდკაცებს და თავადებს-
კი შლეტდა საშინლათ.

გაერია ხატაველთა,
როგორც მტრედის გროთა ქორი,
კაცი კაცს ჰკრა, ცხენი—ცხენსა,
დადგა მაგაების გორი!..

არ იკადრა გლეხი კაცი,
თავადებზე გადავიდა.

ზეცით წამოვიდა ორბი
ეგეთ ჯარით სიმრავლითა,
ბოძალი ჰკრა ტარიელმა,
მხართა შუა სისხლი სდინდა,
ჩაეწვადა, მხრები დასჭრა:
ბოძლის დასაკვრელად მინდა.

ტარიელი ომში ერთ შვენიერს ვაჟკაცს-ჭაბუკს შეხვდა,
რომელსაც შესძახა:

— მე შენ არ მოგკლავ, იმიტომ-რომ თვალები ჩემ (ბი-
ძიშვილს) გიგავსო და გამობრუნდა. ჭაბუკი შეკრთა და ტა-
რიელს ვერაფერი ვერ უთხრა, ვერაფერი ვერ შეპბედა. ამ
შეღერებულ ჭაბუკს ერქვა ავთანდილი და იყო მართლა ტა-
რიელის ბიძაშვილი („შინში“), მაგრამ, რადგანაც ტარიელს
პატარა დაეტოვიბინა შინ და მას აქეთ აღარ ენახათ ერთმა-
ნერთი, ავთანდილსაც დავიწყებოდა ტარიელის სახე და ვერ
იცნო ომში. როცა ავთანდილი შინ მოვიდა, ყველა ამის
ამბავი უამბო თავის მშვენიერს და კეკლუც ცოლს — თინა-
თინას (თინას). „მთელი ჯარი ამოგვიწყვიტა იმ ვიღაც საკვირ-
ველმა გმირმა და, როცა ჩემზედ აიღო ლახტი და უნდა მო-
ვეკალ, ჩამოილო და მითხრა: მე შენ არ მოგკლავ, რადგა-
ნაც ჩემ „შინში“ ავთანდილს ჰგევხარო.

— ეგებ შენი დაკარგული ბიძაშვილი — ტარიელი იყო?!..

— შეპკივლა თინათინმა; — რატომ არ გამოჰკითხე, ვინ იყო

და ვინ არა. განა ეგრე წამოსცლა გეკაღრებოდა? თუ ჩემი სიყვარული გაქვს და ან შენი ბიძაშვილის, ტარიელის, პატივის-ცემა, ეხლად-ეხლავე ადექი და სხებნე, საცა იყოს ის გმირი, ეგებ ტარიელი იყოს და როგორმე ეწამლე და მოეხმარე გასაჭირში.

ამ მკაცრის ბრძანების გაგონებაზე რაღაცა ეჭვები შემოეხვია ავთანდილს გულზე. დაიწყო თავის უმანკო თინა-თინზე ეჭვიანობა: ეს მე მიტომ მითხოვს ასე უცებათ სახ-ლიდან, რომ ალბათ კურო, საყვარელი, ჰყავსო და ჩემი თა-ვიდან მოშორება უნდაო.

— ადექ, ავთანდილ, ნუღარ აყოვნებ, წადი, მოსძებნე, ნახე ის გმირი და, თუნდა ტარიელიც არ იყოს, კარგია, მადლია უცხო, დაკარგული და გადახვეწილი მოყმის მონახვა და შველაო, — უთხრა თინათინმა. ამ თქმაზე ვეღარ მოითმი-ნა ეჭვით სავსე, აღელვებულმა ავთანდილმა, აემლვრა გული და საშინელის სიტყვებით შეამკო თავისი უმანკო და მშვენირ ერი თინათინი:

ბოზო, რას ამბობ, დიაცო,

არჯალო, აუგიანო!

უწყლო, უღარო წისქვილი

მთაში ვის აუგიანო?

მაყვარეების (საყვარლების) გულისთვის

ქარი ვის გაღუგდიანო?!

თინათინი დიდათ შეაწუხა ამ უსამართლო ცილის-წამე-ბამ და მტკიცე ფიცირთ შეპტიცა ავთანდილს თავის უმანკოე-ბისათვის: ლმერთმა და ყოველმა ხატმა მრისხოს, თუ თინათინს შენს მეტი ქმარი უნდოდეს და ან მოეწონოს, თუნდ ათას-ჯერ შენზე უკეთესიც ნახოს და ან ზეციდან ჩამოსულიო. მე უითხარი და გთხოვე, რომ ტარიელი მოგეძებნა, გეპოვნა უთუოდ ის გმირი, ვინც იყო. ტარიელიც რომ არ იყოს, მაინც კარგია უცხო მოყმის შველა და შემწეობა-მეთქი.

ლმერთი რისხავდეს თინასა,

ხატი ყოველთა წმიდისა,
ქმარი უნდოდეს შენს მეტი,
ათას სხვა ჰყავდეს გულისა.
მოძებნა მაინც კარგია
მოყმისა დაკარგულისა.

დაიჯერა ავთანდილმა თავის მშვენიერ „თინას“ ფიცი და რჩევა და იმ ლამესვე გამოეწყო სამგზავროთა საგზა-ლიც მოიმზადა. ისარიც ბლომად ჩაიწყო ქარქაშში და გასწია (გაიპარა) კიდეც უნათლივ ტარიელის საძებნელათ. შემადეგ მოგროვდნენ ავთანდილის ჯარი და კარის კაცნი; მოიყარეს თავი და იახლნენ ავთანდილს შინ. მაგრამ ციხიდან თინათინი გაღმოდგა და გამოუცხადა მათი საყვარელი პატრონის წასვლა, სადღაც გაპარვა.

ციხით იძახა თინამა:

ავთანდილ გაიპარაო.
სამოცდა სამი ისარი
ქარქაშში ჩაითვალაო,
შავი აქ დაკლა ვარია,
თეთრი თან წაიტანაო.

ავთანდილმა ბევრისაგან ბევრი სძებნა ტარიელი და ძლიერ სწუხდა, რომ ვერ იპოვნა და საწადელი ვერ აუსრულდა, ხოლო ამდენი სიარული ამაოთ შერჩა. ვინც-კი შემოხვდებოდა ავთანდილს წინ, ან ვისაც მიეწეოდა, ყველას ჰკითხავდა ტარიელის ამბავს, მაგრამ თვალის მომკვრელსაც-კი ვერავის შეხვდა. ავთანდილი, როგორც „გულომისანი“, გონიერი და ჰკვიანი კაცი, იმედს არ ჰყარგავდა ტარიელის ნახვისას და, რაც ხანი გადიოდა, თანდათან უფრო ემსტებოდა მხნეობა და ხალისი ტარიელის ძებნისა.

ავთანდილს საგზალი მალე გამოელია და საზრდოობდა ნანადირევით. საცა მოშივდებოდა, იქვე ინადირებდა, დაანთებდა ცეცხლს, დათლიდა შამფურებს, შეწვავდა მცვრიან მწვადებს, მოიკეცდა თოქალთოზე და შეეჭცეოდა.

ავთანდილ გადინადირა
ქედი მალალი, ტყიანი,
ვერც ხარი მოკლა, ვერც ფური,
ვერცა ბოჩოლა რქიანი;
შველსა ჰქონა გამოფრენილსა
ისარი ღრბის ფრთიანი,
დაჭკიდა ცხენის ტახტაზე
ტყავ-გაუხდელი, რქიანი;
ჩავიღა ბურილ ძირშია,
ცეცხლი დანთლ პრიალი,
სადგომი ბინა დაუხვდა.
შყანტიან-ჭაობიანი;
ქვეთა საგებლათ მოჭხადა
თოქალთო უნაგრიანი,
დათალნა ეკლის შამფურნი,
მწვადი აასხა მცვრიანი.

ავთანდილი „,თოქალთოზე“ მოკეცილი რომ მცვრიან
მწვადებს შეექცეოდა, იმ დროს შორს მინდვრის სივრცეში
შავი ნისლივით მომავალ ჯგუფს მოჰკრა თვალი, რომელიც
თანდათან უახლოვდებოდა ავთანდილს. ავთანდილმა გაარჩია,
რომ ხალხი მოდიოდა მისკენ. შეფიქრიანდა: ვაი, თუ „,მე-
კობარნი“ — ლაშქარნი იყვნენ და არამც რა მაზიანონო. მა-
შინვე შეკაზმა ცხენი, გადაიკიდა თოფი, აიღო შვილდ-ისა-
რი და მოემზადა საომრათ: ვინიცობაა მტერი იყოს, ჯაბნათ
არ დავხვდეო.

მინდორს დაინახნა კაცნი.

ჯანის-ჯანად (ნელა-ნელა) მომდინარნი.

— „ახლოს მოდე, ჩემო ცხენო,

აბჯარნო, გამეძალენით,

მტერს მოშლით ნურას შევხვდებით;

თვალშია ვეჯაბანებით!“

ავთანდილმა მიატოვა გაშლილი სუფრა ცეცხლთან,

მოკლული ირემი და ცეცხლზე შემოლაგებული მწვადები და შეეგება მომავალ ხალხს. ხალხში დაინახა, რომ სამ კაცს ერთი თავ-გატეხილი კაცი მოჰყავდა. ავთანდილმა „გამარჯვება“ უთხრა და ჰქითხა: რითი გყავთ დასწეულებული ეგ. კაციო.

— ეს ძმა არის ჩვენი, — მიუგეს სამთავემ — ჩვენ ტყის პირას ვიყავით, რომ ერთმა გმირმა მოყმემ გამოიარა ჩვენს ახლოს; ჩვენ ძლიერ გაგვიკვირდა იმ დიდი გმირის წახვა. ეს ჩვენი ავადმყოფი ძმა გამოეკიდა: „ვინა ხარ, მითხარიო“, მისძახოდა და „ან საით მიეჩარებიო“. გმირი მოუბრუნდა, ერთი სილა გაჰკრი და, აი, თავი ოთხათ გაუჩეხაო.

ავთანდილმა ამ ამბისათვის მაღლობა გადაუხადა, ისურვა მათი ავადმყოფის მშვიდობით მორჩენა, ასწავლა თავის ბინა — ცეცხლი და მწვადები, წამალიც თავ-გატეხილისათვის: ირმის ტვინი წაუსვითო და დაუამებსო. თითონ-კი აღარ მიბრუნდა; ბინაზე დანაც დარჩა ავთანდილს და ნუ დამიკარგავთო შეეხვეწა. გააქანა ცხენი და გასწია ტარიელის საძებრად.

აიმა და იმ ხეთ ძირში
მწვადი უბრუნვენ ნებასო,
წყლულს ირმის ტვინი წაუსვით,
იტყვიან მოსვენებასო;
საპურ-ყველე დანა დამრჩა
იმ ჩემ სადგომსა ბინასო,
ნუ დამიკარგავთ, გეთაყვა,
თქვენი სნეულის ლხენასო.

ავთანდილმა გააჭენა ცხენი იქით, საითაც უჩვენეს მგზავრებმა გმირის წავლილი გზა. ესენი-კი შიგიდნენ ავთანდილის ნალგომ ბინაზე, ავადმყოფს დაადვეს წყლულზე ირმის ტვინი, შეუხვიეს თავი და მოასვენეს. თითონ ისამხრეს გუნებიერათ და შეისვენეს. შემდეგ სამივე ძმები დაეხვიენ ავთანდილის „საყველ-პურე“ დანას, მაგრამ ხეზედაც ვერ მიაყუდეს და, საცა ეგდო, იქვე დატოვეს.

ავთანდილი-კი იმ დროს გამალებული მიაქროლებდა თავის „თეთრ ტაიჭ“ და მისდევდა ტარიელის ტზა-კვალს. კარგი მგზავრობის შემდეგ ავთანდილს შემოჰვედა ერთი უზარმაზარი დევი, რომელიც ძლივს კოჭლობით მოჩლახუნობდა. ავთანდილმა დევი იცნო და გამარჯვება უთხრა; შემდეგ ჰკითხა იმისი ამბავი, ვის საძებრად იყო წამოსული. — „შენ მამიჩემის ძმობილი იყავი და სიმართლე მითხარი, აქეთ მგზავრი ხომ არავინ გინახავსო.«

დევ, მამიჩემის ძმობილო,

ხომ არვინ ჩამოგიარა?

— ჩამომიარა ქროლით ერთმა პირქუშმა მოყმემ, უთხრა დაუეუილმა დევმა. მე ვხნავდი, გუთნეული მება, გამიკრახელი გუთნეულს და ზღვას იქით გადამიყარა!.. მეც ერთი ფეხი წამამკრა და შორს გადამისროლა... აღარ მეგონა, თუ ცოცხალი გადავრჩებოდი. შენ ტყვილა მისდევ, ავთანდილ, ვეღარ მიეწევი იმ მოყმეს; იმან საქართველო გადიარა და სათათრეში გავიდა. მე ისეთი დიდი გმირი არ მინახავს და არც ისეთი შვენიერი; ერთი გაილიმა და ისეთი შუქი გამოკრთა, რომ მთა და მინდორი გაანათა.

ერთმა პირქუშა მოყმემა

ცხენ ხეთქით ჩამომიარა,

ხელი გამიკრა გუთანსა.

ზღვას იქით გამისრიალა!..

წინელი მკრა გუთნის დედასა.

კ...მა გამოიარა,

ლიმნი ქმნა, კბილი გამოჩნდა;

მთას შუქმა გადაიარა,

მაგას ნუ მისდევ, ავთანდილ,

იმან დიდი გზა იარა;

გასწირა საქართველოი,

სათათრე გადაიარა.

ავთანდილი უფრო მეტის სიფიცხით გამოუდგა უკან ტა-

რიელის გზასა და დღე და ღამე დაუსვენრათ მისდევდა, მაგრამ ვერ მიწვდა, ვერსად მოჰკიდა თვალი. მიმავალმა ავთან-დილმა ერთს მდინარის პირას დაინახა მიმდგარი ჯარი; ის დაურიდებლად მივიდა მათთან და იკითხა ტარიელის ამბავი, მაგრამ ვერა გაიგო-რა; მერე გამოიკითხა მათი ასე შეგროვების მიზეზი.

— ჩვენ მგზავრნი ვაჭარნი გახლავართ — უთხრეს ავთან-დილს — აქ ჩვენი დადგომის და მწუხარების მიზეზი ის არის, რომ ამ მდინარეზე ეს ერთი ხიდია, სხვა გზა არ არის და ამ ხიდზედაც თითო პეშვ თვალ-მარგალიტის გადაუხდელად ამ ხიდის ბატონი არ გვიშვებსო.

— ნუ გეშინიათ, მე გაგიყვანთ და გაგათავისუფლებთ. წადგა ავთანდილი წინ და შესძახა ხიდის ბატონს:

— მგზავრი და ქარავანი ღვთისა არის, მათი ძარცვა და წინ დადგომა ცოდვაა, საკადრისი არ არის; მოეცალე ხიდი-დან და გაატარე ქარავანი, თორემ, ტარიელის მზეს ვფიცავ, სამტკიცნელოს დაგარტყამ და შენს ტვინს ზღვას ქაფათ მივცემ.

ეს ქარავანი ღვთისია.

უერთოდ არ მამიცია,

ტარიელის მზემ, გაუშვი,

თორემ მტკიცანი მიცია!..

ეგ შენი ტვინი და სისხლი

ზღვას „პერად“ გადამიცია.

ხიდის ბატონი არ მოეცალა გზიდან და დაშმობილება მოინდომა ავთანდილისა: ორივემ გავიყოთ შუაზე ძმურად მაგადგან ანალები თვალ-მარგალიტიო; — ესე სჯობია, თორემ რას გამოვრჩებით, ჩვენ ორივემ რომ ერთმანერთს თავი შევაკლათ და ჩვენი სისხლით „ნახმლევ-ნაისრით და ნაშუბრით“ მინდორი მოვრწყათ და ავავსოთ... დამანებე ქარავანი, დღეს მე და შენ ძმები ვიყვნეთო.

მინდორს სისხლის ტბა გვიბრუნავს.

ნახლმევ-ნაისრ-ნაშუბარი,

ეს ქარავან დამანებე,

დღეს მე და შენ გავხდეთ ძმანი.

ავთანდილს ეწყინა ესა და ერთი მათრახის „გადაქნევით დედამიწაზე გაფშვნიტა მგზავრების მძარცველი ბატონი; გაუხსნა თავისუფლად გზა მგზავრებს და გაატარა. მგზავრებმა შესწირეს ლოცვა და დიდი მადლობა ლმერთს, რომ დამხსნელი გამოუგზავნა, და ლოცვავდნენ ავთანდილის მოსვლის გზას.

ავთანდილი გაეშურა თავის გზაზე და მიჰქოდა გრიგალ-ქარივით; ის გავიდა თავის ბიძის — ფრიდონის — მიწაწყალში და მიაბრუნა ცხენი ფრიდონისაკენ და მიარულში ავთანდილი მიადგა ერთის დედაბრის ქოხს. ავთანდილმა იმასაც ჰკითხა ამბავი თავის სახებრისა, მაგრამ ვერა გაიგორა, ბებერმა ჰკითხა: „სად მიხვალ ახლაო?“

— მე მივდივარ ბიძა-ჩემ ფრიდონთანაო, — მიუგრ ავთანდილმა. ეს დედაბერი თურმე „გულთმისანი“ იყო და უველა გაიგო, რაც ავთანდილს სურვილი ჰქონდა. დედაკაცმა ფრიდონის სასახლის მარჯვე გზა ასწავლა.

— შენ თუ შენი საწადლის ასრულება გინდა, ბიძა-შენ ფრიდონთან რომ მიხვიდე, ცხენი თხოვე და, როცა მოგცეს, წალი ჯოგში და რომელიც ჯოგს უკან ჩამორჩება გაჩინჩლული კვიცი, იმას სტაცე ხელი და მოაჯექი, ის გაპოვნინებს შენს საწადელს; მართალია, ის კვიცი, თვალის შესახედავათ ცუდია, მაგრამ გადამავალის ქარის ცხენია და მხედრის გულის-პასუხის შემტკიცელია; ბიძა-შენ ფრიდონს არ იამება იმ კვიცის წამოყვანა, მაგრამ ვეღარას იზამსო — უთხრა ბებერმა და გზა დაულოცა. ავთანდილმაც მადლობა გადაუხადა და გამოეშურა ბიძისაკენ. ორის დღის მგზავრობის შემდეგ მივიდა თავის ბიძა ფრიდონთან და მოკითხვის და საუბრის შემდეგ უთხრა: ცხენი დამეღალა და უნდა ურთი მფრინავი კვიცი-ცხენი მაჩუქოვო.

ფრიდონ, გენუკვის ზიძაო,

კვიცის რემაის ფრენასო.

ბიძა მოგიკვდეს მაშინ, რომ მჯობნის-მჯობნე დაგიჭი-
როვო: შედი ჯოგში და რომელიც მჯობნის-მჯობნეა — მი-
ირთვი, მიწყალობებიაო.

ფრიდონ მოგიკვდეს ბიძაი,

მჯობი გიწყალოს ჯოგშია,

შედი და გამოარჩიე,

რომელიც სჯობდეს მჯობშია.

ავთანდილი მაშინვე გაეშურა ჯოგში. გამოირეკა წინ
ჯოგი და დაიჭირა ის პატარა კვიცი, რომელიც უკან ჩა-
მორჩა და რომელიც ბებერმა ურჩია. ფრიდონს დაენანა,
მაგრამ თქმით-კი ვეღარა უთხრა-რა ავთანდილს. ავთანდილ-
მა დაადგა უნაგირი, მოახტა ზურგზე და გაფრინდა კვიცი
თვალი ვეღარავინ მოჰკრა!.. ბევრი სიარულის შემდეგ ავ-
თანდილის ცხენმა იპოვნა ტარიელის ცხენის „ნატერფალი“,
კვალი; დაადგა ამ ნაკვალევს მფრენ-მბრძენი და ალარ მო-
შორდა. ნაკვალევმა მიიყვანა ერთ გამოქვაბულ კლდეში, სა-
ცა ერთი დედაბერი ცხოვრობდა. ავთანდილი გადახტა ცხე-
ნიდან, მიესალმა დედაბერს და გამოჰკითხა ტარიელის ამ-
ბავი.

— აქ მოდის ხოლმე ჩემთან ტარიელი, — უთხრა დედა-
ბერმა — ახლა სანაღიროთ არის წასული და ცოტა ხნის შემ-
დეგ მოვაო.

— არა უთქვამს-რა, დედაშვილობას, შენთვის ტარიელს:
ან დედა არ დამრჩა შინ, ან ბიძაშვილს და ან ვის იგონებს
კიდევ, თავის საყვარელ ნესტან-დარეჯანის გარდა?

— ჩემთვის, შვილო, ტარიელს არა უთქვამს-რა და არც
მე ჩავკითხებივარ, — მიუგო ბებერმა.

ავთანდილი შეეხვეწა დედაბერს, უთუოდ უნდა მომი-
ხერხო და ტარიელი მიჩვენო პირის-პირო.

— არ შემიძლია, შვილო, უთხრა ბებერმა — ის ისეა
გაშმაგებული თავის საყვარლის „მზე-ქალის“ დაკარგვით,

რომ არავის არ ინდობს, არავის არ ეკარება; მისი ფიქრი და საწადელი მარტოკა თავის მზე-ქალის პოვნა და გამოხსნა არის და რომ ვაჩვენო შენი თავი, ვაი თუ მოგკლას და ცოდვა დამედვას თავზეო. მაგრამ ავთანდილი არ მოეშვა და დიდი ხვეწნა-მუდარით: „თუ მომკლავს, ალალი იყოს ჩემი სისხლიო“, დაითანხმა ბებერი და ბებერმა ავთანდილი დამალა ქვაბში. შელამებისას მოვიდა ტარიელი სანადიროდან; ცალ მხარზე ნანადირევი ეკიდა და ცალ-მხარზე — დიდი უზარ-მაზარი წიფლის ხე. მოვიდა ტარიელი ქვაბთან, დააგდო ძირს ხე და ნანადირევი გაატყავა, დაანთო ცეცხლი, შედგა ქვაბი და ჩაჰარა ხორცი. როცა შინ შემოვიდა, დედაბერმა დაუწყო ტარიელს გამოკითხვა: „ვინ დაგრჩა შინ, ან დედა ხომ არ დაგრჩენია, ან და, ან ბიძაშვილი, რომლის ნახვაც მოვნატრებოდესო?“ — არაო, უთხრა ტარიელმა — არავინ არ დამრჩენია შინ; დამრჩა მხოლოდ ერთი ბიძაშვილი, სახელია ავთანდილი, ის მახსოვს და იმის ნახვას ვინატრი, ნეტავ ერთხელ კიდევ მაჩვენა ჩემი ავთანდილი მეთქი.

— ახლა რომ ნახო ავთანდილი, რას უზამ, დედაშვილობასა?

— ერთს მაგრად ვაკოცებ და გადავეხვევი, — უთხრა ტარიელმა.

— შენ რომ მაგრათ აკოცო, შვილო, ხომ მოკვდება, — უთხრა ბებერმა. გაიგონა ავთანდილმა ტარიელის ხმა და, ჩქარა ნახვის სურვილით აურუკლებულმა, ჰკრა წინლი, გამოამტვრია ქვაბის კარები: „აქა ვარ შენი ავთანდილი, ჩემო ტარიელ“ — შესძახა და მივარდნენ ერთმანერთს, საალერსოთ გადაჭვიეს ხელი და დაუწყეს ერთმანერთს კოცნა.

ამ ალერსში, ტარიელისაგან მაგრად მოხვევნის გამო, ავთანდილს სამი გვერდის ნეკნი, „ფერცხალი“, ჩაემტვრა. ტარიელი მაშინვე ჩაეწოდა, ამოიძრო პაიჭიდან ფასკუნჯის ფრთა, წაუსვა ნატკენ გვერდებზე და გაუმთელა, გაუკურნა.

შემდეგ დასხდნენ ერთად და უამბეს ერთმანერთს თა-

ვიანთი ამბავი და თავ-გადასავალი. ტარიელი მოუყვა, რაც ჭირი და ვაება გადაპხედოდა თავისი „მზე-ქალის“ — ნესტან-დარეჯანის — ძებნაში ამ თოთხმეტი წლის განმავალობაში. — „ეს თოთხმეტი წელიწადია, ავთანდილ, ვეძებ ჩემს მზეს, დავრბივარ გარ-გარე და ნიშანიც-კი ვერ ვიპოვნეთ“, — უთხ-რა ბოლოს გულ-ამოსკვნით ტარიელმა.

ავთანდილმა იმედი უთხრა: ნუ გეშინია, ძმაო, მე ვეც-დები, რომ მოვნახო და ვიპოვო შენი მზე-ქალი და ან ჩემ თავს მის ძებნაში წავაგებოს.. შენ მხოლოდ ნუ ნაღვლობ და დამშვიდდი. უბრალო ხალხთან ჩეუბით არა გაკეთდება-რა, თავს ტყუილად დაიბეჩავებ, სხვასაც ავნებ და შენს მზე-ქალს მაგითი ვერ იპოვნიო. გამოემშვიდობა ავთანდილი და წავი-და ნესტან-დარეჯანის საძებნელად. ტარიელიც არ დამშვიდ-და და არ დაეთხოვა ძებნას, დარბოდა ტყე-ველში და ეძებ-და გამუდმებით.

ავთანდილმა ტიტი გზა გაიარა. ვისაც შეხვდებოდა, ყვე-ლას ამბავს ჰკითხავდა და ასე კითხვა-კითხვით მიაგნო. ნეს-ტან-დარეჯანს. გაიგო დაბეჯითებით, რომ ზღვას იქით ქა-ჯებს ჰყავდათ დამწყვდეული ქაჯეთის ციხეში. ავთანდილი წაშოვიდა ტარიელთან, გამოუარა ბიძა ფრიდონს, უამბო ნესტან-დარეჯანის ამბავი და შველა სთხოვა. დასდეს პირობა ბიძა-ტისწულმა და ავთანდილი წამოვიდა ქვაბში ტარიელ-თან.

ტარიელი ავთანდილს შინ არ დაუხვდა. — „მას უკან ორჯელაც აღარ მოსულა შინაო“ — უთხრა დედაბერმა ავთან-დილს. ავთანდილი გაეშურა მინდორ-ტყეში ტარიელის სა-ძებნელად. ტარიელი ნახა და ახარა „მზე-ქალის“ პოვნა. მო-ვიდნენ ქვაბში ორივენი. ავთანდილმა უთხრა ტარიელს: — აჲა, ძმაო, ჩემი ცხენი: მაღლა ასწევ აღვირს, ზეცას ავარდება, ძირს დასწევ, ქვესკნელს ჩაძრება და მათრას გადაპკრავ — ზღვაზე გაფრინდება. შეჯეპი ამ „იფრინდაზე“, გადაჲკარ მათრასი და გახტი ზღვის გალმა. მე და ბიძაჩემი ფრიდონი

ერთად წამოვალთ. ბიძაჩემი თოკს გამოაგდებს ზღვაზე, მოს-
დებს ქაჯეთის ციხეს და მე იმ თოკზე გამოვფრინდები და
ჩავხტები ციხეში კისკასათ.

ავთანდილ საჩქაროდ გამობრუნდა, მივიდა ბიძა ფრი-
ლონთან, შეეხვეწა ჩქარა წავიდეთ, მივეშველოთ ტარიელს
და თოკები ბლომად წავილოთ, რომ მისწვდეს ქაჯეთის ცი-
ხემდევო.

საწყალი ჩემი დედ-მამა რომ ჯამბაზობას მასწავლიდა,
თოკებზე რომ მარბენინებდნენ, ასე მეგონა, ბიძია ფრილონ,
ტყუილად მასწავლებენ-მეთქი!.. უბრალოთ ჩემი ტანჯვა და
სიკვდილი უნდათ ჩემ დედ-მამას-მეთქი—ვფიქრობდი მაშინ
მე უგუნური. ის-კი არ ვიცოდი, თუ ჩემი დედ-მამა ჩემ თა-
ვის გამოსადევს მასწავლიდა და მწვრთნიდა.

ბეჩავი ჩემი დედ-მამა

რა ცოდვა-ჭირით მზღიდიან:

ერთი ციხიდან სხვა ციხეს

თოკები გამოჰკიდიან;

მე ისე ფრენით გავრბოდი,

რომ ოვალნიც ვერ მაკიდიან!

მე ის მეგონა, ქვე თუ მკვლენ,

იგინი თურმე მწვრთნიდიან.

ავთანდილი და ფრილონი მოემზადნენ სამგზავროთ; ჩქა-
რაც წავიდნენ და მიაღვნენ—ქაჯეთის ციხის პირდაპირ—
ზღვას. მაშინ ავთანდილმა კიდევ უთხრა ფრილონს: აბა, ბი-
ძია, თოკების გაგდება აქედან. და წვერის მოდება ქაჯეთის
ციხეზედ შენი საცადით იყოს, და ზედ გაფრენა მე ვიციო.

ფრილონ ბიძისა ცდით იყო

გაგდება თოკებისაო,

ზე-გავლა ავთანდილისა,

როგორც მფრინავი ცისაო.

ფრილონმა მაშინვე აიღო თოკები, ესროლა და მოსდო
ქაჯეთის ციხის ბურჯს. ავთანდილმა მოიხადა ქუდი, ილო-

ცა ღმერთი, შეხტა თოკზე და გრიგალ-ქარივით წამზე ჩახ-
ტა ქაჯეთის ციხეში. დაუწყო ხოცვა-მუსვრა ქაჯებს, მაგრამ,
რამდენსაც მოჰკლავლა, იმდენი ისევ ცოცხლდებოდა და დაჭ-
რილი ადგილი უმთელდებოდათ. ამ დროს დაინახა ნესტან-
დარეჯანმა ავთანდილი და იცნო თავის ტარიელის ბიძა-
შვილი.

— აქ რამ მოგიყვანა ავთანდილ?! — დაუძახა ნესტან-და-
რეჯანმა, მაგრამ ავთანდილმა ყურიც არ ათხოვა, ის გაცხა-
რებულ ომში იყო და გუნებაში წუხდა; რომ დახოცილი
ქაჯნი ისევ ცოცხლდებოდნენ. — „ნაბდის ხმალი აიღე,
ავ-
თანდილ, ნაბდის ხმალიო“... ავთანდილმა მიიხედა გვერდზე
და დაინახა კედელზე მიყუდებული ნაბდის ხმლები. ავთან-
დილმა დაავლო ხელი ნაბდის ხმალს და დაუწყო უწყალოთ
ხოცვა ქაჯებს.

ბევრი ომისა და ბრძოლისაგან ავთანდილი მოიქანცა,
„დათვრა სისხლით“. მაშველს ვერავის ჰედავდა და უკვირ-
და ტარიელის ამბავი. მაშინ შესძახა ტარიელს: ბიძაშვილო,
„შინშო“ მიშველე, მომეხმარე, თორემ ამ მოზვავებულმა
ქაჯებმა ლამის გადაგვიარონ თავზეო.

„შინშო“, *) მიშველე, ტარიელ,

დამჭირდა შენი გმირობა!..

ავთანდილ დავსუსტებულვარ,

ქაჯებს აქვს ზემო ვლილობა!..

ტარიელი ამ დროს ციხის გალავან გარეთ იდგა, სიყვა-
რულისაგან გაშტერებულ-გახევებული და არაფერ საცალში
არ იყო. ავთანდილის დაძახილმა გამოაფხიზლა ტარიელი ამ
ლრმა გაშტერებისაგან. მაშინვე ხმა მისცა ტარიელმა ავთან-
დილს: მე აქ სურვილისაგან გახევებული კარებზე თავსა ვცემ-
დიო და არც-კი ვიცოლი, შენ შიგნით იყავი თუ არაო.

შენ შით გადახველ, ავთანდილ

*) „შინშის“ ხევსურები ბიძაშვილს უძახიან.

მე კარზე ვდგევარ, ხე ვითა;

სურვილით გახარებული

კარს დავასკდები ქვევითა...

გამოფხიზლებული ტარიელი მივარდა კარებს, დალეწა მთლად, დაამსხვრია გალავანი ციხისა, შევარდა შიგ დალეწა ყლეტა ქაჯებს. ამ დროს მოვიდა ქაჯების ხელმწიფე დიდ-ძალი ქაჯის ლაშქრით და, როცა ნახა კარები და კლი-ტეები მთლად დალეწილი, შეწუხდა და მაშინვე მიხვდა: ამას ქვეყანაზე ვერავინ ვერ შეიძლებდა ტარიელის შეტიო. ეს უთუოდ ტარიელი მოვიდა, იმან დალეწა კარ-კლიტე, ქო-ბალაქები და მიფანტ-მოფანტა მინდვრებშიო.

ქაჯებ თქვეს ტარიელისა:

„ეს საქმე მისეულია,

კარ-კლიტე, ქობალაქები

მინდორში დასრეულია“.

ტარიელმა და ავთანდილმა ამოწყვიტეს მთლად ერთიანად ქაჯების სინსილა, წამოიყვანეს ნესტან-დარეჯანი, ტა-რიელის მზე-ქალი, და წამოვიღნენ. კარგა სიარულის შემ-დეგ მოადგნენ ერთ მდინარის ხიდს. მაშინ უცებ გაიკრა ავ-თანდილმა ხმალს ხელი და შემოუქნია ნესტან-დარეჯანს: „უნდა ეხლავე გაგათავოო! — შესძახა ავთანდილმა. ნესტან-დარეჯანს შეეშინდა, პირი წაიღო და სამი ქაჯი წამოაგდო პირიდან. ავთანდილმა მაშინვე დახოცა ქაჯები. ავთანდილი, გულთმისანი, ჭკვიანი კაცი იყო და იცოდა, რომ ნესტან-დარეჯანს სამი ქაჯი ჩაუძვრა პირში. მორჩენილი და გან-კურნებული მზე-ქალი წამოიყვანეს და წამოვიღნენ დიდი სი-ხარულით და მხიარულობით.

როსტოკი

საგმირო თქმულება
(ნაწყვეტი)

...როსტოკის კბილი სტკიოდა, მიწა მიწად არ ეჩვენებოდა და ცა—ცად. მოავლებდა ხელს კოჭლს დევს და ხან აქეთ უკრავდა თავს და ხან იქით. „ჩემზე რა ბიჭობას იჩენ, გმირო როსტოკი, მიპოვე ერთი კოჭლი დევი და ხან რას მიშვრები და ხან რასაო“, უთხრა კოჭლმა დევმა: „თუ სახელი გინდა და თავის გამოჩენა, წალი ამ დაბურულს ხევში, იქ შეგხვდება საფერი და ხმალი იქ იხმარეო“. როსტოკის შერცხვა, აიღო ლახტი და ხმალი და გასწია იმ ხევისაკენ, საითკენაც კოჭლმა დევმა გაასწავლა. კარგა გზა გაიარა როსტოკმა და მიადგა ერთს კლდეს. ისეთი მაღალი კლდე იყო, რომ თვალი ვერ შესწვდებოდა იმის წვერს. კლდეს ზევით დრო და დრო სისხლი ჩამოდიოდა, როსტოკმა აიხედა ზევით და შენიშნა კლდეში გამოქვაბული. რაღა ჩემი გმირობა იქნება, თუ ჩქ არ ავალო“, იფიქრა როსტოკმა, მოჰველიჯა ერთი ჭანდარი, მიაყუდა კლდეზედ, მოჰველიჯა სხვა, ავიდა ზევით და იქ მიაყუდა.

როსტოკმა თავის სიმაგრით
მუხა მოჰველიჯა ძირითა,
ხელი გაუსო, გალოპრა,
გასტყორცნა ჯირითივითა.

როსტოკმა ახლა სხვა ჭანდრები მიაყუდა, ვიდრემდის იმათი წვერი გამოქვაბულს არ ასწვდა. როსტოკი ავიდა კიბესავით ჭანდრებზედ, შეიხედა ეხში და დაინახა ერთი უზარმაზარი არაბი. არაბს ეძინა. მუხლების შუაზედ ხანჯალი ერკო. როდესაც დასთვლემდა არაბს, დაჭხრიდა თავს და შუბლს.

დაპკრავდა ხანჯლის წვერს. იმისი სისხლი ჰუონავდა კლდეში. ამ დროს გამოიღვიძებდა ხოლმე. არაბი და გაიხედავდა. აღმოა სავლეთისაკენ. როსტომი ცოტა შეპკრთა, მაგრამ უკან დაბრუნება არ შეიძლებოდა, სირცხვილი იყო ვაჟკაცისათვის; რას ოტყოდა ხალხი. როსტომმა იფიქრა: მაინც ხომ არაფერი გამოვ, მაგასთან და ისევ ვეძმობიო. როსტომი მიუხლოვდა არაბს და დაუძახა: «ძმაო, მაგრა რათა ჰშერებიო?» არაბმა იახილა თვალები და უთხრა: ბედი შენი, რომ ძმობა მითხარ, თორემ მე გაყურებინებდი შენს სეირსაო. მოლი დაჯექ ჩემთან, ყველაფერს გიამბობო.

„ვინა ხარო!“ ჰკითხა არაბმა;

„როსტომიო!“.

„შენა გაქვს დიდი ხმაო?“ ჰკითხა არაბმა.

„მე მაქვსო“, მიუგო როსტომმა.

არაბმა დაიწყო: „მე აღმოსავლეთისაკენ იმისთვის ვიხედები, რომ იქიდგან წითელი არაბი ამხვა წითელის ზღვიდგან, და ერთს მზესავით ქალს ამოიყვანს. მე წინ უნდა დავხვდე, რადგანაც ჩემს კლდის წინ გამოატარებს. მე რომ წინ დავუხვდები, ვიომებთ და, რომელიც დავსძლევთ, ქალიც იმას დარჩება. სამრ დღე-ღამე უძღლო ვარ, რომ არ დამებინოს და წითელმა არაბმა ის ქალი არ გამაცილოს, ხანჯალი დავიყუდე მუხლებს შეა და, როდესაც ჩამთვლემს. ხანჯალს დავკრავ შუბლს და გამომეღვიძებაო“, „შენ დაიძინე და მე ვუყარაულებო, უთხრა როსტომმა: როდესაც წითელი არაბი ქალს ამოაჩენს, გაგაღვიძებო“. არაბმა უთხრა: „შენ მე ვერ გამაღვიძებ, რამდენიც უნდა იყვირო, სანამ ფეხის გულში ხანჯალს არ ჩამცემო“. არაბმა დაიძინა და როსტომმა ყარაულობა დაუწყო.

დიდხანს არ მოუნდა ლოდინი როსტომს. მალე განათდა აღმოსავლეთი, აღმოჩნდა წითელი არაბი და აღმოაჩინა ქალი. როსტომმა ბეგრი უყვირა არაბს, მაგრამ ვერ გააღვიძა. ბოლოს ხანჯალი მოაგონდა, წასცა არაბს ფეხის გულში და

გააღვიძა. როსტომმა უთხრა, მეც გიშველი წითელ არაბთან ომშით. შავმა არაბმა უთხრა: „მაშ ჩადი, ძირს რომ მინდორია, იქ ვიომებთ, ამოთხარე იქ არმო და იმაში ჩაჯეჭ, თორებ ამის დროს ჩვენი ფეხის ქარი მოგიტაცებსო. თუ შემატყობ, რომ წითელი არაბი მიპირებს მორევნას, ამოფრინდი ორმოდგან და დასჭივივლე, წითელს არაბს მუხლი მოეჭრება და დავრევო“. როსტომი ჩავიდა ძირს და დაიმალა ისე, როგორც არაბმა ასწავლა. მალე მოფრინდა წითელი არაბიც ქალით. გამოეგება შავი არაბი. ჩახტენ მინდორზედ და შეეჭმნათ ბრძოლა. დიდ-ხანს იომეს. იმათი ფეხის ქარი შოლტავდა ტყეს და ლერწამივით აკრავდა მიწის პირს.

ბოლოს წითელმა არაბმა დასძალა. ამ დროს ამოფრინდა როსტომიც და დაპუხა არაბს: „დაპკარ, შავო არაბო, როსტომი მოგეშველებაო!“ როსტომს ცის ქუხილივით ხმა ჰქოდა. წითელს არაბს მუხლი მოეჭრა და შავმა არაბმა დაპრია და მოპკლა. ქალი შავს არაბს დარჩა. როსტომიც არაბთნა იყო და ჰმსახურებდა იმათ.

როსტომი დალონდა. როსტომმა სთქვა: „სახელოვანი ვაჟკაცი წამოვსულვარ სახელის საშოვნელად და მე აქ შავს არაბს ვემსახურებიო, დახეთ ჩემს ლაჩრობას, სირცხვილს. განა დედაკაცები შინ არ შემძენდენ, რომ იმისთვის აქ არ წამოვსულიყავი და არაბისაგან არ ამელო თავზე სირცხვილიო. მოდი მაგას მოვკლავ, სირცხვილსაც ჩავრეცხ. და ქალიც მე დამრჩებაო“, იფიქრა როსტომმა და შეუდგა ასრულებასაც. არაბს ეძინა. როსტომი მისწვდა იმის ხმალს, მაგრამ ვერ შესძრა, ისე დიდი იყო. ბოლოს ამოილო თავისი ხმალი, გააზმანა არაბს კისერზედ, მაგრამ ხმალი ნახევრობამდინაც ძლივს გასწვდა კისერს. „ამ ხმლით მე არაბს თავს ვერ მოვჭრიო“, იფიქრა როსტომმა და აი რა მოიგონა: მიუტანა არაბს ფეხები, ერთად გადაუწყო ზედი-ზედ, დაპკრა ხმალი და დაპკრა ფეხები. ისკუპა როსტომმა და ამოეფარა კლდეს. წამოვარდა არაბი, მაგრამ ფეხზედ ვეღარ დაეყუდა, მოავლო

თავის ფეხს ხელი არაბმა, გასტურცნა და გაატანინა ხეები. შეუვარდა როსტომი არაბს და აკაფა ხმლით. როსტომს უნდოდა ქალის წაყვანა, მაგრამ გაუვარდა ქალი და გაექცა. ურთხელ-კი დაუძახა ქალმა: „შენ ცოლად როგორ დაგიჯდები, არაბის ლალატით მომკლავსაო. შენ რომ ისე მოგეკლა შავი არაბი, როგორც იმან წითელი მოკლა, ცოლად მაშინ გამოგყვებოდიო“.

— ნახევარი მაშინაც ჩემი იყავიო, მიაძახა როსტომმა და გამოუდგა ქალს კვალზედ. ქალი გაფრინდა მთის ნიავივით და გაიჭრა ტრიალს მინდორზედ. როსტომს შერცხვა. დაღონდა გმირი: ქალი გაექცა. როსტომმა არ იცოდა, რა ექმნა. ისარი ესროლა ქალისთვის და მოეკლა, სირცხვილი იყო: ქალზედ მახვილს როგორ იხმარებდა ვაჟკაცი. არ მოჰკლავდა და იტყოდენ: ქალმა აჯობაო. მინდორს როსტომისაკენ მთა ჰქონდა და ეს მთა ხელის გულივით დაპერდოვდა იმ ტრიალს მინდორს, აირბინა როსტომმა მთაზედ და დაპერდა იქიდვან ქალს. ქალს გული წაუვიდა და მიესვენა დაბლა. მალე მიიჭრა როსტომიც ქალთან...

ადგა როსტომი და უთხრა ქალს:

„ვიცი, შვილი გაგინჩდება და, თუ ქალია, შენთან იყოს, თუ ვაჟია, ეს ნიშანი დაკერე მხარზედ და ისე იაროსო. მისცა ნიშანი და გაერიდა დედაკაცს“. ამის შემდეგ შესძულდა როსტომს დედაკაცები. როსტომს სძულდა აგრეთვე შავი მატყლი. როსტომისთვინ ქალი და სიკვდილი ერთი იყო.

როსტომმ სთქვა: ჰქვა ღიაცისა

არც მომწონ, არც მეკეთება,

ვაჟკაცს, ღიაცის მიმყოლსა,

სამარეც დაეკვეთება.

როსტომმ სთქვა: იმ მთას, ამ მთასა

ხელს მოვკრავ, ერთად თავს ვუზამ;

თორმეტს ლიტრასა რკინასა

კბილს მოვუჭირებ, კნაპს ვუზამ;

ალაზანსა და იორსა

დაგაყენებ და ყლაპს ვუზამ;
თავ-აღებულსა დიაცსა
გავუშვებ, ველარას ვუზამ.

როსტომის სიტყვა ასრულდა. ხურომანს გაუჩნდა. ვაჟი,
რომელსაც ზურაბი დაარქვი. ზურაბი ექვსის თთვისა ისე-
თი ღონიერი იყო, რომ ბავშვებთან თაბაშობის დროს მოუ-
ჭრდა კოჭებს ხელს და დაპფუნიდა. ერთხელ ბავშვებმა გა-
აჯავრეს ზურაბი. ზურაბმა ატირა ერთი ბალლი. სწორებმა
უთხრეს: „თუ ღონიერი ხარ, გამა რომ დაგეკარგა, ის მოძე-
ბნე, ჩვენთან რა ბიჭობას იჩენო“. ზურაბს ეს ეწყინა, წყვი-
და და დედას გადაეციდა; უნდა მითხრა, ვინ იყო მამაჩემიო.
დედამ ყველათერი უამბო. მაშინ ზურაბმა აიღო საომარი
ჩაცვა ჯაჭვი და გასწია მამის საძებნელად. დედამ იფიქრა:
„მოდი, გამოვცდი ჩემ შვილს, შეუძლიან გაძლოლა, მტერი
რომ და ჰევდეს, თუ ვერაო“ ჩაიცვა ვაჟკაცურად, შეიკეცა
თმა ქუდში, აიღო აბჯარი, „შეჯდა ცხენზე და გადმოუხტა
ზურაბს: „დაპყარე იარაღები და დამნებდიო!“, დაუყვირა
ხურომანმა ზურაბს და მიაგდო ზედ ცხენი. მოტრიალდა ზუ-
რაბი, უტეკა შები ცხენს და აიტაცა ჰაერში. ხურომანს ქუ-
დი დაუარდა და თმა გადმოეშალა მხრებზედ. ზურაბმა იცნო
დედა, ხურომანი გადაეხვიო ზურაბს და დაუწყო კოცნა.

ზურაბმა სთქვა:

შავი ტყიდან გამოვიდა
ვაჟიკაცი გულოვანი;
ცხენსა იჯდა ნიავ-ქარსა,
აქროლებდა; როგორც ზღვანი;
ცხენსა შები დაუტაცე,
ავიტაცე, როგორც ქარი,
წყაზარეთი შეეკეცნა—
საყვარელნი გიშრის თმანი;
იმის მეტო ველარა სთქვა:
„მე ვარ შენი ხურომანი!“.

დედამ დალოცა ზურაბი და გაისტუმრა როსტომის სა-
ძებნელად.

ბეჭრის სიარულის შემდეგ ზურაბი მივიდა ერთ ქალაქ-ში. ქალაქის კარზე შეხვდა ერთი ბერიკაცი, რომელმაც მა-შინვე იცნო როსტომის ნიშანი ზურაბის მხარზედ. ბერიკა-ცმა იფიქრა: „როსტომმა ჯერ ისეც გაგვაოხრა და ახლა შვი-ლი რომ მოუვახომ აგვირის ამ ქალაქიდანაო მოდი, ერთმანეთს დავახოცინებ და მაშინ ჩვენც დავისვენებთო“. ბერიკაცმა უთხრა: „ქალი ხომ არა ხარ, რომ მხარზედ დაგი-კერებია რაღაცაო. დაგცინებენ, აიხსენ, შეინახე ისე, რომ არა სჩანდესო“. ზურაბმა დაუჯერა ცბიერ ბერიკაცს და რო-სტომის ნიშანი იღლის ქვეშ შეინახა. ბერიკაცმა ქალაქელებს შეატყობინა, რომ როსტომის შვილი არსე აქ. როსტომმა რომ იცნოს შვილი, სულ აგვიკლებს, და მოდით, როგორმე ერთმანეთი დავახოცინოთო. წავიდნენ და უთხრეს როსტომს რომ ქალაქში ერთი გმირი მოსულა და იშას უნდა დაეჭიდო-ვო, როსტომმა უთხრა: „მაშ კარგი, მე წავალ, ჯერ დავ-ზვერავ, რა ვაუკაცია, და მერე დავეჭიდებიო“. როსტომი მი-ვიდა და ჩაიხედა სარკმლით ხახლში, სადაც ზურაბი იყო. ზურაბმა დაინახა და დაუძახა:

რას იჭვრიტები ბანითა,

რად არ მოსდიხარ კარითა?

როსტომი დაბრუნდა და უთხრა ქალაქელებს, ხვალ შე-ვებმი თქვენ გმირსაო. ზურაბი მოსვლიუმ თვალში და ასე უთხრა ხალხს:

ზურაბ იჯდა, კოშკა ჰკვანდა;

ირგვლივ ევლო გალავანი;

მარჯვნივ ევლო აბგაროზი,

მარცხნივ იყო ფალავანი.

მერე დღეს ზურაბს მიუვიდნენ და უთხრეს: ჩვენს გმირს უნდა ეჭიდოვთ. ზურაბი დასთანხმდა: კარგი, ირანელ-ნო, ფალავნობას ნუ იკვეხითო.

— ადე, ზურაბ, მოიკმაზე,

ტანთ ჩაიცვი საომარი!

წამოდექით, ირანელნო,

ვინ ხარ უფრო ფალავანი?

— ნუ იკვეწით ფალავნობას,

თუ არა ვაქვთ ბეჭი პრტყელი;

თუ არ იცით, მე გასწავლით,

თუ-კი მოგავლევით ხელი.

როსტომი და ზურაბი იჭიდნენ. ზურაბმა დასძლია როსტომს. როსტომი შერცხვენილი დაბრუნდა უკან. ხალხს უთხრა: ნუ გეშინიანთ, ჯერ მაგის გულზედ ვარდი არ აყვა-ვებულია (ესე იგი ჯერ ქალი არ უნახავს), ჯერ ჭკვა არ და მთავრებიაო. იმ ღამეს როსტომმა ლესა დანა, იმდენი ლესა, რომ ცეცხლის ფხა აასხა, დანა ბეჭვს აიღებდა ფხით, მეორე დღეს როსტომმა შეუთვალია მომიჯნავე გმირს: „გუ-შინ გუნებაზედ არ ვიყავ და დღეს ვიჭიდნეთო“. კარგიო, შემოუთვალია ზურაბმა. არც ზურაბს დაჰკლებია რამე გუშინ-დელს აქეთაო. დანიშნულ დღეს გამოვიდა ორივე გმირი სა-ჭიდაო მოედანზედ. ზურაბმა ისევ წააჭკია როსტომი. როს-ტომმა ამოიღო დანა და ძირშიდ წასკა ზურაბს. ზურაბი გა-დაიჭკა და უთხრა როსტომს:

შენ, ბერიკაცო, რად მომქალ,

ხმალი რად დამეც ვადამდე;

შენ მამაჩემსა, როსტომსა,

საით წაუხვალ, საღამდე!

ზღვას გახვალ, იქ გამოგყვება,

ქვესკნელს ვერ დაემალები,

გერჩივნა, ცას წასულიყავ,

ვარსკალავთად ჭკუა აგელო,

ხმელეთი საჭვრეტლად გქონდეს,

მიწა სურვილად წაგელო;

ცოდვას მოინანიებდი,

თავი ძირს აღარ დაგელო!

ის თქვენმა მტერმა იხადოს, არც როსტომმა იხადა თარ-ვის სახელის გაგონებით, მაგრამ მაინც ჭკითხა;

— შე, ბოზი დიაცის. შვილო,

ნიშანი სად გაკერია?

ზურაბმა უთხრა:

— მხარს მექრა, ზრახვით შეფიჩსენ,
აი, არწივის კვერია *).

აიწია ზურაბმა მხარი და აჩვენა როსტომს თავისი ნიშანი.

ასწია გმირისა მკლავსა,
ელვანი იყვნენ ცისანი,
აიღო და შამაიკრა
დიდი ნატეხი ქვისანი:
— ვაიმე, შვილო ზურაბო,
შენ მოგეც დანა სრეული,
რისთვინ გაგზარდა დედამა,
სული ჩაჟიდგა წყეული.

მე მოგყალ, შვილო ზურაბო,
დავრჩი უშტორო ხე ვითა,
ვაიმე, შვილო ზურაბო,
მოკლულო მამის ხელითა!

ზურაბმა უთხრა:

— შენ მამაჩემი არა ხარ,
არც როსტომიანთ გვარისა,
მოლაშერე თურქი ჰყოფილხარ,
შვილი მოჰკალი თავისა!

მაშინვე როსტომმა გაპეზავნა კაცი მჭედელ მაქანაძესთან
უკვდავების წყლისთვის (მაქანაძე ქევხა მჭედელი იყო და მტუ-
რი როსტომისა).

— ქევხაო, მაქანაძეო,
შენთვის შევები დევსაო,
წამალი გამომიგზავნე,
ზურაბი მკიდავ ყელსაო.

მაქანაძე მტერი იყო როსტომისა და რაში ესიამოვნე-
ბოდა ზურაბის მორჩენა, მაგრამ არც გაუგზავნელობა ეხერ-
ხებოდა. ბოლოს გაატანა გიჯს დიაკვანს და უთხრა რომ:
„როდესაც მიუახლოვდები როსტომს, წამოჰკარ ფეხი ქვასა
და დალვარეო. მართლაც დიაკვანმა როსტომის წინ წამოჰ-
კრა ფეხი ქვას და დააქცია უკვდავების წყალი.

*) ესე იგი როსტომის ნიშანიო.

წამალი გამოუგზავნა
გიუის დიაკვნის ხელითა,
ფეხი წამოჰქრა, დაღვარა,
აივა იმის ცოდვითა.

ზურაბსაც ამოუვიდა სული. როსტომი წამოხტა, გაექანა
ქევხა მჭედელთან. მაქანაძეს ორი შვილი ჰყავდა, შეუვარდა
როსტომი, დაუგლიჯა შვილებს თავებზ და დაუყარა წინ:
„აბა შვილის სიკვდილი თუ ტკბილია, იწვნიეო“. მერე გაი-
ქცა როსტომი და ჩავარდა ზღვაში, მაგრამ ზღვამ არ ჩასძი-
რა როსტომი და მოიტივტივა ზევით. ზღვაში პირი შეიკრა,
არც ირჩობოდა როსტომი და არც გამოდიოდა ხმელად, შიგ
დასცურავდა ტალღებთან ერთად. ქალაქელებმა სთქვეს, რომ
ვინც როსტომს გამოიყვანს იქიდგან, ამდენს და ამდენს მივ-
ცემთო. ვერავინ ვერ გაბედა როსტომის ზღვიდგან გამოყვა-
ნა. ბოლოს ერთმა ბებერმა უთხრა ქალაქელებს: „თქვენ, სა-
ნამ ცოცხალი ვიქმნები, მაცხოვრეთ, მოვკვდები — დამმარხეთ
და როსტომს მე გამოვიყვან ზღვიდამაო“. ქალაქელები დას-
თანხმდენ. ბებერმა აილო შავი მატყლი, მივიდა ზღვის პირ-
ზედ და როსტომის პირდაპირ დაუწყო-რეცხვა. როსტომმა
ითმინა, ითმინა, მერე გამოსწია ბებრისაკენ განრისხებულმა.
ბებერმა დაიძახა:

დიდება და მაღლი ღმერმსა,
როსტომ გამოვიდა ზღვასა,
ცალსა ხელსა ზღვაში ურევს,
ცალით გაიქნევდა ხმალსა!

როსტომი მოუახლოვდა კიდეს და დაუყვირა ბებერს:
აი, შე სულელო ბებერო:

რა გაათეთრებს ყორანსა,
რაც უნდა ხეხო ქვიშითა!

ბებერმა გაიცინა და დაუძახა როსტომს: აი, შე რეგვე-
ნო როსტომ,

მკვდარი ვის გაუცოცხლებავ
ტირილითა და ვიშითა!

როსტომმა ჩავლო ფეხში ხელი ბებერს და გასტყორ-
ცნა ზღვაში.

ამის შემდეგ როსტომი აღარ შესულა წზღვაში. დარჩა
ხმელად და ბევრი ლექსი სთქვა თავისს მწუხარებაზე.

ოოსტომმ სთქვა: დღენიმც კრულია.

დაბადებისა ჩემისა;

სიყმე სიბერედ ვაჭციე,

დღე ვერა ვნახე ლხენისა;

ვერ გავიხარე კისერი

ულელი მედგა რკინისა.

სიბერე ძნელი ყოფილა,

შავი ქვა აეწონება,

დამჯდარი ვეღარ ადგება,

ყავარჯენს დაელონება.

თბილიშვილი საისტორიო

მეფე ერებლეს გლოვა

ვერ გაიგითა, ქართველნო,
შაგესხნათ რეინის კარია,
მეფე აღარ გეავთ ერებლე;
ბაგრატიონთა გვარია?
აღარ გაქვთ ბაირახები,
აღარ სწექს ზარბაზანია;
დაშავებულან კარავნი,
შეშეხვივნეს უმანია.
დამერთს შესტირიან ქართველი:
რათ შეგვიპურენ ბრალია...
შავი დავიცვით ტანზედა,
გავსწიორეთ საწირვია.
დედოფალი ატირდება,
იმერეთ მეფის ქალია;
მეფის ერებლეს სიკვდილი

ვინა სთქვა, რა სათქმელია?..

მეფე ერებლე ზეცას არს,

დამერთთან არს წილ-ნაყარია.

მცხეთაში აქრის კუბი სდგას,

შიგ ნათობს კელაპტარია,

შიგა წევს მეფე ერებლე,

ბაგრატიონთა გვარია.

შვილებს დაუგდი ბეგთარი,

სისხლში ნაწილმი ხმალია:

„მანამდის ვივავ, ცხენს ვიჯექ,

მივსძრენ და მოვსძრენ მთანია,

ესლა-გი თქვენ გაგიწირით,

ფხა-სისხლიანი ხმალია;

შეინახიდით, შვილებთ,

ქალაქის მეიდანია;

ერთმანეთს ნუ უღალატებთ,

მტერმა არ გთხაროსთ თვალია.“

აზატხანი და ერეკლე

ისე ადიღდა აზატხან,
თავი ძირს აფარ დაიღო:
„აქმე გარ, სტამბოლს — ხონთქარი:
უენი ჩემთან რა იყო?“
განჯის ხანს შემოუტია,
სურსათი ბევრი აიღო.
საქოსტიანოს გულისთვის
ერეკლემ ხმალი აიღო.
ერეკლემ რო ცხენი გასძრა,
სისხლმა გაიღო თქაფარი;
სისხლისა შედგა მორევი,
ცხენს შეეღება ფაფარი;
უკრავად კაცსა მოკლავდა
იმისი ცხენის ქაქანი!
ისეთი გარბის აზატხან,
როგორც ხორასნის ჩაფარი!
ერეკლე უკან მისძახდა:
„მოსვლა და წასვლა რა არი?“
— „რას შომდევ, გურჯო ერეკლე,
რა მიმაქვს შენი დავლაო?
უველა მანდ გამაშვებინე,
თოვი და ჭაბარხანაო.
იმდენი არა მიმდევს რა,
საღილი ვჭირო ხვალაო!“
— „აგრე მოგრებ თავრიზამდე,
ვით წეაზარი — გარიელსა
ცხენ-ჯორებს დაგურევინებ
ძუა-ნაღებ-ინიანსა!
სუვერენი გაგაცრუებ,
გაგისტუმრებ ცარიელსა!“

ხუნძახმა ცხენსა მიმართა,
მუხლი ვერ გაიტანათ.
კუდ ქვეშა ღებდა ლაგამსა.
თავი სად დაემალაო?
ისე შეშინდა ხუნძახი
ვეღარ ჩაიცვა ჩუსტური!
მე აქეთ ვეღარ წამოვალ,
ქართველთ სცოდნიათ ხუსტური.

დემურ უეინი

დემურ უეინი შეიძრა,
დააგდო ხორასანიო.
გადმითიარა თელავი,
თელავის მთა და ბარიო!
იქ რომ კარავი დააგო,
წითელის ლალის ფერიო!
შიგ დემურ უეინ შებოძანდა,
რა ტურთა სანახავიო!
წერა და წერა წიგნები,
შვიდ-კეცი, შვიდი მხარიო:
„ეს ქართლის ბატონს მიმირთვით,
ამისი სიტუა ჩქარიო;
ან ქალი მომცეს რუსუდან,
ან ვაჟი ამირანიო!“
გაწურა, გაჭავრდა რუსუდან,
თავს გაიშალა თშანიო.
— რომელი გათათოებულა
ბაგრატიონთა გვარიო?!

სოლალას ლექსი

სოლალა სტამბოლს წავიდა თავის სიმამრის გარზეა,
რვა დღე და ღამე იარა, ჩავიდა ხონთქრის კარზეა.
რაღაცა ბედმა უსაქმა, ვეზირი დახვდა კარზეა.
სოლალა კოცნის კალთასა, ვეზირი კოცნის თავზეა.

— ჩვენცა ერთი არაბი გვყავს, გათქმული გურჯის ტანზეა;
შენ თუ იმას ეჯირითო, თულებ¹⁾ დაგადგამ თავზეა;
ფაშიობას შენ გაჩუქამ იმ ახალციხის კარზეა.

სეისები²⁾ გამოცვივდნენ: რა გადახდება თავზეა?

— სეისებ, ნუ გეშინია, ცხენი მომგვარეთ კარზეა.
აუშვეს, გამოიყვანეს, ნაბამი შვიდსა ჯაჭვზეა.

ხუთსა სეისსა უჭირავს, ვერ იძაგრებენ გზაზეა.

გეიარ-გამოიარა იმ ჯირით-მეიდანზეა;

შავარდნულებ შემოკივლა, ხონთქარი დასძრა ტანზეა.

არაბი მოდის, მოკივის, ვით ნიავქარი მთაზეა;

სამი ჯირითი უძევს იმ გაშავებულსა მკლავზეა,

სამსავ სოლალას აქადნის, რა გადახდება თავზეა!

— აბა გემექეც, სოლალა, მოგყვე უღურის³⁾ კვალზეა.

ერთი ჯირითი ესროლა, არ წეიკარა ტანზეა,

მეორეც რომ გაისროლა, მოხვდა ცალ აბჯანდაზეა.

ცალ აბჯანდა შეაწყვიტა, გადგა ცალ აბჯანდაზეა.

— რას შვრები; მკლავო, ოხერო, თვალი მეჭირა სხვაზეა!

აბა, მობრუნდი, არაბო! მოგყვე ღვთის სამართალზეა.

ერთი ასეთი დაპკივლა, ფერი უცვალა ტანზეა;

ცხენი ცხენზე შეაჯდინა, ჯირითი დაპკრა ბეჭზეა.

არაბი ძირს გადმოვარდა, სული არ დაპყვა ტანზეა;

მოლიები, ხოჯიები ქითაბს⁴⁾ აბერტყენ თავზეა.

¹⁾ თული, ჯილა, ფაშის ნიშანი, თავზე დასადგმელი.

²⁾ სეისი—მეჯინიბე

³⁾ უღური—ბედი.

⁴⁾ ქითაბი მაჰმადიანთა სამღრთო წიგნია.

ქთამ-მითამი ქარს არა იქს, ქურქი წაბურეთ თავზეა.

სოლალასა შეეშინა, პაპუცებს ჰყრიდა გზაზეა.

შენ, სოლალა, ნუ გეშინის, თულებ დაგადგამ თავზეა,
ფაშიობას შენ გაჩუქამ იმ ახალციხის კარზეა.

— მურად-მურადის ¹⁾ ჭირიმე, კარგა ისაქმე გზაზეა.

საცლა მიგიყვან თემასა, ქილიკით ²⁾ დაგიდგამ ქერსა.

აბრეშუმის ფორბას ³⁾ მოგცემ, საპნითა დაგბან ფერხსა,

ყოვლისა ვახტის ⁴⁾ ლოცვაზედ შენ შეგახვეწებ ღმერთსა.

პირუტყვთა ეპოდი

საბრალო დედაბრისასა თავვნი ყანასა მკიანო,

ლომნი უგრეხენ ულოსა და ვეფხვნი შეუკვრიანო;

დევნი ურემსა აბიან, ირემნი ძნასა ჰყრიანო;

შველნი კევრებში შებმულან, კალოს გარს დარბენიანო.

ზედ ანგელოზნი უსხედან, წვრილ ხმაზედ დასძახიანო;

ჭინკები მარდად უქცევენ, ყანასა გაპფოცხიანო;

ტახნი მისწევენ კალოსა, მელები კუდით ჰგვიანო;

წერონი ანიავებენ და ბატნი დაკვმაზიანო;

დათვებს ჰკიდიათ ტოშრები, რომოში პურსა ჰყრიანო;

მგლები წისქვილში გაგზავნეს, პურს მალე დაუფქვიანო;

შაშვი ფქვილს მტკიცავს, გნოლი ჰზელს, კაჭკაჭნი ამოჰქნიანო:

მტრედნი ჩაკვრენ ლავაშსა და გვრიტნი ამოჰყრიანო.

ვარიები ამზადებენ, იხვნი სუფრასა ჰშლიანო;

ზეცას ტოროლა გაპგზავნეს, ფრინველნი მოჰკრიბიანო;

შენს მადლსა, ჩხიკვნი ნუ გინდა, სუფრასა აგვიშლიანო.

სილამაზითა ხოხობი შუაში ჩაისვიანო,

¹⁾ მურად—მურადი—ცხენის სახელი. სიტყვა მურად ნიშნავს წადილს.

²⁾ ქილიკი—საწყარა, როგორც კოდი.

³⁾ ფორბა—თოფრა.

⁴⁾ ვახტი—ჟამი, ვადა.

ბულბული გალობისათვის სულ თავსა დაისციანო;
საწყალი ბერი ქედანი ბოლოში მოიგდიანო.
ერთად სმენ, სჭამენ, ლხინობენ, ჰარალეს დასძახიანო.

მეღია და მწყერ-ჩიტა

მშიერმა მეღიამ ლეშს მიაგნო და ლონივრად მიაძლა. გაუჭირდა მონელება. შეეხვეწა წყერ-ჩიტასა: მეზობელო, ოლონდ კი ეს საჭმელი მომანელებინე და, ზავი არ მომიკვდება, ჩემს დღეში შენს ბარტყებს პირს არ ვახლებო. — „კარგიო“, უთხრა მწყერ-ჩიტამა; „მე ავტრინდები და შენ უკან ფეხ-დაფეხ მომყეო“. აფრინდა და გაიდევნა უკან მელია. ხან მინდორზედ არბენინა, ხან ჩირგვებზედ ახტუნა, ხან წყალში ატოპინა. იმდენი ახეტიალა, მინამ ფერდები დაასკდებოდა.

„ნათლიმამ, მოინელე თუ არაო?“ ჰკითხა მწყერ-ჩიტამ. — „მონელებით მოვინელეო“, უპასუხა მეღამ, „მაგრამ ახლა სიცილი მომინდა ძალიანაო; ერთი გულიანად მაცინე და შენს შვილი-შვილებსაც არას დაუშავებო“. — „კარგიო, ეგეც ადვილი. სამსახურიაო, გამომყევ უკან და სიცილითაც გაგაძლობო“, უთხრა მწყერ-ჩიტამ. მწყერ-ჩიტამ მიიყვანა მეღა კალოზე დაძნაში დამალა. თვითონ მითრინდა და ხარს რქაზედ დაჯდა. გლეხმა სახრე მოუქნია მწყერ-ჩიტასა, მაგრამ ის სწრაფად გაუსრიალდა, სახრე ხარს მოხვდა რქაში და მოსტეხა. მეღია იცინის, იცინის, კვდება სიცილითა.

მერე მწყერ-ჩიტა მაწვნის ქოთანზედ დაჯდა. ქვა ესროლეს, მწყერ-ჩიტამ აიცდინა, მოხვდა ქოთანსა, ქოთანი გატყდა და მაწონი კალოზედ დაიღვარა. მეღია იცინის, იცინის, კვდება სიცილითა. მესამედ მწყერ-ჩიტა ბავშვს დააჯდა თავზედ. ბავშვმა სახრე მოუქნია, უნდოდა. მოეკლა, მოირტყა თავში და მორთო ბლრიალი. მეღია იცინის, იცინის, კვდება სიცილითა.

მითრინდა მწყერ-ჩიტა მეღიასთან და ჰკითხა: „კაი სეირი გაჩვენე, თუ არაო?“ ამ დროს მეღიას კიდეც მოჰშივნდა,

წაატანა პირი, უნდოდა მწყერ-ჩიტა დაეჭირა და შეეჭამა. მწყერ-ჩიტა აფრინდა, მელიას ზემოდ ძნაზედ დასჯდა და უთხრა; „ერთი სეირი კიდევ უნდა გაჩვენოო“. მიეპარნენ მწყერ-ჩიტას და დაუქნიეს დიდი სახრე. აიცდინა მწყერ-ჩიტამ სახრე, მოჰვედა მელას შიგ თავში და შუაზედ გაუტეხა. აფრინდა მწყერ-ჩიტა, გასწია თავისს ბინაზედ და მელას მიაძახა: „სადაც შენი სთქვა, იქ ჩემიცა სთქვიო“.

ჩიტა და მელა

იყო ერთი ჩიტი-ჩიორა. ტყეში ხეზედ მოხერხებული ადგილი იპოვნა და ბუდე გაიკეთა. მერე შიგ ჩაჯდა და სამი კვერცხი დასდო. სამს კვირაზედ გამოსჩიკა პატარა ჩიორები. დედა თავისს შვილებს უზიდავდა კალიებსა, პეპელებსა, ბუზებსა, აჭმევდა და ზრდიდა. დიდს სიხარულში იყო ჩიორა: ჩქარა დავაფრენ ჩემს ბარტყებსაო. მაგრამ მალე უბედურება ეწია. წყეულმა მელამ ბუდეს მიაგნო, ხის ძირში მიცუნცულდა და ჩიორას შესძახა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!
— რაო, ბატონო მელაო?
— ერთი შვილი გადმომიგდე,
თორემ შავს დღეს დაგაყენებ:
ცულს მოვიტან, ცუნცულასა,
ხელეჩოსა და წალდუნასა,
ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,
შენც შეგჭამ და შენს შილსაცა.

შეეშინდა საწყალს ჩიორას, აიყვანა ერთი ბარტყი და გად-
მოუგდო მელიასა. მელამ პირი დაავლო, ბუჩქებში გაარბენი-
ნა და გადაყლაპა. მეორედ კიდევ მიირბინა და შესძახა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!
— რაო, ბატონო მელაო?
— ერთი შვილი გადმომიგდე,
თორემ შავს დღეს დაგაყენებ:
ცულს მოვიტან, ცუნცულასა,

ხელებოს და წალდუნასა,
ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,
შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა.

დალონებულმა ჩიორამ მეორე ბარტყიც აიყვანა და მელიას გადმოუგდოა მელამ პირი სტაცა, ბუჩქებში გაარბენინა და გადაყლაპა. მესამედაც მიცუნცულდა და ჩიტს შესძახა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!
— რაო, ბატონო მელაო?
— ერთი შვილი გადმომიგდე,
თორემ შავს დღეს დაგაყენებ:
ცულს მოვიტან, ცუნცულასა,
ხელებოს და წალდუნასა
ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,
შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა.

მწარედ დალონებულმა ჩიორამ მესამე ბარტყიც აიყვანა და მელიას გადმოუგდო. მელამ გაარბენინა და ისიც სწრაფად გადაყლაპა.

სუბედური ჩიტი აფრინდა და მოშორდა იმ არე-მარეს. შემოჯდა ერთს ხეზედ მეტად დალონებული. მონადირემ დაინახა და ჰკითხა: „ეგრე მწარედ რამ დაგალონა, ჩიორაო?“ — არ გებრალები, ერთმა წუწკმა მელამ შვილები სრულიად დამიშამაო. — „აბა, წამო, მიჩვენე ის წყეული და მე გაყურებინებ იმის სეირსაო.“ ჩიტი გაუძლვა მონადირეს და მელასთან მირყვანა. მონადირემ მელას თოფი ესროლა, შიგ პირში მოარტყა და კბილები ჩაიყრევინა.

ზ ღ ა პ ა რ ნ ტ

გველი და გლეხი

იყო ერთი ბედნიერი ხემწიფე. დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ყველა ბედნიერი იყო იმის სახემწიფოში, ყველა სიხარულსა და ნეტარებაში იყო.

ერთხელ ამ ხემწიფემ სიზმარი ნახა. სიზმარში იმის სახლში ჭერიდგან კუდით მელა ჩამოეკიდნათ. გამოელვიძა, ვერ

მიჰხედა, სიზმარი რასა პნიშნავდა. შეკრიბა თავისი ნაზირ-ვეზირები; მაგრამ ვერც იმათ გამოიცნეს, ეს სიზმარი რას მოასწავებდა.

მერე ბრძანა: შეკრიბეთ მთელი ჩემი სახემწიფო, ეგების მიჰხედეს ვინმეო. მესამე დღეს მთელი იმის სახემწიფოს ხალხი სულ ხემწიფის სასახლეში იკრიბებოდა. სხვათა შორის ერთი საწყალი გლეხიც მოდიოდა.

ერთგან ერთი ბილიკი უნდა გაეარა. ბილიკის აქედ-იქიდგან სულ პიტალო კლდეები იყო აყუდებული. აქ რო მოვიდა ის გლეხი, ნახა, ბილიკზე გველი გაწოლილა, ყელი წამოუღერებია და ენა გამოუგდია.

გლეხი რო ახლო მივიდა, გველმა შესძახა: გამარჯობა, საღ მიხვალ, გლეხოო? გლეხმა შესჩივლა თავისი გაჭირება. გველმა უთხრა: შენ შაგისჩ ნუ გეშინიან; პირობა მომე, რო რაც ხემწიფემ მოგცეს, შუა ჭამიყო და გასწავლიო. გლეხს გაუხარდა, პირობა მისცა და ფიციც დაუდო რო სუ მთლად შენ მოგიტან, რასაც ხემწიფე მიწყალობებს, ოლონდ ამ ხიფათს გადამარჩინეო. გველმა უთხრა: მე ნახევარიც მეყოფა, ნახევარი შენი იყოსო, და ხემწიფესთან რო მიხვიდე, ასე მოახსენე: მელა იმასა პნიშნავს, რომ შენ სახემწიფოში ყველგან მელობაა, პირფერობა და მოღალატობაო.

გლეხი წავიდა, იახლა ხემწიფეს და მოახსენა, როგორც გველმა ასწავლა. ხემწიფეს ძალიან მოეწონა და დიდი მოწყალება უბოძა. გლეხი იმ გზით აღარ გამობრუნდა, რომ გველს შეკროდა და სხვა გზით მოუარა.

გავიდა რამდენიმე ხანი. ხემწიფემ სხვა სიზმარი ნახა; სიზმარში ბანიდგან შიშველა ხმალი ჩამოუკიდეს; მეფემ იმ წამსვე იმ გლეხთან აფრინა კაცი და დაიბარა. გლეხს მეტის ჯავრით კინალამ გულს შემოეყარა. მეტი ილაჯი არ იყო, გლეხი ისევ იმ წინანდელ ბილიკს დაგდგა.

მივიდა იმ ადგილს, საცა წინად გველი ნახა, მაგრამ ეხლა კი გველი იქ აღარ დაუხვდა. დაუძახა: გველო, გამოდი

ერთ წამს, საქმე მაქვსო. თავი რო მოაბეჭრა, გველიც გა-
მოვიდა. ჰკითხა: რა გინდა, რა გაგჭირებია? გლეხმა უთხრა:
ესე დ ესეა ჩემი საქმე და უნდა მიშველო რამეო. გველმა უთხ-
რა: წადი, უთხარი მეფეს, რომ შიშველი ხმალი ომს მოასწა-
ვებს, — ეხლა მაგას. შინ თუ გარეთ, ყველგან მტრემი აეშლე-
ბიან, ომს ჯაუმართვენ და ეგეც მოემზადოსო.

გლეხმა მადლობა უთხრა და წავიდა. მივიდა დ მეფეს ისე
მოახსენა, როგორც გველმა ასწავლა. მეფეს მოეწონა, ომის-
თვის მზადება იწყო და გლეხსაც დიდი წყალობა უბოძა. ეხ-
ლა გლეხი პირდაპირ იმ ტილიკით წავიდა, საცა გველი ეგუ-
ლებოდა. გველმა უთხრა: აბა მოშიტანე ნახევარი, შენ რომ
დამპირდიო. გლეხმა უპასუხა: ნახევარი კი არა, შავი ქვა-
მოგიტანე და ნაცარი ცხელიო. იძრო თან ხმალი და გამოუ-
დგა. გველმა სოროში შეასწრო, მაგრამ გლეხმა მაინც კიდევ
წამოასწრო და ხმლით ბოლო წაკვეცა.

გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი. ხემწიფემ კიდევ სიზმარი
ნახა. სიზმარში იმის ბანიდგან დაკლული ცხვარი ჩამოეკიდ-
ნათ. მეფემ ისევ იმ გლეხთან აფრინა კაცი. ეს გლეხი ეხლა
უფრო ძალიან შეშინდა. ეხლა რაღა უთხრა; მეფეს რო ვია-
ხლოვო. აქამდის კიდე გველი მასწავლიდა, მაგრამ ეხლა ხო
ისიც აღარას მასწავლის, — სიკეთის მაგიერ ხმლით ბოლო
წაკვეცეო.

მაინც კიდე იმ ბილიკით წავიდა. იმ აღგილს რო მივიდა,
საცა გველი იყო, დაუძახა: გველო, ერთ წამს აქ გამო, უნ-
და გითხრა რამეო. გველი გამოვიდა. კაცმა უამბო თავისი
გაჭირება. გველმა უთხრა: თუ ნახევარს მე მომცემ, რასაც
ხემწიფე გიწყალობებს, გეტყვიო. გლეხი დაპირდა და ფიცი
მისცა. გველმა უთხრა, ეგ იმასა პნიშნავს, რო ეხლა ყველ-
გან სიმშვიდე ჩამოვარდება, ხალხი ცხვარივით მშვიდი და
წყნარი იქნებაო.

გლეხმა მადლობა უთხრა და წავიდა. ხემწიფესთან რომ
მივიდა, ისე მოახსენა, როგორც გველმა ასწავლა. მეფეს ძა-

ლიან მოეწონა და უფრო ღიღი წყალობა უბობა. გლეხი იმა-
ვე გზით გამობრუნდა უკან, საცა გველი ეგულებოდა. მივი-
და გველთან, მიართვა ყველაფერი, რაც კი ხემწიფისაგან მი-
ელო და უთხრა: ცოტა ხანს აქ მომითმინე და ეხლავე იმასაც
მოგარომევ, რაც წინადაც მიმილია ხემწიფისაგანაო. თანაც
ბოდიშს იხდიდა, რო წინად გაწყენინეო. გველმა უთხრა: შენ
მაგისი დარდი ნუ გექმნება, არას გემდურები; ეგ ხო შენი
ბრალი არ იყო. პირველად, როცა მთელი ხალხი სულ ორ-
პირი, მატყუარა, პირფერი და მოლალატე იყო, შენც მე
მაშინ დამპირდნ და სხვა გზით კი წახველ შინაო. მეორედ,
როცა ყველგან ომიანობა, ჩხუბი და ხოცვა ასტყდა, შენ მე
მაშინ მეჩხუბე და კუდი მომაკვეცეო. ეხლა, როცა ყველგან
მშვიდობა და სიყვარული ჩამოვარდა, შენც მაშინ ყველაფერი
მე მომიტანე და მომართვით. წადი, ძმაო, ღმერთმა მშვიდო-
ბაში მოგახმაროს, მე შენი არა მინდა-რაო და შესრიალდა
გველი თავის სოროში.

ხელმწიფის ცოლი, ქალ-ბაყაეთ.

(სამოძღვრებო)

ერთ სოფელში, სოლომონ ბრძენის დროს, სცხოვრებდა
ერთი მეტად საწყალი და დავრდომილი კაცი, რომელსაც
სახელათ ეძახდნენ ფასოს. ამას ჰყვანდა: ცოლი ზილფა,
შვილები წიწა და მაზა და ქალი ნაზიკო. თავისი ცოლ-
შვილი საცოდავს შიმშილით ეხოცებოდა, ძლივს ვაითა და
ვაგლახით შოულობდა დღიური ლუკმას მათ გამოსაზრდელათ;
ესრეთს მწუხარებაში ატარებდა თავის სიცოცხლეს. როდესაც
მეტად შეაწუხა სილარიბეჭ და ველარ საით ველარა იშოვნა-
რა, უთხრა ტირილით და თავში ცემით თავის ცოლ-შვილს:
„ჩემო საყვარლებო და ჩემო სიცოცხლენო, ხომ მჩედავთ,
დღე არა მაქვს მოსვენება და ლამესაც დღეთ გარდავაქცევ
ხოლმე, ვმუშაობ, ვწვალობ, მაგრამ მაინც ჩემს ნამუშავარს
ბარაქა ვერ დავდე და ერთხელ რიგიანათ კუჭი ვერ გაგიძლევთ

და ვერცა-რა ტანზე ჩაგაცვით. მე ჭხედავ, რომ, თუ ერთს
ან ორს წელიწადს კარში არ ვავედი და არ საით არ გადა-
ვარდი სარჩოს საშოვნელათ, ჩვენ ფიტს ვერ მოვიკრამთ,
მაგრამ რა ვქნა, რომ თქვენი ჯავრი თან გამყვება, არც დღე
მომასვენებს და არც ლამეო!“ ცოლშვილმა უპასუხა: „, შენ
ჩვენი ჯავრი ნუ გექნება, წალი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს
და იგი იყოს შენი მშველელი და შემწე, მან წარგიმართოს
გზა და მოგცეს, რასაც კეთილს ეძებდე და სთხოვდე წმინდის
გულით, მხოლოდ ამას კი გეხვეწებით, რომ სამ წელიწადზე
მეტი კი არსად დადგე, თუნდა იშოვნო რამე და თუნდა არა;
ამ დროს განმავლობაში ჩვენ, ღვთის შეწევნით, როგორც
იქნება, ვიცხოვრებთო!“.

ეს რომ გაიგონა ფასომ თავის ცოლ-შვილისაგან, მეტად
ხმა შალლა დაიწყო ტირილი. ადგა ფეხშიშველი, თავშიშველი,
ტანზე ათასნაირათ დაკონკებული ჩოხით და უნდა წავიდეს,
ვინ იცის საითკენ! როდესაც გამოვიდა კარში, დაუძახა
ცოლსა და შვილებს, დაჰკოცნა ქვითინით და ცრემლების
დენით და განშორენენ ერთმანეთს. განშორების დროს,
თუმცა ცოლმა გული ვეღარ მოიბრუნა ტირილისაგან, მაგ-
რამ, როგორც იყო, ამოილულლულა: „, კაცო, შენ გენაცვა-
ლოს ჩემი თავი, მშიერი და მწყურვალი რად მიხვალ? ავა-
ეს ნახევარი მჭიდი მაინც ჩიიდე ჯიბეში!“ ქმარმა უპასუხა:
„, ჩემო სიცოცხლევ, მაგის მეტი ხოშ არა გრჩებათ-რა და
ეგეც რომ მე წავილო, — თქვენ რაღა გეშველებათ?“ ესრეთ
ტირილით, მწუხარებით და დამწვარ-დადაგულის გულით გა-
შორდა ცოლშვილს.

იარა რამდენიმე დღე და ლამე; შეწუხდა მეტად შიმში-
ლისა და სიტიტვლისაგან. შიმშილს იკლავდა ბალახების ძი-
რით და სიტიტვლეს იფარავდა გზაზე ნაპოვნის და მოკრე-
ფილის ძონძებით. შემდგომ რამდენისამე დროებისა მიაწია იმ
ქალაქს, სადაც მეფობდა ბრძენი სოლომონი. იმ ქალაქში
კარგა ხანი იარა, მაგრამ ალაგი ვერსად იშოვნა, რომ მო-

ჯამაგირეთ დამდგარიყო. შეჰვდნენ-კი ისეთი მოწყალე ხალ-
ხი, რომელნიც შეძლების და გვარათ აძლევდნენ მოწყალებას,
რაღანაც ახსომდათ სოლომონის მამის დაწერილ წიგნიდან
— ფსალმუნებიდან: „ნეტარ არს, რომელმან გულის ხმა ჰყოს
გლახაკისა და დავრდომილისა, დღესა ბოროტსა იხსნას იგი
უფალმან“ (ფსალ. მ. ა.). ტანზე შეიმოსა ცოტა წესიერათ,
ორისა და სამის კვირის განმავლობაში მოეცა ფერი და სა-
პატიო კაცს დაემგზავსა. შემდეგ მივიდა სოლომონ ბრძენ-
თან და მოახსენა: „ბატონო, ერთი საწყალი კაცი გახლავარ,
მინდა მოჯამაგირეთ დავდგე საღმე და ალაგი ვერსად მიშოვ-
ნია; გთხოვ, ბატონო, შენი ჭირიმე, მიმსახუროთ და, რისაც
ღირსი აღმოვჩნდე, — მიბოძოთ, რომ ჩემ საცოდავ ცოლ-შვილს
შივუტანო რამე“, ბრძენმა სოლომონმა არც ვინაობა ჰკითხა,
არც საღაურობა და უბრძანა: „წელიწადში როგორ დადგე-
ბიო?“ საბრალო კაცი შეფიქრდა: ბევრი ვთხოვო, ვაი თუ
არ დამიჭიროს და ცოტა რას მიზამსო! იმ საცოდავმა არ
იცოდა, თუ რასაც სთხოვდა, — მისცემდა. კიდევ განუმეორა:
„რასა თხოულობ წელიწადშიო?“ მოახსენა შიშით და მე-
ტად შეწუხებულის ხმით: „სამ თუმანსო“. სოლომონმა
უბრძანა: „კარგი, შვილო, სამ თუმანს მოგცემ წლის დას-
რულებაზედ და ამას-კი გეტყვი: მაშინ, როდესაც ფულს
დაგითვლი, თუნდა ის ფული წაიღე და წადი, თუნდა ერთს
სიტყვას გასწავლი და ფული მე დამრჩესო“ დასდვეს ქსრე-
თი პირობა.

ამ ღარიბმა, საცოდავმა კაცმა — ფასომ დაიშვი სამსახური
და მეტად კარგად ემსახურება, ყოველს საქმეში დაუღალივი
და დაუზარებელი არის, ღმერთიც ხელს უმართავს და ყოველ
უამს სოლომონს მოსწონს მისი საქმე. ესრეთ გაატარა ერთი
წელიწადი და მეტათ უხარია და ფიქრობს: ჩემს სიცოცხლეში
ხომ სამი თუმანი ფიქრათაც არ მომსვლია, არამც თუ ხელში
მჭეროდეს; ეხლა რომ ეს სამი თუმანი ჩემ ცოლ-შვილში მი-
ვიტანო, ძრიელ მდიდრები ვიქნებითო. როდესაც გავიდა

წელიწადი, მოახსენა: „ბატონო, ჯამაგირი მიბოძეთ, ჩემ ცოლ-შვილს მივეშველოო“ . ხმის ამოულებლივ გამოსწია უჯრას, ამოილო ვერცხლის მანეთები, დაუთვალა სრულებით და და-უწყო სტოლზე; მერე უთხრა: „აი, შვილო, შენი ჯამაგირი, ძრიელ კარგი ყმაწვილი კაცი ხარ, მომწონს შენი სამსახური, არასოდეს შენგან არა მწყენია-რა, თუ გინდა, აიღე ეგ ფული და წადი, როგორც პირობა გვაქვს, თუ არა და—ერთს სი-ტყვას გასწავლი და ეგ ფული მე დამრჩესო“ . ამ სიტყვაზე ფასო ძრიელ დაფიქრდა, არც ფული ემეტება და წასვლაც უნდა. კარგა ხანი იყოყმანა და მერე მოახსენა: მასწავლეო. სოლომონმა გამოსწია უჯრას, მოუსვა ხელი და ჩაყარა. მე-რე უთხრა: „აი, შვილო. ეს ჩემი სწავლა გახსოვდეს: თუ ვინმემ გვითხოს რამე, უცებ ნუ უპასუხებ, დაფიქრდი და რაც სასიამოვნო იყოს, ის უთხარიო“ . ეს იყო სწავლება სოლომონისა. დალონდა ეს საცოდავი ყმაწვილი კაცი. ფი-ქრობს: რა ვქნა? წავიდე შინ, ცარიელი როგორ მივიდე? არ წავიდე და ცოლ-შვილის ჯავრი მაწუხებს!... ძრიელ ბევრს ხანს იფიქრა და შემდგომ გარდასწყვიტა: ერთს წელიწადს კიდევ ვემსახურები, ეგები წარსულის წლის ჯამაგირიც და ამ წლისაც გამოვიტანო.

სოლომონ ბრძენმა, რასაკვირველია, შეატყო, რომ მე-ტად შეწუხდა, მაგრამ სრულებითაც არ შეებრალა! უთუოთ იმისთვის, რომ, იცოდა სწავლა უნაყოფოთ არ დარჩებოდა, და უბრძანა: წადიო. საბრალომ მოახსენა: „ბატონო, ნათ ქვამია, ცარიელს კაცს საბაჟოზე მიუხაროდაო; რომ წავიდე, რა მივუტანო“ ჩემ საცოდავ ცოლ-შვილს? გთხოვ, შენი ჭი-რიმე, შენ სადლეგრძელოთ, ერთს წელიწადს კიდევ მიმსა-ხუროო.“ — „კარგი, შვილო, მაგაზე უარს არ გეტყვი, დარჩი ჩემთან, მხოლოდ ჯამაგირზე მომირივდიო, რასა მთხოვო?“ მოახსენა კანკალით და კრინტ-ჩაწყვეტილი, ძლივ გასაგონის ხმით: „თთი თუმანი მიბოძეთ, შენი ჭირიმე“ — „ძრიელ კარგი, შვილო, ათ თუმანს დაგითვლი, როდესაც ყავლს გაათავებ,

თუნდა ფული წაიღე და თუნდა ერთს სიტყვას გასწავლიდა
ფული მე დამრჩესო". მორიგდნენ ესრეთის პირობით.

დაიწყო სამსახური. ამ მეორე წელიწადს ბევრად
უფრო გულ-მოდგინედ ემსახურებოდა. ქტყობა ის ჰქონ-
და გულში, რომ ჯამაგირი ავილო და საქმე კი არ გავა-
კეთო—ცოდვა არის და ლმერთი ესრეთ ტყუილათ აღებულს
ფულს არ მომახმარსო. ამ ერთგულის და პატიოსნურის
სამსახურისათვის ძლიერ შეიყვარა სოლომონ ბრძენმა. გავიდა
წელიწადი და უხარია ამ საბრალო ფასოს: ათ თუმანს მიუ-
ტანს თავის ცოლშვილს და გაახარებს, დაჰკარგამენ სილარი-
ბეს და იცხოვრებენ ბეღნიერათ. მოახსენა ფასომ სოლომონს:
— „ბატონო, მიბოძეთ ჩემი ჯამაგირი, რომ მივეშველო ჩემ
საცოდავ ცოლ-შვილსო". სოლომონმაც, რა საკვირველია,
მის თხოვნაზე გამოსწია უჯრას, ამოკრიფა ვერცხლის მანე-
თები, დათვალია, დააწყო სტოლზე და უთხრა: „აი, შვილო,
შენი ერთის წლის ჯამაგირი—ასი მანეთი. თუ გინდა, აიღ
და წადი, თუ არა და—ერთს სიტყვას გასწავლი, როგორც
პირობა გვქონდა, და ეგ ფული მე დამრჩესო". საცოდავი,
სილარიბისაგან დამწვარ-დადაგული კაცი, დაჰკურებს მშვენი-
ერს, ახალ მოჭრილს მანეთებს... რა ჰქნას? ფულიც უნდა
და კიდეც უნდა, რომ ისწავლოს რამე. იყოყმანა ძლიერ
ბევრ ხანს; იმდენი გრძნობა და ჭკუა მოიხმარა, რომ ფულს
ისევ სწავლა არჩია და მოახსენა: მასწავლეო. სოლომონმა
გამოსწია უჯრას, გაღმოუსვა ხელი, ჩაყარა ფული და უთხრა:
— „აი, შვილო, გახსომდეს ჩემი სწავლა: რაც შენი საქმე
ორ იყოს და, რასაც ვერ შესწვდებოდე, — ნუ შაეწვდებიო".
დალონდა ეს საცოდავი, გულმა ფრიალი დაუწყო და სიმწა-
რისაგან ვეღარა გაიგო-რა. მოაგონდა ცოლ-შვილი და გად-
შოჰყარა ცხარე ცრემლები და მისი კვალი ისე დააჩნდა ლო-
კებზე, თითქოს მდუღარე წყალი ჩამოუსხამთო. თუმცა უველა
ეს ნახა სოლომონმა, მაგრამ სრულებითაც არ შეებრალა.
უბრძანა: წადიო. მაგრამ სად წავიდეს, როდესაც, საგზაოთ

ერთი გროშიც არა აქვს?! შემდგომ ბევრის ფიქრისა მოახსენა: „ბატონო, ერთს წელიწადსაც კიდევ მიმსახურე შენს სადღეგრძელოთო“.—„კარგი, შვილო, შენი კარგი სამსახურისათვის ძრიელ მიყვარხარო; ამასთანავე ანუგეშა კიდეც: შენის ერთგულის და დაუზარებელის სამსახურისათვის ღმერთი არ დაგკარგამს; თუ შენი ფული ჩემთან რჩება, ეს იმიტომ, რომ სწავლობ რასმეო. საცხოვრებლის და ფულის ჯიბეში წყობას, თავში რომ ეწყოს — ისა სჯობია: ჯიბიდან ან დაიკარგება, ან მოპეარავს ვინმე, და ან ძალით წაართმევენ, ხოლო თავიდან ვერსად ვერ დაჲკარგამს, არამედ სიკვდილამდის დარჩება პატრონთან და, როდესაც დასჭირდება, მოიხმარსო. ამ სიტყვების შემდეგ უბრძანა: „რას ითხოვ ამ მესამე წელიწადსო?“ რაკი ამ საწყალმა კაცმა გაიგონა ტკბილი ლაპარაკი, ქება და სამსახურის მოწონება, იფიქრა: რაც უნდა ვთხოვო, მომცემსო და მოახსენა: „ოცდა ათი თუმანი მიბოძეთ, შენი ჭირიმე, წელიწადშიო“.—„კარგი, შვილო, ოცდა ათ თუმანს მოგცემ, წელიწადს რომ გაათავებ — დაგითვლი შენს ჯამაგირს, თუნდა ფული წაიღედა თუნდა ერთს სიტყვას გასწავლი და, ჩემა ფული მევე დამრჩესო“*. მორიგდნენ ესრეთის პირობით.

დადგა მესამე წელიწადი და დაიწყო სამსახური. რასაკვირველია, როგორც ჯამაგირი მოიმატა, ისრე ყოველს საქმეზე ბეჯითია, არც დღე ჰზოგავს თავის თავს და არც ღამე ისვენებს, მის თვალებს ძილი არ ეკარება; რა საქმესაც ხვალისთვის უბრძანებს და დაავალებს გაკეთებას, ის იმას გათენებამდის დასრულებული და გათავებული აქვს. სოლომონ ბრძენსაც მოსწონს მისი სამსახური და აქებს ყოველთვის. სრულდება წელიწადი და უხარისან საცოდავ ფასოს; ფიქრობს: ოცდა ათ თუმანს მივიტან ჩემ სახლში და გავახარებ ჩემს საცოდავს ცოლ-შვილსაო. გავიდა წელიწადი, მოსთხოვა ფული და სოლომონმაც დაუყოვნებლივ ახადთ პატარა ყუთსა, ამოკრიფა ახალ-ახალი ოქროსა და ვერცხლის მანეთები, და-

უთვალი სამასი მანეთი, დაუწყო სტოლზე და უბრძანა: „აი შვილო, შენი ჯამაგირი, შენც დათვალე, ხომ არა აკლია-რაო“. და იმასაც დაათვლევინა. სიხარულისაგან ხელები უკან-კალებს, გული უფაცფაცებს, თვალები უჭრელდება ოქროსა და ვერცხლის ბჭყვრიალი მანეთების ყურებით. დათვლა რომ გაათავა და დააწყო სტოლზე, კიდევ უბრძანა: „თუნდა აკრიფე და წაიღე, თუნდა ერთს სიტყვასაც გასწავლი და ეგ ფული მე დამრჩესო!“. ამ საწყალ კაცს ცეცხლი სცვივა თვა-ლებიდან, უნდა აკრიფოს და ვერც გაუბედნია: ფულიც უნდა და სწავლაც!... ფიქრობს, ყოყმანობს, არის ერთს გაჭირვებაში... უბრძანა სოლომონმა: „რაღას ფიქრობ? თუნ-და ფული აკრიფე და წადი, თუნდა ერთს სიტყვას გასწავ-ლიო!“. დახედე ამ საწყალ კაცს, ფულს ისევ სწავლა ირჩია!.. მოახსენა: მასწავლებო. ახადა ყუთსა, გადაუსვა მკლავი, ჩა-ყარა ფულები და უთხრა: „აი, შვილო ჩემი სწავლა გახ-სოვდეს, რომელსაც ეხლა გეტყვი: რაც შენი თვალით არა ნახო, სხვის ნათქვამს ნუ დაიჯერებო!“ გაიგონა თუ: არა, მოსწყდა წელი, დალონდა ეს საცოდავი... ცოლ-შვილისაგან დადებული ვადაც გაუვიდა, მოჯამაგირეთ დადგომასაც ველარ გაპბედავს, რაღვანაც მის ცოლ-შვილს მკვდარი ეგონებათ და შეწუხდებიან ისრეც სიძლარიბისაგან შეწუხებულნი. დაუ-კრა თავი და გამოსთხოვა ლოცვა-კურთხევა. სოლომონმაც დალოცა შემდეგის სიტყვებით: „წადი, შვილო, უფალი გი-ძლოდეს შენ გზათა ზედა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შე-ნისათა!“ ამ დალოცვის შემდეგ მოეხვია მუხლებზე, აკოცა და თვალ-ცრემლიანი გამოვიდა და გამოემგზავრა დიდის მწუხარებით; დარღით და ბოროტებით სავსე. თუმცა ამ მე-ტის-მეტად მდიდარშა მეფემ, რომელზედაც მდიდარი არ ყო-ფილა, არც არის და არც იქნება, ეს ყოველი მისი შეწუხება-ნახა, მაგრამ სრულებითაც არ შეებრალა, ერთი აბაზიც არ აჩუქა, რომ გზაში პური ეყიდნა!... რა უნდა იფიქროს კაცმა ამისთანა შეუბრალებლობისთვის? უეჭველია ის, რომ სოლო-

მონ ბრძენმა იცოდა, სწავლა უნაყოფოთ არ დარჩებოდა, როგორც ნათქვამია: „სწავლის ძირი მწარე არას, კენწეროში გატკბილდებათ.“

იმგზავრა ამ საწყალმა, ნამოჯამაგირალმა ყმაწვილმა კაცმა ფასომ რაშდენიმე ხანი, შევიღა ერთ ქალაქში, სადაც ხელმწიფეთ იყო „ადო“, რომელსაც ჰყვანდა კოლათ ბაყაყი: დღისით ბაყაყი იყო, ღამით ქალი, სახელათ „ლალა“ იმისთანა მშვენიერი იყო, რომ როდესაც გაიხდიდა და გამოვიდოდა ბაყაყის ტყავიდან, მაშინ იმისთანა სინათლე და ბრწყინვალება მზესაც არა ჰქონდა! თურმე იმისთვის ყოფილა დღისით ბაყაყი, რომ, თუ ჩაუცმელი დარჩებოდა და კარში გამოვიდოდა,— მზის სინათლე აღარ იმოქმედებდა, დაბნელდებოდა მის ბრწყინვალებისაგან და მისი შემხედველნიც დაბრმავდებოდნენ! თურმე ესრეთი თვისება ჰქონია მინიჭებული მანამდის, ვიღრემდის მის ქალობას გაიგებდა ვინმე და მის ქებას იტყოდა. ამისათვის ყოველ უცხო კაცს, როდესაც მოახელებდნენ ქალაქში, დაიჭრდნენ, წაიყვანდნენ, აჩვენებდნენ ბაყაყს და ჰკითხავდნენ: ეს რა არისო? რასაკვირველია, მნახველები იტყოდნენ— ბაყაყი არისო. ესრეთს პასუხზე მოსჭრიდნენ თავს და კაცის თავებით შემოვლებულს დიდს და მაღალს გალავანს. მიუმატებდნენ. სხვათა შორის ამ ჩვენგან ცნობილ სოლომონ ბრძენთან ნამყოფ ყმაწვილ კაცს ფასოსაც შეხვდა ეს ბედი. დაიჭირეს, შეიყვანეს დიდს და მშვენივრათ მორთულ დარბაზში, რომელიც სოლომონ ბრძენის დარბაზს ძრიელ სჯობდა, დააყენეს ბაყაყის პირდაპირ და ჰკითხეს: ეს რა არისო? ყმაწვილი კაცი შეჰყურებს განცვიფრებით, ჰქედამს, რომ დაჩამჩამებული, გალეშილი და გაბერილი ბაყაყია. ბაყაყიც შეჰყურებს დალონებულის თვალებით. იფიქრა კარგა ხანი და, ის არის, უნდა წამოიძახოს, რომ ბაყაყია, მაგრამ, დახე ბედს, მოაგონდა. სოლომონ ბრძენის ნასწავლი სიტყვა: კაცს, რაც ესიამოვნებოდეს, ის უთხარიო. იფიქრა: ეს ბაყაყი, თუ კარგი რამ არ იყოს, ეს-

რეთს დოდს და შშვენივრათ მორთულ ხალებით, ორხოებით
და ოქროს ქსოვილით დაფენილ დარბაზში არ იჯდებოდათ.
გარდა ამისა, დგას ოქროს სტოლი, თვალ-მარგალიტით შე-
ჭრდილი, სტოლზე დგას დიდი, ფას-დაუდებელი ოქროს, სი-
ნი და ზედ ზის ეს ბაყაყი!... ჰკითხეს კიდევ: რატომ არას
ამბობო? ამ კაცმა მოახსენა: „,მე მინდა სიტყვის თქმა, ვი-
გონებ, ვფიქრობ, მაგრამ ვერ მომიგონია იმისთანა სიტყვა,
რომ მაგისი ქება და დიდება გამოვხატოო“. ეს რომ თქვა,
ჩაფუფქულმა და დაღონებულმა ბაყაყმა ყურები ცქვიტა და
ზეზე წამოიწია. ფასო მიხვდა, რომ ამ სიტყვაზე ბაყაყმა მე-
ტად გაიხარა; მერე დაიწყო და მოახსენა იქ მდგომს მრავალ
ხალხს, ნაზირ-ვეზირთა და თვით ხელმწიფესაც, ქმარს, ბაყა-
ყისას: — „,დიდებულო ხელმწიფეო! მართალია, დიდი და
ძლიერი ხელმწიფე ბრძანდებით, მაგრამ თქვენ რომ შშვენი-
ერი, სიტყვით გამოუთქმელი, კალმით აღუწერელი, ფას-
დაუდებელი, ერთი სიტყვით, ხმელეთის ფასი და მზის დარი
არსება გყავთ, მით უფრო ბედნიერი ბრძანდებით! ბევრს,
დიდებულო ხელმწიფეო, ხელმწიფესა და მეფეს ენატრე-
ბა. მაგისთანა მშვენიერი არსება, მაგრამ ღმერთს მხოლოდ
მარტო თქვენ უკურთხებიხართ და თქვენზე დაუბლერტნია
თვისი უხვი მოწყალების კალთაო“. ეს სიტყვები რომ გაი-
გონა ბაყაყმა, დიდათ გაიხარა, მეტის-მეტის სიხარულისაგან
ხან აქეთ გადახტა რა ხან იქით, ამ თავის მაქებელ ყმაწვილ
კაცს ხან მხარზე შეახტა და ხან გულზე მიეკრა. ხემწიფემაც
მხიარული სახე მიიღო და ყოველთა იქ მყოფთ ხალხთაც
დიდათ გაიხარეს; ერთის სიტყვით, პირველათ ამ ყმაწვილ
კაცისაგან გაიგონეს მისი ქება. რასაკვირველია, ამ კაცმაც
რაკი შეიტყო, რომ მისი ქება ძრიელ ისიამოვნეს, უფრო
მოუმატა (აბა მიბრძანეთ, სამს წელიწადს სოლომონ ბრძენ-
თან ნამყოფი კაცი რას არ მოიგონებდა?) აღარა და აგარ
გაწყვიტა მისი ქება, ხოლო ბაყაყმა, ხელმწიფემ და ხალხმა —
მხიარულება და სიხარული. მოატანა საღამომ, ჩავიდა მზე

და მოეფინა სიბნელე ყოველს ქვეყანას. ამ ბაყაყმა გაიხადა ბაყაყის ტყავი და გამოვიდა მშვენიერი, ქვეყნის მანათობელი ქალი, გადაეხვია ამ თავის მაქებელ ყმაწვილ კაცს ფასოს და დაუწყო კოცნა. ეუბნება: „შენ-კი გენაცვალე, შვილო, რომ ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ შენგან გავიგონე მეცა და ჩემმა ქმარმაც ჩემი ქება! ეტყობა, ღმერთს ჰყვარებიხარ და შენთვის სიკეთე სდომებია. თორემ, აბა შეპხედე ამ უშველებელ გალავანს, ვინ დათვლის, რამდენი კაცის თავი ძევს ამ გალავანზე! თუ შენც გეთქვა, ბაყაყი არისო, შენც მოგჭრიდნენ თავს და, მიუთითა, აგერ სულ აკლია გალავანის დასრულებას ერთი თავი-ლა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომ შენც გადაგარჩინა სიკვდილს და მეც მომარჩინა ამდენ ჭირს და მწუხარებასო!“ დასხდნენ იმ ლამეს, ჩაისვეს ფასო ხელმწიფე და მისმა ცოლმა შუაში და მიეცნენ ერთ გამოუტქმელ სიხარულს. ხან ერთი ეხვევა და ჰკოცნის, ხან მეორე. გათენდა მშვიდობის დილა. სთხოვენ, რომ მათთან დარჩეს და იყოს იმათი შვილი და მემკვიდრე, მაგრამ ფასომ უარი განაცხადა და მოახსენა; „მე, ბატონო, ერთი საწყალი კაცი გახლავარ, მყავს საცოდავი, სილარიბისაგან დამწვარ-დადაგული ცოლ-შვილი; სამი წელიწადი გავიდა მე იმათი ალარა გამიგია-რა, მინდა ჩქარა წავიდე და ვნახო; მე უიმათოთ ცხოვრება და სიცოცხლე არ შემიძლიან; კარგნი არიან თუ არა, რაც ღმერთმა მომცა, უნდა დავჯერდეო!“.

რადგანაც ფასომ თავისი ღარიბი სახლ-კარი და საცოდავი ცოლშვილი არჩია ხელმწიფის შვილობას და მემკვიდრეობას,—რასაკვირველია, იმათაც მოიწონეს მისი საქციელი და ამისათვის მოარეკინეს: ასი აქლემი, ასი ცხენი და ასი ჯორი. მათზედ აუკიდეს ოქრო, ვერცხლი და მრავალი სიმდიდრე და ძვირფასი ნივთეული; მისცეს კაცები, მოსამსახურები, მწერლები, სახლის მმართველი და სრულიად მთელი სამწერლო მოწყობილობა; თითონაც შეპმოსეს სამეფო ტანისა-მოსი, ცოლ-შვილისთვისაც შეაკერინეს ოქროს ქსოვილით

მორთული ტანთ-საცმელი, რაც-კი საჭირო იყო თავით ფეხ-
თამდის, შესვეს მშვენიერს, ძვირფასის თვალითა და მარგა-
ლიტით შეჭედილ უნაგირით შეკაზმულ ცხენზე და გამო-
გზავნეს; დიდის სიხარულით, სიყვარულით და ხვევნა-კოცნით
გამოისტუმრეს და უთხრეს: „შვილო, მიღი, ნახე შენი ცოლ-
შვილი, მიუტანე საცხოვრებელი, გაახარე და ჩვენც ნუ და-
გვივიწყება! თუ გაგიჭირდეს რამე, შეგვატყობინე და ჩვენ მზათ
ვიქნებით შენი შემწეობისათვისო . . გახარებული ფასო გამო-
ემგზავრა დიდის დიდებით. შეიქმნა მდიდარი, მრავალის ცხოვ-
რების პატრონი და მებატონე. იარეს რამდენიმე დღე, საქო-
ნელი შეწუხდა ტარებისაგან, რადგანაც ყველას ძრიელ მძი-
მეთ ეკიდათ ტვირთი; ჩამოხადეს ერთს მშვენიერს და სასია-
მოვნო ტყის პირას, რომელსაც მარჯვენა მხარეს ედვა ათას
ნაირი ყვავილებით და სურნელის ბალახებით შემკობილი ტურ-
ფა მინდორი, აქ დააწყვეს საპალნეები, საქონელი საძოვარზე
გაუშვეს, მოსამსახურეები დასხდნენ ხეთა ძირში და დარა-
ჯობდნენ საცხოვრებელს და საქონელს, ხოლო თითონ ფა-
სომ, ამ ახალმა მებატონემ, გააშლევინა ოქროს ქსოვილი,
დაიდვა თავით ძვირფასი მუთაქა და წამოწვა ზედ, — ლოცავ-
და მასწავლებელს. შემდგომ მოითხოვა საღილი და რა უნდა
სულსა და გულსა, რომ იმას არ მოართვეს! როდესაც ისაღი-
ლა წესიერათ, დაინახა რომ შორის გზიდან მოდის ერთი სო-
ვდაგარი, დიდათ მდიდარი და მოაქვს აუარებელი სიმდი-
დრე. ეს სოვდაგარიც იმის სიახლოვეს ჩამოხდა. როდესაც
ყველა დააბინავა ამ სოვდაგარშა, შეისვენა და ისაღილა. შემ-
დეგ საღილისა ადგა და დაიწყო სეირნობა. ამ სიარულში
მივიდა იმ ცმაწვილ კაცთან, ფასოსთან, დაუკრა თავი, მოი-
კითხა და დაიწყეს საუბარი იმ ხეს ქვეშ, სადაც ფასო იყო
ჩამოშედარი. შემდგომ მრავლის სხვა და სხვა ამბავის საუ-
ბრისა, შემოჯდა დაბლა წის ტოტზე ერთი პატარა მშვენიე-
რი, ათას ფერის ბუმბულით აღყვავებული ჩიტი. ეს ფრინველი
იქნევს ბოლოს და ჭიკჭიკობს მეტად სასიამოვნოთ. ბევრი

ხანი უგდეს ყური და ისიამოვნეს „ მოეწონა ამ სოვლაგარს იმ ჩიტის გალობა-ჭიკჭიკი და მშვენიერება. უთხრა ფასოს: „ძრიელ კარგი იქნება, რომ ეს ჩიტი დავიჭიროთო“. ფასომ უპასუხა: „რასაკვირველია, კარგი იქნება, მაგრამ როგორ დავიჭიროთო?“ ეს ტურფა და მშვენიერად შემკობილი და აყვავებული ფრინველიც ზის უძრავათ ერთ ალაგას, თითქოს დაბმულიაო და შეექცევა აავისთვის უდარდელად. სოვდა-გარმა უთხრა ყმაწვილ კაცს: „მოდი, დაიჭირე ეს ჩიტი. თუ დაიჭერ, აი, ხომ ხედავ ამ ჩემს აურაცხელ სიმდიდრეს, ხალხს, ყმას, მოსამსახურეებს და ჩემის ქონების მმართველებს, ამას ყველას შენ მოგცემ; თუ ვერ დაიჭერ,—ეგ შენი ცხოვრება, რომელიც ჩემის ცხოვრების მესამედიც არ არის, მე მომეციო“. დაფიქრდა ფასო, დიდს ხანს მიეცა ფიქრსა, ის იყო უნდა წამოეძახნა: „დავიჭერო“, მაგრამ დახე ბედს, მოაგონდა სო-ლომონ ბრძენისაგან ნასწავლი სიტყვა: „რასაც ვერ შესწვდე-ბოდე, ნუ შეეწვდებიო“. ამის მოგონება და უარის თქმა ერთი იყო, ვერ დავიჭერო. რაკი ფასომ უარი გამოაცხადა იმ ჩიტის დაჭერისა, მერე უთხრა: „მაშ, თუ შენ ვერ დაი-ჭერ, მე დავიჭერ და შენი საცხოვრებელი მე მომეცი; თუ ვერ დავიჭირო, ჩემი საცხოვრებელი შენი იყოსო“. ამ სიტ-ყვაზე კიდევ დაფიქრდა ფასო და თავის გუნებაში სთქვა: სო-ლომონ ბრძენმა მიბრძანა, შენ ნუ შეეწვდებიო და ის არ უბრძანებია, თუ სხვა ეწვდებოდეს, შენ დაუშალეო; მოიფი-ქრა ესრედ და სთქვა: ალბად ჩემკენ არის ღმერთიო, სიტ-ყვისაებრ სოლომონისა: „ღმერთი გიძლოდეს შენ გზათა ზე-დაო“ და, თუ დაიჭირა და ჩამომართვა საცხოვრებელი, გავბრუნდები ჩემ მამობილ-დედობილთან და იმდენს კიდევ მომცემენ, რომ ჩემი ცოლ-შვილი ვავახაროვო“. სოვლაგარს ნება მისცა იმ სიტყვაზე, რაც პირობა დასდვეს. ეს პატარა მშვენიერი ფრინველი იქვე ზის უძრავად და ჭიკჭიკობს. და-უძახა სოვლაგარმა თავის მმართველებს და მწერლებს და ფა-სომ—თავისებს, დასხეს და დაწერინეს პირობის წერილი,

დაამტკიცეს ხელის მოწერითა და ბეჭდების დასმით. გაათავეს რა ეს მტკიცე და საუკუნოდ შეუშლელი პირობა, ადგა სოვდაგარი და მიეპარა ჩიტს: როგორც რომ უნდა სტაცია ხელი და დაიჭიროს, იმ დროს ეს ჩიტი შეხტა და ცოტა ზემოთა ტოტზე შემოჯდა; სოვდაგარი ავიდა ცოტა მაღლა და ეპარება. ჩიტმა შეატყოუ დაჭერას მიპირობსო, აფრინდა იქიდან და ზემოთ ტოტზე შემოჯდა. ესრედ, ამ დიდს და უშველებელ ხეზე რამდენჯერმე გამოიცვალა ჩიტმა ალაგი. სოვდაგარიც თან მისდევს. როდესაც ავიდა ხის კუნწეროში და ჩიტს აღარა ჰქონდა გარდასანაცვლებელი ტოტი, — დააფთხიალა ათას ნაირად აყვავებული და მშვენივრად შემკობილი ფრთები და გაფრინდა, ვინ იცის საითკენ! სოვდაგარი ჩამოვიდა ხიდან წელ-მოწყვეტილი. ფასომ ჩაიბარა და მიუმატა თავის საცხოვრებელს და სიმდიდრეს სოვდაგარის საცხოვრებელი და გამოემგზავრა თავის სახლისაკენ სიხარულით. თან ლოცვადა თავის მასწავლებელს.

იმგზავრა ამ ჩვენმა მდიდარმა ყმაწვილმა კაცმა ფასომ რამდენსამე კვირას დიდის დიდებით და მიუახლოვდა თავის სოფელს, თავის მიწა-წყალს. უხარიან ჯერ სიმდიდრე და მერმე ცოლ-შვილის ნახვა. ვინ იცის, რამდენ რასმე ფიქრობს, უფრო, რასაკვირველია, უმთავრესი ფიქრი ის იყო, როგორ გამოეცხადოს პირველ მისვლაზე თავის ლარიბ და ლატაჭ ცოლ-შვილს. დარჩა ორის დღის სავალი გზა მის სოფლამდის. აქ ერთი თავისი მახლობელი მეზობელი ნახა, რომლისათვისაც ზევრჯელ მჭადები და კუტმატები უთხოვია, მაგრამ, რადგანაც სცოდნია მისი სიღარიბე, არც კი უსესხებია. ვინ არ იცის, რომ ეს შეხვედრილი კაცი ვეღარ იცნობდა თავის ლარიბ მეზობელს ფასოს. ამან კი, რა წამს დაინახა, მაშინვე გულმა ფრიალი დაუწყო, გაიხარა და მეტის-მეტის სიხარულისაგან ცეცხლსავით აენთო, თვალებიდან სიხარულის ცრემლებმა დაუწყეს დენა და გულ-ამომჯდარმა დაუძახა: „ტეტე, აბა აქეთ მობრუნდი!“ ტეტე შეკრთა, შეშინდა, იფიქრა: ეს

უსათუოდ სადაურიმე მეფე იქნება, მაგრამ ჩემი სახელი რა
იცის და რად შეძახისო!... გულში ათას ნაირმა ელდამ გაუ-
არა და თავში ათას ნაირი ფიქრი წარმოუდგა: ხან ფიქრობს:
დანაშაული ხომ არა მაქვს-რა და იმისთვის ხომ არ შეძახის? ხან —
ტყუილათ ხომ არავინ მიჩივლა და არ დამაბეჭდაო? თუმცა
უნდა მიახლოვება, მაგრამ ვერ გაუბედნია მისვლა. რამდენი-
სამე დაძახების შემდეგ მიუახლოვდა, მდაბლალ თავი დაუ-
კრა და ხმა-კი ვერ ამოულია შიშისაგან, თითქმის ენა ჩაუვარ-
და. ფასომ, რაკი შეამჩნია ტეტეს ესრეთი შეკრთომა, მაშინ-
ვე მივიღა, გადაეხვია და დაუწყო კოცნა. ტეტე სრულებით
ვერ მიჰვდა, თუ ეს იმისი ღარიბი მეზობელი ფასო არის.
მერე უთხრა: „კაცო, შენ ჩვენი ტეტე არა ხარ?“ ტეტე
ფიქრობს: მე ვინა და ეს ვინა, მე ჩემს ღლეში და ჩემს სი-
ცოცხლეში თვალით არ მინახავს ამისთანა კაცი და ეს კი
თავისას შეძახის!... არის ერთს ფიქრშია კიდევ ჰკითხა: „მარ-
თლა ვერ მიცანირ?“ ტეტეს ენიშნება თვალები, ლაპარაკი,
მაგრამ რას მოიფიქრებს, თუ ეს დიდის დიდებით მოგზაური
და ოქროს ქსოვილით, მეფის მსგავსად ჩაუმული და დახუ-
რული მისი ღარიბი და საცოდავი მეზობელი ფასო არის!...
ვერა და ვერ მოიფიქრა და ვერ მოიგონა ტეტემ მისი ვინა-
ობა. მერე კანკალით და პირში ნერწყვ-გამშრალმა მოახ-
სენა: „ვერა, ბატონო, ვერ გიცნობ, თუმცა კი გამზგავსებ
ვისმე, ჩემგან როდისმე ნახულს, მაგრამ ვერ წარმომიდგენია,
ვინა ბრძანდებითო“. — კაცო, უთხრა ფასომ, მაშ ვერ მიც-
ნობ? სამ წელიწადზე მეტი ხომ არ არის, რაც სახლიდან და
ჩვენის სოფლიდან წამოვედი?“ გაიგონა თუ არა ეს ტეტემ, გაჲ-
კვირდა, განცვიფრდა, სიტყვა ველარა მოუხერხებია რა, რომ
სთქვას რამე. მერე, როდის-როდის ამოილულლულა: „ფასო შენა
ხარ?!“ — „სწორეთ მე ვარ“ — უპასუხა ფასომ.. „ვისია ეს ამოდენა
საცხოვრებელი? ჰკითხა ტეტემ ფასოს. — „ჩემიაო“ — უპასუხა.
— „სად და როგორ იშოვნე?“ ამ კითხვაზე ფასომ პასუხი
აღარა მისკა-რა, უბრძანა ბიჭებს სადილის მოტანა, დასხდნენ

სამის წლის უნახავი მეზობლები და ისეთი დროება გაატარეს, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა. სადილობის დროს ფასომ თავის თავ-გარდასავალი, და სიმღილრის შოვნა ილაპარაკა. სადილს შემდეგ პეითხა ტეტეს: „ჩემი საცოდავი ცოლ-შვილი როგორ-ლა არიანო?“ ტეტემ უპასუხა: „შენი ცოლ-შვილისას ნულარას მკითხამ და ვერც გაგიბედამ თქმას!“ — „კაცო, რატომ?“ — „ეს! რა სათქმელია მაინც.“ — რაც არის, მითხარი“. — „შენი ცოლ-შვილი, შენი ჭირიმე, სადღა არიან? ყველანი, შენ რომ თავი დაანებე, იმავე წელიწადს დაიხოცნენ; შენი ნაქოხარიც აღარ არის, იმით თუ შეატყობ, აქ როდისმე ქოხი მდგარაო, რომ წვიმისაგან გუბე დგება და ბაყაყებით ივსება, რომელთა ყიყინისაგან მოსვენება. არა გვაქვს. რამდენჯერმე მოვინდომეთ მისი ქვითა და მიწით ამოვსება, მაგრამ ვერ მოვიცალეთ“. გაიგონა თუ არა ფასომეს ამბავი, შემოიკრა და შემოიკრა თავში. თავ-პირი დაისისხლიანა, ძრიელ ბევრი იტირა მწარედ. მმართველებმა და ხალხმა, მისმა მოსამსახურეებმა, ძლივ-ძლიობით დააშოშმანეს და ნუგეში მისცეს. შემდგომ ამისა იფიქრა ფასომ: რაღათ მინდა, რომ წავიდე ჩემს სოფელში ქვეყნის სამასხარაოდ? ამას არ მეტყვიან: სარჩო და სიმღილრე რაღა ოხრად გინდა, როცა ცოლ-შვილი შიმშილით გაწყვიტეო!... ამის მოფიქრება და უკან დაბრუნება ერთი იყო.

ფასომ, უკანვე გამობრუნებულმა, იმგზავრა რამდენსამე დღეს. საბრალოს ოვალზე ცრემლი არ გამშრალა, აღარცა სჭამს და აღარცა სვამს, — სიცოცხლეში წილი აღარ უძევს!... ესრეთის მწუხარებით მიაწია იმ ალაგს, სადაც წინად სოვდა-გარი, რომელსაც აუარებელი სიმღილრე ჩამოაცალა, ნახა. აქ ჩამოხდა, გააშლევინა ოქროს ქსოვილი, დაიდგა თავით მუთაქა და წამოწვა, მწუხარებით საფსე. ფიქრობს: სად უნდა წავიდე და ამოდენა საუხოვრებელი სად და ვის უნდა მივუტანო? ამ ფიქრში რომ იყო, შეპხედა იმ ხეს, რომელზედაც ჩიტი იჯდა და სთქვა გუნებაში: სოლომონ ბრძენს რომ არ

ესწავლებინა, „რასაც ვერ შესწვდებოდე, ნუ შესწვდებიო, ხომ დავიღუპებოდი? ამ დროს წარმოუდგა გონებაში მესამე ნასწავლი სიტყვა: „რაც შენის თვალით, არა პნახო, სხვის ნათქვამს ნუ დაიჯერებო“. ამის მოფიქრება და სახლისაკენ გამობრუნება ერთი იყო, უბრძანა დატვირთვა საქონლისა. მსახურთ აღასრულეს ნაბრძანები და გამოემგზავრნენ. რადგანაც საქონელი ერთის კვირის შესვენებული იყო, იმგზავრეს ჩქარის სიარულით. ფასო ხან მწუხარეობს, ხან მოილენს, გუნებაში ფიქრობს: იქნება ღმერთმა მომხედოს, სოლომონ ბრძნის სიტყვა ამიცხადდეს და იმ კაცის სიტყვა სულ სიცრუე გამოდგესო. იმგზავრეს ათიოდე დღე, ბოლოს მიუახლოვდნენ თავის სოფელს. სოფლის ნაპირიდან გაიყოლა ათიოდე კარგი, რჩეული კაცი და წავიდა სახლის დაცოლ-შვილის სანახვად. შორიდანვე დაინახა თავისი საცოდავი ქოხი; ქოხი ისევ თავის ადგილას სდგას; მივიდა და ჩამოხდა ქოხის წინ. მისმა ცოლმა, ათას ნაირად დაკუნკებულისა დაჯღანულის კაბით, რომლის წინა კალთასაც ხან აქეთ მხარეს მოიფარებდა და ხან იქით, გამოიხედა კარებიდან. ფასომ დაინახა თუ არა თავისი ცოლი ესრეთს ყოფაში, თუმცა თვალები ცრემლებით აევსო, მაგრამ სიხარულისაგან ვეღარა გაიგო. რა, გადმოხტა ცხენიდან, შევიდა შინ, მივარდა ცოლსა; გადაეხვია და დაუწყო კოცნა. საბრალო დედაკაცმაც, თავ-ზარ, დაცემულმა, დაიწყო ხმა მალლა წივილ-კივილი და უთხრა: „ვინა ხარ, შე ღვთის პირისაგან წყეულო და შეჩვენებულო სიღარიბე, შიმშილი და სიტივლე არ მეყოფა, რომ ახლა შენც გული არ გადმომიბრუნო და არ გამაუპატიურო?!... თუმცა მეტად ლარიბი ვარ, მაგრამ ჩემს სვინიდისს, პატიოსნებას და ქმრის ღალატს არ გავბედამ, თუნდ სულიც ამომდიოდესო!“ ესენი რომ გაიგონა, მოაშორა ხელი და უთხრა: „აბა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, შემომხედე, თუმცა ლარიბული ტანისამოსი გამოვიცვალე და მეფური ჩავიცვი, მაგრამ თვალები, ხმა და ლაპარაკი კი არ გამომცვლია; ეგრეოვე, რასაკვირველია, სახეც შეც-

ვლილი მექნება, სილარიბის დროს სხვა სახე მქონდა და ეხლა სხვა, მაგრამ ნუ თუ მართლა ვერ მიკნობ?!“ ცოლმა ხმაზე მიამგზავსა და თვალებში რომ შეჰედა, იცნო და სიხარული-საგან გული წაუვიდა, მაგრამ ქმარმა მოაბრუნა და უთხრა: „შენ გენაცყალოს ჩემი თავი, რათ შეშინდი და შეკრთი? რატომ არ მოიფიქრე, რომ ეხლა, სამის წლის შემდეგ, მოს-ვლის დრო მქონდა?“ როდესაც ცოლმა იცნო ქმარი და დარწმუნდა, რომ ის არის, გარდა ეხვივნენ ერთმანეთს და დაუწყეს კოცნა, გაჰკვირდნენ მიყოლილი საპატიო კაცები და ამბობენ გუნებაში: „რას ვხედავთ ამ გასაოცებელს საქ-მეს, ნუთუ ეს საცოდავი დედაკაცი არის ამისი ცოლი?!“ რო-დესაც მოიკლეს ერთმანეთის ნახვის სურვილი, ფასო გამოვიდა კარში და უბრძანა გადმოლება ხურჯინებისა ცხენებიდან. მა-შინვე მშვენიერი და ძვირფასად შემკობილი ტანისამოსი შე-უტანა ცოლსა და ჩაცვა. თუმცა ტანთ-საცმელი კარგი და ძვირფასი არის, მაგრამ სილარიბისაგან მეტად ფერმიხდილია ზილფა, ხოლო მისი შავი მაყვალივით თვალები და წამწამ-წარბები აშვენებენ მის მაღალს ტანს და წვრილს წელს. მე-ტადრე როდესაც ახალი ტანისამოსი ჩაიცვა, სრულებით გამოიცვალა. ეხლა ვეღარავინ იცნობს, თუ ის დარიბი ზილ-ფა არის! შემდეგ შეჰედეს ერთმანეთს და სიხარულისა და სიყვარულისაგან მოაყოლეს ქვითინი... თუმცა უხარიანთ, ესაუბრებიან ერთმანეთს, მაგრამ ტირილი ვერ შეუწყვეტნიათ... როგორც იყო, დაიმშვიდეს გული. ფასომ პკითხა ცოლსა თავის ორის ვაჟის და ერთის ქალის ამბავი. უპასუხა ცოლმა: „ვაჟები სამუშაოდ არიან დღეში თითო მჭადად და ქალი მე-ზობელს მატყლს უწერამსო“. პკითხა კიდევ: — „იმას რაღას აძლევენო?“ — „იმას ფასს არ აძლევენ — უპასუხა ზილფამ, მარტო უნდა მჭადი აქამონ. საღამოზე შვილები ორ მჭადს მომიტანენ, დღევანდელს ნამუშავარს, იმათ თითონ, კი აღარა ენდომებათ რა; ერთი მჭადი ამაღამ მე მეყოფა და მეორე მჭადი ხვალ, მინამდის კიდევ მომიტანდნენ. ესრეთ, ამ მწუხარება-

სა და ვაი-ვაგლახში ვატარებთ ჩვენს სიცოცხლეს, მაგრამ, რაკი შენ დაგინახე, ახლა თუნდა ამაზე უარესი ლარიბი ვიყო. მადლობა ღმერთს, რომ თუმცა ლარიბები ვართ, მაინც ვცხოვრობთ ჯანის სიმრთელით. ღმერთმაც ხელი შეგვიწყო. თუნდა მშივრებიც ვიყვნეთ და ტიტვლებიც, თუნდა გვცილებს და გვცხელოდეს, ღვთის შეწევნით, არა გვეშავება რაო!“ ისაუბრეს რა კარგა ხანს, ფასომ გაჰვავნა რამდენიმე მიყოლილი კაცი და მოატანინა სახლში ყოველი თვისი ნაშოვნი საცხოვრებელი. რადგანაც თავის სახლთან არ იყო იმოდენა ალგილი, რომ მოთავსებულიყო იმისი ნაშოვარი, იქირავა სხვის ეზოები და იქ დააწყო, ჭიდრემდის ალაგს უშოვნიდა. საღამოზე მოუვიდნენ შვილები, მაგრამ შიშისა გან ხმა ვერ ამოულიათ. რმ საცოდავებს ჰერნიათ: მტერი დაგვცემია და ისრეც სიღარიბისაგან შეწუხებულები უნდა აგვიკლონ და დაგვხოცონო! გამოვიდა იმათი დედა, მაგრამ რას იცნობენ ოქრო-ქსოვილით მორთულს!... ჯერ პატარა ქალს ახარა: „შვილო, შენ გენაცვალე, მამა შენი მოვიდა და ეს ამოდენა საცხოვრებელი მოგვიტანაო. მერე შვილებს გადაეხვია და დაუწყო კოცნა: მოდით, შვილებო, ნახეთ მამა თქვენიო!“. მაგრამ საცოდავებს არა სჯერათ! გამოვიდა მამა, დაჰკოცნა ყველანი, შეიყვანა სახლში, გამოუცვალა ტანთ-საცმელი და მიეცნენ ყველანი ერთს გამოუთქმელს სიხარულს.

ნ ა ც ა რ ჭ ე ჭ ი ა

იყო ერთი ნაცარქექია. ჰყვანდა კაპასი ცოლია ცოლი მოსვენებას არ აძლევდა: სულ იმას ჩასციებოდა: გინდა თუ არა, წალი, მიაწყდ-მოაწყდი, იშოვე რამე, ხომ ჰედავ, ღარიბათა ვართო. ქმარმა ვეღარ გაუძლო იმის საყვედურებსა, ადგა და წავიდა.

მიდის, თითონაც არ იცის, საღ მიდის.

იარა, იარა და ცხრა მთას იქით ერთი დიდი დარბაზი დაინახა; ჰურმე ამ დარბაზში დევები სცხოვრობდნენ. შივილა, ახლო, ნახა, დარბაზში შუა ცეცხლი აგუზგუზია, გარს დევები უსხედან და ხელებს ითბობენ. შევიდა, ყველას ძმობა უთხრა და ჩამოჯდა ცეცხლაპირას. დევებმაც ხმა არ გასცეს, რადგან ძმობა უთხრა. დღისით და ლამით სულ ამათთან იყო: იმათსას სჭამდა, იმათსას სვამდა, იმათთან იძინებდა, როგორც იმათი უმცროსი ძმა.

ამ დევებს ერთი ნატვრის თვალი ჰქონდათ. როცა შეიკრიბებოდნენ, იმ ნატვრის თვალს გადმოიღებდნენ; სადილო უნდოდათ — სადილს ინატრიდნენ, ვახშამი უნდოდათ — ვახშამს ინატრიდდენ, და, მართლაც, რა გინდა, სულო და გულო, ყველაფერი წინ გაეშლებოდათ. სცხოვრობდნენ ესე უზრუნველად, დარღი არაფრისა ჰქონდათ და ჯავრი. ჩვენ ნაცარქექიასაც ეს უნდოდა; მოსწონდა ესეთი ცხოვრება და ნატვრის თვალის მოპარვა მოინდომა.

ერთხელ, როცა დევები ტკბილ ძილში იყვნენ, ნაცარქექია ჩუმ-ჩუმად წამოიბამბლვლა ლოგინიდან, აილო ნატვრის თვალი, მივიდა კარებთან, უნდოდა გაელო და, ერთი ბეწოდ გამოსწია თუ არა, კარმა ჭრაჭუნი შექმნა. ჭრაჭუნებს და იძახის: სტუმარმა ნატვრის თვალი მოიპარაო. ნაცარქექია გამოიქცა, ნატვრის თვალი ისევ თავის აღვილას დასდო, ჩაწვა ლოგინში და თავი მოიმძინარა. კარების ჭრაჭუნსა და ძახილზე დევებს გამოელვიძათ; წამოცვივდნენ, ნახეს: ნატვრის თვალი ისევ თავის აღვილას ძევს და ნაცარქექიასაც ტკბილადა სძინავს. გული რო დაიარხეინეს, კარები დახურეს, დაწვნენ და ისევ დაიძინეს. კარგა ღრმა ძილში იყვნენ, როცა ნაცარქექია ისევ წამოდგა, ნატვრის თვალი აილო, მივიდა კარებთან და, როგორც კი უნდოდა გაელო, კარმა ისევ ჭრაჭუნი დაიწყო და იძახდა: სტუმარმა ნატვრის თვალი მოიპარაო. ნაცარქექია უკანვე გამოქანდა, ნატვრის თვალი თავისავე აღვილას დასდო, ჩაწვა ლოგინში და ხვრინვა ამო-

უშვა, ვითომ-და მძინავსო. დევებს გამოეღვიძათ, ნახეს ნატვრის თვალი თავისავე ოდგილასა ძევს და ნაცარქექიაცა ხვრინავს. გაუკვირდათ, კარები მაგრა შიხურეს და დაწვნენ დასაძინებლად. ნაცარქექიამრამდენჯერმე გაიმეორა ეს თავისი ოინები, დევებს მოპბეზრდათ, ცოფიანებივით წამოცვი ვდნენ, კარი ჩამოილეს და ცეცხლზე დაუდეს. კარი რო დაწვა და დევებსაც დაეძინათ, ნაცარქექია წამოდგა, ნატვრის თვალი ხელსახოცში გამოიხვია და გასწია შინისაკენ. მეორე დილით, დევები რომ წამოიშალნენ, ნახეს, აღარც ნაცარქექია იქა და აღარც ნატვრის თვალია. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამც ცამ უყოპირი, დედამიწამ უყოპირი, ველარა გაიგეს-რა. წაუვიდათ, წაუვიდათ ხელიდგან ნაცარქექია!

ის კი თავისთვის არხეინად მიღის თავის გზაზე: აღარც არა ვისი ჯავრი აქვს, არც ფიქრი; უხარიან, რომ ეხლა კი ჩემთვის უზრუნველად ვიცხოვრებოთ იარა, იარა, შემოეყარა გზაში ერთი კომბლიანი კაცი. კომბლიანმა უთხრა: ძმობილო, გექმნება, მაჭამე რამეო ნაცარქექიამაც იკრა ჯიბეს ხელი, ამოილო ნატვრის თვალი, ინატრა-და, რა გრძა, სულო. და გულო, ყველაფერი წინ გაეშალათ პურის ჭამა რომ გაათავეს, კომბლიანმა უთხრა ნაცარქექიას: მოიტა, ეგ შენი ნატვრის თვალი ამ კომბალში გამიცვალეო, რაიცის მაგ შენმა კომბალმაო? ჰკითხა ნაცარქექიამ. ვისზედაც ხელს გაუშვერ და ლაუქახებ — „პურ კომბალ“, ეცემა და ცემით სულს ამოართმევსო. გაუცვალა ნაცარქექიამ ნატვრის თვალი და წამოვიდა. ცოტა რომ გამოიარა, კომბალს უთხრა, „პურ კომბალო“ და წინანდელ პატრონს მიუსია. მისდგა ეს კომბალიცა და იმდენი ურტყა იმ თავის წინანდელ პატრონს, რომ სულ ძვალი და რბილი გაუერთა. ცემით რომ კარგა დააოსა, მივიღა ნაცარქექია, წაართვა ნატვრის თვალი, წამოიღო თან თავისი კომბალიცა და წამოვიდა.

იარა, იარა და შეჰვდა ერთ ხმლიან კაცა. ხმლიანმა

უთხრას ძმობილო, გექმნება, მაჭამე რამეო. ნაცარქექიამ ამოილო ნატვრის თვალი, ინატრა და სულ საგულიგულო საჭმელ-სასმელი გადაეშალათ წინა. პურის ჭამას რომ მორჩნენ, ხმლიანმა უთხრას მოიტა, ეგ შენი ნატვრის თვალი ამ ხმალში გამიცვალეო. რა იცის მაგ შენმა ხმალმაო? ჰკითხა ნაცარქექიამ. ვისაც მიუსევ, ასი ათასი სულიც რომ იყოს, ერთი არ გადაპრჩება, ყველას თავებს დააყრევინებსო. გაუცვალა აშანაც ნატვრის თვალი და წამოვიდა. ცოტას რო გამოსცდა — „პურ კომბალო“, უთხრა კომბალს ნაცარქექიამ და მიუსია ხმლის წინანდელ პატრონს. მისღა ეს კომბალიცა და სულ სიგძე-სიგანე მისცა იმ ხმლის პატრონსა. მერე მივიდა, წაართვა ის ნატვრის თვალიც და წამოვიდა.

იარა, იარა და ერთ ნაბლიან კაცს შემოეყარა. ნაბლიანმა უთხრა: ძმობილო, გექმნება, მაჭამე რამეო. ნაცარქექიამ ამოილო ნატვრის თვალი, ინატრა და მშვენიერი საღილი მოერთვათ. პურის ჭამა რომ გაათავეს, ნაბლიანმა უთხრა: მოიტა, ეგ ნატვრის თვალი ამ ნაბადში გამიცვალეო. რა იცის მაგ შენმა ნაბადმაო? ჰკითხა ნაცარქექიამ. კაცს რო თავი ტანიდგან გაშორებული ჰქონდეს და ამ ნაბლის ერთი ბეწვი ზედ მოუსვა, თავი ისევ ტანს მიებმის და გაცოცხლდებაო. მისცა ნაცარქექიამ ნატვრის თვალი, გამოართვა ნაბადი და წამოვიდა. ცოტა რომ გამოიარა, მიუსია ის თავისი „პურ კომბალი“ და ისე გაახდევინა, რო დაბეჭილ კომშს დაამზგავსა და მივიდა მერე თითონ, წაართვა ის ნატვრის თვალიც და გამოსწია.

ბევრი იარა თუ ცოტა, მოვიდა თავის სახლში. კომბალი იქვე, კარებს უკან მიაყუდა, ცოლს მიესალმა და ასე უთხრა: ფი, დედაკაცო, რეები მოგიტანეო და გადმოულაგა წინ: ხმალი, ნაბადი და ნატვრის თვალი. ცოლს თვალში ეცოტავა, მიჰყო პირი და შთელის ქვეყნის ტალახი თავზე ჩამოასხა. ნაცარქექიამ ითმინა, ითმინა, ბოლოს ვეღარ მოითმინა, „პურ კომბალო“, შესძახა თავის კომბალსა. ეცა კომბალიც

და იმდენი ურტყა, სანამ მე და შენ მივეშველებოდით. თი-თონ კი ჩაჯდა თავის პატარა შვილებში, ამოილო თავისი ნა-ტვრის თვალი, ინატრა და გადიშალა ისეთი სუფრა, რომ ჩიტის რძეც კი სუფრაზე ედგათ. შეექცევიან ისინი სადილს და მიბეგვილი ცოლი კა ჩუმ-ჩუმად ქვეშ-ქვეშ გამოიყურება და მოსდის ჯავრი თავის თავზე. ითმინა, ითმინა, ბოლოს ველარ მოითმინა, წამოდგა და ქმარს მუხლებზე მოეხვდა. ქმარმაც აპატივა და დაიწყეს ტკბილი ცოლ-ქმრობა.

რამდენისამე ხნის შემდეგ ისე გამდიდრდნენ ამ ნატვრის თვალით, რომ სულ ოქროს ჯამ-ჭურჭელი გაიჩინეს. ერთხელ ცოლი აუტყდა ნაცარქექიას: გინდა თუ არა, ხემწიფე დავ-პატიუოთ და ერთი კაი ლხინი უუჩვენოთო. ქმარი-კი ეუბნებოდა: არ იცი, ხემწიფე შურიანია, ესენი რო ნახოს, ყველა-ფერს წაგვართმევს და პუპლუცზე დაგდსხავსო. ცოლი იმდენს აუტყდა, იმდენი ეჯიჯინა, რომ ბოლოს ნაცარქექიაც დაი-თანხმა.

მოიწვიეს ხემწიფე და, მართლაც, ჩინებული წვეულობა გარდაიხადეს. ლხინი რომ გათავდა, ხემწიფემ ნატვრის თვალი სთხოვა. ნაცარქექიამ ვერ გამოიმეტა. ხემწიფეს ეწყინა, მიუ-სია მთელი თავისი ჯარი და ძალით წართმევა უბრძანა. ეგრე კი არ უნდაო, სთქვა თავის გულში ნაცარქექიამ, და მაშ თუ ძალაზე მიღდა საქმე, ძალას მე გიჩვენებო. სთქვა ეს თუ არა, ჯარს ხმალი მიუსია და ხემწიფეს — კომბალი. ხმალმა მთელ ჯარს თავები დააყრევინა და კომბალმაც რიგიანად მიტყიპა შურიანი ხემწიფე.

იკადრა ხემწიფემ და ნაცარქექიას ხვეწნა დაუწყო. ოლონდ ეგ ჩემი ჯარი ისევ დამიცოცხლე და შენი არა მინ-და-რა, ლმერთმა მშვიდობაში მოგახმაროსო. მაშინ აღგა ნა-ცარქექია, აიღო ნაბალი. ერთი ბეწვი ყველას ყელზე მოუ-სვა და ჯარი ისევ დაუცოცხლო. ხემწიფემ ველარ გაბედა იმი-სი მტრობა, ცოლიც ყოველთვის ემორჩილებოდა და სცხო-ვრობდნენ ბედნიერად.

თ რ ი ჭ უ რ დ ი

იყო ერთი ქურდი, სახელად ღიდ ქურდს ეძახოდნენ. ერთხელ ეს ღიდი ქურდი ერთ ქალაქში საქურდავად მიღიოდა.

ბეგრი გზა გაიარა თუ ცოტა, შემოეყარა ერთი უცნობი კაცი. — გამარჯობა, — გავიმარჯოსო, უთხრეს ერთმანეთსა. — შენ ვინა ხარ, რა ხელობის კაცი ხარო? ჰკითხა ღიდმა ქურდმა. — ჩემი ხელობა ქურდობაა და სახელადაც პატარა ქურდს მეძახიანო, უპასუხა უცნობმა. — მეც ქურდი ვარ და მაშ, მოღი, დავძმობილდეთო. — კარგი, — კარგიო, თქვეს ერთმანეთში და დაძმობილდნენ.

დაძმობილდნენ და წავიდნენ საქურდავად. გზაზე ღიდმა ქურდმა უთხრა პატარას: აბა ერთი მაჩვენე, როგორი ქურდობა შევიძლიანო? პატარამ უპასუხა: ღიდი ქურდი შენა ხარ, შენ მიჩვენე შენი ხელობა, თორე ჩემი ხელობა შენა თან რა გამოსაჩენი იქმნებაო. ღიდი ქურდიც დასთანხმდა.

დაინახეს ამ დროს, ერთ ალვის ხეზე ერთი მტრედი შემომჯდარა და ლულუნებს. ღიდმა ქურდმა უთხრა პატარას: აი ავალ მე ეხლა ამ ალვის ხეზე და იმ მტრედს ისე დავაგლეჯ ბოლოსა, რო მტრედმა ვერ გაიგოსო. სთქვა და გასწია ალვის ხისაკენ.

ისე — ნახევრობამდის რო ავიდა, პატარა ქურდი ჩუმჩუმად ალვის ხის ქვეშ მიიპარა, აცოცდა ისიც ალვის ხეზე და, როცა ღიდი ქურდი მტრედს ბოლოს აგლეჯდა, ამ დროს პატარა ქურდმა ღიდ ქურდს შარვალი ჩააძრო და შარლად ძირს ჩამოვიდა.

როცა ღიდი ქურდიც ძირს ჩამოვიდა და დიდგულად მტრედის ბოლო აჩვენა, პატარა ქურდმაც გაიკრა ჯიბეს ხელი და შარვალი უჩვენა. ღიდმა ქურდმა ეს რო ნახა, პირში ჩალა გამოვლებული დარჩა. მერე უთხრა: თუმცა მე მაქებენ, მაგრამ არც კი შენა პყოფილხარ ჩემზე ნაკლებიო. გამოსცადეს ერთმანეთი და გაუდგნენ თავისავე გზასა,

გზაში პატარა ქურდმა ჰკითხა დიღსა: ამალამ სად ვა-
ქურდოთო? — შორს რალას ვიაროთ, ამალამ ამ ქალაქში მეფის
ხაზინა გავტეხოთო, უპასუხა დიღმა ქურდმა. — კარგიო, და-
თანხმდნ პატარა ქურდიც და დადგნენ იმ ქალაქში.

კარგა რო მოლამდა და ხალხის ფეხის ხმა მისწყდა, ქუ-
რდებმა ორი ტომარა იშოვეს და წავიდნენ მეტის ხაზინის
გასატეხად. პატარა ქურდმა უთხრა: ხაზინაში შენ შეძვერ,
ფული გამოხვეტე, მე ტომრებს ავავსებ, მოვიკიდოთ მერე
ჩვენ ჩვენი ტომრები და წავიდეთო. დიდი ქურდი არ დას-
თანხმდა: შენ უფრო პატარა ხარ, უფრო აღვილად შესძვრე-
ბი და გარედან მე ვიქმნებიო. იმდენი ეუბნა, იმდენი, რო
დაათანხმა.

შეძვრა ბოლოს პატარა ქურდი, გამოხვეტა ფულები.
დიდი ქურდიც გარედან იდგა. ფულებს ჰკრებდა და ტომ-
რებს ავსებდა. ორივე ტომარა რომ გაავსო, ანიშნა; პატარა
ქურდიც ხაზინიდან გამოვიდა, მოიკიდეს თავ-თავის ტომრე-
ბი და გასწიეს შინისაკენ.

მეორე დიღა რო გათენდა, ვნახოთ, მეფე თავის ხაზინაში
მიბრძანდა. შეიხედა და პირ კატა-კი ეცა. დაიბარა მაშინადვე
თავისი ნაზირ-ვეზირები და შესჩივლა ეს ამბავი; ნაზირ-ვე-
ზირებმა არჩიეს, არჩიეს და ეს ხერხი მოიგონეს. შოატანეს
ერთი კოდი, ჩააფლევინეს შიგ შემოსავალ აღგილს და აავსე-
ბინეს კუპრით.

ქურდებმა ამისი არა იცოდნენ-რა. შეს დღეც რომ დალამ-
და, ისევ საქურდავად მოვიდნენ. პატარა ქურდმა უთხრა
დიღსა: წუხელის მე შევძვერ ხაზინაში, დღეს შენი ჯერია,
შენ უნდა შეხვიდო. დიდი ქურდიც დასთანხმდა. წადგა ფე-
ხი, უნდოდა ხაზინაში, შემძვრალიყო და ერთბაშად რაღაცაში
ყლაპანი კი მოსძრა. მივიდა პატარა ქურდი, ეჯაჯგურა,
ეჯაჯგურა, მაგრამ თავისი ამხანაგი იქიდან ვეღარ ამოიყვა-
ნა; მარტო თავი-ლა უჩანდა, ყელამდის კუპრში იჯდა. ამა-

სობაში გათენებამაც მოატანა; მაშინ პატარა ქურდმა არც აცივა, არც აცხელა, ჰკრა ხანჯალი და თავის ამხანაგს თავი გა-აგდებინა. წამოილო და ისეთ აღგილას ჩამალა, რომ სულიერი ადამიანი ვერ ჭიაგნებდა.

მივიღა მერე სახლში და თავის ამხანაგის ცოლს უამბო, რაც ამბავი მოპხდენოდათ. თუ ცოცხალი გამეშო და ესე არ მოვქცეულიყავ, იმას რო ამოიყვანდნენ, ყველაფერს ათქმევინებდნენ და მაშინ ყველას დაგვიჭირდნენ და დაგვხოცდნენ.

მეორე დილა რო გათენდა, მეფეს მოპხენდა: თქვენს დაგებულ მახეში ქურდი მოპყოლია, მაგრამ თავი კი არ აბიაო. მობრძანდა მეფე, ნახა, მართლა ქურდს თავი არ აბია და გაუკვირდა: მაღლობა შენთვის, უფალო, უთავო ქურდსაც პარ-ვა შესძლებია! მერე ბრძანა: გაიტათ მაგ ქურდის გვამი, ზედ შესა მეიდანზე დააგდეთ და ყარაულები დაუყენეთ; ვინც გაი-აროს და ტირილი მოუვიდეს, იცოდეთ, ის იქმნება მაგ ქურ-დის გულშემატკივარი, იმ წამსვე დაიჭირეთ და აქ მომიყვა-ნეთო.

ეს რომ შეიტყო პატარა ქურდმა, წავიდა შინ და თავის ამხანაგის ცოლი დაარიგა. აბა, გაფრთხილდი, არ შეგაცდინონ, ასე და ასე უბრძანებია ხემწიფესათ. დიდის ქურდის ცოლი ვერ ითმენდა და ეხვეწებოდა: წავალ, შროიდან დავდგები და ისე ჩუმ-ჩუმად ვიტირებ, ვერაფერსაც ვერ გამიგებენო.— მაშ კარგი-და, რაკი არ დაგიშლია, კოკა მხარზე გაიდე, ვი-თომც წყლისთვის მისდიხარ და შენი ქმრის გვამს რო დაუ-ახლოვდე, განგებ ქვას ფეხი წამოჰკარ, კოკა გაგიტყდება და მერე დაჯეჭ და იტირე, ვითომც-და კოკის გატეხაზედა სტირიო.

ამხანაგის ცოლი მართლა ასე მოიქცა. კოკა მხარზე გაიდო და წყალზე წავიდა. თავის ქმრის გვამს რომ მიუა-ხლოვდა, განგებ ქვას ფეხი წამოჰკრა, წაიქცა, კოკა ძირს გადმოვარდა და დაიმტვრა. მიუჯდა მერე იმ კოკის ნამტვრე-

ვებს და მორთო მოთქმით ტირილი. ტირილში კოკას ახსენე-
ბდა და ნამდვილად კი თავის ქმარსა ტირილა ტირილით
რომ გული მოიოხა, ადგა და შინ წამოვიდა. ყარაულებს-კი
უკვირდათ რა ღმერთი გაუწყრა ამ დედაკაცს, რომ ერთის
კოკის გულისათვის ამოდენასა ტირისო.

დაღამდა ეს დღეც. წავიდნენ ყარაულები მეფესთან, წა-
ილეს იმ ქურდის გვამი და მეფეს მოახსენეს: არავინ გვინახავს
ისეთი გამფლელი, რომ ტირილი მოსვლოდეს; მხოლოდ ერთმა
დედაკაცმა გაიარა, ქვას ფეხი წამოპკრა, კოკა გაუტყდა და
იმ კოკის გულისათვის ბევრიც იტირაო. მეფეს მაშინვე გუ-
ლში ჩაჰებინა, მიჰხვდა, რაც მიზეზი იქმნებოდა. გაჯავრდა,
რატომ ის დედაკაცი არ დაიჭირეთ და აქ არ მომითრიეთო,
მაგრამ რაღა ეშველებოდა. მერე ბრძანა და ყარაულებს თა-
ვები დააყრევინებინა.

მეფე რომ ამ ხერხითაც ვერას გახდა, ახლა სხვა ხერხი
მოიგონა. მკვდარის ქურდის გვამი ქალაქ გარედ გაატავინა და
იქ დააგდებინა. ეგების ვინმე პატრონი გამოუჩნდეს და მოსა-
პარავად მოვიდესო. შორ-იახლო ყარაულები დაუყენა და
უბრძანა: თუ ვინმე მკვდრის მოსაპარავად მოვიდეს, შეჰკარით
და აქ მომგვარეთო.

გაიგო ეს ამბავი პატარა ქურდმა, გაიგდო წინ ვირი და
იქვე, ერთ ახლო სოფელში გადვიდა; გამოაცხობინა იქ ნა-
ზუქები, ქადები, იყიდა თავი ღვინო, მოახარშვინა: ქათმები,
ინდაურები, ჩაალაგა ხურჯინში, გადაპკიტა. ვირსა და გზას
გაუდგა. მივიდა იმ აღგილას, სადაც მეფის დაუყენებული
ყარაულები იყვნენ და შესძახა: სტუმარი არ გინდათო?
შორ გზას მივალ, ამაღამ აქ გამათენებინეთ, მეშინიან, ვირი
არავინ მომპაროს და კაი ვახშამს გაჭმევთო. ყარაულებს ვა-
ხშმის ხსენებაზე კირკიმელა მოუვიდათ. დასხდნენ და შე-
აბეს ვახშამი. პატარა ქურდმა მოჰსნა პირი ღვინის ჭურჭელს.
უსხამს ყარაულებს, აძალადებს და თითონ კი პირში წვეთს
არ უშვებს.

კარგა რო გამოათრო, უთხრა: შე ეხლა მეძინება, უნდა
დავიძინო და, აბა, ვინძლო, ვირზე თვალ-ყური გეჭიროთ,
არავინ მოიპაროს, თორემ, თუ დავკარგე, ხემწიფესთან დაგა-
ბეზღებთო. — დაწე, არხეინად იყავ: არტარა ისეთი სახარბი-
ელოა ე შენი ვირი, მაგისთვის არავინ დაფეთდებაო, უთხრეს
ყარაულებმა. პატარა ქურდი მიწვა, თავი მოიმძინარა და
თან კი ქვეშ-ქვეშ გამოიყურებოდა. პატარა ხანს უკან ეს ყა-
რაულები დახოცილებივით მიეყარნენ და მკვდრებივით მიეძინათ.

წამოდგა მაშინ პატარა ქურდი, მოიკიდა ზურგზე თავისი
მკვდარი ამხანაგი და გაცუხცუხდა. მიიტანა ვირთან, გადაჭკიდა
ზედ მიცვალებული და გაიგდო შინისაკენ. თითონ კი ისევ
უკან გამობრუნდა, დაწვა ისევ თავის ადგილას და დაიძინა.

ვირი დაჩვეული იყო თავისთავად სახლში მისვლას.
დაღუნა, მართლაც, ვირმა თავი და გასწია შინისაკენ. მივი-
და სახლში და კარები დაარახუნა. გამოვიდა დიდის ქურდის
ცოლი, ჩამოსხნა ვირს მიცვალებული, დაასვენა ტახტზე და
დასტიროდა. ტირილით რომ გული კარგა იჯერა, გათხარა
ტახტ ქვეშ მიწა და შიგ ჩაფლა.

გათენდა დილა, გაიღვიძეს ყარაულებმა და თავისი. შგზავ-
რი სტუმარიც გამოაღვიძეს. გაახილა თვალები თუ არა პა-
ტარა ქურდმა, ვირი მოიკითხა, ნახა, იქ აღარ იყო, საშინე-
ლი ღრიალი შექმნა: წავალ და ხემწიფესთან დაგაბეზღებთო.
ყარაულებს ჯერ ისეც ეშინოდათ, მკვდარს რომ კარგა ვერ
უყარაულეს და ეხლა ხომ სულ ჭკვა და გონება დაეფანტათ.
ამოიღეს ჯიბიდან ფული, აჩუქეს და დააჩუქმეს. მყვირალა
სტუმარი. ამასაც ეს უნდოდა: მკვდარის ამხანაგის გვამიც მო-
იპარა; ფულებიც იშოვა.

ყარაულები ხემწიფეს იახლნენ. ხემწიფემ რომ ყველა ეს
ამბები შეიტყო, ძალიან გაჯავრდა; უბრძანა და ამ ყარაუ-
ლებსაც ყველას თავები ტააყრევინებინა.

ამითიც რომ ვერას გახდა, ახლა კიდევ სხვა ხერხი მოი-
გონა. ერთი ქუჩა ფულით მოაფენინა; აქვდ-იქიდან ყარა-

ულები დაუყენა და ასე უბრძანა: თუ ვინმე გამვლელმა ფულები აკრიფოს, სტაცეთ ხელი და დაიჭირეთ, იცოდეთ, ის იქნება იმ ქურდის პატრონი და ამხანაგია.

შეიტყო პატარა ქურდმა და სიხარულით აღარა გაეგებოდა-რა. იშოვნა რუმბიელის გაკუპრული ტყავი, ქალმები ამოასხმეინა, ილლიაში ამოიჩარა და გასწია. იმ ქუჩასთან რომ მივიდა, დაჯდა, ფეხთ დაიხადა და ახალი, რუმბიელის ქალმები ჩაიცვა. მერე ფულით მოფენილ ქუჩაზე გაიარა და თან თავი მაღლა ეჭირა და სიმღერებს დასხახოდა. ქუჩას რომ გასცდა, დაჯდა, აიძრო რაც კუპრიან ფეხებზედ ფულები აჰკვ-როდა, გათხარა მიწა, ჩაყარა შიგ და ისევ გამოიარა. აქეთ თავში რომ გამოვიდა, ახლა აქ დაიბერტყა ფეხები, ჩაფლა მიწაში, რაც ფეხებზედ ფულები აჰკვროდა და ისევ გაიარა. საღამომდის სულ ამ ქუჩაზე ესე გადიოდ-გამოდიოდა და თითქმის ნახევარი ფული სულ გაზიდა.

საღამოზე წამოკრიფეს ყარაულებმა დანარჩენი ფული, იახლნენ ხემწიფეს და მოახსენეს: ფული კი არავის აუღია, მაგრამ ერთი ვიღაც კაცი-კი დილით საღამომდე იმ ქუჩაზე დადიოდა. ეწყინა მეფეს, რატომ ის კაცი არ დაიჭირეთ და აქ არ მომგვარეთო და მერე იმათაც თავები დააყრევინებინა.

შემდეგ მოიწვია თავისი ნაზირ-ვეზირები და რჩევა ჰკითხა, მეფეს ერთი მშველი ჰყვანდა; როდესაც იმ მშველს აუშვებდნენ, წავიდოდა და სწორედ იმის სახლის წინ წამოიჩოქებდა, ვინც მეფესთან რაშიმე დამნაშავე იყო. ნაზირ-ვეზირებმაც მაშინვე ის მშველი მოაგონეს: ავუშვათ და, ვის კარწინაც დაიჩოქებს, ქურდი ის იქნებაო.

მეფემ მიიღო ეს რჩევა; მშველი აუშვეს. ირბინა, ირბინა ამ მშველმა და სწორედ იმ პატარა ქურდის სახლ წინ წამოიჩოქა.

დილით, განთიადზე პატარა ქურდს გამოედვიძა. გამოიხედა გარეთ, ნახა—კარ წინ ხემწიფის მშველია წამოიჩოქებული. ამ მშველის ამბავი წინადაცა ჰქონდა გაგონილი და, ეხლა

რომ დაინახა, მიჰევდა, რაც მიზეზი უნდა ყოფილიყო. გავი-
და გარედ, სტაცია მშველს ხელი და შინ შემოათრია; დაკლა,
გაატყავა, ტყავი კარგა მიმალა, ხორციც გააფეშვავა და
ფეშხოები სახლში ჩამოჰკიდა.

მეფე-კი თავგადაგლეჯილი დაეძებს თავის მშველს და
ვეღარსად უპოვნია. შეკრიბა თავისი ნაზირ-ვეზირები და შეს-
ჩივლა მშველის დაკარგვის ამბავი. ნაზირ-ვეზირები გაშრნენ
ამ ამბის გაგონებაზე, ვერაფრის თქმას ვეღარ ახერხებდნენ.

სად იყო — სად არა, გაჩნდა ერთი ბებერი, იახლა მე-
ფეს და მოახსენა: მე შევიტყე, მშველი დაგიკარგვას და
რას მომცემ, რომ იმისი დამჭერი გიპოვნოვო. — რასაცა მოხო-
ვო, უთხრა მეფემ. — მაშ აზნაურობა მომეო. — აზნაურობა კი
არა, თუნდა თავაღობასაც მოგცემო, უპასუხა მეფემ. ადგა
ბებერი და წავიდა საძებნელად.

მიიარ-მოიარა და მერე იმ პატარა ქურდის სახლს მია-
ტანა. პატარა ქურდი შინ არ იყო და დიდის ქურდის ცოლ-
მა გამოჰქვდა. ბებერმა უთხრა: შვილო, დედა შვილობას, თუ
გაქვს ერთი ნაჭერი მშველის ხორცი, ნუ დამიჭერ, ავაღმყო-
ფისათვის წამლად მასწავლესო! ამან ბებრის ეშმაკობისა არა
იცოდა რა, შეტრიალდა სახლში და ერთი ნაჭერი შშველის
ხორცი გამოუტანა. ბებერი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა.
ჩამოართვა სა გამოტრიალდა.

ცოტა რომ გამოსცილდა, პატარა ქურდი შემოეყარა
წინ და უთხრა: რა არის, ბებერო, ეგ რა მიგაქვსო? — მშველის
ხორცი წამლად მასწავლეს და, ღმერთმა 'უშველოს, აი ამ სა-
ხლში ერთი დედაცაცი იყო, იმან მომცაო, უთხრა ბებერმა..
პატარა ქურდი გულმა შეუტყო; მიჰევდა კუდიან ბებრის
ეშმაკობასა და უთხრა: მერე, ეგ ერთი კიკნა ხორცი რაში
გამოგადგება? წამოდი, მთელი ერთი ფეშვა მოგცე: შენცა
სჭამე, მეზობლებსაც აჭამე და წამლადაც მოიხმარეო. ბებერს
მეტის-მეტის სიამოვნებით თავ-ბრუ დაესხა. გამოტრიალდა და
პატარა ქურდი უკან გამოჰყა. პატარა ქურდმა რაკი კულია-

ნი ბებერი სახლში შემოიტყუა, წამოუსო ხანჯალი და თავი გააგდებინა, მერე აიღო მისი გვამი და ისიც ტახტ ქვეშ და-მარხა. ხელმწიფე-კი ამბავს ელოდება, ჰერინია—აი ან ახლა მოვა ბებერი, ან ახლაო.

გავიდა რამდენიმე დღე, ბებერი არ გამოცხადდა. მეფემ იმედი გარდაიწყვიტა. შეკრიბა კიდევ თავისი ნაზირ-ვეზი რები და ჰკიოთხა: რა ეშველება ამ საქმეს, როგორ უნდა ამო-ვიდე იმ ქურდის ოხტიდანათ? ვეზირებმა მოახსენეს: ის ისე-თი ყოჩალი და ჰკვიანი ქურდი ყოფილა, რომ იმის ოხტში ჩვენ ვერ მოვალთო.

ადგა მაშინ მეფე და ასე გამოაცხადა: თუ ის ქურდი მოვა ჩემთან, არას ვერჩი და ჩემს ქალსაც ცოლად შევრთავ, — ეტყობა ჰკვიანი ყოფილა, რომ ამდენი ოინი მიყო და მე იმას ოხტში ვერ მოუვედიო.

პატარა ქურდმა ეს ამბავი რომ შეიტყო, მეფეს იახლა და მოახსენა: მე გახლავარ ის ქურდი და ეხლა, რაც თქვენი ნება იყოს, ის მიყავითო. მეფემ თავისი სიტყვა უკან ვეღარ წაილო და თავის ქალზე ჯვარი დასწერა.

შეიტყო ეს ამბავი ერთმა მეზობელმა ხემწიფემ. ყოველ დღე წერილებსა სწერდა ამ ქურდის სიმამრს, მეფეს და ჯავ-რებდა: არა გრცხვენიან, ერთმა წუწკმა ქურდმა საქმე ისე გაგიხადა, რომ შენი ქალი ცოლად შეპროც და სიძელ გაიხა-დეო!.. ქურდის სიმამრს ძალიანა სწყინდა ესეთი დაცინვა; ბოლოს ვეღარ აიტანა და მეტის ჯავრით ავად გახდა.

მოვიდა სიძე თავის სიმამრთანა და ჰკიოთხა: რა მიზეზია, რათა ხარ ავადაო? სიმამრმა ყველაფერი დაწვრილებით უამ-ბო. სიძემ უთხრა; მაგაზე როგორა სწუხარ; ორიოდე დღე მომითმინე და მე გიჩვენებ იმის სეირსაო. მხოლოდ ამა და ამ დღისთვის კარგი წვეულობა გამართე და მეც იმ დღეს აქ ვიქმნებიო. დაუდო ვადა და წავიდა.

ბეჭრი იარა თუ ცოტა, მივიდა იმ დამცინავ მეფის სახემწიფოში, დადგა ერთ სახლში და დაისვენა. მეორე დღეს

ერთი მკერვალი ნახა და უთხრა: ერთი წელი ტყავის ტანი-
სამოსი უნდა შემიკერო; სულ ფერადი ტყავის ნაჭრებისა
უნდა იყოს და შიგა და შიგ ზანზალაკები უნდა ჰქონდეს
დატანებულიო. მკერვალმა რომ ტანისამოსი დაუმზადა, მის-
ცა ქურდმა ფული და გაისტუმრა.

მერე ჩაიცვა ეს ტანისამოსი, დაიჭირა ხელში ისეთი
ხმალი, რომ სულ ლაპლაპი გაჰქონდა და წავიდა მეფესთან,
კარის კაცები არ უშვებდნენ, მაგრამ ქურდმა უთხრა: მფ
ვარ მიქელ-გაბრიელ, ღვთისაგანა ვარ გამოგზავნილი! უნდა
თქვენი მეფე-დედოფლის სული სამოთხეში წავილო და, თუ
ძალიან გამიჭირვეულდებით, თქვენც სულს ამოგხდით და შიგ
ჯოჯოხეთში გავგზავნიო. თანაც ერთი მაგრა შეინძრა და
ზანზალაკებს ზრიალი დააწყებინა. კარის კაცებს გულები
დაუსკდათ და სულ აქეთ-იქით მიიმალნენ.

ქურდი მეფესთან შევიდა. მეფემ რომ დაინახა, ფერი
დაეკარგა. მიქელ გაბრიელმა დაიწყო: სამი დღე ვადა მომი-
ცია. ამ სამ დღეში ყველა საჭმეები გაათავეთ; თქვენი სახემ-
წიფო ერთ ვისმე ჩააბარეთ და თქვენ კი სრულებით დატი-
ტვლდით, სათითაო კიდობანში ჩასხედით და გასაღებები ზე-
ვიდან დაალაგეთ. სამს დღეს უკან მოვალ; კიდობნებს დავ-
კეტავ და წაგიყვანთო. სთქვა ეს, გამობრუნდა და წამოვიდა.
გაიხადა ტყავის ტანისამოსი და ეს სამი დღე სულ დროს
გატარებაში იყო.

მესამე დღეს ჩაიცვა ისევ ის ტანისამოსი და მივიდა ხემ-
წიფესთან. ხემწიფე და იმისი ცოლი დატიტვლებულიყვნენ,
თითო-თოთო კიდობანში ჩამსხდარიყვნენ და იმის მოლოდინში
იყვნენ. იმანაც ჩასძახა: სამოთხეში რომ მივალთ, საკრავების
ხმა შემოგესმებათ; გავაღებ მაშინვე კიდობნებს და თქვენ
თვალებ დახუჭული უნდა ამოსცვივდეთ და თამაშობა დაიწ-
ყოთო. მერე აიღო გასაღები, ორივ კიდობნები დაპკეტა, მო-
იკიდა ზურგზე და გამოსწია.

ცოტას რომ გამოსცილდა, კიდობნები ვირს გადაპკიდა;

თითონ უკან მოუდგა და ჩუმ-ჩუმად „ჰაცე“-ს მოსხახდა. დანიშნულ ვადაზე თავის სიმამრთან მოვიდა. იმის სიმამრს-კი იმ დღეს მთელი თავისი სახემწიფო მოუწვევია; ზოგი ახლო სახემწიფოებიდანაც-კი მოსულა და ისეთი ლხინი აქვთ, რომ მტერიც კი გახარებულია. მივიდა ქურდი და, როგორც კი ვირს კიდობნები ჩამოჰხადა, მოისმა მშვენიერი საკრავების ხმა.

ქურდმა აპხადა კიდობანს თუ არა, ამოცვივდნენ ტიტ-ლიკინა მეფე-დედოფალი და მოჰყვნენ ტლინკვას; ხალხი კი უყურებს იმათ სისულელეს და სიცილით იხოცება. შერე მივიდა იმათთან მეფე. ორივეს სამეფო ტანისამოსი ჩააცვა ლუთხრა: ჯერ ადრეა თქვენი საიქიოს წასვლა; ის გირჩევნიათ, თქვენს სახელმწიფოში მიპბრძანდეთ და რიგიანად ჰპატ-რონობდეთ. ეგ თქვენ, წარამარა დაცინვა ნუ იცით!

ამას შემდეგ მეფეს ძლიერ შეუყვარდა თავისი სიძე და სიკვდილს შემდეგ თავისი სახელმწიფოც იმას დაულოცა.

მეფე და კათალიკოსი

(საგამოცანო)

იყო ერთი ბრძენი მეფე. ჰყავდა ბრძენივე კათალიკოსი, მეფეს უნდოდა, რომ სიბრძნეში ცალი არ ჰყოლოდა, კათალიკოსი ტოლს არ უდებდა. იფიქრა მეფემ, მოდი ერთი სამს რასმე ვკითხავ და, თუ ვერ ახსნა, თავს მოვსჭრიო. ამ განზრახვით დაიბარა კათალიკოსი და ჰკითხა:

1) რამდენად ვლირვარ მეო? 2) ცაში რამდენი ვარს-კვლავია და 3) რას ვფიქრობ მე ახლაო? თან სამი დღე ვა-და დაუდვა. თუ არ გამოგიცვნია, თავს მოგჭრიო. დაღონდა კათალიკოსი; არცა სვამდა და არცასჭამდა. ხშირად შედიოდა მასთან მისი ერთგული მზარეული და ეკითხებოდა: ბატონო, რას ინებებთო; მაგრამ კათალიკოსი პასუხს არ აძლევდა. ბო-ლოს მზარეულმა ველარ მოითმინა და უთხრა:

— მიბძანე, ბატონო, რა გიჭირს, მეც კაცი ვარ, იქნუ-
ბა გამოგადგეო.

გაიხსენა კათალიკოსმა, რომ პატარა და უძლურ თაგუ-
ნასაც შეუძლია სარგებლობის მოტანა ძრიელის ლომისთვის
და უთხრა, ასე და ასეა ჩემი საქმეო. მზარეულმა მოახსენა:

— მომეცი ერთი თუმანი და მე დაგიხსნიო.

— ათი მიირთვიო, — უთხრა კათალიკოსმა, — ოღონდ მი-
შველე რამეო.

გამოართვა მზარეულმა ფული, გასწია დალაჭთან და უთხრა:

— სამაგალითოდ დაგაჯილდოვებ, ოღონდ ისეთი წვერ-
შლვაში და თმა გამიკეთე, როგორიც კათალიკოსია აქვსო.

— კარგიო, დასთანმხდა დალაჭი და გაუკეთა სახე ისეთ
ნაირად, რომ ყველას ნამდვილი კათალიკოსი ეგონებოდა.

აღნიშნულ დღეს მზარეული მოირთო კათალიკოზურად,
დაიჭირა ხელში კვერთხი და წავიდა ხემწიფესთან. მოახსენეს
მეფეს, კათალიკოსი მოვიდაო.

— მოვიდა, მაგრამ ვეღარ წავაო, სთქვა თავის გულში
მეფემ და უბრძანა შემოეყვანათ. წარსდგა მეფის წინაშე ცრუ
კათალიკოსი.

მეფემ უბრძანა, აბა პირველ კითხვაზედ რას მეტყვი, რამ-
დენად ვღირვარ მეო.

— თხუთხმეტ ვერცხლათაო.

— როგორ, ნუ თუ შენს მეფეს მეტად არ აფასებო?..

— იესო ქრისტე, ქვეყნის მაცხოვარი ოცდა ათად გაჰყი-
დეს, იოსები, ებრაელების გამომხსნელი, — ჩვიდმეტად და შენ
ორივეზე ნაკლები ხარო, მიუგო მზარეულმა.

— ცაში რამდენი ვარსკვლავი არისო?

— ათი მილიონი გახლავსო!

— რატომ, მეტი იქნებაო?

— დაათვლევინე და, თუ მეტი იქნება, თავი მომჭერიო.

— რას ვფიქრობ მე ახლაო? ჰკითხა შეფიქრიანებულმა
მეფემ მესამედ.

— შენ ფიქრობ ახლა, რომ შენ წინ სდგას კათალიკოსი და კითხვებს გიხსნის, მაგრამ ეს ასე არ არის; მე გახლავარ მისი მზარეული.

გადაიძრო კათალიკოსის ტანისამოსი და მაშინ მეფეშაც იცნო, რომ ის იყო ნამდვილი მზარეული და არა კათალიკოსი.

დაიწერა მეფემ პირჯვარი, ღმერთს მადლობა შესწირა და სთქვა: შური გულსა კაცისასა დააბნელებსო, მეც ისე დამემართაო.

იდგა და კათალიკოსიც დაასაჩუქრა და მზარეულიც.

მეფე და მეთევზე

იყო ერთი მეთევზე. ერთხელ ზამთარში წავიდა სათევზაობი; სიცივე-ყინვაში მეთევზე რომ წყალში იდგა და თევზს იჭერდა, გამოუარა ახლოს სანაღიროდ მიმავალმა ხელმწიფებული თავის ნაზირ-ვეზირებით და ჰკითხა:

— რა დაგმართვია, რვა ოთხს როგორ ვერ გადაამეტე, რომ ამ სიცივე-ყინვაში არ ჩამდგარიყავ წყალშიო?

— რა ვქნა, შენი ჭირიმე; ოც-და-თორმეტს ვერ გადავანარჩუნეო, — უპასუხა მეთევზემ.

— წისქვილი ისევ კარგად მუშაობსო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— რაღა დროსია, დიდი ხანია მოიშალაო.

— მთაზედ თოვლი მოსულაო.

— ბარშიაც დიდი ხანია ჩამოვიდაო, — უპასუხა მეთევზემ.

— შორს როგორა ხარო?

— დავიახლოვეო.

— ორზედ როგორ-და ხარო?

— დავასამეო.

— თხები რომ მოგცე, კარგად ვერ დაშიკრეჭავო? — ჰკითხა ბოლოს ხელმწიფემ.

— ისე დავკრიჭო, რომ ტყავიც კი თან გავატანოვო, — მიუგო მეთევზემ.

ხემწიფე ძლიერ მოეწონა მეთევზეს პასუხები და, როცა
გაშორდა, ჰკითხა თავის ნაზირ-ვეზირებს:

— გაიგეთ, რასაც ვლაპარაკობდით მე და მეთევზეო? ნაზირ-ვეზირებმა მოახსენეს — „ვერაო“.

მაშინ ხელმწიფე გამოუცხადა: *ვინც ვერ გამოიცნობს ჩვენს ლაპარაკს ამა-და-ამ ვადამდისა, ნაზირ-ვეზირობიდან დავითხოვო“.

ნაზირ-ვეზირებმა მონახეს მეთევზე და შეეხვეწნენ, აეხსნა მათთვის ხელმწიფესთან ნალაპარაკევი. მეთევზე დასთანხმდა, მხოლოდ იმოდენა გასამჯელო კი მოსთხოვა, რომ ცოლის კაბებიც კი დააყიდვინა ვეზირებს.

მეთევზემ თავისი გასამრჯელო რომ ჩაიბარა, უთხრა: — ხელმწიფე მკითხა: „რვა სამუშაო თვეს იმდენი როგორ ვერ იშოვნე, რომ ზამთრის ოთხის თვის საგძალი შაგენახაო“ მე ვუთხარი: „ოცდა თორმეტ კბილს ვერ გადავანარჩუნე“, — რასაცა ვშოულობდი, მაშინვე ვჭამდი-მეთქი.

„კბილები ისევ მთლადა გაქვსოდა!“ — ხელმწიფე მკითხა; მე ვუთხარი: — დამცვიდა-მეთქი.

„თმაში ჭალარა გამოგერიაო?“ მე ვუთხარი: — წვერშიაც გამომერია-მეთქი.

„მხედველობაზე როგორა ხარო?“ — მე ვუთხარი: — შორს ველარა ვხედავ-მეთქი.

„მუხლში ღონე გაქვს კიდევაო?“ — მე ვუთხარი; — ყავა-რჯენით დავდივარ-მეთქი.

„თხები რომ მკითხა, ეგ კიდევ თქვენა ხართო“, — უთხრა მეთევზემ ნაზირ-ვეზირებსა.

ნაზირ-ვეზირები დარჩნენ ისევ თავ-თავის აღგილებზედ, რადგან აუხსნეს ხელმწიფეს მეთევზესთან ნალაპარაკევი, ხოლო მეთევზე-კი ძლიერ გამდიდრდა.

სიბრძნე სოლომონისა.

აღებ-მიცემის ხალხი, როდესაც კი გამდიდრება და ცხოვრების შეძენა უნდა, ზევრსა შრომობს: ერთი ქალაქიდან მიღის მეორე ქალაქში, ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოში და ასე შოულობს სპეციალისტებს. სოლომონ ბრძენის დროს ერთმა დიდათ მდიდარმა სოველაგარმა „პაკომ“ გაიარა ქალაქ იერუსალიმში და ლამეც იქ დარჩა. მეორე დილით, როდესაც დააპირა გამგზავრება, უბრძანა თავისს ნოქარს: „წადი, კვერცხები იყიდე, ვისაუზმოთ და წავიდეთ ჩვენს გზაზედათ“. ნოქარმა აასრულა ბატონის ბრძანება და, რადგანაც ათი კვერცხისათვის ცეცხლს ვერ აანთებდნენ, სოხოვა გამყიდველს მოხხარშნა. გამყიდველმა უთხრა: „მოხარშული კვერცხიბიცა მაქვს, ეს არის ეხლა გადმოვიდე, გასასყიდათ მინდოდა და კარგია თქვენ მოხვედით, ჯერ ისევ ცხელებია და მიირთვითო“. მყიდველმა საჩქაროდ ჩატარა კალათაში და წაიღო ბატონთან მოხარშული კვერცხები. ისაუზმეს, აჰკიდეს ჯორ-აქლემებს საცხოვრებელი და გაემგზავრნენ. იშგზავრეს ერთი კვირა და, რასაკვირველია ამ დროს განმავლობაში კარგა გზას გაიკლიდნენ. როდესაც ჩამოხდნენ, ნახა მოურავმა, კვერცხების მყიდველმა, რომ გამყიდველ ქვრივის დედაკაცის კვერცხების ფასი ორი შაური თან გამოჰყოლოდა. შესწუხდა მეტად და მოახსენა ბატონს; ესეც მეტათ შეწუხდა, უკან გაბრუნება შეუძლებელი-ლა იყო, გაგზავნა უფრო არ შეიძლებოდა, რადგანაც დედაკაცის არც სახელი იცოდნენ, არც გვარი, არც ქუჩა და არც სახლი. კარგა ხანი იფიქრეს და მეტად სწუხდნენ. შემდეგ უბრძანა პაკომ თავის მოურავს: „რაც მოგვივიდა, მოგვივიდა, ეგ თრი შაური ცალკე შეინახე სასარგებლოთ და, რაც ღმერთმა მოგვცეს და მოიგოს მაგ თრმა შაურმა, როდესაც გამოვიაროთ, მაშინ მოვუტანოთო“. გა-

დასწყვიტეს ქსრეთ და გაემგზავრნენ, თუმცა ამ ორის შაურის გულისთვის ჯავრი არ გამოჰლევია.

შემდეგ მრავლისა და დიდის ხნის მგზავრობისა მივიღნენ ერთს მდიდარს ქალაქში და დაიწყეს ვაჭრობა. იმ გაყოლილ ორ შაურს ცალკე ასარგებლებდნენ. დარჩნენ რამდენიმე წელიწადი, ასრე რომ ის ორი შაური ას თუმნათ გადაიქცა. თუ კი ორმა შაურმა ასი თუმანი მოიგო, რასაკვირველია, იმ სოვდაგრის საცხოვრებელი, ვინ იცის, რამდენი გახდებოდა! შეიძინეს რა მრავალი ცხოვრება და სიმდიდრე, მოისურვეს თავიანთ სახლში წამოსვლა. შეკრიბეს ყველაფერი, ფული და ნივთეული, რაც კი რამ ძვირფასი შეეძინათ და გამოემგზავრნენ. მოვიღნენ ქალაქ იერუსალიმში, საღაც კვერცხები იყიდეს. მყიდველი კვერცხებისა, მოურავი სოვდაგრისა, მივიღა იმ დედაკაცთან, რომლისაგანაც იყიდა კვერცხები და იცნო. დედაკაცს დავიწყებული ჰქონდა თავისი რაზი შაური და მყიდველმა ძლივ-ძლიობით მოაგონა და უთხრა ბევრის ფიცით და დასაჯერის სიტყვებით, რომ ამაზე მეტი არ უსარგებლიაო. დედაკაცმა სიხარულით და დიდის მაღლობით ჩამოართვა ათასი მანეთი. განშორდა რა მყიდველი, ჰკითხეს მეზობლებმა: „ეგ კაცი ვინ იყო და ფული რათ მოგიტანაო?“ დედაკაცმა უთხრა: „ამა და ამ დროს ორის შაურის კვერცხები მივყიდე და ფული თან გაპყვა, ის ორი შაური უსარგებლებია და ეს ათასი მანეთი მოუგია, ღმერთმა აღლეგრძელოს, ეხლა მომიტანაო!“ მეზობლებმა უთხრეს: „შე საწყალო, მაგაზე მეტი არ გერგებოდა?! აბა იანგარიშე იმ წლიდან, როდესაც შენ კვერცხები მიგიყიდნია, ის ათი კვერცხი ხომ ათს ქათაში გამოიყვანდა, ის ათი ქათამი—ოც-ოცს წიწილას, თუნდა თხუთმეტ-თხუთმეტს, ახლა ესენი კიდევ თხუთმეტ-თხუთმეტს და, ვინ იცის, რამდენი შედგებოდა, მგონი ასი თუმანი კი არა, ბევრის ბევრიც შედგებოდა!“ ის დედაკაცი გაბრიყვდა, მივიღა სოვდაგართან და უთხრა: „მეტი მერგებაო!“ შეჰვიცა სოვდაგარმა, მეტი არ უსარგებლნიაო. დე-

ლაკაცი წავიდა და სოფლის უფროსთან უჩივლა, იმან უანგარიშა და რამდენიმე ასი ათასი თუმანი შეაყენა. სოვედაგარი არ დაჰყაბულდა, წავიდა და მაზრის უფროსთან უჩივლა. ამან უანგარიშა და სოფლის უფროსის ანგარიშზე უფრო მეტი შედგა. კიდევ არ დაჰყაბულდა და ვეზირთან იჩივლა. ამან უფრო მეტი შეაყენა. ერთის სიტყვით, ვისთანაც იჩივლა, ყველამ სოვედაგარი გაამტყუნა. ჩამოაცალეს ყოველი საცხოვრებელი და ჩაბარეს ქვრივ დედაკაცს, მაგრამ ერთი ამდენი კიდევ დაავალეს, რაღანაც ყველა მისი მონაგები იმ ათნაყიდ კვერცხში არ ეყო ისწევ თქვენი მტერი შესწუხდეს, როგორც ის სოვედაგარი შესწუხდა, დაიწყო ტირილი და თავში ცემა... აღარა აბადია-რა, ერთი გროშიც აღარა აქვს, რომ ლუკმა პური იყიდოს და სჭამოს. იმ საცოდავს ველარა უფიქრია-რა. რა ქნას? სად წავიდეს? ვის მიმართოს? სად გადავარდეს? არის დიდ დარდსა და ბოროტში!... თავის საცხოვრებლის მმართველს ესესხა ფულს, რომელიც იმას მიღებული პქონდა ჯამგირად. იმანაც ცოტა ასესხა, რაღანაც გარდახდის იმედი აღარსაითა პქონდა. ეხლა იმ საწყალს აღადია-რა და იმის მოსამსახურეებს კი აქვთ... საქმე ისრე გაუხდა, რომ ახლა ის იმათ უნდა ემსახუროს, თორემ შიმშილით მოკვდება. იცემს თავში, ტირის და ფიქრობს თავის გუნებაში: მართალი ყოფილა ძველათ ნათქვამი ანდაზა: „ნუ მიჟუვები სიმართლესთ, გამოგილევს სინათლესთ.“ ვინა ყოფილა ვაჭარი კაცი მართალი, რომ მე მოვიქეცი სიმართლით! იმ დედაკაცს ხომ აღარც-კი ახსოვდა და რათ მოვუტანე ფული?! მაგრამ ღვთისა მეშინოდა და ი რა მომივიდა! ვაჭარი კაცი თუ არ ატყუილებს ხალხს, უფრო თავის ნაცნობებს, მეგობრებს და ნათესავებს, რაღანაც ესენი დარწმუნებულნი არიან, რომ არ მოვატყუილებსო, თუ ერთი ორათ არ ჰყიდის ყოველ სავაჭროს, — როგორ უნდა მოიგოს ფული?! მე ყოველს ამას მოშორებული ვიყავი და ამ სიმართლემ, არა თუ სინათლე გამომილია, არამედ ჭკუაც და გო-

ნებაც დამიკარგა, მაგრამ, ეჭ, მაღლობა ღმერთს, თუ ლვთი-
საგან მონიჭებული სიკეთე და ბეღნიერება მიხაროდა, უსია-
მოვნობა და უბედურებაც უნდა შოვითმინო სულგრძელებით.
არა მგონია და არცა მჯერა, თუ სიმართლე დაიკარგება
საღმე. ეს ნამდვილად ვიცი და წამიკითხნია კიდეც, რომ:
„ურმა ვიუავ და დავბერდიცა და არა ვიხილე მართალი დაგდებულ,
არცა თესლი მისი მთხოველ ბურისა“. ეს თუმცა წამიკითხნია,
მაგრამ არ მახსოვს, რომელს წიგნში სწერია. იფიქრა, იფიქრა
დიდს ხანს და მოიგონა, რომ სოლომონ ბრძენის მამისაგან
დაწერილ წიგნში სწერია. სოლომონის მამა დავხთი დიდი მე-
ფე იყო და ის ტყუილს არ დასწერავდა! ამ ფიქრში რომ
იყო, უცებ მოაგონდა: ყველა მოსამართლეებმა მე გამამტყუ-
ნეს, ჩამომაცალეს საცხოვრებელი და ცარიელი დამსვეს, წა-
ვალ და ერთი სოლომონ ბრძენთანაც ვიჩივლებ, ვნახოთ
ღმერთი, რომელმაც იცის ჩემი სიმართლე, რას ინებებ-
სო? ეს გასაწყლებული სოვდაგარი ადგა, დაიწყო ვაითა
და ვაგლახით სიარული, მივიდა სოლომონ ბრძენთან და
შესჩივლა ყოველივე თავისი დარღი. უბრძანა: „ამაღა
ვიანგარიშებ და ხვალ დილით მოდი და სამართალს მო-
გცემო“. იმ ღამეს დაჯდა სოლომონი და იანგარიშა. იმან
უფრო მეტად მეტის-მეტი შეაყენა. გათენდა დილა, მივიდა
საცოდავი სოვდაგარი და ელის სამართალს. სოლომონმა შეი-
ყვანა სახლში, დასვა, დაიდვა ანგარიშის ქალალდი და იმის
თვალ წინ იანგარიშა. რასაკვირველია, თითონ სოვდაგარსაც
კარგად ეცოდინებოდა ანგარიში და თითონ იმასაც აანგარი-
შებინა. შეაყენეს ძრიელ ბევრისაგან ბევრი, თუმცა კიდეც
სთქვეს: ამდენი მოკვდებოდა, ამდენი კვერცხი გალაყდებოდა,
ამდენი დაიკარგებოდა, ამდენს თითონ მოიხმარებდნენო, მაგ-
რამ, რაც ჩაბარებული ჰქონდა დედაკაცს, მაინც იმაზე ბევ-
რად მეტი შეაყენეს. უბრძანა: „აბა, შვილო, რა გიყო, ვი-
თომ შენა ხარ მეფე და სხვა ჩივის, ხომ თითონ შენ იანგა-
რიშე და რა სამართალს მისცემდიო? გალარიბებულმა სოვდა-

გარმა ხმაც ვეღარ ამოიღო, დარჩა გაჩუმებულის, სოლომონ ბრძენმა დაიწყო დარბაზში სიარული და მიეცა მეტად დიდ და ლრმა ფიქრს. დახე ლვთის განგებას და სოვდაგრის სიმარა თლეს! მოაგონდა სოლომონს და ჰკითხა: „ის კვერცხები, რომლებიც შენ იყიდე, მოხარულები იყო თუ უმებიო?“ — „მოხარულები იყო, ბატონო“ — ძლივ-ძლიობით პირში ნერწყვ გამშრალმა უპასუხა. — „მაშ წადი და ხვალ შუადღის სას მოდი“. როდესაც გაშორდა სოვდაგარი, მაშინვე დაუძახა კარის კაცს სოლომონ ბრძენმა და გაგზავნა ყველა მოსამართლეებთან, რომლებთანაც კი საჩივარი ჰქონდა სოვდაგარსა და სხვა დიდებულებთანაც, რომ ხვალ დილით ყველანი უსათუოდ იმასთან შეკრებილიყვნენ.

მეორე დღეს დილით ადრიანათ აივსო სოლომონ ბრძენის პალატი მოსამართლეებით და დიდებულებით. ამ შეკრებილებაზე ყველანი ერთმანეთს ეცნენ და არ იცოდნენ შიზეზი, თუ რისთვის იბარებდა. მეფე მთელი ქალაქი შეიძრა და ხალხი შემოეხვია სოლომონის სასახლეს; ერთი სიტყვით, ბავ-შვიც-კი, რომელმაც ლაპარაკი იცოდა, ისიც აღარ დარჩა სახლში. სხვათა შორის მივიდა ეტლით გამარჯვებული და ახლად გამდიდრებული დედაკაცი თავის გვარ-ნათესავებით, მხიარულის სახით. საშუალი სოვდაგარიც დანიშნულ ვადაზე მივიდა და დადგა თვალ-ცრემლიანი და გულ-ხელ დაკრეფილი ერთ კუთხეში. რომელ მნახველს არ შეაბრალებოდა ეს საცოდავი? ყაყანი, ერთი ალიაქოთი და ხმაურობა იყო ხალხში და ელოდნენ ახალ ამბავის გამოცხადებას. ამ დროს გამობრძანდა სოლომონ ბრძენი და უკან გამოჰყვნენ ყველა მოსამართლენი და დიდებულნი. ჩამოვარდა სიჩუმე, ისრე რომ გაფრენილ ბუზის ხმასაც-კი გაიგონებდა ადამიანი. სოლომონმა გადახედა ხალხის სიმრავლეს მოღიმარისა და მხიარულის სახით დაუბრძანა; „მე ეს მინდა გამოგიცხადოთ თქვენ, რომ ხალხისაგან ხშირად მესმის სამდურავი მოუსავლობისა, ამბობენ კარგი მოსავალი არ მოგვდისო: არც ხორბლისა, არც ქვ-

რისა, არც უეტვისა და არც ბოსტნეულისაო. დიდი ხანია ვძე-
ვლევ ამის მიზეზს და ვერა გზით ვერა გავიგე რა, მხოლოდ
ამ ორ დღეში მივხვდი, მიზეზი მოუსავლობისა ის - ყო-
ფილა, რომ ყველა თესლეული გვითესნია მოუხარშავი, ამი-
სათვის გიცხადებთ, რომ აუცილებლად მოხარშოთ თესლე-
ული და ისრე დასთესოთ ასეა ჩემი ბრძანება და მიეცემა
სასტიკ სასჯელს ის, რომელიც არ აასრულებს ჩემ ბრძანებას
და მოუხარშავ თესლს დასთესს რასმე!“ ესრეთს გამოცხადე-
ბაზე ხალხი ჭკუიდან შეიშალა. დაიწყეს ლაპარაკი, ყველა
განკვირვებას მიეცა, მაგრამ ვინ გაუბედავს, რომ მოახსენოს:
„ეგ თქვენი ბრძანება და გამოცხადება სულ უსაფუძვლო არი-
სო“. ხალხი სდგას და ვერა უთქვამს რა. შემდეგ დიდის ყოყ-
მანისა, ხალხმა გამოითხოვა სოლომონის ერთი უპირველესი და
უწარჩინებულესი კარის-კაცი და მოახსენა: „ბატონო, როგორ?
მოხარშულმა თესლმა ნაყოფი გამოიღოს?! ამისათვის გთხოვთ
მოახსენო ჩვენს მაგიერათ, რომ ესრეთი ბრძანება შესცვა-
ლოს და ისევ ნება მოგვცეს მოუხარშავის თესლის დათესვი-
საო“.

დიდებული გამობრუნდა და მოახსენა ხალხის მაგი-
ერათ ყოველი დაბარებული და თხოვნა. სოლომონმა უბრძა-
ნა: „მე თქვენს თხოვნას ავასრულებ, მაგრამ ვიბრძანებთ
კი, როგორც მოხარშულმა კვერცხებმა, რომლებიც მიუყიდ-
ნია ამა და ამ დედაკაცს სოდვაგარისათვის და გამოულია მრა-
ვალი ნაყოფი, ესე იგი, მოხარშულ კვერცხებს გამოუჩეკნია
წიწილები, ამ წიწილებს — წიწილები და ესრეთ რამდენისამე
წლის განმავლობაში გასყიდულის ქათმებისაგან შემდგარა
აუარებელი სიმდიდრე, ეგრეთვე თესლეულიც რომ მოხარ-
შოთ და ისრე დასთესოთ, გამოაღებს მრავალს ნაყოფს“. ეს
რომ ხალხმა გაიგონა, ერთის ხმით დაიყვირეს: „მოხარშულ
კვერცხებისაგან წიწილები არ გამოიჩეკებიანო!“ სოლომონ
ბრძენსაც ის უნდოდა, რომ ხალხისათვის გარდაეწყვეტინები-
ნა დავა დედაკაცისა და სოვდაგრისა, გაიგონა რა ესრეთი

ჰასუხი ხალხისაგან, მოუბრუნდა მოსამართლებს და ჰკითხა: „რომლის კანონის ძალით გარდაუწყვიტეთ იმ დედაკაცს, რომელსაც მოხარული კვერცხები გაუტანებია თავის სახლიდან მყიდველისათვისო?“ ყველანი ჩაფიქრდნენ და დაინახეს თავიანთი შეცდომა. მერე უბრძანა სოლომონმა: „წადით, ჩამოართვით დედაკაცს, რაც სოვდაგრისათვის ჩამოგირომევიათ და ჩააბარეთ პატრონს, ხოლო ორი შაური, კვერცხების ფასი თავის სარგებლით ჩააბარეთ დედაკაცს, ისრე რომ ეს ორი შაური თავნი ხუთ წელიწადს ერთი აბაზი გახდეს, ესე იგი, თავნი და სარგებელი გასწორდნენ ხუთ წელიწადში ერთხელ“. გამოვიდნენ მოსამართლები და მოიქცნენ ისრე, როგორც უბრძანა სოლომონმა: რადგანაც ოცი წელიწადი ყოფილიყო გასული კვერცხების გაყიდვიდან მობრუნებამდის, ამისათვის დედაკაცს შეუდგა: პირველ ხუთ წელიწადს ერთი აბაზი, მეორე ხუთ წელიწადს—ორი აბაზი, მესამე ხუთ წელიწადს—ოთხი აბაზი და მეოთხე ხუთ წელიწადს—რვა აბაზი. ეს ფული მისცეს დედაკაცს, სხვა ყოველი ჩამოართვეს და ჩააბარეს პატრონს; ასი თუმანიც რვა აბაზ ნაკლებ უკანვე მიიღო დედაკაცისაგან სოვდაგარმა. ნათქვამია: „სიმართლე შვილითი შვილადმდეო“.

ა ს ფ უ რ ც ე ლ ს

იყო და არა იყო რა, ლვთის უკეთესი რა იქმნებოდა, იყო ერთი დედაკაცი. იმ დედაკაცს ქმარი ადრე მოუკვდა და ოთხი წვრილი შვილი დაპრჩა — სამი ვაჟი და ერთიც ქალი.

შვილები რომ წამოეზარდნენ, დედამ უთხრა: შვილებო, რატომ არ უპატრონებთ თქვენს მამულ-დედულს, ისე ოხრად რად გიგდიათო! შვილებმა არც კი იცოდნენ, თუ მამული რამე ჰქონდათ და გამოპიოთხეს თავის დედას. დედამ ანიშნა, აქა და აქ არისო, მაგრამ შვილებს ძალიან ეშორათ და დე-

დას უთხრეს: იმ სიშორეზე რომ სამუშაოდ წავიდეთ, იქ სა-
ჭმელ-სასმელს ვინ მოგვიტანსო? დედამ უპასუხა: თუ კი
თქვენ სამუშაოდ წახვალთ, აი თქვენი და ჩამოგიტანთ ყო-
ველთვის საჭმელსაო.

ძმებს მოეწონათ დედის ნათქვამი და მოემზადნენ. დე-
დამ თან ხახვი და ნიორი გაატანა: რომ მისდიოდეთ, გზა
და გზა ნაფუქვენი დაჲყარეთ: როცა თქვენი და საჭმელს წა-
მოგიღებთ, იმ ნაფუქვენს მოჲყვება და გიპოვნითო.

ძმები წავიდნენ სამუშაოდ. გზა-და-გზა, როგორც დედამ
დაარიგა, ნივრისა და ხახვის ნაფუქვენსა ჰყრიდნენ.

ამ გზის მახლობლად სცხოვრობდა ერთი ასთავიანი დევი.
გამოვიდა ერთხელ ამ დევის დედა, ნახა, გზა-გზა ხახვის ნა-
ფუქვენია მოფენილი; მოკრიფა მთლად ეს ხახვის ნაფუქვენი
და თავისი სახლის გზაზე მოჲფინა. გავიდა სამი დღე. დედამ
იფიქრა, ახლა კი საგზალი დააკლდებოდათ ჩემ შვილებსაო.
მოამზადა საჭმელი, ჩაალაგა ხურჯინში, გადაჲკიდა თავის ქალს
და გაატანა ძმებთან. ქალი დაადგა გზას, მიჲყვა იმ
ხახვის ნაფუქვენს და მიდის.

იარა, იარა და მივიდა ერთ სახლთან. სახლში ერთი
ბებერი დედაკაცი იჯდა და იმას დაუძახა: დედი, დედაშვი-
ლობას, მითხარი, ჩემი ძმები აქა მუშაობენო? აქ შენ ძმებს
რა უნდათ, უთხრა დედაკაცმა, აქ ერთი ასთავიანი დევი სცხოვ-
რობს, — საცაა მოვა და მოდი დაგმალო, თორემ, თუ დაგი-
ნახა, ჟეგჭამსო.

წაიყვანა დევის დედამ ეს ქალი და დამალა. სად იყო სად
არა, გაჩდა დევიც. მოიტანა თან დახოცილი ნადირი და შე-
შა. მოიხსნა ზურგიდან და შინ რომ შევიდა, დედას უთხრა:
ადამიანის სუნი მომზის, ხომ არავინ მოსულაო. რას ამბობ,
შვილო, უთხრა დედამ, შენის შიშით, კაში ფრინველს. ვერ გაუ-
წაწანია და დედამიწაზე ჭიანჭველასაო. დევმა კიდევ დაუნი-
შა, დედაც უმაგრდა და ბოლოს გამოუტყდა: მე ერთი ქა-
ლი მყავს, შენს საცოლედ მინდა, თუ არ შესჭამ, გიჩვენ ებო.

შვილმა პირობა მისცა და დედამაც გამოუჩინა. დევმა რომ
დაინახა, ძალიან მოეწონა და აღარ შესჭამა.

უცადეს იქ ძმებმა თავის დას და, რომ არარ მიუვიდათ,
ადგნენ და შინ წამოვიდნენ. დედას უსაყვედურეს: რატომ
საჭმელი არ გამოგვიგზავნეთ? დედამ ეს რომ გაიგო, მორთო
ტირილი: გზაში ერთი ასთავიანი დევის ცხოვრობს და, ალბარ,
ის წყეული შესჭამდაო. ძმებმა არ იკოდნენ თუ იქ საღმე
ასთავიანი დევი სცხოვრობდა და, როცა შეიტყეს, ადგნენ და
წავიდნენ თავის დის დასასხელად

ბევრი იარეს თუ ცოტა, მიუახლოვდნენ ასთავიან დე-
ვის სახლს: ამ დროს ბანზე იღება იმათო და და დევის დედა:
დევის დედამ შეამჩნია შორიდან მომავლები და რძალს უთ-
ხრა: აბა იქით გაიხედე, ხომ არავინ მოდისო? რძალმა უპასუ-
ხა: მოსხანს რალაც ბუზის ტორაო.—ვაი მაგათ დედის ბრა-
ლი და ვაი ჩემი შვილის დედის ბრალიო, თქვა დევის დე-
დამ და ცოტას ხნის შემდეგ რძალი კიდევ გაახედა. რძალმა
გაიხედა და უთხრა: მოსხანს სამი კაციო.—ვაი მაგათ დედის
ბრალიო, მოჰყვა კიდევ წუწუნს დევის დედა.

მოვიდნენ ეს სამნი ძმანი პოლოს დევის სახლთან. დაპ-
ხვდათ აქ წყალი, გადასვლა ვერ მოახერხეს, ჩაჰყარეს შიგ
ქვები და, როგორც იყო, გადავიდნენ. მაშინ ქალმა გაარჩია,
რომ ეს იმისი ძმები იყვნენ; დაეშვა ძირს და ხან ერთს ეხ-
ვეოდა კისერზე, ხან მეორეს, დევის დედამ რომ შეიტყო
იმათო და-ძმობის ამბავი, სახლში შეიყვანა, პური აქამა და
მერე ისინიც დამალა: საცაა ეხლა ჩემი შვილი მოვა და, თუ
დაგრინახათ, დაგჭამთო.

საღი იყო—საღ არა, მოვიდა ასთავიანი დევიც. ერთ
მხარზე შეშა ჰქონდა გაწყობილი და მეორეზე—დახოცილი
ნადირი. კარზე საპალნე მოიხსნა და, შინ რომ შევიდა, დედას
უთხრა: ადამ სუნი მომდის, ხომ არავინ მოსულაო? დედამ
ჯერ კი მალა, მაგრამ როცა შეილი აღარ მოეშვა, დედა
გამოუტყდა: თუ პირობას მომცემ, რომ არ შესჭამ, აქ შენი

ცოლის ძმები არიან და გიჩვენებო. დევმა პირობა მისცა და დედამაც გამოუყვანა სამივ ძმები.

ცოტა ხანს უკან დევმა უთხრა ცოლის ძმებს: ადექით, საღილის, თაღარიგს შევუდგეთო. წამოდგნენ ყველანი და დაიწყეს დევის მოტანილი ნაღირის ტყავება. მინამ ეს სამნი ერთ ირემს გაატყავებდნენ, დევმა სამოცამდე ირემი გაატყავა, დასჭრა და ქვაბშიაც ჩაჰყარა. მერე მივიღა, გამოსტაცა ცოლის ძმებს ის ირემიც, გაჰყრა-გამოჰყრა ხელი და ჩაუძახა ქვაბში.

საღილად რომ დასხდნენ, ცოლის ძმებსა ჰკითხა: თქვენ ძვლის კაცები ხართ თუ ხორცისაო? ცოლის ძმებმა უპასუხეს: ხორცი რა ჩვენი საქმეა, ჩვენთვის ძვლებიც საკმარისიაო. გაუსვა დევმაც პირი, ხორცს თითონა სთქვლეფავს და ძვლებს თვის ცოლის ძმებს უყრის; მერე კიდე ჰკითხა დევმა: დოქის კაცები ხართ თუ ყანწისაო? ყანწისაო, უპასუხეს. ცოლის ძმებმა დევიც მიჰყვა და, თითონ დოქით. მიირთმევდა ღვინოსა, იმათ კი ყანწით ასმევდა.

საღილის რომ მორჩნენ და დასაძინებლად მოემზადნენ, დევმა კიდევა ჰკითხა: ლოგინის კაცები ხართ თუ გომისაო? ლოგინი რა ჩვენი საქმეა, გომისაო, უთხრეს ძმებმა. დევიც თითონ ლოგინში დაწვა და ცოლის ძმები გომში დააწვინა. დილით, დევი რომ აღგა, დედას უთხრა: დედავ, პური მშიანო. დედა მიუხვდა აზრს არ უნდოდა, რომ ქალისათვის გაეგებინებინა რამე და შვილს ასე უპასუხა: ჩადი, შვილო, გომში, იქ კიდობანში სამი კუტია, ამოიღე და სჭამეო.

დევი ჩავიდა გომში, საცა იმის ცოლის ძმები იწვნენ. ერთი იქვე კარებში გადაყლაპა, ორი აქეთ-იქით იღლიებში ამოიჩარა და წავიდა ტყეში.

ელოდა ამ ძმებს თავიანთი დედა, ელოდა და, რომ აღარ მოუვიდნენ, იფიქრა: უთუოდ დევმა დაჭამა ჩემი შვილებით და მორთო ტირილი; ტირის, რა ტირის, რომ იმისი ტირილი ცასა სწვდება. ჩამოიარა ამ დროს ერთმა კაცმა. ჰკითხა

ტირილის მიზეზი და დედაკაცმაც უამბო, რომ ასე და ასე დავკარგე შვილებით.

მაშინ იმ კაცმა მისცა ერთი ვაშლი და უთხრა: გასჭერი ეს ვაშლი ას ნაწილად და ყოველ დღე სამ-სამი ნაჭერი შე-ჭამე; სულ რომ გაათავებ, შვილი გაგიჩნდება და სახელად ასფურცელა დაუძახეო.

დედაკაცი მართლა ასე მოიქცა, გასჭრა ეს ვაშლი ას ნაწილად და დღეში სამ-სამ ნაჭერსა სჭამდა ვაშლი რომ სულ გაათავა, დაორსულდა და შვილი ეყოლა. დედამ სა-ხელად ასფურცელა დაუძახა; ვინც წლით იზრდებოდა, ას-ფურცელა დღით იზრდებოდა.

ერთხელ ასფურცელა თავის ტოლ ბიჭებში თამაშობდა. ამათ გვერდზე ერთმა დედაკაცმა ჩამოიარა, მხარზე კოკა ედგა და წყალი მოჰქონდა. ამ დროს, ასფურცელამ კოჭი გაპკრა; კოჭი დაბზრიალდა, იმ დედაკაცის კოკას მოჰქვდა და გაუტეხა. დედაკაცს ეწყინა და გასძახა: დაგწყევლო, როგორ დაგწყევლო, დედის ერთა ხაროს და თუ მაგდენი უნარი გაქვს, რატომ შენს ძმებსა და შვილებს არ გამოიხსნი დე-ვის კლანჭებიდანაო?

ასფურცელამ ესენი ჯერ არა იცოდა-რაუ მოჰქრა. ამას ყური თუ არა, შინისაკენ გაეშურა; დედას უთხრა: დედი, ძუძუ მინდა, მომაწოვეო. რაღა დროს შენი ძუძუაო, უთხრა დედამ, მაგრამ შვილი რომ იღარუ მოეშვა, მისცა დედამაც ძუძუ.

ასფურცელამ წაავლო პირი, მოუჭირა კბილი ძუძუს თავზე და ჰკითხა: მითხარ, დედავ, მყვანან მეც ძმებიო? დედას ჯერ კი არ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ძლიერ რომ შე-წუხდა, ყველაფერი დაწვრილებით უამბო. როცა ასფურცე-ლამ ეს შეიტყო, წასასვლელად მოემზადა. დედამ უშალა, უშალა, მაგრამ, ასფურცელამ მაინც არ დაიშალა და წავიდა.

იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა, მოვიდა ერთ ტრიალ მინდორზე. აქ კაცებს უთანი ებათ და ჰხნავლნენ, დაინახა

ასფურცელამ და დაპირინა: არიქა, უშველეთ რამე თქვენ თავს, ასთავიანი დევი მოდისო! კაცებს შეეშინდათ და აქეთ იქით გაიქც-გამოიქცნენ.

ასფურცელა მივიდა, მოიკიდა ზურგზე ეს გუთანი, მის უტანა ერთ მჭედელს და უთხრა: ამ რკინისა ერთი წყვილი ქალამანი გამიკეთე და ერთიც მშვილდ-ისარიო. მჭედელმა გაუკეთა; ჩაიცვა ასფურცელამ რკინის ქალამნები, წამოილო შვილდ-ისარი და წამოვიდა ასთავიან დევის საპოვნელად.

ბევრი იარა თუ ცოტა, იპოვნა იმ დევის სახლიც. ამ დროს დევის დედა ბანზე იჯდა და, შორით მომავალს რომ თვალი მოჰკრა, რძალს უთხრა: აბა ერთი მიიხედვე, მართლა მოდის ვინმე, თუ თვალი მატყუებსო. როცა რძალმაც დაარწმუნა, რომ ვიღაც მოდისო, მოჰკვა დევის დედა თავისებურ წუწუნს: ვაი მაგისი დედის ძუძუს ბრალი და ვაი ჩემი შვილის დედის ძუძუს ბრალიო.

ამასობაში ასფურცელა სრულებით მოახლოვდა. გადმოხტა წყალზე, სახლის წინ რომ ჩამოუდიოდათ და შევიდა პირდაპირ სახლში, მახა ახალგაზდა ქალი და თქვა, უთუოდ ეს უნდა იყოს ჩემი დაო. ქალმა იცოდა, რომ იმ სამის მეტი სხვა ძმა არა ჰყვანდა და არ ეჯერებოდა, მაგრამ, როცა ასფურცელამ ყველაფერი უამბო, ქალი დარწმუნდა.

მაშინ მოვიდა დევის დედა და უთხრა: მოდი, შვილო, ცოტა შენაყრდი და დაგმალავ, თორემ საცაა ჩემი შვილი მოვა და შეგვამსო. — წადი იქით, შე ქოფაკო! ღმერთმა შენ კ შეგარცხვინა და შენ შვილიცაო. უთხრა ასფურცელამ და გაჯავრებული დევის მოლოდინში იყო.

ამ დროს გამოჩნდა დევიც. ზურგზე ქვეყნის ნაღირი ჰქონდა წამოკიდებული, იღლიაში ძირიანი ხეები კამოეჩარა და მოდიოდა. დაინახა, თავის სახლის წინ ვიღაც ზიქი თამამად დადის. ჭთქვა დევმა თავის გულში: ჩემის შიშით მაღლა ფრინველს ვერ გაუჭაჭანია და დაბლა-ჭიანჭველას და ნეტა, ვინ არის ეს ბიჭი, რომ ესე არხეინად დასეირნობ.

დევი ისე გაბრაზდა ამის დანახვაზე, რომ თვალებიდან სულ ცეცხლებსა პყრიდა მიიჭრა იმასთან ერთი თვალის დახამხამებაზე და შეპლრიალუ ჭინა ხარ შენ და ან აქ რას დაეთრევიო? ვინცა ვარ, რასა პკითხულობრ? მე ვარ შენი ცოლის ძპა → სტუმარი მოვსულვარ; გამიმასპინძლდიო, უთხრა ასფურცელამ. მაშ კარგიო, უთხრა დევმა; მოდი აქლა საღილის თადარიგს შევუდგეთ, ნანადირევი გავატყავოთ და მოვხარშოთ. დაიწყეს ნაღირის გატყავებას მაგრამ მინამ დევი ერთს გაატყავებდა, გაპკრა-გამოპკრა ასფურცელამ ხელი, დაატყავა რაც ნაღირი იყო, ჩაპყარა ქვაბში და მოჰხარშა კიდევ.

უყურებს დევი ასფურცელას და უკვირს. საჭმელი რომ მოიხარშა და საღილად დასხდნენ, დევმა თავისებურად დაუწყო სტუმარს ლაპარაკი: ძვლის კაცი ხარ თუ ხორცისაო? მოიტაკ გადმომილაგე აქეთ ხორცი, ძვლებია ვხრა, ძალლი ხომ არა ვარო, უპასუხა ასფურცელამ. დევმა გადმოულაგა ხორცი და მერე პკითხა: ყანწის კაცი ხარ თუ დოქისაო? მოიტა აქეთ დოქი, ყანწი რას მიქვიანო. გადმოუდგა დევმა დოქი და ძალიან შეფიქრიანდა. როცა დაძინებას აპირებდნენ, დევმა კიდევა პკითხა: გომის კაცი ხარ თუ ლოგინისაო? გომის კაცი რატ ვიქმნები, ლოგინი გამიშალეთო, ცუთხრა ასფურცელამ.

ასფურცელა, მართლად ლოგინში ჩააწვინეს და დევი კი გომში დაწვა-დაწვა, მაგრამ არ კი დაუძინია; სულ იმის ფიქრში იყო, თუ როგორ მოეშორებინა თავიდან ეს უსიამოვნო სტუმარი. როცა იდროვა, ქხლო კი ეძინება ჩემ ცოლის ძმასაო, ჩამოიღო ერთი უშველებელი ხმალი და დაუწყო ლესვა. ლესვის დროს გამოელვიძა ასფურცელას, მიჰხედა დევის საქმეებს, წამოდგა ლოგინიდან, ამოდო საბან ქვეშ კუნძი და თითონ უთახში დაიმალო. დევმა როცა ფლმასივით გაჰხადა ის თავისი ხმალი, წამოიბამბლვლა, შეაღლო ფრთხილად კარი, ფეხ-ჯრეფით მიიპარა ასფურცელას

ლოგინთან და დაუშვა ხმალი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. მიჰყვა მერე და იმდენი ურტყა ის ხმალი, რომ სულ მტვერი ადინა იმ ლოგინსა და კუნძსა. ჰე, ზოგი ეხლაც გამიღიღ-გულდიო, მიაძახა თან დევმა და გამოიხურა კარი.

ასფურცელამ გადმობერტყა ლოგინი და არხეინად დაი-ძინა. დილით დევი რომ ადგა და თავისი ცოლის ძმა დან-ნახა, გაუკვირდა და უთხრა: წუხელის არას შეუწუხებიხარო? — არაო, უთხრა ასფურცელამ. — არც რწყილებს უკბენიათო? — არაო. — მაშ მოდი დავიჭიდნეთო. — კარგიო, უთხრა ას-ფურცელამ და ეძგერნენ ერთმანერთს.

ეჯაჯგურა, ეჯაჯგურა დევი და ადგილიდან ძვრაც ვერ უყო. მოიქნია მაშინ ასფურცელამ და ყელამდე მიწაში ჩაასო. მოიმარჯვა მერე შვილდ-ისარი, დაუმიზნა და შესძახა: მით-ხარი ჩქარა, რა უყავ ჩემია ძმები, ითორებ მოვიდა ისარიო. დევი შეშინდა და უთხრა: ოლონდ ნუ მომკლავ და გასწავ-ლი, — მუცელში ერთი პატარა კოლოფი მაქვს და იმაში აწყ-ვიან; იქვე ძევს ერთი ხელსახოცი და ის რომ მიუსვ-მოუსვა, დაცოცხლდებიანო.

გაიგო ეს თუ არა ასფურცელამ, გაუპო დევს მუცელი, ამოულო კოლოფი, ამოიყვანა იქიდან თავისი ძმები, მიუსვ-მოუსვა სელსახოცი და დააცოცხლა. მერე ჰქონა აისარი ასთავიან დევს და გაატანა თან იმისი სული. დევი რომ წმინ-დად აკუწა, დაიჭირა ახლა დევის დედა და იმასაც ის დღე დააყენა. მერე მოჰყვა თავის ამბავსა და ყველაფერი უამბო. ძმები დარწმუნდნენ, რომ ასფურცელაც იმათი ძმა იყო; მაგრამ გულში შური შეეპარათ, რომ ის იმათზე ყოჩალი იყო. ბოლოს ადგნენ და ყველანი სახლში წამოვიდნენ. გზად ერთი ტრიალი მინდორი უნდა გამოევლოთ. ამ მინდორზე ერთი ისეთი უშველებელი ხე იდგა, რომ მთელი ის მინდორი ხელში ეჭირა. ასფურცელამ უთხრა თავის და-ძმათ: მოდი, აქ დავისვენოთ, ძალიან დალლილი ვარ და ცოტა თვალს წავატყუებო. ძმებიც დასთანხმდნენ.

ძმებიც დასთანხმდნენ.

ასფურცელა მიწვა ხის ძირსა და მკვდარივით მიეძინა: იმისი ძმები კი მისხდნენ ცალკე კუთხეში და მოპყვნენ ერთმანერთში ჩურჩულს: ამან რომ იმ ასთავიან დევს ის დღე დააყენა, ჩვენ რალა ხეირს დაგვაყრის, მოღი ამ ხეზე მივაკრათ და აქ დავტოვოთო. სთქვეს ეს თუ არა, მოიტანეს წკნე ლები, დაგრიხეს, დაგრიხეს და ისე მაგრა მიაკრეს იმ ხეზე, რომ ასფურცელას თითის წვერებიდან სისხლმა დაუწყო წვეთა: დამ რომ ესა ნახა, ბევრი უშალა, მაგრამ ვერა შეასმინა-რა. ძმებმა მიაკრეს ხეზე ასფურცელა, წამოიყვანეს თან თავისი და და წამოვრიდნენ შინ:

სახლში რომ მოვიდნენ, იმათმა დამ ყველაფერი უამბო თავის დედას. დედამ ლრიალი შექმნა და სულ წყევლა-ქოქვით ამოაგდო ის თავისი სამი შვილი.

როცა ასფურცელას გაეღვიძა, ნახა, ხეზეა მიბმული უნდოდა აშვებულიყო, ნძრევაც ვერა ჰქმნა. მიიხედ-მოიხედა, ძმები იქ ალარ იყვნენ. მიჰვდა ყველაფერს და ლმერთს შეჰვედრა: ლმერთო, თუ მე ვტყუოდე ჩემ ძმებთან, აქვე, ამ ხეზე გამაშეშე და, თუ ჩემი ძმები სტყუოდნენ ჩემთან, ეს ხე ძირიან-ფესვიანად მომაგლეჯინეო! სთქვა ეს, მიინძრ-მოინძრა და ხე ძირიანად მოპგლიჯა.

წამოდგა ასფურცელა და, ესე ხე წამოკიდებული, წა-მოვიდა შინ. მოვიდა სახლში და ძმებს შესძახა: გამოეთრი-ენით ამ საათში და ხელები გამიხსენითო. დაინახეს ძმებმა თუ არა, შიშით ფერი და გონი დაექარგათ, მაგრამ რალას იზამდნენ. გამოცვივდნენ და გაანთავისუფლეს. ამას შემდეგ ასფურცელას ამ თავის ძმებთან დარჩენა ალარ უნდოდა და სახლიდან წასასვლელად ემზადებოდა. დამ და დედამ თუმ-ცა ბევრი უშალეს, მაგრამ ასფურცელამ მაინც არ დაიშალა:

ბევრი იარა თუ ცოტა, გავიდა ერთ მინდორზე. აქ ერთ კაცს ორხელი ება და ჰქნავდა; რამდენიც ბელტს გა-დააპრუნებდა, იკრავდა პირში და გადაჭყლაპავდა. უყურა ასფურცელამ, უყურა და ბოლოსა ჰკითხა: კაცო, რას

ჰშვრები, მა ბელტებს ოოგოჩა ჰყლაპავო? — ეს რას გაგკვი-
რებიან, ასფურცელამ ასთავიანი დევი მოკლა და მე რომ
ბელტი გადავყლაპო, რა საკვირველიათ, უთხრა ბელტიყლა-
პიამ. ასფურცელაც მე ჭარ და მაშ დავძმობილდეთო, უთხრა
ასფურცელამ. დაძმობილდნენ და წავიდნენ.

ბევრი იარეს თუ ცოტა, გავიდნენ მეორე მინდორზე.
აქ ერთ კაცს ფეხებზე წისქვილის ბორბლები ეცვა და უტეში
ორი კურდლელი ეჯდა. გაუშვებდა ამ ორივე კურდლელს,
გამოუდგებოდა და ორივეს ერთად იჭერდა. უყურა, უყურა ამ
კაცს ასფურცელამ და ბოლოს დაუმახა: კაცო, რას შვრებით
მაგ კურდლელებს როგორ იჭერო? — ასფურცელამ ასთავიანი
დევი მოკლა და მე რომ კურდლელები დავიჭირო, რაში გაგ-
კვირებიაო, უთხრა კურდლი-ჭერიამ. — აი, ესეც ასფურცელა
და, თუ გინდა, დაგვძმობილდიო, უთხრა ბელტიყლაპიამ.
დაძმობილდათ ესეც და წავიდნენ.

ამხანაგებმა გზაში პირობა დასდვეს: მოღი ყველამ სა-
თითაო ისარი გავკრათ და, ვისიც სად ჩაეცეს, იქ თითო ხე-
ლი პური ვჭამოთო. პირველად გაჰკრა ბელტიყლაპიამ ისარი
და ერთ უხეირო ადგილას ჩაეცა. მოვიდნენ იქ და საღილი
სჭამეს.

გაისროლა მერე კურდლისჭერიამ. ისიც ერთ უხეირო
ადგილს დაერჭო. მოვიდნენ და იქ კიდევ სამხარო სჭამეს.

გაჰკრა ბოლოს ასფურცელამ. ისარი დაერჭო დეჭვების
სახლის თაროზე. ამ სახლში სამო დევი სკრეოფრობდა. და იმ
დროს ის სამივენი ჯვარს იწერდნენ სამ მზეთუნახავ ჭალზე.
ნახეს, ისარი თაროზე დაერჭო. გაანებეს თავთ ჯვარის წერას,
ეცნენ ისარს, ეჯაჯგურნენ, ეჯაჯგურნენ, ჰაგრამ ჩძრევაც
ვერ უყვეს. მერე თქვეს: ჩვენ რომ ამ ისარს ვერა დავაკე-
ლით-რა, იმის პატრონთან რაღას გავაწყობთო და იქიდან
გადაიკარგნენ. დარჩა სახლში მხოლოდ ერთი კოკლი დევი.
შეძვრა ისიც ბუხარში და იქ დაძმალა.

მოვიდნენ ეს ამხანაგები, შემოუსხდნენ მზა მზარეულს გაშლილ სუფრას და ქუდები ჭერსა ჰკრეს. მერე სთქვეს: მოდი, ჯერ-ჯერით დავრჩეთ ხოლმე შინა და საჭმელიც ჯერ-ჯერით ვაკეთოთო. პირველ დღეს დარჩა იქ ბელტიყლაპია. გააკეთა საჭმელი, შეანელა და, ვნახოთ, ამ დროს გამოძვრა ბუხრიდან კოჭლი დევი და უთხრა ბელტიყლაპიას: დამისხი და მაჭამეო, იმანაც დაუსხა და აჭამა.— დამისხი და მაჭამეო, უთხრა კი-დევ დევმა, იმანაც კიდევ დაუსხა და აჭამა. მესამედაც რომ სთხოვა, დამისხი და შაჭამეო, ბელტიყლაპიამ უპასუხა: ეს რომ სულ შენ დაგისხა და გაჭამო, ჩემს ამხანაგებს რაღა შასუხი მივცეო. დევმა შეუტია! დამისხი და მაჭამე, თორუემ ამ საათში შენც შეგჭამ და მაგ შენ საჭმელსაცაო.. ბელტიყლაპია შეშინდა და კარჩე გამოვარდა. დევი კი მოუჯდა საჭმელებს და სულ მოაცარიელა.

მოვიდნენ ამხანაგები, ნახეს, საჭმელი არა აქვთ, მაგრამ რაღას იზამდნენ. გადაიარეს იმ დღეს როგორც იყო და მეორე დღეს ახლა ფურდლლი-ჭერია დარჩა შინ. ამასაც ის დღე დაემართა, რაც ბელტიყლაპიას. მიღვა ჯერი ასფურცელაზე.

გააკეთა ამან ბლომად სხვა და სხვა ფერი საჭმელი და ელის ამხანაგებს სად იყო— სად არა, გამოძვრა ბუხრიდან კოჭლი დევი და უთხრა: დამისხი და მაჭამეო. ასფურცელამ დაუსხა და აჭამა.— დამისხი და მაჭამეო, უთხრა კიდევ დევმა. ამანაც კიდევ დაუსხა და აჭამა. მესამედაც რომ უთხრა, ასფურცელამ უპასუხა: ეს რომ სულ შენ შეგაჭამო, ამხანაგებს რაღა ვაჭამოვო? არ მაჭმევ-და, შენც შეგჭამ და მაგ შენ საჭმელსაცალ, უთხრა დევმა. ასფურცელას ჩაეცინა გუნებაში, აიღო შვილდ-ისარი, ჰკრა გულში და შუაზე გააწყვეტინა.

მიგორავს ამ დევის თავი ცალკევ ტანი ცალკე. თავი იძახის: ნეტავი იმას, ვინც მე გამომყვებაო. ტანი იძახის: ვაი იმას, ვინც მე გამომყვებაო. ამასობაში მოვიდნენ ას-

ფურცელას ამხანაგებიც. სჭამეს პური და სთქვეს: მოდი, გავ-
ყვეთ, ვნახოთ, რას გვიქადის ეს დევის თავიო.

თავმა იგორა, იგორა და ერთ ორმოში ჩავარდა. ჩაიხე-
და ამ ორმოში ასფურცელამ და ნახა, რომ შიგა ზის სამი
მზეთ უნახავი ქალი. მოეწონა და სთქვა: მოდი, ამოვიყვანოთ
და ცოლებათ შევირთოთო. ჩაუშვეს შიგ ბელტი-ყლაპია,
მაგრამ შუამდე არ იყო ჯერ მისული, რომ შეჰქმნა ძალია:
დავიწვი. დავიწვი; ამწიეთო და ამოიყვანეს. ჩაუშვეს შემდეგ
კურდლლიჭერია, მაგრამ ამასაც ისე დაემართა. მიღვა ჯერი-
ასფურცელაზე.

ასფურცელამ უთხრა თავის ამხანაგებს: მე რამდენიც უნ-
და ვიძახო, „დავიწვი, დავიწვი“, თქვენ უფრო ძირს დამიშ-
ვითო და ჩაეშვა ორმოში. ბევრი იძახა, დავიწვი, დავიწვიო,
მაგრამ ამხანაგები უფრო ძირს უშვებდნენ.

ჩავიდა ორმოში, ნახა ქალები, ურთი მეორეს სჯობია,
მაგრამ უმცროსი კი მაინც ყველაზე უკეთესია. ამოსვა უფ-
როსი ქალი და ამოსძახა ბელტი-ყლაპიას: ეს შენაო. ამოსვა-
შუათანა და ამოსძახა კურდლლიჭერიას: ესეც შენაო. ახლა
უნდა თავისი საცოლე ამოეყვანა, მაგრამ ქალი უარზე შე-
დგა: ჯერ შენ ადი და მერე მე ამიყვანე, თორემ ამხანაგები
გილალატებენო. ასფურცელამ არ გაუგონა და დაუეინა: გინდა
თუ არა, ჯერ შენ უნდა ახვიდეო. მაში, კარგი უთხრა
ქალმა, მე ავალ, რაკი აღარ მეშვები, მაგრამ იცოდე, —
ამიყვანენ თუ არა შენი ამხანაგები, ორმოს ზარფუშს დაპ-
ხურავენ და შენ შიგ დაპრჩები. მაშინ აქ სამი წყალი ჩამო-
ივლის: ერთი შავი, ერთი ლურჯი და ერთიც თეთრი და
თეთრის მეტს სხვა წყალს თავი არ მიუშვირო, თორემ დაი-
ღუპებიო.

მართლაც, ამოიყვანეს თუ არა ეს მესამე ქალიც, ორ-
მოს ზარფუში დაპირქვავეს და ასფურცელა შიგ დასტოვეს.
ასფურცელამ მეტის სიბრაზით სხვა წყალს აღარ მოულოდნე-
ნა; ჩამოიარა თუ არა შავმა, შეუშვირა თავი და ერთ წამს

ძირს, ქვესკნელს ჩაიღუპა, მიღგა-მოდგა აქეთ-იქით, შივიდა
ბოლოს ერთის ბებრის ქოხთან და შესძახა: დედი, დედაშვი-
ლობას, ერთი წყალი დამალევინეო.—იჲ, შვილო, უთხრა
ბებერმა, ეს იყო ეხლა გავათავე, რაც მედგა და ეხლა-კი
უნდა იმას შევყუროთ, თუ როდის წაიყვანს გველეშაპი ჩვენის
ხემწიფის ქალსაო.—როგორ თუ გველეშაპიო, ჰკითხა ასფუ-
რცელამ და ბებერიც მოუყვა: ეს ჩვენი წყალი უჭირავს ერთ
გველეშაპს და, თუ ყოველდღე იმ წყლის პირს ერთი აღამის შვი-
ლი არ მივგვარეთ შესაჭმელად, წყალს არ დაგვანებებსო.
ჩვენ ყველამ გადავიხადეთ ეს ვალი და ეხლა ჯერი ხემწიფეზეა
—და იმან უნდა მიჰვაროს თავისი ქალიო.—რას ამბობ,
დედი, მოიტა ჭურჭელი, ამ საათში მოგირბეინებ წყალსაო,
უთხრა ასფურცელამ.

ბებერმა უშალა, უშალა და, იმან რო აღარ დაიშალა;
ადგა ბებერიც, ჭურჭელი გამოუტანა. ასფურცელამ დააჯახა
ერთმანეთს ეს წვრილი წყლის ჭურჭელი, დალეწა და გადა-
უყარა. მოიტა, ქვევრები არა გაქვს, მომე იმითი მოგიტანოო?
ბებერმა უჩვენა, სადაც ქვევრები ჰქონდა. ასფურცელამ წაი-
ლო ქვევრები და წავიდა.

წყლის პირს რომ მიუიღა, ნახა ერთი მორთული ქალი
ზის და მწარედა სტირის. ჰკითხა მიზეზი და, როცა შეიტყო,
ესა ყოფილა ის ხემწიფის ქალიო, უთხრა: მე შენ კალთაში
დავიძინებ და, როცა გველაშაპი მოდიოდეს, გამალვიძეო. მი-
დო მერე თავი იმ ქალის კალთაზე და მიძინა.

ამ დროს გამოჩნდა გველეშაპიც: ქალმა გალვიძება ვერ
გაუბედა ასფურცელას და ტირილს კი უმატა. ამ ყოფაში
რომ არის, ვნახოთ, ქალს ერთი ცრემლი ჩამოუგარდა და ასფურ-
ცელას ზედ ლოყაზე დაცუა. ასფურცელამ იგრძნო ცრემლის
ლოყაზე დაცუმა და გამოელვიძა. დაინახა თუ არა გველვეშა-
პი, წამოვარდა ფეხზე, ჰკრა ისარი და ზედ შუაზედ გაწყვი-
ტა. გახარებული ქალი-კი მიძირა იმ წამსვე თავის მამასთან
და უთხრა: ესე და ესე მოხდა საქმე, გველვეშაპი მოჰკლესო.

ხელმწიფეს ჯერ კი არა სჯეროდა, მაგრამ, როცა სხვებმაც
დაარწმუნეს, დაუწყო იმ ყმაწვილს ძებნა. უნდოდა თავისი
ქალიც იმისთვის მიეცა და მთელი თავისი ნახევარი სახელმ-
წიფოც იმისთვის ეჩუქებინა.

ეძება, ეძება, მაგრამ ვერ იპოვა. ამ ხანებში მივიღა ხელ-
მწიფესთან ის ბებერი და უთხრა: დიდებულო ხემწიფე, ცო-
ტა რამ მოწყალება გაიმეტე ჩემთვის და ჩემის შვილისათვი-
საო. ხელმწიფემ იცოდა რომ იშას შვილი არა ჰყავანდა და
ჰკითხა: აკი შვილი არა გყავდა, ეხლა სად გიშოვნიაო? —
ლმერთმა მაჩუქა შვილად ერთი ყმაწვილი, რომელმაც ჩვენი
მტერი — გველეშაპი მოჰკლაო, უპასუხა ბებერმა.

ხემწიფეს გაუხარდა იმ ყმაწვილის პოვნა, გაუგზავნა
თავისი ნაზირ-ვეზირები და თავისთან დაიბარა. ასფურცელა
რომ მოვიდა, ხემწიფემ დიდი საჩუქრები შეაძლია, მაგრამ
ასფურცელამ არა ინდომა-რა და ასე მოახსენა: თუ გამის-
ტუმრებ ჩემ ნათელ ქვეყანაში, ხომ რა კარგი, თუ არა და, მე
შენი არა მინდა-რაო. ხემწიფე ძლიერ შეაფიქრიანა ასეთმა
თხოვნამ, მაგრამ მაინც, რას იზამდა, დაპჰირდა.

ამას შემდეგ ასფურცელა წამოვიდა ისევ თავის დედო-
ბილ ბებერთან. გზაში რომ მოდიოდა, ნახავ ერთგან, ერთ
მაღალის ხის კენწეროზე ფაშკუნძის ბუდე იყო გამართული
რა ზემოდგან ამ ბუდეს ერთი გველვეშაპი დასტრიალებდა.
შიგ ისხდნენ წვრილი ბარტყები და შეშინებულებს საზარელი
ურიამული გაჰქონდათ, ასფურცელამ ეს რომ დაინახა, გადმოი-
წოდა შვილდ-ისარი, დაუმიზნა: და ერთის თვალის დახამხამე-
ბაზე გველვეშაპს სული გააფრთხობინა.

მოურინდა ამ დროს დედა ფაშკუნძიც ბარტყებმა უთ-
ხრეს, რომ ასეუდა ასე იყო საჭმე და, აი, იმ ბიჭმა გადაგვა-
რჩინაო. მივიღა მაშინ ეს დავალიანებული ფაშკუნძი ასფუ-
რცელასთან და უთხრა: მთხოვე, რაც გინდა, რომ მეც მო-
გეხამსახუროვო. ასფურცელამ უთხრა: თუ ამიყვან ჩემ ნათელ
ქვეყანაში, ხომ რა კარგი, თუ არა-და, მე შენი არა მინდა-

რაო. ძნელი საქმე დამავალე, მაგრამ სად წავუვალ შენ ხიკეთესაო, უთხრა ფაშკუნძმა და თანაც დაარიგა, თუ საგზლად რა უნდა მოემზადებინა. ასფურცელა გაბრუნდა იმ წამსვე ხემწიფესთან და სთხოვა ის საგზალი იმას დაემზადებინა.

როცა ყველაფერი მოამზადეს, შეისო ფაშკუნძმა ასფურცელა მხრებზე და აფრინდა. გზაში რამდენიც ფაშკუნძმა დაიწივლა, ასფურცელამ პირში საჭმელი ჩააყარა. ის იყო, როგორც კი უნდა ასულიყვნენ ნათელ ქვეყანაში, ფაშკუნძმა უკანასკნელად ერთი კიდევ დაიწივლა. ასფურცელას საჭმელი აღარა ჰქონდა, ფეხის კუნთი გამოიჭრა და პირში ჩაუდვა. ფაშკუნძს ეს ლუკმა ძლიერ ეგემრიელა და არ შეჭამა, — ენის ძირში შეინახა.

როცა სულ ავიდნენ, ფაშკუნძმა უთხრა: ახლა კი მშვიდობით, გადმოხტი და წადიო. ასფურცელა გადმოსვლით კი გადმოვიდა, მაგრამ კოჭლობით მიღიოდა. ფაშკუნძმა ჰკითხა: რა ამბავია შენს თავს, რადა ჰკოჭლობო? და იმანაც უთხრა ამისი მიზეზი. შაშინ ფაშკუნძმა გამოილო ენის ძირში მიმალული ნაჭერი, მიადო თავის ადგილას, გაუმთელა და გამოეთხოვა.

წამოვიდა ასფურცელა თავის ძმობილების საძებნელად. იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა, მივიდა ერთ ალაგას. აქ ჰნახა, რომ ორივე ჩეისი ამხანაგები ის — ის არის აპირებენ იმ მზეთ-უნახავ ქალებზე ჯვარის წერას. გაუწოდა თავისი მშვილდისარი და შესძახა: ფურებსა თუ ხარებსაო. უმცროს სმა დამ უპასუპა: ფურისა რა ბრალია, ხარსაო.

ასფურცელამც ჰკრა შვილ-ისარი და ორივე თავისი ძმობილი დახოცა. წამოიყვანა მერე თან მზეთ-უნახავი ქალები: უმცროსი თითონ შეირთო ცოლად და უფროსებიც იავის უფროს ძმებს დაურიგა.

ესპიზი, ამბავი და მოთხრობა

მთის წევა და

არაფერო ცოდვა არ მიქნია ჩემს სიცოცხლეში. ვერც ერთი სულიერი, თუნდ უსულო, ჩემს ცოდვას, ჩემს სიავეს ვერ იტყვის. ღმერთს ესე დაუწესებივარ: უნდა ვიღინო, ვიღინო; ყველამ ჩემით უნდა მოიკლას წყურვილი. გახურებულ ზაფხულის დღეში რამდენი ნადირი მოდის, სვამს ჩემს წყალსა; რამდენი დაქანცულ-დალალული მუშა მოვა, მოიტანს ცელს, ნამგალს გასალესად. კაცნი მსმენ და ათასში. ერთი თუ იტყვის: „დაილოცე, ცივო მთის წყარო, რომელი ღვინო შეგედრებაო?!“ უმრავლესობა ზედ მაფურთხებს. რა ვქნა, მე ვერავის მივაფურთხებ. დეე, ისევ მე მაფურთხონ! რა ბედნიერადა ვგრძნობ ჩემს თავსა, ღმერთო! რა კარგი მეგობრები მყვანან გვერდსა! აი ჯერ ეს ლოდები, სქლად მწვანე ხავსი რომ გადაჰკვრიათ; აი კიდევ ჩემს თავზედ პირ-ყვითელი კლდე რომ დაყუდებული და დამცქერის, მეხურება თავზედ მუზარადივით. ეს დევებივით ქორაფები როგორ აწვდილან ზეცად და მზის სხივსაც არ უშვებენ ჩემამდის! სქელი, გველებივით დაკლაკნილი ფესვები ჩემს უბე-კალთაში ჩაუწყვიათ. ორისა თუ სამის ვერსის სიგძეზე ვარ მხოლოდ ბედნიერი და უცოცდველი, მერე დამლევს, ჩამნთქავს უზარმაზარი მღინარე, დაიკარგება ჩემი სახელი, ჩემი ვინაობა! როგორც უნდა, ისე მათა-მაშებს და თითონ ხომ ღრიალებს, ბორგავს, აწყდება აქეთ-იქით, ანგრევს დედამიწას, გლეჯავს ხეებსა. და მიათრევს; მეც იმასვე ჩამადენინებს. მაგრამ მაშინ მე ის აღარა ვარ, რაც ეხლა, ამ წამში, როდესაც პირველად კლდიდამ ვიბადები. ოპ, ამ მდინარისაგან გული მაქვს გახეთქილი! რამდენჯერ აქ მესმის ხოლმე ხალხის უივილ-ხივილი: „დაარჩო წყალმა კაცი, უშვე-

ლეთ, ღმერთი არავისა გწამთო!“ ცოტა არ არის შეც ბრა-
ლი მედება. ვაჲ, ჩემო თავო! ნეტავი დამბადებელს ესე არ
დავეწესებინე და სულ დაუსრულებლად მეღინა, მერწყო მცე-
ნარენი, დედამიწის ლამაზი გული, მომეკლა კაცთა და ცხო-
ველთათვის წყურვილი! რა ბედნიერად ვგრძნობ ხოლმე ჩემს
თავს, როცა ჩავუვლი გასახმობად დამზადებულს ბუერასა
და იგი თავს დამიკრავს, სალაში მაძლევს, თან თავისის ფო-
თლებისას კაბას მიკერავს. მერე რომ ჩადუნიანში ჩავრაკრაკ-
დები და ისინიც გარს შემომერტყმიან და ტრფიალით მომ-
ძახიან: „გაუმარჯოს მთის წყაროს, გაუმარჯოსო!“ ახლა ზვა-
ვისაგან წამოთელილს თხილებსა და ყურძნებს დავულბობ
დამჭკნარს ფესვებსა და მაღლა ავახედინებ.... ვაჲ, ღმერთო,
ღმერთო, ჩემს ამაგს რად აფუჭებინებ იმ ტიალს, აბეზარს, დაუ-
დეგარს, მოუსვენარს მდინარეს! წუხელის რა ცუდი სიზმარი
ვნახე!... ვნახე ვითომ ვიღუპებოდი. გვალვა, ღიღი გვალვა
დამდგარიყო. ბალახნი, ხენი, ჩემნი მშობელნი, დამჭკნარი-
ყვნენ, მეც დავმშრალიყავი თითქმის. ლაბუა, ლამაზი „წიფ-
ლის ჩიტა“ ჩამოფრინდა ვერხვის ტოტიდამ და უნდოდა ჩემს
გუბეში ბანაობა, მაგრამ ვეღარ დაისველა მხრები და დაიწყო
ტირილი ვხედავდი ამას და გული მიკვდებოდა: „სად წახ-
ველ, ჩემო მაღლო-მეთქი, — ვდუდუნებდი. დამჭკნარი დიყი,
შუპა, შამბი, არყი, ცაცხვი და ურძავნი, — ყველანი, ყველა-
ნი ერთად შფოთავდნენ: — „მივაშველოთ წყაროს წყალი, არ
დაგვიშრესო!“. მაწვდიდნენ ფოთლებიდამ, ტოტებიდამ, ფეს-
ვებიდამ თითო-ოროლა ნამობით, მაგრამ ვეღარასა მშველო-
დნენ. თანაც ვითომ მიწამ პირი მიყო და დაუსრულებელს
უფსკრულში უნდა დავლუპულიყავ. შემეშინდა და გამომე-
ლვიდა. გული მიკანკალებდა, შუბლზე ოფლი დამსხმოდა. ავი-
ხედე, ნისლებით გაჭედილიყო ხევ-ხუვი. ქორაფმა ტოტები
დამკრა, აკვანი დამირწია და დამდუდუნა: „ნუ გეშინიან,
პატარავ, არ დაშრები, არ დაიკარგებიო!“ ამ დროს, დღისით
ფრთხილი და წინ-დახედული, ზურგზე რქებ-გადაყრილი,

„ყელ-ყურ ლამაზიანი!“ ირემი მოვარდა გაჩქარებით დაეწა-
ფა ჩემს წმინდა წყალს, დალია და გაძლა. მაშინ გულ-დამ
შვიდებულმა ცოქვი: — „არა ვარ გამშრალი, არაო!“

გაუა-ფშაველა

ფ ე ს გ უ ბ ა

ნუ გეშინია, არა ვართ გველები! ამ მალალს მთაზე გველს.
რა უნდა? ტყუილად შეპკრთი, ჩვენ კაცს არაფერს ვავნებთ,
არ მოვსწამლავთ. გარედან რომ დაჭმუქნული ხმელი ტყავი
გვაკრავს, იმან შეგაშინა? ერთს დროს ჩვენი სხვა ფერი და
იერი გვედო; დრომ, უამთა-ვითარებამ შეგვიცვალა სახე და
ახლა მწყემსი წამოგვაწყდება ზედ, თუ მონადირე, უნდა შეპ-
კრთეს, მანამ ახლოს გვნახავს! სანამ შეიგნებს, რომ ჩვენ ერ-
თის მუხის ხმელი ფესვები ვართ და სხვა არა-რა. ერთს დროს
ჩვენ უზარ-მაზარს მუხას ვკვებდით, საზრდოს ვაწვდიდით, ძუ-
ძუს ვაწოვებდით. ჩვენის ოფლით, ჩვენის ღვაწლით მუხა თავ-
მომწონედ ყელ-ყელაობდა; ჩვენც ამითი მოგვწონდა თავი,
რომ ლამაზი, გულ-შეუდრეკელი, ამაყი შვილი გავზარდეთ.

თქვენ და თქვენს მუხას მოგინდათ ჩემი ძალ-ღონე, ჩემი ამაგიო, ბევრჯელ უთქვამს ჩვენთვის დედა-მიწას; მაგრამ ჩვენ მაინც ყელის წევით მუხლ-მოღრეკილნი გამოვსთხოვდით ხოლმე საზრდოს ჩვენის საყვარელის შვილისათვის; მის გული სათვის დღე და ღამე გასწორებული გვქონდა. საზრდო არ დავაკლოთ, ვეცადოთო. ერთმანეთს ამ სიტყვებით ვამხნევებ-
დით. დაისვენე, დედა-მიწავ, ლაისვენე, ჩვენ ახლა შენ აღარ შეგაწუხებთ. ვისთვისაც გეფერებოდით და გეხვეწებოდით, ის აღარა გვყავს, ჩვენცა ვხმებით; ხმელსა და მკვდარს საზრდო რაღად უნდა? კაცმა, შეუბრალებელმა აღდგიანმა მოგვიკლა გული, მოგვიკლა შვილი და დაგვტოვა თვალ-ცრემლიანი; ადგა ცულით, დაუწყო ჭრა. ამას არ ესმოდა ჩვენი და ჩვენის შვილის კვნესა. ცულს რომ გვცემენ, ჩვენ ვკვნე+

სით და თქვენ კი, კაცნი, ამას „რაკუნს“ ეძახით; გადმოგვდის სისხლი და თქვენ ჩვენს სისხლს „ხის წვენს“ უწოდებთ... განა რომ ხელს არ გამოვიდებთ, პირს არავის ვაკაწრით, არა ვლანძლავთ, წასულს არ მივდევთ და მოსულს მრისხანე სახით არ ვუხვდებით, იმიტომ არაფერსა ვგრძნობთ?! „მუხას ვჭრიო“,— კაცი თავის ამხანაგს ეძახდა, ვითომ და არაფერიო; ვერა ხედავდა, რომ ჩვენ მაშინ ჩუმად მიწაში ცრემლსა ვლვრიდით, რომ ჩვენმა ცოდვა-ბრალმა დედა მიწაც აატირა: „საწყლებოვო,— ბუზღუნებდა ისიც,— რისთვის, ვისთვის იწვალეთ, ან მე ვისთვის ვწვალობ, ვინ არის მაღლობის მთქმელიო!“..

თუმცა დედამიწა ამას ამბობდა, მაგრამ იმავე დროს წინ წამოწვდილს, შორიდან წამოზრდილს წიფლის, არყის და ვერხვის ფესვებს უდებდა საფზალს... უარს ვერავის ეტყვის ეს ლვთისაგან კურთხეული! ყველას დედაა, ყველასთვის ისა ზრუნავს, ყველა იმის ზურგსა ჰკიდია. იკურთხოს შენი ძუძუ, ჩვენო დედავ, ჩვენო გამზრდელო, ჩვენო ძუძუს მაწოვებელო!

მაგრამ რა ჰქნას საბრალომ! ამასაც ბედმა უმტყუნა. გუშინ და დღეს ჩვენ ბევრი ვიტირეთ, გვენანება იმ ადგილის გაშორება, საცა დავიბადენით, ავიზარდენით, სადაც სი-ცოცხლე ვიგრძნეთ. ვინ იცის, რა მოგველის! დღითი-დღე ჩვენი ბინა ინგრევა, იშლება, ჭლატე კეთდება და ჩვენ უსახურავონი ვრჩებით, ტიტველნი და მშიერნი. ბოლოს მოვწყდებით და წავალთ თავქვე. ჩავეშვებით ულრანს ხევში. ვინ იცის, იქ რა მოგველის? ვინ იცის, იქ რა ნიაღაგი დაგვიხვდება, — დავიხოცებით და გავქრებით სრულიად, თუ კიდევ მიწა დაგვფარავს და გაგვიჩენს საზრდოს?! ვინ იცის, იქნება გიუმაჟმა მდინარემ გაგვრიყოს საღმე უდაბურს ადგილას და მწვავე მზის სხივებში დაგვაჭრნოს, გაგვახმოს, გააჭროს ჩვენი ხსენება!

ლმერთო, ნუ დაგვკარგავ! ბედო, ნუ გვიმტყუნებ! დე-

დამიწავ, კიდევ გაგვიჩინე ბინა! სიცოცხლე და შრომა გვწყუ-
რია, გვინდა კიდევ ვიშრობოთ, ეგები კიდევ გავზარდოთ
ჩვენს ფესვებზე შვილი, ეგები კიდევ ვიგრძნოთ სიხარული.
ბუნების ძალნო, შეიწყნარეთ საბრალო ფესვების მუდარა!

ვაჟა-ფშაველა

ქ უ ჩ ა ვ ი ს

— ბალახი ვარ მთისა, ერთის დიდის, სალის კლდის შუა
გვერდზედ მოსული. ჩემს გვერდით სხვა მცენარე ვერა ხა-
რობს. ვანგებას მხოლოდ ჩემთვის დაუწერია: ქუჩო! კლდე-
ოყოს შენი დედ-მამა, შენი ბედი და ილბალი, შენი წარსუ-
ლი და მომავალიო!

— კლდეო, განა რომ შენა ხარ ჩემი დედ-მამა, ჩემი
მცველი და პატრონი?

— მე ვარ, ნუ გეშინიან, მავ-ბნელო! გარშემო მარტყია მაგრად დაჭედილი ლოდები, ვინ
იცის, სადამდე აქვთ გადგმული ძარი. ზოგი ამათგანი ყურსაც
არ მიგდებს, თითქოს არც-კი ვარსებობდე; ისინი თვალ-და-
შტერებით დასცეკერიან უფსკრულს ტრიას ეძებენ, რა დაუკა-
რგავთ იქ? მე არ მეტყვიან, ათასჯერაც რომ ვკვთხო. რაღასაც
ფიქრობენ. უსაზღვროა იმათი ფიქრი, გამოუცნობელია იმა-
თი გულის წადილი. ხანდახან კლდე ოხრავს. თლბად დარღი
რამ აწუხებს. სხვაფრივ შეუდრეკელი და გულ-მაგარია ჩემი
დედა; იმას როდი აშინებს ზვავი, რომელიც ზამთრობით ჭექა-
ჭუხილით თავზედ დაგვეცემა ხოლმე, მოვა და გრიალით ჩა-
ვარდება უფსკრულში, დაეცემა და, თითქოს დაისვენაო, მძი-
მედ ამოიხრებს. კლდე ხანდახან კიდეც სტირის. მეც ვსტი-
რი მაშინ. დედოს ცრემლებსა ვხედავ და იმიტომ. დედაჩემი
თავის დახოცილს შვილებსა სტირის, რომლებიც მუდამ
თვალ-წინ უწყვია; ბევრიც რომ უნდოდეს, თვალს ვერსაი-
დომ მოაცილებს. კლდის შვილები ლოდებია, დაბლა რომ

ჰყრიან ერთი-ერთმანეთზედ, კლდის ძუძუდგან მონაწყვეტნი, იმის მკერდის ანაგლექნი...

აგერ, დაბლიდამ როგორ გულ-საკლავად შემოსცერიან თავისს მშობელს, თითქოს ეხვეწებიან, რატომ მანდ არ აგვი- ყვან, რატომ შენს ახლოს არა ვართს. ამაო იქნებოდა იმა- თი თხოვნა, იმათი ვედრება, კიდევც რომ შეეძლოთ ამის ნა- ტვრა; მაგრამ არ შეუძლიანთ. მეც იმათ დავუცერი თავზედ და თითო-ოროლ წვეთობით ნამს ფასხურებ. იმათვის ეს მე- ტის მეტად სასიამოვნოა;

ნეტა ერთიც არის მეგობარი მომცა, ხანდაზან მაინც გამოვესაუბრებოდი. ღმერთმა ყვავილებს უშველოთ, გაღმა მთის ფერდიდგან რომ გამომცერიან, ტკბილად ღუდუნებენ, ტკბილად მღერიან ნაზის, დაბალის შმით; ბსინიც, როგორც მე, ბედკრული, შესტრფიან პირი-მზეს. ლამაზო პირი-მზევ, როგორ შორსა ხარ ჩემზედ, მაგრამ მაინც როგორ მიკოდავ გულსა!

მე როგორ შევსტრფი, თვალ-გულ-დამშეული შევსცე- რივარ, თვალს ვერ ვარიდებ ერთს წუთას; ისე მიყვარს, და ის-კი ერთხელაც არ გადმომხედავს; რომ ჩემი მოკლუ- ლი, დამწვარი გული გაცოცხლდეს; ისე მზეს შესცერია, იმას ეტრფის პირი-მზე მზის მოტრფიალეა. აღმოსავლეთიდამ დასასლეთამდე თვალს და პირს იმას აყოლებს; როცა მზე ჩავა, დაიჭვიოთინებს, იწყენს სატრფოს განშორებას. პირი-მზეს ტირილი მეც ამატირებს. გუშინ, ვგონებ, მეც გადმომხედა. არა, ის წმინდაა, უცოდველი, მე-კი უშნო და ცოდვილი. მე განა სისხლითა და ბურტყლით უნდა ვიყო შემურული?! ეს სულ იმ ბებერის არწივის ბრალია, ჩემს გვერდით რომ ბუდობს! გაიღვიძებს თუ არა დილით, მოჰყვება საზარელს ყეფას, ვიღაცას ემუქრება, აბრიალებს იმ დიდრონს, სისხლის მოყვარულს თვალებს და მერყე გასწევს სადავლოდ; ყველა ფრინველი გზას უთმობს. მოიტანს ნანადირევს, დაჯდება ჩემს ზემოდგან ერთს ამოჩემებულს ლოდზედ, სწიწკნის, სის-

ხლი ჩამოსდის და მე დამდის. საიდგან, მოვერიდები? სის-
ხლით წითლად ვილესები, მერე მზე დამხედავს და ახმობს
ჩემს ტანზედ ამ სისხლსა უკურთხოს. წვიმის გამჩენი! ხანდა-
ხან ის გამბანს ხოლმე. უთუოდ ამ სისხლის გამო მარილებს.
პირი-მზე თვალსა, თორემ ერთხელაც იქნებოლა დამიძახებდა:
ქუჩო, კლდის შვილო! გამარჯობა შენიო!

მიყვარს ეს ყვავილი... იმას კაცები პირი-მზეს ეძახით,
რადგან პირი და თვალები მუდამ მზისაკენ აქვს მიპყრობი-
ლი, მზის მოტრფიალეა; როგორც შვილის თვალები თან
დასდევს დედას და სცდილობს არსად დაემალოს დედა, ისე
ამისი. მზე დედაა, პირი-მზე—შვილი მზისა.

ვინ იცის, თუ მე პირი-მზე, მიყვარს! მაინც რაა ასეთი
სიყვარული? მე იმასთან ვერ მივალ, ის ჩემთან; ერთმანეთს
ვერ ვაკოცებთ. ასეთი სიყვარული სასიამოვნო ტანჯვაა. მოუ-
თმენლად ველი განთიაღს; მაშინ დავინახავ ხოლმე ჩემს სა-
ტრფოს. როცა ზამთარი დადგება, ჩემი გულიც მაშინ ჩაშავ-
დება და პირი-მზეც მიწაში ჩადნება. ნეტავი მეც ჩავდნებო-
დე, რომ ეგებ ერთი ჩემი ნაწილი. შეხვდეს იმისას პი-
რის-პირ. დადგება გაზაფხული, პირი-მზე ცოცხლდება და მეც
მაშინ ვცოცხლდები. მავიწყდება. ჩემს ქედზედ მოკიდებული
ხავსი და ობი, თავი პირი-მზე მგონია და გიუივით ვამბობ:
შენი ჭირიმე, ლამაზო, შენი!

ნეტავ ვიცოდე, სად მიდიან ზამთრობით ყვავილნი? ვგო-
ნებ ამას სიკვდილი ჰქვიან. ვინ მასწავლა მე სიტყვა სიკვდი-
ლი? აი ამ ლოდმა, ჩემს გვერდზედ რომ ცხვირი წამოუშვე-
რია და მრისხანედ დასჩერებია ქვეყანას, ამან და იმ ორასის
წლის ბებერმა არწივმა. არა, სიკვდილი კარგი არ უნდა იყოს.
გუშინ რომ მაგ მოუსვენარმა ბებერმა ერთი როჭო შეყლაპა
ჩემს თავზედ, რამდენსა ჰქვნესოდა საბრალო და ის-კი შეუ-
ბრალებლად სწიწკნიდა, ჰგლეჯდა თავისის ალმასის ნისკარ-
ტით.

— ქუჩო, ბენტერავ, მაგასა ჰქვიან სიკვდილიო! წამომ-

ჩურჩულა ლოდმა. მე კაპბის სიბრილულით ვსტიროდი. თუ მართლა ესაა სიკვდილი, კარგი არ უნდა იყოს...

ერთხელ საზარელი სანახავი ვნახე. ისიც სიკვდილსა ჰგავდა. აგერ დაბლა, შორს რომ დიდი მინდონი მოსხანს, იმ მინდორზედ მოჰვდა. ეს ამბავი. ორ-პირად, ორის მხრიდგან გამოჩნდა ხალხთა გროვა. ყველანი ლამაზები იყვნენ, ლამაზად ჩაცმულ-დახურულები; ცხენზედ ისხდნენ ტურფად, მოხდენით და ერთმანეთისკენ მიღიალნენ სისწრაფით. სიშორის გამო არ მესმოდა, რას ამბობდნენ. დაერივნენ ერთმანეთს. იარაღის ბჭყვრიალს თვალს ვერ ვუსწორებდი, მწვავდა. ერთმანეთს ცხენებიდამ ჰყრიდნენ, ჰქელვვდნენ, მახვილსა სცემდნენ.

ბოლოს დროს, თითქოს ჯანლი დაეხვიაო, დაიმალნენ ყველანი. ჯანლი რომ გადიკრიფა, საღამო ხანიც მოახლოვდა. ვნახე, რომ მხედარნი თვის ცხენებითურთ ეყარნენ მინდორზედ უსულოდ, როგორც აი ეს ლოდები. ეს სურათი ჩემთვის სატირელი სურათი იყო და ვიტირე კიდეც. სილამაზე, შვენება დაჰკარგვოდათ. ეს მეწყინა და ამან ამატია.

მზეო, დამხედე! წვიმავ, დამნამე! კლდეო მაღალო, შეინახე ჩემი ფესვები! სიცოცხლეს ნუ დაუკარგავ, ნუ ამომთხრი, ნუ ამომაგდებ!

პირი მზევ, ტურფავ, ლამაზო, შენის სილამაზის მზეს, ათასში ერთხელ მაინც გადმომხედე! მალირსე შენი ღიმილი! საწყალი, ბეხავი ქუჩი ვარ, შემიბრალე! ნავო მთისავ, ბუნების მაცოცხლებელო სულო! დამბერე, გააგრილე ჩემი მხურვალე გული!

არწივო, მედიდურო ფრინველო! თუ გწამს ღმერთი, ეცადე, რომ ჩემს თვალებს არ აჩვენო, როცა უცოდველად სულდგმულთა სისხლს აქცევ! ჩემს ყურებს ნუ გააგონებ იმათს კვნესას, რადგან იმათი კვნესა ჩემი კვნესაა, ჩემი გულის ოხვრა და ვაებაა! დამბადებელო, დამიფარე, შემინახე უნაყოფო კლდეზედ დაკიდებული ქუჩი!...

ვაჟა-ფშაველა

ლეინია გადაჩეხს

(სახალწლო იმედები)

I

— ნიკო, ხვალ ძრიელ ფრთხილად უნდა იარო, თორებ ამ საშინელ გაყინულზე, თუ ერთი ფეხი გაუსხლტა საქონელს, ის არის და ისა, ცოცხალსაც ვეღარ ააყენებ.

— ჰო და! მე და ჩემმა ლმერთმა მართალს ამბობს ნენეი, — დაუმატა რძლის სიტყვებს მოხუცებულმა გოგიამ, რომ მელიც რკინის ფეხის წინ იყო მიცუცქული და ხელებს ითბობდა. აგერ სამოც და ათი წლის კაცი დავბერდი და თითქმის არ მახსოვს, რომ მოვსწრებოდე ამისთანა ყინვას. ჩვენს ჭვეყანაში. ჩემ ბიჭობაშა კი გამიგონია, 1800 წელს მტკვარი ისე გაიყინა, რომ არ კვირას ხალხი ზედ გადიოდ-გამოდიოდათ.

— ეხლაც აგრე არ არი! იმ დღეს რომ ქალაქში ვიყაფია მტკვრის პატარა ტოტზე სულ აბდა-უბდას დასეირნობდნენ პოვოსკები. პატარა ბიჭები ისე დასრიალებდნენ კუკიის ხიდ ქვეშ, აი დასწყევლო ლმერთმა ისე დასრიალებდნენ, რომ გეგონებოდა დაფრინავენო: არც იქცეოდნენ, ის თჯახქორები, არც ირყეოდნენ, გეგონებოდა ფეხებში ეშმაკები. შესხდო მიანო, დაუმატა ნინიკამ.

— რა ძრიელ გაგკვირებია. ყინულზე სრიალია, ჩვენებულები-კი არ დავსრიალებთ ხოლმე ციგებითა! ისე დავსრიალებთ, ისე, რომ რეტი დაგვეხვევა ხოლმე. — ლაპარაკში ჩაერია ათი წლის მიხა, მამას ძველს მაზარაში გახვეული და თავზედ რალაც ჭუჭყიან ძონძ-წაკრული.

— მამილო! ხვალ ქალაქში რომ ჩახვიდე, საახალწლოდ

„ბაშმაკები“, მიყიდე! ამოდენა გოგო ვარ და ჯერ ფეხსაცმელი
არა მღირსებია.

— მეხი კი დაგაყარე მაგ თავზე! ამოდენა, უინ ჩუის, რვა
წლისა მარტო ღრინობისთვეში შესრულდები. ნეტა იმდენი
ფული აიღოს ერთ პატარა ურემ შეშაში, რომ საახალწლოდ
ორიოდე ფუთი ფქვილი მოგვიტანოს და პირის გასახსნელიად
ხუთიოდ გირვანქა ხორცი. შობა დღესაც ცარიელ ლობიოზედ
გადავიარეთ.

— მართალს ამბობ, ნენე, უხორცობა ამისთანა დიდ ბედ-
ნიერ დღეს როგორ შეძლება! ნახევარ თუნგი არაყიც კი
მომეტებული არ იქნება, მე და ჩემა ღმერთმა, მეტადრე ამის-
თანა ყინვაში, — კვერი დაუკრა გოგიამ რძალს.

ბატონოვ, ეგ ხომ კარგი იქნება და კარგი, მაგრამ
თქვენ პერანგს გული პირი სულ ჩამოგლეჯილი აქვს და არყის
ფასით რომ ერთი არშინი ლურჯი ტერნო მოგიტანოს ნინი-
კამ, მე მგონი, ის კი ემჯობინება.

— მე, ძალო? ე ოხერი ქალამნები სულ შემომეგლიჯა,
ფეხები ლამის დამაძრას, მაშ ქალამნები არ მინდა?

— შენა, დედაკაცო, შენთვის რატო აღარაფერს მაბარებ?
— დაცინვით უთხრა ნინიკამ ცოლსა. — ისე ლაპარაკობთ,
თქვე დალოცვილებო, თითქო ჩემი დავარდნილო ხარების
მაგივრად ლომა კამეჩები მებას და, სიფრიფანად ჩალაგებულ
შეშის მაგივრად, დაზვირთული ურემი მიმქონდეს. ჩვენი სო-
ფლის ურემს შეშას რიგიანი ხომ არავინ იყიდის. ჩვენ ის
შემოგვევაჭრება, ვისაც ჩვენსავით ხუთი გროშა ორას თუმნად
ულირს. თა საგურამოს ურმები, აბა ურმები ისინია! ამ დღე
ზამთარში თითო ურემი თორმეტ მანათად, თუმნად იყიდება.
ჩვენი ურემი, რაც უნდა გაჭირდეს, რაც უნდა გაჭირდეს,
განა არ იცით, რომ ოთხ მანათს არ წაუა. ქალაქელმა დედა-
კაცებმა იციან: „ქა, დიღმური ურემი და ხუთი მანათი! ხუ-
თი მანათი მქონდეს, მცხეთურს ვიყიდია დიღმური ურემი
რა საკადრისია; რა უთხრა გაჭირვებას, თორემ მაგისი ფასი

ექვსი აბაზო, ექვსი აბაზიც კი მეტია!, ის კი არ იციან, იმ
დალოცვილებმა, რომ მართლა გაჭირვებას რა უთხრა, თო-
რემ დიღმელს თითო ღერი შეშა თითო ჭისხლის წვეთად
ულირს, საიდან სად უნდა მოვიტანოთ, რამდონა შალბაში
უნდა გადვიხადოთ და ექვსი აბაზიო! ექვსი აბაზია კი არა,
რაც მე ამის მოტანაზე ტანჯვა გავწიე, თითო ღერი ექვსი
მანათი უნდა ლირდეს, გუშინ ტყეში ხარები რომ დამიცვივ-
დნენ, ურემი ამ დალრართებზე სულ მხრითა ვზიდე. ორჯელ-
სამჯერ ისე მოვსხლტი ყინულზედ, მეგონა, ეს არის მეთქი,
დამრჩა ცოლშვილი გატიალებული მეთქი. ექვსი აბაზი! თი-
თო თითო ღერი, ყინულზე დაკრული, რის ვაი-ვაგლახით
ავაძერ და მერე რამდენს ხანს ვაფხიკე ყინულები, რომ სა-
ქონლისათვის ტყუილად ყინული არ მეტარებინა.

— კიდეც მაგ ყინვის იმედი მაქვს და! — უპასუხა ნენემ
ქმარსა. ამისთანა ვაგლახ ზამთარში ხუთ მანათ როგორ არ
მოგცემენ და ხუთ მანათად ჩვენ ბევრი რამ მოგვივა საახალ-
წლოდ.

— ნეტა აგრე იყოს, დედაკაცო, და მაშინ ერთ წითელ
თავშალსაც შენ მოვიტან.

— უი ქა, წითელი ხელსახოცი უნდა მოვიხვიო. სამი
შვილის დედამა! წითელი კი არა და, თუ კარგს ლურჯს თავ-
შალს ამამიტან, ურიგო არ იქმნება; სხვა რომ არა იყოს რა,
ახალ წელიწადს ახალი მაინც დამეკვებება.

— მართლა, ბიჭო, — უთხრა მორცხვათ თავ-ჩალუნულმა
გოგიამ შვილსა: თუ მომეტებული გქონდეს ორიოდე შაური,
ნუ დაზოგავ, შენ გარდას, და ცოტაოდენი თუთუნი მიყიდე.
აგერორი კვირაა, ჩიბუხი არ გამიბოლებია. და ლამის გავგიუ-
დე, პურზე მომეტებულად მომშივა ხოლმე, ი ტიელი!

— დედა, დედა, თაფლი, ნიგოზი! ახალ წელიწადს გოზი-
ნაყი არ გვინდა? კაბას სწევდა პატარა ფეფე დედას და საცო-
დავად ელრიჯებოდა ნენეს.

— კარგით, კარგით, კმარა! რაც მოვა შეშის ფასათ,

ღმერთმა ხომ იცის, ჩემთვის არას შევინახავ. მოიტა, დედა-
კაცო, ლუკმა შეგვაჭამე, გაუთენებლივ უნდა გავიდე, რომ ხვალ
სალამოზე თვალნათლივ ამოვპრუნდე, ახალწლის ლამეს კარში
ხომ არ გავათევებ.

II

ქალაქი დიდ ალიაქოთშია. დიდი და პატარა, დატვირთუ-
ლი სხვა და სხვა ტკბილეულობით, ხორავით თუ საახალ-
წლო მორთულობით, მიეშურება შინისკენ. შეშის მოედანზე-
დაც გაცხარებული ვაჭრობაა. ყოველ კაცს ახალ წელიწადს
სხვა სიუხვესთან უნდა რომ სახლიც თბილი ჰქონდეს. მოვა-
ჭრენი უფრო ღარიბები არიან; მდიდრებს ზავთრის საგზალი
დიდი ხანია ღამზადებული აქვთ, ღარიბმა-კი სხვა დროს. რომ
სიცივე აიტანოს, ამ დღეს არ შეიძლება: მტერ-მოყვარე მოუა,
თავს ხომ არ შეირცხვენს და სიცივით გვერდებს არ გამო-
უყინავს.

— პოულიტე, პოუალიტე, — რუსულის ჯილ-ჯიყით იწვე-
ვენ რუსს, ქართველს თუ სომებს მხერხავი იმერლები. — ეტა
გრაბოვი, ეი ბოლ, ჩისტი გრაბოვი.. სუდარინია, ნე ტარგუი,
კაკ ბოლ, ოსემ რუბლეი სტოიტ, დაი ბეღნი ჩალავეკ, ნუ,
დაი, ნე ტარგუი. მიეცი კაცო, მიეცი, მეტი რაღა გინდა,
შე ახერო, ოქრო ხომ არ არის ეგ შენი ჭყინტლი შეშა,
მიეცი მეთქი! — და ბევრჯელ თავშიაც წაუთაჭებენ, თუ გა-
მსყიდველი ბეჩავია და თავის დაცვა არ შეუძლიან.

დილის ათი საათია. საშინელი ყინვაა. სუსხისაგან წელ-
ში ითხად მოხრილან გამვლელ-გამომვლელნი. მეიდანი მთლად
გაჭედილია შეშის ურმებით, ტევა არ არის, თუმცა პოლიცია
ყოველ ღონის-ძიებას ხმარობს, რომ, რაც შეიძლება, კუდლისა-
კენ მჭიდროთ მიაყენოს ურმები ურმები თანდა თან მოდიან
და მოდიან. პოლიცია ქუჩიდგან მიერეკება ურმებს. მეიდნის
ზედამხედველი აქა-იქ დალასლასებს, თვალ ყურს ადევნებს, რომ
გაყიდული შეშა არ გამოეპაროს და ქალაქის იჯარა, ურემზედ

ორი შაური, არ ასცდეს. აღრე მოსული მეურმეები ხტიან ხია
ცივისაგან, ხელებს იორთქლიან, ელრიჯებიან მსყიდველებს,
ჩალას უდებენ პირში თავჩალუნულ და ყინვისაგან ბალან. აბურც
ძგვნილ საქონელს.

თერთმეტი საათია. თუმცა ბევრი ისყიდება შეშა, მაგრამ
მაინც მეიდანზე ალაგი აღარ არის და პოლიციელი ახალ
მოსულებს. ქვემოთ, მტკვრის, პირას ისტუმრებს: ჭუჩაში, დი-
დის მოძრაობის გამო, ურმებს აღარ აყენებენ. კონკა, ფაე-
ტონი, პოვოსკები მთლად იჭერენ ვერის ხიდის ჩასავალ ვიწრო
ჭუჩას.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა ჩვენი ნინიკა მეიდნის თავში.
ში ურმის თავზე ბრძენივით დადინჯებული ზის პატარა მი-
ხა თავის ძველ მაზარაში გახვეული და თავზე პაპის ცხვრის,
ტყავის ქუდ-ჩამოფხატული. ნინიკა კი მხარ და მხარ მისდევს
თავის ურემს და ულლის თავს უჭერს. თავის შიმშილისაგან
დაოსებულ ხარებს. იმისი ურემი სასაცილოა თავის სიპატარა-
ვით: მოკლე, ვიწრო, მაგრამ მაღალი და თხელი, ბავშვის სა-
თამაშოსა ჰგავს. შეშა მხოლოდ ორპირად უწყვია ურემს, მაგ-
რამ რა ნაირად სიტატურად უწყვია! რიგზედ, შეშა შეშაზედ,
ლამაზ კოშკივით არის აშენებული; გარედგან ხმელები აქვს
შემორიგებული და შიგნიდგან ნედლი და დაკლაკნილი შეშე-
ბით არის ამოვსებული. ეს სიფრიფინა შენობა რომ არ გაღმო-
წვეს, არ შეირყეს, სხუილის საბლით ათას გვარად არის გადა-
სალტული.

ნინიკა სცდილობს შეშის მოედანზედ გაჩერდეს, სადმე
მიიკუნჭოს. პოლიციელი უყვარის, ხელსა სწევს, ქვევით, წყ-
ლის პირისკენ უთითებს.

— შენი ჭირიმე, აქ სადმე გავჩერდები, იქ ვერ ჩავლენ
ჩემი ხარები და თუ ჩავლენ, ველარ ამოიტანენ, დავარდნილებო
არიან, მთელი ზამთარი ულლიდგან არ გამოშვებულან, ნახე
ვარზე მშიგრები ჭყრიან, — საკუთღავად შეპლიჯინებს ნინიკა
პოლიციელს.

— არ შეიძლება, წადი, ოორემ კისერში წაგრძავ, წადი.

— კაცო, ხომ გეუბნები, დავარდნილი ხარები მყავს მეთქი. იმ ყინულზე როგორ ჩაიტანენ, დაიმსხვრევიან და ჩემ ცოდვაში ნუ ჩასდგები.

— წადი, წადი, წადი! და პოლიციელმა, რომელსაც არც ერთი სიტყვა ნინიკასი არ ესმოდა, დაუშინა ხმლის ყუა ხარებს. მეტი გზა არ იყო, ნინიკა ჩაუძლვა ხარებს მოლად ყინულით გასიბულ დაღმართზე. ნინიკას ბოლმა ახრჩობდა, იცოდა რომ ბინდამდინ ვეღარ ელირსებოდა შეშის გაყიდვას და სიბრაზით თითქმის ტიროდა.

— აჲ, თქვენი რჯული, თქვენი! ულმერთოებო! ახალ წელიწად ლაშე ბოჭანოსავით ფიჭში უნდა გავატარო, ცოლშვილი ჩემი გზის ცქერაში უნდა გამოღამდეს. რა დიდი ალაგი ჩემ ურემს მოუნდებოდა! ერთი ორი შაური მქონოდა, ჩუმად ხელში ჩამედო, ამას ხომ არ მიზავს?

აქ ფიქრებში გართული ნინიკა გულის-ხმიერებით ვეღარ ადევნებდა თვალს თვის ხარებს; ერთ ამაფენს ფეხი გახეთქილ ყინულში ჩაუვარდა, მეორე ფეხი წაუსხლტა და ორთავე წინა ფეხებით მიწაზედ გაიღასტა. ვიწროდ აკოკოლავებული შეშა საჩქაროდ გადიხარა გვერდზედ და მსუბუქი ურემიც თან გადაიტანა. ერთ წამზედ ურემს დუნდგუ ხალხი დაედო და სეირს. შეჰყურებდნენ. ნინიკა გაშრა, ენა ჩაუვარდა, მოძრაობა შეეკრა; გაშტერებული დასცქეროდა თავის ღვინიას საშინლად გაფაფხულ ფეხებს და იმის ტანჯვით სავსე თვალებს.

გადაბრუნებულმა ურემბა და მაყურებელმა ხალხმა გზა შეუკრეს სხვა მიმავალ ურემს. „დესეტნიკები“ გაცეცხლდნენ და ნინიკას დეეტაკნენ. უკაცო, კაცო, აიღე ურემი, გზა გაწმინდე, ვერა ხედავ, ურმები მოდიანზე“

ნინიკა უძრავად იდგა, ღვინიას თვალებში ჩასცქეროდა. საქონლის უსიტყვო საზარელი ტანჯვა უსიტყვოთვე იბეჭდებოდა და იმის პატრონის სახეზედ და კაცს გულს უწყლავდა. ნინიკას გვერდზედ პატარა მიხა საზარლად ქვითინებდა.

— კაცო, არ გესმის, არ გესმის? და მოთმინებიდგან გამოსულმა პოლიციელმა წაუთაქა თავში, წაარტყა კისერში გაშტერებულ მეურმეს.

ნინიკა გონს მოვიდა, ჩოხის კალთით მოიწმინდა მარცხენა თვალიდგან ჩამოგორებული მსხვილი ცრემლი და ლვინიას აპეურები შეაგლიჯა. ხარი ულონოდ გვერდზედ გადავარდა და ორივე წინა ფეხი მჩვრებივით დევკიდა.

— ბიჭო, შეშაში ორი აბაზი მოგცე?

— ორი აბაზი, შე თხერო, ღმერთი არა გაქვს, ბზე ხომ არ არის!

— ოთხი აბაზი მოგცე, ძმაო-ჯან, ვითამ წაჩხუბულმა, მაგრამ ნამდვილად-კი პირ-შეკრულმა ჩარჩებმა დაუწყეს ნინიკას გაჭირების დროს ვაჭრობა.

— ოთხი აბაზი?.. არა, შეშას არა ვყიდი, ასე მინდა გადავყარო, ამოოხვერით სთქვა ნინიკამ და ურემს ცლა დაუწყო.

— მაშ რა გინდა, შე ცხონებულო! გინდა შენი ერთი მუჭა შეშა რვა მანათად გაყიდო? აპა, მან ეთი მოგცე. ახლა პოვოსკა უნდა ამას, რომ აქედგან ბინამდინ გადავიტინო-და! შენი ფეხებ დაგლეჯილი მოზვერი ურემში ხომ აღარ შეებმება. აპა, ერთი მანათი! აიღე-მეთქი, გეუბნები, ჭკუას ნუ ჰერ-გავ.

— არა, გამიშვი, თუ ღმერთი გწამს, გეუბნები, არა ვყიდი-მეთქი.

— აი სულელი! არა ვყიდი მაშ წნილათ გინდა ბებია შენს ჩაუდო?

— მამეშვი-მეთქი, კაცო, რას ჩამაცივდი, ყელში სისხლი მომდის. აქ ცოდოს არას შემამთხვიო.

— ვა, ცოდოს რა, მამა გიცხონდა, რეველვერი არ დამხალო. ასეთს გდრუზავ, თვალებიდგან სულ მაშხალები წა-მოყარო.

ნინიკამ ერთი-კი გადახედა გალირფებულ ჭაჭარს და ხმა-

გაკმენდილმა ურემს ცლა დაუწყო. რიყის ერთს კუნჭულზედ დაალაგა თავისი ერთი მუქა შეშა და ურემზედ ოდნავ მსუნ-თქავი ღვინია შესძლოა.

— კაცო, ყელი გამოსჭერ; მანამ ცოცხალია, უსულოდ რადა ჰელავ? ეუბნებოდნენ აქეთ-იქიდგან ნინიკას. მაგრამ იმან ყურიც არავის ათხოვა, ყელი გამოსჭრას ღვინიას და მერე ვინ? ნინიკამ? და განა ეს შესაძლოა? განა ღვინია ნი-ნიკასთვის მარტო საქონელი იყო და სხვა არაფერი? არა, ღვინია იყო იძის იმედი, იმის მარჯვენა ხელი და განა მარ-ჯვენას მოიჭრის ვინმე, თუნდ ის მარჯვენა სამუშაოდაც, აღარ ვარგოდეს?

III

ნინიკას ოჯახი სოფელში ახალ წლის სამზადისში იყო და ქალაქიდგან მონატანის იმედით მხიარულებდა. ნენემ დარ-ბაზი ისე დააკრიალა, ისე დაასუფთავა, რომ გალიპულ მიწა-ზედ ერბო აიკრიფებოდა. ქოთნები, ჯამები, ქვაბუბი სულ ნა-ცარ-ტუტით დარეცხა და თაროზედ დაალაგა. ქმარ-შვილისა და მამამთილის ძველ-ძულები უსაპნოთ დარეცხა და რკინის ღუმელთან მიჰტინა დასაშრობად.

გოგიამ გასასყიდვ შეშის გადანარჩენი კუნძები წვრი-ლად დააპო ზა სახლში შემოზიდა. ღუმელს, რაც ძალი ზა ღონე ჰქონდა, უმარჯვებდა: „დაყინულები მოვლენ ი ბიჭე-ბი და, თუ სახლი თბილად არ დაუხვდათ, დაიხოცებინო“.

შებინდდა: ნენემ შვილები დააძინა და, ქმრის მოსვლამ-დინ რომ თავი როგორმე შეეყოლებინა, მეზობლებთან საბაა-სოდ და იმათ სახალწლო სამზადისის დასათვალიერებლად გადავიდა.

გოგია ღუმელთან ჩიბუხს სწმენდდა და თამბაქოს მო-ლოდინში სიამოვნებით იღიმებოდა. ცეცხლის გუზგუზედ ჩაფიქრდა. ბევრი რამ ავი და კარგი გაახსენდა თავის წარსუ-ლის ცხოვრებისა. ბევრჯელ ამ მოგონებაზედ პირს ლიმი მო-

უვიდა და ბევრჯელ გულიანად ამოიკვნესა. ბოლოს დაღალუ-
ლობამ დასძლია და, ისე, ღუმელთან წაკუნტულს, ჩაეძინა.
თუ ფხიზლივ შავი ფიქრებიც გადივლიდნენ ხოლმე იმის სა-
ხეზედ, ეხლა სიზმრად მხოლოდ ბედნიერება და მხოლოდ
ბედნიერება დაესიზრმა. გოგიამ ნახა, ვითომ ნინიკას, პატარა
დილმურის მაგივრად, დიდ, რკინასავით გამოჭედილ ურემში
ორი ლომა კამეჩი ება და თითონ ნინია კოფოზედ მორთულ-
მოკმაზული არხეინად იჯდა; ნახა, რომ ნინიამ შუა ცეცხ-
ლით გაჩაღებულ დარბაზში შემოიტანა. პირამდინ გატენილი
ხურჯინი და მთელ თავის ჯალაბს სიხარული მოჰყონა. პატა-
რა ფეფეს წითელი ჩუსტები, ნენეს ჭრელი შალის კაბა, მი-
ხას ჭუდი და ქალამნები, საღვინით თაფლი; ტიკით არაყი,
გოგიასთვის დასტა-დასტა თამბაქო კერას წინ დიდ გორასა-
ვით დაგროვილი იყო და პატრონები ცეკვითა და ლრიანცე-
ლით გარს უვლიდნენ. თითონ გოგია საახალწლო ტაბლით,
წმინდა სანთლებ ანთებული, კარებში იდგა და თავის ოჯახის
ბედნიერებით ხარობდა. უცებ სანთლები ჩაქრენ, ხონჩა ხე-
ლიდგან გაუვარდა და გოგიამ თვალები გააჭყიტა. შანდო-
რინის ჭრაქის პატრუქი ოდნავ ბჟუტავდა და საზარელი ნავ
თის სუნი იდგა მთელს სახლში. რკინის ღუმელი ჩამჭრალიყო
და სიცივისაგან მთლად აძაგდაგებდა საშუალ გოგიას.

— არ გესმის, კაცო! რამ გამოვაყრენ? კარში გამო, ლაგვებმარე, ე თხერი ხარი გადმოვილოთ ურმილან.

— ხარი... ი... ი... რას ამობ, ნინიკო? ხარიო?
— ჰა, მამავ, ღვინისა დაგვეჩეხა ყინულზედ! შეპბლავლა
ნინიკამ მამას და მთელის დღით შეკავებული ჯავრი და ვარა-
მი დედაკაცურის ჭვითინით და მდუღარებით ახლა წასკდა...

„ლვინია დაჩეხილა, ლვინია დაჩეხილა, ჩვენი ლვინია!“
ზარივით გაისმა ყინვისაგან მოკრიალებულ ჰაერში გოგიას
ოჯახის გოდება და, ძველ წელოწადთან ერთად, შეუნიშნავად
მისწყდა უამთა ვითარებაში... 19. 8. 2018

მ თ მ დ გ ა რ ა

(ნაწყვეტი)

XXII

წვერის სპარს-ანგელოზობა იყო, — ხატობა მთელს მთა-ში განთქმული და სახელ-გავარდნილი. ეს ღლეობა ეხლაც დიდს ძალს ხალხს მიიზიდას ხოლმე, რაღანაც ორი სოფე-ლი, სნო და სტეფან-წმინდა, მლოცველთ მასპინძლად უხვ-დება და ერთი-მეორეს პურადობასა და სტუმრის დახვედრა-ში ეცილება.

ეს ხატები ასვენია ყუროს მთის გადმოსწვრივ სამხრე-თით, ერთს ამაღლებულს ჩონჩხიანს გორაზედ, რომელიც მიუდგომელს სიმაგრეზედ ამართულა, ისეც ძნელად სავლელს და მისადგომს კლდეებში.

ჟამბარ დროში აქვე ინახებოდა სახალხო საუნჯენი, შე-წირულებანი და საერო ქვაბები ლუდისა, არაყისა და საკლა-ვის მოსახარში. ეს წმიდა ადგილები ხალხისაგან მით უფრო პატივ-საცემლად იყო გამხდარი, რომ იქ ესვენა სათემო დრო-შები, რომელთანაც ხალხს თავისი წარსული ბედ-ილბალი შავერთებინა, რომელნიც არა ერთხელ და ორჯერ ამოვლე-ბულიყო მთიელთ სისხლში თავის ქვეყნის, სარწმუნოების და ეროვნების დაცვისათვის აღრინდელს არეულობის დროსა.

აქ შეფარებული მონაცირისაგან დაჭრილი ჯიხვი ხელ-შეუხებელი რჩებოდა, რაღანაც წმინდა ადგილს ვეღარავინ გადალახავდა; ამ წმინდა ადგილებს შილწეული დევნული მტრის დევნისაგან სრულიად თავისუფლდებოდა, რაღანაც წვერის სპარს-ანგელოზს თავისი ფრთა გადაეფარა. ეს იყო

ხევის უმაგრესი ადგილი და უმთავრესი საგანძე, სადაც ური-
ცხვი შეწირულებანი მლოცველთა ინახებოდა. *)

რა თქმა უნდა, რომ ეს ადგილი ცოტა ხალხს არ მოი-
ზიდავდა, რომელიც ცოტა საკლავს, საწირავს და ზედაშეს არ
მოიტანდა.

თუმცა ამ ადგილს ეკულესია არ იყო, მაგრამ მისი ად-
გილი ეჭირა ნიშა, რომელიც თეთრის ბროლის ქვით აეშე-
ნებინათ და მზეზედ ვერცხლივით ბჟყვრიალებდა. ოთხ-კუთხად
აყვანილი ნიში სათაურში ვიწროვდებოდა და ზედ სათაურ-
ზედ ოქროთი ნაწერ-ნახატი რკინის დიდი ჯვარი ედგა.

მას ჰქონდა გალავანი, აშენებული ჯანგ-ნარევის **)
ქვით, რომელიც ოქროსავით ჰბზინავდა და მის თავზე ური-
ცხვი დროშები გაფრიალებულიყვნენ.

სხვა-და სხვა ფერად აჭრელებული ხალხი მიღიოდა და
ზოგი ჯვარს იხსნიდა ყელიდან, ზოგი ბეჭედს იძრობდა თი-
თიდან, ზოგი ვერცხლის უღელს, რომელიც შეთქმისამებრ,
მთელს წელიწადს ყელზედ ეტარებინა; სხვებს მიჰქონდათ
კიდევ თასები, აზარფეშები, შანები და სხვა ძვირფასი ნივ-
თები, თვლებით მოჭედილი. ყველა სასოებით მუხლს იყრიდა
და მოკრძალებით ჯვარს შეაბავდა თავის საწირავს. გაისმო-
და დროშის ზარის უღრიალი და დეკანოზებისგან დამწყა-
ლობნება შემწირავისა, რომელიც უკანასკნელს ნივთს საზო-
გადო სიმდიდრეს უმატებდა.

— სწყალობდეს! დაიძახებდა ხალხის შმართველი, დეკა-
ნოზებზე უფროსი ხევის ბერი და ჰაერი დაიფარებოდა ხალხის
გრგვინვასავით ძლიერის, ხმით; ამა ხმას მოჰკრავდა ხელს
მსუბუქი ნიავი, გაიტაცებდა ზრდალით და ყოველს მთას, ყო-

*) წვერის სპარს-ანგელოზის ეკულესიაში მოუვიდათ ორი ხატი.
ერთი მათგანი არის შეშოსილი საკვერის ვერცხლით, ხოლო მეორესაც
ვერცხლის გვირგვინი აქვს. აგრეთვე სხვა ეკულესიებსაც ახალი ხატები
მოუვიდათ.

**) ჯანგი—გოგირდ-ნარევი სპილენძია, მთაში ყველგან მრავლად
მოიპოვება.

ველს ხეობას, ყოველს კენჭისაც კი აგონებდა — ვინ რა შეწი-
რულება გაიმეტა ღმერთისა და ეკკლესიისათვის.

ამ ადგილს ერთობა, ერთი ოჯახობა იქამდის თავს იჩენ-
და, რომ დაკლული საკლავები, ქადები სულ ერთ ადგილას,
ნიშის ახლოს მიჰქონდათ. აქა ჩუხჩუხებდა საერთო საარაყვ-
ქვაბები, რომელშიაც საერთოდ იხარშებოდა მთელ-მთელი
ცხვრები და, მომზადების შემდეგ, იმის გაურჩევლად, რომელი სა-
კლავი ვისგან იყო. მოტანილი, ხალხს უწილადდებოდა. ამ
კერძს ერქვა ხატის წილი და ამას ძუძუ-მწოვარსაც ვერ დააკ-
ლებდნენ, რადგანაც მით ერთის ოჯახობის მონაწილეობა
მტკიცდებოდა.

ბევრნი იყვნენ ხატობაში ისეთნიც, რომელთაც ან ად-
გილოს სიშორის, ანუ სხვა რომელისამე მიზეზის გამო, ხატში
სრულიად არა მოეტანათ-რა, მაგრამ აქ ერთი ოჯახი იყო,
ცარიელად მოსული — მისი წევრი და ამისთანას, არა თუ მირწვევ-
დნენ, არამედ ვერაფერს დააკლებდნენ, რადგან თავის ხატის
წილის მოთხოვნა ყოველთვის შეეძლო.

დაამწყალობნეს ხალხი. დეკანოზებმა საკლავის მომტანთ
ჩვეულებისამებრ. შულბზედ სისხლის ჯვარი გაუკეთეს და ხალ-
ხი ნიშის მოშორებით ველზედ შეგროვდა; საღილი ჯერ არ
მომზადებულიყო და ხალხს ჯვარულისა და დიდების შემდეგ
ტაშ-ფანდურა გაემართა. გახურდა გოგონა და გაბრწყინდა
ყმაწვილ გოგო-ბიჭების თვალები. მღერაში მომთქმელ-მო-
ლექსენი ცდილობდნენ ერთმანეთზედ უფრო მწვავე, გულის
ამლელვებელი და ძლიერი სიტყვები მოეგონებინათ. თამაშობ-
ბით შეხურებულნი ყმაწვილნი გაწითლებულიყვნენ და თვალ-
გაუუუუნებული გოგოები „საგულოს“ დაეძებდნენ, რომ კეკ-
ლუცის გაღიმებით მოეხიბლათ, თვალის „ჩაკრენტით“ გაე-
ბეღნიერებინათ.

უფრო მოხუცი, დარბაისელი ხალხი ჯგუფ-ჯგუფად და-
ყოფილიყო და ზოგი თავიანთ ბინებზედ ისხდნენ, ზოგ-
ნიც ერთის ბინიდან მეორეში გადადიოდნენ სტუმრად, რათა

შემთხვევა არ დაეკარგათ ჴ, ვინ იცის, რამდენის ხნის უნახავ ნა-
თესავებთან საუბრით დამტკბარიყვნენ და დროი გაეტარებია
ნათე.

უკველს ბინაზედ მრავალი ჰქონდათ: შინაური არაყი,
ლუდი და სტუმრის ჭისვლისათანავე გაიმართებოდა. თასების
გზავნა და „სმური“, გალექსულის სიტყვის შესხმა მისული-
საღმი.

უკველაფერი რიგზედ მოდიოდა, როდესაც სამი კაცი შე-
მოჩნდა ქვევით გვერდოზედ. სამივ გაჩქარებული მოდიოდ-
ნენ და ეტყობოდათ თავისათვის ძალა ტიყარათ, რაღანაც,
უეჭველია, დასცხომოდათ და ქუდები „ქალას“ მხრივ ისე
დაეხურათ, რომ ქუდის სათაურებს მზე მიეჩრდილა. სამთავეს
ჩოხის კალთები გადაეწიათ, რომ მუხლების დრეკისა. და მუ-
ძრაობის დროს ნაკლები ძალა დასდგომოდათ. ისინი თვალ-
თათვის სამდევროდ მოდიოდნენ და ამის გამო ხალხის ყუ-
რაღლება მიიქციეს.

— ვინ იქმნებიან... ძალუნ ჩქარა კი მოდიან... ეგენი
უსაქმიდ არ იქმნებიან... ლაპარაკობდნენ აქა-იქ ხალხში და
მომავალთ უკველა მოუთმენლად ჩასცეროდა.

ბიჭებმა მოაღწიეს სერსა, ამოხდნენ და ხალხმა იცნო
ისინი. სამნივ სიონლები იყვნენ. მათ მოსვლის უმაღ ხალხს
შეუფერხებლივ „წყალობა ხატისა“ შეუძრახეს, მიიღეს პა-
სუხალ — „თქვენიმც მწყალობელია“ და ხმა გაუცემლივ ნი-
შისკენ გასწიეს. როდესაც წმიდა ადგილს მიუახლოვდნენ,
დაჰყარეს ჯოხები, ქუდები, წარსდგეს რამდენიმე ნაბიჯი და
პირჯვრის წერით დაიჩოქეს. დეკანოზებმა შეჰკრეს თვალი
ახლად მოსულებს, აიღეს დროშები და დაამწყალობნეს. ბი-
ჭები ადგნენ, ავიდნენ ნიშთან და დროშის წინ მუხლის მო-
ხრისა და შევედრების შემდეგ სანთელ-საწირავი ნიშის კედე-
ლში დატანებულს თახიაში შეაწყვეს.

დეკანოზებმა დროშები თავ-თავის აღგილას დასვენეს
და ერთმა მათგანმა ახალ-მოსულებსა ჰკითხა:

— რა ანბოვი იყო, რომ ისე ჩქარა მოღილდით?

— გონჯი ამბოვი, ულთას მაღლმა, გონჯი! უპასუხა ერთმას.

— რაი ამბოვია, რაი ამბოვი? მიეხვივნენ დანარჩენი დეკანოზები.

— რაი-ლა რაი, ამბოვი, ანოფრეი დაჭკარეს.

— ვინ ანოფრეი, რას უბნობ!

— აუ! ანოფრეი არ იცი? მღვდელი, აქიმი, ბურსაჭი-რის ქოხში, რომ სცხოვრობდა.

— რას უბნობ, პიჭაული. ვინ დაჭკარებული აღელა-დნენ. იქ მყოფნი.

— რაი-ლა ვინა? ციმბირს გაპგზავნეს ინუცა ჩემი იქთვი-ოთავი — რაიო? განუმეორეს კითხვა, რაღანაც ამ გვარს შეა-მოხვევს, ვერციერთი მათგანი ვერ წარმოიყდება.

— მათს საუბარში ხალხი ჯერ მონაწილეობას არ ღლებდა, რაღანაც ნიშს საკმაოდ დაშორებულნი დაყვნენ და ლაპარა-კი არ ესმოდათ.

— ანოფრებული გავნეს, მეთქმა ციმბირჩიგა, გაიმეორა მოსულმა.

— ანოფრე, ციმბირჩიგა? დაიწყო ერთმა სურა, ცხო-იძირა ძმას ცვილა გავზავნიდა, „უფლის ნათლული“ იყო.

— დაუმატა მეორე დეკანოზმა, მეორე დეკანოზმა ... შემუშავ

— ტყუილი იქმნება... მოაჭორებდა ვინმე და... — წარა მოსთქვა მესამემ და ამბის მომტანს მიუბრუნდა: — სირცხვილი არა, პიჭაუ, რომ, საღაც რაღ გაიგონო, პირში აღარ ჩაგ-დნების? გაიგონებს ჭორსა და ხალხი უნდა არიო.

— რაი არაო? წყენით უპასუხა სიონელმა: — ჭორად კი არა, მე თავადა ვნახე, აი ემ თოლებითა თვალებზედ ხელე-ბი დაიდო.

— შენ პნახე? გაიკუირვა ყველამ.

— ჰაი, ჰაი, რომ მე ვნახე...

— წუთხა ყველანი გაჩუმდნენ, თითქოს მეხმა დაჭკრა და ყვე-

ლას სული გააკმენდინაო, მაგრამ შაშინვე ისევ აყაყანდნენ და ერთბეჭრთმანეთს შორის დაიწყეს კითხვა:

— სადა ნახე, როგორა, მართლა მიჰყანდათ, რას ან-ბობდა, როგორ იყო და სხვ...

— დაფერხდით, დაიცადეთ, ყველას გეტყვით.

— იყუჩეთ, იყუჩეთ! დაუმატა უფროსმა დეკანოზმა და ყველანი სმენად გარდაიქცნენ.

— სტეფან-წმინდას ჩაველ, — დაიწყო ამბის მომტანმა: — ხატში წამოსვლა მინდოდა და სანთელი არა მქონდა... ის იყო გამოველ დუქანჩიგათა და ბორკილების ჩხარა-ჩხური მომედინა. გავიხედე და ტუსალები ბუზსავით ირეოდნენ... მე ვთქვი ჩემ გულში: „სად ტაუხვეტიათ მეთქი ამდენი, ცხვრები ხომ არ არიან, მეთქი...“ ერთბაშად გავიგონე: „შვილო მამუკაო!“.. ფამიკვირდა, ვინ ამძრახდა, მეთქი... მივიხედე ლონოფრე კი იყო... ბექავის ტუსალის ტანისამოსით, ბორკილები ჰქონდა ფეხებჩიგა და ძლიველა მოიზრობოდა. გავჭანდი, მინდოდა ხელებზედ მემთხვია, მაგრამ მცველმა თოჯფის კონდახილამკრა და არ მიმიშვა. გადა არ იცნობს?... ვის არ ახსოვს იმისი სიკეთე?... ი მე თავადაც, დაჭრილი რომ ვიყავ, სიკვდილს გადამარჩინა, ღთის მაღლმა... უნახავისათ დავდგებოდი?... სამანი მანეთანი მქონდნენ... წავედი ნაცვალთანა, შევეხვეწე... არანი იმას მივეც და ერთაიც რუსასა... სალაპარაკოდ მიმიშვეს...

— რაი გითხრა, რაი? მოუთმენლად ჰყითხეს მამუკას.

— მაყვალაის სიკვდილი შე დაშტრალტაო... უელამ მის ლალატაო... ნამუსი დაჲკარგა, უფალი ჰყმონა. მაგრამ ბექავისულ იმან იძახდა: „შესტრდა და ღმერთმა აპატიოსო“!

— ი, ბექავ, ლონოფრე! ჩაიკრა მუხლებში უფროსმა დეკანოზმა ხელი და მწუხარებით დაუმატა: მოგიკვდა შენი ვაჟია!... შენ დაიკარგო და მე კი მზეს ვუყურებდე?... ხალხი? ხალხმა რაილა ჰქნა? დააბოლონეს იმან.

— რას იქმოდა?... ყველა დაღონდა და ყველა ჩაგონ-

და... უნდოდა მშეიცლბა ეთქვა და არ მიუშვეს ძალუმ
ჯარი ეხვია... —

— ონოფრე რაღას შვრებოდა?... —

— არ იცი, რასა იქმოდა? კითხვით მიუფო მამუკამა: —
ხალხსა ლოცვადა?

— მოიცა-ლა, მოიცა! გააწყვეტინა მეორე დეკანოზმა:

— დალაგებით, დაწვრილებით, გვიამბე. ჩარე-
ბის მამუკამა აღასრულა დეკანოზის სურვილი.

— მოკვდეს თემობა, თუ ეგ ხაქმე ეგრე ჩაავლია! წა-
მოიძახა უფროსმა დეკანოზმა, წამოავლო დროშათა. თავს
ხელი და ისე ძლიერად და განრისხებით შეანძრია, რომ ზარე-
ბის უღერით ჭაერი შეირყანი ქართული თავი და დაუდონ.

ხალხში სიჩუმე იყო ჩამოვარდნილი, რადგანაც ეგრძნოთ,
რომ მოსულებს, უეჭველია, უსიამოვნო ამბავი. რამდენი-
მა და შეტყობას ელოდნენ. ზარის ხმამ შეაკრთო, შეაძრ-
წუნა და ტანში ურუანტელიფით გაურჩინა.

— სმენა იყოს, სმენა!... აგუგუნდა ხალხი და ნიშია-
კენ გაემართა.

დეკანოზები თავ-თავის აღგილას იდგნენ, ჩთავ-თავიან-
თი დროშები დეჭირათ და ჭურ-მოხდილებს ნიავი ბამბასა-
ვით თეთრს თმასა და წვერს ურხევდა ჩირგზ.

ხალხი შემოგროვდა ნიშის გარეშემო და მოუთმენ-
ლად ყაყანებდა. შეინძრნენ დროშები და ტურიცხვი ზარე-
ბის უღრიალი გამეორდა. მას მოჰყვა უფროსის დეკანოზის
ხმა: — „სმენა იყოს და გაგონება“! და ხალხი გაჩქურდა, გა-
წამდა და სული განაბაუ თვით ძუძუ-მწოვარა ჭავშვის ჩხავი-
ლიც კი აღარსად მოისმოდა, თუმცა სალოცავად მრავალი
მოეყვანათ.

ჭაერიც შესდგა და შეგუბდა, მთითქოს იყრძნო, რა სამ-
წუხარო ამბავიც უნდა გაეგონა თემობას. მზეს თითქოს შერ-

ცხვა და იქავ მყოფს ლრუბელს მოეფარა, რომ ხალხის მწარე
დღე არ ენახა.

— ხალხო! გაისმა ამ სამარის მსგავსს სიჩუმეში და. მე-
დგრად გაირბინა ხალხში:— ხალხო! მზე კრთება და ბნელდე-
ბა სირცხვილისაგან.... ცა გაიპო და მრისხანება ზარსავით
დაგვეცა თავსა, გასქდა დედამიწაზე და თან ჩატანას გვიპი-
რებს... ხალხო! თქვენა გყავდათ მოძღვარი, რომელიც თქვენ-
თვის თქვენზე მეტსა ზრუნავდა, თქვენა გყვანდათ მამა,
რომლის მაგალითიც გზას გიშუქებდათ.... თქვენა გყვანდათ
მოძმე, რომელიც ღვთიურს ჭეშმარიტებას გასწავლიდათ...
თქვენ გყვანდათ ღვთიური და ის უბრალო ჭიასაც არას ავ-
ნებდა... ის იყო თქვენი სახელი თქვენი სიამაყჟოჭქვენ შე-
გეძლოთ ამაყად გეთქვათ: „ეგ ჩვენია ჩვენს მთაში ნაშობი
და ალზრდილი, მთა ამაყობს, თემი ბეჭნიერია რომ მაგვა-
რი კაცი ჰყავს, ჩვენშოულზრდილი და ჩვენში დაბადებუ-
ლი...“ ხალხო! მოიგონ თქვენის გტკივებიათ უული და შვე-
ბა ვის მოუცია... ვინა ჰყოფილხართ დაჭრილი ვის ვა-
ნუკურნიხართ; ვინ ჰყოფილხართ დაცემული ვის ულით და
ვის აღუდგენიხართ?!

— ონოფრე! ონოფრე!.. დაიძახა ხალხმა გრგვინვასა-

ვით; ერთ ტმად და მოუდიდები მიგადა მართვა და მართვა და მართვა

— გული ხარობს, რომ თქვენთვის მზრუნველი დაგხსო-
მებიათ!... მაგრამ იცით, რა შეემთხვა იმას?

— რაი შეემთხვა რაი? ჩაძ ავრა მერჩ არა არა

— ონოფრე გაგ შორდათ, გაგ შორდათ ასაუკუნოდ და და

ხალხი მოაკლდა მისს მზრუნველობას ასორნიდ ასაუკუნოდ მერჩ

— როგორ, რას უბნობ?... გაგვაგებინება, ღფთის მადლისა!

— ონოფრეს დაჭრალდა მაყვალას სიკვდილი და გაიგ-

გზაგნა ციმბირს.

იმ წუთას, მეხი რომ დასცემოდათ იქ მყოფთ იმ შთა-
ბეჭდილაბას ვერ მოახდენდა, რა შთაბეჭდილებაც უფროსის
დეკანოზის სიტყვებმა მოახდინა. ხალხი გაჩუმდა დაიგაწამ-
და; ბუზი რომ გაფრენილიყო, მისი ფრთვების მოძრაობის ხმასაც
კი გაიგონ ებდით.

— ხალხნი! გაისმა ისევ იმ დეკანოზის ხმა: — ონოფრეს დაღუპვაში თქვენც წილი გიდევსთ... თქვენ გაწვებათ კისერზედ ცოდვათ... ონოფრე მკვლელი ვერ შეიქმნებოდა, თავადაც იკით.

— ვერა, ვერა, ატრემც შეგვუწევა წვერის სპარს-ანგელოზი!... მაგრამ ჩვენ რაითა ფართ დამნაშავენი?

— ქალი მოჰკლეს და მკვლელებიან იპოვეთ.

— მართალია, მართალი, ღვთას მნიშვნელმა! ერბაშად აყაყანდა ხალხი, მაგრამ დროშის წკრიალმა ისევ გააჩუმა.

— მაშ ვეცადნეთ, ვეცადნეთ, ფამნაშავე ვიპოვოთ და მით ჩვენი ძმა, ჩვენი მამა, ჩვენი თავ-მოსაწონი მოძღვარი დავიხსნათ.

— ვიპოვოთ... დავიხსნათ! აიშალა ხალხი და კარგა ხანს მოუნდა დროშის ზარებს უღრიალი, სანამ სუ ევმშეიღობა ჩამოვარდებოდა.

— დავარისხოთ, ვინც ყველა ლონისძიებას არ იხმარს მკვლელის პოვნისათვოს.

— დავარისხოთ, და! აიშალი ახორციელობა დეკანოზი წამოდგა, დააუღრიალი დროშა და მაღალის, ძლიერის ხმით წამოიძახა:

— სმენა იყოს და გაგონება!... ღმერთო, წვერისა სპარს-ანგელოზო, დარყის წმიდაო გიორგივ, ივანე ნათლის-მცემელო, ზედა-ნიშის წმინდა გიორგივ, ლომისა მთავარ-მოწმე, ოქროს ბურთუსოვანო, ხარხის წმინდაო გიორგივ, ნიკ ნო წმინდავ, პირი-მზევ, ბეთლემის ღვთის-მშობელო, ნაღვარევის წმინდაო გივარგივ, ღუდის ყველა წმინდავ, წმინდაო სამებაო გთხოვ მე და შემოგბლავი პირით, რომ ვინც ჩვენს თემობაში არ ეცდება ჩვენის მოძღვრის, ჩვენთვის თავ-დადებულის გამოხსნას, შენიდრისხვა გააყოლე ყველგან და გამარჯვებულს ნუ ავლევა შეითხოვ ანაგ ძალაში ნა ამენ, შენს მაღლასა ჩრიტრიალ ხალხმა ისე, რომ ხმის მიმცემა მოებმაც კი ზანზარი დაწყეს.

— ვინც ეს ჩვენი ფიცი გასტეხოს, უფალო, მაღალო
ლშერთო!.. ოჯახობაში სიტკ ბოებისა და გემრიელობის მა-
გიერ, სიცოცხლემც გაუმწარდების!..

— ომენ, შენს მაღლსა!

— გულით საყორელისგამც შოტუებულ დარჩების და
ძალა კი ნუ ექმნების — გადაუხადოს.

— ომენ, თქვენს მაღლსა!

— მტერთან შებმულსამც ხმალი ტარშიმც გადაუტყდე-
ბის!

— ომენ, თქვენს მაღლსა!

— წყალში შესულს ავუანდამც გაუწყდების!

— ომენ, თქვენს მაღლსა!

— სამარის მაგიერ მგლის კერძამთაც გაჭხდების!

— ომენ, თქვენს მაღლსა!

— სამანი! დაიძახა დეკანზმა და დააულრიალა დროშა.

— სამანი, სამანი! დაიძახა ხალხმაც და მიეხვია საქმეს.

ყველანი მოჰყვნენ დროშების უღრიალს და, მანამ არ
შეუყენებიათ, სანამ ხალხმა სამანის საქმე არ გაითავა.

XXIII

როდესაც ისინი მორჩენ ამ სახალხო ჩვეულებას, დასა-
დვე, პირობა, რომ საქმეს მტკიცედ შესდგომოდნენ და ონო-
ფრესათვის უეჭველად ეშველათ. გუდამაყრის თემობასაც შე-
ატყობინეს თავიანთი განზრახვა და გარდაწყვატილება. მათ
უამათ ხევის გარდაწყვეტილება და საქმეში მონაწილეობის წა-
დილი მით უფრო სიხარულით გამოაცხადეს, რომ ქალის მო-
კვლა მათ თემობაში მოჰყდა და სირცხვილიც ყველაზედ მე-
ტად მათ მოეხვიათ თავზედ.

ამ მიზეზის გამო გადასწყვიტეს, რომ ბურსაჭირის ტა-
ფობაზედ, როგორც შეუ სამაზრო აღგილებზედ, გაემართათ
სამი თემობის ყრილობა: ხევისა, სნოსი და გუდამაყრისა.

ერთს დღეს ბურსაჭირის ლელისკენ ორივე მხრიდან ხალ-
ხი დაიძრა. დანიშნული იყო თემის ყრილობა და ხალხი შე-
დიოდა იმ გორაზედ, სადაც მომხდარ პვაზაკობის ნიშნად,
ონოფრეს გატიალებული ქოხი მოსჩანდა. აქ აღარავინ დადი-
ოდა, რადგანაც ხმა გავრცელდა, რომ გამოქვაბულს მავნე
სული დაეპატრონაო, ღამ-ღამობით ანთებენ ცეცხლსა და
ტაშ-ფანდურას ჰმართავენო. თუ კაცი ჩაიგდეს ხელში, აუ-
ცილებლად ფათერაკს წაჰკიდებენო და ეს ხმა კი ხალხის
რწმუნებამ შეითვისა და სრულს კემარიტებად მიიღო.

მალე გასცდენ ამ ადგილებს და გავიდნენ გულამაყრე-
ლები ბურსაჭირის ლელეში, სადაც მოხევეები უკვე მისუ-
ლიყვნენ.

ყველანი მოგროვდნენ, შეიყარნენ, აკლდა მხოლოდ ჯმუ-
ხები ჯალაბური, ყველაზედ ხნიერი მთელს სამს თემში და
ყველაზედ სახელ-განთქმული მოსამართლე.

— ასე რად დაიგვიანა ჯმუხამა? იკითხა ვილამაც.

— აბა რაი ვიცი, შენაი ჭირაიმე! მიუგო მეორემა: —
რქმნება უქეიფოდ არის.

— დაბერდა ბეჩავი, თორლავ, დაბერდა, დაზარმაცდა...
— ჰაი, ჰაი, რომ დაბერდა!.. ბატარაი ხნის კი აღარაა.

— მოდის, მოდის! ერთბაშად მოისმა და ვაკეზედ გამო-
ჩნდა გაბადრული, თეთრის წვერით მოსილი მოხუცი, რომელიც
წყნარად მოდიოდა და ჯოხზედ ებჯინებოდა. მისი ჭკვიანი
და აზროვნობით სავსე სახე გულ-კეთილობასაც გამოსთქვამ-
და, და, ეხლა მოკუული დიდრონი თვალები, უეპველია
ოდესმე, მოკუულე, სიცოცხლის ცეცხლით აღსავსე უნ-
და ყოფილიყო.

ხალხი მიეგება, როგორც უფროსს, ყველასაგან პატივ-
ცემულს და საყვარელს კაცს ჯმუხამ მაღლი გადუხადა და
წარმოსთქვა:

დავბერდი, დავჩაჩანაკდი,

წვერი შემექმნა ჭალარა;

შინ საქმეს უელარ ვაჭოთებ,
გარედ გარგივარ აღარა!

— რაისათვის, რაისათვის, ჯმუხავ? უთხრა, ერთმა მო-
ხუცებულმა: — შენი სიცოცხლე ჩვენთვის ღვთის წყალობაა.
შენგნითა ვართ გარიგ-დარიგებულნი... შენგოსწავლი ჭკუასა.

— ნუ, შენი კვნესა-მე, ჯმუხაისი, ნუ! გულს ნუ გაგ-
ვიტეხ! დაუმატა მეორე მოხუცმა და ლექსადვე უპასუხა.

— გაგვიძელ, ბერო მინდიავ! მუხლი მორბი მგლისაო;

— აუთქ ფატი ჩავიყოფილი უმცროსნი,

— აუთქ ფატი აქვს ცდისა. ცდისა. ცდისა.

— აბა, მაშ, მრმყევით, უპასუხა ჯმუხამ და დაუმატა:

დღეს ბევრი გვაქვს საცდელი, ბევრი, ღთის მაღლმა! და გათ-

წია ბინად ამორჩეულის ადგილისაკენ.

ხალხი დალაგდა, დაიწყო ლაპარაკი: იმ საშუალებებსათვის,
რომელიც უნდა მიეტოთ მკვლელის აღმოსახენად.

ყველა ცხარობდა, ამბობდა თავის აზრს და თავისი გა-
მორჩეულო საშუალება შოჰევანდა, მაგრამ, როგორც ამ გვარს
შემთხვევაში ყოველთვის არის ხოლმე, ურთი მეორეს არა ჭყა-
ბულდებოდა და საქმე გრძელდებოდა.

— მოიცავეთ-ლა! დაიწყო ჯმუხამ და ხალხი გაჩუმდა: —

„შინ დაბარებული გარედ არ გამოდგებისაო“, ნათქომია, და
მართალიცაა... აქ რაიც გინდა სთქვათ, საქმის დროს ისე
უნდა მოიქცეთ, როგორც უთითონ საქმე მოითხოვ... ჩვენის
დებულება უნდა დავდოთ, რომ ქალის თუ კაცი, დიდი თუ
ბატარაი... სულ, სულ, სულ რაიც ვართ სამს თემობაში;
უნდა გამოვიდეთ და, როგორც ჭკუა გაგვიჭრის, როგორც
ღმერთი ჩაგვაგონებს, ისე გამოვუდევთ მკვლელის კვალსა...
ეგრე არა, ნინიაუ, შენი კვნესა-მე? გადუბრუნა თავი მეზო-
ბელს, რომელმაც თავის ქნევით უპასუხა: ცალ და მუკაცი

— ეგრეა, ღთის მაღლმა!

— ეგრე არაა, ხალხნო და ჯამჭთნო? მოუბრუნდა ხა-
ლხსა.

— ეგრეა, ეგრე!.. აქ დარიფება თარიგამოდგებისა და და

— მაში რჩი-ლა?... შევუდგეთ საქმესა. აღეცო თატცე

— შევუდგეთ, შევუდგეთ, შენი კვნესა. მე! მაში ჩოლ

— ხალხნობ და ჯამასთნობა. გწადისთ დამნაშავის პოვნაში

— გვწადის, ღვთძეს მადლმა! ეგრე გვწადის, როგორც

მშერს გაძლომა, ბერს - სულის ცხონება! და და და

— აბა, მაგას დიდი ლაპარაკი არ უნდის! წადით, და

შალენით და მეტნას შეუდექით... გაწყდეს ის თემი, რამაც

ერთის კაცის პოვნა მოინდომოს და ვერ იპოვნოს... ხმა. ღვთი-

ზა და ხმა ერისა ყრთი პრისო, ღვთალაც ერთი აუნდა იქმ-
ნას... ბა, კოუქბო!.. ბა ტარი გაინძერით და მაქმე ამაღლე

გაკეთდების... ქვეყანას ქვეყნისა შეუძლიან!

— მოხუცი ჯერ ლაპრაკი არ გაეთავებინა, როდესაც

მოლაპარაკეთ შუა ვრღაცა კაცი შეჭიდა, მოიხდა ქუდი, ჭი

აგდო დედა-მიწაზედ და ცალს მუხლზედ დაიჩოქა.

ჯმუხას სიტყვა ნახევარზედ გაუწყდა; კუველანინგაჩუმ-
ლნენ და ახლად მოსულს გაოცებულნი შეჰყურებლნენ.

იმის დაგლეჯილი და ხის ქერქით მიკონკილ-მოკონკილი ტანისა-
მოსი ხორცს ძლივალა ჰქონდებოდნი აღგილადგილი, სადაც კა-

ნი გამოსჩენილა, იგისთან სიგამხდრე ეტყობოდა, ჩომი ჩტ-
ყოდით ძალები გადაეთვლებოდო.

გამხდარივე სახე გაჭყვით-
ლებოდა, პირის-კანუღას ჩვილებისად, დასთონთლებოდა, მოს-

დუნებოდა და, ძალას მოკლებული, როგორლაც უსიმოვნოდ

ჩიმოშვებოდა. პირის-სახე მკვდარსავით გაჰქითოდა და

სევდიან-შეშინებული თვალები გაუბედავად გამოიხდებოდა.

ქუდის ხმარებას, როგორც ეტყობოდა, დიდი ხანია გადას-
ჩვეოდა და ამისთვის გრძელი თმა და წვერი გაპეტრძნოდა,

შესთელოდა და საზარელს უსიმოვნო შეხედულობას უძლე-
ვდა. გულ-ხელ-ტარეფილი, ერთ მხარე ჩერიგდებული, ისე

დაჩიარულად, უიმედსწერ დო ბექავად გამოსურებოდა, რომ

მისი წახვით კაცი შესძრწუნდებოდა და და და

ვინ იყო, საიდან მოსულიყო, ან ამ კრებაში რად შე-

მოსულიყო, — არავინ იცოდა, ვერავინა სცნობდა.

მეტად დაცემული, დამცირებული და გასრესილი იყო, რომ მის მნახველს გულში სიბრალული არ გაჰლვიძებოდა. საცოდავი იდგა დაჩოქილზ, თითქოს შენდობას ითხოვსო.

— ბიჭიუ! ვინა ხარ? გაოცებიდან პირველი ჯმუხა გამოვიდა და კითხვა მოახერხა.

— ვინა ხარ? წყნარად, მაგრამ ასეთის ხმით წარმოს-თქვა უცნობმა, რომ მსმენელთ სხეულში ურუანტელმა დაურ-ბინა...!

ახლად მოსულს ეტყობოდა, რომ გულის ვარამს საკმა-ოდ დაეხაშმა, ძლივს-ლა ჰქშინავდა, ხდა უსწორ-მასწოროდ უკან კალებდა.

— მე ვარ ცოდვილი და ლირსი სასჯელისა... წარმოს-თქვა და ხმა ჩაუწყდა; რამდენჯერმე სცადა ამოხველებით ხმა ამოეწმინდა, მაგრამ ნახველის მაგივრად ნაკუთნაკუთი სის-ხლი ამოვარდა პირიდან.

ავალმყოფი მისწვდა მკერდსა, დაიკლაკნა ტკივილისაგან და სახე დაეპრან ჭა.

ხალხი იქამდის შაეპყრო განცვიფრებას და ავალმყოფის თანაგრძნობას, რომ ხმის ამოღება ვერავის გაებედნა. ლირსი ვარ სასჯელისა მეთქი და... იმიდ მოვედ, რომ დამსაჯოთ... რაისთვი გინდათ, ჩემი სახელი... სახელი დაკარგული მაქვს. ჩემი სახელი დიდი ხანია მოკვდა, დაიმარხა... სახელი რად გინდათ?.. ვინ ვიყავ, თქვენთვის რაი ხელ-საყარაზ... მე მოვკალ მაყვალავ, მე დავღუპე ონოფრე და ცხო რაი-ლა გინდათ?

ამ სიტყვებთან ერთად ბიჭი მთლად დაიგრიხა და ხალ-ხშიაცი ძრწოლის და გაშტერების გუგუნი გაისმა.

— რას გაჩუმდით? გაგიკვირდათ?.. ჰე, ჰე, ჰე! მწარედ ჩაიცინა, იმან: — მიუურეთ, მიუურეთ, პნახეთ, კაცა საღამდის შეუძლიან მივიღეს?! ღვთის მაღლას, ნუ გაჩუმებულხართ!... ერთბაშად მღელვარებამ ძალა მისცა და საჩქროდ დაიწყო: —

დამკალით, მომკალით, ღვთის მაღლმას ღირსი ვარ და ეგრე ჩუმად კი ნუ ხართ... იქმნება სიკვდილის ღირსიც აღარა ვარ?.. და იარაღს წავბილწავ, რომ მომკაროთ?... ქვა მაინც აღარ გეპოვებათ ქვა, ქვა?!.. გაბრაზებით დაიწყო ლრიალი. ლაპავში ცემა..

— ბიჭი! შესლეგ, რაი მოგვალია?

— გამიშვით, გამიშვით! გაცოფებული იძახდა საცოდა
ვი! — დღემდის ცხოს მოველოდდო და არის ქმნა. მოვა
კვდი, არვინ ჩამაძალლა... თქვენც ზღარა მკლავთ?.. მაში რაი
ვქნა, რაი?

— გვიამბე დაწვრილებით, როგორ იყო? კარგა ფიქრისა და მჭუნვარების შემდეგ იკითხა ჯმუხამ, რომელსაც ოფ-ლი გადმოსდიოდა შესაზღის სურათის ცქერისაგან.

— რაი-ღა გითხრა, ბექაო?! ხომ გითხარით, რომ მე ვკალ, ცხო რაი-ღა გინდათ? მე მოვკალ და სისხლი ფილეთ. სახლოვა ინთეო? ანისა დარიული არით და დანიშნული არია.

ନିର୍ମାଣ କରିବାକୁ ପାଇଁ ଏହାକୁ ଆଶୀର୍ବାଦ ଦିଲାଯାଇଛି।

— መნოფრეს... መნოფრეს የጊዜოች-ወაድሮ የሚሆን በግብር...
ለማትከስ ተመዝግበው ይህን... የሚኖሩ የሚጠና ክፍሞ ቤትዎን... የዚያ
የዋይለያቸውን የግብር የሚጠና የሚጠና የሚጠና የሚጠና

— ხალხო, სმენა იყოს და გაგონება! დაიქახა ჯმუხაშ
და სახე გაუბრწყინდა.

— იმან მაზიარა... აღსარება უოზარ... არა დაუუშალე... რა...
— იმან იცოდა, რომ შენ მოჰკალ, არ გამოგაცხადა...
შენ დაუფურს და თოთონ თავი მსხვერპლათ მრისცა?!.

— ഒരു റിപ്പോർട്ട്... ലൈംഗിക്കൽ റൂൾസ്, ലൈംഗിക്കൽ റൂൾസ്! ഗാ-
ന്ധി കാപിറ്റാനിലെ താഴവാദ മിത്സ്യം, അംഗശാരീരിക അനുഭാവിപ്പേണ്ടാണ്... ലൈ-
ംഗിക്കൽ റൂൾസ് രൂൾസ് ദാമ്പത്യാബ്ദി, വേരു മാത്രമേജുനിന്നും ദാഡി... ദാഡി അ-
ഡി സ്റ്റീഫ്‌വാ.

— დიდება შენს სახელს, უფალო! გადიწერა პირჯვარი
ჯმუხამ: — დიდება შენის სახელის მაღიდებელს, დიდება შე-
ნის სიტყვებით გაძლიერებულს!

ლოცვა — ხალხს უკვირდა ონოფრეს მოქმედება. და ღირს-მოსა-
გონებელს სიმტკიცეს, სასახელო ვაჟკაცობას. და სამაგალი-
თო მოქმედებას გულში იბეჭდავდა ისე ძლიერად, რომ მისი
აღმოფხვრა აფას შემთხვევას ჯერ კიდევ ვერ შესძლებია.

— ბიჭაუ, განშორდი ხალხსა! — ბრძანებით წარმოსონვა.
ჯმუხამ კარგა ფიქრისა და დუმილის შემდეგ.

რაისათვის? — ისეთის შეწყალების ხმით იკითხა უბედურმა,
რომ ყველას შებრალება აღუძრა გულში. ამას ესმოდა, რომ ხალხისთვის საზიზღარი შექმნილი-
ყო, მოჰშორდა იმ ხალხს და მეტის-მეტად ამკირებდა კრების
კქერა, მის შორის ყოფნა.

— თემმა შენს საქმეზედ უნდა მოილაპარაკოს.

— მე რაოდა მოსარიდებელი ვარ, თქვენაი ჭირაიმე! ვი-
ქნენ აქა, რას დაგიშლით, ვინ დამერიდების?

ხალხში გაიმართა ჩურჩულითდა ბეხავსიგამოუცხადეს,
რომ სანამ თემის თავნი მოლაპარაკებაში იქმნებიან, გარეშე
კაცი ვერ დაესწრებათ.

დამნაშვე განშორდა კრებაში ლაპარაკი გაიმართა
იმის შესახებ, თუ რა უყონ უბედურს მთიელს, რომელიც
თავად, ძალა-დაუტანებლად მოვიდა და ისე გულ-წრფელად აღი-
არა ყოველისფერი.

სჯა დიდს ხანს გრძელდებოდა, რადგანაც ერთის მხრით
საზარელ სურათად ეხატებოდათ დამნაშავის მოქმედება და მე-
ორეს მხრივ მისი ბეხავობა და დაცემა გულს ულბობდა, თავს
აბრალებდა პატივების სურვილი სიმკაცრეს ხელს უშლიდა.

მათ წინ იდგა დავრდომილი, რომელიც ოდესშე თემის თავ-
მოსაწონი, სასახელო იყო, რომელიც მოძმეთათვის თავ-გადა-
დებული მტერს ტყვიად მოჰხვდებოდა და, შეგ გავარდებო
და; ეხლა იყო გალახული, მოგლილი, დაოსებული, რომე-
ლსაც მზის სხივიც კი შეჰარებოდა.

მოლაპარაკება გათავდა და ჯმუხამ ისევ დაუძახა ონი-
სეს, რომელიც გულის ცახცახით მოვიდა და შეა აღგილა.

დაიჩრქა. შთლად. სმენად გარდაქცეულს ჯმუხასთვის თვალები ვერ შავქცია, თუმცა წარმოუთქმელის წადილით! უნდოდა იქ მყოფთა სახის მეტყველებაზედ შეეტყო, რაც გარდას-წყვიტეს მის შესახებ.

— ონისე!.. შენს მაგიერ ჩვენი მოწყალე და ჩვენი პატრონი დაიკარგა...!

— დამკალით და წამლად დამაღვთ, თუ ეშველების რამე! — საჩქაროდ წამოიძახა ონისემ.

— თემმა გარდასწვევიტა, არ რომ ნამდვილი დამნაშავე ეპოვნა. და დაგერ. აქა ვარ, თქვენი ჭირაიმე! ეს ზავად უფალმა მომიყვანა, ღთის მაღლმა!

— თემსა სურდა ნამდვილი დამნაშავე მიეცა მთავრობისათვის. და, უბრალოდ დასჯილი ჭირადაერჩინა.

— თემი ჭონიერია, აღიდოს უფალმა!

— მოიცა, ბიჭავ! გააწყვეტინა ჯმუხამ... ხალხმა გადაწყვეტილება შესცვალა... შენ არ გაგცემს... ხალხი, თემობა ითხოვს, რომ ონოფრე დაბრუნონ, ხალხს აჩუქონ, თემის თხოვნას, წინ ვერვინ გადუდგება...

— არა, თქვენაი ჭირაიმეთ!.. მე მიმეცით, მე გამგზავნეთ... თუნდა გზაჩი მოვკვდე, გამგზავნეთ.

— ეგრეც მკვდარი არა ხარ, ბეჩაო უპასუხა ჯმუხამ და დაუმატა; — თემს რომ გაძლიერებული ენახე, გაუტეხელი, თავ-მოუხრელი, — ჰაი ჰაი რომ გიჩვენებდა ძალასა: მოგგრეხდა და მოგტეხავდა... მაგრამ ეხლა ხელს არ გახლებს... არ გახლებს, მაგრამ თემობაჩიც ვერ მიგიღებს... წადი, იცხოვრე, იცხოვრე, სადაც გინდა, როგორც გინდა..., შენ ერთხელ მოწყდი თემობას და ვეღარ შეუდუღდება...

— ბეჩაუ! დაიკვნესა ონისემ: — ვითომ მიბრალებთ?... საით ვიცხოვრო, რაღამ მომასვენოს? ანოფრე ჩემს მაგიერიკა-რებოდეს და მე კი მზეს უცქეროდე? მოჰკვდეს ონისე, მოჰკვდეს, რომ მაგას უბედავენ.

— იყუჩე, ბალლო!.. თემი დალოცე, რომ სიცოცხლეს
გარჩენს. თემმა ისურვა შენი დარჩენა და უნდა დარჩე.. და
რჩეს თემო?

— დარჩეს, დარჩეს! გაისმა ძლიერი ხმა მთელის ხალ-
ხისა!..

ონისე გაურუოლდა და სიხარულის ცრემლები გადმო-
სცვივდა: მეტად ძვირფასი გასაგონი იყო, ყველას მოსხლე-
ტილის გულისაგან გაგონება, რომ მას კიდევ რადმე აფასე-
ბენ, კიდევ რამოდენადმე სიყვარულს უჩენდნენ. ის დაეცა
მუხლის თავებზედ, მთრთოლვარეს ხელებით ჯმუხას ჩოხის
კალთას დაეძებდა, რათა დაელორთხა და მატლობის გრძნო-
ბით დაელოშნა.

— არა, ხალხო, არა, ჯმუხავ! არა, აგრემც თქვენ ჭირს
დავლევ!... არა ვარ თქვენი წყალობის ლირსი... ეგ წყალო-
ბა დიდია, მაგრამ ძნელი, მეტად ძნელი... არა ვარ ლირსი,
არც იმ პურისა, რომელსაც მომაწვდენთ... ვინც ლუკმას მო-
მაწოდებს, ის ლუკმა ალალი იქმნების და მე კი არამი!...
ყელ ვეღარ ჩაუშვებს... ჯმუხაისი, შენაი კვნესამე!... ხალ-
ხო, თემო!.. აგრემც თქვენ ჭირს დავლევ... არ მინდა, მა-
გად არ მოვსულვარ.

— მაშ, რისთვის მოხველ? რა გინდა?

იმად, რომ დამნაშავე ვარ... კაცი დაიკარგა ჩემის მი-
ზეზით და მიშველეთ — დავისხნა... მიშველეთ, თემი, ხართ
დიდი შეგიძლიანთ. დავისხნათ და თუნდა ჩამქოლეთ.

ხალხი გაჩუმდა გან იგრძნო სრული სამართლიანობა
ონისეს თხოვნისა; იგრძნო მისი მდგომარეობა, სვინიდისის
გალვიძება და სატანჯველი; მიხვდა და სიტყვა გაუწყდა.

— მე მიყვარდა მაყვალაი, — დაიწყო ისევ ონისემ სუ-
ლის კვეთებით, — მიყვარდა, ვფიქრობდი, იმედი მქონდა ბე-
დნიერება მეწვევა-მეთქი, მაგრამ მოვტყუვდი... გული გაგიუ-
და, გაბრაზდა, სისხლი ამერია... მაყვალაი ცხოსთვის ვერ
დავსთმე და მოვკალ!... მეგონა: მოვკლავ და მოვისვენებ

მაინც-მეთქი, მაგრამ უფალი დიდი ყოფილა!... დღენი მო-
მეწამლა, სიცოცხლე გამიშავდა და გულს მეტი შხამი ჩა-
სხა... დავდიოდი, ვჭამდი, ვსვამდი, მეძინა, თუ მეღვიძა, —
ვერ გამეგო... ყველა შავად, ნაღვლიანად და მწარედ მეჩვენე-
ბოდის... წყალი, წყალ ტიალას რაღამ შეუცვალა გემო?...
მზისთვის ვერ შემიცქერია, მთვარესთვის ვერ მიმიხედნია,
მრცხვენის... მრცხვენოდის... ჩემი ჩრდილის დანახვაც-კი მარ-
ცხვენდის... ონოფრე შემხვდა... მაზიარა... ყველა გავაგე-
ბინე, ყველა ვუთხარ ალსარებაში... იცოდა ჩემი თავ-გადა-
სავალი... გითხარით და ვამბობ... ვამბობ თავ-მთელი და თავ-
გატეხილი, ონოფრე არაა დამნაშავე, ონოფრე ცამდის მარ-
თალია. მე ვარ მარტო, მე ვარ დამნაშავე, და იმას უშველეთ!..
უშველეთ-მეთქი, და აპა ჩემი გული!.

ონისე ისევ მუხლებზედ დაეცა და ხელების მოკვრით
მკერდი გადაიღელა; ტუჩები ჯერ კიდევ რაღაცას მოძრაობ-
დნენ, სახე შეშლილი, გამწარებული ჯერ კიდევ რაღაცას
ლულლულებდა; ხალხსაც გაეკმინდა ხმა, გაჩუმებულიყო; ნა-
ხულის და გაგონილის წინაშე თავი მოეხარა...

ერთბაშად კრება შეინძრა, ერთ მხარეს მდგარი ხალხი ორად
გაიპო და ვიღაცა კაცი ჩასისხლიანებულის თვალებით ვე-
ფხვსავით გადმოხტა... მივიდა პირ-და-პირ ონისესთან, დას-
ტაცა მხარში ხელი და წამოაყენა.

— ბიჭაუ! შემომხედე... დასჭყივლა იმან: — შენ წამარ-
თვი შშვიდობა... სახლი გამიწბილე, დამჭერი... მაყვა-
ლაი გიყვარდა!... ლვთის მადლმა, რომ მეც მიყვარდა, შე-
ნზედ მეტად მიყვარდა... შენ მოჰკალ მაყვალაი, მაყვალაი
ჩემი იყო და... თემს რასა სთხოვ? შენ მოჰკალ ჩემი, და სია-
სხლსაც მე ავიღებ!

ონისემ შეჭხედა და გაიღიმა.

— მომკალ, მომკალ! დასძახა იმან გახარებულმა და მკერ-
დი უფრო მეტად გადაიწია.

ხალხი გაშტერებული იდგა და ვერ გამოერკვია, რა

ჰედებოდა. ყველანი გაჩუმებულიყვნენ, გაჩუმებულიყვნენ ისე, როგორც ქარიშხალს წინად ჰაერი, რომელიც გრგვინვად გადაჭრევას აპირებს.

— მოგკლავ, მოგკლავ, ლთის მაღლმა! ერთბაშად მოისმა და ხანჯალმა ჰაერში იელა, გათრთოლდა და გაიკრიალა,

ხალხი შეირყა, გაქანდა იმ მხრისაკენ, მოეხვია მოჩხუბართ და შეჯგუფდა, ბურთად შეიკრა. რამდენსამე წუთს ასე გაუშლელად ლელავდა და გამოურკვეველს მოძრაობაში ტალღასავით მიქან-მოქანავდა; გაიშალა, გაიფანტა და ხმა-მაღლად ყვირილი დაიწყო:

— სიკვდილი მოლალატეს, სიკვდილი!..

იმ ადგილზედ, საღაც პირველად შეჯგუფებულიყვნენ, დარჩენილიყო რამდენიმე კაცი, რომელთაც გაბრაზებული, ფერმიხდილი და სახე არეული გელა ეჭირათ; და იქავ, იმათ ფეხებთან ეგდო ონისე. გელას ხანჯალს მკერდი გაეპო. მისათვის. სულთ-მობრძავი უწყალოდ იგრიხებოდა და აქეთ-იქით აწყდებოდა, ცდილობდა წამომდგარიყო, მაგრამ ძალა თან-დათან აკლდებოდა და მისი მეცადინეობა ამაოდ რჩებოდა. ბოლოს შეჰქრთა, ორივე ხელები გაპობილ მკერდთან მიიტანა და ფერ-დაკარგულმა მთრთოლვარე ტუჩებმა ჩუმად, ნი-ავსავით წყნარის თრთოლვით, მკაფიოდ წარმოსთქვა:

— უფალმა შეგივალოს, გელაუ!

კიდევ ერთი შეჰქრთა, გაიზმორა, დაიკვნესა და საუკუნოდ გაუნძრეველი დარჩა...

მეტად ძნელი და შესაძრწუნებელი სურათი იყო, რომ მისი მნახველი ხალხი გულ-გრილად დარჩენილიყო; ძალ-ღონეს მოკლებული, უიარაღო კაცი, თემს შემოხვეწებული, თემს, ყრილობის დროს, თვალწინ მოუკლეს! გელას გაბედულობა მეტად საზიზლარი იყო, საკმაოდ დასამცირებელი კრების თავ-მოყვარეობისათვის, რომ უიარაღო კაცის მკვლელისთვის გულგრილად შეედათ.

— მოვჰელათ, დავახრჩოთ, ჩავჰელით! იძახდა ხალხი
და მისი ხმა ჰაერში ცის გრგვინვად გაისმოდა.

ყველა მზად იყო მონაწილეობა მიეღო ამ კაცის წვალე-
ბაში და ყველა სცდილობდა, რომ უმეტესი სატანჯველი მოე-
გონა მისთვის.

ერთად-ერთი ჯმუხა იყო თავ-ჩაკიდებული, მწარედ ჩა-
ფიქრებული და ხმა-ამოულებლად მწარე ფიქრს ეძლეოდა.

ერთბაშად აიღო მან თავი და მჭმუნვარებით მოცული
სახე გამოუჩნდა. აშკარად ეტყობოდა, რომ მის გულს სევდა
ლოდად დასწოლოდა, ძალას ატანდა და თავი სიმძიმის ქვეშ
უწყალოდ სრესავდა.

— თემო! დაიძახა ერთბაშად და მისმა ხმამ თრთოლვით
გარჩბინა ჰაერში.

ყველა სწრაფად გაჩუმდა, გაქვავდა და სმენად გარდაი-
ქცა.

— საძირკველი შეირყა და ცა ჩამონგრევას აპირებს...
ხალხი წახდა და თემის პირი ირღვევის... ნახულით თოლთ
მიბნელდების, გაგონილით სმენა მეკარების!.. რაი ვთქვა?..
რაი გითხრათ?.. ცრემლებ-მორეულმა წამოიძახა ჯმუხამ და ქუდი
მოიხადა. მჭმუნვარებით სავსე პირი-სახე მოხუცისა მთლადა
თრთოდა, შუბლი დაპნაოჭებოდა და ცეცხლ-მოდებულის
გულითგან ამოხეთქილი ქშენა სულს ძლივს-და აქცევინებდა.

— რაი ვთქვა?.. რაი გითხრათ-მეთქი? განიმეორა იმან
და ორი მდუღარე ცრემლი მარგალიტსავით გადმოეკიდა ქუ-
თუთოებზედ: — ვხედავ — ვილევით!... ჩვენობა ალარაა... ვიტი-
რო, თავს ვიცა... შეუნდო შემცოდეთა, თუ შევაკვდე?!.. თქვენ
თავად ჰნახეთ, რაიც ჩაიდინა გელამა... მაგის სიკვდილი რაი
გახდა?... ერთაის მოკვლა თემისთვის არც მაღლია და არც
სახელი .. კაცის კვლა არც უფალს ეამების...

— არ იქმნების, არა! ერთ-ხმად, თითქოს ერთის კაცი-
საგან, გაისმა თემის ძახილი: — გელა მოკვდების!

— სუთ-და, გაჩუმდით! შეჰყვირა ჯმუხამ და ისევ სი-

ჩუმე ჩამოვარდა: — გული მეუბნების, ნუ მოვკლავთ, ნუ მოვკლავთ-მეთქი, მაგრამ გუნება ცხოსაც მეუბნების...

— სიკვდილი გელას, სიკვდილი!

— იქმნება სჯობდეს, არ ვიცი!.. იქმნება ცოდო-ბრალი, რაიც ჩვენში ტრიალებს, მსხვერპლს ითხოვდეს... მეალარ ვიცი, ხალხო, და რაი ვქმნათ?..

გელამ შეგვარცხვინა, გელამ გაგვაწმილა, გელას სიკვდილისაგან ვერც ვინ ვერ იხსნის!... აყაყანდა ისევ ხალხი.

— ჩაგონდით, ხალხო!.. ცოდო-ბრალს კიდევ ცოდო არ მიუმატოთ... ლმერთმა ხელი აიღო ჩვენგანა და მეტაუნულარ შევრისხავთ!.

— სიკვდილი, სიკვდილი!..

— კარგი... წარმოსთქვა ჯმუხამ, მოიწმინდა თვალები და დაუმატა: — გელა რომ ჩემი ღვიძლი შვილი ყოფილია ყო, ღვთის მაღლმა, მე თავად ჩემის ხელით გავუპობდი მკერდსა, ამოვულებდი გულს და უკანასკნელს წვეთამდის გამოვსწურავდი იმ სისხლს, რომელსაც ჩვენობა ალარ ეტყობა... გელა უცხოა. მარტო თავს ვერ ვენდე და გულს ვერ დავუჯერე... თქმულია: „ხმა ლმრთისა და ხმა ერისაო“... იმად დაგეკითხეთ. თქვენ გინდათ გელა მოკვდეს და მეც თქვენთანა ვარ... უთქვენოდ სულსაც ცხონება არ უნდის... გელამ გვიღალატა, გელამ თემის პირი გასტეხა, გელამ ხალხი შეარცხვინა, — მაშ მოკვდეს გელა!

— მოკვდეს, მოკვდეს! აჩქარდა ხალხი.

— და მოკვდეს ისე, რომ მაგის სიკვდილი დამრჩოთ ხახსოვრად დარჩეს.

— ჩავქოლოთ, ჩავქოლოთ! იგრიალა ხალხმა და ხელში ქვა-აღებული მიეხვია გელას. ავარდა მტვერი ხალხის მოძრაობისაგან და ყოველისფერი დაჭთარა. მოისმოდა რაღაცა დაყრუებული გრგვინვა, გრიალი და ქვების ჩახი-ჩუხი, ბოლოს ყოველისფერი შესწყდა, გაყუჩდა და გაჩქურდა. ხალხი გამოვიდა ავარდნილის კორიანტლიდან, რომელიც ჯერ ისევ ჰაერში

ტრიალებდა და იმ ცოდვის ადგილისაკენ აღარ მიუხედნას. ისე გასწია შინისკენ დარწმუნებულმა, რომ თავისი ვალი აღასრულა.

დაცარიელდა კრების ადგილი. ყველა დაწყნარდა და დამშვიდდა. მხოლოდ ივარდნილი მტვერი ჯერ კიდევ ირეოდა. ერთბაშად დაპბერა ქარმა და ისიც გაანქრია... იმის მაგიერ იქ გამოჩნდა ერთს ადგილს მოგროვებული ღორღი, რომელშიაც ხალხისაგან ჩაქოლვილი გელა იყო ჩამარხული. ეს გახლდათ საქოლავი თემის მოღალატისა და ხალხისთვის მოსაგონებელი თავიანთის წარსულისა.

განვლო რამდენმამე წელიწადმა და აღწერილის თემობის მოძღვრის ონოფრეს განთავისუფლების შესახებ შემდეგი ცნობა მოუვიდათ:

„ონოფრეს ეპატია დანაშაული, მაგრამ ამ გარდაწყვეტილებამ მოხუცს ვეღარ მიუსწრო: ქაღალდის მიღებამდის იგი უკვე გარდაცვლილიყო“.

ალ. ყაზბეგი

ი ღ ი ლ ი მ ბ ი

ყამთარი

(ყმაწვილის მოგონება)

საშობაოდ დაგვითხოვენ, დავისვენოთ ცოტა ჩვენა..
გასწი, ბიჭო, სოფლისაკენ, გასწი, ბიჭო, შინათკენა!..
იქ, ახალს წელს, დედ-მამასთან, შევეგებოთ სიხარულით,
და ნაშობევს ახალ სწავლას შევუდგებით უფრო გულით..

ამ ტკბილ ფიქრში გავიხედე ფანჯრიდამა, მეცა ელდა:
დღე იყო და მზე არა ჩნდა: ჩამობნელდა, ჩამობნელდა!
ცა, ხმელეთი, დაგვიღონდა, ლეგა ღრუბლით დაბურულა,
არცა სწვამს და არც ქარი ჰქრის, დილა ბინდად შიწურულა;

აგერ-აგერ თეთრი ფერფლიც, ნაზად, წყნარად, ცვივა, ცვივა,
ჰაერში კი სითბო არი, არა ცივა, არა ცივა!

თოვლი მოდის... აგერ თოვლი ამიჭრელდა, ამებლარდნა,
მოუხშირა, მოუხშირა, წამობარდნა, წამობარდნა...

ვხედავ, ვხედავ, დაგვიზამთრდა, მომაგონდა მე ზამთარი.

მომაგონდა პაწიობა, მომაგონდა მე სახლკარი;
მახსოვს, როცა ბალლი ვიყავ, მიხაროდა თოვლის მოსვლა,
თოვლის გუნდის გაკეთება, სროლა, თოვლში გორვა, მოსვრა.
შვილდისარით შაშვსა ვსდევდით, ჩიტს უდგამდით კაკანათსა,
ლასტს ვუგებდით ბელურაებს, ვერ მხედავდნენ მუხანათსა,
შევებმოდი მე ციგაში და ზედ მიჯდა გოგიელა;
გადაბრუნდის ჩვენი ციგა,—კოტრიელა, კოტრიელა!..
ბიჭები თავს შევიყრიდით, ვხტოდით, ვჭიდაობდით ყველა,
ხან ერთი ძირს; ხან მეორე,—ჰიჭო, ბიჭო, კოტრიელა!..
დაღალულნი, გათოშვილნი, მოვდიოდით ლამე შინა,
მაგრამ ყინვამ და სიცივემ ვერც ერთი ვერ შეგვაშინა...
მეორე დღეს ყინულზედა ვცურაობდით ნელა-ნელა!..
უკან კოპი, შუბლზედ კოპი, კოტრიელა, კოტრიელა!..

რ. ერისთავი

ა ღ ღ ღ ღ ა ს

შუალამე გადავიდა, ასტყდა, ასტყდა, ზარის რეკა;
დიდი ზარიც ბოხს ხმას აძლევს, ზარბაზანმაც დაიჭექა!..
ადეგ, გიგო, ადე, ადე! ხალხი მიდის საყდრისკენა,
ადე ჩქარა, ტანთ ჩავიცოთ, დავგვიანდით მარტო ჩვენა..

ყველა ახლით მოკაზმულა, ხელთ უჭირავთ კელაპტრები;
ადე, ბიჭო, ტანთ ჩაიცვი, მაგ საბანში რალას ძვრები?!
აგერ ზარებს მოუხშირეს, ხალხი იყრის მეტანიას,
საყდრები სულ ლაპლაპებენ, გარს უვლიან ლიტანიას!..

მოვიკაზმეთ და გავსწიეთ, ეკლესია მხიარულობს,
ყველას ტუჩზედ ღიმი უქრის, მღვდელი გალობს და ლოცუ-
ლობს!..
აგერ მღვდელმა შეიძახა: „ჭრისტე აღსდგა!..“ და ჩვენც ცქიტად
ვუპასუხეთ სუყველამა: „ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად!..“

ქრისტე აღსდგა! — მიყვარს ეს დღე — მიყვარს, მიყვარს, მი-
ყვარს დიდად; მოდი, გიგო, გადაგკოცნი! „ქრისტე აღსდგა!“ — „ჰეშმარიტად!.. მოდი, კვერცხი კვერცხსა დავკრათ, მაგრა იყავ და კირკიტად.. „ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!“ — „ჰეშმარიტად! ჰეშმა-
რიტად!..“

რ. ერისთავი

ბ ზ ა ბ ა

ბზობა არის, ბზობა არის! წამო, ვანო, საყდარშია, იქ ლაპლაპებს კელაპტრები, ნათელა და კაშკაშია... იქ მოგვცემენ ბზის ტოტებსა, დავითვალოთ ზინზილები, თუ შეგვხვდება ბლომად, მაშინ მოგვივა ჭინახულები!.. ბზა გავირჭოთ ქუდებშია, აღარ დაგვძლევს წლეულს ყვავი, არ დაგვცარავს სწავლაშია, ჯეჯილს მიაფაროს თავი. წამო, ბიჭო, საყდარშია, კვირაა და ბზობა არი, კარგი დღეა, ქრისტეს დღეა, ყველასათვის გასახარი!!.. ოსტატმა სოქვა: „დღეს ბზობაა და საყდარში გვმართებს კრძალვა!!...“

აი, ვანო, რა მიამბო, მე ისტატმა რა მასწავლა: ქრისტე ღმერთი ქადაგებდა და ჰკურნებდა სნეულებსა, აღადგენდა მიცვალებულს, ხსნიდა ეშმაკეულებსა; იწყალებდა გლახაკებსა, არ იმხელდა თავის თავსა, სიკეთის გზას ასწავიდა და სდევნიდა ყველა ავსა... ერთს დღეს შეჯდა კიცვასა ზედა, თან იახლენ შაგირდები... გაემგზავრნენ, მას მისდევენ მოწაფენი ქვეითები... შებრძანდა იერუსალიმს, შეიძრა ხალხი ერთიან, მოაქვთ და მოპყავთ საპყარნი, მიწაზე პირქვე ერთხმიან, უფენენ დანაკის-კუდსა, მწვანე შტოებსა მრავალსა, სამოსელს, ტანით განაძრობს, უფენენ იმის სავალსა; ხმა ისმის ხალხის ზრიალის, ვეღრება, ღაღადებანი, დიდება მოძღვრის, ღვთის ძისა, კურთხევანი და ქებანი:

„ოსანა მაღალთა შინა“! და ამ გვარივე ხმა ყრმათა:

„კურთხეულ არს მომავალი, სახელითა უფლისათა!“

შებრძანდა მოძღვარ დიდებით, სდევნა ვაჭარნი ტაძრიდან,

მტრედთა მყიდველნი, ზარაფნი, მოსულნი აქვე ბაზრიდან.

ეს ყოფილა ქრისტეს დროსა და დღეს ნიშნად ბზობა არი;

ყველა მიღის საყდრისკენა, ღია არის საყდრის კარი...

წამო, ბიჭო, საყდარშია, კვირაა და ბზობა არი,

კარგი დღეა, ქრისტეს დღეა, ყველასათვის გასახარი!

იქ მოგვცემენ ბზის ტოტებსა, შიგ გავირჭოთ ქუდებშია,

ეშმაკი ვეღარას გვაწყენს, შეძვრეს თავის ბუდეშია!...

რ. ერისთავი

თოვლი ატირდა ლანქერად, აღიდდა ჩვენი წყლებია,

ბალლებს უხარის, დარბიან, პაპას გაუთბა ძვლებია;

მიმჯდარა ბერი მყუდროზე, ყავარჯენს ბისჩერებია...

ქვეყანამ გამოიღვიძა, სიცოცხლე მოსწყურებია!..

წეროებს ვხედავ ცაშია, დამწკრივდნენ როგორც ისარი,

წინა უკანას ხმას აძლევს, უყვირის როგორც ციცარი,

არც სცილდებიან ერთმანეთს, ვით ძმა ძმას შენაფიცარი,

შიფრინვენ ჩრდილოეთისკენ, იმათი წესი ის არი...

აგერ მერცხალმაც ჰაერში რა ცელქად შეინავარდა,

ბუზს იჭერს კამარაშია, ელვაებრ ფრთები ამარდა,

აგერ წყლის სარკეს გაეკრა, მაგრამ შიგ კი არ ჩავარდა,

იამაც სუნი მოგვთინა, რა ზამთარს სული გავარდა.

სუყველა ხარობს და გალობს, სირი იმზადებს ბუდესა,

სახის-საკვეთსა სწვერავენ, ბოსტანს უვლებენ ზღუდესა,

ბუნებაც ჰყვავის მრავალ-ფრად, დევ ცივს ზამთარს ჰშურდესა.

ამ გვარი ძალა, სიცოცხლე, ვინ არის, რომ არ სწყურდესა?!

რ. ერისთავი

გაზაფხული გაგვითრინდა, გაითოხნა სიმინდები,

თივა დადგეს, ანეულსა დასდგომია ამინდები.

აგერ, აგერ ყანებშია „ჰოოპუმას“ იძახიან,

ჩამოგვიცხა, ჩამოგვიცხა, ქერს მორჩნენ და პურსა მკიან...

მტრედი, გვრიტი და ქედანი იქ ირევა ნამჯაშია;
მაგრამ მომკლებს ვინ აჯობებს მღერასა და გარჯაშია!
შახე იმ ერთს, გულ-გალელილს, თავზე ქუდი არა ჰელრავს,
ხელსახოცი შუბლს წაუკრავს, დასძახის და ოფლში ცურავს!..

შახე ერთი მეთაურსა, შახე იმის ნამგლის ტრიალს!
ყური უგდე მუშის გუგუნს, ყური უგდე იმათ გრიალს!..
აბა შახე რა ერთგულად ყველა ყანას ეტანება...

მღერიან და კიუინობენ, „ჰოოპუმას“ იძახიან,
ჩამოგვიცხა, ჩამოგვიცხა, ქერს მორჩნენ და პურსა მკიან...
ყველა ცდილობს მეტი მომკოს, ეჯიბრება აქ ძმა ძმასა,
იძახიან: „ულო, ულო!“ მეძნეული უკრავს ძნასა.

მღერიან და კიუინობენ, „ჰოოპუმას“ იძახიან,
ჩამოგვიცხა, ჩამოგვიცხა, ქერს მორჩნენ და პურსა მკიან.

რიგი მიაქვთ საძნე ურმით, რიგსა ჰლეწენ სოფელშია,
წვრილ-ფეხობა კევრზედ უდგა, ხარი ხვნეშის ულელშია...
ქალი, კაცი, გოგო, ბიჭი, ეზიდება ზამთრის სარჩოს..
— ვაშა, ვაშა, მუშა ხალხსა! ღმერთმა იმათ გაუმარჯოს!

რ. ერისთავი

რთველი რთველი

ყურძენი დამწიფებულა დახე, როგორ წითლად ღუის,
ჩქარა, ჩქარა, რთველი, თორემ კოლო, ბუზი, თავს დაპბზუის.
შეიკრიბნენ მკრეფავები, ამოუდგნენ თითო ვაზსა,
ყურძენს სვლეპენ, იცინიან და მოაბეს მხარი მხარსა;
მტევნებს ჰკრეფენ, ჰგლეჯენ, სჭრიან, გაჰკრეს, გაჰკრეს ვე-
ნახს ხელი,

კალათები იზვირთება — და შეიქნა ხშირი რთველი!..
საურმეზე გოდრები დგას, კალათს სცლიან ზედი-ზედა...
აბა, ბიჭო, მარნისაკენ, თორემ ძლიერ გაიჭედა!..
იკიდებენ მძიმე გოდრებს სიცილით და ღილინითა,
ურმით მიაქვთ საწნახლისკენ ნება-ნება, ჭრიჭინითა!...

აბა, გიგო, კრჩხა თუ გინდა, ან ჯაგანი, ან აკიდო,
შენი წილი ზამთრისათვის მოდი ზურგზედ წამოგკიდო...
ჩვეულება ესრეთი გვაქვს, ხილს ვინახავთ საზამთროსა,
ყურძენი სჯობს შესანახად ნესვებსა და საზამთროსა...

მზე ჩავიდა, საწნახლიდან მოწანწკარებს ტკბილის წყარო.
აბა, ბიჭო, შეადექით; ახლა წურვას მოვუჩქაროთ!..
ბიჭებმა ფეხთ დაიბანეს, შემოადგნენ საწნახელსა,
გადიან და გამოდიან, უმადლიან ყურძნის რთველსა.

აგერ ტკბილმაც მოიმატა, ძლივსლა იტევს მოკლე ღარი,
ჩქაფა-ჩქუფით მოჩქრიალებს, ქვევრი დახვდა უმაძღარი!..
დაილოცა ღვთის ნაკურთხი, ჩვენის ოფლით მონაგარი,
მაშ პირველა ღვთისთვის იყოს — ზედაშე და კელაპტარი!..

რ. ერისთავი

შ ვ ი დ ნ ი გ ა რ თ

წინ შემეჩეხა გოგონა, ტურფა, თმა-ხუჭუჭიანი,
რვა წლის თუ იყო ბაღანა, სახე მეტყველი, ჰკვიანი,
რომ დამინახა, შეჩერდა, ღიმი უქროდა პირზედა;
სულაც არ შეკრთა, იცდიდა, იქვე გზის განაპირზედა.
მაშინ სოფლური ჩითკაბა შვენოდა, როგორც ველია,
წინ წავდეგ მისაფერებლად, თმაზედ გადვუსვი ხელია,
მერე წყნარის ხმით და ტკბილად შევკითხე ალერსიანად:

— „ნეტა და-ძმანი თუ გყვანან? — სულ რამდენი ხართ ძმიანად?

— „შვიდნი ვართ! — მითხრა — ბატონო: ორი გემზეა ზღვაშია,
ორნი სოფლებში წავიდნენ, სამუშაოზედ მკაშია,
ორნი და-ძმანი დავმარხეთ — იავადმყოფეს მწარედა,
ერთაც მე, დედასთანა ვარ... ღიალ, შვიდნი ვართ სწორედა“...

— „რას ამბობ, გოგო? თუ ორნი თქვენ მიწას მიაბარეთა,
ხუთნი ყოფილხართ მაშ ეხლა, ყველანი შინ და გარეთა?“...

— „არა, დედას მზემ, ბატონო!.. შვიდნი ვართ სწორედ და-
ორი აქ ასაფლავია — ერთი მე, ოთხნიც ხომ სხვანი?“... [ძმანი:

— „კიდევ!... ვერ მივხვდი, მგონია?.. აბა რას ამბობ, დაიავ?..
ხუთნი ყოფილხართ, თუ მართლა ორი აქ ასაფლავია.“

— „შვიდნი ვართ, ძიავ, დედას მზემ!.. ვერ მიგახვედრე?.. რა მომ-
სულ ათი ბიჯი არ არის ჩვენიდგან სასაფლაომდის... [დის?!]..
მე იქ ზაფხულში წინდას ვქსოვ, ვზივარ და ვუმდერ და-ძმასა;
მთვარე გვინათებს ლამაზად, სხვა ძმები ზიღვენ შინ ძნასა...
ზოგჯერ ყველს და პურს მოფიტან, იქვე ვჭამ ტკბილად ვახშამსა,
ხან იქვე წამოუწვები და მივიძინებ ერთს წამსა...

ჩემი დაია კეკელა, ავად რომ გახდა, იწვალა,
მოგვშორდა, მორჩა ტანჯვასა, იმას უშველა ფუფალამ...
დავასაფლავეთ... როცა რომ ამწვანდა ბალი და ველი,
თან წავიყვანე ტიტიკო და კეკელასთან მიველი...

იქ ვითამაშეთ, ვიცელქეთ, იები ვკრიფეთ მთელ დღესა...
დაზამთრდა, ტიტოც მოგვიკვდა, გვერთ მოვუწვინეთ კეკესა!“..

— „მაშ რამდენი ხართ, პაწივ?.. ორნი თუ ზეცას არიან?..
ხუთნი იქნებით თქვენ ეხლა, რომ ჩაუფიქრდე გვარიან“....

— „არა, ბიძიავ, შვიდნი ვართ.... არ მოკვდეს ჩემი თავია!“..

— „ხუთნი იქნებით, გოგონავ, ორნი თუ ასაფლავიან!“...

— „რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე? — იძახდა: — თუ მწამს ღმერ-
თია!...“

შვიდნი ვართ, შვიდნი, დედას მზემ, ყველა და-ძმანი ერთიან!..

რ. ერისთავი

იგაზ-არაპნი ს. ს. ორბელიანისა

ზარმაცი მცურავი

მცურავი ერთი მოპქონდა წყალსა. სთქვა: „ღმერთო,
მიშველეო!“ მეორე ამხანაგმა უთხრა: „ხელი გაიქნივე, გა-
ხვალ და ნაშველი იქმნებიო!“..

ერთგული ამხანაგი

ორნი ამხანაგნი ნაღირობდენ. ხევი იყო და ხევს გაღმა-
გამოლმა რონინებდენ. ერთ ამხანაგს დათვი შემოეჭიდა და

ქვეშ ჩაიდვა. მეორე ამხანაგმა უყვირა: „გაუშვი ეგ დათვი და წამოდი, სხვა საქმე გვიძსო!“ მან დაუძახა: „დათვი არ მიშვებს, თვარა მე წელანვე გაუშვებდიო!“

ქორი და იხვი

ერთმან ქორმან ერთი იხვი შეიპყრა და ჭამა ენება. იხვი ეგრევ უვნებელი, ცოცხალი ეპყრა. ზეიდან მონადირისაგან შეშინებულმა ერთმან კაკაბმან ჩამოუარა. ქორი წაეტანა, ამა-საც დავიჭერო. იგი იხვიც ჭანგიდამ დაეხწია, წაუვიდა და ველარც კაკაბს მოეწია. ორივ დაეკარგა.

წეალი და ცხრილი

კაცი ერთი მდინარის კიდეს იჯდა და ცხრილი ხელთა ეჭირა. ჩაყვის ცხრილი წყალთა და, რა აივსის, სთქვის: „ვი-საც ღმერთი მისცემს, ესრე მისცემსო!“ ამოილის ცხრილი და, რა წყალი გაედინის, სთქვის: „ვისაც წართმევს, ესრედ წართმევსო. ღმერთმან, ბედი კარზედ გვისვიანაო!“

მოხერხებული ჭირი

ერთი მგელი მოუხდა ვირსა, შეჭმას ჰლამოდა. ვირმა უთხრა: „ვიცი, შემჭამ და ეს ანდერძი აღმისრულე: ქაჩაჩში ლურსმნის ნატეხი დამრჩა და იგი აღმომილეო!“ მგელმა ჰი-რი მიჰყო, უნდა აღმოულოს. ვირმა წიხლი ჰკრა, კბილები ჩა-მტვრია, ვირი ველარ შეჭმა. მგელმა სთქვა: „მამა ჩემი ხარა-ზი იყო, მე ნალბანდობას რა მრჯიდაო?“

ობოლი და მისი დედა

იყო ერთი ობოლი მარტვილი. რა მოიზარდა, დედას ჰკი-თხა: „დედავ, ყოველს კაცს მამა უვის, მე რად არა მყავს?“ დედამ უთხრა: „შვილო, შენც გყავდა, მაგრამ წყალმა დაა-

რჩო. „შვილმა უთხრა: „მას წყალზე ხიდი არ იდვა, მას ზედ გამოსულიყო?“ დედამ უთხრა: „იდვა, მაგრამ შორს იყო.“ შვილმა ურხრა: „ასე შორს იყო, რომ აქამდე ევლო, ვერ მოუარდაო?“ დედას გაეცინა და ეგრე უთხრა: „თუ მაგდენი გაესინჯა, არც კი დაირჩობოდაო.“

მაღლები და მგელი

ერთი მძორი იდვა ადგილსა ერთსა. შვიდი-რვა ძალლნი ეხვივენ, სჭამდნენ მძოვრსა, იღრინებოდენ, შულლობდენ და ჰკბენდენ ერთმანეთსა. პნახეს მგელი მომავალი, მათ შულლი, ღრენა და კბენა გაუშვეს, ერთად შეუტიეს და მგელი გააძეს. მოიქცნენ და მასვე მძორზე ისევ შულლი დაიწყეს. რამდენჯერ მხეცს პნახევდენ, მას ერთ-პირ დაუხვდიან და მერმე ეგრევე შულლობდიან.

ბ რ თ ა რ ტ ი

ერთმა კაცმა სთქვა: „ოთხი ძმანი ვიყვენით ცოლიანები. შემომადგა ცოლი ჩემი და ეგრე მეტყოდა: „თუცა შენ ძმა-თა გაეყრები, ესეთი დიაცი ვარ, პურს პურით გაჭმეო“. დღე ლ-ლამე არ მომასვენა. რა ძმას გავეყარე, ვუთხარ: „პურით პურის ჭამა რა არის, მაჭაბე-მეთქი!“ შეპქმნა კორკოტი და წინ ლამიდვა, პური ხელთ მომცა: „აა პური და პურით სჭა-მეო, ჯალაბნი მძულდნენ და გავეყარეო“. .

წაჯ-შეგვაგობის მასწავლებელი

ერთმა კაცმა სთქვა: „რვანი ძმანი ვიყავიო. შემომადგა ცოლი: „თუცა შენ ძმათ გაეყრები, ასე გაგამდიდრებ, წაჯე-უკუჯეგის ცეცხლს აგინთებ“. ლონე ველარ დაფიდევ. ვავე-ყარე ძმათა. ზამთარი იყო. დამსევა და აანთო ცეცხლი. მომი-ტანის ჩალა, დააყარის. რა აენთის, უკან უკუვჯდი, რა შემ-ცივდის, წინ წამოვჯდი. ეგრე მიყვის. ვჰკითხე: „რა არისეს.

მეთქი?“ მან მითხრა: „ძოლან დაგპირდი, წაჯეუკუჯეგის ცეცხლს აგინთებ და იგიაო“. ეხლა ვაებით ვიარები“.

მეხალე და მწყემსი

ბალდადის ქალაქსა წესი იყო, რა მეხილესთან კაცი მივიღის, ორი ფული მისცის, რაც ენების, ეგოდენი ხურმა შესჭამის. ერთი გარედ-მყოფი მწყემსი მივიღა, განწესებული მისცა, დაჯდა და ნახევარ მარჩილისა ხურმა შესჭამა. მეხილემ უთხრა: „მმაო, ბევრს ნუ სჭამ, გულს დაგწვავსო!“ მწყემსმა უთხრა: „შენ ნუ იურვი, ვისაც გული დაეწვის, მე ვიციო!“

გატა და ლომი

ერთი კატა დაიარებოდა. ჰნახა, ერთი ძულომი მომკვდარა და ერთი ლეკვი დაპრჩომია. წაიყვანა და ზრდა დაუწყო. რა გაიზარდა, დიდი შეიქმნა, დაიწყო ნალირობა და ნალირის ჭამა. დღესა ერთსა ნალირი ვერ იშოვნა, თავის გამზრდელი კატა მოინდომა შესაჭმელად. კატამ რა შეიტყო, ხეზედ გავიდა. ლომი ძირს წამოუწვა. უთხრა: „ჩემო დედის უსაყვარლესო და დამარჩენელო გამზღდელო! ყოველი შენი ზნეობა რომ მასწავლე, ეგ ხეზე გასვლა რად აღარ მასწავლეო?“ კატამ უპასუხა: „ეს ჩემთვის შევინახე, რა ესრე გამიჭირდება, მომეხმარებაო.“

მელა და წერო

მელამ წერო აწვია, ოსპი შეუგბო და სპილენძის თეფშზე დაუსხა. ორთავ ჭამა დაუწყეს. მელი ენით სთქლაფევდა და წერო რას შესჭამდა თეფშზედ? თითო-თითოს თუ აიღებდა, მეორეს დღეს წერომ აწვია მელი. მუხლდო შეუგბო და პირვიწრო ქოთანში ჩაუსხა. ორთავ ჭამა დაუწყეს. წერომ ნისკარტი ჩაჟყო და ჭამა დაუწყო. მელამ ტუჩი ვერ ჩასტია, რასა სჭამდა? იწყინა მელამ, აუმტერდა და შეამყრალა. წეროს ეწ-

ყინა და თვალთ შეასკინტლა. ანუ მათი სიტკბო და წყალობა რა იყო, ანუ მათი რისხვა და მტერობა?

გირი და მგელი

ერთი კაცი იყო. ერთი დაღლეტილი ვირი ჰყანდა. წაიყვანა და საძოვარზე დააბა. თვითან მიღმა დაჯდა და ყურება დაუწყო. მოვიდა კაჭკაჭი, ზურგზე შეაჯდა, დამპალს ხორცს გლეჯა დაუწყო. ვირი დაბმული იყო, ვერ აეშვა და ტლინკვა დაიწყო. რამდენჯერ ვირი ტლინკს შეჰქოდა, მისი პატრონი კაცი სიცილით ჰპნდებოდა. ტყიდამ ერთი მგელი უყურებდა და სთქვა: „მე თუ მას ვირთან მნახვენ, ამ სოფლის კაცი და ძალლი სრულებით მე გამომეკიდება, და აგერ ვირი ლამის კაჭკაჭმა შესჭამოს, და პატრონი ჰხარობსო!“

გირი, ვეფხი, მელა და მგელი

ერთი ვირი გლახაკისა კაცისა, მიჭირვებული და მჭლე, გაეპარა. პატრონსა თვისსა და წავიდა. ერთს მაღალსა ადგილსა დაისადგურა. ესეთი ადგილი იყო: დიდი წყალი ჩადიოდა, წყალთა პირსა ხენი მშვენიერნი იდგნეს, დიდი კლდენი მოსცემდნენ, კორდნი მწვანენი ყვავილოვანნი. თურე ვეფხის სამკვიდრო იყო და მუნ დადგა. ვეფხი ნადირობასა იყო, მოვიდა, ჰნახა, დიდად ეუცხოვა და დიდად შეშინდა. რა ვირმა ვეფხი ჰნახა, თავისი სიკვდილის მოციქულობა ეგონა, ყურნი წაიცქვიტა და დიდად დაიყვირნა. ვეფხეს ესეთი შიშის ზარნი დაეცა, გზათა კვალი ვეღარ გაიგო, კლდეზე გარდაიჭრა და გაიქცა. მიმავალს მელა შეჰქვდა. სცნა შეჰქირვებული მივიდოდა, თაყვანი-სცა და მოახსენა: „ნადირთ მეფეო, საღმინვალ, ანუ რად დაგილრეჯიაო?“ მან უთხრა: „ჩემსა სამეფოსა ერთი უცხო ბუმბერაზი მოსულა, მისის შიშით ვეღარ დავდეგ და გამოვეცალე, მით დამილრეჯიაო.“ ჰკითხა მელამ მისი ამბავი. მან ყველა უამბო: სახე მისი, ოთხფეხობა, ყურ-

დიღობა, ხმა მაღლობა, ფერი და, რა რამე სჭირდა, ყველა
მელამ მოახსენა: „ეგე ვირია, ნუ მიჩბი, მას გავაძებ და შენ
უზრუნველად განისვენე!“ ვეფხმა არ მოუსმინა; მელიც თან
გაჰყვა, წავიდნენ. შემოეყარათ მგელი, თაყვანისცა და მერე
მელას ჰკითხა: „რად შეჭირვებულა, ანუ სად მივა?“ მელამ
მგელს ყოველივე უამბო: „ვირის გამოქცეული მირბისო, უშა-
ლე და არ დაიშალო.“ მგელმა მოახსენა: „ნუ სწუხარ, ჩემი
საღილია, დია მშიან, წავიდეთ, მის საქმეს მოგახსენებო!“
ვეფხმა ეგრე უთხრა: „თუ ჩემი ღალატი არ გნებავნ და მარ-
თალსა მეტყვით, ერთი თოკი მოიღეთ, შეა მე მოვებმი და
აქეთ ერთი მოებით და იქით მეორე. ერთად მივიდეთ და, რა-
ცლა დაგვემართოს, სამთავ სწორედ დაგვემართოსო“. წავიდა
მელი, თოკი მოიპარა, მოიტანა, სამნივ გამოებნეს და ერთად
მივიდნენ. რა ვირმა ესენი ერთად მისულნი ჰნახა, ვაება გაუ-
მრავლდა, შექმნა ყვირილი და ზახილი. ვეფხი შეშინდა,
მრჩევლებსა აღარა უსმინა რა, თოკი მოიზიდა, ორნივ დაარჩო,
თვით გარდაიხვეწა. ბოლოს სთქვა: „თუ არ მას აღგილს, ჩე-
მი დარჩომა არ იქნება, წავიდე და მას ბუმბერაზს ვეყმოო,
ეგება დამინდოს, და ჩემს ადგილს კიდევ ვნახვიდე ხოლმე“.
მივიდა ვირთან დიდის კრძალვით, შეეხვეწა და ეყმო. ვირს
მისგან ეშინოდა და მას უფრო ვირისაგან. უბრძანა ვირმა:
„რადგან მეყმე, კარგად დაგარჩენ, ჩემის სახლის უხუცესობას
მოგცემ, ორს შეცოდებასაც შეგინდობა და მესამეს ერიდე!“
იყვნენ და განისვენებდნენ. გამოპხდა ხანი, ვირს ეძინა, ვეფხვს
ნავარდობა მოუნდა, წყალს გახლტა, მჟევლს კული დაჰკრა;
ვირს წუნწკლი შეასხა; გაიღვიძა, იწყინა და დიდად დატუქსა.
მეორეზე ვირი წყალში ჩავიდა, წყალი დიდი იყო, ვირი წა-
იქცა და დაიღუპა. შეიჭრა ვეფხი, თითონ ბატონს მოეხმარა
და გამოიყვანა. ვირი მიზეზს ეძებდა, თუცა გავიცალოვო,
გაუწყრა: „მე კალმახს ვნაღირობდი, შენ რად გამომიყვანეთ?“
ვეფხვს მესამე შეცოდების რიცი ჰქონდა და გარდაიხვეწა; იგი
ადგილი ვირმა დაიმკვიდრა.

გუ და მორიელი

ერთი კუ და ერთი მორიელი დაშმობილდნენ. წავიდნენ
გზასა და გასავალი წყალი დაპხვდათ. მორიელი დალონდა,
გასვლა არ ეძლო. კუმ უთხრა: „ზურგს შემჯექ, და მე გაგი-
ყვანო!“ შეჯდა მორიელი ზურგზე. კუ რა წყალში შეცურდა,
მორიელმა ზურგზე კბენა დაუწყო. კუმ ჰქითხა: „ძმაო, რასა
იქო?“ მორიელმა უთხრა: „რა ვქნა, არც მე მნებავს, მაგრამ
ასეთის გვარისანი ვირთ, მტერსა და მოყვარეს ყველას უნდა
ვჰქმდენდეთო.“ კუმ დაიყურყუმელავა, მორიელი წყალს მისცა
და უთხრა: „ძმაო, არც მე მნებავს, მაგრამ ჩემი გვარი, თუ
გესლიანს ხორცუს არ გაიბანს, გასიცდება და მოკვდება!“

იგავ-არაძნი აპაპისა

დათვის წეველაბა

დათვმა ლხინი გადიხადა,
მოიწვია მეზობლები.
გარეშენიც ბევრი ჰყავდა:
ტურა, მელა, კატა, მგლები.
უკეთესი მასპინძლობა,
უნდა ვსთქვათ, რომ არ ნახულა:
რა საჭმელი! რა სასმელი!

რა იყო, რომ იქ არ დგმულა?

გადაჰკრეს და საღლეგრძელო
სათვითავოდ გააჩინეს.
სამაღლობელს სავსეს სვამდნენ,
წვეთი არვის შეარჩინეს.

გახალისდა დათუნია,
მოლხენით რომ სხვებიც ნახა,
თვისის ბოხის მაღალ-ბანით
„სუფრულიც“-კი შემოსძახა.

გაოცებულს იმის სტუმრებს
მარტო ესეც არ აკმარა;
გადმოახტა სუფრას თავზე
და ლეკურიც დაუარა.

მელაკუდამ ტაში დაჲკრა:
„ამფერ! ჩემო დათუნაო!
როგორ გშვენის ეგ დავლური,
მალაყები და ხტუნვაო!“

მაშინ მგელმა წასჩურჩულა:
„მელავ! ტყუილს ნუ ამბობო!
სასაცილოდ დაძუნძულებს,
და შენ მაგრე რად ამკობო?“

მაგრამ მელამ უპასუხა:
„ბრიყვი ხარ და სულელიო;
რას დავეძებ მაგის თამაშს?
მე სხვა რამეს მოველიო.

მოვუწონებ, —იამება,
გაბრიყვდება ამ ქებითო,
და ჩვენ კი რა გვენალვლება,
ვახშმადაც აქ დავრჩებითო.“

ხარაბუზა და ფუტკარი

ხარაბუზა ფუტკარს შეხვდა, მიაძახა: „გზა მამეო!
ვერ მიცანი, განა, ვინც ვარ? როგორ გამეთამამეო?!
თუ ვერ ატყობ თავს, ვინცა ხარ, უამიგონე, რომ გითხრაო:
შენ რომ ფრთებო გამოგბმია, ლმერთიც მაშინ გაგიწყრაო!
ბზუილასა, ტყუილასა, შხამიანსა, მკბენარასო,
ვინ არ გიცნობს უსაქმიურსა მფრინავს, მოუსვენარასაო?!
მე კი დარბაისლად მცნობენ, შროშისა ვარ მოყვარეო...
ჩემთვისა ვარ — არავის უკერნ; არ ვარ შენი შოგვარეო!
ქვეყნის თვალში მე სულ სხვა ვარ, შენ სულ სხვა ხარ... ხომ ხედავო?

ჩამოდექი, გზა მომეცი... ურჩობას ნუ მიბედავო!“

ფუტკარმა ეს უპასუხა: „ნუ შაცინებ!.. ხა-ხა-ხაო! ვინც რომ ქვეყნად გაგაჩინა, ნეხვის ჭიად დაგსახომ! ბევრს რომ შრომობ, ნუ თუ ფიქრობ, რომ მთა და ბარს ას- წორებო?..

მხოლოდ ფუნეს აგუნდავებ, იქვე ახლო აგორებო.

ის ხომ შენი საზრდო არის? შენს მეტს არვის არგიაო!

შენ აკეთებ... შენვე ზიდავ... საკუთარი ბარგიაო!

დარბაისლად იმუშავებ, რაღად ირბენ აბა შორსო?

ყოველს ფეხის გადადგმაზედ ნახავ, გინდა, შთელს გოდორსო!

მე კი სხვა ვარ... სულ სხვა მუშა და სხვა გვარად მოღვაწეო:

„ზეცის მუშას“ მეძახიან, არ ვარ მარტო სამიწეო!

მისთვის დავფრენ მოუსვენრად, რომ მოვსძებნო ყვავილიო,

გულის წვენი ამოვსწუწნო, სამკურნალო რამ ტკბილიო.

შევუმზადო მით ქვეყანას თაფლი, ზეცას—სანთელიო,

რომ იქ წმიდად შეიწიროს და ანათოს აქ ბნელიო.

ვინც მე იმ დროს ხელს შემიშლის, ქვეყნის მტერიც ის არიო,

და მისთვის მაქვს მომართული გესლიანი ისარიო!“

ეს უთხრა და ფრთა გაშალა, მიაშურა ყვავილებსა!

და ჩვენც ამ გვარს პასუხს ვკადრებთ ზოგიერთს ჩვენს ყმაწვილებსა.

დამურა

ერთმა უგნურმა თაგვუნამ იუკალრისა თაგვობა;

დასწყევლა თვისი გაჩენა, ბუნების იწყო მან გმობა:

„იმ უსამართლო ბუნებამ თაგვად რად გამაჩინაო?

მე სხვაგან ყოფნა მინდოდა, მან ჭერ ჭვეშ მომცა ბინაო!

ვის ეკადრება თაგვებთან კუდის ბზეკა და ლხენაო?

მე შემშვენდა ჩიტობა, რომ მეწყო მაღლა ფრენაო.

რომ ვინმე ჩიტად მაქცევდეს, გამომაბამდეს ფრთებსაო,

გავფრინდებოდი ერთს წამსა, გადავივლიდი მთებსაო!..“

რომ დაასრულა ეს ნატერა, ნახა, რომ ფრთები ესხმება.

და მეტის სიხარულითა საბრალოს თავს ბრუ ესხმება... ზიზღით შეხედა თვის ტოლებს, დაუყოვნებლივ ავარდა, ჩიტებში გამოერია, ამანაც გაინავარდა...

ჩიტებმა ახედ-დახედეს, სთქვეს: „ვინ მოსულა ესაო? რა რჯულის ცხოველი არის? ჩვენთან ვინ გააწესაო? თვალ-ტანადობა თაგვს უგავს, ფრთები ასხია ჩვენიო! როგორლაც კეთილს სულს არ ჰგავს, ჭირი არის და სენრო. ეგება მტრებმა მოგზავნეს, შემოჩენილიც იყოსო... არიქა, ფრთხილად იყავით, არავინ გაგვაბრიყოსო!“ დაულივლეს, ჩაუნისკარტეს, გაპკრეს-გამოპკრეს ბრჭყალები, სისხლი აღინეს ღამურას, გამოუბნელეს თვალები!

დალმა დაეშვა ღამურა, მიმართა ისევ ძველ სადგურს... მაგრამ აქ უფრო შავი დღე დაუდგა მაშინ უბედურს: თაგვებმა აითვალწუნეს, ალარ მიიღეს, რომ ნახეს, მივარდნენ ერთად საკედენად, „ჰკა მაგასაოა!“ დასძახეს...

მაშინ კი მიხვდა ღამურა, რომ ანგარიში წაუხდა. და მისი ნატვრა უგნური საჭირ-ბოროტოდ აუხდა! გვიანდა იყო! გაფრინდა გაკიცხულ, თავს ლაფ-დასხმული, ერთს ძველს ნანგრევში. შეფრინდა და მოიბრუნა იქ გული. მას შემდეგ ნანგრევში ბუდობს, დღისით ვერ ჩნდება სირცხვილით და მუდამ ამას წრიპინებს კვნესით და გულის ტკივილით:

„კრულ იყოს მისი სახელი, ვინც მთა გასცვალოს ბარზედა! თვისს ტომის დამწუნებელსა ჭირი მიუვა კარზედა! ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა და ნუ სცვლის თვისსა ენასა, თორემ ბოლოს დროს მოიმკის ჩემსავით ცრემლთა დენასა! გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია, მისი პირადი ლირსება ყოველგან ღაჩაგრულია!“

ბ ს ლ ა დ ე ბ ი

ქორთული

ქორთული სახელ-განთქმული მოტის და მოიმდერისა; შეუპოვარსა, ძლიერსა არ ეშინიან მტერისა ...

წინ შეეხება ვიღაცა, თოფი ჰკიდია. მხარზედა,
არ მოერიდა ქოროლლის, ფეხი არ გადგა უანზედა...
ეწყინა ძლიერ ქოროლლის თამამი ქცევა მგზავრისა,
აენთო, გულში გაივლო ამოყრა მისის ჯავრისა...
მაგრამ ჯერ ჰკითხა უცნობსა, რაზედ თავრედობს იგია...
ან რა რკინაა, რომ იმას ზედ მხარზედ გადუეიდია?...
მგზავრმა არ გასცა პასუხი, მოიგდო თოფი ხელშია;
ჰკრა ყორანს, სული გაუფრთხო, გაჰვლიჯა შუა წელშია...
თავს ზარი ეცა ქოროლლის პირველად, რაც კი შობილა...
გაიგო, თოფი რისთვისაც, რა მოსახმარიც უოფილა...
მაშინ წარმოსთქვა ვაჟ-კაცმა სიტყვა სწორი და მწარეა?
„ავი და კარგი გასწორდა, გასწორდა მთა და ბარია!“...

რ. ერისთავი

„ქალი აუგანა.“ *)

შილდის და ყვარლის საშუალ პაწა გორა სდგას ქუთრადა,
გაზაფხულია, მინდვრები ამწვანებულა ტურფადა,
ცხვარი გრილოში იცონის, დაყრილა ძხის რს ჯგუფადა,
ამათი მწყემსიც იქვე წევს, მოლი აქვს ნოხად **), სუთრადა.

აგერ მახლობლად გრგონაც ჰმწყემსავს ოცამდინ კრავებსა.
დანავარდობენ ბატქნები, შავ-თვალა იგრეხს კავებსა,
თავს თუ აწონებს იმ მწყემსსა, შიგ თვალში უყრის თვალებსა,
მგელმა რომ კრავი მოსტაცოს, ნეტა ვის დააბრალებსა?...

ბიჭი აენთო შმაგივით, თვალები დააბრიალა,
წამოჯდა მარჯვედ, სალამურს ჩაპერა, ჩაწკრიალა;
ჩააკაკანა ხმა-ტკბილად, სევდის ხმით შეაზრიალა,
შავ-თვალას გული მოუკლა, გონება გაუტიალა...
მერე უზრახა დიაცხა: „მოდი აქ დავსხდეთ სწორადა,

*) „ქალი-აუგანა“ ერთს პატარა გორასა ჰქვიან და მდებარებს თე-
ლავის მაზრაში, სოფელ შილდასა და ყვარელს შუა.

**) ნოხი — იმერეთში ზალიჩას ჰქვიან.

გულის ჭირიმე, აქ შოდი, უხორსაც ცხორი. ჰყავს ტოლადა,
მეყო ამდენი ობლობა, ნუღარ დამაგდებ თბლადა,
თავს ვანაცვალებ შენს მზესა, თლონდ წამამყე ცოლადა!“

თავი ჩაღუნა გოგონამ, ჩაიღიმილა დარცხვენით,
თავი არიდა ლომ-გულსა, იცქირებოდა მარცხენით,
მერე მიუგო შავ-თვალამ, სიამოვნებით, არ წყენით:

„მეც შენ ცეცხლშივარ, ბეჩავო, თუ შესძლებ; ამ ჭირსდამხსევ-

თუ ამიკიდებ ზურგზედა, თანაც დაუკრავ სალამურს, (ნი...
ძოლანდელებრივ ტკბილს ხმასა, გულის სალალოს, საამურს,
ისე ამიყვან ამ გორზედ, — მაშინ მე თავი არა მშურს
შენდა გულისა წამლადა, შენი ცოლობა მაშინ მწყურს“...

ბიჭმა მოიგდო ზურგზედა გოგონა, როგორც კრავია,
თან სალამურზედ დაუკრა, რაც ტკბილი დასაკრავია,
დაუკრა გოგოს საამო ხმა, გულის მოსაკლავია,
შეუდგა პაწა გორასა, არ მოპლალვია მკლავია...

მიღის და მიღის ნელ-ნელა, უძგერს და უძგერს გულია,
ძალზედ მიიწევს ზევითა, მუხლებში მოქანცულია;
გაცურდა ხვითქში, გადმოსდის ოფლისა ნაკადულია,
შემძიმდა ტვირთი ძვირ-ფასი, უწუხს თბოლი სულია...

ავიდა წვერზედ, გადმოსვა გოგონა, პირ-მზე ნათელი,
მაგრამ თვითონ კი ვერ იძერის, როგორც ნაცემი, ნათელი,
როგორც ულონო, უძლური, ველარა ჰსუნთქავს ჯანმთელი,
გაჭვარდა სული ბეჩავსა, გაქრა როგორც რომ სანთელი!...

იქვე სდგას დღესაც ის გორა, თითქოს მინდვრების მცველია,
„ქალი-აყვანა“ დაარქვეს, რადგან იმ მწყემსის მკვლელია;
იქ, ახლო-მახლო სოფლებში, სუყველა ამის მთქმელია,
ასე გავიგე ყველასგან ამბავი ძველის-ძველია.

რ. ერისთავი

ზ ა ა ლ ი

რიონის მარცხენა კიდეს ერთი რუ ჩამოჩხრიალობს,
დაბურულს მთებსა ძირს უთხრის, შეჰყვირის, ზე შეტრიალობს;

ქვიდამ ქვაზედა მხტომარი, მაღლა შეისვრის ზვირთებსა, მოცორვებს, მოაკამათლებს თავის შეფ-მარგალიტებსა. სასიამოვნოდ გაშლილა მის ნაპირს ვაკე-გორია, სამ მხრივ კლდით შემოზღუდული, ხელის გულივით სწორია; ვარდ-ყვავილებით შემკული სამოთხეს მიემსვავსება; იქ მიდის ყოვლი ფრინველი, ტკბილ-ხმოვანებით ივსება. ამ ვაკე-გორის მახლობლად სჩანს ძველ დროდგანვე სამარე, რაღაც სევდებით მოცული, ნაღვლიანი და მჭმუნვარე, და მას ხავს-მოკიდებული ერთი დიდი ქვა ადვია; ირგვლივ უყვავის ყვავილი — ყაყაჩო, ია, ვარდია. საცოდავის ხმით დასტირის საფლავს ხმა-ტკბილი ბულბული, ვარდის ბუჩქებში დღე და ღამ ქურდივით ჩასაფრებულია... კაცის გულში სევდას უსახავს რაღაც დამწველი ხმა მისი... შეჰკვნესის ღამით, შეჰკივის მილნავებულადა დღისი.

ამ ვაკე-გორის სიახლო — ამბობდნენ მოსწრებულები — ტურფად იყვნენო ადესმე სოფლები გამართულები და, თუმცა მუდამ ურიცხვი მტრები ესხმოდა მათაო, მაგრამ უძლევი სოფლები დამხდურად იყვნენ მზათაო. კაცი და ქალი გუნდ-გუნდათ მოჰვენდნენ ვაკე-გორასა, გამხნევდებოდნენ გმირები, მტერს დაუწყებდნენ ბრძოლასა და, რა კი გამოჩნდებოდა იქ ზალ, გლეხი ლომ-გული, თავზარ-დასხმული გარბოდა მტერი, საომრად მოსული. ყოველის ქვეყნის კუთხეში ჰქუხდა ზალის სახელი. იმისა კეთილ-გულობას აქებდა მისი მნახველი; დღე და ღამ შეუპოვარი მიმოვიდოდა ველებში, და, როგორც კატას, თურმე ლომს გამოიჰყოლეტდა ხელებში.. ერთ ჩხეუბის შემდეგ ქუხილით ხმები მოედვა სოფლებსა... „დაიკარგაო, გაგვიქრა პატრონი ქვრივს და ობლებსა: ზალ-გმირის და მოგვტაცეს და წაიყვანეს ეხლაო. თავ-გაწირულსა ზალსა მტერთან მოუხდა შეხლაო; გაფოცებული მიჰვარდა იმათ, როგორც რომ ლომიო,

და გამოიხსნა, გამართა ისევ „თ ა თ ა რ თ ა ნ“ *) ომიო.
დაკოდილებში ცეძებეთ ყოველგან მისი ლეშიო...
ვიცით ცოცხალი არ არის; არც ურევია მკვდრებშიო.“

ზაალის დაკარგვის შემდეგ გულ-დაბნედილი მისი და
ყოველ მთვარიან ლამეში ვაკე-გორისკენ მივლიდა;
მის ძმისგან სისხლით შეღებილს ალაგს უწყებდა ცქერასა,
სტიროდა თავის დაკარგულს და თავის ბედის წერასა.
გულ-ნალვლიანი მდუმარედ რუს პირზე გაღმოჯდებოდა,
მიეცემოდა ოცნებას და ფიქრში დავიწყდებოდა.
მხოლოდ-ლა განთიადისას შესწყვეტდა ბედთან ბრძოლასა,
გაემართოდა სოფლისკენ და დასტოვებდა გორასა.

ერთს ლამეს ჩვეულებრივად, როცა ეწვოდა მას გული,
ნაცნობსა ალაგს მწუხარედ მიმოვიდოდა ქალ-წული,
დინჯად მავალი მნათობი იმას მაღლიდამ დასცქერდა
და იადონი მახლობლად გულ-მოსაკლავად დამდერდა.
იდუმალ იფურჩქნებოდა ნორჩი ვარდისა კოკორი,
წვრილ ტოტზედ კისერ-გადახრით დაკიდულიყვნენ ორ-ორი
და ია მორცხვი, კეკლუცი ვარდის ბუჩქს ეფარებოდა,
დღიურ სამოსელს იცვლიდა და ნამით იბანებოდა.
ამ დროს ერთის მხრით ბუჩქებში ფოთლებმა შექმნეს შრიალი,
ერთმანეთს გაესაუბრენ, ნაზად დაიწყეს ცქრიალი,
და შემდეგ ისევ რიგ-რიგად მონახეს თვისი ბინაო,
თითქოს ალძრულმა ბუნებამ სამუდმოდ მიიძინაო.
სმენად და ფიქრად გადიქცა მარტოდ მავალი ქალ-წული,
ამ უცნაურმა მოვლენამ აუცახცახა მას გული;
კაცის ფეხის ხმა მოესმა, უცბად მოუწყდა მუხლებში,
შეშინდა, მარდად ისკუპა და ჩაიმალა ბუჩქებში.

რუსის ნაპირზედ ჭეხ-აკვრით ვიღაცა მოეჩქაროდა,
ნაცნობს ალაგებს შესცქერდა, შესტრფოდა, შემოჰხაროდა,

*) ჩვენში საზოგადოდ თათარს ეძახდენ თავის შტერს—მეზობელს.

და რა კი ზეირთი ღელისა ზარის ხმით იხმაურებდა,
შეჩერდებოდა უკნობი, მათს ტოკვას გადაჰყურებდა.
დანიშნულს ადგილს ესწრაფვის, მიღის ფეხ-მარდი ცანცალა
და ვეფხვისავით ბუჩქიდამ — მას მისვლაც აღარ აცალა —
გამოხტა ქალი ყმაწვილი, მომავალს მიესალამა,
ყელი ყელს აჭდო, მკლავი მკლავს და თვალმა ცრემლი დალამა.
„ზალო, ძმაო ზალო“ — ეტყოდა ქალი მწველადა —
„სად იყავ, საით გივლია, რატომ გასულხარ ველადა?
„მკვდარი მეგონე დაჩაგრულს, მარტოდ ვტიროდი, გგლოვდიო
„და ამ ქვეყნიდამ გაქრობას უფალს ჩემსასა ვსთხოვდიო!“
„— ეჭ, დაო!“ — ვაჟმა მიუგო — „ჯაჭვით დამაბეს მტრებმაო,
„დასუსტდა შენი ზალი, უდროთ უმტყუნეს მხრებმაო;
„ბოლოს ვახსენე უფალი, შემოვიკრიბე ლონეო,
„ჯაჭვები მტვერად ვაქციე და მტერი დავალონეო!...
„თავი ავიშვი, წამოველ მე მათი შეუპოვარი...
„ეგებ კვალშიდაც მომდევდეს სიფრთხილით მხლალი მდევარი,
„მით უფრო, რომა დღეს გული როგორლაც მიღონდებაო,
„სული მიშფოთავს და გონი საღვურში აღარ დგებაო.
„ცუდი ნიშნები არიან, მოასწავებენ ავსაო
„და, თუ მოვკვდე, გენაცვა, შენ ნუ მოიკლავ თავსაო!
„მე იქ დამმარხე, სად მტრისა სისხლი მიღვრია ველზედა,
„სადაც გვიბრძვია და ჯავრი ვერა უყრიათ ჩვენზედა.
„ჩემსა საფლავზედ მოიჭერ, მომნახე ხანდის-ხანაო.
„და შენებურად დამძახე ხმა ტკბილი „ნანი-ნანაო!
„რა გავიგონებ შენს ხმასა, მიწიდამ ქვეყნად ავალო,
„გნახავ და გეალერსები და ისევ საფლავს ჩავალო!“
ვერ გაათავა მან სიტყვა — ბუჩქიდამ თოფი გავარდა...
შეკრთა ზალი, გმირულად წამოხტა, ზეზე ავარდა,
მაგრამ მოეჭრა მუხლები, დაეცა მიწას მკრთალია,
უკანასკნელად შეხედა დასა და... სული დალია.
მტერმა რა ნახა ლომ-გული მიწასთან გასწორებული,
წვრილ ბუჩქებიდამ გამოხტა ცქვიტი და გახარებული...“

ქალს უპირებდა შეპყრობას, მაგრამ ქალ-წული გაიქცა, შეიფთქრიალა და უცბათ მსტვენავ ბულბულად გადიქცა. მაღლა ცისაკენ მოჰკურცხლა გულ-სევდიანმა ბულბულმა და აატირა მთა-ბარი მკვნესარმა, აღელვებულმა...

ამბობენ ქალი, ქცეული ბულბულად, მოფრინდებაო
გაზაფხულითა და წავა, როცა რომ დაზამთრდებაო...
გაზაფხულიდამ ზამთრამდე საფლავს დამღერის თავზედა,
ბინადრობს ვარდის ბუჩქებში და ხან ჯდებაო ქვაზედა.
თითოჯერ ყოველ ლამეში, როს მეფობს ძილის ძალიო,
როს ყველას ჩაეთვლიმება და დაიძინებს წყალიო,
საფლავზედ მჯდარი ბულბული გადაიქცევა ქალადო
და სამარეზედ მდებარ ქვას გადააგორებს ძალადო.
ცივ-საფლავიდამ აღგება ვაჟი ჩვეულებრ გმირიო,
და-ძმანი გადიხვევიან, პირს ეკონება პირიო,
იალერსებენ და შემდეგ ორივ დაღვრიან ცრემლთ მწარეს,
ერთშანერთს ესალმებიან — ვაჟი კვლავ ჩადის სამარეს...
შემდეგ ქალ-წული იმშვიდებს გულს, სევდით ანაძერალსა,
და ყურს დაუგდებს სხვა ბულბულს, ბუჩქიდან გამომღერალსა...
გმირ ძმას დააღებს ისევე გულზედ სამარის ქვასაო,
ბულბულად გადაიქცევა და სტვენს თვის გულის თქმასაო.

ბაზელის წეს

ბაზალეთისა ტბის ძირას

ოქროს აკვანი არის,

და მის გარშემო წყლის ქვეშ

უცხო წალკოტი ჰყვავისო.

მწვანეა მუდამ წალკოტი, არა სუკნება, საკუთრივი საკუთრივი

ქვეყნისა დროთა ტრიალსა და მკაფიობრივი მოვალეობა

იგი არ ემორჩილება.

ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს
ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი,
და იმის მზიან ჩრდილებში
მუდამ გაზაფხული არი.
* *

წილკოტის შუა გულშია
ის აკვანი ასვენია,
და ჯერ კაცთაგანს იქ ჩასვლა
არავის გაუბეღნია.
* *

მარტო ერთნი წირინოზნი
იმ აკვანს გარს ეხვევიან,
მარტო იგინი, გრძნეულნი
დასტრფიან და დამლერიან...
* *

ამბობენ, — თამარ-დედოფალს
ის აკვანი იქ ჩაუდგამს,
და ერს თვისთა ცრემლთ ნალენით
ტბა კარვად ზედ გადუხურავს.
* *

ამას კი ალარ ამბობენ, —
აკვანში ვინ ჩააწვინა,
ან თვით ერმა თვისი ცრემლი
ზედ ტბად რისთვის დააღინა...
* *

იქნებ, აკვანში ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დლე და ლამ პნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?
* *

თოთუ ესე არის, ნეტა ჭას
ვაჟკაცსა სახელოვანსა,
ვისიცა ხელი პირველად
დასწვდება იმა აკვანსა!

თუ ესე არის, ნეტა მას
 დედასა სახელ-დებულსა,
 ვინც იმ ყრმას პირველ მიაწვდის
 თვის ძუძუს, მადლით ცხებულსა!
 ი. ჭავჭავაძე

გორის ციხე

(ველიჩქოსი)

მოგზაურო! ვერა ჰედავ
 გორის ციხეს მაღალ სერზე,
 პირ-ნახულს და გამარჯვებულს
 სუყოველთვის ქართლის მტერზე?

გარს არტყია მას ღრუბელი,
 თავით მაღლა ცას ეხება;
 ძირს ლიახვი გულმოსული
 ეწმახვნება... ეგრიხება!

მიუვალს და მიუწდომელს
 ტინი კლდე აქვს საფეხურად,
 ძველის მგონი, დღესაც კიდევ
 გადმოჰყურებს ამაყურად!

საუკუნით-საუკუნოდ
 ვერას აკლებს დროთა დენა!..
 ლვთის კურთხევამ და თამარის
 ბრძანებამან ააშენა!

ერთხელ თურმე სანალიროდ
 გამობრძანდა თვით თამარი
 და შეჰყარა ლიახვის პირს
 ყოველის მხრით ქართლის ჯარი.

შემოჰკრეს და შემოზღუდეს
მოსარეკად მთა და ბარი, —
მაღლა ფრინველს და ძირს ოთხფეხს
უპირებენ დასცენ ზარი.

გაიმართა ნადირობა,
ამოიღეს ყველგან კვალი;
მაღალ სერზედ სავსე მთვარე დ
გადმომჯდარა დედოფალი.

შვილდ-ისარი, ჯილა-შვილდი,
ხმალ-ხანჯალი, შუბ-ლახვარი
მუსრავს ნადირს ხელ უცდენლად, —
ლიახვს ერთვის სისხლის ღვარი.

თვით ფრინველიც ცის ლაქვარდში
ჩვეულ ნავარდს ვეღარ ჰგედავს,
შენატყორცსა სასიკვდილოდ
გულის გამპობ ისარს ჰხედავს.

ვინც კი არის თვალ საჩინო
თავადი, თუ აზნაური,
გინდ ბეგები, გინდ ფაშები,
გარეშე თუ შინაური,

ყველა ცდილობს გამეტებით
თავის-თავის გამოჩენას.
და დედოფლის ლიმილს ელის
ვით საჩუქარის... ჯილდოს ჭენას!

მაგრამ იმათ ყურს არ უგდებს
დიდი თამარ დედოფალი...
ლიახვს გაღმა სერს შეჰყურებს,
მიუპყრია კლდისკენ თვალი.

სანაქებო შევარდენი
იქ შემჯდარა, გაქცეული,
არ აპირობს დაბრუნებას,
და დიდ პატრონს სწყდება გული.

შეაჩერა ნაღირობა,
საყვირს სცემენ, შეკრბა ერთ!
ბრძანებს მეფე: დამიბრუნეთ
ის ურჩი და კაღნიერი!

ეს ბრძანება ყველასათვის
რჯული არის და თვით მცნება...
გული უჭრისთ ასრულებას...
მაგრამ ურჩობს კი გონება:

გუჟ-მაურად გადიდებულის
ლიახვეს მოაქვს ტყე და ველი!
უფარსაგო ვერ გასცურავს:
სულდგმული და ხორციელი.

შემკრთალსა და შეშინებულს,
თავ-ჩალუნულს კარის კაცებს.
ტალღა ტალღით მინაგორი
გულს უფრთხობს და თვალსა სტაცებს.

შაშინ ბრძანა დედოფალმა:
„ვერას ვიტყვი ამის მეტსო: და
რასაც კი მთხოვს, ალუსრულებ,
ვინც მომიყვანს კაპოეტსო.“

შაშინ წამოდგა შავ-თვალ-წარბა;
თმა-ხუჭუჭა, წელ-წერწეტა,
ეშხით სავსე ახალ გაზღა,
თავი ხელად გაიმეტა.

ჯერ შეხედა მზისა დარსა
ურულითა და სიამითა,
თითქოს სურდა, რომ ძალ-ღონე
მოეკრიბა გულის თქმითა!

ისკუპა და გადაეშვა
აგზნებული იმედითა;
ტალღებს ებრძვის, აპობს, არღვევს
მხარ-მკლავით და გულ-მკერდითა.

გასცურა და შევარდენი
ხელში იგდო და დაბრუნდა,
მეტი ღონე, მეტი ხერხი,
ხელმეორედ ახლა უნდა:

ერთ ხელზედ ჰყავს შევარდენი,
ცალის ხელით უსვამს მხარულს,
თითქმის კიდეს მოატანა,
ვეღარ მალავს ის სიხარულს;

არა ნაკლებ ლიახვისა
მას უდელავს ვნებით გული...
დედოფლისკენ იყურება
ტრფიალებით აგზნებული,

და სურვილი კაღნიერი
ნორჩმა სახემ ვერ დამალა...
თვალი მოჰკრა დედოფალმა,
შეკრთა, ფერი შეეცვალა.

მიხვდა და სთქვა: „დედა-ღვთისავ!
გელათის ღვთის-მშობელო!
განარინე განსაცდელსა,
საქართველოს მწე და მხსნელო,

ის, ვინც დროშა მანიაკით
შემოგწირა ძლევის ნიშნად
და თავსაც სდებს სამშობლოსთვის
უბიწობის მსხვერპლად და ძღვნად”!..

აჩუხხუხდა მყის მორევი,
გაიპო და ჩანთქა გმირი;
ტალღა ტალღას შიაჯახა
ჩვეულებრივ შეჰკრა პირი.

და ლიახვი მოთქმით, ზარით
მტკვარისაკენ გაექანა,
რომ ის მსხვერპლი უჩვეულო
უფროს დისთვის მიეტანა.

დედოფალმა ცას შეხედა
და ცრემლები მოიწმინდა.
ვერვინ მიხვდა, რას ფიქრობდა,
ან რას გრძნობდა მაშინ წმინდა.

მაგრამ ბრძანა იმ აღგილზე
გორის ციხის აშენება,
რომ ჭაბუკის სახსოვარად
ხალხში დარჩეს, როგორც მცნება.

მოგზაურო, ხომ უყურებ
იმ ძველციხეს რომ არ ქრება?
თითქოს დღესაც სამშობლოს მტერს
მომავალით ემუქრება.

0803-არაპნი პრილოვისა

(გადმოქარტულებული აკაკის მიერ)

სპილო და ფინია

ერთხელ სპილოს საჩვენებლად
ქუჩა-ქუჩა ატარებდენ.

ამ საკვირველ სანახავით
მაყურებელს ახარებდენ,

ახლოს ვერ ვინ მიეკარა,
ყველა ისე შეაშინა,
მაგრამ უცბათ საიდგანლაც
გამოხტა ერთი ფინია.

გადიგრიხა კუდი, შეხტა,
გაწიწმატდა და გამწარდა;
შეულრინა, შეუყეფა,
მაგრამ ზედ-კი ვერ მივარდა.

გოშამ უთხრა: „რას შასხარობ?“
უნდა გითხრა, მებრალები!
ვერ ხეთვ, რომ ყურს არ გიგდებს,
და ტყუილად რად იღლები?“

უპასუხა: „მეც-კი ვხედავ,
რომ არ მაქცევს ყურადღებას,
თვარა, ეს რომ არ ვიცოდე,
გავბედავდი განა ყეფას?!“

რა მაკლდება, შორი-ახლოს
ასე ყეფით რომ მივსდიო?
ვინც შემხედავს, ასე იტყვის:
მარჯვეა და გულადიო!?

გირი და ბუღბუღი

ვირმა მოპკრა ბუღბუღს თვალი
და უთხრა მას: „მეგობარო!
ამბობენ, ვითომც მღერალი
შენ ჩინებული რამ ხარო.

მე ძალიან გულითა მსურს
მოვისმინო შენი სტვენა,
გულმოდგინედ დაგიგდებ ყურს,
თუ გაქებენ ლირსად შენა“!

მღერალმა გამოიჩინა
აქ თავისი ხელოვნება,
ათას-ნაირად დასტვინა,
აიგზნო რა გულის ვნება.

ნელ-ტკბილად იწყო მან მოთქმა:
ხან წყნარ ჭიკჭიკში სღნებოდა,
ხან მისი სალამურის ხმა
მთას და ველს ეფინებოდა.

ყურსა უგდებდა მღუმარე
განთიადისა მღერალსა
მიდამო, არე და მარე
მთლად გაეშსჭვალა მის ძალსა,
სიჩუმის აძევს მას ფარდა,
არ იძვრის, დაწვა ნახირი,
სხვა ფრინველთ გუნდი დაწყნარდა,
ჩადგა ნიავი, ზეფირი,

და მწყემსი აღელვებული
სუნთქვასაც ძლივს-ლა ბედავდა
მხოლოდ უძგერდა გლახ-გული,
სატრფოს რომ მღიმარს ხედავდა!

გათავდა მღერა!.. ბულბული
თამამად შეაჩერდა ვირს,
მაგრამ იმისშა მსაჯულმა
თავი დაჰქინდრა ბრძნულად ძირს,
და უთხრა: „ჰჰო, რა უშავს!
სწორი უნდა ვსთქვა... მართალი!
მაგრამ მებრალვი, რომ არ გყავს
ნაცნობი ჩვენი მამალი!

ადვილად შეიძლებოდა
მისი ჰანგებიც გესწავლა,
და მაშინ სხვა იქნებოდა
მაგ შენის გალობის ძალა“.

რა გაიგონა მდერალმა
ამნაირი რჩევა წმინდა;
ფრთა გაშალა შესაბრალმა,
ცხრა მთას იქით გაღაფრინდა.

და ამგვარი მსაჯულები
აგვაშოროს, არც ჩვენ გვინდა!

ჭირგეული თამადა

„დალიე! ლმერთმა შეგარგოს!...
გადაპყარ, ჩემო ძამია!“

— „დამაცა! რა დროსი არის?
ჯერ პურიც არ მიჭამია!

— „რა ვუყოთ! ვერ მოესწრობი?!
წინ არ გიწყვია საჭმელი?

ალავერდს მოვალ, დაიჭი!

ამ სასმისს მოჰკიდე ხელი!

ოჳ .. ეგრე არ სჯობს?! გაამოს!
ჩიყლურჭე შენი სულისა!...“

ახლა ეს თასიც დასცალე,

მაგანაც გამაგულისა!“

— „ასე ზედი-ზედ? რას ჩქარობ?
დამაცა, სული მოვითქვა!

უზმოზედ ღვინომ მიხამა,“

გულზედ დამაწვა, როგორც ქვა.“

— „არა უშავს რა, გადივლის,
„მოჰკლასო ხარი თივამო“.

მასპინძლის სადღეგრძელოა,

და ნუ თუ გულით არ სვამო?“

— „არ შემიძლია და რა ვქნა?!“

— „ეჭ, ნუ ხარ ჭირვეულიო!“

ორივე ხელით იჭმევა

ქადა, თუ გულობს გულიო!“

— „აგრე არა სჯობს? შეგარგოს!

დასცალე, რისი გრცხვენია?“

გწყალობდეს მაგის ზედაშე,

ხომ ხედავ, ლალის წვენია!

ეს აზარფეშაც დასცალე,

შეკრული ნუ გაქვს კბილები!

უნდა დავლოცოთ მასპინძლის

კარგი ცოლი და შვილები!“...

— „მოვკვდი, ბატონო!“ — „რა გიშავს?!“

— „რა ვქნა, რომმეტს ვერ ავიტან?!“

— „გაბედე! რა დროს ეგ არის,

მადაც მოგივა თანდათან!“

რომ მოუწყინო მასპინძელს,

სირცხვილი არის, ხომ იცი?!.“

— „კი, მავრამ არ შემიძლია!

არც ჯერი გადის... არც ფიცი?!.“

ძალას ატანდა ამ გვარად

ერთხელ სტუმარსა თამადა,

სტუმარს კი ნაძალადევი

ლვინო მიაჩნდა შხამადა.

არ იქნა... აღარ მოეშვა,

და რომ არ მისცა საშველი,

ზე წამოვარდა სუფრითგან,

ქუდს მიატანა მან ხელი,

და თავს უშველა, გაიქცა:

თავს ვერ შევსწირავ ლვინოსო,

მასპინძელიც და თამადაც

ლმერთმა კი შეარცხვინოსო!“

სალირიკო ბოეზია

ლექსი აკაპისა

ჩემო თავო

ჩემო ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიუღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!..

მით ჯოჯოხეთს მარად გულით ვატარებ!
თუ მარტო ვარ, თავს მომაკვდავს ვადარებ,
თუ ხალხში ვარ, ძალით ლრუბელს ვადარებ
და მოწყენით ჩემზედ მტერს არ ვახარებ,
რომ არა სოქვან ჩემზედ: „რა ოხერია!“

ჩემთ თავო, ბედი არ გიწერია!

ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიუღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!..

* * *

აღარა აქვს ბოლო ამ ჩემს სატანჯველს,
არვინ მაძლევს სანუგეშოდ ძმურად ხელს;
ჩემს შარბათშინალველს ვჰვრეტ დარდში გველს
მისთვის ვწყევლი და ვემდური ამ სოფელს,
რომლისგანაც მე გზები ამერია!..

ჩემო თავო, ბედი არ გიშერია!
 ჩემო ჩანგო, ეშით არ გიუღერია!
 ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
 რაღანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!

რაღას ველი, ლრო არს განქრეს იმედი!
 გინდ მეწვიოს, ვერას მარგებს აწ ბედი,
 დამწვარი ვარ ისე, როგორც აბედი!
 ახა ღმერთო, რა უდროვოდ დავბერდი;
 საფლავისკენ ფეხი გამიშვერია!..

ჩემო თავო, ბედი არ გიშერია!
 ჩემო ჩანგო, ეშით არ გიუღერია!
 ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
 რაღანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!..

დავუძლურდი, განქრა გიუი ოცნება...
 ნაღვლიანად ჩემს თავზედ მეცინება
 და ღმერთს ვვედრებ: „ღმერთო, მომეცი ნება,
 რომ მელირსოს საფლავში დაძინება!..
 სჯობს, სულ განქრეს კაცი, რაღანც მტვერია!“

ჩემო თავო, ბედი არ გიშერია!
 ჩემო ჩანგო, ეშით არ გიუღერია!
 ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
 რაღანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!

აღმართ-აღმართ

აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელი,
 სერზედ შევდეგ, ჭმუნვის ალი მენელა;
 მზემან სხივი მომაფინა მაშინა,
 სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა.

შემიღულდა მაშინ სული და გული;
იმ ნადულში თვით მე ვიყავ დაგული.

გულმა ძერა, სულმა შფოთვა დამიწყო.
ჩანგმაც თვისი მე სიმები დამიწყო.

ხმა სიმართლის შეუპოვრად გაისმა;
(აწ იგი ხმა ვერ ისმინოს გაისმა).

ცის მახლობლად ფეხ ქვეშ ვიგრძენ მიწა მე,
ვსთქვი: „ცხოვრებავ, მეც ერთ კაცად მიწამე?“

და ვიფიქრე: „ჩემი სატრფო სად არი?
ნისლი ჰბურავს, თუ დღე უდგას სადარი?
გადვიხედე, ვნახე, რომ სხვას ჰმონებდა!
გამიკვირდა! ვსთქვი: „მტერს როგორ მონებდა?“

მოხიბლულა, შემცდარია, ის არი!...
ალერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი!“
მივაძახე: „ჭინჭარში ნუ ვარდები!...
ნუ გვონია იქ ია და ვარდები!

შეიბრალე თავი შენი, იცოდე!
მაგ შარბათში საწამლავს სვამ, იცოდე!“
არ მისმინა მწუხარებით დანაგულს
და დამასო საუკუნოდ დანა გულს!

ალმართ-ალმართ მივდიოდი ნეტა რად,
თუ ამ სერზედ თავს ვერ ვგრძნობდი ნეტარად?
ჩემო თავო! ვეღარ გკურნვენ წამალით!
დალმართ-დალმართ დაუყევი, წა მალით!

იქ ჩაბძანდი, სად გელიან ლოდებით,
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით!
დაივიწყე, ვინც გახსოველა მარად, ის,
ხელ-დაკრებით განისვენე მარადის!

ს პ შ ე ლ ა ც ი ი ს მ ც ა დ ნ ე

(სატირა)

ბედნიერია ჩანჩურა! შვილი ჰყავს მას საქები,
თქვენს მზეს ვფიცავ, წყალივით იცის აპელაცია!...
წვერ-ულვაშს აღარ ჰყადრულობს, მოუშვია ბაკები:
ეს სწავლის ნიშანია, უჰ, რა დიდი კაცია!...

ქართულ ტანისამოსსა აბა რაღად იკადრებს:
სწავლული კაცი არის, ტანზედ ფრაკი აცვია;
ვინც რუსული არ იცის, მთის ნადირსა აღარებს,—
ვინ ამტყუნებს, მართალს ბრძანებს: ის სწავლული კაცია!...

არ მოსწონა, სალამური, არც თარი, არც ჩონგური,
ლეკური ეზიზლება, მოსწონს ტანცი-მანცია;
ვერც დავზრახავთ! ოპერისთვის მიუჩვევია ყური;
უჰ! რა შვილი დამდგარა! რა სწავლული კაცია!...

მაზრაც კი ჩაბარეს, აშ ჭილა შეედრება!
მოჩივარს რომ შეუტევს, სწორედ რომ მამაცია!
უფულო კაცის წვევა უამივით ეჯავრება!
სხვა რამე არ იფიქროთ?! ის სწავლული კაცია!...

ამბობენ, ქრთამი სძულსო, არ იძლვის არც ქათამსა,
მხოლოდ მაშინ არ იწყენს, თუ მსუქანი ვაცია,
მაგრამ ეს ზვარაკია! ამას ვინ ეტყვის ქრთამსა?
სხვამ რომ ჰქნას, ის სხვა არის! ეს სწავლული კაცია!

თუ რუსული არ იცი, ახლოს ნუ ეკარები,
მუსაიფი არ უყვარს, ქართულში ზარმაცია;
უსწავლელებთან თურმე მოსდის ზაფრის ქარები;
რა ჰქნას? არ გავამტყუნებ: ის სწავლული კაცია!..

გაბუტვით დადის, სიბრძნე აღარ ეტევა ყელში,
მთელს ნაციას ის მოსწონს, მას სძულს მთელი ნაცია!...
აი სწავლული შვილი, სანატრი ამ სოფელში,
ქართველების შეხედვით ყოვლად კარგი კაცია!..

ახალი წელი

მას უხაროდეს ახალი წელი,
ვინც კი ცხოვრებით კმაყოფილია,
ვისიც წარსული არ იყო მწველი
და მომავალი ვისიც ტკბილია;

ვინც შარშან გულით ვარდი ატარა
და წელსაც პფიქრობს. მომკის იასა,
და თვისი გული მან მით აზარა
სამოთხის კარსა, შვებით ლიასა;

ვინც ტრფობის ტახტად შეიმკო გული
და ზედ ხელმწიფედ დასვა იმედი;
და ვისაც ეშხით, ვითა ბულბული,
განუწყვეტელად უმღერდა ბედი!

მას უხაროდეს... თორემ ნაღველი
ვინც შესვა ჩემებრ და სცნო მწარ ძალა,
მას რაღად უნდა ახალი წელი?
მისთვის ერთია „დღესა“, თუ „ხვალა!“

სამივეც ერთად შეზავებული:
წარსული, აწმყო და მომავალი
ვეღარას არგებს! ბნელი უფსკრული
და საფლავია მისი წამალი!

მაშ ნუ მილოცავ მე ახალსა წელს!
ჩემთვის ერთია — „ახალი“, „ძველი!“
თუ შარშან ვსვამდი მწარესა ნაღველს,
ამ სასმელს წელსაც ველი და ველი!

*
**

(სცენიდამ ნათქვამი)

იქ, სადაც, ძმებო, უმეტესობას
უკუღმა ესმის პატიოსნება,
ყურს ვინ დაუგდებს სიმართლის მღერას
და ვის რად უნდა ტკბილი მგოსნება?

იქ, სადაც მხოლოდ პირიდობისკენ
აქვთ მიქცეული თვალი და ყური,
რად იამებათ, აბა მითხარით,
ლექსი ტკბილი და ტკბილი ჩანგური?

იქ, სადაც მოძმე თავისვე ძმასა
მტერთან აბეზღებს მარად-და-მარად,
ვინ ეყოლება საბრალო მღერალს
გაჭირვების დროს შემწედ და ფარად!

იქ, სადაც თურმე ჰვეყნისთვის შრომა
მაიმუნობა ბევრსა ჰგონია,
მართალი სიტყვა სცენიდამ თქმული,
რა სასიამო გასაგონია!

ადგოჭატებს

ეხლანდელ ადვოკატებს,
იმ მჩხავან და წუწკ კატებს
ვერ აწამებს ვერავინ
ვერც ჯვარსა და ვერც ხატებს.

შათი უძლები გული
და შებლალული სული
მუდამ იმას თხოულობს, —
ფული, ფული და ფული!

სხვისი უბედურება
არც ერთს არ ეყურება,
სიტყვით სხვებს და საქმით კა
ჯიბეს ემსახურება!

ძველი აღთქმა ქებული
აქვთ დღეს დავიწყებული
და სჯულად გაუხდიათ
მხოლოდ ფული და ფული!

ეხლანდელ აღვოკატებს
იმ მჩხავან და წუწკ კატებს
ხერხიან სიცუდეში
ვერვინ გადაამატებს!

* *

გამდიდრებულხარ, ბატონო,
და ბრწყინავ გარეგნობითა...
თუმცა მოქმედობ გარყვნილის
გონებითა და გრძნობითა...

მაგრამ ვინ გკითხავს? რას დასჭევ?
ვინ ჩაგიდგება კვალშია?
დღიური ჭკუა-გონება
მხოლოდ ყურში და თვალშია!

ქვეყანა განწრული გაქვს,
გასაკემ-გასაყიდადა,
და მოძმე შენი რად გინდა,
თუ არ კიბედ და ხიდადა?

ფეხითა მათი მსრესელი
ასულხარ მალლა სერზედა
და იმ მაღლიდან აფურთხებ.
შენ წინ ქედ-მოხრილ ერზედა.

რა გაეწყობა?! ძლიერო,
იცი, შეგრჩება ყოველი!..
მაგრამა „ხვალე“ რას გეტყვის,
იმას შენ დღეს არ მოელი:

ჭეშმარიტება ჩაგრულ ერს
გამოუგზავნის მოციქულს...
ის თვალს აუხელს მძინარსა
და დაანახვებს მაგ შენ გულს.

მაშინ იქუხებს, იელვებს
ხალიხთ ძალი მიძინებული
და მეხს დაგატეხს კერპ თავზედ,
წარსულზედ შენანებული.

გაგარონინებს ქვესკნელსა,
გინდ მაღლა იყო ცათამდე,
და შეაჩვენებს შენს სახელს
უკუნით უკუნისამდე.

გამოთხვება

სიტყვით, საქმით და სურვილით
მე ნადევნი ყველასაგან,
ჩემის ნებით და სურვილით
აწ კი წავალ, დროა, სხვაგან.

ვეჯოვები იმა მხარეს,
სადაც ვიყავ ნაწამები,
სადაც ტკბილი არ მქონია
არა თუ დღე, არც წამები.

სადაც მხოლოდ პირადობას
არც ზომა აქვს, არც საზღვარი
და, „საერთო“, „საზოგადო“,
არ იციან, თუ რა არი!

სად მოქმედობს სუსტი სმე-
ნა,
ავი ენა, ხარბი თვალი!..
საღაც არ სწამთ და არ სჯე-
[რათ
საიმედო მომავალი.

სულიერ

საუგარეის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვნახე!.. დაკარგულიყო!
გულ-ამოსკვნილი ვჩიოდი:
„სადა ხარ, ჩემთ სულიკო?!”

ექალში ვარდი შევნიშნე,
ობლად რომ ამოსულიყო:
გულის ფანცქალით ვგითხავდი:
„შენ ხომ არ ხარ სულიკო?!”

ნიშნად თანხმობის, ჭოკობი
შეირჩა... თავი დახარა,
ცვალ-მარგალიტი ციური
დაბჟა ცრემლებათ დაურა;

სულ განაბუღი ბუღბუღი
ფოთლებში მიმალულიყო,
მივეხმატებილე ჩიტუნას:
„შენ ხომ არ ხარ სულიკო?!”

შეიფრთქიალა მგოსნმა,
უგავილს ნისკარტი შეახო,
ჩაიკვნეს-ჩაიჭიკვია,
თითქოს სთქვა: „დიახ, დიახ!

დაგვქათქათებდა გარსკვლავი,
სხივები გადმოსულიყო,
მას შევეგითხე შეფრქვევით:
„შენ ხომ არ ხარ სულიკო?!”

დასტური მომცა ციმციმით,
სხივები გადმომაჟარა
და იმ დროს უურში ჩურჩულით
ნიაგმაც ასე მახარა:

„ეგ არის, რასაც ეძებდი,
მორჩი და მოისვენეო!
დღე დაიღამე აწ ტკბილათ
და ფამე გაითენეო!“

„სამათ დაშლილა ის ერთი:
გარსკვლავათ, ბუღბუღ, გარდათო,
თქვენ ერთმანეთი რადგანაც
ამ ქვეუნათ შეგიუგარდათო.“

მენიშნა... ადარ დავეძებ
საუგარეის კუბთ-სამარეს,
ადარც შეგჩივი ქვეუნას, [რეს]..
ადარც ვლვრი ცოტმლებს მდუღა-
[ვენოსავ,

ბუღბუღს უურს გუგდებ, გარდა
გარსკვლავს შევეურებ ჭხენითა
და, რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს,
ვერ გამომითქვამს ენითა!

ისევ გამეხსნა სიცოცსლე,
დღემდინ რომ მწარეთ კრულ იყო,
ახლა კი ვიცი, სადაც ხარ:
სამგან გაქვს ბინა, სულიკო!..

მწერა

მთვარიანი დამე იუო,
წყნარი, გრილი, მომხიბლავი...
ზეგარდამო მაღლსა ჭვენდა
ძალთა ძალი უხილავი.

ცა ქვეუანას, ქვეუანა ცას,
უკრს უგდებდენ ერთმანეთსა;
მით ორივე შეთანხმებით
აღიდებდენ შემოქმედსა!

ცის და ქვეუნის შუამავლად
სხივი იუო მთიებისა
და იმათში პირველობა
შუქურ-გარსკვლავს მიეთვისა.

თვით მცენარე აღმაკმევით
მიმოვენდა სუნელებას...
სიჭაბუპა ძალსა გრძნობდა
და სიბერე — გაახლებას...

წამი იუო სასუფევლის
მრავალ-მეტყველ მდუმარება
და ნაუთვი სამოთხისა
ამაჟრუოლი ნეტარება.

აქ უცრად ვარდის ბუჩქი
შეიძრა და შეირხა რტო,
ზედ ბულბული თურმე იჯდა
გამსჭვალული მარტოდ-მარტო.

მოერია გრძნობა მდერალს,
გულში მაღლი ჩაესახა!...
ტკბილ-ზევსური, მწარე ზარი
ორივ ერთად შემოსძახა.

ხმა გასმა სხივ სართი რამ
ზეამტანი, ამაძგერი!..
უველა სმენად გადაიჭია
უსულო და სულიერი.

მოფერადე ჭანგით ჭანგის
დაიქანცა, დაიღალა,
თათქოს ჩასდნა თვის ჭიგჭიგშია:
ხმა შესწევიტა!.. გაქრა ძალა!..

ნაცვლად მისსა იქვე ახლოს
აჭიგჭიგდა სხვა ბულბული...
იგიგ კილო, იგივე ხმა...
შიგ არც სული და არც გული!..

თურმე რაღაც სათამაშო
ბავშვს ეჭირა, სულ ჭიბურავდა
და მანქანიც ხელოვნური
ბულბულისა ხმით უკრავდა,

მაგრამ ნამდვილს ისე ჭიგავდა
გითა მწერა განთიადსა,
გით უსულო სულიერსა
და ან ჩრდილი მისვე ცხადსა.

შევალარე ერთმანეთსა,
შეგუწინე დიდსა მცირე
და ასე ვსთქვი: „სხვა-და-სხვაა
შოეტი და მოშაირე!“

ხაცის წინ

მიუვარს, როდესაც ხატის წინ
ანთია წმინდა სანთელი

და საიდუმლო პარჩალით
ბნელს ფანტაზის მისი ხათეჭი.

შეუძროდ, უხმოდ და უძრავად
დნება, ვით მსხვერპლი დიადი,
რომ მაღლით გაასტერაკოს,
თვალ-უწიდომელი წევდიადი!..

მივჩერებივარ ამ დიდ-ქალს
მწარ-ტკბილათ ჩაფიქრებულია;
მეცა უსიტყვოდ, უძრავად,
ცის სვეტად გაქვავებული.

რაღაც უცნაურ ერთობას
გხედავ სანთელს და ჩემს შეა!..
მხოლოდ გგრძნობ, თვარა გერ წვდება
ჩემი გონება და ჭიშა.

სანთელი ჩემი ხორცია,
საცოცხლე — მოკლე პატრუქი;
ნათელი — ჭიშა-გონება,
იმათვან გამონაშექი!..

ჩემი სატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეუანა
და რომ ვიწოდე, ვდნებოდე
არ შემიძლიან მეც განა?

კი!.. მაგრამ შნათე არსად ჩანს,
ჩემთან მომტანი ცეცხლისა!...
ის მოციქული მომავლის,
მსგავსი ჭიკჭიკა მერცხლისა!..

* *

ზღვაო, აღელდი, აღელდი,
ქარტეხილს დაემორჩილე!
აამთაგორე ტალღები,
კიდეების გადააცილე!

მარგალიტების საფარო
შენი უფსკრული გულია,
მეუძრების დროს ის განძი
ქვეუნისთვის დაფარულია.

მხოლოდ როდესაც მრისხანებ,
გულს უხსნი მზე და მთვარესა;
იმ მარგალიტებს შესტურორცნი
შენს შემკვრულს არე-მარესა.

შოერო! ნურც შენ ეკრძალვი
მრისხანე გულის ღელვასა!...
ძილის დროს ქუხილს ნუ მოშლი
და სიბძელის დროს — ელვასა!..

ლექსი რაც. მრისთავისა

მ ე გ ა ნ ა ხ ი ს ს ი მ ღ ა რ ა

ვაზის ჭირიმე, ვაზისა, უფლისგან კურთხეულისა,
წითელი ლვინის დედაა, ვამხარებელი გულისა!..

ვაზო, შვილივით ნაზარდო, ულვაშებ გადგიგრეხია,
ჩაჰკონებიხარ ჭიგოსა, შუაზე გადგიტეხია...
თუ დაგიზურგავს ყურძნითა, ვერ გაუძლია ბექავსა...
რად არ ამკიდე, ვზიდავდი, არ დავზოგავდი მე თავსა!..
ჭირიმე შენი ფესვისა, მოვკვდები მე შენს ძირშია,
შენით ვარ მხნე და გულადი, იმედით გასაჭირშია!
შენი ზედაშის მაღლს ვფიცავ, შენ არ მოგაკლო ბარია,
გაგსხლა, შეგყელო, დაგთოხნო, არც კი ჩნდეს მონათხარია;
გაგფურჩქნო, გაგალამაზო, როგორც რომ პატარძალია,
ალარ დავზოგო მე შენთვის ჩემი ღონე და ძალია...
ვაზის ჭირიმე, ვაზისა, უფლისგან კურთხეულისა,
წითელი ღვინის ღეღაა, გამხარებელი გულისა!..

ქრთამის წინააღმდეგი

(სატირა)

მე ქრთამს არ ვეძებ, თქვენც კარგად იცით,
ამას არ უნდა კვეხნა და ფიცი.
ქრთამის აღება მეთაკილება,
რაღგან სახელი გამეკილება;
ღილი კაცი ვარ მე ხელოვნებით
და ხალხის საქმეც ხომ მეყურება!..
(ამას არ ვამბობ მე თავის ქებით),
მაგრამ, თუ ჩემზე უფროსი სწყრება,
მაშინ გავტრუნავ თაგვივით სულსა,
ჩავლუნავ თავსა, დავუგდებ ყურსა. .
ჩემი უფროსი ერთხანს იშფოთებს,
რა დაიმშვიდებს მღელვარე გულსა,
მოვა და ისევ მომეფერება:
ისევ დამიწყებს პატივის-ცემას!...
იცით რისთვისა? — ვერ მკადრებს ცემას,
ლანძღვით კი მლანძლოს, რამდენიც ჰნებავს,

ვერ მომაყენებს იმითი ჭრებას!,
მასთან, არა ვარ მბლოჭველი კაცი, — ქრთამს არ ავიღებ, განა არ იცით!...

თუ მითავაზებთ კარგსა ბაჩასა,
ან ლაზარინოს წყვილს დამბაჩასა,
ეს მეგობრული იქნება ძლნობა,
ამაში ყველა დამემოწმებით.

მე ქრთამს არ ვიღებ, განა არ იცით?
თუ გსურსთ, გარწმუნებთ მე ამის ფიცით!
თუ გამოჰვავნით ირმის გავასა,
მე ვინ დამიწყებს შასზედ დავასა?

ეს რა ქრთამია, განა არ იცით!
— მოსაკითხია, გარწმუნებთ ფიცით.
— ან ხანდისხანა: კაკაბს, ხოხობსა,
დურეჯს, ჯეირანს — სუფრის შემკობსა,
ველურსა ლორსა, მშველსა და თართსა,
მაშინ გადვიყრი გულიდგან დარდსა...
ეს რა ქრთამია, განა არ იცით?

მოსაკითხია, გარწმუნებთ ფიცით!
თუ მასმევთ კიდეც კახურ ლვინოსა,
რომ უფრო კარგად მომელხინოსა,
ეს ხომ სულ ყველას დააგვირგვინებს
და იქვე ტკბილად მე მიმაძინებს! .

ეს რა ქრთამია, განა არ იცით?
— მოსაკითხია, გარწმუნებთ ფიცით!

თუ დამპატიურებთ ოცის კაცითა, შინაურულად გეწვევით შინა,
თქვენს ცოლსაც ისე მივუალერსებ, თითქოსო მქონდეს მე თქვენ-
თან ბინა!

თქვენს ქალსაც გულით გადავეხვევი და გადავკოცნი იქ, თქვენს
თვალწინა.

ნაცვლად ამისა, თქვენს სულელს შვილსა ჩემთან დავნიშნავ
და წავწევ წინა!

მისთვის ადგილი თუმცა არამაქვს, მაგრამ მე გავხსნი იმავე წამში:
ჩემთან მსახურობს ღირიბი კაცი, ძლიერ წვრილ-შვილი, შესუ-
ლი ხანში,
თუმცა კი შრომობს, ერთგული არის, მაგრამ დავუგებ ამ ნაირ
მახდა:
ვეტყვი, გეყოფათ თქვენ სამსახური და აღარ მომწონს მე თქვე-
ნი სახე...
შემდეგ ამისა წავა საწყალი, ოც და-თხუთმეტის წლის ნამსახური,
ერთ ჯოგ წვრილ შვილსა ნეტა რით არჩენს? — ჩამოითხოვონ,
თუ შიანთ პური!

ეს ქრთამს არა ჰგავს, რომ შემოგვიცოთ...
ხომ შეგიძლიანთ, თქვენც დაამტკიცოთ?..
მე ქრთამს არ ვიღებ, ან კი რას მომცემთ? ოც-და-ათ თუმანს
ხომ არ ავიღებ?
არც სამოც, ოთხმოც, არც ორასისთვის ამოვიღებ ხმას, კრი-
ტის არ გავიღებ,
და თუ კი მომცემთ და მიწყალობებთ ოცი ათასის თუმნის
ოქროსა,
რა გაეწყობა, მოვკიდებ ხელსა, თუ გინდ სახელი გამიოხროსა!
თუ გინდ გამსვაროს თვით ფეხამდინ, სულ გამიჩირქოს ორივ
ხელები!..
არას დაგიდევ, საპნით დავიბან, და ფულით მაინც ვისახელე-
ჭერ ქრთამს არ ვიღებ, განა არ იცით? [გი!..
ხალხს არ დავჩაგრამ, გარწმუნებთ ფიცით!..

თინიას მამითადი

მამითადი ჰყავს თინიას, — დღეს არის ამის ლხინია,
ციბრუტივითა ტრიალებს საწყალობელი თინია!...
ქვრივ-ოხერს, ბეჩავ თინიას ჰყავს ერთად-ერთი შვილია,
პაწია, წვითა და დაგვით, ვაებით გამოზდილია.
დღის მეხრე იყო, მოუხნეს ერთი დღის მიწა ნაოში,

მაგრამ სათესლე გასჭირდა, — არ გახლდათ საკუჭნაოში! ...
 ჩამოითხოვა თინიამ ოროლი მუჭა ჩორბალი, მოთესა, უცებ ზღვა გასკდა, შიგ დატრიალდა ღვთხს თეხლი,
 თავთავმა თავი დახარა, ყველამ გალესა ნამგალი, თინას კი გული უსკდება, ვინ მისცა იმას მოქალა! ...
 თუ სანახევროდ სხვას მისცა, ჩალაა გასაყოფელი? თუ არა, ლონე არა აქვს, მისი ლონეა სოფელი...
 ჩამოუარა სოფელსა, სთქვა! ყველას დაველრიჯები! დალა-ადრიან მოადგნენ კარზედ რჩეული ბიჭები;
 „პოპულარი“ კიუინით მოედვნენ ქვრივის ყანასა! —
 არ შევხვედრივარ მამითადს მე არსად ამისთანასა! ...
 თინა მასპინძლობს გულ-უხვად, მოუტანია მჟადები,
 მაწონი, ორი დედალი, მუშისთვის დანამზადები...
 ცოტა არ იყოს, რცხვენიან, — ლვინო არა აქვს საწყალსა,
 მაგრამ ზედი-ზედ უზიდავს მამითადს წყაროს ცივს წყალსა...
 „პოპულარი“ და კიუინი უხდება ქვრივის ყანასა! ...
 არ შევხვედრივარ მამითადს მე არსად ამისთანასა! ...
 ციბრუტივითა ტრიალებს საწყალობელი თინია,
 მამითადი ჰყავს თინიას, დღეს არის ამის ლხინია! ...

სამშობლო ხეგსუნისა

სადაც ვშობილვარ, გავზდილვარ და მისროლია ისარი,
 სად მამა-პაპა მეგულფის, იმათი კუბოს ფიცარი,
 სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, — ჩემი სამშობლოის არი.
 არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
 არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.
 მე მირჩევნია შავი კლდე, თოვლიან-ყინულიანი,
 ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქარით გადმოპქუხს ბროლი-წყლიანი,
 ჯიხვი და არჩევ მეყოფა, ხორცი აქვს მარილიანი...
 არ გავსცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
 არ გავსცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა! ..

ბარად რომ ვიყო ლალადა, სული მთისკენვე იხარის, სალი კლდე ანდამატივით გულს სულ იქითკენ იხარის, იქ მიჯობს შავი სიკვდილი, ბარში სიცოცხლე იმწარის!.. არ გავსცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავსცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

* ბარად რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია, სასახლე ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია, არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია... არ გავსცვლი სალსა კლდეებსა, უკვდავებისა ხეზედა, არ გავსცვლი ჩემსა სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა, ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა; როგორც უფალო, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა... არ გავსცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავსცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

ნეტა რას სტირი, დედილო?

(აღა-მაჰმადხანის დროისა)

ნეტა რას სტირი, დედილო? რას ჩამომჯდარხარ კერასა? ასი მკრან გულში, მირჩევნის, მტირალი ქალის ცქერასა!

ნეტა რას სტირი, დედილო? რას სტირი, ძუძუს ჭირიმე? ჯარს იძახიან, დედილო, — სად არის ჩემი ხირიმი? თათარი შემოგვსევია, სწომს და აოხრებს ქვეყანას, ე-მა ქოხს თავზე დაგვაქცევს, ვენახს მოგვითელს. და ყანას.

ნეტა რას სტირი, დედილო? — რა დროს გლოვაა შვილისა? გულში მკრეს, აორგან გახვრიტეს ჩემი პერანგი შილისა.

ნეტა რას სტირი, დედილო? — დე აქ ვეგდო ღელოში, ხომ ველარ პნახავ ურჯულოს ველარსად საქართველოში?

ნეტა რას სტირი, დედილო? ჯერ ვერ წამოვალ შინათკენ, მე აქ ვიგერებ ყვაუ-ყორანს, თვალი მიჭირავს იმათკენ..

ნეტა რას სტირი, დედილო? სახლზედ უჟავი ფთხილადა,

ირმა ხარს მოუარევი, მარილს ალოკდე ხილადა,
ყანა გამარგლეთ ბეჯითად, არ მოერიოს ჭიოტა;
ე პაწა არ დამიმშიოთ, ფოცხვერს არ დამიჭმიოთა!...
ჯერ ნურას ეტყვი შენს რძალსა, ბალლია, ამიტირდება,
შობაშდის დავავიწყდები, ალდგომას გამიფრინდება!..

ნეტა რას სტირი, დედოლო? რას ჩამოშვარხარ კერასა?
ასი მკრან გულში, მირჩევნის, მტირალი ქალის ცქერასა!

რაზე მიწყრებია ეენო?

(წარსულ საუკუნოების ამბავი)

რაზე მიწყრები, ყენო? — ვიბრძოდი ქართვლის ჯარშია,
დღეს შენი ტყვე ვარ, ხელთ დაგრჩი, რაკი დავიჭერ მხარშია,
მამულისათვის ვიბრძოდი, რაში შემწამე ლალატი?...
შენი რა მმართებს, ყენო, თავს რომ მაღგია ჯალათი?...
მე სჯულისათვის ვიბრძოდი, სხვა რა შემწამე ავია?...
სჯულს არ შევიცვლი, ყენო, არ მოკვდეს ჩემი თავია.
ამისთვის — თუ კი გვინია — მენა ვარ მოსაკლავია,
„თვალი მომთხარე კისრიდან“, მომჭერ ფეხი და მკლავია;
მაგრამ ყელს გიწევ, ყენო, — შენი შვილების ლხენასა, —
ისმინე ჩემი ვეღრება: დღეს მე ნუ მომჭრი ენასა, —
მინდა მოკითხვა შევთვალო, ვილაპარაკო ქართული,
ვადიდო იქსო ქრისტე, სჯული, ენასთან შერთული.

ლექსი ილია ჭავჭავაძისა

ხმა სამარიდან

(სატირა)

სამართალს ფულითა ვსჭრდი, ნა თ
გროშისათვის კაცს გავყიდლი, ღირსალ
თვით ძმას ორმოს გავუთხრიდი

და ჩემ ჯიბეს ნელ-ნელ ვზრდიდი;
საზრდოს გლეხსა წავართმევდი,
მშიერს, მწყურვალს დავაგდებდი
თუ შიმშილით მოკვდებოდა,
მე ის არ დაშნანდებოდა.
რაც კი რამ ჰქონდა საწყალსა,
ჩემს ჯიბეს აძლევდა ხარჯსა;
ჩემი ჯიბე ვტენე, ვტენე.
ისე მოვკვდი, ვერ გავტენე.

II

ობლის ვეღრება, ტირილი
ჩემთვის იყო გაუგებრად,
განა ვიყავ მე გულ-ჩვილი?
სხვის ტირილი მიჩნდა მღერად.
წვრილ-შვილნი გლეხთა ქვრივებსა
შიმშილით ეხოცებოდნენ;
მათაც კი ვსთხოვდი ფულებსა,
რომ საქმისთვის მოვიდოდნენ.
ირჩობოდა, კაცს ვხედავდი,
მე შემეძლო მის მორჩენა:
მის მორჩენას გავბედავდი,
თუ მესმოდა ვერცხლის ბზენა.

III

თუ არა და ხელსა ვკრავდი
და მათ წყალში მე ჩავკლავდი;
ბევრსა საქმეს ამის მსგავსსა
მე ვიქმოდი მეტად კარგსა.
სიცოცხლეს კარგად ვიცნობდი
და იმ ცნობით ვსარგებლობდი:
დროზედ სიბრძავე ვიცოდი,
დროზედ თვალის ახილება,

დროზედ სიფიცხით ვიწოდი,
ხანც ვიცოდი დაზანტება.

IV

გლეხებთან ვიყავ ჭკვიანი
ტუტუცი ნაჩალნიკთანა;
უხმოსთან ვიყავ ხმიანი
და უსიტყო ხმიანთანა;
ვინც მე შიშით მიყურებდა,
მას ბრაგა-ბრუგს დავუწყებდი;
და ვინც კი დამიყვირებდა,
მას მე ფეხ-ქვეშ ვუძვრებოდი; თავი
ღმერთმან მოგვცა მარტი ხელი,
დაუღლელი თავის დღეში,
მუნით ცურდებოდა ჭრელი
ჩემ გაუმაძლარ ჯიბეში.

V

სულ ჯიბისთვინა ვცხდილობდი,
მისთვის კაცსა ტყავს ვაძრობდი,
ეს წყეული ვტენე, ვტენჯ,
აპა, მოვკვდი, ვერ გავტენე...
რალა ფითხრათ? ვიყავ კარგი, ფრეს შეგი
ქვეყნისათვის დიდი მარგი.
არც ვიყავ დიდი, არც მცირე,
ჩემს დღეში ცრუადა ვსწირე;
არც ვიყავ გლეხი, არც ბეგი;
მაშ რა ვიყავ? მდივან-ბეგი! ფრეს
და აწ მეხი გლეხებისა,
ერთგული ყმა ფულებისა;
მტვრადა ვლევარ სამარესა!
მოდი, ენდე ცრუ სოფელსა!...
შეიბრალეთ ჩემი გვამი!...
თუ ოდესმე ვინმე მნახეთ,

საიქიოს თუა ქრთამი,
გამახარეთ, ჩამომძახეთ,

ქართვლის დედას.

ქართვლის დედაო! ძუძუ ქართლისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა;
დედის ნანასთან ქვეთინი მთისა
მას უმზადებდა მომავალს გმირსა.
გაჰქრა ის დროცა!.. დიდმა ნაღველმა,
კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა,
სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა;
თვით შენი შვილიც ჩრდილად შესცვალა.
მითხარ, — საღლაა მამა-პაპური
მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური,
სახელისათვის ამაყი თრთოლა,
მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?
მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთხელით დანთქმულა,
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარღი..
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი; ცოდა
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...
აქ არის, დედავ, შენი მაღალი დანიშნულება და საღმრთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, —
რამ სიკეთისხვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...
მენდე, მიიღებს ნერგს, შენგან დარგულს
და მოგვცემს ნაყოფს, ვით კაცი კაცურს.

დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძლვეს კეშმარიტება,
უკან პრჩეს კვალი განათლებული.

მ ღ მ გ ი ა

მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა
მშობელს ქვეყანას ზედ მოჰვენოდა
და თეთრი ზოლი შორის მთებისა
ლაუვარდ სივრცეში დაინთქმებოდა.

**

არსაიღამ ხმა, არსით ძახილი!!...
მშობელი შობილს არჩას მეტყოდა,
ზოგჯერ-კი ტანჯვით ამოძახილი
ქართვლის ძილშია კვნესა ისმოდა!

**

ვიღექ მარტოკა.... და მთების ჩრდილი
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება,
ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსლა გველირსოს ჩვენ გალვიძება?!...

ნ ა ნ ა

ნანა, შვილო, ნანინა!
ნეტა რამ შეგაშინა?
რაზედ შეჰკრთი, მტირალნი
რისთვის მომაპყარ თვალნი?
ჯერედ ხომ შენი ბედი,
გრძნობა წინა-მორბედი
არ უხატავს მაგ შენს თვალს
ქართველთაღმი ღვთიურს ვალს?...
მაშ რაღამ შეგაშინა?
ნანა, შვილო, ნანინა!

ჯერ სინამ ხარ ყმაწვილი,
მინამ დრო მოგესწრება,
ისწრაფე, შვილო, ძილი,
ისწრაფე განსვენება!
მოვა დრო, გაიზრდები,
მკლავი გაგიძაგრდება,
შვილო, ყრმობის სიზმრები
ბრძოლაზედ გაგეცვლება.
არ შემიღრკე მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!

ჰნახავ ჩვენს ბედშაობას,
ჩვენს ერთობას დაკარგულს,
ჩვენსა წამხდარს გმირობას
და მამულს დაობლებულს...
აინთე ცეცხლით გული,
მტერსა დაეცი მეხად,
ან, ვით შვილი ერთგული,
დააკვდი მამულს მსხვერპლად!
არ შემიღრკე მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!

დედათა გული ჩჩილი
გამულისთვის მაგრდება,
რად მინდა იგი შვილი,
თუ მისთვის არ მოჰკვდება!
ვისაც ძე არ მეუკლავს,
როს მამულს სჭირებია,
შვილო, იმ ვაგლახ დედას
შვილი არ ჰყეარებია!
მე ისე არ წავხდები,
ნანა, შვილო, ნანები!
ჩემის მამულისათვის

მე ჩემს ძუძუს გაწოვებ,
მისის სიკეთისათვის,
გაგწირავ და გაბრძოლებ...
მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი,
ვისაც დაზარებია!...
შენ ისე არ წახდები,
ნანა, შვილო, ნანები!

იცოდე, ეგ სიკვდილი
მეტი ღიღი რამ არი!
უკვდავი არის შვილი
მამულისთვის მომკვდარი!
მამულს მიგცა ზეცამა
და, თუ ზედ დააკვდები,
ნუგეშ იცეს დედამა,
რომ კაცი კაცად ჰქვდები.
ნუგეშ ვიცემ მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!

სიკვდილის წამში მამულს,
შვილო, შენ გაუღიმებ,
რომ სისხლს, მისგან მოცემულს,
მასვე გმირებ უბრუნებ.
აღსრულდები ღიმილით,
რომ მამულს არ უმტყუნე
და შენ შენის სიკვდილით
მის სიკვდილი დასთრგუნე.
გაიხარებ მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!

თუ ეგრე შენ მოჰკვდები,
ნუ გინდა ნურა ძეგლი,

ისეც უკვდავ რქმნები,
 ვით დედის შენის ცრემლი!
 ჩემი ნანა ეს პრი,
 შვილო, მას უერთგულე, 2 168
 რაც მე სიტყვით გითხარი, 3 169
 შენ საჭმით აღმისრულე! 4 170
 ნანა, მამულის მსხვერპლო,
 პაწაწინა ქართველო!

ჰ თ ე ტ ო

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,
 ვით ფრინველმა გარეგანმა: 5 171
 არა მარტო ტკბილ ხმათათვის
 გამომგზავნა ქვეყნად ცამა.

**

მე ცა მნიშნავს და ერი მხრდის,
 მიწიერი ზეციერსა;
 ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
 რომ წარვუძლვე წინა ერსა.

**

დიდის ღმერთის საკურთხევლის
 მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
 რომ ერისა მოძმედ ვიყო
 ჭმუნვასა და სიხარულში:

**

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
 მეწოდეს მის ტანჯვით სული,
 მის ბედით და უბედობით
 დამედაგოს მტკიცე გული...

**

მაშინ ციდამ ნაპერწკალი, 7 172
 თუ აღმიფეოქს გულში ცეცხლსა,

მაშინ ვიმლერ, მხოლოდ მაშინ
მოვსწენდ ერსაც ტანჯვის ცრემლა!

თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე

Его стиховъ плѣнительная сладость
Пройдетъ вѣковъ завистливую даль.
Ашвазибо

მისი ლექსი შვებით, ლენით
ხან მეჯლისში შეპტრინდება,
გულს ჩაეკვრის, ჰლალობს, ჰხარობს,
ხან ღონდება ნაზ ქალსავით,
უიმედო სიყვარულით;
ხან იფეთქებს ჭაბუკასავით
და განდევნის სევდას გულით;
ხან ბუჩქებში მიმაღული
ჰზის მარტო, ვით იაღონი,
შეპყეფს ვარდსა გულსაკვდავად,
ტროფობის ისრით განაწონი;
ხან ჰრბის ველად, მარტო ჰგალობს
უდაბნოში, ვითა მწირი,
შეპყვნეს შავ ბედს ქვეყნისასა,
ქვეყნისათვის ანატირი;
ხან ღავურებს ნაღვლიანად,
დაფიქრებით გოგჩის ტბასა
და ემდურის მწვავის მოთქმით
დაუნდობელ დროთ ბრუნვასა...

* * *

დაბნელდა სული, გარშამოც ბნელა,
სიცივე მკვიდრობს ეტლა ჩემ გულში;
ალარ მაქვს საზრდო სულისათვის მე ცვლი, ნიშან
არც სიძულვილში, არც სიყვარულში.

დიდხანს ვებრძოდი სიმდაბლეს, მტრობას
და გავიმაგრე ჭაბუკი მკლავი,
ბევრჯერ მამარცხებს, მაგრამ არვის წინ
არ მომიხრია ამაყი თავი.

ვისაც ვებრძოდი, ბრძოლად არ ჰლირდნენ,
გვიან შევიტყე ეს ცდომილება;
ეხლა მათ საზიზლ, დაბალ მტრობაზედ
არც მეცინება არც მეტირება.

დაბნელდა სული, გარშამოც ბნელა,
სცივე მკვიდრობს ეხლა ჩემ გულში;
ნიალარ მაქვს საზრდო სულისათვის მე
არც სიძულვილში, არც სიყვარულში!

თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება.
ნ. ბარათაშვილი.

ალარა გვყევხარ!.. უღმრთო იყო შენი სიკვდილი
ვინ უწყს, რამდენი საუნჯენი დავმარხეთ ჩვენა?
ეგ მტკიცე გული, სიყვარულის სხივ-ქვეშ გაშლილი,
რაოდენ გრძნობით, ჯერ უთქმელით, ჩვენ ჩაგვესვენა?
ვინ იცის, თანა რაოდენი წარილე ფიქრნი!
მათ მნიშვნელობა დაგვეკარგა ჩვენ საუკუნოდ...
რაოდენ იმედთ და ნუგეშთა კოკრად უვავილნი
ჩასჭინენ შენს გულში განუშლელად ეგრეულროოდ?
არა დედ-მამა, — მაგ სიკვდილით დაობლდა ერი!..
ვისლა მივანდოთ ჩვენი გრძნობა, ტანჯვა და ლხენა?
მაგრამ, პოეტო საყვარელო, ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი სიკვდილითაც არა გკლავს შენა.

მ ტ კ ვ რ ი ს შ ი ჭ ა ს

კვლავ ჩემწინ მტკვარი მორბის ქუხილით,
ამ ქუხილში ცცნობ მშობლიურს გრგვინვას,
კვლავ ჩემი გული იმავ წუხილით
შეჰქვნეს მღვრიე ზღვირთა მღერითა დენას.

კვლავ განიღვიძეს ჩვეულთა ფიქრთა
და აღმეშალა დიდის ხნის წყლული ..
შევკვნეს, შევსტირი მე ამა ზურითთა,
თითქო მათ შთანთქეს ჩვენი წარსული.

წაგშლიან კვალნი, დროო ნეტარო!
მტვრად აღუგვიხარ საუკუნესა,
მისმინე აჯა, მისმინე, მტკვარო,
იმ დროთ გარდაეც ეს ჩემი კვნესა!

მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰორ, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება;
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულ-განაბული,
ლამე თენდება ეგრედ ჩემი და დღე ლამდება.

დაუინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება,
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად იძვრის ჩემს [გულში,
და მე არ ვჩივი, — მიხარიან, რომ ეგრედ ჰურვება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში.

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!..

გ ა ჭ ა ფ ხ უ ლ ი

ტყემ მოისხა ფოტოლი,
აგერ მერცხალიც ჭყივის, ბა
ბალში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.

აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსლა აყვავდები?

ღ ღ ც გ ა

მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!
მუხლ-მოდრეკილი, ლბომიერი ვდგევარ შენ წინა;
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა;
არ მინდა ამით შეურაცხ-ვჰყო მე ლოცვა წმინდა...
არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი
მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე—არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“

ბ ე დ ნ ი ე რ ი ე რ ი

(იტალიურიდან)

ჩვენისთანა ბელნიერი
განა არის საღმე ერი?

მძიმე ყალნით,
ლამაზ ფალნით
მორთული და მშვენიერი; აშენ აშენ ჩორ
უწყინარი,

უჩივარი,
ქედ-ლრეკილი, მაღლიერი;
უშფოთველი,
ქვემ-ძრომელი,
რიგიანი, წესიერი,
ყოვლად მთმენი,
ვით ჯორ-ცხენი,
ნახედნი და ლონიერი.

* *

ჩვენისთანა ბეღნიერი
განა არის საღმე ერი?!
ყველა უნჯი
ყველა მუნჯი,
გულ-ჩვილი და ლმობიერი;
თვალ-აბმული,
თავ-აკრული,
პირს ლაგამი ზომიერი;
ყველა ყრუი,
ყველა ცრუი,
ჭვა-დამჯდარი, გულ-ხმიერი;
მცირე, ლიდი
ყველა ფლიდი,
ცულლუტი და მანკიერი.

** *

ჩვენისთანა ბეღნიერი
განა არის საღმე ერი?!
მტვერ-წაყრილი,
თავ-დახრილი,
ყოვლად უქმი, უდიერი;
უზღუდონი,
გზა-მრუდონი,

არ გამტანი და ცბიერი;
 მტრის არ მცნობი,
 მოყვრის მგმობით
 სხვასთან მხდალი; შინ ძლიერი;
 არ რის მქონე,
 არ რის მცოდნე,
 უზრუნველი და მშიერი.

**

ჩვენისთანა ბედნიერი
 კიდევ არის საღმე ერი?

რა გაჭეთეთ, რას ვშვრებოდით
 ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტის
 საუკუნისა

ერთხელ მე და პაპა ჩემი
 ერთს ადგილს შევიყარენით;
 ჯერ, ოოგორც მოგეხსენებათ,
 მრავალჯერ დავამთქნარევით.

მერე ვუთხარ? — პაპა ჩემო!
 უწინდელი რამ გვაუწყეთ:
 რით ვიდიდეთ თავი ჩვენი;
 სახელი რით მოვიხვეჭეთ?

მაგალითებრ, მაშინ, ოოცა
 მიიწურა ქართლის ბედი, —
 ოოცა მოგვიკვდა ერეკლე,
 ის ჩვენის ქვეყნის იმედი, —
 რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
 — შენი მტერი!.. პირლიადა
 დავრჩით და ცას შევყუროდით.

მერე, რას მეფე გიორგი
დაჯდა შერყეულსა ტახტზედ,
შინ თვის-ტომნი აუჯანყინენ,
წამოასხდნენ მტრადა თავზედ,—
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ჩვენც ერთმანეთს გულ-მოდგინედ
ვწერდით და ვიწერებოდით.

მერე, როცა ემაგ წერით
მეფეს საქმე გავუჭირეთ
და ქვეყანას ერთგულობა
ჩვენი ურცხვად დაუძვირეთ,—
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— რუსეთისკენ სახვეწნელად
გავრბოდით და გამოვრბოდით.

მერე, როცა საწყალ მეფეშ
დაგვიყენა ლეპნი მცველად,
თვის ქონება სრულად დასდვა
ჩვენის ქვეყნის დასახსნელად,—
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— მადლიერნი მუთაქაზედ
ვიწერით და ვნებივრობდით.

მერე, როცა მოკვდა მეფე,
აიშალნენ მეფეთ ძენი
და ერთმანეთის შურითა
სულ ძირს დასცეს ქართლის ბჟენი, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ჩვენც ლამაზად სულ ყველასა
თვითო თვითოდ ვღალატობდით.

მერე, როცა დაქსაქსულნი
შავმა ბედმუ ხელთა გვიგდო

და ჩვენი სვე ბურთსავითა
სათამაშოდ წინ გაიგდო, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ჩვენც ყაბახზედ ვაჟკაცურად
ვჯირითობდით, ვბურთაობდით!

მერე, როცა გაგვიჭირდა

რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— მაშინ მივხვდით, რომ ყველანი
ერთს ტაფაში ვიწვებოდით.

მერე, როცა ამ წვა-დაგვამ
ლლენი ჩვენი მოგვაწიბილა,
ტანჯვა ვეღარ ავიტანეთ,
სინიდისმაც გაგვამხილა, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— შერცხვენილნი და დამწვარნი
აქა-იქა ვჩურჩულობდით.

მერე, როცა ეგ ჩურჩული
შეგვიტყვეს, თუ შეგვამცნიეს,
როცა ცხვრისა ფარასავით
მოგვკრიბეს და შეგვამწყვრიეს, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ფერ-მიხდილნი ბეზლობაში
ერთმანეთს ვეჯიბრებოდით.

მერე, როცა მაგ ბეზლობით
ზოგშა თავი გადვირჩინეთ,
ქვეყნისათვის ზრუნვა, ფიქრი
ჩვენ თავიდამ ავიცდინეთ, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?

— მოვყევით და სიხარულით
ყოველ დღე ვძელოვლათობდით.

მერე, როს ბედოვლათობით
საქმე ხელთ არ მოდიოდა,
რაც რამ გვქონდა, სულ გავფლანგეთ,
არა რა შამოგვდიოდა,—
რა გავაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ერთმანეთს უსინიდისოდ
მამულებს ვეცილებოდით.

მერე როცა მაგ ცილობით
ერთმანეთი ჩვენ დავლუპეთ,
ერთმანეთის მტრობით ჩვენს სახლს
ცეცხლი ჩვენვე წავუკიდეთ,—
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ჭკვიანურად რმ ცეცხლის წინ
ვისხედით და ხელს ვითბობდით.

მერე, როს ხელთ სათბობადაც
ჩვენი სახლი აღარ ვარგდა,
როცა დიდი და პატარა.
გალარიბდა, გალატაკდა,—
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— თვით შევსხედით მაღლა თაროს,
დაბლა ყმებსა ტვინსა ვწოვდით.

შერე, როცა ის ყმებიცა
დროთა ბრუნვით ჩამოგვერთვნენ
და ცხოვრების ჩვენის წყარო
მაგ გზობითაც თითქო შესწყდნენ,—
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— მაგას, შვილო, ნულარ მკითხავ...
ვტიროდით, ვიხოცებოდით!..

მერე, როცა მაგ ტირილით
ყმები აღარ დაგვიბრუნდა
და ყმებისა მოშორების
გულს ტკივილი დაგვიყუჩდა, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— რაღაც ბანკი მოვიგონეთ
და მასზედ ვლაზლანდარობდით.

მერე, როს საშვილი-შვილოს
ბანკს უმუხთლა თქვენში ერთმა:
ჩემთვის ბანკი რა ჭირაო,
არ მომცაო შვილი ღმერთმა, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— „Наплечо“-ბა გვასწავლეო,
მთავრობას ვეხვეწებოდით.

მერე, როცა... — კიდევ როცა!...
აქ გამიწყრა პაპა ჩვენი:
— შემაწუხე ამდენ კითხვით,
„პოულუსტა“, დამეხსენი.
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?...
მას ვშვრებოდით, რომ თქვენსავით
უსაქმოდ ვეხეტებოდით.

* *

აღარც ნატვრა და აღარც იმედია!...
ყველა წარხდა... ვაი ესრედ შთომილსა!
ვაი იმას, ვისაც ჩემებრ სცემია
გულს ისარი უიმედო ტრფობისა!...

**

ახ, რად გნახე შენ ჩემს საუბედუროდ?
რამან შეგქმნა ეგრე სავსე სიკეთით?

ეჭა, გულო, ერთხელ დაწყნარებულო,
ერთხელ მკვდარო, რაღად აღსდეგი შკვდრეთით?

**

მე მისი ვარ, ის-კი აհ არის ჩემი,
ის სხვას ასმევს ნეკტარს ნეტარებისას;
სხვას თავს ევლის, სხვას შეჰქარის, სხვას ეტრფის,
მე კი ვწყევლი დღეს ჩემის გაჩენისას.

**

საღ წარვიდე, ვის შევჩივლო, ვის უთხრა?
ვინ გამიღებს დახშულს კარსა ბედისას?
ვინა ჰკურნებს უკურნებელსა სენსა
სამუდამოდ წაწყედილ იმედისას?

ლექსი ბრ. ორბელიანისა

ი ა რ ა დ ი ს

ჩემო იარალი! ნეტავი ოდეს
ლხინით აღვსილნი ვსხდეთ ველსა მწვანეს:

ჩვენებურადა,

ძველებურადა,

ვსვამდეთ,

ვიძახდეთ:

იარი-იარალი!

ჯეირნის მწვალი შიშინით

ცეცხლზედა ღასტრიიალებდეს,

ყნოსვა, ღამტკბარი მის სუნით,

მაღასა განგვილვიძებდეს.

კახურის ღვინით ავსილი

აზართეშაცა ხელს გვეპყრას,

მოთალი, თევზი, მწვანილი

აგვიჭრელებდეს წინ სუჟრას.

ცა მშვენიერი,

ცა მობლიური,
მარად ბრწყინვალე ზე დაგვნათიდეს;
გაცხელებულთა
ლვინისგან შუბლთა
კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს...
შენ მომითხრობდე,
მე, ყრმა, გისმენდე,
გამოუცდელი — მოხუცებულსა,
თუ ვით ივერნი,
ლომ-გულნი გმირნი,
ჰბრძოლნენ, სცხოვრებდნენ დროსა წარსულსა.
გისმენდე, თუ ვით მდევარის ხმაზე
ჭაბუკნი მხნობით აღტაცებულნი,
მტერთ საძიებლად, დაცემად მათზე
შეგროვდებოდნენ, წამს შექურვილნი.
ვად მას მტერსა, ვის ანუ კლდენი,
ანუ ტყეთ სილრმე არ დაპფარვიდნენ,
ვითა შურდულებრ ტრედთ შავარდენი,
მიესეოდნენ და შემუსვრიდნენ!... [მსხვერპლად,
დავნატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულსა შესწირა
დავნატრი დროთა, როს აქვნდათ ტრფობა, მამულისადმი გულს
როს ერთგულება, სარწმუნოება] [აღმეცდილად,
ივერთ თვისებას შეადგინებდნენ;
ოდესცა ბრძოლა და მამაცობა
მათსა სახელსა განადიდებდნენ...]
გისმენდე: თუ ვით, დლესასწაულსა,
შექცევით, ლხინით, მოწოდებულნი
ჭაბუკ-მხედარნი ყაბახსა ¹⁾ ვრცელსა,
ვითა საომრად მომზადებულნი,

1) სადაცა ეხლა არის სასეირნო ბალი ალექსანდროვსკისა, იყო დიდი საჯირითო მეიდანი, სახელად ყაბახი.

ვით ალვა რგულნი ცხენზე უძრავად,

მოჰქრიან ესრედ, ვითა ნიავი.

ჰკრეს ნალარასა — განიყვნენ ორად,

აპა, საამო სჩანს სანახავი!

[ბრიალი,

ცხენთა თქრიალი, შუბთა ტრიალი, ჯირითთ სრიალი, ყურომაჯო
უზანგთა ცემა, ცხენიდგან ხტომა, კვალად შეხტომა და ხმალო
ზოგი არწივსა, [კრიალი!...]

ზეცას მფრინავსა,

ისრითა მკვეთრით განუპობს გულსა,

ჯირითი ზოგის

ზუზუნით მოჰქრის

და მოხვდა ქვაზე¹⁾ თასს ნიშნად დამულსა.

ამ ვაჟკაცობრივს შექცევას იგი²⁾ სიამით მარად უმზერდა შორით,
ვისცა ეწერა დიდება სახეს, ვინცა არლა არს, ვისთვისცა ვსტირით!
წასულთა დროთა, დიდების დროთა, ყოვლი კეთილი თანა

[წარიღეს.]

აწ უცხოს ცის ქვეშ ზოგთა ვსჭვრეტთ ოხვრით და ცრემლით
[ზოგის წმიდა სამარეს!...]

ვინ აღჩნდეს გმირი,

რომ მის ძლიერი

ბედს დაძინებულს ზმა აღადგენდეს?

რომელ მარჯვენით,

ერთისა დაკვრით,

უსულოდ ვეშაპს მიწად დასცემდეს?..

მაგრამ ამაო, ჩემო იარალი,

არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა!

საღ აზარფეშა, საღ არს მწვანილი?

1) ყაბაჩის თავსა და ბოლოს იდგნენ ორნი ქვანი, რომელთა ზედაც
დასმიდნენ თასსა და ესროლნენ ჯირითს, და ვინც მოარტყამდა, თასი
იმისი იყო, ჯილდოდ გამარჯვებისა. უკანასკნელ ჯირითში კონა ერისთავმა
გაიმარჯვა.

2) მეფე ირაკლი.

ღვინის წილ — კვასი, მზისა წილ — ყინვა!

გარდმოხვეწილმან ჩრდილოს წყვდიადსა

სადღა იხილოს ცა მშობლიური?

შენ ხარ პეტერბურლს, მე — ნოვგოროდსა,

გარეთ მკლავს ყრნვა და შინ — უგარი. —

გულს ეწუხების, რა აგონდების დღენი წარსულნი ნეტარებისა;
შარამ მოთქმითა ნუკეშ-ეცემის და ჭმუნვა მითცა შემცირდებისა.

ჩემი ეპიტაფია

როს ვიყავ ცოცხალ, ვითა შენა, მკითხველო,

მეცა მიყვარდა, მეც ვსტიროდი, ვილხენდი

და დაფიქრებით დავმზერდი საფლავებსა!

მერგო რიგი, და აწ ჩემს საფლავს დაჰმზერ შენ!

ამ ზენა სჯულსა ვერა არსი ვერ ასცდეს:

ვერცა ხელმწიფე დიდებისა გვირგვინით,

ვერცა გლახაკი, შემოსილი ძონძითა,

ვერც სიჭაბუკე, შვენებითა შემკული

და ვერც მოხუცი, დაღალული სიცოცხლით!

ყველა იცვალოს, ყველა მოკვდეს, დამიწდეს,

და შხოლოდ წრფელი სული, წმიდა, ცხოველი,

მღვთადა აღვიდეს ნაწილაკი მღვთაებრი!

თ. ალექ. გას. — ძეს დაბეჭდიანს

აწ სად არიან იგინი, მას უამსა ლხინში ვინც იყვნენ?

შმანი და ტოლნი, ვაჟ-კაცნი, რომელნი ხილვით გვალხენდნენ?...

განგვ შორდნენ გულის ნაცნობნი, ვინცა გულითა გვიყვარდნენ,

თვალთ მიგვეფარნენ... წავიდნენ... ძველთაგან დავშთით მე

[და შენ!...]

ან ეს რაცა ვსთქვი, რადა ვსთქვი; თუ რაც შინდოდა,

[ვერა ვსთქვი?]

და ვერ ვსთქვი რაცა, ის წყლულად გულს დამშთა და მით

[ვიტანჯვი!?..]

მარამ, თუ ვინმე აქ ჰქოვა ჰაზრი, ნაცნობი გულისა,
ვივიწყებ, რაც ვსვი სიმწარე ეკლიანს გზაზე სოფლისა!..

ან რაღას ველი სოფლისგან, რა მიხარია, რა მინდა?
რაც ვიყავ, იგი არა ვარ; ვერც კი ვპერძნობ, რაცა მიყვარდა.
დღე ყოველ, უამი ყოველი მაკლებს რასამე კეთილსა:
ვმზერ მწუხარებით მომავალს და ვსწყევლი ფუჭად წასულსა...

თამარ მეფის სახე ბეთანიის ეპიდესიაში

შენს წმინდას სახეს,
შვენცებით სავსეს,
სახიერებით განსხივებულსა,
ვუმზერ კრძალვითა,
თაყვან ცემითა,
ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!

*

მიხარის,— გიმზერ,
ვსწუხარ— და გიმზერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვთხიზლდე,
რომ აღარ ვპერძნობდე,
ჩემის სამშობლოს სულით დაცემა!...

*

ყვავილოვანი
წალკოტი შენი,
შენის დიდების სხივ-მოკლებული,
აღარა ჰშვენის,
აღარ გვიბრწყინვის,
შავ-დროთა *) ძალით ფერ-წახდენილი!...

*) შემოსვლა ლანგ-თემურისა და შაპ-აბაზისა, რომელთა
საშინლად გააოხრეს ჩვენი ქვეყანა. ქართველთა დაარქვეს შავი
დრო ამათ შემოსვლასა.

და ვით წასულსა,
სიზმარსა ტკბილსა,
მზეს, დიდებულად ჩასვენებულსა,
ვიგონებთ შენს ღროს,
გული გვიმაგროს,
სრულად არ წავსწყდეთ ცის შემრისხავნი!..
*

ხნით დამაშვრალი
დალონებული,
შენადვე, მეფევ, მოველ ვედრებით:
მოხედო ბელ-კრულს
შენს სატრფოს მამულს,
და ჯვარით *) შენით აკურთხო კვალად.
*

შენი ივერი
აღისდგეს ძლიერი,
და დადგეს ერად სხვათ ერთა შორის
წმიდით საყდარით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული!

ზნე ამაღლებით,
ძლევის დიდებით,
სამშობლოს მიწის სიყვარულით! —
და გაგვიცოცხლდეს,
რომ კვლავც მოგვესმეს.
სიტყვა ქართული რუსთაველისა.

*

რომ განვიღვიძნეთ,
სულით განვახლდეთ,

*) როდესაც საქართველოს ჯარი შეიყრებოდა სალა-
შქროდ, თამარ მეფე თვით აკურთხებდა მას ჯარსა ჯვარითა.

და გაჰქრეს ბნელი უმყურებისა!...

მაგრამ ცად თვალნი
გაქვს მიქცეულნი,
და მე ვეღარ მცნობ გულ-შემუსვრილსა,

*

დამცირებულსა,
ხმა-მიღებულსა,
ბედ-დაკარგულის ივერიის ძეს!...
ეჭვით ოღვისილსა,
უსასოდ ქმნილსა,
გულ-უიმედოს, გაუხარებელს!...

*

...ვა, თუ რაც წახდეს,
ვეღარა ალადგეს,
ვეღარ აღყვავდეს ახლის შვენებით?
და რაც დაეცა,
ის წარიტაცა,
შავმან ყორანმან, ვით უმწე მსხვერპლი?

*

...ჰე, ცრუ სოფელო,
დაუნდობელო, შენ კეთილი სად არს ფერ-უცვლელ?...
დიდება ჩვენი,
ცად სხივ-მიმფენი,
ნუ თუ ესლა გვაქვს, ვხედავ რასაცა?

დაყრუებულსა,
გზა-შეუვალსა,
უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს,
სად სახე მეფის,
დიდის თამარის,
სჩანს ძველს კედელზედ გამოხატულად!...

მუშა ბოქულაძე

რას მიყურებ აგრე გაკვირვებითა,
 ნუ თუ სახე არ გინახავს მუშისა?
 მყერდი ლია, ოფლით გასვრილ, მტვრიანი,
 ფერით რკინა, კისერ-ჩაუანგებული,
 კაცი გულით, დაჩაგრული ბედითა,
 სიყრმიდანვე სიღარიბით დევნილი,
 ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაჰქცევია
 შოვნისათვის მხოლოდ ლუკმა-პურისა!...

ან რა გიკვირს ჩემს შუბლზედა ლარები?
 წვერ-ულვაში, უღროდ გათეთრებული,
 ნიშანია გულში ლჩმათა ტკივილთა,
 დიდთა შრომათ, ლრმათ ფიქრებთა მწარეთა,
 უიმედოდ, უნუგეშოდ ყოფნისა!...
 სჩანს, არ იცი, რომ არიან ლარიბნიც,
 არის საღმე სიმწარითა ცხოვრება!..

ნუ გიკვირს კი, სჯობს ჩემს გულში ჩახედო,
 წაიკითხო სიმწარისა ამბები:
 ძმის ლალატი, მოყვასთაგან დაჩაგვრა,
 მეგობრისგან იუდასი ამბორი,
 საყვარლისგან — წყეული სიყვარული,
 ნაზის ხელით გულს დასმულნი დალები!...
 სოფლის გარე უწყალოდ განდევნილსა
 დამავიწყდა, რაცა ვიყავ ოდესმე!...
 და აწ მხოლოდ დამჭრთა ესე ჩემს ბედად:
 ტანჯვით შრომა, ოფლით ქებნა ლუკმისა...
 და მიღის დღვე, მიღის ლამე ამ ყოფით!

ნუ მიყურებ ასე გამწარებულსა?
 სიღარიბე მეტად ძნელი ყოფილა...

მე ვმუშაობ..! სხვანი კი იმღერიან,
ბედნიერნი, გულითა უზრუნველნი!...
ბალით მესმის ჭიანურის, ლხინის ხმა,
სავათნავას გულ-დამწველი სიტყვები...
გულით მინდა მეც აქედამ ხმა მივსცე,
მაგრამ გრძელების: მე მათი რა ტოლი ვარ,
და ლრმად ვჰმალავ გულში სიმწარის ოხვრას,
მალვით ვიწმენდ თვალში მორეულს ცრემლსა...
ეჰ, ვის ესმის, თუ სადღაც მუშა ჰკვნესის!...

მაშ ვინა ვარ, რა მქვიან ამ სოფელში,
თუ სიამის ერთი დღეც არ მახსოვდეს?
სიჭაპუკე ტანჯვით შრომამ წაიღო
და ვერ ვჰხედავ მომავალშიც ნუგეშსა,
მცირედს სხრვსა სიხარულის ნათლისას...
წყეულ იყოს, ვინცა მუშა აკურთხა,
მოკლებული ყოველ-გვარსა შვებასა,
კაცთა შორის კაცად არ მიჩნეული!...

რას მიყურებ დალონებულს, ფერ-მიხდილს?
მოვხუცდი და რა მაქვს მოსაგონებლად,
თუ არ ჩემი ვაებითა ცხოვრება?
რა მიამა? რომ მოვკვდე, რა ვინანო?...
როგორც მოველ, ისე განვალ ამ სოფლით,
სიცოცხლისვე დროსა დავიწყებული!...
რათ ვიშობე, თუ ეს ბედი თან დამყა?
ვინ ვადიდო, ვინ დავსწყევლო? არ ვიცი!
მაგრამ ჩემთვის დღე სიმწარით ღამდება.
რათა? რისთვის? ვის რა ვირი მოვპარე?...

რათ მიყურებ აგრე გაოცებული?
ნუ თუ, მართლა, კაციც არა გგონივარ?
რადგანაც ვარ სილარიბის სამოსლით

არა მქონდეს კეთილისა გრძნობაცა!...
მაშა მღვდელი ლაპარაკს რომ დამიწყებს,
ყურს რათ ვუგდებ გონება-მიზიდული?...
მის სიტყვები, ზოგჯერ თუმცა არ მესმის,
მაგრამ გულს კი უხარიან მათ სმენა!
სულს მიმაგრებს ძალი ნუგეშ-ცემისა,
ზეციურის მაღლით განათებული.
გულში ჰქონება ღელვა სიბოროტისა...
ვჰერძნობ სიმშვიდეს... ლოცვაებსა ვიგონებ...
მაგონდება დღენი ყმაწვილობისა,
ხმა დედისა, მისი ტკბილი ალერსი...
თვალწინ ვჰედავ დიდხანს დავიწყებულთა...
და აღარ ვსწყევ ჩემს შობის დღეს, ჩემს ბედსა!...
მაშინ შრომაც დიდად მიაღვილდება,
და მას ღამეს მძინავს ისე მშვიდობით,
თითქოს ჩემს ქოხს დაპფრინვენ ანგელოზნი!...

განცხრომის ძევ, ნებიერად გაზდილო,
ეს ქვეყანა შენთვის არის შექმნილი!
ველთ სიმწვანე, ცის ლაქვარდი, მზის შუქი,
გაზაფხული სუნნელების ნიავით,
შენ გეტრფიან, გახარებენ, გატკბობენ!
შენთვის ჰბრწყინვენ თვით ლამაზნი თვალებიც;
ნაზი წელი რხევით შენკენ რონინებს;
მიმოჰქონან შენთვის, ზღვაში ხომალდნიც,
ხელოვნების ძვირთ საუნჯეთ მზიდველნი;
თვით მეც, მუშა, ჩემის ღონით, ოფლითა,
შენთვისა ვარ დაბადებით მსახურად:
დილითვე ვჰევი ქუჩის უწმინდურებას,
რომ მის სუნი არ ეწყინოს შენს ცხვირსა,
და შორით გმჩერ, კრძალვით მლოდე წყალობის...
შენ ხარ მეფე... მე ძალადაც არ მაგდებ!... კი
რათა? რისთვის? ვის რა ვირი მოვპარე?

რაღა გითხრა, ნუ თუ ეხლაც ვერ მიჰვდი;
 რა ძნელია შოვნა ლუკმა-პურისა?
 როგორ ახდენს სილარიბე კაცის გულს
 და აბნელებს სულის სხივსა, გონებას?
 ეჭ, ძმავ, წადო შენ შენს გზაზე სიმღერით...
 მე ჩემს ბარგსა როგორმე იქ მოვიხსნი...
 სად მე და შენ ვიქმნებით თანა-სწორნი,
 საუკუნოს განსასვენია ალაგსა!...

ფ ს ა დ მ უ ნ რ ა მ ი დ ა ს ტ ა დ

(ჰიმი)

ვინა აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,
 საღა ჰეგალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას?...
 — სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმედის,
 ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკითხვად,
 და სიყვარულით შეიწყალა ცდომილი ვნებით...
 ვინცა ამ სოფლის დიდებასა, მზეებრ მნათობსა,
 მონებრ არ მისდევს, სკრობს რა მისს შუქს ფუჭ-წარმავალსა
 ვინც ძლიერებას ხმითა მაღლით ამცნო სიმართლე
 და ძმას დაცემულს მისცა ხელი და აღადგინა!...
 იგი აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,
 ღვთისა დიდების გალობითა ნათელ-მოსილი.

შესუხი შეიღთა

(სატირა)

ჰე, განუსჯელნო,
 უმატლო-შვილნო,
 საუბედუროდ, ცუდს დროს შობილნო!
 საღლაც მიმაღვით
 რას პროტავთ, ჰენავით,

გაბოროტებით რათა სწყევთ მამათ?... .

უკადრისობით

და უმეცრებით

ვერ დააბნელებთ მათ სახსენებელს;

მხოლოდ თქვენთ სიტყვებთ,

თქვენვე ინანებთ,

თქვენსვე გულს უკბენს უსამართლობა!

დრო მამებისა,

მამაცობისა,

წარვიდა მათთა სახელთა ქებით! *)

მამანი თქვენნი,

თავის დროს ძენი,

თავის დროს იყვნენ სახელოვანნი!...

ოსმალ-სპარსები,

დალისტნის მოები,

ქებით გეტყვიან დიდთა. მათ საქმეთ!

მათ დაიფარეს,

სისხლით დაიცვეს,

სისხლ-შემოსილი მამული თვისი,

და სასო ლვთისა,

მცველი ერისა,

ენა, საყდარი, სარწნუნოება!...

* მარტო მარტო მარტო მარტო მარტო მარტო მარტო

*) ლენერალი ივანე აფხაზი, ალექ. ჭავჭავაძე, ვასილი ბებუთოვი, მოსე არლუთ., ივანე ანდრონ., ზაქ., ილია და სოსიკო ორბელი., იასონ და ნიკო ჭავჭავაძე, ნიკო ერისთავი, ნიკო ამილახვარი, დავით ვახვახოვი, ზაქ. ანდრონი., ივანე ბაგრატიონი, იოსებ თარხ., ქობულოვი, სვიმ. შალიკვაზი, ბაქრაძე და ას სამოცნი-სწვანი, დახოცილნი და დაჭრილნი უკანასკნელს ბრძოლაში! ესენი უნდა იყვნენ თქვენგან გასალანდავნი?

დრო შეიცვალა. .
გამეფდა სწავლა,
გაგელოთ შვილებს სახლი სიბრძნისა!
სწავლის მამები,
პროფესორები,
თქვენთვის მოცლილნი, თქვენთვის მქა-
თქვენ გასწავებდენ [დაგნი
და მზად გაძლევდენ,
რაც შეეძინათ საუკუნოებს!...
ჩვენც ვნუგეშობდით,
გულით ვხარობდით:
შვილი მამასა ემჯობინება!
და მოგელოდით
დიდის იმედით,
სახარულისა ღელვით აღვსილნი!
ვითმინოთ, მოვლენ,
და განგვინათენ
სწავლისა ღიამპრით დავრდომილს მხარეს!
ჩვენც მივეგებით,
მხიარულებით,
ლირსთა შვილებთა კურთხევის სიტყვით!...
*

მოვიდნენ... და რა?
სულ ჩაგვემწარა...
ვაი ჩვენს იმედს... ვაი თქვენს მოსვლას!...
პირველად იწყეს,
შკოლა გამართეს... *)
ვსთქვით: ახლა მხარე გაგვინათლდება!...
ყრმანი საწყალნი,
უბიშო-გულნი,

*) შკოლა ყ—ისა.

სწავლად მისულნი, წახდნენ ზნეობით!...

უსასოება,

ურწმუნოება,

უმანკო გულში ღრმად ჩაუნერგეს:

„ლოცვა რათ გვინდა? *)

ღმერთი რათ გვინდა?

ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი“!..

და დაიწყევლა

თქვენი აქ მოსვლა,

და თქვენის სიბრძნის ნაყოფი შხამი!

ღმერთი არ არის?...

შენთვის ნუ არის!

შენ რა გაწუხებს, რომ სუფევს სხვისთვის?

*

სხვათა ხელი ჰყვეს

კეთილსა საქმეს:

სტამბით მიჰთინონ სწავლა მამულსა!...

ალჩნდნენ მწერლები,

უურნალისტები,

ვაი საბრალოს... ვაი ჩვენს ენას!...**))

მათ უსწავლელთა,

ცრუ რუსთაველთა,

სრულ წაგვიპილწეს ენა მდიდარი;

ენა მაღალი,

მის ძალი, მაღლი,

უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში!...

ერის ცხოვრება,

მისი დიდება,

*) ნათქვამი იმავე შკოლის მოწაფისაგან,
ლ. მე—საგან.

**)) წაკითხეთ „დროება“ და იხილავთ ქარ-
თულის ენას დაპრანკვას.

შის ისტორია დაცულ არს ენით!

რა ენა წახდეს,

ერთც დაეცეს...

წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას!...

*
ახლა რას ელით?

მამათ რათ სწყევლით?

ვიგემეთ თქვენის ღვაწლის ნაყოფი!...

ძველთ უძველესი

არს ესე წესი,

რაც ვერ ჰქმნეს მამათ, ისი ჰქმნან შვილთა!

შვილნო, გამოჩნდით,

სწავლითა, საქმით!

შამის გალანძლვა შვილს ვერ ადიდებს!

ცუდ-მეტყველებით,

ვერ ამაღლდებით.

დიდებას ეძებთ? კეთილი ჰქმენით!

თქვენი დიდება

ჩვენც გვიამება:

შის სხივის შუქი ჩვენც მოგვინზებს!...

*
აპა, დიდების

და სახელ-ქების

ასპარეზია თქვენთვის დაცლილი!...

რაღასა ელით?

რატომ გვირგვინით

არ შეიმოსვის, ვინცა გყავთ ღირსი?...

რომ ბრძოლის ცეცხლი,

ასტყდეს ფიცხელი,

ხმლისა ტრიალით, ძლევის ყიუინით,

იმ თქვენშა გმირმა,

სულით ძლიერმა,

ხელს ბაირალით, ძირს დასცეს ყარსი!...

რომ მისმა ხმამა,

ქუხილის მსგავსმა,

შესძრას ქვეყანა მის აღსაღენად?...

ვაი საბრალოს,

ჩვენს საქართველოს,

თქვენ დაებადეთ მის საღიღებლად!...

*
ან საღ არიან,

აღარ ისმიან

თავისუფლების მაღალ-ფრაზები!...

„მოყვასს — შეწევნა,

ბოროტსა — დევნა,

საზოგადობის სულით აღდგენა!...

ერთობა, ძმობა,

ზნეთ ამაღლება,

მამულისათვის თავის განწირვა!“...

სიტყვა სიტყვა

საქმე კი — სხვაა...

ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას!...

*

გონების ბრწყინვას,

აზრების ელვას,

წმინდისა გულით კეთილის თესვას,

ნეტავი მიხვდეთ,

ნეტავი მისწვდეთ

მაღალსა ცაში შავარდნის ფრენას!...

და გულით ოხრავს

ის, ვინცა ხედავს

თქვენსა სიცოცხლეს ფუჭალ მიმავალს...

თქვენსა უქმობას,

არარაობას,
და უმეცრების. ამაყობასა!...

• • • • •
* * * * *
ჰე, სასურველო,
გმირთა მამულო,

ნუ თუ შენ მართლად ესრეთ დამცირდი,
რომ შენსა ბეღსა,
შენსა იმედსა,

დაეხელმწიფნენ ცრუ-პოეტები?
ცრუ-ლიბერალნი
პატრიოტები,
მ...ს...ი, მ...ე, მელიქ-აღები?..

მპ. ჭავ-სას
(ქების წარწერა)

წინანდლის ვარდო!
სულითა ტრედო,
გულითა წმინდავ, კამკამო წყარო!

ვითა ცისკარი,
ხარ მოცინარი,
რათა მხილველის გული ახარო.

იმხიარულე,
ვიდრე სიცოცხლე.

შენი მშვენივრებს, ვით ყვავილთ ჯაჭვი;
ვიდრემდის შენ ზე

დაგნათის, ვით მზე,
სიჭაბუკისა ნათელ ვარსკვლავი!

ჭმუნვის ღრუბელი,
გულ-დამაბნელი,

ვიღრე მხიარულს არ შეგხებია;
 ვიღრე ამ სოფლის,
 დაუდგრომელის,
 ვარდი ეკლადა არ გადაგცვლია!

გმოსალმება

ს — ს

ვითა ცის ნამი დილითა ჰბრწყინვალებს ახლად შლილს
 ვარდზელ,
 მარგალიტ-ცრემლი ცრემლსა სდევს ნიშნად ჭმუნვისა შენთ
 ლაწვზე...

სატრფოვ! გშორდები დ სიტყვა ვერ მიპოვია სათქმელად,
 ანუ შენთ ცრემლთა საშრობლად, ანუ ჩემ სანუგეშებლად!
 ვერც ცრემლსა ვაფრქვევ, ვერც ვუბნობ თვისისა სიყვარულს,
 თვის ტანჯვათ,

დამითვარ უფრო უბედურ, რომ ვერ ამოვსთქვამ მსგავსად სხვათ!

ნამდვილი ტრფობა გინა რა სიტყვათ ეძებდეს, ვერ ჰპოებს,
 რათა გამოსთქვას თვის გრძნობა დ მისთვის ოხვრით მდუმარებს.

ესე არს საშიშ-შემჭმელი, ცეცხლი უხილავ, უალო;
 არ აჩენს გარეთ ნიშანსა, შიგნით გაოხრებს, ჸე, გულო!

ტრფობა უძლურთ გულთ წყაროს ჰგავს, მთათაგან გადმო-
 ქანებულს,

რაოდენ ველსა შორსა ჰვალს, ეგოდენ დაუძლურებულს.

ესრეთი გული ან ცრემლით, ან განშორებით განაქრობს
 თვისისა სიყვარულს, თვით ტანჯვათ დ მერმენებით კი ლხინობს,

რა ჩემებრ გული კლდოვანი მიიღებს ეშხის ბეჭედსა,
 ღრო იმას ველარ შეჰმუსრავს, თუ არ შეჰმუსრავს თვით კლდესა.

გეტრფი, ვიღრემდის ვუმზერ მე შზის შუქსა, ნათელს მთო-
 ვარის,
 ვიღრემდის ოხვრა გინდ ერთი მშთომია ნიშნად სიცოცხლის.

ლექსი 6. ბარათა შვილისა.

შემოდამება მთაწმიდაზედ

(ელეგია)

ჭი მთაწმიდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენნი,
 დამაფიქრველნი, ვერანანი და უდაბურნი,
 ვითა ჰშვენიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი,
 ოდეს სალამოს, დაჰშთენ ამოს, ციაგნი ნელნი!

ვითარი მაშინ იღუმალობა დაისადგურებს შენს არე-მარეს!
 რა სანახავი წარუტყვევს თვალთა მაშინ შენს ტურფას სერზედ
 მდგომარეს!

ძირს გაშლილს, ლამაზს ველსა ყვავილნი მოჰთენენ, რეცა ტაბ-
 ლას წმიდასა,
 და ვით გუნდრუკსა სამადლობელსა, შენდა აღკმევენ სუნნელე-

ბასა.

მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,
 კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი,
 და წყნარს სალამოს, ვით მეგობარს, შემოვეტროდი,
 რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!

ოჳ, ვით ყოველი ბუნებაც მაშინ იყო ლამაზი, მინაზე-
 ბული!

ცეცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზე მაქვს დაჩნეული!
 აწცა რა თვალნი ლაუვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა
 მოისწრაფიან,

მაგრამ შენამდინ ვერ მოახწევენ, და ჰაერშივე განიბნევიან!

მე, შენსა მჭვრეტელს, შავიწყდების საწურთოება!
 გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,
 ზენაართ სამყოფთ, რომ დააშთოს აქ ამაოება...
 მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს!

დაფიქრებული ვიდეგ სერზედა, და ცათა მიმართ მზირალს
ტრფობითა,
შემომერტყმოდა მაისის მწუხრი, აღმსები ნაპრალთ მდუმარე-
ბითა;
ხანდისხან ნელად მქროლნი ნიავნი ლელეთა შორის აღმოკვ-
ნესოდენ
დაზოგჯერ ჩუმნი შემოგარენი ამით ჩემს გულსა ეთანხმებოდენ!

მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება
არა იპოვოს და არ დაპსნას გულსა ვაება,
გულ-დახურულთა მეგობარო, მთავ ლრუბლიანო!

სდუმდა ყოველი მუნ არემარე; ბინდი გადეკრა ცისა
კამარას.
მოსდევს მთვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მი-
სა ამარას;
გინაჩავთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურევალე ლოცვით მი-
ქანცებული?
მას ჰევანდა მთვარე, ნაზად მოარე, დისკო გარდახრით შუქ-
მიბინდული!

ამ გვარი იყო მთაწმიდაზედ შემოლამება.
ჭი ადგილნო, მახსოვს, მახსოვს, რასაც ვფიქრობდი
მე თქვენთა შორის და ან რასაც აღმოვიტყოდი!
მხოლოდ სული ჰერძნობს, თუ ვითარი სძლვენით მას შვება.

ჭი საღამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად!
როს ჭმუნვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარველად;
მწუხრი გულისა, სევდა გულისა — ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსაის განანათლებს!

ფიქრი მტკგრის პარზედ

წარვედ შეულისა პირს სევდიანი ფიქრთ განსართველად;
იქ ვეძიებდი ნაცნობს აღგილს განსასვენებლად;
იქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით;
იქაც ყოველი არე-მარე იყო მოწყენით;
ნელად მოღელავს მოღუდუნე მტკვარი ანკარა,
და მის ზეირთებში ჰკრთის ლაფვარდი ცისა კამარა.

იდაყვ დაყრდნობილ, ყურს ვუგდებ მე მისსა ჩხრიალხა,
და თვალნი ჰრბიან შორად, შორად, ცის დასავალსა!
ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!..
არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?..
მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთი სოფელი,
თუ არა ოდენ საწყალი ალუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?
თვითონ მეფენიც უძლეველნიც, რომელთ უმაღლეს
არ ვინდა არის და წინაშე არ ვინ აღუდგეს,
რომელთ ხელთ ეპურასთ უმაღლესი სოფლის დიდება,
შფოთვენ და დრტვინვენ, და იტყვიან: „როდის იქნება
ის სამეფოცა ჩვენი იყოს“, და ალიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!...

თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?
მისი სიცოცხლე, ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული;
მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
თავის მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს წყევად თვის სახელი შთამომავლობას!...
მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდა ბოლო მოეღოს,
მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ საღლა იყოს?...

მაგრამ რაღვანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა;
არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში, და სოფელსა კი არა რა არგოს!

თავადის ჭავ — ის ასულს ეკა — ნას

ხმით მშვენიერით,
ტკბილის სიმღერით,
ჰაეროვანო, სულს ელინები;
თვალთ არონინებ —
გულს დააწყლულებ
და ღიმილითა ესალბუნები.
საღც ხარ, იმ არეს
მოპფენ სიამეს, —
უშენოდ მოსუდეს მხიარულება!
შენის ენითა,
საკსე ლხენითა,
ვინ არა იგრძნოს გულკეთილობა!
მაჩსოვს სიამით,
თდეს ტკბილის ხმით
ვარდსა და ბულბულს *) მოელხინარე
პირმცინარითა,
სინარნარითა,
მგოსნის ყარიბს გულს ესხივმფენარე!

ს ა უ უ რ ე

ვითა პეპელა

არხევს ნელ-ნელა

*) ვარდი და ბულბული ლექსია, რუსულია დამ
დამ ნათარგმნი თ. ჭავჭავაძისაგან.

სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს,
ასე საყურე,
უცხო საყურე,
ეთამაშება თავისსა აჩრდილს.

ნეტავი იმას,
ვინც თავისს სუნთქვას
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!

შენის შერხევით —
სიო მობერჯით
გულისა სიცხეს განიგრილებდეს!
ჭი საყურეო,
გრძნებით ამრეო,
ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკპარუნოს?
მუნ უკვდავების
შარბათი ვინ სვის?
ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს?

სული თბოლი

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუ ვინ სჩივის თავისს უთვისტომობას,
საბრალოა მხოლოდ სული ობოლი:
ძნელლა ჰპოვოს, რა დაჰკარგოს მან ტოლი!

მეგობართა, ნათესავთ მოკლებული;
ისევ ჩქარად ჰპოვებს სანაცვლოს გული;
მაგრამ ერთხელ დაობლებული სული,
შარად ითმენს უნუგეშობას კრული!

არღარა აქვს მას ნდობა ამა სოფლის;
ეშინიან, იკრძალვის, არღა იცის,
ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა!
ეფიქრება ხელმეორედ მას ნდობა!

ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!

ჩემი ღოცვა

ღმერთო, მამაო, მომიხილე ქე შეცომილი
და განმასვენე ვნებათაგან ბოროტ-ღელვილი!
ნუ თუ მამასა-არლა ჰქონდეს გულის ტკივილი,
ოდეს იხილოს განსაცდელში შემცოდე შვილი?

ჭი სახიერო, რად წარვიკვეთ მე სასოებას;
პირველ უმანკომ თვით ადამმაც სცოდა შენს მცნებას,
უმსხვერპლა წალილს სამოთხისა მშვენიერება,—
გარნა იხილა სასუფევლის მან ნეტარება!

ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა,
დამინთქე მათში სალმობანი გულისა სენთა!
არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!

გულთა მხილაო, ცხად არს შენდა გულისა სილრმე;
შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახო მე
და—ჩემთა ბაგეთ რალა დაუშთო შენდა სათქმელად?
მაშა დუმილიც მიმითვალენ შენდამი ლოცვად!



არ უკიუინო, სატრფოო, შენსა მგოსანსა გულის-თქმა:
მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა!

მინდა მხე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ-დღეთა გარსა მოვავლო,
საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო;

მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი,

მინდა შენ იყო, სატრფოო, მშვენიერისა ცის ცვარი
რომ განაცოცხლო, შავარნო, მდელო სიცხითა დამჭერი;

რომ მხოლოდ მზისა ციაგი მას დიღის ნამსა იშრობდეს,
და ერთად შესხივებულნი, შვებას მოჰქონდნენ სიცოცხლეს;

არეს ავსებდნენ სიამით, მცენარეთ განმაცხოვლებლად,
იყვნენ მარადის, მარადის, სოფლისა გამობუნებელად.

ნუ თუ ამ სულის წადილსაც ჰრქვა სიყვარული სხვათაებრ?
მაშინ მზეც უსხივ, უცეცხლოდ, შეიძლებს ნათვას ვარსკვლავებრ;

მაშინ ვარდიცა განთიადს ვერლარა გარდაიშალოს,
და ცისა ცვარმან მდელოე არლარა გააბიბინოს;

მაშინ შენც სხვათა მოკვდავთა ბანვანთ მიემსგავსები!
მაშ რად ერჩევი მათ შორის და ციურთ დაედარები?...

მაგრამა მშვენიერება გაქვს, ცისიერო, უხრწნელი
და ჩემთა გრძნობათ შენდამი ვერ დასდვან კაცთა სახელი!

* * *

ვპოვე ტაძარი, შესაფარი, უდაბნოდ მდგარი;
მუნ ენთო მარად უქრობელი, წმიდა ლამპარი;
ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი,
და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი!

მწირი სოფლისა, და მაშვრალი მისითა ღელვით,
მუნ ვეძიებდი განსვენებას წრფელითა ზრახვით;
გულსა, მოკლულსა კაცთ სიავით და ბეღის ბრუნვით,
ლამპარი წმიდა განმიტფობდა ციურის სხივით!

მუნ გუნდრუკის წილ, შევსწირავდი წმიდა სიყვარულს,
რომლის საკვერთხად დავსდებდი მე ჩემს გულსა და სულს;
ამა სიამით, ნეტარებით, ესრეთ აღვსებულს,
მეგონა ვხედავ სასუფეველს, აქ დაშენებულს!

მაგრამ საწუთრო განა ვისმე დიდხანს ახარებს?
განჭრა ტაძარი — და უდაბნო ჩემდა მღუმარებს;
მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასაღარებს,
მის ნაცვლად სევდა და წყვდიადი დაისადგურებს!

მოისპონ მსწრაფლად მისი ნაშთი და მისი კვალი!
განა თუ დრომან დაჰკრა თვისი მას ავი თვალი?
არა, მოსძაგლა მას სოფელი ცრუ და მუხთალი!
დამშთა მე მხოლოდ მის ლამპრისგან ცეცხლი დამჭრალი!

ვერდა აღმიგო სიყვარულმა კვალიდ ტაძარი!
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!
ესრეთ დამიხშო უკულმართმა ნუგეშის კარი,
და დავალ აბლად, ისევ მწირი, მიუსაფარი!

* * *

მირბის, მიმატრენს უგზო-უკულოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ლრენი,
გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი დლენი!
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემიბრალებ დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხე-
ლა, რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა;
ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა, ჩემსა სატრფოს, ტკბილ
მოუბარსა!

საც დამილამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა, სამშობლო
ხოლო ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საი-

დუმლოს;
კვნესა გულისა, ტრფობისა ნაშთი, მივცე ზღვის ლელვას,
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიუურსა ლტოლვას!
გასწი, მერანო, შენს ჰენებას არ აქვს სამძლვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მლელვარი!

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს
შორის; ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი
მწუხარის, —
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის
მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით, მიწას
მამაყრის!

სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა, ოხერსა, დამეცემიან
ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად, მივალალებენ სვავნი
მყივარნი!
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძლვარი,
თუ აქამლმდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!

დაე, მოვკვდე შე უპატრონოდ, მისგან ოხერი!
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!
გასწი, მერანო, შენს ჰენებას არ აქვს სამძლვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მლელვარე!

ცუდათ ხომ ძაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება,
და ჩემს შემდგომად მოძმეშა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს
და შეუპოვრად მშა ჰუნე თვისი შავის ბედის წინ ვამოუქროლდეს!

შირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ, ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

* *

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა?
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?

ამას უქადდი ჩემს ცხოვრებას, ყმაწვილ-კაცობას?
თითქოს მაძლევდი ამა სოფლად თავისუფლებას!
ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი
და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედა გარდამიქცევდი!

მარქვი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი?
რად მომიხიბლე, აღმირიე წრფელნი ზრახვანი?
სულო აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები,
რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯატოები?

• წყეულიმც რყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა
ბრმად მივანდობდი, ვუმსხვერპლიდი, ჩემთ გულისთქმათა!
შას აქეთ არის დავუკარგე მშვიდობა სულსა,
და ვერც ლელვანი ვნებათანი მიკვლენ წყურვილსა!

განვედი ჩემგან, ჭი მაკათურო, სულო ბოროტო!
რა ვარ აშ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო:
ჰკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრყლი?
ვად მას, ვისაც მოხვდეს ხელი შენი მსახვრალი!

* *

შევიშრობ ცრემლსა, ჭირთ მანელებელს,
გულსა დავიწვავ დასანაცრებელს,

და მისა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
შევსწირავ სატრფლს, ჩემსა სალოცველს!

მისთ თვალთა ჰხარობს სამოთხე ჩემი,
მისი ღიმია შვების მომცემი,
ჩემი წარმწყმედი, მაცხონებელი,
განმაბრძნობელი, გამხელებელი!

ვით არ ვადიდო სიტურფის ღმერთა?
ყოვლი კეთილნი მან შეიერთა,
სულსა მოჰბერა ცის ნიჭნი ქვეყნად
და თავის მკობად ჰქმნა იგი მგოსნად!

*
**

მაღლი შენს გამჩენს, ლამაზო ქალო, შავთვალებიანო,
ღლისით მზევ, ლამე მთოვარევ, წყნარო და ამოდ ხმიანო!
შენის ლოდინით ვსულდგმულვარ, თაყვანს ვსცემ შენსა სახელსა,
დედის ერთა ვარ, ნუ მომკლავ, ნუ დამანანებ სოფელსა.

ყარიბი ვინმე მოვსულვარ, სოფლისა მუშა საწყალი,
ამხანაგად მყავს ნაბადი, ძმობილად — ბასრი ხანჯალი,
მე სხვა სიმდიდრე რად მინდა? მე შენი გულიც მეყოფის.
მის ფასი კიდე საუნჯე ცასქვეშეთს განა იმყოფის?

სხვა-და-სხვა ლექსი

ჭ კ ჭ ი ღ ი

იზარდე, შწვანე ჭეჭილო,
დაჭურდი, გახდი ყანაო;
იკურისტის იმის მარჯვენა,
ვინც გთესა, მოგიყვანაო!

დაჭურდი, ჩემთ ნუგეშო, იზარდე თან და თანაო;
ზეცამ გიგზავნოს ცვარ-ნაში,
მზემ შუქი გფინთს თანაო;

ქარმა გაღელვოს ზღვასავით,
მწყერმა მოგძახის ნანაო;
იზარდე, გაახარევი
უმაწვილი ჩემისთანაო.

შრომის შეილი ვარ, ყარიბი,
არავინ გამიტანაო;
ვისაც კი ძმურად მივენდე,
მან გულს დამსვა დანაო.

ნეტავი აქ არ მამუოფა,
ქალაქში ჩამიუგანაო;
მასწავლა რამე ხელობა,
მასწავლა ანა-ბანაო.

ამაღლდი, თავი დაისხი,
კეჯილო, ნორჩო ყანაო.
იმისი საზრდო შეიქენ,
ვინც გთესა, მოგიუგანაო.

ნამგლებით გარსა გეხვივნენ
ბიჭება ჩემისთანაო;
შეტრე, გიორგი, თევდორე,
ბესო და ალმასხანაო.

ჯერს უმზადებდეს თინია,
ამ ბერ კაპლებთანაო,
სოსოს ხელაღა მოჰქონდეს,
ცივ-ცივი წეაროდგანაო.

თამარ დედოფლის ლექსი
საქართველოს დედოფალი,

დედა ქართლისა, თამარი,
სიმშვენიერით მოსილი,
ამომავალი მზის დარი,
დავით სოსილის მეუღლე,
რომელს უმშვენა მან მხარი
დიდუბებში იქორწინა, მაგრა
სადაც რომ საყდარი დარი.
ნადიმობა გაუმართა,
მოიწვია თავის ჭარი;

ასი სული ცხვარი დაჭვლა
და თრასი — ნიშა ხარი;
ლურჯი სუთრა გაუშალა,
თითქმის იურ ასი მხარი;
ქვრივ-ზობლებსა უწეულობა
ოქრო, გერცხლი დიდი ძალი.
სიბრძნით, სიუხვიო ქებული,
დილის ცისკარი, სად არი?
ის მნათობი ქვეუნიერი
მკვდარიც გერ გმოვეთ, სად არი?
... დავითაშვილი

ფშაველი ქალის ტირილი

ამ ამბის შამსწრეთ, თვალებო,
მიწამც გექნებათ სუდარა!
მზეო, გაშავდი! ვარსკვლავნო,
მენამც გიხილავთ ნუდარა!
ფშავ-ხევსურთ სალოცავებო,
მიიღეთ ჩემი მუდარა! და ამ
ნუ გვრისხავთ, თქვენი ჭირიმეთ,
ნუ აგვარიდეთ თვალით...
თქვენს სახელს ენაცვალება
ფშავლის ბედკული ქალით!
გაჟმეა, იღუბნის ქვეუანა,
ფშავლები ჩაუხოცავის,
წასულა სისხლის დგრით, —
ლეკეთში გაურეკავის ადგე
აფხუშებულის *) ცხვარის
არა არ მისდისართ, რას ელით,

*) აფხუშებულა — ფშავშაკაცის სახე-
ლია.

რად არ იურება ჭარილ?
რას შემოგვედავთ დედათა
ებ ხო ლაჩრობა არიო!
იქნება არც-კი შეგრცხვებათ
ქალმა შეირტეას ხმალიო?!

ნეტაფი ქუდოსანი მქნა,
თმიან არ ვიყო ქალიო!

ბაჩანა

*

**

მოლოდინ-მოლოდინშია
შიძიან ღღენი, დამენი...
იქით გაგხედნებ — მთებია, —
წყარონი მოწანწკარენი;
მაღლა აგხედნებ — ცა არის, —
ვარსკვლავნი მოკამკამენი...
ბრუნავს და ბრუნავს ქვეუანა,
შიძის და მოლის სოფელი.
ერთი თვით არის უცვლელი
სიკვდილ-სიცოცხლის მუთველი!

შაჟმე რა მეტად მოკლეა
ტიალი წეთი სოფელი!

ძოლან ვიზილე ჭალასა
ენძელა აუგავებული,
და ია იმის ახლოსა,
ტურთად უელ-მოლერებული,
სალსინოდ ქათიბ-ჩაცმული,
ქალ-კუპრი გახარებული.
გუშინაც მივეღ და გნახე:
იას ცრემლები სდენოდა,
ხავერდი შემთხვეულოდა,
სიბერის უამი ჭილებოდა!

შწუხარედ თავი დაედო,
ენძელას ენუკებოდა....

ენძელავ, თავს შემოგევლე,
იავ, შენ დამიტირია!
მოხვიდით, დაშვენოდით
ჩემი სამარის შირია....
წეთის უთვისა და ცხოვრება —
ებ წეთი სოფელის ჭირია....

ბაჩანა

ტევის სიძლეობა

ვინა სოქვას, ვინ გაიხსენოს
ამბავი გარდასულისა?
ტრიუიალთა საით სად იგრძნონ
დობა ერთურთის გულისა, —
აქით ვინ გადაიტანოს
ამბავი დაკარგულისა!?

ვტირი და ვტირი ბეწავი,
შექი არ ვიცი მზისათ....
სადა ვარ გადმოვარდნილი
მე სადაური წელისათ!
ფრინველნო, გემუდარებით,
მარქვით რამ ჩემის შერისათ?

მიამბეთ, ჩემს სამშობლოში
წყარონი კიდევ დიანთ?
მზე, მთოვარე და ვარსკვლავნი
ცაზედ კიდევა ჰერთიანო?
თავზედამც შემოგევლები,
ჩემო ქვეუავ მთიანთ!

ნე ამირიდებთ, ფრთხისანნო,

ტუვესთან იქონეთ ზავია;
ბეჩავს დედა-ჩემს უთხარით,
არ ჩაიქოლოს თავია;
უამბეთ, ცოცხალიაო,
შემოიძარფოს შავია.
ღრთ მოვა, ცა დაიყლნებს,
ბარად წამოვა ცვარია;
დაიხოშება ღრუბლები,
მოჭკვდება ნიავ-ლვარია;
დაღესტნის არე-მარესა
დანიავებს ქარია....

ბაჩანა

*
**

შუხავ, მიუვარხან, ტიალო,
განმარტოებით მდგომარე, —
ერთი შენ გზოვე გულისა,
შევეანა შემოვიარე.
დაფონებული, მტირალი
მიწყივ შენკე ვარ მოარე!
მე მიუვარს შენი სიბერე,
მუდმივი დადრეჯილობა;
დასავსებული ტოტები,
სიმტკიცე, ფოთოლთ-შლილობა....
შენ არ გაშინებს, გაუგაცო,
ბუნების ფერის ცვლილობა!

რაც უნდა ქარი შეუოდეს,
და ელვა იკლავნებოდეს, —
მთა-ბარი ირეგვნებოდეს,
სილ-ხული იხოშებოდეს,
ლერწამი მიწას ეპვროდეს,
მშველი ტექს ინაბებოდეს,
ზარ-დაცემული მხეცი რამ

შწალზედ კლდის ეხში ღმუოდეს,
ამაუად ელი ავდარსა,
ქარს არ უვადოებ თავსათ;
ელვა და ჭექა-ჭეხილი
გერ შეგიხრიან წაბისათ!
არ ივლებ ბაი-ბუადა
ხალხის უდმერთოდ ჭრასათ!
საფლავიმც აუევავდება,
გინაც გვაუწეა მცნებათ:
„კაცი იშობვის ერთ დღესა
და ისევ ერთ დღეს პვდებათ.
კარგი ჭაბუკი სიკვდილსა
არდოს არ შეუდრკებათ!“

ბაჩანა

მგზავრის საღამო მთებში
მთაზედ შემოვსე, ტაგრილია,
გულ-მკერდი ნაბარალია;
გულზედ დამესხს ნექტარი,
უკვდავებისა წეალია;
თვალთაც აუწნდათ ნათელი,
მუხლებს მოეცა ძალია.
დაჭბერ-დაჭბერე, ნიავო,
ცივო წეართო მინდვრისა;
ხელში გამსჭვირო მინაო,
გამქარვებელო ჭირისა!
ნისლები გადამექარა,
გული აღარა ტირისა.
აგერ-აგერა, გაჭხედეთ,
მთებზედ მკვდართ *) მზენი ჭერიან

*) მკვდართ მზენი — ამას ეტუვიან
მზის ჩასვლის დროს მთებს რომ ალი-
ონის მოყვითანო ნათელი დააღვება.

ლეშით ნასისხლი უთონები
ჭიუხში ეშურებიან;
მინდვრებს დაეცათ უკუნი,
მთები სათევლად სხდებიან.

ზოგი წევს, ზოგი აჭრილა,
ქედი ვაკებს დაჭრთვია;
ტშე ვეღსა, თოვლა უინულსა,
ბრაწი *) ჯინჭუხებს შაჟრთვია;
ხევი ხევს მისდევს, მთა — მთასა,
გორი გორს გადაჭრლართვია.
გავგვირვებიუარ ბინდ-ბანდსა,
მთა-ლრეში შეღამებასა;
ცხვრის და მეცხვარის ზრიალსა,
გარსკვლავის გათხოვებასა.
მივალ, მიმელის გზა გრძელი,
მოველი გათენებასა!

ბაჩანა

სმა არ მიწვდება.

(სახსოვრად კრწანისის ველისა)

(ნაწყვეტი).

სმა არ მიწვდება, შორია,
საჭამმა დაიგვიანა,
თორეშ მთა და კლდეც თავს გიხრით
თავის ქუჩ-ბალახიანა.

თქვენ კი გენაცვლეთ, ვაჟებთ,
დაზრდილნო დედის რძითათ,
თავ-გადადებით მებრძოლნო,
ვეფხებთ ქლანჭებითათ.

*) ბრაწი — პატარა მცენარეა მთებში.

გადმოგვიშლია უვავილი,
თქვენს საფლავს სამარეზედა;
დაუჭინობელი დაზნები
თქვენს ჩამოლალულ მხებზედა
და საუგუნო ცხოვრებაც
ნუმც გაგეცვდებათ სხვებზედა.

სხვა კი რა გითხრათ მთებისა?
არ გივიწეუებენთ ძველებსა;
მალი-მალ აგახსენებენთ,
გულში ჩაიკვრენ ხელებსა.
არაგვიც ხევ-ხევს აშტერებს,
აქთებს, ახორქოლებსა.
მთაში ბებერი არწივი
წურება, აწედება კლდეებსა,
ერებულეს ამბავს უუვება —
ცრემლი სდის ბახალეებსა!....

ბაჩანა

ნიკორას ჩივილი

ატირდა ხარი ნიკორა
მარგალიტისა ცრემლითა;
”მექცევა ჩემი პატირონი
ქცევითა უდიერითა;
დამადგა მძიმე უდელი
კისერზედ ორის ხელითა;
დილითბინდამდე ოფლსავლვრი,
ვიწვი ცეცხლითა ცხელითა...

დღე ჩამოვლიე ტანჯვითა,
ტანჯვითა დიალ ძნელითა,
არ მალირსებენ აპეურს,
მაბმენ არყისა წნელითა, —

გახმება, შემომიტირებს,
მიწას-ლა დავლოკ ენითა.

ჩავჩერებივარ შავს მიწას,
მეც დღენი მიშავდებიან;
მეტრე და მოსამხრეები
ზედ უღელზედა მსხდებიან.
ვეწევი ლონე-მიხდილი,
სისხლისა კვლები მყვებიან,
ისევ მე მცემენ, ისევ მე
მყველრიან, მიჯავრდებიან.

თუ დავიჩოქე უღელს ქვეშ,
დღე დამიბნელდა შავადა.
მომკერძდა სოფლის სიმუხთლე,
გუთანში გავხდი ავადა,—
განა დამაცლის პატრონი,
სული დავლიო თავადა?!..
წამიყვანს დაოსებულსა
მინდორში დასაკლავადა!...

მინდორო, მინდვრის დედაო!
ნიკორა შეიბრალოდეთ!
რო მოკვდეს, თქვენსა კალთაში
მიიღეთ, მიიბაროდეთ,
ნუ გახდით საყვავ-ყორნედა,
შვილურად შეინახოდეთ!!

თ. რაზიკაშვილი

ხალხური ლექსები

ქართლიდანა გამჭვთხოვდი
კოხტა ქალი, მეთ;
ჩაგიცვი და დაგიხურე,

გარგა მოვირთეთ;
წაგიგლისე უშარილი,
ფერი გიჭარბეთ,
ცივ წარზედ რომ მოვედით,
სადილი ვჭამეთ;
შუა გრძაზედ რომ მოვედით,
ცხენს აჭუწარეთ;
მაყრითნი მომძახოდა,—
ქალ, დაგვიცადეთ;
მე იმათ ლაუაფ-ლუუაფსა
უური არ ვუგდეთ,
სოფლას შირში რომ მივედი,
ვარდი ავგონეთ;
სანთლის შუქი დავინახე,
იქ მივატანეთ;
მუღები გამამებებნენ;
არ მივესალმეთ.

ცხენს აღვირი წამოვურე,
შინ შავიწიეთ;
კარგებშია რო მივედი,
თაფლი შავლოვეთ;
სამჯერ კერას მოუარე
ჯამი გავტეხეთ!
მავისედე-მოვისედე,
საჯდომს დაკედეთ;
ბალიში რომ ასად იდგა,
ჯეჯიშე დავჯეთ;
იქით-აქათ შურსა სჭამენ,
შური შუიან მეთ.

ცალკე რომ მიმიპატიშენ,
ის მიამა მეთ;
ტაფა რომ დაარაჩხუნენ,

ის მიამა მეო;
 ათ კვერცხის ერბო-კვერცხი
 მარტომ შევჭამეო;
 დიღი ლუკმა ამოვიღე,
 სხვას მივეფარეო.
 სტაქნით დგინდ მომაწოდეს,
 ის მეწუინა მეო!
 ნახე-ლიტრა მომაწოდეს,
 ის მიამა მეო!
 დავლიგ და გამოვცალე,
 კამოვაგორეო;
 მამამთალს წეპრი ვაბლიჯე,
 კალთას უეარეო;
 დედამთალი გაგმებზურე,
 მული გავჯოხეო;
 მაზლი კარს ეფარებოდა,
 აგებ გადავოჩეო.
 ქმარი სამკალზე გავგზავნე,
 მჭადი უსესხეო;
 მაწნესა თავი მოვსადე,
 და შეუნახეო;
 სადამოზედ რომ მოვიდა,
 დო მოუტანეო.

ბოროლას შავნი დურბელნა
 როსავ-კუთხივა ჰერიახო,
 უხარის, ერთმანერთისას
 შაურას ძლივს მოელიანო;
 როდისაც შაიურებიან,
 მანანას ჩამაჭურიანო...

შირაქში ერთმა მოუმემა.
 სიზმარი ნახა მხრიანი:

— ან არი ჩემი სიკვდილი,
 ან ჩემი ცხვრისა ზიანი.
 დილაზედ მწევმსებს ასწავლა,
 ვისიც რა ყავდა ზიარი,
 შეჭმაზა თავის ფურჯაა,
 ზედ შავდა რომ მხრიანი...
 ლუთხუმის ჭალას შამოჩნდა
 ლურჯათ შირ-თვლიანი;
 ლუთხუმელ ჭალებშ დანატრეს:
 ლურჯა ვისია, ტიალი,
 ვის რა მიუვა კარზედა,
 ვინ არის დავლადანი?
 ცოდმა შეაგდო ერზედა,
 სიტუვა ამოთქვა ჰევიანი, —
 ჩვენის მემცხვარის ცხენსა ჰევა,
 ვამე თუ დავტჩე ტიალი!
 წინ დედა ჩამოეგება:

— რადა ხარ გულ-ჯავრიანი?
 — განა ღმერთი ვარ, ღედო,
 სუ მუდამ დავლათანი!?

— მანდის დაუგეს ლოგონი.
 მივიდა, დაწვა ხმლიანი...

ხოგაის მინდი კვდებოდა,
 მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,
 ცა ჭეხდა, მიწა გრგვინავდა, —
 სული გვიანა ჭედებოდა!..
 ჩამოდიოდა მასკვლავი,
 მთვარეც უპულმა ღგებოდა;
 ქორ-შავარდენი, არწივი,
 სულ მხრებით იხოშებოდა.
 მაღლის ჭიუხის ნადირი,

სატიროდ ემზადებოდა;
ცხენი იმისი, ტიალი
ლურჯა ტოტზედა დგებოდა;
ცოლი იმისი, ბეჩავი,
სულ შევად იმთხებოდა;
დედას იმისას, საძრალოს,
ტირილს ადარა ჭიდებოდა;
მამა იმისი, ბეჩავი,
თმა-წვერით იხთშებოდა.

შენ, ჩემთ დიდო იმედო,
კაშკა, ნაგებო კირითა;
კახეთს მოქრილო ისარო,
ქალაქს ნაღებო ინითა;
წითელო მოვის პერანგო,
შვიდგან შეგრულო დილითა;
ცავ, წმინდავ, ვარსკვლავიანო,
მზევ, დაფენილო დილითა;
უკვდავებისა წყაროთ,
ნაღენო თქონოს მილითა,—
შენთანამც ყოფნით გამაძლო,
შენთანამც წოლა-ძილითა!..

ვერცხლისამც თასად მაქცია, ¹⁾
რომ დვინით აგევსებოდი,
დაფენილი მქნა წითლადაც,
შამსევემდი — შაგერგებოდი;

ანა მქნა ვერცხლის სათითე ²⁾
რომ ხელზე ჩაგედებოდი:

¹⁾ ფშავლის დუღა-კაცის, ბაბალე
მინდოლაურისაგან გაგონილი.

²⁾ ბეჭედი.

ან შენის ნამგლის უანა მქნა,
რომ ფხაზედ ¹⁾ შაგერგებოდი;

ანამც მქნა ვარდი, უოილი ²⁾),
ცხვირ-პირზე დაგეურებოდი;
ან ვიუო მოვის პერანგი,
რომ გულზე დაგედნებოდი;

ან შენი ნანდაური ³⁾ მქნა,
გულს ჯავრად ჩაგერგებოდი;
ანამც ქმა ვიუო მოწილე,
ცოცხალს არ გაგეურებოდი.

თოვის ხმა ჭიუხებშია ⁴⁾
ვაშგაცსა იამებაო;
ვაშგაცს ტევიათ დაჭრილსა
არ უნდა ზიარებაო;
მოკვდება, დამარხვა უნდა,
არ უნდა გვიანებაო!..

ბიჭი ვარ გოგოლაური...
ნუ მშინჯავთ ტალავარზედა:
წინ-წინ მე გადავთრინდები
ბასტრიონს გალავანზედა;
თოვის ვკრავ ჯიმშელთ ბატონსა,
ზედ მიგალ ფალავანზედა!..

ჩოხს დაიძადა არწივი,
ამბობენ ცოტა ხნისასა;

¹⁾ პირზედ.

²⁾ უვავილი

³⁾ საყვარელი.

⁴⁾ წვერანი კლდეები.

აშზადებს ტეგია-წამალსა;
ახლა ხანს მოველ ცდისასა.

კარგი ვარ, იმას ნუ ოტევი,
თავს ნუ დაუწებ ქებასა...
კარგი ჩვენც მოგვეწონება,
ცუდი — არც თავის ღედასა!

ცხენ-კარგის ღედას დავნატრი:
ლაშქას წინაწინ წაღება!
მემრე თოფ კარგის ღედასა —
ერთის ნასრთლით დარჩება!
მერე ცოლ-კარგის ღედასა —
ქმრის სწორთ ლამაზად დაჭხვდება!

რა გენალვლება იქრთლის.
ზენა ქარმა და ქვენამა!
ეგებ ერთადა შეგვეარის
ჩვენმა ბედმა და წერამა!

დიღმელების ბინაზედა
სამი ბეჭადი ზისათ;
სამთავ უტეუბეს თოფები,
გიორგი დასცეს ძირსათ!
ჩვენი შატარა გიორგი
ზეგიდგან ჩამორბისათ,
შიშველე, ძმათ გიორგი,
ლექმა დამიღო ძირსათ!

ასე გადმოდის გიორგი,
როგორც ნადირი ტყისათ;
კაფა და კაფა ლეპები,
როგორც ტოტები ხისათ!
ღედას კაცი მიუვიდა:

გიორგის არა სუირს-რათ,
ხელთ ჭიანური უჭირავს,
სამოთხის კასის ზისათ!

ნუ იცინი, ნურც მაცინებ,
თორემ დაგვაჭრებენთ,
სიუგარულს რომ გაგვიგებენ,
დაგვაშრობ-შროებენთ!

სად მოიცალა ი ღმერთმა,
შენი თვალ-წარბის წერათა?
ან რით შეგამჲო ებეთი,
ან სად დასწერა ხელათა?

კალო, შენი ეგ მიუვარდა
ეზო-ეზო სიარული,
ტანთ ჩაცმა და თავთ დახურვა,
თეთრი შირი მხიარული;

წარბი გიგავს ვაზის წალამს,
წამწამი — მელან-თალაქსა;
საითაც შენ გათხოვდები,
ნეტავ იმ სოფელ-ალაგსა!

ციდან წამოვა ტორთლა,
ჩამოთვლის გალობასათ,
წიგნი, ჭრა-კერვა გცოდნია,
ნეტავ შენს ქალობასათ!

ორშაბათობით გაშენდა
ციხე-ქალაქი ქვაზედა;
ალამიანის ცხოვრება
გერავინ იდვა თავზედა;
ადგა ხარმა მთახსენა:

— „მე დამაწერეთ ქედზედა“.
წევილი სახთელი აინთო,
მიეკრა ორთავ რქაზედა;
გინც კვირა-უქმით შეაბას
რისხვა მიაღგეს კარზედა.

—
შენ-გი გუნაცვალე, ღმერთო,
ჩვენი გამოსახვისთვისთ,
ახლო-ახლო დაგვასახლე,
ერთმანეთის ნახვისთვის!

—
ასე ჭირნია დუშმანსა,
არცა ხვენენ, არცა სთესვენო,
არცა უბიათ ხარები,
არცა კალოსა ლეწვენო!

—
ჩავვარდი საგონებელსა,
გითა კამენი მორეგსა,
ვიწევ და ვერ ამოვედი,
დახე ამ ჩემსა დონესა!

— ეშმაკათა და ქაჯათა
ჩამოვიარე გომზედა;
რძალ-დედამთილი ჩხებობდა
ახლათ შედღვებილ დოზედა,
რძალმა აჯობა დედამთილს,
თავი უხალა ქვაზედა,
ქმარს მიუტანა ამბავი,
გააგდებინა კარზედა.

—
ერთს სიტუვას ისეთს გასწავლი
დასამარხავათ ქმარიულს;
არ მოეხმარო ქვეუნის მტერს,
თუ სადმე წელმა წაიღოს!...
ვინ იცის, ბედი გარისხდეს,
ნაპირში სადმე გარიულს,
ღმერთს არ შესცოდო, არ იხსნა,
ხელი ჭყარ, მანვე წაიღოს!...

—
ამ ტიალ წუთი სოფელში
ბევრი ამბები უოფილა, —
უველას ჭკლავს თითო რამ სევდა,
ვინც კი ამ ქვეუნათ შობილა!

— სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს:

„რა ხელს მოგცემს ჩემი ბრძოლა?

მისთანა ქამანდს გესვრი,

შოგეწყინოს გვერდზედ წოლა.

ისეთ მიჯნურს მოგაშორებ,

ვით შეკრული ვარდის კონა.“

— მეც ვიცი, შევარდენი ხარ,

მაგრამ რომელი ბუდისა?

ნეტა რა დედაშ გაგზარდა

ეგრე ფოლადი გულისა?

ვაჟკაცეა გული რკინისათ
ხანჯალი თუნდა ხისაო,
მტრებსა უწყვეტდეს სინსილას,
მოყვრებს უწევდეს ლხინსაო!

ჰეი, სესია, სესია,
ხმალი ვერ გაგილესია,
შენ რომ მყუდროდ წამოხვედრ,
მე—ჭალა-ჭულა ტყეშია,
მტრის ბელადს წამოვეწიე
იმ ჭალა-ეკლიანშია; თავხე ქმია
დავუჩოქე და ვესროლე,
მოვარტყი მარჯვნივ ბეჭშია.
დანარჩენს ხმლითა გადვუხტი,
დავაყრეფინე ლეშია.

კაცი, ამ ქვეყნად დევნილი,
ყველგან იშოვნის ბინასო,
უჯობს, არაფერს შეუდრკეს,
გული უკავდეს რკინასო!

ჩვენი და ოქვენი ბიჭობა
უნდა გამოჩნდეს დღესაო,
გათავდეს საქმე იმითი,
რომ სისხლი დაიქცესაო!
ნუ მოგაქვთ თავი მრავლობით,
ზურგზედ აგადენთ მტვერსაო,
რაც რომ თქვენ ჩვენგან წაიღოთ
შინ დააქადეთ ძმებსაო,
ქათიბები დაუცვალეთ
დებსა და პატარძლებსაო!

ცა მტკავლით, ციდით ქვეყანა
ნახეთ, თუ გაიზომება?

ზღვა თუ არწყვნა პეშვითა,
ცანიცა განიწონება;
უკლისად ქვიშის აღრიცხვა
მომცემს თუ მოიგონება?
შვიდი ცა მქონდეს ქალალდათ,
ზღვაც მელნათ, ხენი კალამათ,
ათას წელს გავძლო და მქონდეს
ცა ქუდათ, მიწა—ქალამნათ,
მზის შუქზე ვრბოდე უდრეკლათ,
ჰაერზე ხელი მეკიდოს;
ლომს ვძლიო—მაინც არ ძალმიძს,
ლვთის საქმეს ხელი მეკიდოს.

ჰოი, შენ კი გენაცვალე,
შენი ბასრი ხანჯალ-ხმლისა!
წვერ ულვაში ამოგსვლია,
ჯერ არა ხარ ოცი წლისა! და
გიყვარს სამშობლოს მოყვრები,
გამწყვეტი ხარ მათი მტრისა!

კაუკაცია უნდა უყვარდეს
მამული, თავის ერია,
არ შეფრთხეს, თუნდა ბუზივით
ეხვიოს თავზედ მტერია,
არ გადიწყვიტოს იმედი,
არ შეიცვალოს ფერია,
თორემ დაგმობს და დასწყევლის
მოძმე, ერი და ბერია.

ვაჟკაცი არ გაშაადგება
სოფელ შვენება თავისა, და და
უნდა მას ხმალი უჭრიდეს,
იმედი ჰქონდეს მკლავისა.

საიქიოს.

წაგვიყვანეს საიქიოს
ივანე და ორი სხვანი!
ბეჭვის ხილს რომ მივატანეთ,
შევდექი და შევყოყმან დი.
ბუნებასა დავეკითხე,
მუხლსა მივეც დიღი ძალი,
სამოთხეში გადვიხედე, წარ
ტურფათ ისხდა ქალის ჯარი.
სამი ქალი მომევება,
სამნივ იყვენ ჩემი დანო,
თასით ლვინო მომაძლიეს:

— „დალიე და ჩქარა წადი!
ქრისტე ლმერთი რომ მობრძანდეს,
შენ მიართვი თქროს სკამი,
ხელის საბანათ აახელ
შვილი მინა ვარდის წყალი.
ნუ ხარ კაცის მშურებელი,
ნურცა მოძმის მბეზღებელი,
თორემ იქ წაგიყვანებენ,
იქ არიან გამმართლენი“.

მდიდარსა და ცუდის მთქმელსა
შემთარტყეს ცეცხლის ალი,
მალი-მალ წამოიძახებს:

„ვაი, დედა, მომწყდა წელი!“
ვინც გაივლის, ამას ამბობს:

„ვაი შენი სულის ბრალი,
რატომ ღარიბს ირ მიეცი
შენი სიყმით მონაგარი?!“
წამოდგა პილწი ეშმაკი,
სატანა და სამყეული,
— „ალაგი მიყავით მეცა,

კუპრით ავადინო ცეცხლი!“

ფედ-მამის მეუღიარეს

შიგ წაეყო ენის წვერი,

ამხანაგის მოლალატეს

ყელზე შემოჰკვრია გველი,

მამულისა მოლალატეს

პირში უზის მორიელი!...

ენითა მუჯი სჯობია

ცუდ მეტყველ-მოუბარსაო,

ათასი მტერი სჯობია

ერთ სულელ მეგობარსაო.

იცოდე, ჭუტი სჯობია

ცუდ გზაზე კაცია მავალსო,

ქვე მძრომი გველი სჯობია

სამშობლო ქვეყნის მცარავსო.

ხმლით დაკოდილი სჯობია

ცუდი ენით დაკოდილსო,

ხალხს ჯალათზ ურჩევნია,

დამბეზღებელ, წამხდარ შვილსო.

ერის კაცი ბევრათა სჯობს

ზანტსა, ზარმაცია ხუცებასა,

ნამუსიანი გონჯი სჯობს

ტურფას ურცხვესა და უკმერხსა.

ჭადის ჭამა გირჩევნოდეს

საყვედურით პურის ჭამას,

მათხოვრისგან გირჩევნოდეს

მდიდრისაგან ფეშქაშ-თავაზს.

ვითა ნალვლის სმა სჯობდა

შხამიან თაფლის სმახაო,

დედ-მამამ შობოს ლეკვები —
სჯობს უნამუსო ქალსაო.

ლმერთო, ნუ შეჰყრი ვაჟკაცა
ცოლსა ყბედსა და მძინარეს,
ის მოპკლავს, ის ლააბერებს,
ის შეჰყრის წყალსა, მდინარეს!

გ ლ ღ გ ა

თუშთა, ფშავთა და ხევსურთაგან სანატრელისა, ლვთისადმი განსვენებულის
საქართველოს მეფის ორაკლი მეორისა.

(ხალხური)

აღსდეგ, გმირთ-გმირო, ნუ გძინავს, მტერთა ისმიან ხმანია,
გრძლად ძილისა ჩვეულ როდის ხარ, მიგვიხმე უნჯნი ყმანია,
არ გნახოს მტერმან ძაბუნად, ვსდევნოთ, ვაკვეცნეთ თმანია,
ვართ ბრძოლად მათდა მოსრულნი, ზოგთაგან ოთხნი ძმანია.

გაშალე დროშა მძლეველი, წვერ-მახვი, მტერთა ჭარია,
მოყმეთა ნახონ ფრიალნი, მუნ მოსკდეს მთა და ბარია;
ჰქუხდეს მაჟარი, შაშხანა, ვით ზეცის მეხის გვარია,
განვფანტოთ მტერნი ჩვეულად, ვასვათ სასმელი მწარია.

განიფრთხე ძილი, ზე აღსდეგ, შთაიცვ წვრილ-თვალა რკინისა,
აღილე ხელთა მაჟარი, მტერთა განმბნევი ტვინისა,
წინ მივალთ შენი მეჭვრენი, ვითა მექონნი ლწინისა:
შევსვამთ სისხლსაცა მტერთასა უტკბეს კახეთის ლვინისა.

მტერს წინ წარვიქცევთ დიაცებრ, უკან იხედვენ ვეღარა;
ყოვლთვის ყოფილა ეს ესრეთ, ვინ შენზედ დაიმკვეხარა?
წარულებთ სრულად საუნჯეთ, მთად ვჰეზავნით, დიაცე ეხარა,
არ განიღვიძებ, ბატონო, მოყმეთა რამც გაეხარა?

აღვილოთ, ძმანო, ფარ-ხმალნი, ვასმინოთ ჩაჩქანთ ჩეერანი,
დავსხდეთ, დავიწყოთ ლრეობა, უყვარდის ჩვენნი მღერანი;
ცხენი მზად უდგას გმირთ-გმირსა, კაზმული ტურფად, შერანი,
არ განიღვიძებს, მოსრულ-არს ბედისა ჩვენის წერანი.

მეფე ერეკლე, სცოცხლებდი, აწერა და უკუნისამდე!
მტერთა თავ-მტეხი მეხისა, მოყმეთა მცველი აქამდე;
აწ სძინავს ბრძოლით მაშვრალსა, და განიღვიძებს დილამდე,
თუ საღმე წარვალს — წაგვიყვანს, არღა გაგვიშვებს შინამდე.

გათენდა დილა, ბატონო, დრო არის მტერთა დასხმისა;
აღკაზმვა ცხენთა და ჯორთა, და მათი აღვირ ასხმისა;
კვეთა თავ-მკლავთა მტერთასა და სისხლის ველად დასხმისა,
უბრძანე ბუკთა ტკრციალი, ბანაკით ჯართა განსხმისა.

მზეცა აღმოხდა ქვეყნადა, მაგრამ ჩვენთვის კი ბნელია;
თუ შენ არ გნახავთ კაზმულსა, ჩვენი შინ წასვლა ძნელია,
არ ჩვენ ვსცრემლეობთ მარტონი, სტირს შენთვის მთა დ ველია!
დავლეწნეთ, ძმანო, ფარ-ხმალნი, რადღა გვეყრების ხელია?

ვიგლიჯნეთ თმა და ულვაშნი, თავშიგან ვიცეთ ლოდებით:
მიპრულებია ნეტარსა, წარსულ-არს ღვთისა წოდებით;
შევბლავლოთ ცრემლთა ფრქვევითა, თუმცა ისმინოს გოდებით;
აწ წარხდა ჩვენი ცხოვრება, გულითაც დავიკოდებით.

რაღადმტე გვკიდავნ ფარ-ხმალნი, უმისოთ ცუდი ბარგია;
დამიწდნენ თოფნი და შუბნი, მიწად შესჭამნეს კარგია;
იგი არა გვყავს საჭვრეტლად, სხვა ვიღა ვსძებნოთ ვარგია;
ჟი! წარხდი, ჩვენო ნუგეშო, დიდებავ, დაგვეკარგია!

წარვიდეთ ჰირთა ხოკითა, სახლთა მიუთხრათ გლოვანი;
ვაგლოვნოთ მთანი და კლდენი, დავობლდით ჩალმა-წოვანი,
ჩვენთანა — ფშავნი, ხევსურნი, ურმან ჭაბუკნი შხცრეანი;
ნუ გეშვრინ ცრემლნი თვალთაგან, და გულთა მისი ხსოვანი.

დაშთნენ მას ძენი, ძის ძენი, მათსა ვიტყოდეთ ქებასა,
გმირნი, მამაცად აღზრდილნი, ჰყოფენ კეთილსა ძძობასა;
მტერთა მისცემენ პასუხსა, მოყმეთა თანხმოებასა,
აწლა გამოვსცნათ, მოძმენო, — ვინმცა იქმს ერეკლობასა?

ეპიგრამები

“ უსწავლელი ქვაზე დასჯდეს, —
ქვა ქვაზედა დაემატოს.

*

გრცხვენოდეს გინებისაგან,
ევლტოდე სმენად ქებასა;
თავი ნუ მოგწონს, ერიდე
ცრუ სიტუვა-დაქადებასა.

*

ერთბამად ფრინველს უწოდვენ
შავარდენსა და ქერასა,
არ სჩერებენ უვავთა ჩხავილსა,
ბულბულთა ტებილად მღერასა,
ფარშავანგისა შვენებას,
ბუკითტისა ბლვერასა.

*

* * *
ალექსანდრე ჭავჭავაძეს ჭკიიახეს: ჩიბუხს რატომ
არა სწევო? „გოგჩის ტბის დამწერმა უპასუხა:
„მე ჩიბუხის წევითა

„ვერ გადავივლი მთასათ;

„ასე რომ ბოლი მიუვარდეს,

„ბუხარში შევეუფლო თავსათ!“

*

* * *
ამაღამა იშვა ბავშვი

ილიამ ჭრქვა „ივერია“.

მეტად დიდი გამოვიდა,

სთნელიც ვერ მოერია.

*
**

ღმერთმა ინებოს, ილია,
არ მოგერიოს ძილია,
და კარგათა გაგეზარდოს
ეგ შამის-ერთა შვილია!...

თამარ მეფის შესხმა, თქმული აბდულ-მესა შავთელისაგან.
(ნაწყვეტი)

სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან, მომცეს მე სწავლა
თქვენდა შემკობად;
გიძლვენ ქებანი, მწალს აქ ებანი: დავითის დავით, ვსჯდე მუსი-
[კობად.

მესმა ზევსური, რა ვნახე ვსური, რომ სიტყვა მეთხვენეს მე
[ვისა ძნობად.
მუნ გულის-ხმობით, თვით გულის-ხმობით კარი სიბრძნისა
[სულელთა ცნობად.

შემოკრბით, ბრძენნო, ათინელთ ძენო, თამარს ვაქებდეთ
[მეფედ ცხებულსა;
კრიტი, ალაბს, მალრიბს, ეგვიპტეს, მაშრიბს, ჩინეთ ჩინეთსა,
[თარშის ქებულსა,

რომელნი ელნით, რომელნი ელნით, თავს სოკრატის-ებრ სწავ-
[ლით გებულსა;
ვარსკვლავთ-მრიცხველნო, სხვათ ბრძენთ-მკითხველნო, ვერ
[ძალ-გიძსთ ქებად, თავს ჰყოფთ ვნებულსა.

ე ადამისი, მსგავსად ამისი, ვისცა ეხილვონ, მამცნონ სადარი?
ღმერთმა სამოთხით, მოგვცა სამოთხით, ეთერ ბრწყინვალე
[მზე-ებრ სადარი.

აღმოსავლეთით და დასავლეთით, სამხრით ჩრდილომდინ ჰპოონ
[სად არი?
ზესკნელს ქვესკნელით და გარესკნელით, უკანასკნელით უფ-
[სკრულ სადარი.

ვიწყოლა ქებად, ძვილ შეკაღრებად, მსმენელთ ვაუწყო
 [ქვეყნის მპყრობელი,
 მხნე, ლმობიერი, ქველი, ძლიერი, ჰაეროვანი, მტკიცედ მფლო-
 [ბელი,
 შარავანდ გმირი, ორგულთ გამგმირი, მტერთ ქვესკნელად
 [დამამხობელი,
 რიტორი, ბრძენი, მეფეთა ძენი, ასპარეზთა ზედ მსპარაზნობე-
 [ლი...]

თამარ მეფის შესხმა, თქმული ჩახუხამისაგან
 (ნაწყვეტი)

მოფილოსოფნო, სიტყვითა არსნო, თამარს ვაქებდეთ
 [გულის ხმიერსა,
 დიონოსისგან, ვით ენოსისგან, სრულნი ქებანი ამძლეთ ძლიე-
 [რსა,
 სოკრატ სიბრძნითა, სარამაგრძნითა ვიყვნეთ, ვერა ვიქმთ საწა-
 [დიერსა.
 უმიროს, პლატონ, სიტყვა დამატონ, თვით ვერა მიხვდნენ
 [შესატყვიერსა.
 არისტოტელო, ბრძენთა ტომელო, თუ არა შესძლებს
 [ენა ძლიერსა,
 ათინას თქმულა, სიღრმით დანთქმულა, ვერა ვინ სრულ-ჰყოფს
 [მას მეცნიერსა.
 გულის-ხმის-ყოფა, გონება-ყოფა, მისთანასავით მაძებნიერსა.
 ვინ გული ესე, სიბრძნითა სთესე, ანუ ვის ძალ-უძს შენ-გან
 [მიერსა.
 ხელ-ვჰყოფ კაღრებად, ქებად დარებად, მჭვრეტთა ვაუწყოთ
 [გონებიერსა.
 ღაწვი მწყაზარი, ამულ ღაზარი, უგავსელობა კრონოს ციერსა,
 ნაელვებითა, მზისა ვნებითა, ცისკროვნად ვჰქედავ, შუქ-მოისე-
 [რსა.
 აჰა, მზიანად, მიზეზიანად, მთვარესა გაზდი უნათლიიერსა.

ვინ ჩნდა ეგ მისად, მსგავსად აწ მისად, წინასწარ-შთქმელი
[მისთა მთქმებულად.
თუ ვერ-ვინ გნახის, მით ივაგლახის, შეიქმნებოდის განცვი-
[ფრებულად,
ვერ მრაჭლებისა, გატევრებისა, თამარ, შენ გიცნობ, განცხა-
[დებულად.
ჩვენ ვსთქვათ ეს რად ჰგავ, ზეციერად ჰგავ შვილთა მნათობრთა,
[დამშვენებულად...]

ეპიტაფია დაგროვ აღმაშენებელსა.

როს ნაჭარმაგევს მეფენი შვილი მე პურად დამესხნეს,
თურქი, სპარსი და არაბი სამზტვართა გარე გამეხსნეს;
თევზი ამერითა წყალთა-გან იმერთა წყალთა შთამესხნეს,
აწე ამათსა მოქმედსა გულზედან ხელი დამესხნეს.

ეპიტაფია თამარ მეფისა.

უშის ავაგე საყდარი, უწყლოსა წყალი ვაღინე,
ისპაანს დავსდე ბეგარა, სტამბოლს ხარაჯა ავიღე,
თეთრს ზღვაში რკინა ჩაფაგდე, ხმელეთი ჩემს-კენ მოვიგდე,
ამდენი საქმის მოქმედმან ცხრა ადლი ტილო წავიღე.

სადრამო ოეტია

დ ე დ ა დ ა შ გ ი ღ ი

(დავით ალმაშენებელის დროდან)

(სცენად არის ოთახი, რომლის ფანჯრებიც ქუჩას გადაჰყურებენ, ერთ მხრივ ტახტზე ლოკინში წევს სნეული, ძალიან მისუსტებული და მოხუცებული დედა)

დ ე დ ა

თუმცა სიცოცხლე სნეულთათვის წვალება არი,
მაგრამ, ეჭ ღმერთო, გმადლობ, ამ დღეს რომ შემასწარი.
და აქამომდე არ მოჰკვეთე ჩემი ცხოვრება: ჩ აკართველო, დღეს მიცოცხლდება!
ჩემის მამული, საქართველო, დღეს მიცოცხლდება!—
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,
ერთის ზღვიდამა მეორემდე ერთს ფიქრსა ჰფიქრობს,—
და ეგ ფიქრია ჩვენის ქვეყნის თავისუფლება!...
დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება!
ერთი შვილი მყავს საყვარელი და სანატრელი,
იგია მარტო თავის დედის ნუგეშ-მცემელი,
იგია ჩემი სიცოცხლეი და სიხარული,
იმითი მიდგა უძლურს ტანში უძლური სული,
ჩემის სიბერის მისაყრდომად ისღა მშთენია,—
მაგრამ, მამულო, წაიყვანე, დღეს ის შენია....

(შეწუხებული ჩაფიქრდება და მცირეს ხანს შემდეგ იტყვის)
ის დღეა დღეს, რომ მამულს ვუძლვნა ძე საყვარელი,
ან ძეს შევწირო საყვარელი დიდი მამული...
ამ ორის გრძნობის ბრძოლა გულმა ვით გადიხადოს?
ძის სიყვარული, თუ მამულის—რომელი დასთმოს?...
ეჭა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო, შვილი,

სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი...
დედის-ერთა მყავს, მაგრამ შენთვის მე მას ვშორდები.
ვინ იცის, შვილო, რომელს ველზედ მტრისგან მოჰკვდები?
დამტირებელი დედა ახლო არ გეყოლება,
მის ცხარე ცრემლი სისხლიანს მკერდს არ გეპკურება,
დედისა ხელით ვერ შეიხვევ განგმირულს გულსა
და ეგრედ შენს თავს მთლად დაუდებ შენსა მამულსა!...
შენს სიკვდილშია ჩემი ვაიც და ნეტარებაც,
მისთვის რომ მე ვარ დედა შენიც და ქართვლის დედაც:
ვით დედა-შენი იმ სიკვდილით შენით ვივაებ,
ვით ქართვლის დედა ვინეტარებ და ვისახელებ.

(ჩაფიქრდება და მცირე ხანს შემდეგ)

თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთ-საყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმრთელე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა.
მტარვალთა თქმითა ოდიოვე ხარ შენ აკრძალული,
ხე ცნობადისა, ედემს რგული, შენი ხე იყო;
მაგრამ სამოთხეც, ყოველისფრით აღსავსე, სრული,
პირველ კაცთათვის უშენოთა არა რა იყო.
რა განიცადეს იმათ შენთა მაღლთა უხვება,
მსწრაფლ აღგიარეს, ჰოი ღმერთავ, თაყვან ებითა,
მსწრაფლ მოგიპოვეს: ფასად მისცეს თვის უკვდავება
და სამოთხეც სომეს სრულის მისის ნეტარებითა.
ეგრედ ნაშოვნი რად წაგვერთვი მოსავთა შენთა?
რაღად ჰლვრის დღესაც შენთვის სისხლსა. აღამიანი?
რად შეიღებე კაცის სისხლით საშიშრად ჩვენდა.
და რისთვის დახვალ ამა ქვეყნად პირ-სისხლიანი?
თვით ხარ მშვიდობა, უხვად მაღლთა ქვეყნად მომთენი,
მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი!
რად არ შენდება უსისხლთა მისი ტაძარი,
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არი?...

შვილი (შემოდის გახარებული)

მოვიდა ჩვენი სანატრელი, დედავ, ამბავი: ●
 ჩვენი ქვეყანა, საქართველო, გალვიძებულა,
 მთელი კავკასი, მტერზედ რისხვით ზღმომქშინავი,
 ერთისა აზრით, ერთის გრძნობით აღელვებულა.
 მომილოცნია!.. გაგვითენდა ძლიერ ბნელი ღამე! ●
 მაგრამ შენ სწუხარ, თითქო ამ თქმით მე ვერ გაამე.

დ ე დ ა

მე ვწუხვარ მარტო მასზედ, რომე ჩემს სიბერესა
 სანუგეშებლად მხოლოდ ერთი მოეცა შვილი,
 მე ვწუხვარ მასზედ, რომ ჩემს მამულს ამ ნეტარს დღესა
 მხოლოდ ღა ერთი შეაკვდება ჩემგან შობილი.
 ვაი, რომ ჩემის სიცოცხლისა მზე მაშინ ჩადის,
 როცა ამოდის ჩემის ქვეყნის მზეი დიალი!...
 ვაი, რომ ბინდი დღეთა ჩემთა სიკვდილს მიქადის,
 როს ჩემის ხალხის დიდებისა სჩანს განთიადი!
 ამაზედ ვწუხვარ... მაგრამ ამას რაღა ეშველოს?
 ღმერთს მარტო ერთს ვსოთოვ, მკვდარი დედა ძემ ასახელოს.

შ ვ ი ლ ი

როგორ? მეც მგზავნი საომრადა, დედის ერთასა,
 რომ თავი დავსდო მამულისა ჩვენის სახსნელად?

დ ე დ ა

სულზედა დიდი ცოდვა უნდა ედვას დედასა,
 რომ შვილი ამ ღროს არ გაჰვზავნოს ძმათა საშველად...
 ღმერთმა გვაშოროს, შვილო ჩემო, იმა სირცხვილისა,
 რომ შენ შინ იჯდე, ოდეს სხვანი იხოცებიან.
 ვინც მამულისთვის არ იმეტებს თავისა შვილსა,
 მათ შვილი თვისი, ჩემო კარგო, არ ჰყვარებიან...
 ვაჟ-კაცად იყავ, — ჩემი თხოვნა არის შხოლოდ ეს.

შეგიღება

არას დროს არა მყვარებიხარ ისე, როგორც დღეს,
შენ, დედა ჩემო!... რასაც მნუკავ, აღგისრულდება...
შენგან შობილი შვილი განა მხდალად მოკვდება!
(ისმის გარედგან ჯარების ხმაურობა, შვილი ფანჯარას მივარდება)

დ ე დ ა (თავის თავად)

არ იცი, შვილო, როგორ მიღირს მე ეს სიტყვები,
და ვერც შეიტყობ მაგას ჩემგან, ისე მოვკვდები...
იმ დრომდე სულსა დანაშთენსა ღონეს მოვუკრებ,
ვიდრე საომრად, შვილო ჩემო, შენ გაგისტუმრებ,
რომე სიკვდილმა ჩემმა უცებ არ დაგაბრკოლოს,—
და მერე კი, ვგრძნობ, ბედი ჩემი მომიღებს ბოლოს.

(ისმის ჯარების სიმღერა: ორ-პირად)

„ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
დღე გათენდა დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა.

მამულის დახსნის დღე არის,
ქვეყანა გვნუკავს შველასა,
თავისუფლების შოვნაი
სჯობს საშოვნელსა ყველასა,

მამულის დამხსნელს ვაჟკაცა
ხმალი და გული სდომია,
ვაჟკაცის გამომჩენელიც
მტერთან გულდაგულ ომია.

მამულის დახსნის არ მდომი
თავისა თავის მგმობია,
ძმანო, შინ უღლით სიცოცხლეს
ომში სიკვდილი სჯობია.

მაშ მამულს თავი შევსწიროთ
საშველად, გამოსახსნელად,

თუ მისთვის დავიხოცებით,

ჩვენ ის გვეყოფა სახელად.

ქართველო, ხელი ხმალს იკარ,

ღლე გათენდა დიდებისა,

თოთ-იარალი აისხი,

დრო მოდის გამარჯვებისა“.

(ქუჩიდამ ისმის დედა-კაცების და სოფლის პატარა ბიჭების
ძახილი: „ჯარს გაუმარჯოს, ჯარს გაუმარჯოს“, ისმის
კიუინა და ხმაურობა).

დ ე ჟ ა (ალელვებული)

მიმიყვა, შვილო, დამანახვე ქვეყნისა მხსნელნი,
რომ მით დავიტკბო დღენი ჩემნი უკანასკნელნი.

შვილი (ჩამოიყვანს ლოგინიდგან დედას, შეუჯ-
დება მხრებში და მიიყვანს ფანჯარასთან)

შეხე, დედილო, ამ განწირულ ყმაწვილ-კაცობას,
ისე მიღიან სასიკვდილოდ, როგორც დღეობას.

(დედა, რა დაინახავს ჯარს, ცრემლს ვერ იმაგრებს და სტირის)

შეხედე, ხალხი რა რიგ ლოცვით ჯარსა აკილებს?
დიღი, პატარა მხიარულობს, შენ რა გატირებს?

დ ე ჟ ა

ღმერთმა კურთხევა. ღიღ საქმეში წინ წაგიმძლვაროთ!
ჩვენ კი დედებმა ღვთის წინ უნდა ცრემლები ვღვაროთ,
რომ ჩვენ შეგვასწროს, მამულისთვის თავ-დადებულნი
კიდევ გიხილოთ შინ მოსულნი, გამარჯვებულნი.
მიმიყვა, შვილო, ლოგინთანვე, მუხლი მეჭრება.

(შვილს დედა უკანვე მიჰყავს)

ვაიმე, შვილო, რამდენს დედა აუტირდება,
როს ვეღარ ნახავს თავის შვილსა უკანვე მოსულს!..

შ ვ ი ლ ი

რა ვუყოთ, თუ კი სხვა გზით შველა არა აქვს მამულს!

(ამ დროს ერთი ცხენოსანი მოადგება ფანჯარას და გარედამ იძახის)

ცხენოსანი

კიაზო, წამო!.. რაღას იცდი, გვიგვიანდება,
დრო საშურია... ჩვენ ძმებს ჩვენით მშველი აკლდება.

შ ვ ი ლ ი

აჰა, მოვდივარ! აბა, დედი, მოიეც გული!
ჩემგან — მეომარს, შენგან შვილსა ითხოვს მამული!

(დედა გადაეხვევა შვილს და გულზედ მიიკრავს) ი

მშვიდობით, დედი! შენ ჩემზედა ნუ დაღონდები,
ცოცხალი მოვალ, თუ არა და ისე მოვკვდები,
რომ ჩემს სიცოცხლეს ამჯობინო ჩემი სიკვდილი...
ნუ სტირი, დედი!.. გზათა ვდგევარ, დამლოცე შვილი.

დ ე დ ა

ვაი შენს დედას!... მოვიდა დრო განშორებისა
და გული მიმდის... უძლურია გული დედისა...
მაგრამ ნუ სწუხარ... გადამივლის... შვილო, მშორდები!?
ვაი თუ მოვკვდე და ვისგანლა დავიტირები?..

(სტირის და უფრო მაგრად გულზე მიიკრავს შვილს. მერე უეცრად
ხელს ანებებს და ზარ-დაცემულსავით თვალში თვალს უყრის და
მცირეს ჩანს ამ ყოფით არის)

დ ე დ ა

დედა არ გიყვარს, დედა შენი მოხუცებული?

შვილი (გაოცებით)

მერე, რო მიყვარს?

დ ე დ ა

მასთან დარჩი!

შ გ ი დ ი

მერე; მამული?

დედა (თითქო ეხლა გაახსენდაო)

მართლა, მამული!... იგი უფრო საყვარელია,
მაშ, წადი, შვილო!... ღმერთი იყოს შენი მხსნელია...
მაგრამ, ვიშ! მე რომ უშენოთა მარტო მოვკვდები,
ვიღა დამმარხავს?.. წადი... წადი... ნუ გვიანდები...

შ გ ი დ ი

ეჰა, მამულო! შენის ტრფობის ძალსა ღვთიურსა
რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს აძლევ უძლურსა...
ოდეს შენდამი სიყვარული დაიძვრის გულში,
ღედაც კი შვილის სიყვარულს ჰკლავს შენს სიყვარულში!
რა სხივოსანი შენი შუქი აღმობრწყინდება
კაცისა გულში, ყველა გრძნობა მასშია ჰქრება,
ვითა მზის შუქში უმცირესი მნათობი ცისა,
ვითა ზღვაშია დაცემული წვეთი წვიმისა.
მშვიდობით, ღედი! ძნელი არის შენი დათმობა,
მაგრამ უფრორე ძნელი არის მამულის გმობა.

(შვილი გადის)

დედა (ლონე მიხდილი გადიქცევა ლოგინ-
ზედ და სულთ-მობრძავი ამბობს:)

ვაიმე, შვილო!... შენს წასვლასთან მიქრება ალი
ჩემის სიცოცხლის... უშენოთა ძნელია ყოფნა...
დიდხანს ებრძოდა შვილის ტრფობას მამულის ვალი,
ვალმა აჯობა, მაგრამ ძვირად დამიჯდა ჯობნა.
სულიც ამომდის... არ ყოფილა ძნელი სიკვდილი,
როცა შენ შენი აღასრულე... მამული... შვილი!...

(კვდება)



სარჩევი სახელმძღვანელოსი

I—IV

წინასიტყვაობა
შესაბალი .—სიტყვიერება .—თეორია სიტყვიერებისა . ხელო-
ვნება .—კაზმული ხელოვნება და მისნი დარგნი .—ნაწილნი სიტყვიე-
რების თეორიისა 1 გვ.

I. სტილისტიკა ანუ თეორია ენისა .—რა არის სტილისტიკა და რას
გვასწავლის?—სისწორე ენისა .—სიწმინდე მისი .—გარკვევით, მკაფიოდ
და ნიშანდობლივ გამოთქმა აზრისა .—სურათიანობა ენისა: ეპიტეტი,
ტროპი და ფიგურა 3

კეთილ-ხმოვანება ქნისა .—პერიოდი და მისი სხვა და სხვა გვარობა 17
ლექსთ-წყობა .—განსაკუთრებული თვისებანი ქართულის ლექსთ-
წყობისა 27

განსხვავება პოეზიასა და პროზას შორის 37

II პროზა ანუ თეორია პროზისა . სხვა და სხვა გვარობა პროზად და-
წერილ თხზულებათა .—მოთხრობითნი თხზულებანი და მათი სხვა და
სხვა გვარობა .—აღწერითნი თხზულებანი 12

მსჯელობითნი თხზულებანი .—მჭევრ-მეტყველება ანუ საორა-
ორო პროზა 48

III თეორია პოეზიის .—პოეზია საერო და ხელოვნური .—დარგნი
პოეტურ ნაწარმოებთა .—საეპიკო პოეზია .—საერო ეპოსი და მისნი
დარგნი .—ხელოვნური ეპოსი და დარგნი მისნი 51

სალირიკო პოეზია .—ლირიკა საერო და ხელოვნური და მათნი
დარგნი 79

საღრამო პოეზია .—რა არის ღრამა?—ტექნიკა ღრამისა .—სხვა და
სხვა გვარობა ღრამისა: ტრაგედია, კომედია, საკუთრად ღრამა 93

სარჩევი დამატებისა:

ნაწილი I

აღწერანი შარტივნი და მხატვრობითნი

გელათი, არ. ქუთათელაძისა. მერცხალი, ლექსი რ. ერისთავისა.
თავად ლუარსაბ თათქარიბის სახლ-ბაზი, ილია ჭავჭავაძისა. კავ-
კასიონის მთები, გრ. ორბელიანისა. ჩართლის სოფელი, ი. გოგე-
ბაშვილისა. საჩართველო, ლექსი რ. ერისთავისა. ნადირობა, ილია
ჭავჭავაძისა. შემოღობა, ი. გოგებაშვილისა. დათვის მოძვლა, ა.
ყაზბეგისა. კველებური ღმე, სარგის თმოვველისა. თრითივების გა-
დასახლება, თარგ. გრ. ყიფშიძისა. მაჩიჩებელა გველის ნადირ-
ობა, თარგ. მისივე. ათონის ჩართველთ მონასტრი, ტიმოთე მთა-
ვარ-ეპისკოპოსისა. 121—140 გვ.

შეზღურის წერილები

ვლადიკავკასიდან ტფილისაგდე, ილია ჭავჭავაძისა. მოგზა-
ურობა რუსის მიტროპოლიტის იონესი (ნაწყვეტი). 141—153

მთხოვნითნი თხზულებანი, ბიოგრაფია და დახასიათებანი

საჩართველოს ნათელ-ღვაბა ჩრისტეს სარწმუნოებით, გ.

წერეთლისა. შესტომის სარმაზნოება საჩართველოში, თარგ. გრ. ყიფშიძისა. ტფილის აოხრება აღა-გავად ხანის მიერ, დეკან. იოანე ქართველიშვილისა. გიორგი ერისთავი, ი. მეურარეგიასი. სტუ-დენტების პირველი დრო. ნ. ნიკოლაძისა. ჩემი თავ-გადასავალი, აკაკისა. გიორგი ბრძოლებისა, ნ. ურბნელისა. . . . 153—214

მსჯელობითი თხზულებანი

ზოგიერთი რამ, ილია ჭავჭავაძისა. შართული აგზანი—ხუცუ-რი და მხედრული. დიმ. ბაქრაძისა. ქველებული დედაპაცი, გ. შაიაშვილისა. შართლის ცხოვრების სინამდვილე, დიმ. ბაქრაძისა. საჭიროება სწავლისა, ილია ჭავჭავაძისა. რა არის დედა-ენა? უშინსკისა, თარგმ. ივ. მაჩაბლისა. შართული მფიზოგანობა და უძ-ველები ხელ-ნაწერები, ალ. ცაგარლისა. შართლის ცხოვრება დავით აღმაშენებლის შესახებ, თ. უორდანიასი. შართლის ცხოვ-რება თამარ-მეფის შესახებ, მისივე 215—265

საორატორო ჟროზა

საპოლიტიკო მჰევრ-მეტველება: სიტყვა კულტიტელის აიქ-ტისა ლაზთა მეფის გუბაძის მოკვლის გამო, თქმული საერო კრებაზედ, თარგ. გრ. ყიფშიძისა. სიტყვა კოლხიდელის ფარცატისა იმავე ლაზთა მე-ფის გუბაძის მოკვლის გამო,—თარგ. მისივე; **სახოტბო მჰევრ-მეტვე-ლება:** სიტყვა გაიოზისა, თელავის სემინარიის რექტორისა მეფე ირაკლი მეორისადმი, ნ. მთვარელიშვილისა. მეფესა დავითს მონაზონი არსენი; **სასულიერო მჰევრ-მეტველება:** სიტყვა ხარების დღეს, თქმული ეპისკ. გაბრიელის მიერ, სიტყვა ყოვლად-სამლელელო მიტროპოლიტ ანტონ ჭყონდიდელისა, სიტყვა ნინოობა დღეს 265—307

ნაწილი II.

საეპიკო ჟორზა

მეფე ღიმიტრი თავ-დადებული (ნაწყვეტი), ილია ჭავჭავაძისა. თორჩიე ერისთავი (ნაწყვეტი), აკაკისა. გელი შართლისა (ნაწყვეტი), ნ. ბარათაშვილისა. გოგოლიშვილი და აფშინა, ვაჟა-ფშაველასი. ვეზ-ნის-ტეატრსანი (ნაწყვეტი), შოთა რუსთაველისა. . . . 307—372

საერო ეპისი-

თქმულებანი საგმირო: ამირან დარუჯანაშვილი, ხალხური ვეფხის-ტყაოსანი, როსტომი (ნაწყვეტი); **თქმულებანი საისტორიო-** ნი: მეფე ერეკლეს გლოვა, აზატ-ხანი და ერეკლე, დემურ-ყევნი, სოლო-ლას ლექსი; **პირულები ეპოსი:** საბრალო დედა-ბერი, მელა და მწყერ-ჩიტა, ჩიტი და მელა; **ზღაპარნი:** გველი და გლეხი, ხელმწიფის ცა-ლი—ქალ-ბაყაყი, ნაცარ-ქექია, ორი ჭურდი, მეფე და კათალიკოსი, მეფე და მეთევზე, სიბრძნე სოლომონისა, ასფურცელა 373—479

ესკიზი, ამბავი და მთხოვთბება

მთის-ფეარო, ვაჟა-ფშაველასი. ვესვები, მისივე. შუჩი, მისივე.

ლონია გადაიჩა, ეკ. გაბაშვილისა. მოძღვარი (ნაწყვეტი), ალ.
კაზბეგისა 480—519

იდილიები, იგაფ-არაკნი და ბაჭადები

ზამთარი, რ. ერისთავისა. აღდგომა, მისივე. ბზობა, მისივე.
გაზაფხული, მისივე. ზაფხული, მისივე. რთველი, მისივე. შვილი
ვართ (გადმოქართულებული რუსულიდან), მისივე. იგავ-არაპეტი, ს. ს.
ორბელიანისა და აკაცისა. გალადები: ძოროლი, რ, ერისთავისა.
ჩალი-აზვანი, მისივე. ზალი, ცახელისა. გაზალეთის ტბა, ილია
ჭავჭავაძისა, გორის ციხე (რუსულიდან გადმოქართულებული), აკა-
ცისა. 519—550

საჭირიკო ჰერზია

სატირა, ოდა, ელეგია, ლექსი სალირიკონი, ხალხური
ლექსი, ლექსი, დაწერილი საერო კილოზე, ჰიმნი, მაღრი-
გალი, ეპიტაზი, ეპიგრამა. 550—632

(ამ განცოცილებაშია მოთავსებული საუკეთესო სალირიკო ლექსე-
ბი ჩვენის პოეტებისა და აგრელვე ხალხური ლექსებიცა)

სადრამო ჰერზია

დედა და შვილი (სცენა), ილ. ჭავჭავაძისა 632—640

გეზდის უმთავრეს შეცდომათა გასწორება

გვერ.		სტრ. დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
2	ზემოდან.	15 სილამაზესა	სილამაზესა
8	—	11 სინონინები	სინონიმები
9	ქვემოდან	9 სუურა-თიანობა	სუურათიანობა
10	ზემოდან	10 ნამვილად	ნამდვილად
23	—	15 თვის-ტმნი	თვის-ტომნი
33	ქვემოდან	16 ნანაბარ	თანაბარ
68	—	15 სუკუნის	საუკუნის
73	—	1 მოძლევარი	მოძლევარი
83	ზემოდან.	14 დამკემდებარებული	დაკემდებარებული
95	—	5 შენის	შენი
98	—	16 მაკმეტი	მაკბეტი
104	—	12 გუნდს	გუნდის
109	—	12 ცროვრების	ცროვრების
111	—	1 საგულისსიერო	საგულისსიერო
163	—	6 სამწავლებელი	სასწავლებელი
246	—	13 დაგამწერნი	გადამწერნი
251	ქვემოდან	5 ჭემარიტი	ჭეშმარიტი
343	მეორე სვეტი	10 ეჯდება	ეჯდე
346	პირველი სვეტი ზემოდან	14 გაგერშილხარ	გაგერშილხარ
349	მეორე სვეტი	‡ სიწვდილს	სიკვდილს
359	ზემოდან.	10 სჯდობდეს	სჯობდეს
375	—	6 წამოვაგდოთ	წამოვაგოთ
403	—	10 მასწავლებენ	მასწავლიან
410	—	5 დაარქვი	დაარქვა
425	ქვემოდან	11 ჩიიდე	ჩიიდე